

დოკუმენტური წყაროები
XVII საუკუნის I ნახევრის
ქართლისა და კახეთის
მეფეების შესახებ

II



ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის (FR17-554) ფარგლებში. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორებს და შესაძლებელია, არ ასახავდეს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებას.

რედაქტორი: **მზია სურგულაძე**
თარგმანი: **რუსუდან ლაბაძე**
დიზაინი და
დაკაბადონება: **დალი ჯვარშიშვილი**

ამ გამოცემის არც ერთი ნაწილი არანაირი ფორმით და საშუალებით, იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური, მათ შორის ფოტოკოპირის გადაღებით და მაგნიტურ მოწყობილობაზე ჩაწერით, არ შეიძლება გამოყენებულ იქნას უფლებების მფლობელთა წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.



შპს "ნაციონალური
სამწიგნობრო"

თბილისი, რუსთაველის 7; მზ.: 551 95 31 90

ISBN 978-9941-9677-7-1 (ორივე ნაწილის)

ISBN 978-9941-9745-8-8 (II ნაწილის)



კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს
ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

დოკუმენტური წყაროები

(სიგელები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ხელნაწერთა კოლოფონები)

XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების

(როსტომი)

შუსახეუბ

(წყაროების კუბლიკაცია და გამოკვლევა)

II

Documentary Sources

(Deeds, Epigraphic Inscriptions, Colophons)

in the First half of 17th c. about the Kings
of Kartli and Kakheti

(Rostom)

(research and publication of sources)

II

ავტორები:

თეა ქართველიშვილი (პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი)
სათუნა ბაინდურაშვილი, ირაკლი გელაშვილი, თამაზ გოგოლაძე,
მაია შაორშაძე, თემო ჯოჯუა

რედაქტორი მზია სურგულაძე

თბილისი 2021

წიგნში „დოკუმენტური წყაროები (სიგელები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ხელნაწერთა კოლოფონები) XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ“ წარმოდგენილია მეფე როსტომის ქრონოლოგიურად დალაგებული საისტორიო საბუთები და ეპიგრაფიკული ძეგლები. ტექსტები გამართულია აკადემიური სტანდარტით, ერთვის სათანადო სამეცნიერო აპარატი. წყაროებს დართული აქვს კომენტარები.

დოკუმენტური წყაროები ზუსტად ახასიათებს და უხვ ცნობებს გვაწვდის მოცემულ პერიოდში ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მათ საფუძველზე გამოვლინდა არაერთი უცნობი ფაქტი.

შსსაგალი

XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება. აქ ირანის მიერ დანიშნული მუსლიმი მმართველი – როსტომი ჯდება. როსტომი ქართლის მეფის დავით XI-ის იგივე დაუდ-ხანის უკანონო შვილი იყო. იგი ირანში მოღვაწეობდა. მისი აღზევება გიორგი სააკაძის სახელს უკავშირდება. როსტომი ირანის ყულარაღასი (ყულის ჯარის – შაჰის პირადი გვარდიის ხელმძღვანელი) და ისპაჰანის ტარუდა (მოურავი) გახლდათ. ქართლში დანიშვნის შემდეგ ირანმა მას „გურჯისტანის ვალის“ ტიტული მიანიჭა. ირანისთვის იგი თავისი მოხელე იყო, ხოლო ქართველებისთვის – მეფე. მართალია, ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა და პერიოდულად ქართლისა და კახეთის მმართველად მანამდეც იხსენიან მუსლიმი თუ ქრისტიანი იერარქები, რომელთაც ირანი თავის ვალიდ თვლიდა (სიმონ I, ალექსანდრე II, ბაგრატ-ხანი, სიმონ-ხანი, თეიმურაზ I), მაგრამ ეს ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ბაგრატ-ხანი და სვიმონ-ხანი, ირანის ტიპური მოხელეები იყვნენ, თუმცა მათ ძალაუფლება არ ყოფნიდათ მთლიანი ქართლის გასაკონტროლებლად (მათი იურისდიქცია მხოლოდ ქართლის სამხრეთ ნაწილზე ვრცელდებოდა), მათი მმართველობა კი ნომინალური იყო. რაც შეეხება კახეთის სამეფოს, აქ ირანელები პერიოდულად ახერხებდნენ თავიანთი ხანის დასმას.

XVII საუკუნის პირველ მეოთხედში, ქართლიც და კახეთიც დაუცხრომელ ბრძოლას აწარმოებდა სეფიანების წინააღმდეგ. 1625 წლის მარტყოფის აჯანყების შემდეგ შაჰ აბასი იძულებული გახდა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო, რაც კომპრომისულ პოლიტიკად არის შეფასებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. ირანის მხრიდან კომპრომისი გულისხმობდა, რომ მან ხელი აიღო ქვეყნის სრულ დაპყრობაზე, სეფიანები უცვლელად ტოვებდნენ ქართლის სოციალურ-ეკონომიკურ წყობას, ქვეყანას სათავეში ისევ ბაგრატიონები ეყოლებოდნენ, ისინი ვალის ტიტულს მიიღებდნენ, „გურჯისტანის ვალს“ კი ხარკი და საჩუქრები უნდა გადაეხადა სიუზერენისთვის. ამასთან, ვალის კარზე ირანს სამეთვალყურეო აპარატი (გეზირის, მუსტოვის და მუნშის შემადგენლობით) ეყოლებოდა.

XVII საუკუნის 30-იანი წლების დამდეგისთვის ქართლი და კახეთი გაერთიანებული იყო მეფე თეიმურაზის მიერ. შაჰ აბას I-მა თეიმურაზი, როგორც ქრისტიანი მმართველი აღიარა. თავის მხრივ თეიმურაზიც შეურიგდა და აღიარა ირანის ვასალობა.

ქართლ-კახეთის პოლიტიკური მდგომარეობა და მომავალი ფაქტიურად,

ირანში განვითარებული მოვლენებით იყო განპირობებული. 1629 წელს შაჰ აბას I-ის გარდაცვალების შემდეგ ირანის იმპერიის ტახტს რამდენიმე მემკვიდრე გამოუჩნდა, არკანჯელო ლამბერტის ცნობით, მათ შორის ორი მთავარი ფიგურა გამოიკვეთა: აბასის დისშვილი, რომელიც ისა-ხან ყორჩიბაშის¹ ძე იყო და თავად მფარველობდა, აბასის შვილიშვილი სეფი, რომელსაც ხოსრო მირზა იგივე როსტომ-ხანი მფარველობდა. ა. ლამბერტი დეტალურად მოგვითხრობს ისპაჰანში განვითარებული ამბების შესახებ. ისა-ხან ყორჩიბაშს ცოლად ჰყავდა შაჰ აბასის და. როგორც ჩანს მას ხელსაყრელ დროდ ჩაუთვლია შაჰის გარდაცვალება თავისი პოზიციების გასამტკიცებლად და უცდია 5 წლის შვილის ტახტზე აყვანა. ხალხის შეძახილებისა და ტაშის გრიალში მეფედ გამოუცხადებია ბავშვი, თუმცა ამ დროს სასახლეში გამოჩენილა ხოსრო მირზა, იგივე როსტომ-ხანი შაჰ აბასის შვილიშვილთან – სამ-მირზასთან, იგივე სეფისთან ერთად და აბასის ანდერძი წაუკითხავს, რომლითაც მემკვიდრედ ამ უკანასკნელს ტოვებდა (არკანჯელო ლამბერტი, 2020: 216; ჯავახია, 2005: 81). როსტომი თავისი ყულის ჯარით ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა. ისა-ხან ყორჩიბაშს აღარ გაუმწვავებია ვითარება და უკან დაუხევია, მას და მის შვილსაც უღიარებიათ სეფი მეფედ. ამ მოვლენებთან დაკავშირებით თავად როსტომი მოგვითხრობს: „მრავალ ჯერ ქმნილიყო წინათ ჟამშია კვლამწიფეთ მაცვალებასა ზედა ერთმანერთი გაეწყვტა და მრავალი სისხლი დაღვრილიყო. ჩ(უ)ნ ძალითა და შეწევნითა დ(მრ)თისათა გაგსინჯეთ საქმე: შვილიც იყო ყაენისა, მაგრამე თავად თვალდამწუარი იყო, სინათლელცა ჰქონდა, მაგრამე უფროსი შვილი-შვილი იყო დიად კარგი, თუალად და ტანად შუნიერი, კვლამწიფობა იმას შეფერებოდა. ამოვიყვანე და ტახტზე დავსვი და მიულოცეთ კვლამწიფობა შაჰ სეფის ყაენსა, ვაკურევინეთ ქანარა და ნაღარა, მივსწერეთ შორსა და ახლოსა ბრძანება: თუ „მოდით და თავყანის ეცით“. მოვიდეს ყოვლის ადგილიდალმე ხანები და სულთნები, მიულოცევდით კვლამწიფობასა და აყრიდენ თვალმარგალიტსა წლამდისინ. და აღიდეს; და მოეწონათ ყ(ოველ)თა მნახავთა, თქუეს და აქეს: „არა არისო კვლამწიფე ქუეყანასა ზ(ედ)ა ამისი მსგავსიო“, გააკურვა ყ(ოველ)ი რჯული და სული ღხინითა, ნადირობითა და გაცემითა. გაისმა ქება სიკეთისა ყ(ოველ)სა ქ(უე)ყ(ა)ნასა“ (მეფე როსტომის შეწირულების განახლების წიგნი სვეტიცხოვლისადმი იხ. გვ. 311-314) ამრიგად, სეფიანთა ირანის ახალი მმართველი როსტომის წყალობით აღმოჩნდა იმპერიის სათავეში. ცხადია, სეფი დიდად იყო დავალებული როსტომისგან. მან შესაფერისი პატივიც დაიმსახურა და შაჰი მამას უწოდებდა. როგორც ფარსადან გორგიჯანიძე აღნიშნავს „ერანის საქმე როსტომ მეფეს ეკითხებოდა“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1926: 30).

როსტომის ფრთის და, შესაბამისად, სეფის კონკურენტად განიხილებოდა იმამყული-ხან უნდილაძის კარზე მცხოვრები აბასის ვაჟი და,

1. ზოგი ცნობით ისა-ხან ყორჩიბაშს ცოლად ჰყავდა შაჰ-აბასის ქალიშვილი.

ზოგადად, უნდილაძეები. უნდილაძეების მდგომარეობა ირანში კი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა ქართლ-კახეთის პოლიტიკურ ვითარებას, ვინაიდან უნდილაძეები წარმოადგენდნენ თეიმურაზის გარანტს შაჰის კარზე. მოცემულ პერიოდში ირანის იმპერიაში დაწინაურებულები იყვნენ ალავერდი-ხან უნდილაძის ვაჟები: იმამყული-ხანი და დაუდ-ხანი. მათ მამაზე არანაკლებ წარმატებას მიაღწიეს აბას I-ის კარზე. განსაკუთრებით პოპულარული იყო იმამყული, რომელსაც იმუამად ირანში მყოფი ევროპელები ირანის ვიცე-კოროლს უწოდებდნენ. პოლიტიკურ ძალაუფლებასთან ერთად ისინი ხალხის განუზომელი სიყვარულით სარგებლობდნენ. იმდენად დიდი იყო მათი გავლენა მოსახლეობაზე, რომ თუკი ვინმეს ძვირფასი სამკაულით შემკულსა და მდიდრულად ჩაცმულს დაინახავდნენ, მიიჩნევდნენ, რომ იმამყულის ან დაუდის დასახელებულნი იყვნენ (არკანჯელო ლამბერტი, 2020: 217). ისინი თავისი ქონებით, გავლენითა და საზოგადოების მათდამი სიყვარულით შაჰ სეფის არათუ ჩამოუვარდებოდნენ, არამედ აღემატებოდნენ კიდევ. ყოველივე ამის გამო ახალგზარდა შაჰს საფუძვლიანი მიზეზი ჰქონდა ეჭვიანობისთვის. ამაზე დაუფარავად წერენ იმდროინდელი ავტორები: „პირველად თვალში იმამყული და დაუდი მოხვდა, რომლებიც ხალხში დიდი სიყვარულითა და სახელით სარგებლობდნენ. მათი უსაზღვრო ძალაუფლება სახიფათო ეჩვენა სეფის – ერთი ჯანყიც კი საკმარისი იქნებოდა, რომ ამ ძმებს სპარსეთიდან გაეძევებინათ შაჰი და თავად დაპატრონებოდნენ სამეფოს“ (არკანჯელო ლამბერტი, 2020: 217). ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ სეფი I-მა მათი თავიდან მოშორება განიზრახა. ამ დაპირისპირებაში აშკარად ჩანს როსტომსა და უნდილაძეებს შორის არსებული კონფლიქტის კვალი. ფარსადან გორგიჯანიძე პირდაპირ მიუთითებს, რომ შაჰმა როსტომის გამო მეჯლისიდან გააგდებინა დაუდ-ხანი. შეურაცხყოფილი დაუდი კი შურისძიების მიზნით თეიმურაზ I-ს შეეკრაო (ფარსადან გორგიჯანიძე, 1926: 30). კარმელიტების ქრონიკისა და კაპიტან ვედელის ცნობით მეჯლისიდან გაგდებული დაუდი ჯოხის ცემით დაუსჯიათ (კარმელიტების ქრონიკა, 1999: 33). ცხადია, ზემომოყვანილი პასაჟი მათ შორის არსებული დაძაბულობის მხოლოდ ერთი დეტალია და ბრძოლა მიდიოდა ორ გაერთიანებას შორის ირანის ტახტზე თავისი გავლენის მოსაპოვებლად.

თეიმურაზ I და დაუდი ერთმანეთის პოლიტიკური მოკავშირეები და ნათესავები იყვნენ (დაუდს ცოლად ჰყავდა თეიმურაზის და). მათ ერთობლივად მოაწყვეს ანტიირანული აჯანყება და 1632 წელს განჯა-ყარაბადი ორგზის დალაშქრეს. ისკანდერ მუნშის ცნობით, „დაუდ-ხანმა თეიმურაზს მისი უდიდებულესობის მორჩილებასა და მონობაზე ხელი აადებინა, იგი განჯის ურიცხვი სიმდიდრის ხელში ჩაგდებით მოხიბლა და აიძულა, რომ მასთან ერთად განჯაზე გაელაშქრა“ (ისკანდერ მუნში, 1981: 56). ამასთან, თვითონ შაჰის კარის ოფიციალური ისტორიკოსიც ვერ მალავს, რომ ლაშქრობა მხოლოდ ნადავლის ხელში ჩაგდების მიზნით არ

მომხდარა, არამედ დაუდ-ხანმა დაარწმუნა თეიმურაზი: „ესეც იცოდე, რომ უფლისწული, ქვეყნის დამპყრობელი შაჰის შთამომავლობიდან, ჩემს ძმასთან – იმამყული-ხანთან არის ფარსში, რომელმაც მას სახელი შეუცვალა, თავისი ვაჟის სახელი დაარქვა და [იგი] მის შვილად ითვლება. ჩემმა ძმამ მთელი ფარსის მხარე, ბაჰრეინი, ლარი, ჰორმუზი, ხუზისტანი, არაბისტანი დაიმორჩილა, ამასთანავე, იმ ვილაიეთში ოცდაათ ათას კაცზე მბრძანებლობს. სულ მალე იმ მხარეში ხუტბა და სიქა მისი სახელით და ლაყაბი იმ უფლისწულის სახელით იქნება დამშვენებული, ხოლო მე, როგორც ძმის კეთილისმსურველი, ამ საქმეში ვეხმარები“ (ისქანდერ მუნში, 1981: 57). ცხადია, გადატრიალება მზადდებოდა ირანის სამეფო კარზე და, უნდოდაცაა გამარჯვების შემთხვევაში, თეიმურაზი დიდ სარგებელს ნახავდა. მისი პოზიციები ქართლ-კახეთის ტახტზე განმტკიცდებოდა. განსაკუთრებით, ქართლის ტახტზე, სადაც მისი მმართველობა არალეგიტიმურ ხასიათს ატარებდა² და ამით, როგორც ჩანს უკმაყოფილო იყო ქართლის წარჩინებულთა ნაწილი³. ანტიირანულ აჯანყებაში მხოლოდ თეიმურაზი არ ყოფილა ჩართული, განჯა-ყარაბაღზე მოწყობილ მეორე ლაშქრობაში (1632 წლის 25 დეკემბრისთვის⁴) მონაწილეობდნენ: იმერეთის სამეფოს, ოდიშისა და გურიის სამთავროების წარმომადგენლები, მესხი დიდებულები, ასევე სომეხები. სომეხთა კათალიკოსი მოვსესი თეიმურაზს 40 ათასი მეთოფის გამოყვანასა და ოსმალეთის სულთანთან კავშირის დამყარებას პპირდებოდა (ამ დროს ირან-ოსმალეთის 1632-1639 წწ. ომი მიმდინარეობდა), თავრიზში გალაშქრებისაკენ მოუწოდებდა და ქართველთა და სომეხთა გაერთიანებულ ტახტს უმზადებდა: „მთავარ ჯელმწიფეთ გაკურთხებით და საქრისტიანო შენით დაიხსნებისო და გაძრიეღებინო“ (ფარსადან გორგიჯანიძე 1926: 30-31). ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვალერიან გაბაშვილი მიიჩნევს, რომ ეს იყო ირანის წინააღმდეგ მოწყობილი მთელი ამიერკავკასიის აჯანყება (გაბაშვილი, 1972: 79)⁵

როგორც ჩანს, ქართლის საზოგადოებაშიც არ ყოფილა ერთგვაროვანი დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენებისადმი. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა მონაწილეობდა ანტიირანულ აჯანყებაში, არსებობდნენ პროირანული ძალებიც. დონ პიეტრო ავიტაბილე გვამცნობს, რომ

2. მას ქართლში ბატონობის უფლება თავისი მეუღლის, ხორეშანის საშუალებით ჰქონდა მიღებული. ხორეშანი იყო ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის და.

3. ფარსადან გორგიჯანიძე აღნიშნავს, რომ „კახნი ქართველთხედ ამაყობდეს და ჰმლით დაჭირულს ეძახდეს, უპატიოთაც ეპყრობოდეს“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1926: 30). ბერი ეგნატაშვილის ცნობით: „არღარავინ ჰყვათ ქართველთა მკუდრი არცა მეფე და არცა ძენი მეფისანი, მცირედ ოდენ მორჩილ იყვნენ კახის ბატონის თეიმურაზისა და ჭმუნვიდენ უმკუდროებისათჳს მეფისა“ (ბერი ეგნატაშვილი 1959: 416). ამ უკმაყოფილებას, საკუთარი აგენტურის საშუალებით, კარგად იყენებდა როსტომი და გასამეფებლად ნიადაგს ამზადებდა (ნაკაშიძე 1977: 113).

4. თეიმურაზისა და დაუდ-ხანის მეორე ლაშქრობა შობის წინა დღეს მომხდარა (დონ პიეტრო ავიტაბილე 1977: 25).

5. არსებობს მოსაზრება, რომ უნდოდაცაა მთავრების შექმნას ცდილობდნენ ევროპაში (იხ. ჟორდანი, 1984; ვათეიშვილი, 2014: 393).

ირანის შაჰს წერილი გაუგზავნეს საქართველოდან „თუ გინდათ საქართველოს დაეპატრონოთ, თავიდან უნდა მოიშოროთ შირაზელი იმამყული-ხანი, რადგან მთელი ქართველი ხალხის თვალები მისკენაა მიპყრობილი“ (დონ პიეტრო ავიტაბილე 1977: 47).

თეიმურაზისა და დაუდ-ხანის მიერ განჯა-ყარაბაღის დარბევის შემდეგ, ცხადია, შაჰის კარმა დაუყოვნებლივ მიიღო საპასუხო ზომები: სიკვდილით დასაჯეს იმამყული და მისი ვაჟები, დაუდისა და თეიმურაზის წინააღმდეგ დამსჯელი ექსპედიცია მოაწყვეს. „შაჰმა იმდენად ძლიერი ჯარი შეჰყარა, რომ სპარსეთს არასდროს ამდენი არ გამოუყვანია. მართალს ამბობენ, რომ 120 000 მეომარი იყო, თითქმის ყველა ცხენოსანი“ მათგან ქართველები „სპარსეთის ჯარის უმეტესობას შეადგენდნენ“ (დონ პიეტრო ავიტაბილე, 1977: 46, 48). ცხადია, ავიტაბილეს შეფასება გადაჭარბებულია, თუმცა როსტომს ირანში მყოფი ქართველების დიდი ნაწილი გამოჰყვა. ამასთან, ირანის სამხედრო კონტინგენტის ნაწილი ტყვედ გაყიდული თუ წაყვანილი კავკასიელებისგან შედგებოდა, მათ შორის ქართველებისგანაც. საგულისხმოა, რომ ჯარის მთავარსარდლად დაინიშნა როსტომ სააკაძე⁶.

სამხედრო ექსპედიციას თეიმურაზის დასჯასთან ერთად ქართლის ტახტზე მისი კანონიერი მემკვიდრის დასმა ჰქონდათ მიზნად დასახული. მიიჩნეოდა, რომ ქალის (ამ შემთხვევაში ცოლის) მხრიდან მიღებულ ტახტს თეიმურაზი არაკანონიერად ფლობდა და ქართლი გადაეცა როსტომ-ხანს, შაჰის ერთგულ მოხელეს, რომელმაც სეფი I-თვის გაწეული სამსახურის ჯილდოდ ქართლის ტახტი მიიღო, კახეთი კი სელიმ-ხანს გადასცეს. როსტომს შაჰის ბრძანებით ღორის, ყაზახისა და შამშადილოს ხანები მიეშველნენ თავიანთი ლაშქრით, სელიმ-ხანს – განჯის-ხანი (ბერი ეგნატაშვილი 1959: 417).

როსტომ სააკაძე და როსტომ-ხანი ყარაბაღში დაბანაკდნენ. საბრძოლველად მზადება დაიწყო თეიმურაზმაც. როსტომ-ხანმა თეიმურაზსა და თავადებს შორის განხეთქილების ჩამოგდების მიზნით როინ ფავლენიშვილს გამოატანა სომხითის მელიქის წერილი ქართველი თავადებისადმი, რომელიც თეიმურაზს საგანგებოდ ჩაუგდეს ხელში. სომხითის მელიქი ქართლის თავადებს წერდა, რომ მათი სახვეწარი არზა ირანის შაჰს მიართვა. მანაც შეიწყალა თავადების თხოვნა და ქართლის მმართველად დასვა თქვენივე მემკვიდრე როსტომიო (ფარსადან გორგიჯანიძე, 1926:32). ფარსადან გორგიჯანიძის ეს ცნობა კარგად გვიჩვენებს, რომ ქართლში თეიმურაზს სერიოზული ოპოზიცია ჰყოლია. ქართლიდან შაჰისთვის გაგზავნილ წერილებს მხოლოდ როსტომის პროვოკაციად და გამოგონილ ამბად ვერ ჩავთვლით, რადგან ამის შესახებ დონ პიეტრო ავიტაბილესაც ჰქონდა ცნობები, რომელზეც ზემოთ ვიმსჯელებთ. ოპოზიციონერი თავადების

6. როსტომ სააკაძე – შაჰ აბას I-ის კარზე დაწინაურებული ქართველი იყო, ბაგრატიანის იგივე ბაგრატ VII-ის აზნაურის – ბეჟან სააკაძის ვაჟი. იგი სხვადასხვა თანამდებობებს ფლობდა შაჰის კარზე, საბოლოოდ გახდა ირანის სპასალარი და აზერბაიჯანის ბეგლბეგი.

შესახებ ცხადია თეიმურაზმაც კარგად იცოდა. მართალია, წყაროები არ ასახელებენ ამ თავადთა ვინაობას, მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, მათ შორის პირველ რიგში, ბარათაშვილები მოიაზრებიან. ზოგადად, ბარათაშვილები პროირანული ორიენტაციის იყვნენ. როსტომამდე, ქართლში დანიშნული მაჰმადიანი მეფეების: ბაგრატ VII-სა (ბაგრატ-ხანი) და სვიმონ II-ს (სვიმონ-ხანი) დასაყრდენს, სწორედ ბარათაშვილები წარმოადგენდნენ, იმდენად, რომ მათი ძალაუფლება მხოლოდ საბარათიანოზე ვრცელდებოდა და მათ თბილისისა და საბარათიანოს მეფეებსაც კი უწოდებდნენ. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ თეიმურაზმა პირველ რიგში, მათ ერთგულებაში შეიტანა ეკვი. ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავენ, რომ როსტომის წინააღმდეგ საბრძოლველად გამზადებულმა თეიმურაზმა ბარათაშვილებს **ცოლშვილიანად** მოუწოდა (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 438; ბერი ეგნატაშვილი, 1959: 417). ფაქტიურად, ბარათაანთ ცოლ-შვილი მათი ერთგულების გარანტი და მძევლები იყვნენ თეიმურაზის კარზე⁷. ბარათაშვილთა პოზიციას სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ქართლისკენ წამოსული ყიზილბაშთა ლაშქარი, ცხადია, პირველ რიგში სომხითსა და საბარათიანოში შევიდოდა. ცოლ-შვილის მძევლად ყოფნის მიუხედავად, ბარათაშვილები მაინც როსტომს მიუვიდნენ. განრისხებულ თეიმურაზს მათი ცოლ-შვილისთვის ცხვირ-პირის დაჭრა განუზრახავს, მაგრამ ხორეშან დედოფალს შეუჩერებია (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 438; ბერი ეგნატაშვილი 1959: 417). სპარსელთა ჯარი 1633 წლის დასაწყისში შევიდა ქართლში⁸ (დონ პიეტრო ავიტაბილე, 1977: 26). როსტომს, პირველ რიგში, ვახტანგ მუხრანბატონი შეეგება. მას ქართლის სხვა თავადები მიჰყვნენ. თეიმურაზს არც კახელები დაეხმარნენ. მხოლოდ იოთამ ამილახვარი გამოცხადდა მასთან (ფარსადან გორგიჯანიძე 1926: 32). „ყველა ქართველი დიდბატონი მსუბუქი ბუმბულივით აკანკალდა, შეშინდა და თავიანთი წინაპრებისათვის სახელი რომ არ გაეტეხათ, მომავალ ახალ მეფესთან არა მხოლოდ შიკრიკი გააგზავნეს, არამედ როცა ის მოახლოვდა, თვითონ შეეგებნენ. უფრო მეტიც, უნდოდათ ხელთ გადაეცათ თვით თეიმურაზი“ (დონ პიეტრო ავიტაბილე, 1977: 26). თეიმურაზი იძულებული გახდა იმერეთში გადახიზნულიყო თავის სიძესთან (იმერთა მეფე გიორგი III-ის ვაჟს ცოლად თეიმურაზის ქალიშვილი ჰყავდა). ქართლი როსტომმა დაიკავა⁹, ხოლო კახეთი – სელიმ-ხანმა (ვახუშტი 1973: 438). ქართლში

7. გულქან ჟორჟოლიანს მოაქვს წერილი (ხეც. Hd-14654), რომელსაც როსტომ-ხანი ყაფლან ბარათაშვილს ყარაბაღიდან ამცნობდა, რომ გამოზამთრებას იქ აპირებდნენ (ჟორჟოლიანი, 1987: 39). ესეც ერთ-ერთი მტკიცებულება იქნებოდა ჩვენი არგუმენტის სასარგებლოდ, მაგრამ ამ წერილის შინაარსს ჩვენ სხვაგვარად განვიხილავთ.

8. როსტომის ქართლში გაბატონების თარიღის შესახებ ისტორიოგრაფია იხ. ჟორჟოლიანი, 1987: 38-39; გელაშვილი, 1993: 90-96.

9. ნოდარ ნაკაშიძის მოსაზრებით ირანსა და თეიმურაზს შორის ურთიერთობის მოგვარება შეიძლებოდა, რომ არა როსტომის ქართლში გამეფების სურვილი. „ირანის ინტერვენცია როსტომის დიპლომატიური ინტრიგების ნაყოფი უფრო იყო, ვიდრე თეიმურაზის პოლიტიკით გამოწვეული აქცია“ (ნაკაშიძე, 1977: 117).

შემოსვლისთანავე როსტომმა ცოლად მოიყვანა გორჯასპ აბაშიშვილის (ბარათაშვილთა განაყარი შტო) ასული ქეთევანი და მას გუღდუხტარი უწოდა (ვახუშტი 1973: 439). ეს აქტივ როსტომისა და ბარათაშვილების მოკავშირეობის დამამტკიცებელია.

მიუხედავად იმისა, რომ როსტომმა უბრძოლველად დაიკავა ქართლი, რადგან ქართლის თავდებმა ვერ გაბედეს ირანელთა უზარმაზარ ლაშქართან დაპირისპირება, მათ მოსახლეობაში შიშის დასანერგად ხალხის აწიოკებას მიჰყვეს ხელი. „გადაუწვავი, გაუძარცვავი, მოუკვლელი თუ დაუტყვევებელი არავინ დატოვეს. მხოლოდ გორი, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, მსგავს დარბევას გადაურჩა“ (დონ პიეტრო ავიტაბილე, 1977: 26). როსტომის ქართლში შემოსვლისას მისი მთავარი დასაყრდენი ყიზილბაშთა ჯარი იყო. მათ სადგომად სასწრაფოდ განაახლეს გორისა და სურამის ციხეები. ცხადია, ქვეყნის სრულ მორჩილებას ქართლის ციხეებში ჩაყენებული ყიზილბაშთა გარნიზონი უზრუნველყოფდა.

ოსმალთა სულთნის კარს ეს ფაქტი საქართველოს დაპყრობად შეუფასებია (ქათბო ჩელები, 1973: 125-126; მუსტაფა ნაიმა, 1979: 189). „ყიზილბაშთა ლაშქარი მთელს საქართველოს მოედო“ (მუსტაფა ნაიმა, 1979: 188). როგორც ჩანს, ქვეყანაში შემოსული ირანული ჯარისთვის მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში თავისი კაცის დასმა არ ყოფილა მთავარი მიზანი. მოცემულ პერიოდში მიმდინარეობდა 1632-1639 წწ. ირან-ოსმალეთის ომი¹⁰ და შაჰის კარს იგი ხელსაყრელ დროდ ჩაუთვლია, ოსმალეთს ჩაზიარებოდა დასავლეთ საქართველოზე გავლენის დამყარებაში (ქორჟოლიანი 1987: 46-47). ყოველივე ეს როსტომის პირად ინტერესებშიც შედიოდა. როსტომმა ქართლში შემოსვლისთანავე კარგად შეაფასა, თუ როგორ უნდა ჩამოეცილებინა მეტოქეები, პირველ რიგში, თეიმურაზი და პოზიციები გაემყარებინა ქართულ სივრცეში. ამისთვის საკმარისი მხოლოდ ქართლში გაბატონება არ იყო, მას ქართული სამეფო-სამთავროებიდანაც ესაჭიროებოდა მოკავშირე. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მართალია, მეფე აბაშიშვილის ასულზე დაქორწინდა, მაგრამ, ჩანს, ქეთევანი ძალიან მალე გარდაცვლილა, ამიტომ როსტომმა მეორედ დაქორწინება გადაწყვიტა ოდიშის მთავრის – ლევან დადიანის და მარიამზე. ლევან დადიანი შეუპოვრად ებრძოდა იმერეთის მეფეს. იმერეთში კი თავს თეიმურაზი აფარებდა. ცხადია, ამ ქორწინებით და ოდიშის მთავარის მოკავშირეობით როსტომი შეძლებდა თეიმურაზის განეიტრალებას, იმერეთის სამეფოს დამარცხების შემთხვევაში, მასზე გავლენის დამყარებას. ამასთან, როსტომის ლევან დადიანთან დამოყვრებით ირანი შეძლებდა ოსმალეთის მიერ ხელდებულ დასავლეთ საქართველოში მოკავშირის შექმნას (გელაშვილი, 2008: 53). ამიტომაც იყო, რომ შაჰმა ლევან დადიანს 50 000 მარჩილი გამოუგზავნა და ყოველწლიური ჯამაგირი 1000 თუმანი გაუჩინა (ფარსადან გორგიჯანიძე

10. ირან-ოსმალეთის ომი მიმდინარეობდა ორ ეტაპად. პირველი იყო 1623-1629 წწ. შაჰ აბას I-ის გარდაცვალებამდე. 1632 წელს მეორე ეტაპი დაიწყო.

1926: 33). არსებობს ცნობა, რომ ლევან დადიანმა ერთი და როსტომს მითხროვა, ხოლო მეორე – ირანის შაჰს გაუგზავნა (პაიჭაძე, 1965: 440-441; ჟორჟოლიანი, 1987: 44, 144 შენიშვნა 66). ლევან დადიანისთვის საჭირო მოკავშირე იყო ირანი, რადგან საგარეო საქმეებში ამ გზით შეძლებდა ოსმალეთის გავლენის შესუსტებას, ხოლო საშინაო მდგომარეობას როსტომ მეფის დახმარებით მოაგვარებდა. ამ მოკავშირეობის დასტურად ელჩიც გაუგზავნია ირანში, რასაც სპარსი ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერი მოწმობს (მოჰამედ თაჰერი, 1954: 385).

იმერეთის მეფე გიორგი III და თეიმურაზ I, ცხადია, ზუსტად მიხვდნენ როსტომის ქორწინების პოლიტიკურ არსს და შეეცადნენ მის ჩაშლას. მათ მექორწინეები არ გაუშვეს, მაგრამ ბედი ბრძოლამ გადაწყვიტა. იმერეთის მეფე და თეიმურაზი დამარცხდნენ. როსტომის მხარეს იბრძოდა ქართლ-კახეთის ლაშქარი, 30 000 ყიზილბაში, შირვანისა და ყარაბაღის ამირები, ლევან დადიანის ლაშქარი გურიელთან ერთად. ბრძოლის ეს მასშტაბები, გ. ჟორჟოლიანს აძლევს შემდეგი დასკვნის საფუძველს: „ეს „დინასტიური ქორწინება“ და მისი პრაქტიკული განხორციელება ფართო მასშტაბის სამხედრო და პოლიტიკურ ღონისძიებებთან იყო დაკავშირებული. მის მთავარ მიზანს თეიმურაზისა და იმერეთის მეფის კავშირის დარღვევა, ლევან დადიანთან, ქაიხოსრო გურიელთან ერთად იმერეთის დაპყრობა და აღმოსავლეთ საქართველოსთან მისი გაერთიანება შეადგენდა“ (ჟორჟოლიანი 1987: 47). სულთნის კარზე ეს დადიანის განდგომად მიიჩნიეს. „დადიანი და გურიელი გაერთიანდნენ. რადგან ცხადი გახდა, რომ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე გონიოსა და ტრაპიზონის საზღვრების მხარეს დადიანისა და გურიელის მეშვეობით შეიძლებოდა ზარალი მიყენებოდათ, ჩილდირის ბეგლარ-ბეგმა სეფერ-ფაშამ აცნობა [ოსმალეთის ხელისუფლებას], რომ საჭიროა ხმელეთით ლაშქარი და სახელმწიფო ფლოტი მოვიდეს იმ მხარის დასაცავად და დადიანისა და გურიელის ქვეყნების გასანადგურებლად. მოსაზღვრე ბეგებს ბრძანებები დაეგზავნათ, არზრუმის საზღვრის დასაცავად კვლავ ადანიის ბეგლარ-ბეგი, მთელი ყარამანიის სანჯაყებისა, სარუხანისა და კასტამონის სანჯაყების მეთაურები დაინიშნონ“ (მუსტაფა ნაიმა 1979: 190,191). ოსმალების შიში საფუძველმოკლებული არ ყოფილა. სპარსი ისტორიკოსი ისკანდერ მუნში მოგვითხრობს: „გადაწყდა, რომ ყულარაღასი როსტომ-ხანი, რომელსაც ქართლის მფლობელობა ჰქონდა მიღებული, ქართველთა ჯარით ყარაჯა-არდაჰანის, არემისა და არზრუმის საზღვრებისკენ წასულიყო და იმ ვილაიეთის მეომრებს შებრძოლებოდა. ზემოხსენებულიც **ქართველთა ჯარითა და ახალციხის ლაშქრით** ათი ათასი კაცის ოდენობით იმ მხარეს გაემართა და წუთიც არ გაუცდენია ძარცვისა და აწიოკებისაგან. იმ საზღვრის მცველმა ოსმალებმა ციხეებში შეაფარეს თავი, რადგან იმ მრავალრიცხოვან ლაშქართან შებმას ვერ ბედავდნენ. როსტომ-ხანმა იმ მხარეში დიდი სახელი მოიხვეჭა და უვნებელი და ნადავლით სავსე დაბრუნდა უკან“ (ისკანდერ მუნში, 1969:

65-67). ირან-ოსმალეთის ომის მსვლელობისას შაჰის კარი როსტომის სა-
შუალებით ცდილობდა სამხრეთ კავკასიაში პოზიციების განმტკიცებას.
ეს განსაკუთრებით აქტუალური იყო სამცხე-საათაბაგოსთან მიმართებაში
(ამაზე დაწვრილებით იხ. ქართველიშვილი თ., 2020).

1635 წელს საომარი მოქმედებები ოსმალეთმა განაახლა. სულთანი
მურად IV თვითონ ჩაუდგა ჯარს სათავეში და პირადად იღებდა მონაწი-
ლეობას ლაშქრობაში. ლაშქრობის მიზანი აღმოსავლეთ ამიერკავკასიის
ვილაიეთებისა და ერაყის დაკავება იყო. 1636 წელს მურად IV-მ დიდი
ბრძოლის შედეგად ერევანი აიღო, რამაც მას დიდი ავტორიტეტი მოუპო-
ვა. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობით, სწორედ ერევნის აღების შემდეგ განუზ-
რახავს მურადს სამცხე-საათაბაგოს საკითხი მოეგვარებინა და თავრიზში
გალაშქრებამდე ახალციხეში გაუგზავნია ჯარი. ახალციხის აღება ვეზირ
ქენან-ფაშას მოუხერხებია (იბრაჰიმ ფეჩევი, 1964: 91-92).

ცხადია, ირანი ასე მარტივად არ შეურიგდებოდა ახალციხისა და
ერევნის დაკარგვას. შაჰ სეფიმ გაზაფხულზე საპასუხო ლაშქრობა მოაწყო
ერევანზე და ქალაქი დაიბრუნა. ამ დროს უნდა დახმარებოდა ორი ზარბა-
ზნით თბილისიდან როსტომ-ხანი ერევანზე მოაღწე ყიზილბაშებს (მუს-
ტაფა ნაიმა, 1979: 212). ამასთან, ირანელთა ლაშქრობის პარალელურად
მეფე როსტომმა სამცხეში გაილაშქრა და დაარბია იქაურობა. როსტომის
ლაშქრობას სამცხეში აღწერს ფარსადან გორგიჯანიძე და ამ ყველაფერს
ათარიღებს „ქკს ტკქ“ – 1637 წლით. „აიღო ხონთქარმან ერევანი, მივი-
და თავრიზს, დაარბივა ადრეუბეჯანი და ქურთისტანის გზით დაბრუნდა.
მერვეს თვეს შასეფი ყაენი მიუხსა და მრავლის ლაშქრითა და ბრძოლით
ისრევე ერევანი აიღო და მრავალი კაცი ამოსწყდა. და ამისთანას დროს
როსტომ მეფემ საქართველოს ლაშქარი გაუძახა და სამცხე და ჯავახეთი
დაარბევინა. მრავალი ნაშოარი ქნეს. ეს ყაენს იამა და ორი ათასი თუმა-
ნი და ხალათი გაუგზავნა“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1926: 33). როსტომის
ლაშქრობა უშედეგოდ დასრულდა. ეს იყო ახალციხის აღების უკანასკნე-
ლი ცდა (ჩოჩიევი, 1957: 368).

ფარსადან გორგიჯანიძე, როგორც ვნახეთ, ლაშქრობას 1637 წლით
ათარიღებს, თუმცა შეცდომით. როსტომის მიერ ახალციხეზე მოწყობი-
ლი ლაშქრობის შესახებ მოგვითხრობს როსტომის მიერ პაპუნა ბარათ-
აშვილ-გოსტაშაბიშვილისადმი ბოძებული წყალობის წიგნი (ხეც, Hd-14601).
ტექსტში აღნიშნულია, რომ ამ ლაშქრობაში მონაწილეობა მიუღია პაპ-
უნას მამას, გოსტაშაბ ბარათაშვილს, რომელიც დაღუპულა კიდევ ბრძო-
ლაში: „მას უამსა, ოდეს მამა თქუენი **სამცხეს** დილისათვის გაგზავნეთ,
წავიდა, **ყარა მაჰმადაშვილი** და **ბევრი კაცი სხუა დაიჭირა**, თუითან ჩუენს
სამსახურზედ შეაკუდა. ჩუენც შეგიწყალეთ და გიბოძეთ, რისაც მამულის
მქონებელი მამაშენი ყოფილიყოს“ დოკუმენტი ორენოვანია, შედგენილია
ქართულად და სპარსულად. ორივე ტექსტი 1636 წლით თარიღდება, ქა-
რთული ტექსტი 25 აგვისტოთი, სპარსული – 25 აგვისტო-12 სექტემბერი.

პაპუნა გოსტაშაბიშვილ-ბარათაშვილისადმი ბოძებულ სიგელში მოხსენიებული ყარა მაჰმადაშვილი გვხვდება სხვა საბუთშიც. მართალია აქ სამცხე ნახსენები არაა, მაგრამ ტექსტის შინაარსიდან ჩანს, რომ მეფე წყალობას იძლევა ჯილდოდ მისი ბრძანების კარგად შესრულების გამო. როსტომი წყალობას აძლევს დვალთელ ხუცია ჩანთაძეს და გიორგი თეგაძეს: „მას ჟამსა, ო[დეს] დილისათვის გაგზავნეთ და **ყარა მაჰმადაშვილი** და **ცამეტი კარგი კაცი მოგუისხი[თ]** და ჩუენცა იმისად საჯილდოდ შეგიწყალოთ და ამოგიკუეთეთ საბოლოო[ოდ] კოდის პური ასრე, რომე არაოდეს არ გეთხოვოდეს არა ჩუენგან და არა სხუათა მებატონეთაგან“ (სეა 1448-1492). წინა საბუთისგან განსხვავებით, აქ უკვე დაკონკრეტებულია, რომ ყარა მაჰმადაშვილთან ერთად 13 კაცი დაუტყვევებიათ. აღნიშნული საბუთიც ორენოვანია, ქართულ-სპარსული. ქართული საბუთის ტექსტი 1636 წლის 3 აგვისტოთი თარიღდება, ხოლო სპარსული იმავე წლის 2-30 სექტემბრით. დვალთელი ჩანთაძე და თეგაძე საბარათიანოს მკვირდნი არიან. ისინი უნდა იყვნენ გოსტაშაბ ბარათაშვილის ყმები. ცხადია, ერთად მონაწილეობდნენ სამცხეზე მოწყობილ ლაშქრობაში და ყარა მაჰმადაშვილის დატყვევებაში. საბუთების გაცემის თარიღიდან გამომდინარე, ლაშქრობა ივლისის ბოლოს ან აგვისტოს პირველ რიცხვებში უნდა მომხდარიყო.

ოსმალეთისა და სპარსეთის ომი 1639 წელს ზოჰაბის ზავით დამთავრდა. ზავის თანახმად, თორი (ახლანდელი ბორჯომის მუნიციპალიტეტი) ქართლის სამეფოს შემადგენლობაში გადავიდა (ბერძენიშვილი, 1985: 55). ამის ერთგვარი მტკიცებულებაა 1644 წელს როსტომის გაცემული საბუთი სადგერის წმინდა გიორგის ეკლესიისადმი (ხეც, Qd-2880), რომლის თანახმადაც, ტაძარს სწირავს ტინისხიდელ მამიჯანას თავისი შვილებით. საბუთს აქვს გვიანდელი დამტკიცებები: 1678 წლის გიორგი XI-ის და 1710 წლის ვახტანგ VI-ის. მაშასადამე, 1644 წლიდან მოყოლებული XVIII საუკუნის 10-იან წლების ჩათვლით სადგერი ქართლის მეფის საგანმგებლოში შედიოდა. თორს ქართლის მეფეების იურისდიქციაში ვხვდებით მთელი XVIII საუკუნის მანძილზე (ბერძენიშვილი 1985: 55-62).

როსტომი, როგორც ირანის მოხელე, რეგიონში ირანის პოლიტიკის გამტარებელი იყო. მის მიერ ორგანიზებული ყოველი ღონისძიება, მით უფრო სამხედრო ოპერაციები, სეფიანთა დაკვეთით იყო შესრულებული და პასუხობდა მახლოებულ აღმოსავლეთში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას.

* * *

საისტორიო დოკუმენტები ყველაზე მეტად ქვეყნის საშინაო მდგომარეობას ასახავენ. როგორც ვნახეთ, როსტომი ყოილობაშთა ჯარის საშუალებით აგვარებდა საშინაო თუ საგარეო პრობლემებს. ჩანს სიტუაცია მაღევე არ დაწყნარებულა, პიეტრო ავიტაბილე აღნიშნავს, რომ ამ ქვეყანაში განუწყვეტელი ომები იყო, რის გამოც კათოლიკე მისიონერები მუდამ მომზადებულები იყვნენ გასაქცევად, ოთახის კარსაც კი ღიას ტოვებდნენ,

რომ სწრაფად წასვლაში ხელი არ შეშლოდათ. მოსახლეობაც თავისი ბოხნებით ციხის (გორის) ძირთან მიდიოდა და იქ იძინებდაო. საფრთხე სამეფო ოჯახსაც ემუქრებოდა. მეფემ თავისი დედოფალი თბილისთან ახლოს უშიშარ ციხეში შეაფარაო (პიეტრო ავიტაბილე, 1977: 32).

ცხადია, როსტომმა ქართლში წამოსვლამდე შეაფასა ქვეყანაში არსებული ვითარება და პოზიციების გამტკიცების სტრატეგიაც დაგეგმა. მან შაჰისგან ითხოვა ქართლში გაეყოლებინა ირანში მყოფი ქართველი დიდებულები¹¹. სწორედ მათი საშუალებით უნდა მოეკიდებინა ფეხი ქვეყანაში და მოეგვარებინა სიტუაცია დანარჩენ თავადებთან თუ მოსახლეობასთან. ირანიდან მას გამოყვენ: ბეჟან ამილახვარი, ზაალ ქსნის ერისთავი, თვალდამწვრიშვილი დავით (ბაგრატიონ-დავითიშვილი) თავისი შვილებით, ფავლენიშვილი ბახუტა, მისი განაყოფი როინი, მანაბელი თამაზ, ციციშვილი პაპუნა, თურმანიძე თურმან, იმერეთის ბოქაულოთუხუცესი ჩხეიძე თეიმურაზ, ბარათაშვილი ჰასან-ბეგ და მელიქ სადათი, სომხითის მელიქი ათაბეგი და მისი ძმები, კახი ენდრონიკაშვილი ოტია, კახაბერი, ელიზბარ სვიმონიშვილი, დემეტრე ფავლენიშვილი (ფარსადან გორგიჯანიძე, 1926: 31-32; ცხოვრება საქართველომსა, 1980: 92). ამ ჩამონათვალს დოკუმენტური წყაროები ავსებენ.

ფეოდალის სოციალურ მდგომარეობას განსაზღვრავდა მისი მამული და სახელო. ირანიდან გამოყოფილი თავადები ამ ორივე კომპონენტით უნდა უზრუნველყოფილი იყვნენ. რა თქმა უნდა, მათი დაკმაყოფილება ქართლის სხვა თავადების მამულების გაყოფის, თუ ჩამორთმევის ხარჯზე მოხდებოდა. იგივე მდგომარეობა იყო სამოხელეო თანამდებობებთან დაკავშირებით. ეს პროცესი, ყველაზე კარგად დოკუმენტურმა წყაროებმა ასახა. როსტომის პირველივე წყალობის საბუთის ადრესატები, სწორედ ეს ფეოდალები არიან. როსტომის მიერ გაცემული პირველი საბუთი 1633 წლის 23 მარტს ეკუთვნის. იგია „ბრძანება როსტომ მეფისა ბეჟან ამილახორისათვის სასარდლოს წყალობის შესახებ“ (Hd-2123). იმავე დღეს გაცემული მეორე საბუთიც ბეჟან ამილახორისადმი ბოძებული (Hd-2126). 1633 წლის 4 აპრილს გაცემულია „წყალობის წიგნი როსტომ მეფისა პაპუნა ციციშვილისადმი“ (სეა, 1450-51/79). 1633 წლის 11 აპრილი - 9 მაისს (სპარსული ტექსტის თარიღი) გაცემულია წყალობის წიგნი ჰასანბეგ ბარათაშვილისა და მისი ძმებისადმი (სეა, 1448-3267). 1633 წლის 15 აპრილს ეკუთვნის „როსტომ მეფის წყალობის წიგნი ზურაბ ყაფარაშვილისადმი“ (სეა, 1448-3255) და ა.შ. გიორგი ყორღანაშვილისადმი ბოძებულ წყალობის წიგნში როსტომი პირდაპირ მიუთითებს: რომ **„ყიზილბაშქში ბევრი გვემსახურე,**

11. ამ დროს ირანში მრავალი ქართველი წარჩინებული იყო. „ვინც კი საქართველოში რითიმე უკმაყოფილო იყო, ირანში ეძებდა სამართალს. მეტოქე-მოწინააღმდეგის წახედნას, გაკეთება-გამდიდრებას, სახელის მოხვეჭას. შაჰ-აბასი ყველას პატივით იღებდა, ჯამაგირს უჩენდა, თიულებს ურიგებდა, „წყალობას“ და სახელს არ აკლებდა. მათგან მხოლოდ გამაჰმადიანებას მოითხოვდა“ (გაბაშვილი, 1956: 354).

იმისად სამუქფოდ შეგიწყალეთ და გიბოძეთ საბარათიშვილოში დვალთა“ (სეა, 1450-16/93).

ორიოდ სიტყვით ბეჟან ამილახვრისადმი ბოძებულ საბუთებზე შეეჩერდებით. ცხადია, როსტომმა თავისი მომხრე ფეოდალი ერთგულებისთვის დააჯილდოვა და ამასთან, ზემო ქართლის სადროშო (ამილახვრები ამ სადროშოს სარდალები იყვნენ) თავისი მეომრებით დაიქვემდებარა. ბეჟანს მამული და სახელოც ერთად უბოძა. ზემო ქართლის სადროშოს როსტომი განსაკუთრებულ სტატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამილახვრები გორის მოურავებიც იყვნენ და თუ გავითვალისწინებთ, რომ როსტომმა ქართლში შემოსვლისთანავე, სწორედ გორის ციხე აღადგინა 20 დღეში, რათა იქ თავისი დასაყრდენი ყიზილბაშთა გარნიზონი ჩაეყენებინა, მივხვდებით, თუ რაოდენ დიდი იყო მეფის ინტერესი რეგიონისადმი და ცხადი გახდება, თუ რატომ დაიკავა როსტომის გაცემულ დოკუმენტებს შორის პირველი ადგილი ბეჟანისადმი ბოძებულმა საბუთმა. ამასთან, მეფემ ბეჟანი იოთამ ამილახვრის ადგილზე დაადგინა. იოთამი, როგორც უკვე აღვნიშნეთ იყო ერთადერთი თავადი, რომელიც როსტომის წინააღმდეგ საბრძოლველად გამზადებულ თეიმურაზთან მივიდა. ბეჟანი კი ირანიდან გამოყოფილ თავადებს შორის პირველია დასახელებული, სავარაუდოდ, როგორც ყველაზე ერთგული და დაახლოებული პირი.

თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როსტომისთვის სამხედრო ძალის მორჩილებას, ამაზე მეტყველებს ის მკაცრი ტონი და მუქარა, რომლითაც როსტომი სასარდლოს ყმებს მიმართავს: „**რაც კაცი სა{ა}მილახვრის დროშაზედ ყოფილიყოს, ისრევე უკლებრივ ამას მოუდევით** (ბეჟანს თ.ქ.), ნურც დიდი და ნურც ცოტა ამის ქართულიდ{ა}მ{ა}ნ ნუ გამოხვალთ. ჩუენს ბრძანებასა და სამსახურს ძალი მიეცით, **რაც კაცი დაურჩდებით, ჩუენ{ა}დ შეცოდებად მოგაითხავთ**, თავსა და ცოლისა და შვილის მეტი ვერა დაგისხნისრა, იცოდით, ზენა{ა}რ“ (ხეც, Hd-2123) და: „**როდისცა ჩუენი წიგნი და ბძ(ანება) მოგივიდეს, რარიგადცა მოგახსენოთ, იმრიგად შეიყარეთ და სადაც ჩუენი ბძანება იყოს, იქ შემოგვეყარენით. რაც კაცი დაგაკლდეს და ჩუენი ბძანება გატეხოს, რითაც სამართლით ემართლებოდეთ, გაუწყურით, გარდააკლევინეთ და ჩუენი ბრძანება და სამსახური გაათავეთ**“ (ხეც, Hd-2126). იგივე შინაარსის შემცველია საბუთი ხეც, Hd-2125. საგულისხმოა, რომ საბუთს როსტომი ამტკიცებს სამეფო ბეჭდით, რომლის ლეგენდის შინაარსი მთლიანად განსაზღვრავს მისი მმართველობის ორიენტირს: „ქ. ყაენის ფეკთა მტურერი როსტომ მეფე ვამტკიცებ“. ფორმულში ხაზგასმულია როსტომის ადგილი ირანის სახელისუფლო იერარქიაში.

ახლადგამეფებული როსტომი, ტრადიციისამებრ, ხელახლა უმტკიცებს ფეოდალურ საგვარეულოებს ძველი მამულების წყალობას და მათი განახლების სიგელებს აძლევს, რომლის ძალითაც ავტომატურად ხდება მათი მფლობელობის დამტკიცება. მაგ., დავითიშვილებისადმი მიცემულ წყალობის საბუთში არ არის ჩამოთვლილი რა მამულებს ფლობდნენ დავითიშ-

ვილები, მაგრამ იგულისხმება, რომ ამის დამადასტურებელი საბუთები თავად მათ ჰქონდათ, „ვიბოძეთ თქუენი სამკუიდრო და ნაწყალობევი მამული, რაც ამას წინათ მეფეთაგან ანუ სამკუიდრო და ანუ ნაწყალობევიად გქონებოდეს, ჩუენცა ისრევე უკლებრივ გუიბოძებია“ (ხეც, Sd-601, სპარსული ტექსტის დათარღვრებით, 1633 წლის 12 მარტი-10 მაისი). იმავე წლის 21 ივლისს როსტომის მიერ გაცემულ პირობის წიგნში მეფე საგანგებოდ აღნიშნავს, რომ დავითიშვილებს სოფ. ბრეთის კუთვნილების საბუთები ჰქონიათ (ხეც, Sd-556-ა).

მამულების ხელახალი დამტკიცების ტრადიცია როსტომმა ძალიან კარგად გამოიყენა ქართლში პოზიციების გასამტკიცებლად. მეფის წყალობას, ჩანს, ყველა ფეოდალი ვერ იღებდა და ჯილდო მხოლოდ მის ერთგულს ერგებოდა. მაგ. სოფ. ბრეთზე დავითიშვილები ავალიშვილებს ედავებოდნენ. ავალიშვილები სამცხიდან გადმოსული თავადები იყვნენ და მეფე თეიმურაზის ერთგულებით გამოირჩეოდნენ. ცნობილია, რომ თეიმურაზის იმერეთში გადასვლისას ავალიშვილებიც გადაყვნენ მას, საბოლოოდ კი თეიმურაზთან ერთად კახეთში დამკვიდრნენ. ქართლში დარჩა ავალიშვილთა ერთ-ერთი წარმომადგენელი ქაიხოსრო. როგორც ჩანს, ქაიხოსრო არ აღიარებდა როსტომის მეფობას და მიუხედავად იმისა, რომ თავის მოგვარეებს არ გაჰყვა თეიმურაზთან ერთად, ქართლში დარჩა და როსტომს ეურჩებოდა. ამ მიზეზით, როსტომი დავითიშვილებისადმი ბოძებულ საბუთში მათ პირობას აძლევს, რომ „ბრეთს სამკუიდრობით ირჩოდით და იმის წყალობას გუიჯენით და ჩუენც ამ წესით გუიბოძებია, რომე, თუ ავალიშვილი ქაიხოსრო საყმოდ არ შემოგუირიგდეს, არაოდეს არ მოგიშალოთ და არც გამოგართოთ“ (ხეც, Hd-14699, 1634 წ. პირობის წიგნი როსტომ მეფისა კოსტანდილე და ელიზბარ დავითისშვილებისადმი). მაშასადამე, მამული მხოლოდ მეფისადი „საყმოდ შერიგების“ შემთხვევაში ეძლეოდა თავადს. მამულების დამტკიცება-არდამტკიცება ყველაზე ქმედითი და ეფექტური საშუალება იყო ფეოდალის მეფისადმი დასაქვემდებარებლად. რადგან ფეოდალის კეთილდღეობა, სტატუსი, სოციალური მდგომარეობა უშუალოდ მამულების მფლობელობაზე იყო დამოკიდებული, ამიტომ როსტომმა მათი „გაერთგულების“ შესანიშნავი საშუალება გამოიყენა. ამასთან ქართლის დამხვედურ თავადებს კონკურენციას უწევდნენ ირანიდან ჩამოსული თავადები, რაც ყველაზე თვალსაჩინოდ ბექან და იოთამ ამილხვრების მაგალითზე გამოჩნდა.

მამულების საშუალებით მეფეს ყოველთვის რჩებოდა ფეოდალებზე მანიპულირების საშუალება. როსტომი მამულებს იყენებდა როგორც ჯილდოს, მაგრამ ამასთანავე, სასჯელადაც. მამულების წყალობა თუკი თავადების გადაბირების საშუალება იყო, მეფესთან დაპირისპირების შემთხვევაში, მათი ჩამორთმევით ისინი ისჯებოდნენ. ბერი ეგნატაშვილი პირდაპირ აღნიშნავს: „რომელნიცა იყვნენ როსტომ მეფის ორგულნი, რომელნიმე გაახეიბრა და რომელნიმე მამულით გაადარობა და განაძო თუსი-

სა ქუეყინიადამე“ (ბერი ეგნატაშვილი 1959: 423).

შექმნილმა ვითარებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა აღზევების მოსურნე თავადებისთვის. როსტომი უშურველად ურიგებდა სახელოებს ერთგულ დიდებულებს, რაც თავის მხრივ, წამახალისებელი უნდა გამხდარიყო ურჩთა შემოსარიგებლად. 1633 წელს ფარეშთუხუცესმა პაატა ჯავახიშვილმა მეფისგან ახალდაბის მოურავობა ითხოვა და მიიღო (ხეც, Hd-14450). პაატა როსტომის მხარეს რჩებოდა მის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყებების დროს. მოგვიანებით, მან ოლთისის (თრიალეთის) მოურავობაც მიიღო (ხეც, Hd-14662). 1634 წელს მანუჩარ მეითარმა – თბილისის მოურავობა (სეა, 1450-53/84) და ა.შ.

როსტომისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა თავადების გადაბირებას. საამისოდ მისი ერთგული ფეოდალებიც მუშაობდნენ. თავადებთან ურთიერთობის მოწესრიგებაში გაწეული ღვაწლისათვის მეფე აჯილდოვებდა კიდევ მათ. ქაიხოსრო ბარათაშვილისთვის ბოძებულ წყალობის სიგელში მეფე პირდაპირ აღნიშნავს, რომ „ჩუენი მემკუიდრე ყმა იესე ერისთავი (ქსნის თ.ქ.) შემოგუარიგეთ და თქუენის ქართულით შეკრიფეთ. და მისთ მუქაფათ შეგიწყალებთ და გიბოძეთ ვერისჭვეში სოფელი ნახშირისგორი“ (იხ. 1450-12/129).

მიუხედავად როსტომის აქტიური მეცადინეობისა, მის წინააღმდეგ არაერთი შეთქმულება და აჯანყება მოეწყო. ამ აჯანყებების უკან უმეტესად მეფე თეიმურაზი იდგა, რადგან ზოგს თეიმურაზი ერჩია ქრისტიანობისათვის. თავადთა ნაწილი ორმაგ თამაშს თამაშობდა. არაგვის ერისთავი დათუნა „არა უდებდა თავსა როსტომ მეფესა, და ესაქმებოდა ბატონს თეიმურაზს და როსტომ მეფესაც ემსახურებოდა“. როსტომმა ორგულობა არ აპატია და საბოლოოდ, დათუნა ამ დაპირისპირებას შეეწირა. იგი 1635 წ. მოკლეს როსტომის მიგზავნილმა თავადებმა: თურქისტანიშვილმა და გაბაშვილმა (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 439). ნიშანდობივია, რომ იმავე წელს როსტომმა ყმა-მამული უწყალობა ლეონ თურქისტანიშვილს (სეა, 1450-50/72) გამოჩენილი ერთგულებისა და სამსახურის სანაცვლოდ. დათუნას ნაცვლად არაგვის ერისთავი გახდა მისი ძმა ზაალი. ისიც დაუპირისპირდა როსტომს და თეიმურაზი მოიწვია იმერეთიდან. მართალია, თეიმურაზის გაბატონება ქართლში ვერ შეძლეს, მაგრამ კახეთიდან გააძევეს სელიმ-ხანი და თეიმურაზმა კახეთი დაიკავა, თუმცა როსტომის შიშით ვერ შეძლო კახეთში გაჩერება და ანანურს დადგა, საიდანაც ქართლის დაკავებას ცდილობდა. თეიმურაზის მხარეს იკავებდნენ ქსნისა და არაგვის ერისთავები. 1635 წელს იოთამ ამილახვრის, ქსნისა და არაგვის ერისთავებისა და კახელების დახმარებით თეიმურაზი არცევთან შეებრძოლა როსტომს, მაგრამ დამარცხდა. მეფეებს და მათ მომხრე ფეოდალებს შორის ბრძოლა პერმანენტულად მიმდინარეობდა, რითიც ყველაზე მეტად ქართლი ზიანდებოდა. როსტომმა ტაქტიკა შეცვალა და თავდასხმაზე გადავიდა. კახეთის წინააღმდეგ სალაშქროდ ჯარი ირანიდან ითხოვა, რაც

დაუკმაყოფილეს. ეს სიტუაცია სწორად შეაფასა თეიმურაზმა, მიხვდა, რომ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, როსტომთან და ირანთან შერიგება ითხოვა, ერთგულების ნიშნად კი თავისი ასული თინათინი მიათხოვა შაჰს. თავის მხრივ, როსტომმა ირანის შაჰთან შუამდგომლობის პირობა მიხვდა თეიმურაზს (ხეც, Hd-14433). მოგვიანებით თავადებმა როსტომს მისივე მემკვიდრედ გამოცხადებული იმერეთის მეფის გიორგი III-ის ძე, მამუკა ბატონიშვილი¹² დაუპირისპირეს და როსტომის მოკვლა მოინდომეს, თუმცა მეფე ამჯერადაც გადარჩა. ამ პერიოდში როსტომის წინააღმდეგ გამოსვლების მთელი კასკადი მოეწყო¹³. სხვადასხვა დროს ქართლის თავადებთან ერთად მეფის წინააღმდეგ აჯანყებულებს ვხედავთ იმერეთიდან ქართლში გადასულ ჩხეიძეებს. მეფის წინააღმდეგ გამოსვლებში ერთვება აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ევდემონ დიასამიძე, გიორგი გოჩაშვილი, ერისთვიშვილი ლარგველი, რევაზ ბარათაშვილი, ივანე და ზურაბ სააკაძეები. როსტომის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყებების ავტორია ნოდარ ციციშვილი. თავადებთან პერიოდული დახაგვების მიუხედავად, მეფეს ყველაზე დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ: იოთამ ამილახვარი, იესე ქსნის ერისთავი, ზაალ არაგვის ერისთავი და ნოდარ ციციშვილი. ისინი, პერიოდულად, კახეთში აფარებდნენ თავს თეიმურაზთან. ფეოდალებისთვის კახეთის ზურგის მოშლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ნარატიული წყაროები ამის შესახებ არაფერს მოგვითხრობენ, საინტერესო ცნობებს გვაწვდიან დოკუმენტური წყაროები. როგორც ჩანს, კახელი ფეოდალების გადაბირება უცდია როსტომს. 1637 წლის საბუთით იგი წყალობას აძლევს ზაქარია მაყაშვილს. მას უმტკიცებს მამამისის, ლუარსაბის მამულებს შიდა და გამოღმა კახეთში და პირაქეთა საგარეჯოს (ხეც, Hd-14481). საგულისხმოა, რომ როსტომის მიერ კახეთის საბოლოოდ დაკავების შემდეგ მან ზაქარიას ნინოწმინდელობა მიანიჭა.

როსტომი ასევე აჯილდოებდა იმ თავადებს, რომლებიც მას კახეთის დაკავებაში და თეიმურაზთან ბრძოლაში ეხმარებოდნენ. მაგ.; 1643 წელს ოთარ ტატიშვილისათვის მიცემულ სიგელში აღნიშნულია, რომ საგარეჯოში წარმოებულ ბრძოლაში ოთარმა ძმებთან ერთად თავი გამოიჩინა, რის გამოც მეფე ათარხნებს მის საყმოს კოდისპურის, ცხვრისა და ღორის საბალახე გადასახადისაგან (ხეც, Hd-14477).

კახეთისთვის წარმოებულ ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა სამხედრო ძაღას ენიჭებოდა. ზედიზედ მოწყობილი აჯანყებების გამო როს-

12. მამუკა ბატონიშვილის ქართლის ტახტის მემკვიდრედ გამოცხადებით როსტომი მიზნად ისახავდა იმერეთის აღმოსავლეთ საქართველოსთან გაერთიანებას (ქორჟოლიანი 1987: 65-66). საპირისპირო აზრი აქვს გამოთქმული ო. სოსელიას, რომელიც მიიჩვენს, რომ იმერელი მამუკა ბატონიშვილის ქართლის ტახტზე ასვლა ახალციხის საფაშოში დაიგეგმა და ქართლის ტახტის დაკავება ოსმალეთის ინტერესებში შედიოდა (სოსელია 1973: 40)

13. საკითხთან დაკავშირებული ბიბლიოგრაფია და გამოსვლათა ახლებური დათარიღება მოცემულია თ. გოგოლაძის სადისერტაციო ნაშრომში (გოგოლაძე, 2012: 35-99).

ტომმა დახმარება ირანის შაჰს სთხოვა. მანაც 1642 წელს ადამ სულთან ანდრონიკაშვილის სარდლობით, რომელიც როსტომის დისშვილი იყო, ლაშქარი გამოგზავნა. მას ახლდნენ ერევნის, შირვანის, ყარაბაღისა და აზერბაიჯანის ბეგლბეგები. მათ როსტომის მოწინააღმდეგეების განადგურება, კახეთიდან თეიმურაზის განდევნა და მის ადგილზე ადამ სულთან ანდრონიკაშვილის დასმა პქონდა დავალებული. თეიმურაზმა ამჯერადაც უკან დაიხია. როსტომს შეურიგდნენ იესე ქსნის ერისთავი და ზააღ არაგვის ერისთავი. ზააღმა თეიმურაზის შეწყალება სთხოვა როსტომს. ეს უკანასკნელიც იმ პირობით დათანხმდა, რომ ზააღი ირანში შაჰს ეახლებოდა (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 442). შაჰის კარზე წასვლა ერთგვარი პირობა იყო ურჩი ფეოდალებისთვის მეფესთან შესარიგებლად. თავის დროზე, დათუნა არაგვის ერისთავსაც ირანში წასვლა დაუდო პირობად როსტომმა (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 439). ჩნდება კითხვები, რატომ იყო სავალდებულო შაჰის კარზე წასვლა? ხელეწიფებოდა თუ არა როსტომს თავად მიეღო გადაწყვეტილება ურჩი ფეოდალების დასასჯელად? შედიოდა თუ არა, მისი, როგორც ქართლის ვალის კომპეტენციაში აჯანყებული თავადების დასჯა ან შეწყალება? ბოლო კითხვიდან რომ დავიწყეთ, არაერთი მაგალითი ვნახეთ როგორც აჯანყებული ფეოდალების დასჯისა, ისე მათი შეწყალებისა. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს, რომ როსტომს უნდოდა სხვა სახანოებზე დაძვრებოდა ქართლი შაჰს „და მისთვის წარავლენდა მუნ ყოველთა“ (ვახუშტი ბატონიშვილი 1979: 442). გამოდის, რომ შაჰის კარზე გაგზავნა როსტომის ინიციატივა ყოფილა და ემსახურებოდა ქართლის ინტეგრაციას ირანულ სივრცეში. ამ მხრივ საინტერესოა კახეთის სამეფოს შემოერთების შემდეგ, როსტომის პირობის საბუთები კახელი თავადებისადმი, სადაც პირდაპირ აღნიშნავს, რომ მათი ერთგულების შემთხვევაში, შაჰის კარზე არ გაგზავნიდა: „თუ თქვენ ჩუენთან მოხვიდეთ და არა სტყუოთ. რა, არც სიკუდილითა, არც დატყუებითა, არც გახეიბრებითა, არც ყიზილბაშ[ში] გაგზავნითა, არა გაზიანოთ რა, და რისაც [მა]შულისა და საჯელოს მქონებელნი იყუნეთ, არა მოგიშალოთ რა და არც დაგამცროთ“ (მეფე როსტომის პირობის წიგნი მერაბ ჯორჯაძისადმი, სეა, 1448-721). იგივე პირობაა დადებული ლუარსაბ მაყაშვილისათვის ბოძებულ სიგელში: „თუ მოხვიდეთ ჩუენთანა და ჩუენი ერდგული ყმა შეიქნათ, ჩუენზედ არა სტყუოთ-რა, ჩუენგან პატივისა და კარგად მოპყრობის მეტი არა დაგიმარცხდეს-რა, არც კელთ დატყერითა, არც ყაენთან გაგზავნითა და არც ტყუეობითა“ (სეც, Ad-605).

მოყვანილი მასალა მოწმობს, რომ როსტომი ნამდვილად უფლებამოსილია თავად განსაჯოს ურჩი ფეოდალთა საქმეები და შაჰის კარზე აღარ გაგზავნოს. ამასთან საგულისხმოა, რომ შაჰის კარზე გაგზავნა, შესაძლოა, მათ ტყვეობასაც გულისხმობდეს. განაჩენი შაჰს გამოაქვს და მის სურვილზეა დამოკიდებული ტყვედ დარჩება ფეოდალი თუ სამშობლოში დაბრუნების ნებას დართავენ. ცხადია, შაჰის გადაწყვეტილებაზე როსტომის

შუამდგომლობასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მაშ რატომ დადგა ზაანდ არაგვის ერისთავის შაჰის კარზე გაგზავნის საკითხი? ურჩი ფეოდალების გადასაბირებლად ვნახეთ, რომ არაერთი ნაბიჯი გადადგა როსტომმა. მათ შორის უნდა მოვიხსნათ „ფიცის წიგნებიც“. ფიცის წიგნები, ზოგადად, დამახასიათებელი იყო გვიანი შუა საუკუნეების ქართული სამყაროსთვის. დოკუმენტების ეს ტიპი, გარკვეულწილად, სამეფო ხელისუფლების დეგრადაციაზე მიგვანიშნებს, თუმცა ქართველი მეფეები აქტიურად იყენებდნენ ფეოდალთა შემოსამტკიცებლად¹⁴. მოცემულ შემთხვევაშიც მსგავსი სიგელები როსტომისთვის თავადების ერთგულების გარანტი იყო. ცნობილია, რომ როსტომის ქართლში შემოსვლისას მას ღიად იოთამ ამილახორი დაუპირისპირდა. ქართლის თავადთაგან მხოლოდ იოთამი ეახლა როსტომთან საბრძოლველად გამზადებულ თეიმურაზს: „აღარავინ მოვიდა იოთამ ამილახორის მეტი“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1926: 32). ამ მიზეზით, როსტომმა მას ჩამოართვა ამილახორობა და, როგორც ზემომოყვანილი საბუთიდან ვნახეთ, სათავადო და სასარდლო მის ძმას ბექანს გადასცა, რომელიც მეფეს ირანიდან ჩამოჰყვა. იოთამი როსტომის ოპოზიციას წარმოადგენდა და მის წინააღმდეგ არაერთხელ აჯანყდა. შერიგებისას კი მეფესა და იოთამს შორის შუამდგომლობა იოთამის დედა – თამარ ბატონიშვილი, რომელიც როსტომის ბიძის – ვახტანგის ასული იყო. მემკვიდრეები იოთამს ორმაგი პოლიტიკის გატარებაში სდებენ ბრალს: „არამედ იოთამ ჟამთა მჭურეტი, ჟამ იყვის ბატონის თეიმურაზის თანა, ჟამ როსტომის წინაშე“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 442), „იოთამ ამილახორი ხან მოუდგებოდა როსტომ მეფესა და ხან ბატონ თეიმურაზს და, სითკენაც დრო დააჰკელის, იქითკენ იყვის“ (ბერი ეგნატაშვილი, 1959: 423). მეფე თავისი მოქნილი პოლიტიკით მის გაუგებელყოფას ცდილობდა. ჩვენ შემორჩენილი გვაქვს უგნებლობის პირობის წიგნი, რომელიც მეფემ იოთამს და მის დედას, თამარ ბატონიშვილს უწყალობა. საბუთი უთარიღოა. „ასრე და ამა პირსა ზედან, თუ თქუნ ჩუენი ერდგულნი და გაუყრელნი ყმანი იყუნეთ, დღეს და დღეის უკან ვიყუნეთ თქუნთუის კარგნი და უზიანო მწყალობელნი და მოპატიენი. და თუ ამას უკან ჩუენზედ აღარა სტყუოთ-რა, არც ბედნიერს ყჩაქენს ვაქნევიოთ თქუნთუის ავი და არც ჩუენ წასაჯღენლად და ავად მოსაპყრობლად გამოვიმეტოთ. და ვინცა-ვინ თქუენი თავი შემოგუაბეზღოს, გაუკითხავად არ გაგიწყრეთ და კიდევ გაგიკითხოთ. და რასაც არ გემართლებოდქეთ, მის მეტად არ გაგიწყრეთ და არც ცუდად შეგიბეზღოთ. და რისაც მამულისა და საჯელოს მქონებელნი იყუნეთ, იმისგან არ დაგამცროთ“ (ხეც, Hd-2129).

შემორჩენილი გვაქვს იოთამისადმი ბოძებული მეორე ფიცის წიგნიც. მეფე დოკუმენტში აღნიშნავს: „ასრე რომე, დღეს და დღეის უკან ვიყო

14. ფიცის წიგნები წარმოადგენდა მეფის უფლებების დემონსტრირებასაც, თუ რისი უფლება ჰქონდა მეფეს ორგული თავადის მიმართ, ამიტომ დებდა პირობას, რომ ფეოდალის ერთგულების შემთხვევაში, ამ სადამსჯელო უფლებებს არ გამოიყენებდა.

შენთვის კარგი და მწყალობელი, რომელიც ან ბედნიერის ყვენისაგან და ან ჩუენგან უკეთ მოგიკვდებოდეს, იმისი მნდომი და მომჭირნე, და თუ შენ ჩუენზედ არა სტყუა-რა, არც შენის მამულისა და საკვლოსაგან დაგამცროთ. ამისად გათავებისა თავდებად მომიცემია ღ(მერ)თი და ყოელნი მისნი წმიდანი და ბედნიერი შაჰ-სეფი ჳელმწიფე ყვენი ... და თუ ვინმე შენი თავი შამოგვაბეზლოს, გაუკითხავად არ შეგიბეზლოთ“ (Hd-2117). აღსანიშნავია, რომ ორივე ფიცის წიგნში როსტომს საჭიროდ ჩაუთვლია ირანის შაჰის ავტორიტეტის გამოყენება. გარდა ამისა, აცხადებს, რომ შაჰის სახელით მოქმედებს, იოთამის მდგომარეობაც შაჰზეა დამოკიდებული და მისი უნებლობის გარანტიც ღმერთთან და წმინდანებთან ერთად შაჰია. დადებული პირობის მიუხედავად, იოთამი ზაალ არაგვის ერისთავთან ერთად არაერთხელ დაუპირისპირდა როსტომს. ზაალსა და მეფეს შორის დადებული ფიცის წიგნი ჩვენ არ შემოგვრჩენია, მაგრამ საფიქრებელია, რომ აუცილებლად იარსებებდა. ვინაიდან თავადები არ იცავდნენ ფიცის წიგნის პირობებს და მათი მოდრეკა წლების მანძილზე ვერ შეძლო როსტომმა, ამიტომ საჭირო გახდა ამ ფიცის წიგნების პირობის გარანტთან – ირანის შაჰთან მათი გაგზავნა. აღსანიშნავია, რომ ამის თაობაზე როსტომმა შაჰს წერილები გაუგზავნა და, რაც მთავარია, ეს წერილები საშუამდგომლო იყო, რადგან ბერი ეგნატაშვილი პირდაპირ წერს: „მისწერა ყაენთანა კაი წიგნები“ (ბერი ეგნატაშვილი, 1959: 423). ამასთან მათ წინ წაუმძღვარა სუფრაჯი, რომელიც სამასპინძლოს ახვედრებდა თავადებს. გზის პირას, სადაც ხანი და სულთანი იყო, ყველა თავისთან ეპატიუებოდა. ისპაჰანში შესულებს დიდებული დახვედრა მოუწყვეს. მათდამი თავბრუდამხვევი პატივისცემა დაწვრილებით აქვს აღწერილი ფარსადან გორგიჯანიძეს (ფარსაგან გორგიჯანიძე, 1926: 44-46). თითოეულს დღეში გაუჩინეს 7 თუმანი და 60 ლიტრა ღვინო, შაჰმა 300 თუმანი თეთრი, ფარჩა და ოქროთი შეკაზმული ბედაურები უბოძა, საქართველოში გასტუმრებისას კი 500 თუმანის თეთრი, ხალათი და ოქროთი შეკაზმული ხალათის ცხენი, 15 სოფელი ყაზმინის სიახლოვეს, ბოჰრუდი, დაუნიშნეს 50 თუმანი ჯამაგირი (ფარსაგან გორგიჯანიძე, 1926: 44-46).

ზაალ არაგვის ერისთავისა და იოთამ ამილახვრის ირანში ჩასვლის ამბავს მოჰამედ თაჰერი შემდეგნაირად აფასებს: „განდიდებულ იქნენ ფეხთა კოცნის და სამოთხის მსგავს მეჯლისში სხდომის პატივით. [თავისი] მიზნების [ისეთი] შესრულებით რომელიც მათ წადილს აღემატებოდა. მათ დიდების თავი პლანეტა სატურნამდე აიტანეს და განდიდებული იქნენ ნაირ-ნაირი საჩუქრების მიღებით და მოფერებით, და უსაზღვრო სიამოვნებით დაკმაყოფილებულებმა წასვლის ნებართვა მიიღეს და თავის სამშობლოში დაბრუნდნენ“ (მოჰამედ თაჰერი, 1954: 383).

ზაალ ერისთავი გაამაჰმადიანეს და ისე გამოისტუმრეს (ბერი ეგნატაშვილი, 1959: 424). ამასთან, თუკი ვინმე ტყვე იყო ირანში: ქართლელი, კახელი და იმერელი, – ყველას აპატიეს და თან გამოაყოლეს (ფარსადან

გორგიჯანიძე, 1926: 46). ფაქტურად, ამ დიდი შერიგებიდან ახალი ეტაპი იწყებოდა როსტომისა და თავადების ურთიერთობაში.

გამოვიდა მალალი ბრძანება მასზე, რომ ქვემოთ მოხსენიებული ს ა - ბ ა რ ა თ ი ა ნ ო ს ა დგილები: სოფელი ო ძ ი ს ი , სოფელი კ ვ ე ლ თ ა , სოფელი დ ვ ა ლ თ ა , ძველითგანვე მათი (ს ა ბ უ თ ი ს მ ი მ ლ ე ბ თ ა) კ უ თ ვ ნ ი ლ ი ნ ი ლ ი თ , ს ო ფ ე ლ ი თ ა კ ვ ი - მ თ ე ლ ი ნ ი ლ ი , ს ო ფ ე ლ ი ა ბ რ ა მ ე თ ი - მთელიწილი, სოფელი ვ ა კ ე - მთელიწილი, 5 სოფელი ტ ბ ი ს ი - მთელი წილი, სოფელი ე ნ ა გ ე თ ი - მთელი წილი, სოფელი ა ხ ა ლ დ ა ბ ა - მთელი წილი, სოფელი ა კ უ რ ი ს ი - მთელი წილი, სოფელი ლ ი ს ი - მთელი წილი ... მამულეებით, [სოფელი] ა ვ ა ზ ა - ნ ი ... რაც ძველი დროიდანვე მათ წილად ჰქონდათ; სოფელი გ ო რ ი ნ - ჯ უ კ ი , სოფელი უ კ ა ნ გ ო რ ი , რაც ძველი დროიდანვე მათი წილი 10 იყო, სოფელი ვ ა ნ ქ ი - მთელი წილი, რომელიც წინათ ... და თ ო რ ო ზ ა ს თიულად იყო დამტკიცებული, (ყველა ეს სოფელი) ჩვენ ქათმის წლის დასაწყისიდან სიდიადის საფარველს, დიდებულ ჰ ა ს ა ნ ბ ე გ ს , გ ი ო რ - გ ი ს ა და ა ს ლ ა მ ა ზ ს ჩვენ თიულად დავემტკიცეთ. ზემოთხსენებული

ადგილების გლახებმა აღნიშნული [პირები] უნდა ცნონ თავის თიულდა-
რად. თავიანთი მალუჯათი და სახელმწიფო გადასახადი [მათ] ს ა ქ ა რ თ -
ვ ე ლ ო ს დასტურლამალის თანახმად უნდა გადაუხადონ და არაფერი
შეუჩერონ (არ დააბრკოლონ) და როცა ბრძანებაზე მაღალი ბეჭდი დაის-
5 მევა, დაემორჩილონ მას. (გლახებმა) ამის შესახებ გამოცემული ბრძანება
იცოდნენ და [მისი შესრულება] თავის მოვალეობად აღიარონ.
დაინერა 1042 წლის შავვალის თვეს.

სპარსული ტექსტს უზის სარეგისტრაციო ბეჭდები: 1. ოვალური, წარ-
წერით: **معاين الضعفا** – ო, უძღურთა შემწევ; 2. კუთხოვანი, გაურკვეველი წარ-
წერით, რომლის ქვემოთაც არის სარეგისტრაციო მინაწერი: **نوشتہ شد** – დაინ-
ერა. გვერდით დასმული აქვს ორი მცირე ზომის სპარსული ბეჭედი.

9

1633 წ. მამულის წყალობის წიგნი ოსტომ მეფისა ღავით ღავითიშვილისადმი

პ ი რ ი : ხეც, Sd-601; მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 44X16,5 სმ.
შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და
სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთის თავში ტექს-
ტის ნაწილი მოხეულია, კიდები ალაგ-ალაგ დაზიანებული, შევსებულია
სარესტავრაციო ქაღალდით. საბუთი ქართულ-სპარსულია. სპარსული ტე-
ქსტის პირი შვიდ სტრიქონად ერთვის ქართულ ნაწილს.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკა (321), რაც უდრის 1633 წელს.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი : თაყაიშვილი 1909: N188, გვ. 229; ფუთურიძე 1955:
N№38, გვ. 88.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : კარის მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

[ქ. ნებთა და] შენ[ევი]თა ლ(მრ)თისა[თა, ჩუე]²ნ, პატრონმან
[რ ო ს ტ] ო მ , ესე [ხანთა]³ და ჟა]მთა გასათავებ[ლი წყ]ალობისა წიგნი
და [ს]⁴იგელი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ⁵ ჩუენთა ერდგულთა და
მრავალფერად თავდა⁶დებით ნამსახურთა ყმათა, და ვ ი თ ი შ ვ ი ლ ს
5 და ვ ი ⁷ თ ს და შვილთა თქუენთა, კ ო ს ტ ა ნ ტ ი ლ ე ს და ⁸ ე ლ ი ზ -
ბ ა რ ს , შვილთა და მამავალთა სახლისა თ⁹ქუენისათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მ¹⁰ოგუიდეგით კარსა და თქუენის მამულის წყალო|-
¹¹ბას გუიაჯენით, და ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენ¹²ება თქუენი და
შეგინყალეთ და გიბოძეთ თქ¹³უენი სამკუიდრო და ნანყალობევი მამული,
10 რაც ¹⁴ ამას წინათ მეფეთაგან ანუ სამკუიდრო და ანუ ნან¹⁵ყალობევად
გქონებოდეს. ჩუენცა ისრევე უკლ¹⁶ებრივ გუიბოძებია, მითთა, ბართა,
წყლითა, წი¹⁷სქუილითა, ველითა და ვენაწითა, შენითა და ოწე¹⁸რითა,

ყოველითურ სამკუიდროდ და საბოლოოდ¹⁹ თქუენთუინ და თქუენტა შვი-
ლთათუის გუიბოძებია.

ანე, ²⁰ გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდ²¹ გულად
სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგე²² შალოს არა ჩუენგან და არა შემდ-
გომად სხუათა²³ მეპატრონეთაგან.

5

ანე, გიბძ(ანებ)თ კარისა ჩუენისა ვექი²⁴ ლ-ვეზირნო და სხუანო მო-
საქმენო, ვინგ²⁵ ინდა-ვინ იყუენით და ანუ დღეის წალმა იქნებოდე²⁶ თ,
თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ, რარიგადაც ამა²⁷ ჩუენგან ნაწყალობევსა
ფარვანასა შიგან ენ²⁸ ეროს და ნურას მოუშლით, თუინიერ თანადგომ²⁹ ი-
სა და შენევენისაგან კიდე.

10

დაინერა ბძ[ნება] და ნიშა³⁰ ნი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკა, ჴელითა
კარისა ჩუენისა³¹ მნიგნობრის თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ უ ე ლ -
ი ს ა | ³² თ ა .

სპარსული ტექსტი:

1633 წ. 12 მარტი – 10 მაისი

هو

حكم على شد آنکه بنابر حقوق خدمت و یکجهتی از ابتدا * تخاقوی نیل | محالی که سابقا بر فعت پناه
داود بیگ اشیک آقاسی باشی متعلق بوده | بهمان قاعده در وجه مشارالیه مقرر نمودیم رعایا محالی که
از قدیم الایام بمومی الیه | نسبت داشته او را تیلدار خود دانسته مالوجهات و حقوقه دیوانی را | بدستوری
که معمول کرجستان است از عهده بیرون آمده از مخالفت | احتراز نمایند و چون حکم بمهر رسید اعتبار
کنند تحریرا فی | شهر رمضان الم[بارک] سنه ۱۰۴۲

ის (ლმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანება, რომ სიდიადის საფარველის და ვ ი თ -
ბ ე გ ეშიკალასიბაშის დამსახურებისა და ერთგულების გამო, ის ადგილე-
ბი, რომლებიც წინათ მას ეკუთვნოდა, ქათმის წლის დასაწყისიდან ხსენ-
ებულ [და ვ ი თ ბ ე გ ს] იმავე წესით ვუწყალობეთ. გლეხებმა, რომლებიც
ძველი დროიდანვე ხსენებულ [და ვ ი თ ბ ე გ ს] ეკუთვნოდნენ, ცნონ იგი
თავის თიულდარად. თავიანთი მალუჯათი და სახელმწიფო გადასახადი
გადაუხადონ მას იმ წესით, რომელიც ჩვეულებრივ საქართველოში [მო-
ქმედებს]. მოერიდონ წინააღმდეგობის განევას და როცა ბრძანება ბე-
ჭედდდასმული გახდება – დაემორჩილონ [მას].

5

32-ე სტრიქონზე ზის 1. როსტომის მცირე ზომის, ოთხკუთხედი სპარსული
ბეჭედი ლეგენდით: همت سلطان صفی شاه زمین و زمان لنتف بنده را خسرو رستم نشان داد
– „ქვეყნისა და დროის ხელმწიფემ, დიდსულოვანმა შაჰ სეფიმ წყალობა
მოიღო მის მონაზე და ხოსრო როსტომი მიწოდა.“ მის ოდნავ ზემოთ, მარ-
ჯვნივ 2. მცირე ზომის, ოვალური სპარსული სარეგისტრაციო ბეჭედი, წარ-
წერით: يا معين الضعفا – „ო, უძლურთა შემწე.“

გვიანდელი მინაწერი:

ქ. როსტომ მეფის წიგნი.

პრეზენტარი:

დავითიშვილი (თვალდამწერიშვილი) დავით – ხოსრო-მირზასთან ერთად შვილებიანად იმყოფებოდა შაჰის კარზე. ქართლში გამეფებულ როსტომს თან გამოჰყვა და მისი დიდი წყალობითაც სარგებლობდა. იყო ბოქაულთუხუცესი, ეშიკადასბაში, 1634 წლიდან ზემო ახალდაბის მოურავი, 1635 წელს გახდა დირბის მოურავი (ხეც, Sd-602).

დავითიშვილი ელიზბარ – დავითის ძე, ბოქაულთუხუცესი. ნოდარ ციციშვილის აჯანყების დროს როსტომის გვერდით იბრძოდა. ხოვლეს ბრძოლის შემდეგ დამარცხებულები „ელიზბარ ბოქაულთუხუცესის ყმებთან დაირჩინეს“ (ფარსადან გორგიჯანიძე 1925: 248). როსტომი მას დიდ ნდობას უცხადებდა და შაჰთან მოსალაპარაკებლად აგზავნიდა ხოლმე. მისი ხელით გაგზავნა შაჰთან აჯანყებული ჩხეიძეები. ამასთან, მას დაევადა სპარსეთიდან ჩამოეყვანა როსტომის ნათესავი (მისი ბიძაშვილის – თეიმურაზ მირზას ვაჟი) ლუარსაბი, როგორც ტახტის მომავალი მემკვიდრე (ფარსადან გორგიჯანიძე 1925: 248-249). ელიზბარმა ეს მისია წარმატებით შეასრულა. შაჰმა მას ხალათი უბოძა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ელიზბარის ქვეშევრდომობას სეფიანთადმი (გ. კვანტიძე, ხალათი როგორც საჩუქარი და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები აღმოსავლეთ საქართველოს ყოფაში, კადმოსი, 2016: 113-114).

დავითიშვილებისთვის ნაბოძები საბუთი წარმოადგენს ახლადგამეფებული როსტომის მიერ ფეოდალური საგვარეულოსთვის ძველი მამულების წყალობის განახლების სიგელს. ეს ზოგადი წესი იყო ყველა თავადისთვის. საინტერესოა, რომ საბუთში არ არის ჩამოთვლილი რა მამულებს ფლობდნენ დავითიშვილები, მაგრამ იგულისხმება, რომ ამის დამადასტურებელი საბუთები თავად მათ ჰქონდათ, რაც მტკიცდება იმავე წლის 21 ივლისს როსტომის მიერ გაცემული პირობის წიგნით (ხეც, შდ-556-ა). მასში აღნიშნულია, რომ დავითიშვილებს სოფ. ბრეთის კუთვნილების საბუთები ჰქონიათ.

10

1633 წ. 21 ივლისი. პირობის წიგნი როსტომ მეფისა ბოქაულთუხუცესს დავით დავითიშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Sd-556-ა; მოყვითალო ფერის ორი ქაღალდი, ზომა: 16X18 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთი ალაგ-ალაგ დაზიანებულია და შევსებულია „მიკალენტის“ სარესტავრაციო ქაღალდით.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკა (321), მკათათვის კა (21), რაც უდრის 1633 წლის 21 ივლისს.

გ ა მ ო ც ე მ ა : თაყაიშვილი 1909: №129.

ქ. ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი გიბოძ[ე]||²თ ჩუენ, მეფემან პატრონ- მან როსტომი, თქუენ, ჩი³უენთა ერდგულთა ყმათა: დავითიშვილი, ბოქაულ⁴თუხუცეს დავითს დაშენთაშვილთა, ელიზბარს დაკოს⁵ტანდილეს. ასრე რომე, ბრეთის წიგნები გქონდა და⁶ ბრეთი ავალისვილს ქაიხოსროს მივეცი და სადამ⁷დი ამ ქუეყანას იყოს, იმისთვის გუიბოძებია და რაის⁸ თავის ალაგს წავიდეს და აქ აღარ იყოს, თქუენთვის⁹ გუიბოძებია ყოვლის კაცის უცილებრად.

ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკა, მკა¹⁰თათუეს კა.

recto- verso-ზე უზის სამი სპარსული ბეჭედი.

კომენტარი:

სოფ. ბრეთს დავითიშვილები ქართლში დამკვიდრებიდანვე ფლობდნენ და შესაბამისი საბუთებიც ჰქონიათ. მეფე როსტომმა მათ განუახლა ძველი მამულების წყალობა 1633 წლის 12 მარტი –10 აპრილი (ხეც, Sd-601), თუმცა, მალე, ამავე წლის 21 ივლისს, მეფე იძულებული გამხდარა თავისივე გადაწყვეტილება შეეცვალა და ბრეთი ქაიხოსრო ავალიშვილისთვის ებოძებინა. მართალია, ჩვენ არ მოგვეპოვება დროის ამ მცირე შუალედში გაცემული სიგელი ქაიხოსრო ავალიშვილისადმი ბრეთის წყალობის შესახებ, მაგრამ ზემომოყვანილი საბუთით ჩანს ამ წყალობის გაცემის პირობები: მეფე იურიდიულად აფორმებს შეთანხმებას დავითიშვილებთან, რომ ქაიხოსროს გარდაცვალების შემდეგ (თავის ადგილზე წასვლაში შესაძლოა იგულისხმება სამცხე-საათაბაგო, ვინაიდან ავალიშვილები სამცხიდან იყვნენ გადმოსულები) ბრეთი კვლავ დავითიშვილებს დაუბრუნდებოდათ. ქაიხოსრო უმემკვიდრედ იყო დარჩენილი.

დავითიშვილების პრეტენზიები ბრეთის შესანარჩუნებლად ამით არ დასრულებულა. 1634 წელს როსტომი კონსტანტინე და ელიზბარ დავითიშვილებს აძლევს პირობის წიგნს ბრეთის მამულების შესახებ (ხეც, Hd-14699). დოკუმენტში კარგად ჩანს როსტომის არგუმენტი, თუ რა მიზეზით უბოძებია ბრეთის მამული ქაიხოსრო ავალიშვილისთვის. ავალიშვილები თეიმურაზ I-ის ერთგულებით გამოირჩეოდნენ. პირველ ეტაპზე როსტომს მათი შემორიგება უცდია, მაგრამ თუ ეს ხერხი არ გაჭრიდა, მაშინ ბრეთს დავითიშვილებს დაუბრუნებდა: „... თუ ავალიშვილი ქაიხოსრო საყმოდ არ შემოგურიგდეს, არაოდეს არ მოგიშალთ და არც გამოგართოთ.“ ეს პირობა კი განსხვავდებოდა 1633 წელს მიცემული პირობისგან, რომლის თანახმადაც, დავითიშვილები ბრეთს ქაიხოსროს გარდაცვალების შემდეგ მიიღებდნენ. როგორც ჩანს, დავითიშვილები ბრეთს მართლაც დაუყოვნებლივ დაიბრუნებდნენ, იმ შემთხვევაში, თუ ქაიხოსრო მეფეს „არ შეურიგდებოდა,“ მაგრამ აღარაფერია ნათქვამი, ვის დარჩებოდა მამული „საყმოდ შერიგების“ შემთხვევაში. საფიქრებელია, რომ ქაიხოსროს გარდაცვალების შემდეგ 1633 წლის პირობა ამოქმედდებოდა და ბრეთს დავითიშვილები კვლავ მიიღებდნენ.

1633 წ. წყალობის ბანახლების წიგნი როსტომ მეფისა
კავთისხეველ იმედა ინაძისაღმ

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Qd-1481; ყავისფერი ქაღალდი; ზომა: 29X20 სმ.; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი; გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით; საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. შექასთეს ხელით შესრულებული სპარსული ტექსტი ხუთ სტრიქონად მოთავსებულია საბუთის verso-ზე.

პ ი რ ი : სეა, 1450-32/289.

საბუთის თ ა რ ი ღ ი : ქორონიკონი ტკა (321), რაც გვაძლევს 1633 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი შერმაზან ოქრუაშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა : ფუთურიძე, 1955: №43, გვ. 99.

ქ. ნებითა და შენვენითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფემან პატრო²მან როსტომ, ესე წყალობისა წიგნი და სიგელი გ³იბოძეთ თქუენ, კ ა ვ თ ი ს ჯ ე ვ ე ლ ს , ჩუენს მეჯინიბეს ი ნ ა | ⁴ძ ე ს ი მ ე დ ა ს , შენსა ძმასა ც ი ხ { ო } ვ ე ლ ს ა და მ ა მ ი ს ი | ⁵მ ე დ ს ა , შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა, ყოველთ⁶ავე.

მას ჟამსა, ოდეს პ ე ტ რ { ა } უ ლ ი მინა თქუენი სამკუიდრო |⁷ ყოფილიყო და მოგშლოდა, ახლა კიდევ მოგუიდეგით კარსა |⁸ და იმავე პ ე ტ რ ა უ ლ ი ს მინის წყალობას დაგუიადგენით. |⁹ ჩუენ ვისმინეთ აჯა თქუენი, შეგინყალეთ და გიბოძეთ |¹⁰ მისის შესავლითა და გამოსავლითა.

გქონდეს და გიბედნ¹¹ იეროს ღ(მერ)თმან ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან.

ანე, |¹² მოგახსენებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და კ ა ვ თ ი ს ჯ ე ვ ე ს მ ო |¹³ ურაო, თქუენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩუენგან ნანყა |¹⁴ ლობევს ფარვანაშია ენეროს.

დაინერა ქ(ორო)ნ(ი)კ(ონ)სა ტკა, ჯელითა კ |¹⁵ არისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრისა – ო ქ რ უ ა შ ვ ი ლ ი ს შ ე რ მ | ²⁰ ზ ა ნ ი ს ა თ ა .

როსტომ მეფის მსხლისებრი ფორმის ბეჭედი ქართული ლეგენდით:

ქ. ყაენის ფეჭთა მტუერი როსტომ მეფე ვამტკიცებ.

სპარსული ტექსტი:

1633 წ. 9 ივნისი – 7 ივლისი

حکم عالی شد آنکه از ابتدا تخاقوی نیل اراضی مذکور ضمن را | به مهتر امیده شفقت نمودیم که
زراعت نموده وجه معاش او بوده باشد | احدی مزاحمت بحال مشارالیه نرسانند و درین باب قدغن
دانسته در عهده دانند | تحریرا فی شهر ذی الحجه الحرام سنه ۱۰۴۲

გამოვიდა მაღალი ბრძანება, მასზედ, რომ [სიგელის] ტექსტში მოხსენიებული მიწები ქათმის წლის დასაწყისიდან ჩვენ ვუნყალობეთ მეჯინიბე ი მ ე დ ა ს , რათა დაამუშავებს რა მათ, [ეს მიწები] მის (ი მ ე დ ა ს) საცხოვრებელ სახსრად იქცეს. ზემოთ მოხსენიებული პირი არავინ შეანუხოს. ამის შესახებ [გამოცემული] ბრძანება იცოდნენ და [მისი შესრულება] თავის ვალდებულებად აღიარონ. დაინერა 1042 წლის ზიჰიჯას თვეში. 5

სპარსული სარეგისტრაციო ბეჭდები: ლეგენდებით:

1. يا معين الضعفا – ო, უძლურთა შემწე! 2. قلمى شد – დაინერა.

12

1633 წ. წყალობის ბანახლების წიგნი ოსტომ მეფისა ქაიხოსრო მაჩაბლისაჲმ

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Qd-8924; ყავისფერი ქაღალდი; ზომა: 29X20 სმ.; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი; დაზიანება: საბუთი ადგილ-ადგილ ამოხეულია და გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

საბუთის თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკა (321), რაც გვაძლევს 1633 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთუელ თუმანიშვილი.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფემან |² პატრონ-მან როსტომ, ესე უკუნისამდე ჟამთა გასათ|³ავებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგიწყა|⁴ლეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთ და მრავა|⁵ლფერად თავდადებით ნამსახურსა ყმასა, მ ა ჩ ა ბ ე ლ ს |⁶ ქ ა ი ხ ო ს რ ო ს და შენთა შვილთა: თ ა მ ა ზ ს , ლ ო მ კ ა ც ს ა და ბ { ა } |⁷ ა დ უ რ ს , შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენის|⁸ათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარ|⁹სა და ამოვარდნილის თქუენის ნათესავის, ს უ ლ ა |¹⁰ რ ყ ა ზ ა ნ ი ს კერძს მამულს გუიაჯენით, და ჩუენცა ვისმინე|¹¹თ აჯა და მოხსენება თქუენი და შეგიწყალებით და |¹² გიბოძეთ გ ა რ ე ჯ უ ა რ ს ს უ ლ ა რ ყ ა ზ ა ნ ი ს ნაქონი მამული, |¹³ თ ა მ ა რ ა შ - ე ნ ს აზნაურიშვილი ლ უ ლ უ ნ ა ს შ ვ ი ლ ი , ქ ე |¹⁴ ბ ა ძ ე გ უ ლ ი ტ ა , ბ ა ბ უ ც ი ძ ე , კ ო ბ ა ხ ი ძ ე ხუცესი და გამს { ა } ხ უ რ |¹⁵ და , – ესენი მართლის სამართლიანის საქმითა და სამძ|¹⁶ღურითა, მითთა, ბარითა, წყლითა, წისქულითა, ვე|¹⁷ლითა და ვენაჭითა, საწნავითა და უწნავითა, საჭმრითა და უ|¹⁸ჭმრითა, საძებრითა და უძებრითა, ყოვლითურ სამკუიდროდ |¹⁹ და საბოლოო { ო } დ თქუენთუინ და თქუენთა შვილთათუის გუიბ|²⁰ოძებია.

ასრე რომე, სულკურთხეულის ბატონის ბიძი|²¹ს ჩუენის მეფის ს უ ი - მ ო ნ ი ს წიგნიცა გქონდა და ჩუე|²²ნცა დაგიმტკიცეთ და მოგიბოძეთ ყოვლის კაცისაგან უ|²³ცილებრად.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ე|²⁴რდგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგემა|²⁵ლოს არა ჩუენგან და არა შემდგომად სხუათა მეპატ|²⁶რონეთაგან.

ანე, გიბ(რძანე)ბთ კარისა [ჩუენისა ვე]ქილ-ვეზი|²⁷რნო, მდივან(ნ)ო და სხუანო მოსაქმენო, ვინცა-|²⁸ვინ იყუნეთ და ანუ დღეის წაღმა იქნებოდეთ, თქუ|²⁹ენცა ასრე გაუთავეთ და ნურას მოუშლით და შე{ე}ცილებ|³⁰ით თანადგომისა და შენევისაგან კიდე.

|³¹დაინერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკა, ჴელ-ითა კა|³²რისა ჩუენისა მნიგნობრისა – თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ - თ უ ე |³³ლ ი ს ა თ ა .

უზის როსტომის მცირე ზომის, ოთხკუთხედი სპარსული ბეჭედი ლეგენდით: *همت سلطان صفی شاه زمین و زمان آفت بنده را خسرو رستم نشان داد* – „ქვეყნისა და დროის ხელმწიფემ, დიდსულოვანმა შაჰ სეფიმ წყალობა მოიღო მის მონაზე და ხოსროს როსტომი მიწოდა.“

კომენტარი:

მაჩაბლები – შიდა ქართლის ერთ-ერთი სათავადოს – სამაჩაბლოს თავადები. მათი წინაპარი საგვარეულო იყო თავხელიძე. გვარის წარმომავლობა სოფ. აჩაბეთის მფლობელობას უკავშირდება. მათი აღზევება XV საუკუნიდან იწყება, რასაც სამეფო ხელისუფლების ერთგულების ხარჯზე აღწევენ. ისინი ფლობდნენ სახლთუხუცესის სახელოს. მაჩაბლები მამულებს ფლობდნენ მდ. ღიახვის ხეობაში. მათ ეკუთვნოდათ: აჩაბეთი, თამარაშენი, თირი, ლელი, საბაწმინდა, სვერი, ფრისი, ქემერტი, ქურთა, ძარი, ძარწემი, ხეითი, მუგუთი, ჯავა, გარეჯვარი, დიცი, ვარიანი, ხემო თხვისი, ქვემო ნიქოზი, ყმები ქ. ცხინვალში. მაჩაბელთა გვარის განაყოფები არიან: ზაალიშვილები, რევაზიშვილები, გიორგიშვილები, ბორტიშვილები. მაჩაბელთა საგვარეულო სამარხი XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე იყო თირის მონასტერი. შემდეგ თირი თავთაქიძეებს გადაეცათ, ხოლო მაჩაბლების საძვალე საბაწმინდა გახდა.

ქაიხოსრო მაჩაბელი – შიდა ქართლის თავადი. მაჩაბლებმა როსტომს ქართლში გამეფებისთანავე დაუჭირეს მხარი (თამაზ მაჩაბელი მას ირანიდან ჩამოჰყვა). ცხადია, ამ ერთგულებით აიხსნება, რომ უკვე 1633 წელს (როსტომის ქართლში გამეფება) მეფემ ქაიხოსროს უწყალობა მისი ამოვარდნილი ნათესავის მამულები. მეფისადმი მაჩაბლების ერთგულებაზე უნდა მეტყველებდეს ის ფაქტიც, რომ იორამ სააკაძესა და მაჩაბლებს შორის არსებული სამამულე დავის დროს როსტომმა უპირატესობა იორამს არ მიანიჭა, მიუხედავად იმისა, რომ იორამი მისი აღზევებული იყო და დავა სამართლიანად გადაწყვიტა (ოთხმეზური, 1999: 99). მაჩაბლებს ყმა-მამული როსტომის მეუღლე მარიამ დედოფალმაც უწყალობა ცხინვალში. ვინაიდან ცხინვალი სამეფო ქალაქს წარმოადგენდა, აქ ყმა-მამულის მიღება მაჩაბლების განსაკუთრებულ დამსახურებას უსვამს ხაზს. ქაიხოსრო მაჩაბელს მხოლოდ უმე-

კვიდრეოდ დარჩენილი სულარყაზანის მამულები არ მიუღია, იგი სხვა სახლიკაცების მამულების დაუფლებასაც ცდილობდა. მან ისარგებლა თავისი განაყოფის, ქვაბულის, მცირეწლოვანებით და თამარაშენსა და დელში მისი მამულებიც მიითვისა. 1644 წელს როსტომმა ეს ყმა-მამუ-ლი ქვაბულს დაუბრუნა.

13

1633 წ. როსტომ მეფის წყალობის სიბედი ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Hd-14651; ღია ყავისფერი ქაღალდი, ზომა: 39,2X19; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული, სპარსული ტექსტი, შექასთეს ხელით შესრულებული ექვს სტრიქონად, მოთავსებულია საბუთის verso-ზე.

საბუთის თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკა (321), რაც 1633 წელს გვაძლევს.

პ ი რ ი : სეა, 1450-32/348.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მერაბ ყორღანაშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი : თაყაიშვილი, 1899: №415, გვ. 481-482; ფუთურძე. 1955: გვ. 100-102; გოგოლაძე, 2016/2017: გვ. 114.

ქ. ნებითა და შენეენითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფემან ჰატრონმან |² როსტომ, ესე წყალობისა ნიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბო|³ძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა და მარვალფერად თავდად|⁴ებით ნამსახურსა ყმასა, ბ ა რ ა თ ა შ უ ი ლ ს სახლთუხუცეს ქ ა ი ხ ო |⁵ს როს, შუილთა თქუენთა გ უ გ უ ნ ა ს ა და ბ ა რ ა თ ა ს ა , მომავალთა |⁶ სახლისა თქუენისათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგი|⁷თ კარსა და ა ლ ი ყ უ ლ ი ბ ე - გ ი ს ნ ა ქ ო ნ ს აზნ{ა}ურიშუილს ჩ ა |⁸ჩ ი კ ა შ უ ი ლ ს ა ს ი ტ { ა } ს გუიაჯენით, ჩუენცა ვისმინეთ აჯა და |⁹ მოხსენება თქუენი და შეგიწყალეთ და გიბოძეთ დღეს ჩ ა რ ი |¹⁰კ ა შ უ ი ლ ი ა ს ი ტ ა და მისნი ძმანი, რის{ა}ც მამულის მქონ|¹¹ებელნი იყუნენ, უკლებრივა წყალითა, ნისქუილითა, ველი|¹²თა და ვენაჯით, მათის სოფლებითა, საძებრითა და უძებრითა, ნას|¹³ყიდითა და უსყიდითა, ყოვლის მისის სამართლიანის მამულითა |¹⁴ და სამძღურითა თქუენთუის და თქუენთა შუილთა|¹⁵თუის გუიბოძებია.

ანე,უზედესთა მოგახსენებთ და უქვედესთა |¹⁶ გ(ი)ბ(რძანე)ბთ კარი-სა ჩუენის ვექილ-ვეზირნო, დღეს, ვინგინდა-ვინ იყ|¹⁷ვნეთ და ანუ დღეის ნალმა ვინგინდა-ვინ იქნებოდეთ, მერმე, |¹⁸ ესე ჩუენგან ნაწყალობევი სიგელი თქუენცა ასრე გაუთავე|¹⁹თ. რომე, რარიგად{ა}ც ამა ჩუენგან ნაწყალობევს ფარვან{ა}ში ენე|²⁰როს, ნუოდეს ნუ შეუშლით და შე{ე}ცილებით, თანდად|²¹გომისა და შენეენისგან კიდე.

დაინწერა ბრძანება და ნიშანი ესე |²² ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკა, ჴელითა:.
ყ ო რ ღ ა ნ ა შ უ ი ლ ი ს მ ე რ { ა } ბ ი ს { ა } თ ა .

მინანერი საბუთის verso-ზე: ჩ ა ჩ ი კ ა ს შ ვ ი ლ ი ს წყალობის ნიგნი.

სპარსული ტექსტი:

1633 წ. 5 სექტემბერი – 4 ოქტომბერი

هو

حكم عالی شد آنکه بنا بر توجه عالی در بارهٔ رفعت پناه کیخسرو بیگ براتبوا از ابتدا ششماهه تخاقوی
نیل اسلمس و بابونه چچاكا اغلی را به تبول رفعت پناه مشارالیه مقرر فرمودیم رفعت پناه مشارالیه
را تیولداریه باستقلال خود دانسته موافق دستور العمل گرجستان کارتیل مالوجهات و وجوهات و حقوق
دیوانی خود را بدو رسانیده بخلاف حساب موقوف ندارند مستوفی سرکار عالی حکم [را دیده]. قریب
نموده هر ساله حکم مجدد طلب ننمایند درین باب قدغن دانسته از فرموده تخلف نورزند و چون نشان
بمهر عالی رسد اعتماد نمایند تحریرا ۲۸ شهر ربیع الاول سنه ۱۰۴۳

[ის (ლმერთი)]

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ სიდიადის თავშესაფარის,
ქ ა ი ხ ო ს რ ო ბ ე გ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს მიმართ მაღალი ყურადღე-
ბის [მიპყრობის] გამო, ჩვენ, ქათმის წლის ექვსთვეობის დასაწყისიდან,
სხენებულ სიდიადის საფარველს თიულად დაჯუმტვიცეთ ა ს ღ ა მ ა ზ
5 და პ ა პ უ ნ ა ჩ ა ჩ ი კ ა შ ვ ი ლ ე ბ ი . იცნობენ რა სხენებულ სიდიადის
საფარველს (ქაიხოსრო-ბეგ ბარათაშვილს) თავის სრულუფლებიან თი-
ულდარად, [ისინი] ქ ა რ თ ლ ი ს გურჯისტანის დასტურლამალის მიხედ-
ვით, მას გადასცემენ თვის მალუჯათს, გამოსაღებებსა და სახელმწიფო
გადასახადს, და არ დაუჭერენ წესის წინააღმდეგ. მაღალი კარის მუსტოუ-
ფი, [ჩანერს] რა ამ ბრძანებას, ახალ ბრძანებას ყოველ წელს ნუ მოითხო-
10 ვს. ამის შესახებ [გამოცემული] ბრძანება იცოდნენ, წინააღმდეგობა არ
გაუწიონ და, როდესაც [ეს] სიგელი მაღალი ბეჭდით აღიჭურვება, დაემორ-
ჩილონ მას. დაინწერა 1043 წლის 28 რაბი ალ-აველის თვეში.

უზის როსტომის მცირე ზომის, ოთხკუთხა სპარსული ბეჭედი ლეგენდით:
همت سلطان صفی شاه زمین و زمان لتف بنده را خسرو رستم نشان داد
ხელმწიფემ, დიდსულოვანმა შაჰ სეფიმ წყალობა მოიღო მის მონაზე და ხოს-
რო-როსტომი მიწოდა.“

კომენტარი:

ქაიხოსრო ბარათაშვილ-აბაშიშვილი – საბარათიანოს თავკაცი XVII
საუკუნის I ნახევარში. ტიპიური მედროვე. ძირითადად, პროირანუ-
ლი ორიენტაციის მატარებელი. იყო მეწინავე სადროშოს სარდალი.
ფლობდა მეკობრისმძებნელის სახელოს. შაჰ აბასისგან ჰქონდა ნაბო-
ძები ქართლის ვეჟილობა და დედოფლის სახლთუხუცესობა. სარგე-
ბლობდა ირანში დაწინაურებული როსტომ სააკაძის მფარველობით.

მისი კარიერული წინსვლა ქართლში სვიმონ-ხანის მეფობის პერიოდს უკავშირდება. ქართლის მუსლიმი მეფეებისთვის (ბაგრატ-ხანი, სვიმონ-ხანი) ბარათაშვილები წარმოადგენდნენ მთავარ დასაყრდენ ძალას. ქაიხოსრო პერიოდულად „დალატობდა“ თავის პოლიტიკურ კურსს და, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, გამარჯვებულის მხარეს იჭერდა, რაშიც არაჩვეულებრივი ადლო ეხმარებოდა. მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების დროს ქაიხოსრო გიორგი სააკაძის მხარეს ჩანს, თუმცა 1626 წელს უკვე ირანის ხელისუფლებასთანაა შერიგებული. ამიტომ უარს ეუბნება მოურავს მოკავშირეობაზე. მიუხედავად ამისა, გიორგი სააკაძემ ბირთვისის ციხეში ჩაყენებული ყიზილბაშთა გარნიზონის წინააღმდეგ გაილაშქრა და 500 მეციხოვნე ამოწვეტა, რაშიც მოგვიანებით, ქაიხოსრო დაადანაშაულებს. 1629 წელს ქაიხოსროს თეიმურაზის ბანაკში ვხვდავთ.

ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, როდესაც თეიმურაზ I-მა გაიგო როსტომის ქართლში მეფედ დანიშვნის ამბავი, ბარათაშვილები ცოლ-შვილიანად თავისთან დაიბარა. როსტომის ქართლში შემოსვლისთანავე ბარათაშვილებმა დატოვეს ცოლ-შვილი და როსტომს მიუვიდნენ ერთგულების დასამტკიცებლად. განრისხებულმა თეიმურაზმა განიზრახა ცხვირ-პირი დაეჭრა ბარათიანთა ცოლ-შვილისთვის, მაგრამ ხორეშან დედოფალმა არ დაანება (ბერი ეგნატაშვილი, 1959: 417, ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 438).

ქართლში გამეფებულ როსტომს ქაიხოსრო დაეხმარა ფეოდალებთან ურთიერთობების მოწესრიგებაში. მისი უშუალო მცდელობით შერიგებია იესე ქსნის ერისთავი როსტომს (იხ. სეა, 1450-12/129).

1635 წელს, ქაიხოსრო მონაწილეობს თეიმურაზ I-ის წინააღმდეგ სურამთან გამართულ ბრძოლაში და თავის გამოჩენისთვის შაჰ სეფი I-ისაგან ჯილდოს იღებს (ხუბუა, 1949: 4-08), (იხ. დოკუმენტური წყაროები..., 2019: 157-158).

ქაიხოსროს ორმაგი პოლიტიკა მიუღებელი აღმოჩნდა როსტომისთვის და იგი სიკვდილით დაასჯევინა. სიკვდილით დასჯის მიზეზსა და თარიღზე სხვადასხვა ცნობას გვაწვდიან წყაროები, განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული სამეცნიერო ლიტერატურაშიც (სრულად წყაროებისა და ლიტერატურის შესახებ იხ. გოგოლაძე, 2012: 26-99). ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ქაიხოსროს სიკვდილით დასჯის მიზეზი გამხდარა 500 ყიზილბაში მეციხოვნის დახოცვა გიორგი სააკაძის მიერ. 1636 წელს „კუალად როსტომ მოიჭსენა შური ყიზილბაშთათვის, რომელი მოსწყვდნა მოურავმან ბირთვს და შეიპყრა ქაიხოსრო ბარათაშვილი სისხლთა მათათვის და გარდამოადგო ციხიდამ განჯის კარისაკენ მადლის გოდოლიდამ“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: გვ. 440), თუმცა 1636 წელს, თითქმის 10 წლის წინანდელი ცოდვების გახსენება და მხოლოდ ამის გამო სიკვდილით დასჯა ცოტა ალოგიკურია. ფარსადან გორგიჯანიძის თანახმად, ქაიხოსრო მონაწილეობდა როსტომის წინააღმდეგ ნოდარ ციციშვილის მიერ მოწყობილ შეთქმულე-

ბაში. შეთქმულებსა და როსტომს შორის ხოვლესთან მომხდარი ბრძოლის შემდეგ მეფის ბრძანებით „გორიდამენ ქალაქს ჩაფარი გაგზავნეს და ქაიხოსრო ბარათაშვილი, დედოფლის სახლთუხუცესი, დაიჭირეს და ციხეში აიყვანეს და ღამით კოშკიდან გარდმოადგეს და თქვეს – დამთვრალა და თვითან გარდმოვარდნილაო. და მისი შვილები დააჭირვინეს და გორის ციხეში დაატყვევეს. და მისი სიძე, ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილი, ბაგრატიანი იყო და ბატონობაც უნდოდა, ის გარდაიხვეწა“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 248). წყაროს ცნობებიდან ცხადი ხდება, რომ ქაიხოსროს შეთქმულებაში ჩართვის მიზანი იყო მისი სიძის – ბახუტა ჰუსეინ ბეგისშვილის გამეფება (ჯამბურია, 1955: 27-28). ნოდარ ციციშვილის გამოსვლა 1642 წელს მოხდა, შესაბამისად, ქაიხოსროც ამ წელს დასაჯეს სიკვდილით. ამას ცხადყოფს ქაიხოსროს ეპიტაფიაც პირდებულის მონასტერში: „წ. ესე არს სამკვიდრებელი ჩემი, რამეთუ მთნავს და ამას შინა მდებარე არს გვაში დიდისა აბაშიშვილისი, ავთანდილის ძის ქაიხოსროსი, ვინც აღმოიკითხვიდეთ, შენდობას უბძანებდეთ. ქორონიკოსნა ტლ“ (ჯოჯუა, 2005: 195). ამ ამბებთან დაკავშირებით, საინტერესოა 1642 წლის 2 დეკემბერს გაცემული როსტომ მეფის წყალობის სიგელი ხოსია ბარათაშვილისადმი (ხეც. Ad-1138), რომლის მიხედვით, ნოდარ ციციშვილის აჯანყება ახალი მოხდარია. სწორედ ამ დროს გამოჩენილი ერთგულებისთვის აჯილდოვებს მეფე ხოსიას ქაიხოსრო ბარათაშვილისეული მამულით (გოგოლაძე, 2012: 28-35; 78-80, გოგოლაძე, 2010/11: 130-131).

14

1633 წ. 25 დეკემბერი. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი

პ ი რ ი : სეა, 1450-12/129, გადაწერილი დედნიდან რუსული მმართველობის პირების დავთარში. ქართულ-სპარსული. სპარსული ტექსტი, ნასთალიყის ხელით, ხუთ სტრიქონად, ერთვის ქართულ პირს.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკა (321), ქრისტესშობისთვის ოცდახუთ დეკემბერს, რაც უდრის 1633 წლის 25 დეკემბერს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივანი მერაბ ყორღანაშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა : ფუთურიძე, 1955, 47, გვ. 106-108; გოგოლაძე, 2016/2017, გვ. 115.

[ქ. ნებითა და] შენენითა ღ(მრ)თისათა, ჩუვენ, მეფეთ-მეფემან, პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთა დედოფალმან, პატრონმან მ ა რ ი ა მ , ესე ამიერთ უკუნისამდე ჟამთა და ხანთა სამკვდროთ და [სა]ბოლოვოთ გას[ა]თ[ა]ვებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუვენ, ჩუენსა ერდგულსა და მრავალ-

ფერად ერდგულებით და თავდადებით ნამსჯა ხურსა ყმასა, სახლთუხუცეს ბართა შვილი ქახოსროს და შვილთა თქუენთა: გუგუნასა, ნიკილოზს და ბართასა, მომავალთა სჯახლისა თქუენისათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და მამულის წყალობას დაგუიაჯენით, და ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, და მოკითხული ვქენით და სოფელი ნახშირი სგორის ჴევში თავითგან თქუენი სამკუიდრო მამული ყოფილიყო, და მერმე, ჩუენი მემკუიდრე ყმა იესე ერისთავი შემოგუარიგეთ და თქუენის ქართულით შეკრიფეთ. და მისთ მუქაფათ შეგინყალეთ და გიბოძეთ ვერისჯევში სოფელი ნახშირი სგორი – ქვემოთი უბჯანი და ზემოთი უბანი, ვიდრე მითთ ბარჯამდეს უნაკლულოთ, წყალითა, წისქულითა, ველითა და ვენახითა, სჯახნავითა და უხნჯავითა, შენითა და ოჯრითა, და უსყიდითა, ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა და სამზღლურითა, უნაკლულოთ.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან ჩუენსა ერდგულათ სამსახურსა შიგან, აროდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არცა შემდგომათა სხუათა მეფეთა და მეპატრონეთაგანა.

ანე, მოგახსენებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და მდივანო, და ვინგინდა-ვინ იყოთ და ანუ დღევის წაღმა ვინგინდა-ვინ იქნებოდეთ, მერმე, ესე ჩუენგან ნჯაბოძები მამულის სიგელი თქვენცა ასრე დაუმკვიდრეთ და დაუმტკიცეთ, რომე, რარიგადაც ამა ჩუენგან ნჯაწყალობევს ფარვანში ენეროს, ნუ ოდეს ნუ მოუშლით და შექეცილებით, თვნჯიერ თანადგომისა და შეწვენისაგან კიდე.

დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკა, ქრისტესქობის თუვესა ოცდახუთსა, ჴელითა მდივან-მწიგნობრისა ყოროლანჯა შვილის მერაბისათა.

დედანს ჴქონია ხელრთვები: როსტომ, მარია

სპარსული ტექსტი:

1636 წ. (?) 10 იანვარი – 7 თებერვალი

حكم عالی شد آنکه بنابر شفقت عالی در باره رفعت پناه عزت دستکاه کیخسرو بیگ براتلو و براته ولد مشارالیه | از ابتدا سه ماه تنگوز نیل قریه نقشیرگوری ... قبل از این از ابا و اجداد مشارالیه بوده و مدتی نیز در تصرف ... ترکستان اعلی بوده بدستور تیول رفعت پناه مومی الیه و براتله ولد او مقرر فرمودیم رعایای قریه مذکور حسب المسطور مقرر دانسته مالوجهات و حقوق دیوانی را موافق دستور العمل گرجستان اصل و عاید سازند | در بین باب قدغن دانسته در عهده شناسند تحریرا فی شهر شعبان المعظم سنه ۱۰۴۲

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ დიდებული ქახოსრო-ბეგ ბართა შვილისა და მისი შვილის, ბართასადმი მაღალი ყურადღების გამო, ჩვენ, ღორის წლის სამთვეობის დასაწყისიდან წესისამებრ, სოფელი ნახშირი სგორა ..., რომელიც წინათ ხსენ-

5 ებულის [ქ ა ი ხ ო ს რ ო - ბ ე გ ი ს] წინაპრების იყო, და ერთ ხანს ასევე ... თ უ რ ქ ე ს ტ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს მფლობელობაში იყო, სიდიადის თავ-შესაფარს [ქ ა ი ხ ო ს რ ო - ბ ე გ ს] და მის შვილს ბ ა რ ა თ ა ს თიულად დაფუძკიცეთ. ხსენებული სოფლის გლეხებმა დაწერილის თანახმად [ეს] დამტკიცებულად უნდა ცნონ. [და] საქართველოს დასტურლამალის თანახმად, [ქ ა ი ხ ო ს რ ო - ბ ე გ ს] [თავიანთი] მალუჯათი [უნდა] გადასცენ და სახელმწიფო გადასახადი გადაუხადონ. ამის შესახებ [გამოცემული] ბრძანება იცოდნენ და [მისი შესრულება] სავალდებულოდ აღიარონ. დაინერა 1[0]45 წლის დიდებული შაბანის თვეს.

კომენტარი იხ. Hd-14651-სთან.

15

1633 წ. ახალდაბის მოურავობის წყალობის წიბნი როსტომ მეფისა შარეშთუხუცესს პაატა ჯავახიშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Hd-14450, მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 43,5X19,1 სმ; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთის ხილვადობა მკაფიოა; ტექსტი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. შვიდსტრიქონიანი პარსული ტექსტი, შესრულებული შექასთეს ხელით, მოთავსებულია საბუთის verso-ზე.

საბუთის თ ა რ ი ღ ი : საბუთს უზის თარიღი ქორონიკონი ტკა (321), რაც 1633 წელს გვაძლევს.

გ ა მ ო ც ე მ ა : ფუთურიძე, 1955: №46, გვ. 104-106.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმ(რ)თის(ა)თა, ჩუენ, ჳელმწიფემა{ნ}, |² მეფემან პატრონმან როსტომ, ესე უკუნისამდი ჟამთა |³ გასათავებელი წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინყა|⁴ლეთ, გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა და თავდა|⁵ქებით მრავალფერად ნამსახურთა ყმათა, ფარეშთუხუც|⁶ეს, ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს პ ა ჯ ა ტ ა ს ა , ძმასა შენსა ქ ა ი ხ ო ს რ ო ს და |⁷ შვილსა შენსა ზ უ რ ა ბ ს , მამავალთა ყოველთავე სახლისა თქუენ|⁸ისათა.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგითა კარსა და ა ხ ა ლ დ |⁹ ა ბ ი ს მოურა{ო} ბას დაგუიჯენით, ჩუენცა ვისმინეთ აჯა და |¹⁰ მოხსენება თქუენი, შეგინყალეთ და გიბოძეთ ა ხ ა ლ დ ა ბ ი ს |¹¹ მოურაობა ყოვლის მისის სამართლიანის საქ{მ}ითა. რარ{ი}|¹²გადაც ამას წინათ სხუათ მოურავს ჰქონებოდეს, თქუენტვის გუიბოძებია, რომელიც მოურავის სარგ|¹³ო ყოფილიყოს, შენ აიღებდი და სხუარიგათ ჩუენ გუამსახურე|¹⁴თ.

ტკონდეს და გიბედნი{ე}როს ღმ(რ)თ(მ)ან ჩუენსა ერდგულად ს|¹⁵ამ-

სახურსა შიგან. სამკუიდროდ და საბოლოო{ო}დ გუიბოდებია |¹⁶ ყოვლის კა-
ცისაგან უცილებლად.

ანე, გიბ(რძანე)ბთ კარისა ჩუენ|¹⁷ისა ვექილ-ვეზირნო, სხუანო მო-
საქმენო, ს უ რ ა მ ი ს ციხისთაო, |¹⁸ მოურაო, თქუენცა ასრე გაუთავეთ,
რარიგათაც ამა ჩუე|¹⁹სნა ნანყალობევსა ფარვანაშია ენეროს, და ნუ შე{ე}
ც{ი}|²⁰ლებით თანადგომისა და შენევენისგან კიდე.

დაინერა |²¹ ნიგნი და ბ(რძანე)ბა ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკა.

ბოლოში უზის როსტომ მეფის გუმბათიანი ბეჭედი ლეგენდით:
ქ. ყაენის ფევთა მტუერი რ ო ს ტ ო მ მეფე ვამტკიცებ.

სპარსული ტექსტი:

1634 წ. 1-30 იანვარი

[هو]

حكم على شد آنکه بنابر خدمت و یکجہتی رفعت پناه بادادہ بیگ داروغہ فرسخانہ ... از ابتدا ۱ سہ
ماہہ تخاقوی نیل داروغگی قریہ اخلدابا و محلہ خاصہ را ہمہ سالہ برفعت پناه مومی عالیہ مفوض و
مرجوع نمودیم کہ قصہ و قضایای ۱ کہ در قریہ مزبور واقع و سانح شود موافق حق و حساب پرشش
نماید و رسومات داروغگی و غیرہ را سال بسال بدستور قانون ۱ گرجستان باز یافت نماید و چیزی
زیادہ از قانون طلب و توقعی ننماید کدخدایان ریش سفیدان و رعایا قریہ مزبور رفعت پناه مشار الیہ ۱
داروغہ باستلال خود دانستہ قصہ و قضایای ۱ کہ در میانہ واقع شود برفعت پناه مومی الیہ زوج نمایند
کہ ۱ موافق حق و حساب بحقیقت رساند و اصلا از سخن و صلاح حسابی او انحراف نورزند وظیفہ
داروغہ ۱ مزبور آنکہ بنوعی با رعایا قریہ مذکور سلوک نماید کہ آثار حسن سلوک او بظہور رسد ۱
درینباب قدغن دانستہ در عہدہ دانند و ہر سالہ حکم مجدد طلب ۱ ننمایند تحریرا فی شہر رجب المرجب
سنہ ۱۰۴۳

[ის (ღმერთი)]

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზედ, რომ სიდიადის თავშესაფარის,
ფერაშხანას ტარულას პ ა ა ტ ა ს დამსახურებისა და ერთგულების გამო,
ჩვენ ვუნყალობეთ და ხსენებულს ქათმის წლის სამთვეობის დასაწყისი-
დან მთელი წლობით დავუბრუნეთ სოფელ ა ხ ა ლ დ ა ბ ი ს ა და სახასო
ადგილის ტარულობა,* რათა, რაც [სასამართლოს] საქმეები ხსენებულ 5
სოფელში მოხდება, ჭეშმარიტებისა და წესის შესაბამისად გამოიძიოს,
ტარულობის სარგო (რუსუმი) და სხვა ყოველ წელს აილოს ხოლმე ს ა ქ ა -
რ თ ვ ე ლ ო ს კანონის მიხედვით და არაფერი კანონით დაწესებულზე
ზედმეტი არ მოითხოვოს. ხსენებული სოფლის ქეთხოლებმა, რიშეფიდებ-
მა და გლეხებმა აღნიშნული სიდიადის თავშესაფარი [პ ა ა ტ ა] უნდა ცნონ 10
თავის სრულფლებიან ტარულად. [სასამართლოს] საქმეები და შემთხ-
ვევები, რომელიც მათ შორის მოხდება, ხსენებული სიდიადის თავშესა-
ფარს უნდა მიანდონ, რათა [საქმე] ჭეშმარიტებისა და წესის საფუძველზე
გამოარკვიოს და არასოდეს გადაუხვიონ მის სიტყვას და გონიერ რჩევ-
ას. ხსენებული ტარულას მოვალეობა ის არის, რომ მისი კეთილი ქცევის 15

* ფუთურიძესთან მოურავობა.

შედგევი გამოვლინდეს. ამის შესახებ [გამოცემული] ბრძანება იცოდნენ, [მისი შესრულება] თავის ვალდებულებად აღიარონ და ყოველ წელს ახალ ბრძანებას ნუ მოითხოვენ.

დაინერა 1043 წლის რაჯაბ აღ-მორაჯაბის თვეში.

კომენტარი:

პაატა ჯავახიშვილი – როსტომ მეფის ერთგული ფეოდალი. იგი ფლობდა ფარეშთუხუცესის თანამდებობას. ზემომოყვანილი საბუთით 1633 წელს მიიღო ახალდაბის მოურავობა, ხოლო 1654 წელს – თრიალეთის ოლითისის მოურავობა.¹⁷

1642 წელს როსტომის წინააღმდეგ ქართლის თავადების მიერ მოწყობილი შეთქმულების დროს პაატა როსტომის მხარეს იყო და აჯანყების ჩახშობაშიც იღებდა მონაწილეობას. შეთქმულებს სურდათ ქართლის ტახტზე ისევ თეიმურაზ I აეყვანათ. ბერი ეგნატაშვილი შეთქმულებს შორის ასახელებს: ზაალ არაგვის ერისთავს, იოთამ ამილახორს, ნოდარ ციციშვილს. მემატინე უშუალოდ პაატა ჯავახიშვილის შესახებ არაფერს მოგვითხრობს, მაგრამ აღნიშნავს: „რა სცნა საქმე ესე როსტომ მეფემან, შემოიყარა ჯარი და წარმოემართა იგიცა ნოდარზედა, მოვიდა **საჯავახიანოს**“ (ბერი ეგნატაშვილი, 1959: 422). ფარსადან გორგიჯანიძე აკონკრეტებს საჯავახიანოში ბრძოლის ადგილს და მიუთითებს, რომ შეტაკება მოხდა ხოვლეში (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 247). ამის შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს 1643 წლის საბუთი Qd-2188 (იხ. ქვემოთ), რომლის თანახმადაც ნოდარ ციციშვილი ჩხეიძეებთან ერთად პაატასთან მისულან სოფ. ხოვლეში და შეთქმულებაში მონაწილეობა შეუთავაზებიათ. ამის შესახებ როსტომს მისწერა იორამ მოურავისშვილმა (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 247). მეფეც ლაშქრითურთ გაემართა ხოვლესკენ. პაატამ როსტომ მეფეს დაუჭირა მხარი და მის მხარეზე ჩაერთო ბრძოლაში, დაატყვევა ერთ-ერთ შეთქმული ხუცია ჩხეიძე და როსტომს მიჰგვარა. მეფემ ერთგულება დაუფასა და წყალობად უბოძა იისციხე და აკკეთი.

საბუთში პაატასთან ერთად იხსენიება მისი ძმა ქაიხოსრო. ეს უკანასკნელი კვლავ ჩნდება პაატასთან ერთად 1651 წლის საბუთში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი არ გაყრილან და განუყოფელ ოჯახს წარმოადგენენ (ოთხმეზური, 1999: 77).

17. გ. ოთხმეზურის თანახმად, პაატას სიმონ II-ისა და თეიმურაზ I-ის წყალობით სარგებლობდა და სიმონ II-ის საბუთად მითითებული აქვს Hd-14431 (ოთხმეზური, 1999: 76), რომელიც თავის დროზე გამოაქვეყნა ე. თაყაიშვილმა საქართველოს სიძველენის ტ. II, (თაყაიშვილი, 1909: 29, №22), ასევე აღნიშნული პირთა ანოტირებული ლექსიკონის V ტომში (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 2015: 454). აღნიშნული საბუთი გამოიცა წიგნში: “დოკუმენტური წყაროები XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მეფეების შესახებ“ (დოკუმენტური წყაროები, 2019: 197-198, №103), მაგრამ მითითებულ საბუთში პაატა ჯავახიშვილი არ იხსენიება. სიმონ II-მ წოდორეთი უწყალობა იესე ჯავახიშვილს.

აკეთი და იისციხე – შიდა ქართლის სოფლები. 1463 წელს მეფე გიორგი VIII-მ უბოძა ჯავახიშვილებს. ეს სოფლები ჯავახიშვილებსა და ციციშვილებს შორის სადავო იყო. 1615 წელს მეფე ლუარსაბ II-მ შაჰის ბრძანებით აღნიშნული სოფლები ქაიხოსრო ციციშვილს დაუმტკიცა, თუმცა ჯავახიშვილებისთვის მანამდე ფარსადან ციციშვილს წაერთმია ისინი. როსტომ მეფის კეთილგანწყობით ისარგებლა პაატა ჯავახიშვილმა და კუთვნილი სოფლები დაიბრუნა, თუმცა მომდევნო პერიოდში კვლავ გრძელდებოდა ამ სოფლებზე დავა და ჯავახიშვილთა და ციციშვილთა შორის ხელიდან ხელში გადადიოდა.

16

**1633. წყალბის წიხნი როსტომ მეფისა
ბიორბი ყოჩღანაშვილისადმი**

პ ი რ ი : სეა, 1450-16/93.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკა (321), რაც უდრის 1633 წელს..

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივანი ბირთველ თუმანიშვილი.

[ქ. ნებითა და შეწვენითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, მეფემან] პატრონმან როსტომ, ესე უკუნისამდი ჟამთა [გა]სათავებელი წიხნი და სიგელი შეგიწყალეთ [და] გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერდგულთა და [თავ]დადებით ნამსახურსა ყმათა, ყო რ დ ა ნ ა შ ვ ი ლ ს გ ი ო რ გ ი ს და შენთა ძმათა: ზ ა { ა } ლ ს , ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს , შ ა ღ ვ ა ს ა , დ ა ვ ი თ ა ს , შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და ამოვარდნილის ბ ა რ ა თ ა - შ ვ ი ლ ი ს ზ ა ქ ა რ ი ა ს კერძს დ ვ ა ლ თ ა ს დაგვიაფენით, და ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და, ვითაც რომე ყ ი ზ ი ლ ბ ა შ { შ } ი ბევრი გვემსახურე, იმისად სამუქფოდ შეგიწყალეთ და გიბოძეთ ს ა - ბ ა რ ა თ ი შ ვ ი ლ ო შ ი , დ ვ ა ლ თ ა ს , რისაც მქონებელი ზ ა ქ ა რ ი ა და მისნი შვილნი ყოფილიყვნენ მითთა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა და ვენახითა, შენითა და ოხერთა, საძებრითა და უძებრითა, სახმ{ა}რითა და უხმარითა, რისაც მქონებელი ყოფილიყვნენ, ყოვლითურთ თქვენთვინ და თქვენთა შვილთათვის გვიბოძებია სამკუიდროდ და საბოლოო{ო}დ.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მან) ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან, არა შემდგომად სხუათა მეპატრონეთაგან.

ანე, გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვეკილ-ვეზირნო, მდივან{ნ}ო და სხუანო მოსაქმენო, ვინცა-ვინ იყვნეთ და ანუ დღეის წალმა იქნებოდეთ, თქვენცა ასრე გაუთავეთ და ნურას შეუშლით და შე{ე}ცილებით, თუინიერ თანადგომისა და შეწვენისაგან კიდე. თუ სხუა წიგნი ჰქონდეს ვისმე{ს} და გამოჩნდეს, იგი ყოველივე ამით გაგვიცუდებია.

დაინერა ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკა, ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-მნიგნობრის - თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ს ა ბ ი რ - თ უ ე ლ ს ა თ ა .

დედანს ჰქონია როსტომ მეფის ოთხკუთხა ბეჭედი.

პომენტარი:

ყორდანაშვილები – ქვემო ქართლში მცხოვრები სამეფო აზნაურთა საგვარეულო. უკვე XVI საუკუნეში ცნობილია მათი წარმომადგენელი პროირანული ორიენტაციის კახაბერ ყორდანაშვილი, რომელიც დაეხმარა ყიზილბაშებს მეფის დატყვევებაში. სწორედ სიმონის დაღატისთვის დასაჯა იგი საჩინო ბარათაშვილმა. როსტომის მმართველობისას, ჩანს, ყორდანაშვილები მამულებს იფართოებენ ბარათაშვილების ბეთალმანი მიწების ხარჯზე.

17

**1633 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა
ეჭიბა ყორდანაშვილისადმი**

დედანი დაკარგულია. გვაქვს ორი პირი:

1.სეა, 1449-765; 2.სეა, 1450-17/26.

თ ა რ ი ღ ი : ქორონიკონი ტკა (321), რაც უდრის 1633 წელს.

საბუთის და მ წ ე რ ი : მწიგნობარი - მერაბ ყორდანაშვილი.

[ქ.] ნებითა და შეწევნითა ღვთისათა, ჩვენ, მეფეთ მეფემან, პატრონ-მან როსტომ მან, ესე უკუნისამდე ჟამთა გასქათავებელი, შეუშლელი, შეუცვალებელი წყალობის წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუვენ, ჩვენსა ერთგულსა და მრავალჯერეთ ერთგულობით თავდადებით ნამსახურსა ყმას, ყორდანაშვილსა {ე}ჯიბასა და ძმასა შენსა, მოძმან {ა}სა, ზურაბ {ა}სა და ძმისწულთა თქვენთა – ყორდანასა და ნაზარასა, შვილთა და მომქავალთა სქახლისა თქვენისათა, და ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვადევით კარსა და მამულის წყალობა[სა] დაგუ-იაჯენით, ჩვენ ვისმინეთ ყოველივე მოხსენება თქვენი. და მოკითხული ვქენით: ჩვენს ძმისწულს, მეფე სვიმონზე და ბევრნი ნამსახურნი იყვენით, ახისა (?) გქონდა და ამისგანაც მოგცემოდა წიგნითა. და ამითა ჩვენცა გაგიახლეთ, შეგინყალეთ და გიბოძეთ დიდგორის ძირს ამოვარდნილისა ბარათაშვილსა როს {ა}ბის ნაქონი სოფელი ბოცის {ჯ}ვარი, რარნი გათაც როს {ა}ბსა და იმის ძმას, ელმ {ა}და {თ}სა და დურმიშხანს ჰქონდათ, იმრიგათ. სამკვიდროთ და საბოლოოვად – წყლითა, წისქვილითა[საძებრითა] და უძებრითა, ყოვლის მღვთის სამართლიანის სქამქდღურითა და საქმითა.

[ანე], გქონდეს [და გიბედნიეროს] ღმერთმან ჩვენსა ერთგულათ სამსახურსა შიგან.

ანე, გ(ი)ბ(რძანებ)თ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ, რარიგათაც ჩვენგნით {ნ}ანყ-ალობევე სიგელში ენეროს, ნურაოდეს შეუშლით.

დაინერა წიგნი ესე მ ნ ი გ ნ ო ბ ა რ ი ს ა ყ ო რ ღ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს მ ე რ ა ბ ი ს ა თ ა , ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკა.

დედანს ესვა როსტომ მეფის მსხლისებური ფორმის ბეჭედი.

კომენტარი იხ. 1450-16/93-თან

18

1633 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა
როინ შალიკაშვილისადმი

პ ი რ ი : სეა, 1450-35/136.

თ ა რ ი ღ ი : ქორონიკონი ტკა (321), რაც უდრის 1633 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივანი ბირთველ თუმანიშვილი

[ქ.] ნებითა და შეწვენითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, მეფემან პატრონმან როსტომ, ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერდგულთა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა შ ა ლ ი კ ა შ ვ ი ლ ს რ ო ი ნ ს , შე{ნ}თა შვილთა და მ{ო}მავალთა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე.

5

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდეგით კარსა და მამულის წყალობას გვიაჯენით, და ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგინყალეთ და გიბოძეთ ძ ე ვ ე რ ა ს ზ ე დ გ ი ნ ი ძ ი ს თ ა მ ა ზ ი ს ა და ი მ ა რ ი ნ დ ო ს შვილის კერძი მამული, რისაც მქონებელი ყოფილიყოს, ყოვლითურთ სამართლიანის საქმითა და სამძღურითა: მითთა, ბართთა, წყლითა, წისქვილითა, ველითა და ვენახითა, შენითა და ოჯერთა, შესავლითა და გასავლითა, ყოვლითურ თქვენთუინ და თქვენთა შვილთათუის გვიბოძებია.

10

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს.

ანე, გიბ(რძანებ)თ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, მდივან{ნ}ო და სხუანო მოსაქმენო, ვინცა-ვინ იყვნეთ და ანუ დღეის წალმა იქნებოდეთ, თქვენცა ასრე გაუთავეთ და ნურას შეუშლით და შე{ე}ცილებით, თვინიერ თანადგომისა და შეწვენისაგან კიდე.

15

დაინერა ბ(რძანებ)ა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკა, წელითა კარისა ჩვენისა მდივნის თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ ვ ე ლ ი ს ა თ ა .

20

დედანს ესვა როსტომ მეფის ბეჭედი ლეგენდით:
ყაენის ფეხთა მტურერი როსტომ მეფე ვამტკიცებ.

კომენტარი:

შალიკაშვილები არიან XVII საუკუნის დასაწყისში სამცხიდან ქართლში გადმოსახლებული თავადები. ისინი მამულებს ფლობდნენ: ფხვენისში, სკრასა და ძევერაში. XVII საუკუნის 30-60-იან წლებში შალიკაშვილთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელმა, როჭიკა შალიკაშვილმა, საფუძველი ჩაუყარა როჭიკაშვილთა საგვარეულოს.

**1633. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა
საამ საბინაშვილისადმი**

პ ი რ ი : სეა, 1449-1268.

თ ა რ ი ღ ი : ქორონიკონი ტკა (321), რაც უდრის 1633 წელს.

საბუთის და მ წ ე რ ი : მწიგნობარი მერაბ ყორღანაშვილი.

ქ. ნებითა და შეწვევითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფემან პატრონმან როსტომ, ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი წყალობის წიგნი და ნიშანი შეგინყაღეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენტა ერდგულთა და მრავალფერად ერთგულობით ნამსახურთა ყმათა, საგინაშვილსა 5 სა{ა}მს, და ბატონს ტფილელსა, და ანდერმანსა და შვილთა თქუენტა, ზა{ა}ლს და თამაზს, და მომავალთა სახლისა თქუენისათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და მამულის წყალობასა დაგვეაჯენით, ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და შეგინყაღეთ და 10 გიბოძეთ თქუენისავე განაყოფი{ი}ს, ამოვარდნილის შანშეს კერძი და სოფელი წრისი, რარიგადაც ალიყულბეგს და მის შვილებს თქვენთვის მოეცეს ბოგუს, აბულმარგს, და სოფელი წრისი ყოვლის კაცისაგან უცილებელად და შემოუსარჩებლად, სამკვიდროდ და საბოლოოდ. აგრევე თქუენი სამკვიდრო, რისაც მქონებელნი იყვნეთ ბო- 15 გუს, ჩხიქთას, აბულმარგს. ანუ, სადაც ნაოჯარი ნასოფლარი იყოს, ყველგან გაგიახლეთ და გიბოძეთ.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შიგან.

ანე, გიბ(რძანე)ბთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მო- 20 საქმენო, ვინგინდა-ვინ იქნებოდეთ. მერქმე, ესე ჩვენგან ნაწყალობევი სიგელი თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ და გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩუენგან ნაწყალობევს ფარმანშია ეწეროს, ნუოდეს შეუშლით და შეეცილებით თანადგომისა და შეწვევისაგან კიდე.

დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკა, ჯელი{თ}ა 25 მწიგნობრისა ყორღანაშვილის მერაბისათა.

კიდევ, რაც გარეთ აღათანგისა კერძი მამული ან ბოგუს ან აბულმარგს, ისიც გვიბოძებია

დედანს ესვა როსტომ მეფის ოთხკუთხა ბეჭედი.

კომენტარი:

საგინაშილები ქვემო ქართლის თავადები იყვნენ. საამი როსტომის გამეფებამდეც პროირანული ორიენტაციის იყო და სვიმონ II-ს უჭერდა მხარს. მისი ოჯახი სვიმონის მფარველობით სარგებლობდა (იხ. დოკ. წყაროები ქართ-კახ. მეფეების შესახებ, I, გვ. 205-206).

20

**[1633-1658] ვ.ვ. როსტომ მეფის ვჟალოვის
ბანახლების წიგნი მოქალაქე
მასხანბ თამაქალაშვილისაღმი**

დედანი: სეა, 1448-83, მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 24,3X14,7 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთი თითქმის დაუზიანებლად არის შემორჩენილი. ტექსტის ზოგიერთი ადგილი გადანაკვეც ადგილებში მცირედ დაზიანებულია. ასევე დაზიანებულია ბოლო, მარჯვება კუთხის მცირე ნაწილი, რომელიც შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თარიღი: ქორონიკონი ტ[მ]ბ (342), რაც უდრის 1654 წელს.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი ბირთველთუმანიშვილი.

ქ. ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, მე²ფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ, ესე³ უკუნისამდე, ჟამთა გასათავებელი ნიგნ⁴ი და ნიშანი და[გ]ინერეთ და გიბოძეთ⁵ თქვენ, თავაქალაშვილს ვახტანგს, |⁶ ასე და ამა პირსა: ზედა მოკითხული ვ⁷ქენით და გავსინჯეთ და გიბოძეთ⁸ თქვენი სამკვიდრო სახლები.

ერთპირ⁹ გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან რო¹⁰გორათაც სხვას მემკვიდრეს მო¹¹ქალაქეს გასთავებოდეს კიდევ.

დაინერა¹² ბძანებითა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტ[მ]ბ, ჴე¹³ლითა კარისა ჩვენისა მდივანმწიგნ¹⁴ობრის თუმანიშვილის ბირთველისითა.

ხვეული ხელრთვა: |¹⁵როსტომ

უზის როსტომ მეფის ოთხკუთხა ბეჭედი ლეგენდით.

[1633-1658]. **ყვალოზის წიბნი როსტომ მეფისა ყაფლან
[გარათაშვილისადმი]**

პირი: სეა, 1450-15/141; გადაწერილი დედნიდან რუსული მმართველობის პირების დავთარში. საბუთი თავნაკლულია. დედანი წარუდგენიათ სარეგისტრაციოდ 1817 წლის 12 აპრილს, გატარებულია რეგისტრაციაში 1820 წლის 2 ოქტომბერს, ნომრით 1817 №124.

თარიღი: საბუთი უთარიღოა. დათარიღებულია როსტომ მეფის ზეობის (1633-1658 წწ.) წლებით.

[. . .] იფნობს ყაფლანისთვის გვიბოძებია როშაქ-შუილები, მათის მამულითა, უკლებრივა; კიდევ ფოცხვერიანში, რაც რომე მელქისედეგსა ქონდა, სრულობით ესები ყაფლან-ბეგისათვის გუიბოძებია.

დედანს ესვა ბეჭედი: როსტომ

XIX ს-ის მინანერები:

ასლიდამ თანასწორ არს ჩანერილი, სოვეტნიკი, თა(ვადი) თეიმურაზ ბაგრატიონი.

სოვეტნიკი, თა(ვადი) დიმიტრი თარხანოვი.

ასლი, წერილი მივიღე მე, თა(ვადი) ზურაბ ორბელიანი,

თა(ვადი) ასლან ორბელიანი,

თა(ვადი) ლუარსაბ ორბელიანი,

თა(ვადი) კოსტანტილე ორბელიანი,

თა(ვადი) სამარაღდან ორბელიანი,

თა(ვადი) იაკობ ორბელიანი.

კომენტარი იხ. Hd-1919-სთან.

[1633-1642 წწ.] **წივის წიბნი როსტომ მეფისა
იოთამ აგილახორისადმი**

დედანი: ხეც. Hd-2117; მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 21,8X7,3 სმ. ყავისფერი მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: ნესტის ლაქები; ალაგ-ალაგ გადასული მელანი; დაზიანებული კიდევები შევსებულია სარესტაგრაციო ქაღალდით.

პირი: სეა: 1461-24/№39.

თ ა რ ი დ ი : საბუთი უთარიდლო. დათარიღებულია შინაარსის მიხედვით – როსტომის გამეფებიდან შაჰ-სეფის გარდაცვალებამდე (1633-1642) წლებით.

ქ. ლ(მრ)თისა და ყოველთა მისთა წმიდათა, ზეცისა და ქვეყანისათა,² ჯორციელთა და უწორცოთათა, რომელსა ესაქეს ყოველი სულ[ი]³ და თაყვანის სცემს.

ამათითა თავდებობითა, მინდობითა და⁴ შუამდგომელობითა, ესე მტკიცე და უცვალებელი, ყოვლისა ჯე⁵რჯისა და ილათისაგან გამოსრულ-გამოკრებული ფიცი, პირი და⁶ წიგნი გიბოძეთ ჩუენ, მეფეთ-მეფემან, ჯელმნიფემან ბატონმან⁷ როსტომ, თქუენ, ამილახორს პატრონს იოთამს და მომავალთა თ⁸ქუენტა, ყოველთავე.

ასრე რომე, დღეს და დღეის უკან ვიყო⁹ შენთვის კარგი და მწყალობელი, რომელიც ან ბედნიერის ყეენ¹⁰ისაგან და ან ჩუენგან უკეთ მოგიჯდებოდეს, იმისი მნდომი და¹¹ მომჭირნე, და თუ შენ ჩუენზედ არა სტყუ-ქო}-რა, არც შენის¹² მამულისა და საჯელოსაგან დაგამცროთ.

ამისად გათავებისა¹³ თავდებად მომიცემია ლ(მერ)თი და ყოელნი მისნი წმიდანი და¹⁴ ბედნიერი შაჰ - სეფი ჯელმნიფე ყეენი. და მტკიცე და უცვალებე¹⁵ლი ბეჭედი და ჯელი დაგისვათ, რომე ამისის გათავების მეტი¹⁶ სხვა ავი გულში არა გავიაროთ-რა. და თუ ვინმე შენი თავი¹⁷ შამოგვაბეზლოს, გაუკითხავად არ შეგიბეზლოთ და არც სააჯოს კა¹⁸რი დაგიჭიროთ.

ხვეული ხელრთვა: ¹⁹როსტომ

უზის ოთხკუთხა ფორმის სპარსული ბეჭედი.

გვიანდელი მინანერები:

გადანერილია კდ.

ესე როსტომ მეფის მიცემული არის.

23

[1633-1658 წწ.] თარხნობის წიგნი როსტომ მეფისა ნასყიდა შუშაბერიძისადმი.

დედანი: ხეც. Ad-4075-ბ; მოყვითალო ქაღალდი; ზომა: 39,2X15.6 სმ. მხედრული; შავი ფერის მეღანი; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთი დაზიანებულია განაკეც ადგილებში. ჩამოჭრილია ქვედა კიდე, რის გამოც არ ჩანს როსტომ მეფის ხელრთვა. დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. მოცემული საბუთის ტექსტი მიწერილია 1588 წ. 12 ივლისს სვიმონ მეფის მიერ ბართლომე შუშაბერიძისადმი ბოძებულ თარხნობის წიგნზე. საბუთის verso-ზე მოთავსებულია სპარსული ტექსტი.

ქ. ჩუენს მზარე {უ}ლს შეშაბერ [ი]ძეს ნასყიდას სახ-
ლსა |² ამას წინათ ჩუენთა მამა-პაპათაგან საურიდგან |³ ამოჰკუევეთია.
ჩუენცა იმრიგ[ა]დ ამოგუიკვეთი |⁴ სამკუიდროთ და საბოლო[ო]თ.

ხელრთვა: რ [ო] ს ტ [ო] მ

24

**[1633-1658 წწ.] ბრძანება ორსტომ მუშებისა
მუშვანის ყმების აყრის თაობაზე**

დედანი: ხეც. Ad-1367; მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 14,1X15,5
სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი
ყოველი სიტყვის შემდეგ;

ქ. უზედ[ა]ესთა მოგახსენებთ და უქუედ[ა]ესთა გიბ(რძანე)ბთ, ვინ-გინ-
და- |² ვინ ბ[რ]ძანებისა ჩუენისა მორჩილნი იყუნეთ, მერ |³ მე, ვისაც მამულ-
ში მ უ რ ვ ა ნ ი ს ყმა მოსული |⁴ ყოს, სამართლიანის საქმით აუყარეთ და
მოეცით.

|⁵ ზენარ, თუ ვისმე ქართული გქ[ო]ნდეს, ჩუენს კარ |⁶ ზედ ჩამოდიოთ და
სამართალს აქ გიზამთ. იასაული გ |⁷ ამოგუიგზავნია და ამას მოაბარეთ.

ხელრთვა: რ ო ს ტ ო მ

25

**[1633-1658 წწ.] ბრძანება ორსტომ მუშისა
ბოქაულთუხუცეს ელიშვირისადმი**

დედანი: ხეც. Qd-9368; მოყვითალო ქაღალდი; ზომა: 9,50X15,8 სმ.
მხედრული; ყავისფერი მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი
ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთი დაზიანებულია. მოფლეთილია მარჯვენა
კიდე და ქვედა ნაწილი. საბუთი ნაკლულია. დაკრულია სარესტავრაციო
ქაღალდზე.

ქ. მესტუმრეო ჩუენ მაგიერად დაარბას ბოქ[ა] |² ულთუხუცეს პატრონს
ე დ ი შ ე რ ს ა |³ სრე მოახსენეთ, მერმე ამას ნუ იქ[მ]თ ამ ჩუენ |⁴ ის ფარ-
ემთუხუც[ეს]ის პ ა [ა] ტ ა ს ყმა ჯ ო ჯ ო |⁵ ბ ა შ ვ ი ლ ი და ან [...] ესახ-
ლო |⁶ ს ვინმე სამართლიანის საქმით არა უყა |⁷ როთ და არა მოაბაროთ. ზე-
ნა[ა]რ [...].

1634 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა
იოთამ და ბეჟან ამილახვრებისადმი

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Hd-2301, ნაცრისფერი ქაღალდი, ზომა: 35,1X16,5 სმ; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთი ორენოვანია: ქართულ-სპარსული. ექვსსტკონიანი სპარსული ტექსტი, შექასტეს ხელისთ შესრულებული, მოთავსებულია საბუთის verso-ზე.

საბუთის თ ა რ ი დ ი : საბუთს უზის თარიღი ქორონიკონი ტკბ (322), რაც 1634 წელს გვაძლევს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი მერაბ ყორღანაშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა : ფუთურიძე, 1955: N51, გვ. 115-118.

ქ. ნებითა და შენქეცნითა ლ(მრ)თის(ა)თა, ჩუენ, მეფეთ-მე²ფემან, პატრონმქან როსტომ, და თანამეცხედარემქან³ ჩუენმან, დედოფალთა დედოფალმქან, პატრონმქან⁴ მარიამ, ესე წყალობისა ნიგნი და ნიშანი შეგი⁵წყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა⁶ და ნამსქახურსა ყმასა, ა მ ი ლ ა ხ ო რ ს ი ო თ ა მ ს და ბ ე ჟ ა ნ⁷ ს, და შუილთა თქუენტა და მომავალთა სქახლისა თქუენ⁸ისქათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა⁹ და მამულის წყალობას დაგუიანით, ჩუენცა¹⁰ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და შეგიწყალე¹¹თ და გიბოძეთ ბიძის ჩუენის, ბატონისშუილის¹² ვ ა ხ ტ ა ნ გ ი ს ნ სქამევი და კერძი აზნაურიშუილი უ გ ჯ ა ნ¹³ ა ძ ე პ ა ჯ ა ტ ა და მის შუილები, რისაც სქამკუიდროს მა¹⁴მულის მქონებელი, სადაც უ გ ჯ ა ნ ა ძ ე ი ყ ო ს, ყოვლის¹⁵ მათის მამულითა და სამართლიანითა.

გქონდეს და გიბე¹⁶დნიეროს ლ(მერ)თმ(ა)ნ ჩუენსა ერდგულათ სქამსქახურსა ში¹⁷გან.

ანე, გ(ი)ბ(რძანე)ბთ კარისა ჩუენისა ვეზირ-ვექილნო და¹⁸ მდივანქნო და სხუანო მოსაქმენო, მერმე ესე ჩუ¹⁹ენგან ნანყალობევი მამულის ნიგნი თქუენცა ასრე²⁰ გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩუენგან ნქანყალობევს ფა²¹რვანქაში ენეროს და ნუოდეს ნუ შეუშლით და²² შექეცილებით თანქადგომისა და შეწვენისაგან კიდე.

დაი²³წერა ბრძანება და ნიშქანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკბ, ჴელითა მნიგნობრისა ყ ო რ ღ ა ნ ქ ა შ უ ი ლ ი ს მ ე რ ქ ა ბ ი ს ქ ა თ ა . ესე ასრე²⁴ გაუთავდეს.

როსტომ მეფის მსხლისებრი ფორმის ბეჭედი: ქ. ყაენის ფვტა მტუერი როსტომ მეფე ვამტიცებ.

სპარსული ტექსტი:

1634 წ. 22 ოქტომბერი – 20 დეკემბერი

هو

حكم عالی شد آنکه بنابر توجه عالی در باره رفعت و معالی پناهان یوتم بیگ | و بیجن بیگ امیلاخور باداده اوکانزه ازناور که | سابقا که ملازم مرحومی عمیام وختان میرزا بوده بایشان | شفقت نمودیم باداده مذکور اطاعت و مراقبت نموده | در خدمات تقصیر ننمایید و در ینباب قدغن دانسته در عهده داند | تحریرا فی شهر جمادی الثانی [سنه] ۱۰۴۴

ის (ღმერთი)

5 გამოვიდამალალი ბრძანებამასზე, რომ სიმაღლისა და აღმატებულების საფარველის იოთამ-ბეგ და ბეჟან-ბეგ ამილახორის მიმართ მალა-ლი ყურადღების გამო, ჩვენ ვუწყალობეთ მათ აზნაური პაატა* უგანაძე, რომელიც წინათ ჩვენი ბიძის – ვახტანგ მირზას ყმა (მოლაზემი) იყო. ხსენებულმა პაატამ უნდა გამოიჩინოს მორჩილება და გულმოდგინება და სამსახურში შეცდომა არ ჩაიდინოს. ამის შესახებ [გამოცემული] ბრძანება იცოდეს და თავის ვალდებულებად აღიაროს [მისი შესრულება]. დაინერა 1044 წლის ჯომადი ას-სანის (ჯომადი II) თვეში.

როსტომის ოთხკუთხა, მცირე ზომის ბეჭედი სპარსული ლეგენდით: „ქვეყნისა და დროის ხელმწიფემ, დიდსულოვანმა შაჰ სეფიმ წყალობა მოიღო მის მონაზე და ხოსრო-როსტომი მიწოდა.“ ორი, მცირე ზომის სპარსული ბეჭედი დასმულია ქართულ ტექსტზე: 1. ოთხკუთხა: خاک قدم علی منوچهر – ალის ფეხთა მტვერი მანუჩარი; 2. ოვალური, წარწერით: يا معين الضعفا – ო, უძლურთა შემწევ.

პოპონტარი:

იოთამ ამილახვარი – ქართლში როსტომის გამეფებამდე იოთამი, შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ხან თეიმურაზ I-ს უჭერდა მხარს და ხან სვიმონ-ხანს. 1633 წელს, როდესაც თეიმურაზმა როსტომის წინააღმდეგ შებრძოლება გადაწყვიტა, მაშინ მასთან მხოლოდ იოთამ ამილახვარი მივიდა დასახმარებლად (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 240). შებრძოლებას აზრი აღარ ჰქონდა და თეიმურაზი ქართლს გაეცალა. როსტომის ირანიდან ჩამოყოლილ ქართველი წარჩინებულთა შორის იყო იოთამის ძმა ბეჟანი. როსტომმა იგი დაადგინა ზემო ქართლის სადროშოს მეთაურად და ამილახორადაც (Hd-2123, Hd-2125, Hd-2126). ცხადია, ისეთ სტრატეგიულად მნიშვნელოვან თანამდებობებს, როგორც იყო ზემო ქართლის სადროშოს ხელმძღვანელობა და გორის მოურავობა, მეფე თავის ერთგულ პირს ჩააბარებდა. ნიშანდობლივია, რომ როსტომმა გამეფებისთანავე დაიწყო გორის ციხის გამაგრება და შიგ ყიზილბაშთა ჯარი ჩააყენა. მიუხედავად იმისა, რომ 1633 წელს როსტომმა ბეჟანი დააყენა ამილახვრად, ერთი წლის შემდეგ, 1634 წელს სათავადოს მმართველად იოთამი დაუნიშნავს (ტე-

*სპარს. ბადადა

ქსტშიც ჯერ იოთამი იხსენიება, შემდეგ ბეჟანი. უფროს-უმცროსობის წესს დოკუმენტებში ზედმიწევნით იცავდნენ). ეს ნიშნავს, რომ იოთამი შერიგებია როსტომს მისი დედის, თამარის შუამდგომლობით (კარბელაშვილი, 1913: 131). როსტომმა იოთამს საფიცრის წიგნი მისცა და დაუბრუნდა ამილახორობა. ჩანს, იოთამს ფარული კავშირი მაინც ჰქონია თეიმურაზთან. ფარსადან გორგიჯაძე წერს, რომ კახეთს მიმავალმა თეიმურაზმა ქართლი გაიარა და გზად იოთამ ამილახვარსა და ბახუტა მუხრანბატონს შეხვდა (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 243). არცვეის ბრძოლის დროსაც იოთამი მეფე თეიმურაზის მხარეს იყო, თუმცა გამარჯვება როსტომს დარჩა (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 244). იოთამი მონაწილეობდა ნოდარ ციციშვილის მიერ მოწოდებულ აჯანყებაშიც. „იოთამ ამილახორი იასეს ერისთავს მიუდგა. ქსნის ერისთავი და ამილახორი ღაშკრით მოვიდნეს და გორს ზეით, ჭალაში დადგნენ, და გორს ქვეით, მტკვრის პირს, ნოდარი იდგა“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 245). როსტომ მეფემ იოთამის და იესეს ოჯახები გორის ციხეში შეგზავნა, მათ კი შეაყრობა დაუპირა, თუმცა ვერ მოახერხა. ფარსადანის გადმოცემით, ამ დროს ჩამოართვა იოთამს ამილახორობა და მის ძმას ბეჟანს მისცა (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 245), თუმცა ჩვენ ვიცით, რომ ბეჟანს ქართლში ჩამოსვლისთანავე უბოძა ამილახორობა და შემდეგ დაუბრუნა იოთამს. მაგრამ გამორიცხული არაა, რომ იოთამის განდგომისას ხელმეორედ ჩამოართვა მას სათავადო და ბეჟანს გადასცა. იოთამი და იასე კახეთში გაიხიზნენ, როსტომმა კი იოთამის რეზიდენცია – სხვილოს ციხე დააქცია. იოთამმა როსტომს მოსალაპარაკებლად დედამისი – ბატონიშვილი თამარი მიუგზავნა, რომელიც როსტომის ბიძის – ვახტანგის ასული იყო. მოლაპარაკებამ შედეგი გამოიღო და იოთამს ამილახორობაც დაუბრუნეს, თუმცა აჯანყების მსვლელობისას იოთამს კვლავ თეიმურაზის გვერდით ვხედავთ. როსტომი იოთამს და მასთან ერთად ქსნისა და არაგვის ერისთავებს ახალგორში, შობა დღეს დაესხა თავს და დაამარცხა.

იოთამის აჯანყებაში მონაწილეობაზე მოგვითხრობენ ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი ბატონიშვილი. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, იოთამს და ზაალ არაგვის ერისთავს შეწყალება უთხოვიათ (ბერი ეგნატაშვილი, გვ. 423). ამ მიზეზით, მას შედარებით მსუბუქად გაუსწორდა როსტომი. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გვამცნობს: „ჰგუემა იგი და განუტევა ფიცით, და შემუსრა ციხე ცხვლოსი“ (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 442). მემკვიდრეები იოთამს ორმაგი პოლიტიკის გატარებაში სდებენ ბრალს: „არამედ იოთამ ჟამთა მჭურეტი, ჟამ იყვის ბატონის თეიმურაზის თანა, ჟამ როსტომის წინაშე“ (ვახუშტი, გვ. 442), „იოთამ ამილახორი ხან მოუდგებოდა როსტომ მეფესა და ხან ბატონ თეიმურაზს და, სითკენაც დრო დაა ელის, იქითკენ იყვის“ (ბერი ეგნატაშვილი, გვ. 423). ფარსადან გორგიჯანიძე, ზოგადად, თავადებს ადანაშაულებს იოთამთან ერთად. ზაალ არაგვის ერისთავის შესახებ ამბობს, რომ „ვინც იმათ შემოსწერებოდეს, ამათ მოუვიდის. ვინც ამათ შემოსწერის, იმათ მოუვიდის და ამათის საქმით ქართლი და კახეთი მოუსვენებელი იყო და არეულ აოჯრებული იყო“ (ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 249).

[1633-1648 წწ]. სასამართლო გადაწყვეტილება
სასისხლო ჯავახიმ რონი ჯავახიშვილსა
და გლურჯიძეებს შორის

დედანი: ხეც, Hd-14659; ღია ყავისფერი დალაქავებული ქაღალდი; ზომა: 24,1×10,8 სმ; შავის ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშნებად გამოყენებულია ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ტექსტის ხილვადობა მკაფიოა.

პირი: Qd-9628

გამოცემა: 1. თაყაიშვილი, 1909, გვ. 84-85; 2. დოლიძე 1972: №53, გვ.114.

ქ. ნებითა [და] შენენითა ღ(მრ)თისათა, დავსხე²დით ჩუენ, პჭენი: ბატონი ქათალიკოზი, |³ ბატონი ამილახორი და ბოქაულთუხუ⁴ცესი დავით და ჯავახიშვილის და გრ{ლ}უ⁵რჯიძეთ სასამართლოთ. ჯავახიშვილ⁶ი როინ მრავალს ჩიოდა გლურ⁷ჯიძეთაგან და ამისი ასრე გავაჩინე⁸თ:

თუ, დაიფიცოს გლურჯიძემა |⁹ თორმეტის თავის ამხანაჟის აზნაჟური¹⁰შუილითა, ექვსის შესახელებულითა, როინს ჯავახიშვილს |¹¹იმხანაჟის წელი არა ჰქონდეს. თუ, ვერ |¹²დაიფიცოს, საქონელი უზღოს და სისხ¹³ლისა ბატონმან იცის.

ვინც ამ ბძანე¹⁴ბას გარდავიდეს, როსტომ მეფის შემ¹⁵ცოდე იქნების.

ბეჭედი: როინ

† †

პრეზენტარი:

როინ ჯავახიშვილი – მდივანბეგი და ბოქაულთუხუცესი. მკვლევართა ვარაუდით, როინი ქაიხოსრო ჯავახიშვილის ძე იყო (ჩიქოვანი, 1997: 53; ოთხმეზური, 1999: 81-84); სიმონ-ხანისა და როსტომ-ხანის დიდად „ნამსახური“ (Hd-14677) – სიმონ-ხანის დავალებით იგი შაჰთან წასულა სპარსეთში. სვიმონ ხანის ერთგულების გამო იგი თეიმურაზ I-მა შეიპყრო და ხორნაბუჯის ციხეში გამოკეტა, სადაც ბორკილმა და უდრეკმა ფეხი დაუზიანა (Hd-14677).

ქართლში როსტომის გამეფების შემდეგ როინი უკვე მის მხარდამჭერთა შორისაა. მას როსტომის დიდი ერთგულება გამოუჩენია და დახმარება გაუწევია გორის ციხესთან (Qd-9638), რის გამოც მეფეს იგი მამულის წყალობით დაუჯილდოვებია. 1638-1661 წწ-ში როინი ქართლის მდივანბეგია (პარალელურად, 1638-1643 წწ. ქართლში არსებობდა მეორე მდივანბეგიც – ყაფლან ბარათაშვილ-ორბელიშვილიც (ენუქიძე, 1971: 303-304).

როინის ქვეშევრდომული ერთგულება კარგად ჩანს მის მიერვე გაცე-

მული საბუთიდან (Hd-14666), რომლის მიხედვითაც ყარაიაში ნადირობის დროს დაშავებული როსტომის სახელზე თავის ყმას – აბანოელ ნასყიდას ათარხნებს და აკისრებს ყოველ ნათლისდებას მეფის სადღეგრძელოდ ორ მღვდლით წირვა-ადაპი გადაიხადოს. საბუთი საინტერესოა გათარხნებული გლეხის ვალდებულებების თვალსაზრისით – იგი თავისუფალია ყველა საბატონო გადასახადისაგან, გარდა საურისა, რომელიც ირანული გადასახადი იყო. მისი წილის გადახდას თავად როინი კისრულობდა.
როსტომის კეთილგანწყობის შედეგად, როინმა შეძლო მანგლელისგან დაებრუნებინა მამულები (Hd-8584).

28

[1633-1658 წწ.] წყალობის წიგნი როსტომ მეფისა მდივანებზე როინ ჯავახიშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Hd-14642, ღია ყავისფერი ქაღალდი, ზომა რესტავრაციამდე: 16X20,1 სმ, რესტავრაციის შემდეგ – 17,5X21,1 სმ. შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთი ფრაგმენტული სახითაა მოღწეული ჩვენამდე და მხოლოდ პირველი რვა სტრიქონი იკითხება.

[ქ. ნებითა] და [შენ]ნევანითა ღ(მრ)თი[სათ]ა, ჩუენ, მეფეთ-მეფემ[ა]ნ პატრონმ[ა]ნ |² [როსტომ, და] თანამეცხედარემ[ა]ნ ჩუენმ[ა]ნ, დედოფალთა-დედოფალმ[ა]ნ პატრო|³ნმ[ა]ნ მარია მ, ესე ამიერთ უკუნისამდე ჟამთა და ხანთა სამკუიდროთ და საბო|⁴ლოვოთ გას[ა]თავებელი, შეუშლელი და შეუცვალებელი წყალობისა |⁵ წიგნი და სიგელი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგ|⁶ულ[ს]ა და წესისებრივ ერდგულობით და თავდადებით მარვ[ა]ლფერად |⁷ ვ[ა]ლდებულთა და ნამს[ა]ხურთა ყმათა, კარისა ჩუენისა მდივანბეგს, ჯ ა ვ ა |⁸ ხ ი შ უ ი ლ თ ა როინს და ...

29

[1634-1658 წწ.] როსტომ მეფის წყალობის წიგნი უცნობი [ბარათა]შვილისადმი

პ ი რ ი : ხეც, Hd-11392-3.

ქ. ჩუენ ხელმწიფემა, მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ, და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარია -

ამ, დაგიმკუიდრეთ და გიბოძეთ სოფელი აბელია ყოველის კაცისაგან უცილებლად. გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ.

ხელრთვა: როსტომ, მარიამ

30

**[1633-1658 წწ.] წყალობის წიგნი ოსტომ მეფისა
როსტომისა და იასაულ ხონონასაღმ**

პირი: სეა, 1450-37/144; გადაწერილი დედნიდან რუსული მმართველობის პირების დავთარში. ფრაგმენტი. საბუთი შეტანილია სარეგისტრაციოდ 1817 წლის 12 აპრილს, გატარებულია 1823 წლის 2 მაისს ნომრით №144.

საბუთი უთარილოა. გამოცემაში იგი დათარიღებულია როსტომ მეფის ზეობის წლებით.

[...] როშაქაშვილის. ბართად გუიბოძებია ჩაჩიკაშვილის ასლამაზისა და მისის ძმისა და შვილთათვის ნახევარი იფნობი, აგრევე იასაულის ხონონასთვის გვიბოძებია როშაქაშვილების ბართად ნახევარი იფნობი.

დედანს ჰქონია ხელრთვა: როსტომ

XIX საუკუნის სარეგისტრაციო მინაწერი: ასლთან სწორ არს, თ(ავად)ი რატიევი.

ნანდვილი სიგელი მივიღე, ჯვარის ეკლესიის დეკანოზი კორნილიე ჩაჩიკოვი.

31

**[1634-1636 წწ.] უზნალობის წიგნის წიგნი ოსტომ
მეფისა ყაფლანბებ ბართაშვილისაღმ**

დედანი: ხეც. Hd-1919; ღია ნაცრისფერი ქაღალდი; ზომა: 18X14 სმ; შავი ფერის მეღანი; განკვეთილობის ნიშნები: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; ტექსტის ხილვადობა მკაფიო; მსუბუქად დაზიანებული, გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თარიღი: საბუთი უთარილოა. დათარიღებისათვის ქვედა ზღვრად აღებულია როსტომ მეფისა და მარიამ დედოფლის ქორწინების წელი (1634), ზედა ზღვრად – ყაფლან ბართაშვილის მდივანბეგად მოხსენიების პირველი წელი (1636). ამრიგადაა მიღებული საბუთის თარიღი – 1634-1636 წლები.

88

ქ. არსება-დაუსაბამოსა ლ(მრ)თისა მამისა, ძისა და |² სულისა წმინდისა; თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ყოვლად წმინდი|³სა დედოფლისა ჩუენისა ლ(მრ)თისმშობელისა, |⁴ მარადის ქალწულისა მ ა რ ი - ა მ ი ს ი თ ; წმი⁵ნდათა ზეცისა ძალთა ანგელოზთა და მთავ|⁶არანგელოზთა: მ ი ქ ი ე ლ და გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ი თ |⁷ ა თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლ|⁸ობითა, ესე წყალობისა ფიცი, პირი და წიგნი |⁹ გიბოძეთ ჩუენ, {მ}ეფემა{ნ}, პატრონმა{ნ} რ ო ს ტ ო მ , |¹⁰დედოფალმა, |¹¹პატრონმა{ნ} მ ა რ ი ა მ , თქუენ, ბ ა რ ა თ ა შ |¹² ვ ი ლ ს, პატრონს ყ ა ფ ლ ა ნ - ბ ე გ ს .

ასრე და ამა |¹³ პირსა ზედა, რომე, ამა საქმეზედა შენ ჩუენგან ||¹⁴ და არცა ჩუენის სიტყვის მომსმინოს კაცისაგ |¹⁵ან, არცა სიკუდილითა, არცა გახეიბრებ|¹⁶ითა, არცა ველთ-დაჭერითა, არცა მ|¹⁷ამულის დამცრობითა, არცა სხვარიგათ უპატიოდ მოპყრობითა არა დაგიზიანდეს-რ|¹⁸ა. ამისად გასათავებლად, თავდებად მოგვიცემი|¹⁹ა თავად ლ(მერ)თი, ყოველი მისი წმიდანი ზეცისა და ქუე|²⁰ყანისანი, ჯორციელი და უხორცონი.

ხელრთვები: რ ო ს ტ ო მ , მ ა რ ი ა მ

verso-ზე მინაწერი გვიანდელი ხელით: როსტომ მეფის საფიცრის წიგნი.

კომენტარი:

ყაფლან (ყაფლანბეგ) ბარათაშვილი – ფლობდა მდივანბეგისა და სახლთუხუცესის თანამდებობებს. ყოველთვის გამოირჩეოდა პროსპარსული ორიენტაციით. როდესაც 1619 წელს, მისმა ბიძამ – ბარათა ბარათაშვილმა სათავადოს ერთპიროვნული მმართველობის მოპოვების მიზნით სახლიკაცები გაანადგურა, მან ირანს შეაფარა თავი (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 428). ქართლში დაბრუნებულმა სიმონ II-ის მხარე დაიკავა და მისი წყალობითაც სარგებლობდა. ზემომოყვანილი საბუთი ცხადყოფს, რომ მეფე როსტომი დაინტერესებული იყო მისი მხარდაჭერით და თავის ერთგულ პირად მიიჩნევდა.

1634 წლის 8 აპრილი. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა მიითარ [მანუჩარისაღმი]

პ ი რ ი : სეა, 1450-53/84.

საბუთის თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკბ (322) აპრილის რვას (8), რაც უდრის 1634 წლის 8 აპრილს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთუელ თუქანიშვილი.

[ქ.] ნებითა და შენე{ვნითა} ლ(მრ)თისათა, ესე უკუნი{სამდე} წიგნი და ნიშ{ანი}, ჩუენ, მეფემან, პატრონმან { რ ო ს } ტ ო მ ესე უკუნისამდე ჟამ-

თა და ხანთა გასათავებელი წყა{ლობისა} {ნი}შანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერდ{გულთა} და მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა ყმასა, მეითარს, შვილთა და შვილისშვილთა სახლისა ჩამომ{ა}ვ{ა}ლთა სახლისა თქუენისათა, ყოველთავე.

5 მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და ქ ა ლ ა ქ ი ს მოურაობას გვიაჯენით, ჩვენცა ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი და გიბოძეთ ქ ა ლ ა ქ ი ს მოურაობა.

ასრე, რომე არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხუათა მეპატრონეთაგან.

10 გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შინა.

ანე, გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, მდივან{ნ}ო და სხუანო მოსაქმენო, ვინცა-ვინ იყუნეთ და ანუ დღეის წაღმა იქნებოდეთ, თქვენცა ასრე გაუთავეთ და ნურას მოუშლით და შექეც(ცილებით თვინიერ შეწვენისა და თანადგომისაგან კიდე.

15 დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკვ, აპრილის რვასა, ჳელითა კარისა ჩუენისა მდივან-მნიგნობრისა, თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ ე ლ ი ს ა თ ა .

დედანს ჰქონია როსტომ მეფის ქართული და სპარსული ბეჭდები.

პოპენტარი:

[მანუქარ] მეითარი – საბუთში მეითარის ვინაობა არაა დასახელებული, მაგრამ ცნობილია, რომ როსტომის მმართველობისას იგი ფლობდა ამ სახელოს. მეითარი იყო მეფის პირადი მსახური. მას ებარა მეფის გარდერობი და მის ტანსაცმელს განკარგავდა. დასტურლამალის თანახმად, მეითარი ამსახურებდა მეფეს მერიქიფეებსაც. მართალია, მერიქიფეები მერიქიფეთუხუცესის უწყებაში შედიოდნენ, მაგრამ ფუნქციური თვალსაზრისით ამ სიახლოვის გამო უნდა ყოფილიყო, რომ მერიქიფეთუხუცესის სახელოც მეითარ მანუქარს უბოძეს. ზემომოყვანილი საბუთით მეფე მას უმტკიცებს თბილისის მოურავობას (სურგულაძე ივ. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, თბ. 1952, გვ. 203-204; დასტურლამალი გვ. 662; ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში, რედ. მ. სურგულაძე, თბ., 2017, გვ. 216).

**1634. 22 მაისი. წყალობის წიგნი როსტომ
მეფისა მოლარეთუხუცესს შიოშისადმი**

პირი: სეა, 1450-15/122. გადაწერილი დედნიდან რუსული მმართველობის პირების დავთარში. დავთარში შეტანილია სპარსული ტექსტის პირიც, შესრულებული ნასთალიყის ხელით ექვს სტრიქონად.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტკბ (322), მაისის კბ (22), რაც უდრის 1634 წლის 22 მაისს.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი

გამოცემა: ფუთურიძე, 1955, გვ. 49, 110-112.

[ქ.] ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, მეფემან პატრონმან როსტომ, და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალმან, პატრონმან მარიამ, ესე უკუნი სამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი წყალობისა ნიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერდგულსა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა ყმასა, მოლარეთუხუცესს შიოშს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე. 5

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და მამულის წყალობასა გვიჯენით, და ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და შეგიწყალეთ და გიბოძეთ საბარათი შვილოში სამშვიდის კრწანის მისის მართლის სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა: მთითა, ბარითა, წყლითა და წისქულითა, ველითა და ვენახითა, ჭალითა, ტყითა და სანადიროთა, შენითა და ოხერითა, შესავლითა და გამოსავლითა, სახმჯარითა და უხმარითა, ყოვლის სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა, სამკუიდროდ და საბოლოოთ და თქუენთუინ და თქუენთა შუილთათვის გვიბოძებია. 10

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან, არა შემდგომად სხუათა მეპატრონეთაგან. 15

ანე, გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანო და სხუანო მოსაქმენო, ვინცა-ვინ იყუნეთ და ანუ დღეის წაღმა იქნებოდეთ, თქვენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩვენგან ნაწყალობევსა ფარვანაში ენეროს და ნურას მოუშლით და შექეცილებით, თუქინიერ თანადგომისა და შენევნისაგან კიდე. 20

დაინერა ბძანება და ნიშანი ესე, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკბ, მაისის კბ, ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრისა - თუმანიშვილის ბირთუელისათა. 25

დედანს ესვა როსტომ მეფის ოთხკუთხა ბეჭედი:

სპარსული ტექსტი:

1634 წ. 29 მაისი – 26 ივნისი

حكم عالی شد آنکه بنا بر توجه و شفقت عالی و حقوق خدمت در باب رفعت پناه سیاوش بیگ صاحب جمع خزانہ و ناظر بیوتات از ابتداء حکم عالی شد نہ ماہہ ایت نیل قریہ کر لانیسی من اعمال براتلو را بہ نیول رفعت پناه مشار الیہ شفقت | و ارزانی فرمودیم میباید کہ مالوجہات و وجوہات و حقوق دیوانی خود را موافق قانون و معمول گرجستان از رعایا مذکورہ| باز یافت نماید بنا برین رعایا و عجزہ قریہ مذکورہ رفعت پناه مومی عالیہ را نیول باستقلال خود دانستہ از سخن و صلاح حسابی او| بیرون نروند موسیقی سرکار عالی حکم را در دفتر ثبت نمودہ سال بسال معمول و مستمر و بر قرار دانستہ ہر سالہ حکم مجدد طالب| ندارند و چون نشان بمہر عالی مزین گردد اعتماد نمایند در ینباب قدغن دانستہ از فرمودہ تخلف نورزند تحریرا فی شہر ذا الحجہ الحرم سنہ ۱۰۴۳

محل مهرہ

محل مهرہ

رستم خان

مستوفی

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ სიდიადის საქარველის, მოლარეთუხუცესისა და ქარხნის ნაზირის – ს ი ა ვ უ შ - ბ ე გ ი ს დამსახურებისა და მისადმი მაღალი ყურადღების მოპყრობის გამო, ჩვენ ძალის წლის ცხრათვეობის დასაწყისიდან თიულად ვუნყალობეთ და ვუბოძეთ 5 ს ა ბ ა რ ა თ ი ა ნ ო ს სოფელი კ რ ნ ა ნ ი ს ი . საჭიროა, რომ [მან] ს ა ქ ა - რ თ ვ ე ლ ო შ ი მოქმედი კანონისა და რიგის მიხედვით, ხსენებული სოფლის გლეხებისაგან მალუჯათი, გამოსაღებები და სახელმწიფო გადასახადი აიღოს. ამიტომ, ხსენებული სოფლის გლეხებმა, აღიარებენ რა მოხსენიებულ სიდიადის საფარველს (ს ი ა ვ უ შ - ბ ე გ ს) თავის სრულუფლებიან თიულდარად, არ უნდა გადაუხვიონ მის სიტყვას და გონიერ რჩევას. მაღალი კარის მუსტოფიმ ჩანეროს ეს ბრძანება დავთარში (და) 10 წლითი წლამდე დამტკიცებულად და შეუცვლელად ცნოს ის და ყოველწელს ახალ ბრძანებას ნუ მოითხოვენ, და როცა ენ ნიშანი (ანუ ბრძანება -ბ. ბ.) მაღალი ბეჭდით შეიმკობა, დაემორჩილონ [მას] ამის შესახებ [გამოცემული] 15 ბრძანება იცოდნენ და წინააღმდეგობა არ გასწიონ. დაინერა 1043 წლის ზულ-ჰიჯჯას თვეში.

გადამწერის ცნობით, დედანს ესვა როსტომ მეფის და მუსტოფის ბეჭდები.

კომენტარი:

შიოშ/შიო სოლდაღშივილი – ქართლის თავადი. პრიორანული ორიენტაციის პირი; სვიმონ II-ის ერთგული მოხელე; 1619 წლიდან 1637 წლამდე სოლდაღშივლთა სათავადო სახლის უფროსი. ფლობდა მოლარეთუხუცესის სახელოს. მკვლევარი ალექსანდრე ბოშიშივილი ვარაუდობს, რომ შიოში შეეწირა როსტომის მიერ გატარებულ ადმინისტრაციულ რეფორმებს და სათავადო სახლების სახლიკაცობის ახლებური რიგის დაწესებას. როსტომმა უპირატესობა მიანიჭა შიოშის ბიძაშივილს – ელიზბარს და 1637 წლიდან იგი გახდა სოლდაღშივლთა სახლის მეთაური (ბოშიშივილი, 2012: 24, 28).

1634 წ. 17 ივნისი. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა
დავით ელიოზისძე-ბედიგვანიშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Qd-38-ბ; ღია ყავისფერი ქაღალდი, ზომა: 27X16,8 სმ. შავი ფერის მეღანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთის გარკვეული ადგილები დაზიანებულია და შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. ტექსტს ახასიათებს ა-მეტობა.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკბ (322), თიბათვის იზ, რას უდრის 1634 წლის 17 ივნისს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : კარის მწიგნობარი მერაბ ყორღანაშვილი.

ქ. ნებითა და შენეწითა ლ(მრ)თ(ი)ს(ა)თა, ჩუენ, მეფემან პატრო²ნმან როსტ³ო⁴მ, ესე უკუნის⁵ამდე ჟამთა გას⁶ათავებელი, შეუ⁷შლელი და შეუცვალებელი წყალობისა წიგნი და⁸ სიგელი შეგინყალეთ და გ(ი)ბ(ო)ძეთ თქუენ, ჩუენსა მკ⁹უიდრსა და მრ¹⁰ვაღალფერად ერდგულობით ნამსახურსა¹¹ ყმასა, ე ლ ი ო ზ ი ძ ე თ ა - გ ე დ ე ვ ა ნ ი ს შ უ ი ლ თ ა : [დ]ავი[თ]ს და¹² გაბრიელს და პეტრეს, და ძმისწულთა: პაპუნას¹³ და ქაიხოსროს, შუილთა და მომ¹⁴ვაღალთა სახლისა თქუენისთა,¹⁵ ყოველთავე.

ასრე და ამა პირსა ზედ¹⁶ქან, რომე, რისაც მამულისა¹⁷ და ან სახელოს და ან ს¹⁸ამკუიდროსა და ან ნ¹⁹წყალობევისა²⁰ [ნ]ას[ყი]დობის მქონე-ბელნი თქუენ და თქუენი მამა-პა²¹პანი ყოფილიყვნეთ, ჩუენც უკლებრივ ყოვლის კაც²²სიგ²³ან უცილებლად და შემოუს²⁴არჩლელად გუიბო²⁵ძე-ბია. უჩვენომ კაცმან, ვერც მამულისმან და ვერც სახე²⁶ლოსმან, ვერვინ დაგამცრ²⁷ოქს, ვერც²⁸ად²⁹იმან და ვერცა მც³⁰ირემან, ესე ასრე ყოველს ჟამს გაგითავდეს.

ანე, უზედ³¹ესთა მოგახსენებთ და უქვედესთა გ(ი)ბ(რძანე)ბთ, დიდნო და მცირენო ერთობილნო, მერმე ამ ე ლ ი ო ზ ი ძ ე თ ა , ვისგანაც მამ-ულეები³² ეყიდოს, ნურ³³ქას კაცს ჴელი ნუ გაქუს, რარიგ³⁴და³⁵ც³⁶ამ³⁷ ||³⁸ წიგნში ეწეროს, თქუენცა ამრიგ³⁹ად გაუთავეთ, ნუროდე⁴⁰ს ნუ შეუშლით და შე⁴¹ც⁴²ილებით.

ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკბ, თიბ⁴³ათვესა⁴⁴ იზ, ჴელითა მწიგნობრისა ყ ო რ - დ ა ნ ა შ უ ი ლ ი ს მ ე რ წ ა ჯ ბ ი ს თ ა . ესე⁴⁵ ასრე გაუთავდეს.

ხელრთვა: ⁴⁶როსტომ

მსხლის ფორმის ბეჭედი როსტომის ლეგენდით: ყაენის ფერწათა მტუერი, როსტომ მეფე ვამტკიცებ.

საბუთის ტექსტის (თითქმის შუაში) დასმულია ორი მცირე ზომის სპარსული ბეჭედი: 1. ოთხკუთხა, წარწერით: خاک قدم علی منوچهر – „აღის ფეხთა მტვერი მანუჩარი“; 2. ოვალური, წარწერით: يا معين الضعفا – „ო, უძღურთა შემწევ.“

პოპენტარი:

ელიოზისძე-გედევანიშვილები – მცხეთიშვილები, იყვნენ საეკლესიო აზნაურები, მოგვიანებით გათავადდნენ. კათალიკოსის კარზე მოღვაწეობდნენ და ფლობდნენ მაღალ თანამდებობებს. დავითი იყო სვეტიცხოვლის ჯვრისმტვირთველი და სარდალი. ისინი სარგებლობდნენ კათალიკოსთა წყალობით. მოცემული საბუთით დავითს კუთვნილი მამულები და სახელლო მეფე როსტომმა განუახლა.

1634. 27 ივნისი. თარხნობის წიგნი როსტომ მეფისა მერაბ ყორღანაშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი : სეა, 1448-3265; მხედრული; მოყავისფრო ქაღალდი; ზომა: 53,8×24,3 სმ.; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი; გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით; საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. სპარსული ტექსტი, შექასთეს ხელით შესრულებული შვიდ სტრიქონზე, მოთავესებულია საბუთის verso-ზე.

პ ი რ ე ბ ი : სეა, 1450 1/3; სეა, 1449-592.

თ ა რ ი დ ი : ქორნიკონი ტკბ (322) თიბათვის კზ (27), რაც უდრის 1634 წლის 27 ივნისს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ე ბი : ბერძენიშვილი, 1940; გვ. 23-24; ფუთურიძე, 1955; N50, გვ. 112-115; დოლიძე, 1965; გვ. 213-215.

ქ. ნებიტა და შენეენიტა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფემან პატრონმან |² როსტომ, ესე ამიერით უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავე|³ბელი, მტკიცე და შეუცვალებელი წყალობისა და სითარხნის ნიგნი და სიგელ|⁴ი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენტა და ყოველთა |⁵სახლისა ჩუენისა ჩამომავალთა, მეფეთა ერდგულსა და მრავალფე|⁶რად თავდადებით ნამსახურთა ყმათა, ყო რ დ ა ნ ა შ ვ ი ლ თ ა – კა|⁷რისა ჩუენისა მდივან-მწიგნობარსა მერაბს და ძმათა თქვე|⁸ნთა, და შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა. ყოვე|⁹ლთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და ნაო|¹⁰წრის ნასოფლარის ზემო შავ {ნ}თ თარხნობის წყალ|¹¹ობას გუიაჯენით, და ჩუენცა ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ და |¹²ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი. და მოკითხული ვქენ|¹³ით და არას კაცს არც შენად ენახა და არც გაგონებად იმა ალა|¹⁴გის შენობა. ნაოწარი, გატყე(ე)ბული ზემო შავნი ბართაშუი |¹⁵ლის გოსტაშაბისა გან გეყიდა და მონასყიდობის სიგელი გქონ|¹⁶დათ. და ჩუენს ძმისწულს, მეფეს პატრონს

ს უ ი მ ო ნ ს ა ც ნ |¹⁷ყალობა ექნა და შ ა ვ { ნ } თ ა , ფ ი ც ხ ი ს ი ს ა და მ ო ქ რ ი ს ი ს ნ ი გ ნ ი და ს ი გ ე |¹⁸ლი, რ არ ი გ ა დ ა ც ა რ და ზ ი ა ნ დ ი ს ჰ ქ ო ნ ე ბ ო დ ა, თ ქ უ ე ნ თ უ ი ნ ა ც ა მ რ |¹⁹იგად მთით ბარამდი ებოძებინათ.

და ჩუენცა სიგლები გინახეთ |²⁰ნაწყალობევისა და ნასყიდობისა და სიგლითა ამით დაგიმკუიდრეთ და |²¹დაგიმტკიცეთ ყოვლის კაცისაგან მოუდევრად და შემოუთსარჩლელა |²²დ, სამკუიდროდ და საბოლოო {ო}დ.

თარხნობისა ნიგნი გიბოძეთ. ასრე და ამა |²³პირსა ზედან, რომე, რამდენი ერთიცა გლეხი ზ ე მ ო შ ა ვ { ნ } თ მ ე |²⁴რ ა ბ ყ ო რ ლ ა - ნ ა შ ვ ი ლ მ ა ნ დაასახლოს, არასფერისთანა საჩუენო სათ |²⁵ხოვარი და გამოსაღები არა ეთხოებოდეს-რა: არა კოდისპუ |²⁶რი, არა მკა და თიბვა, არა ციხისა და ქალაქის მუშაობა და შე |²⁷შის ზიდვა, თუნიერ ერთის ლაშქარ-ნადირობისა და წელიწადში |²⁸ერთხელ დ ი დ გ ო რ ზ ე სა-მასპინძლოს მორთმევისაგან კიდე, რითაც |²⁹შემძლებელნი იქნებოდენ, იმ წესით სამასპინძლო უნდა რომე |³⁰მოგუართონ. სხუა ამის მეტი საჩუენო სათხოვარი და გამოსაღები |³¹არა ეთხოებოდეს-რა ზ ე მ ო შ ა ვ { ნ } თ მსახლობელთ გლეხთ.

ანე, გქონდეს |³²და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მან) ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ |³³მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად სხუათა მეფეთა და მეპატრ |³⁴ონეთაგან. და თუ სხუა ამისთანა ნიგნი და ნიშანი ან ნაწყალობევი და ან |³⁵მონასყიდობისა გამოჩნდეს, იგი ყოველივე სიგლითა ამით გაგუიციუ |³⁶დებია და მტკიცე ესეოდენი არის.

ანე, გ(ი)ბ(რძანე)ბთ კარისა ჩუენისა ვე |³⁷ქილ-ვეზირნო, მდივან {ნ} ო და სხუანო მოსაქმენო, ვინგინდა-ვინ იყუნე |³⁸თ და ანუ დღეის ნალმა იქნებოდეთ, მერმე, ესე ჩუენგან ნაწყალო |³⁹ბევი მტკიცე და უცვალებელი სიგელი ასრე გაუთავეთ და ნურა |⁴⁰ს მოუშლით და შე {ე} ცილებით, თუნიერ თანადგომისა და შეწვენისა |⁴¹გან კიდე.

დაიწერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკბ, თიბათუეს კზ, ჴე |⁴²ლითა კარისა ჩუენისა მდივან-მნიგნობრის თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ბ ი |⁴³რ თ უ ე ლ ი ს ა თ ა მ ე რ { ა } ბ ი ს { ა } თ ა .

როსტომ მეფის ბეჭედი ლეგენდით: ქ. ყაენის ფერჴთა მტყუერი რ ო ს ტ ო მ მეფე ვამტკიცებ.

მოხელეთა დამტკიცებები:

ქ. ესე ბ(რძანე)ბა ასრ {ე} უნდა | გათავდეს. ოთხკუთხა ბეჭედი ლეგენდით: სახლისუხუცესი ც ი ც ი .

ქ. ეს ბ(რძანე)ბა ასრე უნდა | გათავდეს. ოთხკუთხა ბეჭედი ლეგენდით: „ქ ა ი ხ ო ს რ ო .

1677 წ. გიორგი XI-ისა და მისი ძმების დამტკიცებები:

ქ. ეს სიგელი ნასყიდობა და თარხნობა. ჩუენცა ასრე ვამტკიცებთ, ქ(ორო-ნი)კ(ონ)სა ტნიე, მარტის კთ (1677 წ. 29 მარტი).

ხელრვები: გ ი ო რ გ ი , ლ ე ვ ა ნ , ს უ ლ ე ი მ ა ნ

სპარსული ტექსტი:

1634 წ. 27 ივნისი – 26 ივნისი

هو

حكم عالی شد آنکه قریه شو علیا که قبل از این از گسٹشب براتلو بوده و [مه] راب نویسنده | غرغان اغلی بموجب سند علیحدہ از گسٹاشب خریداری نموده و الحال خرابه است مقرر فرمودیم | که مشارالیه آبادان نماید و رعایای که الحال بهم رسند ترخان بوده احدی بهیچوجه من الوجوه طلب و توقع از | رعایا آنجا ننماید مقرر آنکه اگر سفری واقع شود و لشکری جمع شود ایشان نیز حاضر شوند و اگر | به دید گور عبوری واقع شود خدمتی که از دست رعایا آید بکنند کدخدایان و رعایا حسب المسطور مقرر دانسته | مزاحمت نرسانند و چون حکم بمهر رسد اعتبار نمایند تحریرا فی | شهر محرم الحرم سنه ۱۰۴۴

სპარსული ტექსტის ბოლოს უზის როსტომის სპარსული ბეჭედი, აგრეთვე ქართული ტექსტის მხარეს სპარსული სარეგისტრაციო ბეჭედები: 1. ოვალური, წარწერით: „خاک قدم عالی منوچهر“: 2. „ო, უძღურთა შემწევ“. 3. ოთხკუთხი, გაურკვეველი წარწერით. იმავე გვერდზე, ქვემო მარცხენა კუთხეში დასმულია ოთხკუთხა სპარსული ბეჭედი, რომელშიც განიჩევა სიტყვა „ლოლამ“, მის ქვემოთ სარეგისტრაციო მინან-ერი: „نوشته شد“ – დაწერა; „ثبت شد“ – დამტკიცებულია“.

ის (ღმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე რომ, სოფელი ზ ე მ ო შ ა ვ ნ ი , რომელიც წინათ გ ო ს თ ა შ ა ბ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს იყო და მწერალს მ ე რ ა ბ ყ ო რ დ ა ნ ა შ ვ ი ლ ს ცალკე სანათის საფუძველზე ეყიდნა და ამჟამად გავერანებულია, ჩვენ დავადგინეთ, რომ ხსენებულმა [ყ ო რ - 5 დ ა ნ ა შ ვ ი ლ მ ა ე ს სოფელი] ააშენოს და გლეხები, რომლებიც იქ დასახ- ლდებიან, თარხანი იყვენ. არავინ არავითარ შემთხვევაში იმ ადგილის გლეხებს არანაირი სათხოვარი და გამოსაღები არ მოჰკითხოს. დადგენილ- ია, რომ თუ ლაშქრობა იქნება და ლაშქარი შეიკრიბება, ისინიც უნდა გა- 10 მოცხადდნენ [ჯარში]. და თუ დ ი დ გ ო რ ზ ე გავლა მოგვიხდა, უნდა გას- ნიონ ის სამსახური, რაც გლეხებს შეეძლება. ქეთხუდებმა და გლეხებმა დაწერილის თანახმად დადგენილად ცნონ, და არ შეანუხონ [გლეხები]. და როცა ბრძანებაზე ბეჭედი დაისმება, დაემორჩილონ მას.

დაინერა 1044 წლის მოჰარამის თვეში.

კომენტარი:

მერაბ ყორღანაშვილი – ქართლის სამეფო კარის მდივან-მწიგნობარი. სარგებლობდა ბაგრატ VII-ისა და სვიმონ II-ის წყალობით. მისი სამ- დივანმწიგნობრო საქმიანობა, ძირითადად, როსტომის სამეფო კართან იყო დაკავშირებული. იგი მეფესთან ერთად ყოფილა სპარსეთშიც, სადაც მას ერთგულად ემსახურებოდა (იხ. Qd-2432). სწორედ მასთან სიახლოვის და გამოჩენილი ერთგულების წყალობით მოახერხა საკმა-

ოდ დიდი ქონების დაგროვება. თავისი ყმა-მამულის რაოდენობა თვალ-
შისაცემად გაზარდა როსტომის წყალობათა შედეგად (იხ. Qd-2432;
სეა, 1450-1/6). მდივანმწიგნობრის სახელოს ფლობდა მისი ძმა პაატაც.

36

**1634 წ. 23 ოქტომბერი. სამამულო ღვინის
ბადაწყვეტილების წიგნი როსტომ მეფისა ღვინით და
რამაზ ღვინითისშვილებისადმი**

პირი: ხეც. Qd-9254, გადაწერილი XIX საუკუნეში პირების რეგულის.
1-2 გვ. თე თრი ფერის ქაღალდი, ზომა: 35,2X22,3 სმ. 4 ფრ. რესტავრირებული.
რუსული მმართველობის რეგისტრაციაში გატარებულია 1820 წელს.

პირები: ხეც: Qd-2825, Qd-8235, Qd-8237, Qd-9256.

თარიღი: ქორონიკონი ტკბ (322), ღვინობისთვის კგ, რაც უდრის
1634 წლის 23 ოქტომბერს.

საბუთის დამწერი: კარის მწიგნობარი ზურაბ ყორღანაშვილი.

გამოცემა: დოლიძე 1972: №19, გვ. 68-69.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, მეფეთ-მეფემან პატრონ-
მან როსტომ, და თანამემცხედრემან ჩვენმან, დედოფალთ-დედოფალ-
მან პატრონმან მარიამ, ესე ამიერით უკუნისამდე ჟამთა და ხანთა
გასათავებელი, მტკიცე და შეუშლელი, შეუცვალებელი სამკვიდროდ და
საბოლოოდ გასათავებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგინყალეთ და
გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერთგულსა და მრავალფერად ერთგულობით და
თავდადებით ნამსახურსა ყმასა და ვითის შვილს, ბოქაულთხუცესს
და ვითს და შვილთა თქვენთა, კოსტანტინეს და ელიზბარს,
და შვილთა და ჩამომავლობათა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა ჩვენსა და თქვენის ძმისწულის
რამაზის გარდაწყვეტილობის წიგნს გვიჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა
და მოხსენება თქვენი. მამულებზედ თქვენ და რამაზ ისარჩლებოდით,
საბრჭოთ და სასამართლოთ დაგისხედით ღ(მრ)თისა შიშსა ქვეშე, თვით
ჩვენ, მეფეთ-მეფე, პატრონი როსტომ და ქართლის კათალიკოზი
ბატონი ევდემ {ო}ზ, ერისთავი ზაალ-ბეგ და ამი-
ლახორი იოთამ და ბართაშვილი, დივანბეგი ყაფლან
და ბართაშვილი სარდარი ზურაბ.

სამართლიანის საქმით ფიცი და ვითს შევაგდეთ, გაუმძღვანეთ და -
ვითს საფიცრათ ფეისკოპოზი საგინაშვილი ბატონი ტფილელი ელისე,
ჩვენი ბოქაულთხუცესი ჯავახიშვილი როინ და მარაბელი
ქაიხოსრო, სააკაძე, ატენის მოურავი გიორგი.

მიჰყვა რამაზ მისის შვილებითა და და ვით დააფიცეს. გამოი-

ფიცა და ვით და გამოიტანა ფიცითა თავისი ნაშოვნი ჴელმწიფეთაგან. აზნაურ(ი)შვილები ერთობით: ტ ა ტ ი ა ნ ი მათის მამულითა, სოფელი ბ რ ო ნ ლ ე თ ი , მათი კერძისოფელი თ ი ხ რ ე ვ ი , სოფელი || ღ ვ ე რ - თ ე თ ი , მათი კერძი სოფელი თ ო რ მ ა ნ ე უ ლ ი , მათი კერძი სოფელი ნ უ ლ ი ციხით და სასახლითა, სოფელი ა ბ ა ნ ო , სოფელი ს ა ტ ი ვ ე , ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი ა ნ თ ა გ ა ნ ნასისხლი, სოფელი ნ ა ბ ლ ო ვ ა ნ ა , სოფელი ს ტ კ ო ც ა და რ ი კ ა ძ ე ბ ი მათის მამულით. გ ი ო რ გ ი ა მ ი რ ე - ჯ ი ბ მ ა ნ და და ვ ი თ ერთმანერთს სამართალი უნდა უყონ.

ესეები უკლებრივა და ვით გამოიფიცა და იმას დარჩა. ასრე რომე, არც რ ა მ ა ზ ს ა და მისთა შვილთა და სახლისა ჩამომავალთა რ ა მ ა - ზ ი ს თ ა , და ვ ი თ ს ა და მისთა შვილთა და სახლის ჩამომავალთანა, უკუნისამდე ჴელი აღარა ჰქონდესთ. ასდენ ერთს დარბაისელითა მოწმობითა, ისე საბოლოოვ გასათავებელი გარდანყვეტილობის წიგნი და სიგელი უბოძეთ.

ანე, ყოვლის კაცისაგან უცილებლათ, შემოუსარჩლებლათ, გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შიგან. არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომად მეფეთა და მეპატრონეთაგან. და ვინ იცის, რომე ამას წინანდელი და ან ამას უკანანდელი ამ გამ(ო)ფიცულის მამულების წიგნი და ნიშანი გამოჩნდეს, იგი ყოველივე სიგლითა ამით გაგვიცუდებია. მტკიცე და უცვალებელი წიგნი ესე არის.

ესე ბძანება და ნიშანი თქვენცა ასე დაუმტკიცეთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და მდივანო, და სხვანო მოსაქმენო, დღეს ვინგინდა-ვინ იყვნეთ და ანუ დღეის ნალმა ვინგინდა-ვინ იქნებოდეთ, მერმე, ესე ჩვენგან ნაბოძები გარდანყვეტილობის წიგნი და სიგელი თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ და დაუმკვიდრეთ, რომე, რაც ამა ჩვენგან ნაწყალობევს გარდანყვეტილობის ფარვანში ეწეროს. და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შეეცილებით თან(ა)დგომისა და შეწევნისაგან კიდე.

დაინერა ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკუბ, ღვინობისთვის კგ-სა, ჴელითა მდივან-მწიგნობრისა ყ ო რ ღ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ზ უ რ ა ბ ი ს ა თ ა .

ხელთვეები: რ ო ს ტ ო მ , მ ა რ ი ა მ

XIX საუკუნის მინანერერები:

- დეპუტატი თა(ვადი) მ ი რ ვ { ა } ნ ო ზ ე რ ი ს თ ა ვ ი .
 - კეთილშობილთ დეპუტატი თა(ვადი) და ვ ი თ ბ ა რ ა თ ო ვ ი .
 - კეთილშობილთ დეპუტატი თა(ვადი) გ ი ო რ გ ი ბ ა გ რ ა ტ ო ვ ი .
 - დეპუტატი თა(ვადი) გ რ ი გ ო ლ ვ ა ხ ვ ა ხ ო ვ ი .
- ნამდვილისა ამა სიგელისასა ამა ადგილას აზის ბეჭედი დეპუტატ სობრანი(ი)სა.

დეპუტატ სობრანიის დამტკიცებულს განაჩენისაგან არის გადმოწერილი ნამდვილად კოპიო ესე და პირდაპირ შეთანასწორებული ერთი-მეორისაგან, რომელთა დამტკიცებული კოპიო-ასლი ჩვენ მივიღეთ საქმეში სანარმოებლად საქმისა, რომელსა ზედაცა ხელს ვანერთ:

მედიატორე თავადი ს ვ ი მ ო ნ მ ა ჩ ა ბ ე ლ ი .
თავადი ღ ე ვ ტ ო რ მ { ა } ჩ { ა } ბ ე ლ ი .

მედიატორე ქ ა ი ხ ო ს რ ო ყ ი ფ ი ა ნ ი .

გ ო რ ი ს უჭზდის კეთილშობილთ დეპუტატი თა(ვადი) ი მ ი რ ვ { ა } ნ ო ზ
ე რ ი ს თ ა ვ ი .

კეთილშობილთ დეპუტატი თა(ვადი) დ ა ვ ი თ ბ ა რ ა თ ო ვ ი .

კეთილშობილთ დეპუტატი თა(ვადი) გ ი ო რ გ ი ბ ა გ რ ა ტ ო ვ ი .

დეპუტატი თა(ვადი) გ რ ი გ ო ლ ვ ა ხ ვ ა ხ ო ვ ი .

კომენტარი:

დავით დავითიშვილსა და მის ძმისშვილ რამაზს შორის სამამულო დავა მიმდინარეობდა. რამაზის მამა დავითის ნახევარძმა გიორგი იყო (რამაზ დავითიშვილისა და შავშეთის ბატონის ასულის ძე). დავითსა და მის ძმებს თავის ნახევარძმასთან კარგი ურთიერთობა არ ჰქონიათ. ფარსადან გორგიჯანიძე მოგვითხრობს, რომ „გიორგი იმათი უმცროსი ძმა გაეგდოთ და ერთი მსახურიც არ მისცეს“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 300). გიორგი იძულებული გახდა სამცხეში წასულიყო დედასთან, სადაც ბერად შემდგარა, თუმცა მალე დაუტოვებია მონასტერი და მდიდარ ქალზე დაქორწინებულა, ისე რომ სიმამრის მამულზე დამკვიდრებულა. გიორგის ვაჟმა — რამაზმა წილი მოითხოვა დავითიშვილთა მამულებში, თუმცა დავა მეფე როსტომმა დავითის სასარგებლოდ გადაწყვიტა. რამაზის და მისი შთამომავლების გამოყოფამ დავითიშვილებისგან საფუძველი ჩაუყარა რამაზიშვილთა ახალ საგვარეულოს (ნინიძე, 2004: 218-221).

1634. სახელმწიფოს წყალობის წიგნი როსტომ მეფისა დაჰითი დაჰითიშვილისაღმ

საბუთი დაკარგულია. წინამდებარე გამოცემაში გამოყენებულია ე. თაყაიშვილის პუბლიკაცია: სს, 1909, №189. გვ. 230.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკბ (322), რაც უდრის 1634 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი პაატა ყორდანაშვილი.

ქ. ნებითა და შენეენითა ღთისითა ჩვენ, მეფეთ მეფემან, პატრონმან როსტომ, და თანამეცხდრე(მან) ჩვენმან, დედოფალთ დედოფალმან, პატრონმა მარია მ, ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერდგულსა [და] მრავალფერად ნამსახურსა ყმასა დავითის შვილს პატრონს დავითსა და შენთა შვილსა, ბოქაულთუხუცესა, პატრონს ელიზბარს, და შვილთა და მამავალთა სახლის თქუენისათა, ყოველთავე.

მას ყამსა, როდეს მოგვიდევით კარსა და ზემო ახალ და ბის მოურჯახობას დაგვე)აჯენით, და ჩვენც ვისმინეთა აჯა და მოხსენება თქვენი და მოკითხული ვჰქენით და პირველად {ა}ც სამ{ო}ურ{ა}ოდ თქვენ გქონე-

ბოდა. და ანეც სიგელითა ამითა გაგიახლეთ. და გიბოძეთ ა ხ ა ლ დ ა ბ ი ს მოურ{აო}ბა ყოვლის კაცისაგან შემოუსარჩლებლად და მოუდევრად.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენს ერდგულად სამსახურსა შიგან.

ანე, გიბძანებთ, კარისა ჩვენის ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, მერმე ამა ჩვენგან ნანყალობევს ფარვანაში ენეროს, თქვენც ასრე გაუთავეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შე{ე}ცილებით, თან{ა}დგომისა და შენევენისაგან კიდე.

დაინერა წიგნი და ბრძანება ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკპ, ჴელითა კარისა ჩვენი(ს) მდივან-მწიგნობრის - ყო რ ღ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს პ ა ა ტ ა ს ი თ ა .

ხელრთვები: რ ო ს ტ ო მ , მ ა რ ი ა მ

თანადროული მინანერები:

ქ, ეს სწორე ს(ა)ვადაი არის, ღ(მერ)თი მომეცეს თავდებათ და ამისი დედანი აქ მე მაქვს, [დ ა ვ ი თ].

ქ. ეს ს(ა)ვადაი მე, ქ ა ი ხ ო ს რ ო - ბ ე გ ს წამიღია [ქ ა ი ხ ო ს რ ო].

კომენტარი:

დავითიშვილები – იხ. კომენტარი Sd-601-თან.

პაატა ყორღანაშვილი – იხ. კომენტარი 1448-3265-თან.

38

1634. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ბოსტაშაბა ბარათაშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი : სეა, 1448-3272; მხედრული; სიძველისაგან გაყვითლებული ქაღალდი; ზომა: 41X23 სმ., შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი; გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით; საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. სპარსული ტექსტი, შექასთეს ხელით შესრულებული, რვა სტრიქონად, მოთავსებულია საბუთის verso-ზე.

პ ი რ ე ბ ი : ხეც, Hd-13953; ხეც, Hd-10027.

თ ა რ ი ღ ი : ქორონიკონი ტკპ (322), რაც უდრის 1634 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მწიგნობარი მერაბ ყორღანაშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა : თაყაიშვილი, 1899, №353; ფუთურიძე, 1955, N 48, გვ. 108-109.

ქ. ნებითა და შენ{ე}ვნითა ღ(მრ)თის(ა)თა, ჩუენ, მეფემან პატრონმან რ ო ს ტ ო მ , |² ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენ|³სა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურს ყმას, ბ ა რ ა თ ა - შ უ ი ლ ს გ ო ს ტ ა |⁴შ ა ბ ს და შუილთა თქუენთა: ი ო ვ ა ნ ე ს , შუილთა და შუილისშუილთა, |⁵ მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე.

მას უამსა, ოდეს მოგუიდე⁶ გით კარსა და მამულის წყალობას დაგუ-
იაჯენით, ჩვენ ვისმინეთ ⁷ აჯა და მოხსენება თქუენი. და მოკითხული
ვექნით და მკუიდრად ⁸ და მამულად დ ი დ გ ო რ { ი } ს ძირს სოფელი
ა გ უ დ { ა } ნ ე თ ი თქუენი ყოფი⁹ლიყო, ჩუენცა ყოვლის კაცისაგან
უცილებლად და შემოუს{ა}რჩ¹⁰ლებლად, სამკუიდროთ და საბოლოვოდ
შეგინყალეთ და გიბოძეთ ¹¹ დ ი დ გ ო რ ი ს ძირს სოფელი ა გ უ დ { ა }
ნ ე თ { ი } მითთა, ბარითა, წყლითა, წის¹²ქუილითა, ველითა და ვენაჭითა,
სახნავ{ი}თა და უხნავითა, შენითა და ოჯ{ე}|¹³რითა, ნასყიდითა და უსყ-
იდითა, საძებრითა და უძებრითა ყოვლის |¹⁴ მისის ს{ა}მ[არ]თლიანის ს{ა}
ქმითა და სამძღურითა მითთ ბარამდის უნაკ¹⁵ლულოთ.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმ{ა}ნ ჩუენსა ერ¹⁶დგულად სამსახ-
ურსა შიგან.

ანე, უხედ{ა}ესთა მოგახსენებთ და უქ¹⁷ვედესთა გ(ი)ბ(რძანე)ბთ,
კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, |¹⁸ ანუ დღეის
წალმა ვინგინდა-ვინ იქ¹⁹ნებოდეთ, მერმე ეს ჩუენგან ნაწყალობევი სოფ-
ლის სიგელი, თქ²⁰უვენცა ასრე გაუთავეთ და დაუმტკიცეთ, რარიგ{ა}
დ{ა}ც ამა |²¹ ჩუენგან ნ{ა}წყალობევს ფარმ{ა}ნ{ა}ში ენეროს და ნუოდეს
ნუ |²² შეუშლით და შე{ე}ცილებით, არ{ა}ოდეს არ მოგეშალოს არ{ა} |²³
ჩუენგ{ა}ნ და არც შემდგომთ სხუათა მეფეთა და მეპატრონე²⁴თაგ{ა}
ნ და ვინ იცის, ან ამას წინანდელი ან ამას უკანდელი ამ სოფ²⁵ლის წიგნი
ქონდეს ვისმე{ს}, ამ ჩუენგან ნ{ა}ბოძები სიგლითა გა²⁶გუიციუდებია თან-
დადგომისა და შეწვენისგ{ა}ნ.

დაიწერა ბრძ{ა}ნება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკბ, ჴელითა
მნიგნობრისა - ყ ო რ დ ა ნ ა შ უ ი |²⁷ ლის მერ{ა}ბის ს { ა } თ ა .

მსხლისებრი ბეჭედი: ქ. ყაენის ფერწათა მტუერი როსტომ მეფე
ვამტკიცებ

სპარსული ტექსტი:

1634 წ. 29 მაისი – 26 ივნისი

هو

حکم عالی شد آنکه چون از قدیم الایام قریه اكدانت من اعمال براتلو از ابا و اجداد رفعت پناه اصلان
بیگ و گشتشاب بیگ بوده بنابراین از ابتدا ششماهه ایت نیل قریه مذکور را بنیول مشار الیهما مقرر
نمودیم رعایا قریه مزبور ایشانرا تیولدار با استقلال خود دانسته | حقوق دیوانی را موافق دستور العمل
گرجستان بدیشان و اصل ساخته چیزی موقوف ندارند و چون حکم بمهر عالی رسد اعتماد نمایند و در
عهده دانند تحریرا فی شهر ذی الحجه الحرم سنه ۱۰۴۳

სპარსული ტექსტის ბოლოს როსტომის სპარსული ბეჭედი წარწერით.
სპარსული სარეგისტრაციო ბეჭედები და სარეგისტრაციო მინაწერები ქარ-
თული ტექსტის გვერდზეა მოთავსებული. იმავე გვერდზე, ქვემო მარცხე-
ნა კუთხეში მიწერილია რამდენიმე სპარსული სიტყვა, რომლებშიც ირჩევა

სარეგისტრაციო მინაწერი: ثبت شد – „დამტკიცებულია“, სპარსულ სარეგისტრაციო ბეჭდებს შემდეგი მინაწერები აქვთ: [منوچهر] 1. – „აღის ფეხთა მტვერი [მანუჩარი], 2: ოვალური, წარწერით: يا معين الضعفا – „ო, უძლურთა შემწევ“.

ის (ღმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ, რადგანაც ს ა ბ ა რ ა თ ი ა - ნ ო ს სოფელია გ უ დ ა ნ ე თ ი ძველი დროიდანვე სიდიადის საფარველის - ა ს ლ ა ნ - ბ ე გ ი ს ა და გ ო ს ტ ა შ ა ბ - ბ ე გ ი ს წინაპრების იყო, ამიტომ, ჩვენ აღნიშნული სოფელი ძალის წლის ექვსთვეობის დასაწყისიდან 5 ზემოთხსენებულ [პირებს] დავუმტკიცეთ. ხსენებული სოფლების გლეხებმა ისინი თავიანთ სრულუფლებიან თიულდარად უნდა ცნონ და ს ა ქ ა - რ თ ვ ე ლ ო ს დასტურლამალის თანახმად, სახელმწიფო გადასახადი მათ უნდა გადასცენ და გადაუხადონ დაუბრკოლებლად და როცა ეს ბრძანება მაღალი ბეჭდით აღიჭურვება, დაემორჩილონ მას და [მისი შესრულება] თავ- 10 იანთ ვალდებულებად აღიარონ. დაინერა 1043 წლის ზი-ჰიჯჯას თვეში.

კომენტარი:

გოსტაშაბ ბარათაშვილი – პროირანული ორიენტაციის ფეოდალი. ერთგულად ემსახურებოდა სვიმონ II-ს, რის გამოც მიიღო მამამისისა (იოანეს) და ბიძაშვილის (ყაფარბეგის) ქონება. როსტომის გამეფების შემდეგ მისი მხარდამჭერი იყო. სამცხეში როსტომის დავალებით გაგზავნილი მის „სამსახურზედ შეაკუდა“. გოსტაშაბის შვილია პაპუნა გოსტაშაბიშვილი (ჯამბურია, 1955: 44-45).

39

1634 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ქაიხოსრო ბარათაშვილისადმი

პ ი რ ი : სეა, 1450-12/119. გადაწერილი დედნიდან რუსული მმართველობის პირების დავთარში.

საბუთის თ ა რ ი ღ ი : ქორონიკონი ტებ (322), რაც უდრის 1634 წელს.

საბუთის და მ წ ე რ ი : მწიგნობარი მერაბ ყორღანაშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა : გოგოლაძე, 2016/2017, გვ. 116.

[ქ.] ნებითა და შენევნითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფემან პატრონმან როსტომ, და თანამეცხედრემან ჩუენ{მან}, დედოფალმან მ ა რ ი ა მ , 5 ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩუენსა ერდგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა, სახლთუხუცესა ქ ა - ი ხ ო ს რ ო ს და შვილთა თქუენთა, ბ ა რ ა თ ა ს ა და მამავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და მამულის წყალობას გუიაჯენით, ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და შეგინყალეთ და გიბოძეთ ჩუენს სახასოს სოფელში, ე ნ { ა } გ ე თ ს ს { ა } დ უ ნ ა - შ უ ი ლ ი ს გ ი ო რ გ ი ს შუილები ერთობით, რის{ა}ც მამულის მქონე-ბელნი არიან წყალითა, წისქულითა, ველითა, ვენაჭაითა, სახნ{ა}ვითა და უხნავითა შენითა და ოჭრითა, ნასყიდითა და უსყიდითა, ს{ა}ძებრითა და უძებრითა, ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა და სამძღუერითა, მითთ ბარამდის უნკლულოთ სამკუქი{დროთ და საბოლოოც}ოთ.

5

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერთგულათ სამსახურსა შიგან. ანე, გ(ი)ბ(რძანებ)თ კარისა ჩუენის ვექილ-ვეზირნო და სხუანო მო-საქმენო, დღეს ვინგინდა-ვინ იყვნეთ და ანუ დღევს ნაღმა ვინ გინდა ვინ იქნებოდეთ, მერმე ჩვენი ესე ნაწყალობევე[ი] წყალობისა წიგნი თქუენი{ი} ასრე გაუთავეთ, რომე რარიგ{ა}დ{ა}ც ამა ჩუვენგან ნ{ა}ბოძებს ფარვ{ა} ნში ენეროს. და ნუოდეს ნუ შეუშლით და შექეცვილებით თანადგომისა და შენვენისაგან კიდე.

10

15

დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკბ, ჴელითა მნიგნო-ბრისა ყ ო რ ღ ა ნ { ა } შ უ ი { ლ ი } ს მ ე რ ა ბ ი ს ა თ ა .

დედანს ჰქონია ხელრთვები: რ ო ს ტ ო მ , მ ა რ ი ა მ

კომენტარი იხ. Hd-14651-თან.

40

1634 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ახალშენელ ბეჟან ასაშვილისადმი

პ ი რ ი : სეა, 1450-49/92.

საბუთის თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკბ (322), რაც უდრის 1634 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბიძეთ ჩვენ, მეფემან პატრონმან რ ო ს ტ ო მ , თქვენ, ჩვენსა ერდგულსა ყმასა, ა ხ - ა ლ შ ე ნ ე ლ ს ა ს ა შ ვ ი ლ ს ბ ე ჟ ა ნ ს , მამაშენს ი ა ს ა ს ა , ბიძაშენს პ ა პ ა ნ ა ს ა და ძმასა შენსა, ო თ ი ა ს ა და მ ა ზ ი ტ ა ს ა , შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა, ყოველთავე.

5

ასრე, რომე მოგვიდეგით კარსა და სითარხნის წყალობასა გვიაჯენით. და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენნი, ჩვენთვის სახოსოდ დაგიჭირეთ და არც გ ლ უ რ ჯ ი ძ ე ს ა და არც სხუას ა ხ ა ლ შ ე ნ ი ს მებატონეს თქვენ-თან ჴელი არა ჰქონდეს. და კიდევ ასრე გითარხნეთ და გითავისუფლეთ შენი სახლი, რომე არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხ-ოებოდეს-რა: არა ღალა, არა კულუხი, არა საბალახე, არა კოდის პური., არა პირისთავი, არა სამეფინიბო, თივა-{სა}ბა{ლა}ხე, არა სხუა სასოფლო

10

ნურიქლმანი სათხოვარი და გამოსაღები, არა სეფეობა, არაფქერისთანა არ გეთხოვოდეს-რა.

5 გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მან) ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შინა და გიბ(რძანე)ბთ კარისა ჩუენით წარვენელინო, ყოველი ჩვენი გამოსაღები ამოგვიკვეთია და ნურავინ-რა სთხოვ(ო)თ და ნურცა რას აქნევინებთ.

დაინერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკბ, ჳელითა კარისა ჩუენისა, მდივან-მწიგნობრისა - თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ ვ ე ლ - ი ს ა თ ა .

დედანს ტექსტის შუაში და ბოლოში ესვა სპარსული ბეჭედები.

41

1634 წ. როსტომ მეფის თარხნობის წიბნი კავთისხეველ იმეღა იმნაძისაღმი

დ ე დ ა ნ ი : ხეც. Ad-931; მოყვითალო ფერის ეტრატბი, გრაგნილი, ზომა: 36X17,8 სმ. შავი ფერის მეღანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთის დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. ტექსტს ახასიათებს ა-მეტობა და ა-ნაკლებობა. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1820 წლის 29 ოქტომბერს.

პ ი რ ი : სეა, 1450-32/290.

თ ა რ ი ლ ი : ქორონიკონი ტკბ (322), /1634 წელი/.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : კარის მწიგნობარი მერაბ ყორდანაშვილი.

ქ. ნებითა და შენქევენითა ლ(მრ)თის(ა)თა, ჩუენ, მეფემან პატრონმქან როსტომ, ესე² წყალობისა და სითქარხნისა წიგნი და ნიშქანი შეგიწყალეთ და გ(ი)ბ(ო)ძენით³ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა და თავდადებით მრქავალფერად ნამ⁴სახურსა ყმასა, კ ა ვ თ ი ს ჳ ე ვ ე ლ ს ი მ ნ ქ ა } ძ ე ს ი მ ე დ ა ს ა , ძმასა შენსა ც ი ხ ო ვ ე | ⁵ ლ ს ა დ მ ა მ ი ს ი მ ე დ ს ა და ბ ე რ ი კ ა ს ა და მომქავალთა სახლისა თქუენ⁶ისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და სით⁷არხნის წყალობას დაგუიაჯენით, ჩუენცა ვისმინეთ აჯა და⁸ მოხსენება თქუენი და შეგიწყალეთ და გიბოძეთ სითარხნე, ასრე⁹ რომე, არასფერისთქანა სქაჩუენო სქათხოვარი და გამოსქაღები არა გეთხო¹⁰ვებოდეს-რა: არა ღალა, არა კულუხი, არქა ბაშმქალი, არა ულაყი და¹¹ არა ტიკი და ტომქარა, არა ფურის ერბო, არა გოჭი, ქათქამი,¹² არა მუშქაობა, არა სქაბალახე, პირისთქავი და შიშლიგი. სასოფლო, ნურიღმანი¹³ სქათხოვარი და გამოსქაღები, თუინიერ ერთის სქათათროს სქა¹⁴ურისა და ლამქარ-ნქადირობისგქან მეტი.

ანე, გქონდეს და¹⁵ გიბედნიეროს ღმერთმან ჩუენსა ერდგულათ სამ-
სახურ¹⁶სა შიგან.

ანე, გ(ი)ბ(რძანე)ბთ კარისა ჩუენისა ვეზირ-ვექილნო და¹⁷ სხუანო მო-
საქმენო და კ ა ვ თ ი ს ჯ ე ვ ი ს მ ო უ რ { ა } ო და სხუანო ჯელი¹⁸ს{ა}ნო,
დღეს ვინგინდა-ვინ იყვნეთ და ანუ დღევის წაღმა ვინ¹⁹გინდა-ვინ იქნე-
ბოდეთ, მერმე ესე ჩუენგ{ა}ნ ნაწყალობევის სით²⁰{ა}რხნის წიგნში რაც
ენეროს, ნუოდეს ნუ შეუშლით და²¹ შე{ე}ცილებით, თქუენცა ამრიგ{ა}
დ გაუთავეთ. [ნურვინ შეეცილებით] თვნიერ თან{ა}დ²²გომისა და შენვე-
ნის{ა}გან კიდე.

დაინერა ბრძ{ა}ნება და ნიშ{ა}ნ²³ი ესე, ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკბ, ჯელ{ი}
თა კარისა ჩუენისა მწიგნობრისა²⁴ ყ ო რ დ ა ნ ა შ უ ი ლ ი ს მ ე რ { ა }
ბ ი ს { ა } თ ა .

ხელრთვა: ||²⁵ რ ო ს ტ ო მ

დამტკიცებულია სპარსული ბეჭდებით: ერთი – 21-ე სტრიქონზე; ორი –
მრგვალი და ოთხკუთხა საბუთის ბოლოს.

კომენტარი:

იმნაძე//ინაძე იმედა – როსტომ მეფის მეჯინიბე. ჩანს, გამოჩენილი ერთ-
გულებსთვის როსტომმა გამეფებისთანავე განუახლა მოშლილი სამ-
კვიდრო მამულის – პეტრაულის წყალობა (იხ. Qd-1481), ხოლო ზე-
მომოყვანილი დოკუმენტის თანახმად, გაათავისუფლა ყველანაირი
გადასახადისგან, გარდა ლაშქრობა-ნადირობისა და საურისა.

**1634 წ. პირობის წიგნი როსტომ მეფისა
კოსტანდილუ და ელიზბარ დავითისშვილებისადმი**

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Hd-14699; მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა:
17,9X17 სმ. შავი ფერის მეღანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი:
ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთის
თავი დაზიანებულია და გრაფემების ნაწილი დაკარგულია. ასეთი
ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკბ (322), რაც უდრის 1634 წელს.

ქ. ნებითა და შენვენითა [ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემა]²⁶
პატრონმან რ ო ს ტ ო მ , და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალ³
დედოფალმან, პატრონმან მ ა რ ი ა მ , ესე წყალობისა⁴ და საბოლო{ო}დ
გასათავებელი წიგნი და ნიშანი შე⁵გინწყალებთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა

ერდგულთა⁶ და წესისებრივ თავდადებით მრავალფერად ნამს{ა}ხ⁷ურთა ყმათა, და ვითიშვილს კოსტანდილეს და ელი⁸ზბარს, და თქუნთა შვილთა.

ასრე და ამა პირსა ზედან,⁹ რომე ბრეთს სამკუიდრობით ირჩოდით და იმი¹⁰ს წყალობას გუიაჯენით და ჩუენც ამ წესით გუი¹¹ბოძებია, რომე, თუ ავალიშვილი ქაიხოსრო საყმო¹²დ არ შემოგუირიგდეს, არაოდეს არ მოგიშა¹³ლოთ და არც გამოგართოთ. გქონდეს და გიბედნი¹⁴ქეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულ{ა}დ სამს{ა}ხურსა შინა.

დაინე¹⁵რა ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკბ.

ხვეული ხელრთვები: ¹⁶ როსტომ, მარიამ

იხ. კომენტარი საბუთთან ხეც, Sd-556-ა.

43

1634 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა და 300 დავითიშვილისაღმ

დედანი: ხეც, Sd-567; მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 25X13,5 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთის თავი დაზიანებულია და შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თარიღი: ქორონიკონი ტკბ (322), რაც უდრის 1634 წელს.

[ქ. ესე წყალობისა] წიგნი და ნი²შანი [შეგნყალეთ] და გიბოძეთ ჩუენ, მეფემან პატრონმან როსტომ, ³ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა და მრავალ⁴ფერად თავდადებით ნამსახურთა ყმათა, და ვითი⁵შვილს და ვითს და თქუნთა შვილთა,⁶ კოსტანდილეს და ელიზბარს. ასრე და⁷ ამა პირსა ზედან, რომე ამას წინათ⁸ თქუენს ნარძლევს დაეგირავებინა თქუენი მკვიდრი მამული თიჯრევი და ნამორადი⁹სათვის მიეცა. და ჩუენცა მოკითხული¹⁰ ვქენით და დედაკაცს მამულის გასყიდვა არ¹¹ ეხელყოდათ და გაერიგა. თქუენი სოფელი თიჯრევი ისრევ თქუენ გიბოძე¹²თ და დაგანებეთ ყოვლის კაცისაგან უ¹³ცილებლად და მოუსარჩლელად.

გქონდეს და¹⁴ გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულა¹⁵დ სამსახურსა შინა.

დაინერა ბძანება და ნ¹⁶იშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკბ.

ერთი ჩუენი წი¹⁷გნი ნამორადე [ე]ბს ჰქონდა და მამული სამკუიდრო ¹⁸და ვითისა იყო და არას ემართლებოდა. და ¹⁹ნამორადის წიგნი ამითა გაგუიციუდე²⁰ბია და მტკიცე ესე ოდენი არ[ს].

უზის როსტომის მცირე ზომის, ოთხკუთხედი სპარსული ბეჭედი ლეგენ-
დით: *همت سلطان صفی شاه زمین و زمان آتف بنده را خسرو رستم نشان داد* – „ქვეყნისა და
დროის ხელმწიფემ, დიდსულოვანმა შაჰ სეფიმ წყალობა მოიღო მის მონაზე და
ხოსროს როსტომი მიწოდა.“

კომენტარი:

საბუთი საინტერესოა შუა საუკუნეების საზოგადოებაში ქალის სამართ-
ლებრივი უფლებების თვალსაზრისით. მართალია, დავითიშვილების
ნარძლევს მამული დაუგირაგებია, მაგრამ არ გაუყიდა. მიუხედავად
ამისა, მეფე მაინც საყვედურობს, რომ „დედაკაცს მამულის გასყიდვა არ
ეხეცოდა“. როგორც ჩანს, ქალს არც დაგირაგების უფლება ჰქონდა.
ამიტომ თიჯრევი დავითიშვილებს დაუბრუნდა.

44

**1635 წ. 14 ივნისი. წყალობის წიგნი როსტომ
წევისა თაყა თუმანიშვილისადმი**

დ ე დ ა ნ ი : ხეც. Ad-972; თხელი თეთრი ქაღალდი, ზომა: 46X10 სმ.
შავი ფერის მელანი, მხედრული; ტექსტი ქართულ-სპარსული, სპარსული
ტექსტი, შექასთეს ხელით შესრულებული, ხუთ სტრიქონად, მოთავსებუ-
ლია verso-ზე.

პ ი რ ე ბ ი : ხეც. Hd-14676, 2 ფრ.; Qd-9037 (რღ); სეა, 1450-3/197.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკგ (323), თიბათვის იდ, რაც გვაძლევს 1635
წლის 14 ივნისს.

გ ა მ ო ც ე მ ა : ფუთურიძე 1955: №52, გვ. 118-120.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : სამეფო კარის მწიგნობარი მერაბ ყორღანა-
შვილი.

ქ. ნებითა და შეწვევითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან პატრონ-
მან² როსტომ და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთა-დედო-
ფალმან³ პატრონმან მ ა რ ი ა მ , ესე ამიერთ უკუნისამდე ჟამთა და
ხანთა⁴ გასათავებელი, მტკიცე და შეუშლელი და შეუცვალებელი⁵ წყ-
ალობისა წიგნი და სიგელი შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქუენ⁶, ჩუენსა ერდ-
გულსა და მრავალფერად და წესისებრივ ნამსახუ⁷რთა ყმათა, თ უ მ ა ნ -
ი შ უ ი ლ ს თ ა ყ ა ს ა და ძმათა თქუენთა, მდივან⁸ ბ ი რ თ ვ ე ლ ს ა
და მ ა ნ უ ჩ ა რ ს და დ ა ვ ი თ ს , შუილთა თქუენთა ბ ა ი ⁹ნ დ უ რ ს და
გ ი ო რ გ ი ს , ნ ა ს ყ ი და ს ა და მ ა მ უ კ ა ს ა , შუილთა და შივილის-
შუილთა სახლისა ჩამომავალთა თქუენისათა, ყოველთავე¹⁰.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და მამულის წყალობას¹¹ დაგუ-
იაჯენით, ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგი¹² წყალეთ და
გიბოძეთ ს ო მ ხ ი თ ს ამოვარდნილის რ ა მ ა ზ ა ს ი და გ ო ჩ ი ა ს |¹³

კერძი მამული, რისაც მქონებელნი ჯ ი ლ ი ზ ა ს სოფელში ყოფილ¹⁴ან, ყოვლის მისის სამართლიანის სამძღურითა და საქმითა, წყლითა¹⁵, წისქულითა, ველითა და ვენახითა, ნასყიდითა და უსყიდი¹⁶ თა, სჯაქებრითა და უძებრითა, ყოვლის მისის სამართლიანითა, უნაკლ¹⁷ულოთ, ვიდრე მთითა ბარამდის.

გქონდეს და გიბედნიეროს¹⁸ ლ(მერ)თ(მან) ჩუენსა ერდგულათ სამსახურსა შიგან.

ანე, უზედესთა¹⁹ მოგახსენებთ და უქვედესთა გიბრძანებთ, დიდნო და მცირენო და კარისა²⁰ ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და ს ო მ ხ ი თ ი ს ტარულანო და მელიქნო²¹, და სხუანო მოსაქმენო, დღეს ვინგინდა-ვინ იყვნეთ და ანუ დღეის²² ნაღმა ვინგინდა-ვინ იქნებოდეთ, მერმე, ესე ჩუენგან ნაბოძები მამ²³ულის წიგნი და სიგელი თქუენცა ასრე დაუმკუიდრეთ და²⁴ დაუმტკიცეთ, რომე, რარიგადაც ამა ჩუენგან ნაწყალობევს ფარ²⁵ვანში ენეროს. და ნუოდეს ნუ შეუშლით და შექეცილებით.²⁶ არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არც შემდგომად²⁷ სხუათა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

ვინ იცის, ან ამას წინანდელი²⁸ და ან ამას უკანდელი ამ მამულის წიგნი გამოჩნდეს, ამა ჩუენგან²⁹ ნაბოძებს სიგლით გაგუიცუდებია და მტკიცე ოდენი ესე არის, |³⁰ თუივინიერ თანადგომისა და შეწვენისაგან კიდე.

დაინერა ბრძანე³¹ ბა და ნიშანი ესე ქ(რონონი)კ(ონ)სა ტკგ, თიბათვის იდ, ჴელითა კარისა³² ჩუენისა მწიგნობრისა ყ ო რ ღ ა ნ ა შ უ ი ლ ი ს მ ე რ ა ბ ი ს ი თ ა , ესე³³ ასრე გაგითავდეს.

ხვეული ხელრთვა: რ ო ს ტ ო მ

გვიანდელი მინაწერები:

ქ. ამ წყალობის წიგნის ასლი, მე, თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს , მდივნის გ ო რ - ჯ ა ს პ ი ს შვილს, მ ა ნ უ ჩ ა რ ს ა მაქვს.

ამა წყალობის ფარვანზე თათრული ბრძანება და წყალობა ენერა და ეგრეთვე ბეჭედიც იჯდა.

ქ. მეფესგან ნაბოძები წყალობის წერილის ასლიდგან უმეტნაკლებო გადმოვნერე. უღირსი მღვრდელი ტ ე რ ს ვ ი მ ო ნ ტ ე რ ო ს ე ფ ო ვ ი მ ო ღ ნ ი ნ ი ს ეკლესიისა.

რ ო ს ტ ო მ მეფისაგან ნაბოძები წყალობის წიგნის პირი არის, ჯ ი ლ ი ზ ი ს სოფლისა.

სპარსული ტექსტი:

1635 წ. 17 სექტემბერი – 16 ოქტომბერი

საბუთის verso - ზე მოთავსებულია 5 სტრიქონიანი სპარსული ტექსტი, სპარსული ტექსტის ბოლოს უზის როსტომის სპარსული ბეჭედი.

حكم عالی شد آنکه بنا بر توجه عالی در باره دولت‌امان برتل و تقی و منوچهر و جمشید از ابتدا ۱۴ سنه تنگوز نیل آنچه سابقا در جلیز نیول کوچی و رمضان مقرر بوده که نیول برتیل و بر [د]ران مذکور فوق مقرر نمودیم | رعایا قریه جلیز عن حصه کوچی و رمضان ایشان را تیولدار خود دانسته مالوجهات و حقوق دیوانی | موافق معمول الکاء تمخت بدیشان جواب گفته چیزی موقوف و مختل ندارند و چون حکم بمهر عالی رسد | اعتبار نمایند تحریرا فی شهر مهرم الحرام سنه ۱۰۴۵

ბოლოში უზის როსტომის სპარსული ბეჭედი. ქართულ ტექსტზე დარტყ-
მულია ოვალური ფორმის სპარსული ბეჭედი წარწერით: يا معين الضعفا „ო, -
უძლურთა შემწევ“.

ის (ღმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანება, რომ ბედნიერების საფარველთა: ბ ი რ თ -
ვ ე ლ ის , თ ა ყ ა ს , მ ა ნ უ ჩ ა რ ის ა და ჯ ე მ შ ი დ ის მიმართ მაღა-
ლი ყურადღების მიპყრობის გამო, ჩვენ, ბ ი რ თ ვ ე ლ ს ა და ზემოთხსენ-
ებულ [მის] ძმებს ღორის წლის დასაწყისიდან თიულად დაუგმტკიცეთ ის,
რაც წინათ [სოფელ] ჯ ი ლ ი ზ ა შ ი გ ო ჩ ა ს და რ ა მ ა ზ ის თიული 5
იყო. სოფელ ჯ ი ლ ი ზ ა ს გ ო ჩ ა ს და რ ა მ ა ზ ის წილმა გლეხებმა
ისინი [დასახელებული თუმანიშვილები] თავის თიულდარად [უნდა] ცნონ,
ს ო მ ხ ი თ ის ო ლქმი მოქმედი წესისა და რიგის მიხედვით მალუჯათი და
სახელმწიფო გადასახადი გადაუხადონ, არაფერი დაუკავონ. და როცა [ეს]
ბრძანება მაღალი მეჭდით აღიჭურვება, დაემორჩილონ მას. 10
დაინერა 1045 წლის კურთხეული მოჰარამის თვეს.

კომენტარი:

თუმანიშვილები – ქართლის თავადები, სამეფო კარის მდივან-მწიგნო-
ბრები. ამ თანამდებობაზე მათი საგვარეულოს წარმომადგენლები უკვე
XV საუკუნიდან ჩანან. ისინი მამულებს ფლობდნენ შიდა ქართლში,
რომელსაც მეფისადმი გამოჩენილი ერთგულების გამო იღებდნენ. ისი-
ნი მხარს უჭერდნენ სვიმონ II-ს და ყველაზე კრიტიკულ მომენტებშიც
მის გვერდთ იდგნენ (იხ. დოკუმენტური წყაროები, 2019: 196-197).
თაყა თუმანიშვილი მხოლოდ 1607 წლის საბუთში ჩანს მდივან-მწიგნო-
ბრად. ბირთველ თუმანიშვილი მოღვაწობდა მეფეების: სვიმონ II-ის,
როსტომისა და ვახტანგ V შაჰნავაზის კარზე. იგი იყო მდივან-მწიგნო-
ბარი, შემდეგ მდივანთუხუცესი. მას აქვს მკვეთრად გამორჩეული
ხელწერა და დამახასიათებელი კალიგრაფია. მდივანი იყო მანუ-
ჩარიც, ამასთანავე ფლობდა მერიქიფეთხუხუცესისა და მორდალის
სახელოებს.
ნიშანდობლივია, რომ თუმანიშვილებისადმი ბოძებულ საბუთებს სხვა
გვარის წარმომადგენელი წერდა, მოცემულ შემთხვევაში, მერაბ ყორ-
დანაშვილი. ისევე, როგორც ყორდანაშვილები თვითონ არ წერენ მათ-
თვის ბოძებულ წყალობის წიგნებს.

**1635 წ. 10 სექტემბერი. წყალობის წიგნი
მეფისა პაატა და მერაბ
ქორღანაშვილ-იარაღაშვილებისადმი**

პირი: ხეც, Qd-2432; ქაღალდის 4 ფრ. შავი მელანი, მხედრული, საბუთი გადაუწერიათ 1862 წელს, რაზედაც მიუთითებს თავში და მე-2 გვერდის recto-ზე დასმული რუსული ბეჭდები. საბუთის პირს ახლავს ნასთალიკის ხელით შესრულებული ექვსსტრიქონიანი სპარსული ტექსტი. დედანი წარუდგენიათ რუსულ მმართველობაში 1817 წლის 12 აპრილს, გაუტარებიათ რეგისტრაციაში 1820 წლის 22 აპრილს ნომრით №3899. ბოლოში მოთავსებულია აგრეთვე 1863 წლის 30 ივლისით დათარიღებული სხვა რუსული მინაწერი და დასმულია წითელი ფერის რუსული ბეჭედი.

პირი: სეა, 1450-1/6.

თარიღი: ქორონიკონი ტკვ (323), ენკენისთვის I, რაც უდრის 1635 წლის 10 სექტემბერს.

საბუთის დამწერი: კარის მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმან-იშვილი.

გამოცემა: ფუთურიძე, 1955, N53, გვ. 120-124.

[ქ.] ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თის(ა)ითა, ჩვენ, მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ, თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან მარიამ, ასე ამიერთ უკუნისამდე ჟამთა და ხანთა სამკვიდროდ და საბოლოოთ გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და სიგელი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა მკვიდრსა და ვალდებულთა და თანამკვიდრთა, ერთგულთა და მრავალფერათ თავდადებით {ნამსახურთა} ყმათა: ყორღანაშვილთა-იარაღლის შვილსა პაატასა და კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრისა და ჩვენისა ერთგულობისათვის თავგარდადებულსა ყმათა მერაბს, მეჯოგე{თ}უხუცეს პაპუნასა, ყაფიჩს ქაინდავლეს, გარსევანას, სიაუშს, ფრიდონას, შვილთათქვენთა, როსებს, შავქელს და იარაღის, ზაალს და ბეჟანს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდექით კარსა, თქვენისავე მამისა და პაპის სამკვიდროს მამულსა და ნასყიდობის წიგნსა და სიგელს გვეაფენით. ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ, და მოკითხული ვქმენით ჩვენთა მამა-პაპათა და ჩამომავალთ ხელმწიფეთაგან დამკვიდრებული და ნაბოძები სიგ{ე}ლები.

გინახეთ ყოვლის თქვენის სამკვიდროსა და შემატებულისა და ნასყიდობისა, ჩვენცა შეგინყალეთ და სიგლითა ამითა დაგიმტკიცეთ და საბოლო დაგიმკვიდრეთ სიგელი ესე სამართლიანი, თქვენი მამისა და პაპის მამული ენაგეთს, რისაც მქონებელი იყვნეთ სახასოსა ანუ გლეხებისა და ანუ საკომლოსა და ანუ ნასყიდებისა; აგრეთვე არდასუბანს, აგრ{ე}ვე

ციხეც; კიდევ ერთი საგლებო სოფლის მეოთხედი თქვენისავე განაყოფის, ამოვარდნილის გერმაწნოზანის კერძი, ბარათაშვილისავე გერმანოზის და მისთა შვილთაგან მოსყიდული, უკლებრივ მით ბარამდე; იქივე ენაგეთს თქვენი მამული, მერაბისაგან ერთგულობითა და ნამსახურობითა ყვენის კარიდამე ნაშოვნი მთელი მამული, 5 მით ჭურ-მარნით, მითთა ბარამდინ უნაკლულად; დურნუკის ბოლოსანორი, ნასოფლარი ჯიგრაშენი და მისი სამძღვარი, ერთგნით ქვემო მხარი, ქალაქური შარა რომ ლოდოვნის თავს გამოიარს, იმას ზედა არის, და მეორე — ლუინჭრობი დამ შარა შემოივლის, ბრინჯის ხეს ზედა არის სამძღვარი მეფის სარბევის ფარს (?) რომე პატარა ღელე 10 ჩა[იარ]ს, იგი. არის კიდევ ელისის — ჯავახიანთაგანსაჰაჰკჰაჰძიხის გორაზედ მისყიდული სოფელი ნოდორეთი — დაგიმკვიდრეთ და საბოლოთ; აგრევე, ქციხის გაღმა, ამოვარდნილის ბარათაშვილის იოპის კერძი სოფელი შოშილეთის საკუამლო არი, ამოვარდნილის კაცის მამული რომ დარჩეს, ხელმწიფისა არის. 15

ჩვენს ძმას, პატრონს ბაგრატ მეფესა და ჩვენს ძმისწულსა პატრონს მეფე სვიმონს, არდაზიანდიშვილის გიორგის და პაპუნა [სათვის ებოძა. და] გარდაცულილიყვნენ, და მათი აღარ დარჩომილიყო. ისინი, რისაც მამულის მქონებელნი ყოფილან ანუ ბარსა და ანუ მთასა, რაც ეყიდათ, თქვენთვის ებოძებინა. და ჩვენც დაგიმკვიდრეთ ყოვლის კაცისაგან უცილებლათა და შემოუსარჩლელათ: 20 ნოდორეთი ჯავახიანთაგან ეყიდათ. ორი იმაზედ მსახლობელი გლეხი, მირიანაშვილი პაატა, მეორე — შობაშვილი ქემაროზა მთაში ნაოხარის მინდვრითა. კიდევ, თავითგან ჩვენი სახასო ყოფილიყო და მერმე არდაზიანის შვილების ნაქონი 25 ვერის ხევში სოფელი ვანანი, ერთი გლეხი და ერთი ნაოხარი საკუამლო; ჩვენივე სახასო ნაოხარი ნასოფლარი მოქრისი, ნაოხარი ფიცხისი.

კიდევ მერაბ ძმათაგან რომელსავე ყოფილიყო, და ცალკე ყოფაში ჩვენს ძმისწულს, მეფე სვიმონს, ნაოხარი ზემო შავნი ებოძებინა. მერმე ბარათაშვილი გოშტაშაბ შემოსცილებოდა, 30 გოშტაშაბისაგანაც ეყიდათ. მერაბამ გოშტაშაბისაგანაც მონასცილობის წიგნიც გვიჩვენა. ჩვენცა ხელახლა სამკვიდროთ და საბოლოთ დაუმკვიდრეთ და დაუმტკიცეთ კილოვნის ხევს მისის მონასტრითა, რასაც ის ხევი შეიტანს; დიდგორზედ სადილმო 35 შარამდისინდასხალხორი დამე რომედ დიდგორის შარა შემოივლის, ქუეშეთი [ს] ბოლოს სამძღვარი, სარნივის ხევი [ს] შარამდი და რასაც ის შარა შეიტანს, მოქრისის სამძღვრამდისინ.

კიდევ — ცალკე ყოფაში, დიდსა შიმშილობაში, ვანელი მემკვიდრის გლეხის იორდანასაგან, იორდანასივე ნასყიდი ერთი 40 სასახლე მერაბისთვის მოეყიდა მისის ყოვლის გარეშემოთი, უკლებრივ ოთხის დღის მინა. ორის დღის სასახლის კარში და ორის დღისა შარას ზედათ გრძელს მინებში.

კიდევ ყ ი ზ ი ლ ბ ა შ ი ს ქვეყანას მ ე რ ა ბ თან გუახლდა გაუყრელათ და ერთგულათ გვემსახურა და უცხო ფერათ ჩვენზედ ბევრიგათ ნამსახური და ვალდებული იყო. ჩვენცა სამსახურსა და ერთგულობის მუქაფათ და ჯილდოთ შეგინყალეთ და გიბოძეთ ამოვარდნილის მ ი ნ ო ბ ლ ი ძ ი ს

5 სამკვიდრო მამული სოფელი გ უ დ ა ლ ე თ ი მისის მონასტრითა, სასახლ-ითა და სასახლის ხოდაბუნებითა, და მეფეთაგან მინდორში ხატისთვინ შე-წირულის მიწებით, შ ე შ ა ბ ე რ ი ძ ე ს ზედათ ურია-ყოფილი ა ლ მ ა ხ ა რომ სახ(ლ)ებულა, ჩვენი სახასო, რისაც მამულის მქონებელი ყოფილი-ყო; ა ლ მ ა ხ ა , მთით ბარამდისინ უნაკლულთ, ნ ი ნ ა რ ე ხ ი ს ბოლოს

10 ს ა ა კ ა ძ ი ს მ ო ვ რ ა ვ ი ს ა ნაქონი სასახლე და ზვარი.

ესე ამ რიგათ ერთობით და ხელშეუალეზლად ხ ა ტ ი ს წ ყ ა ლ ს გა-მოღმართი დაგიმკ(ვ)იდრეთ და გიბოძეთ ყოვლის კაცისაგან უცილებლათ და შემოუსარჩლედა. თქვენ, ჩვენთა თანა მკვიდრთა ერთგულთა და მრავალფერად, ერთგულათ და თავდადებით ნამსახურთ მკვიდრთა აზნაუ-

15 რისშვილებს: ყ ო რ დ ა ნ ა შ ვ ი ლ ს ი ა რ ა ლ ი ს , შვილთ: პ ა ა ტ ა ს ა , მდივან მ ე რ ა ბ ს , პ ა პ უ ნ ა ს , ყიფიჩი ქ ა ი ნ დ ა ვ ლ ე ს , გ ა რ ს ე - ვ ა ნ ს და ს ი { ა } უ შ ს , ძმისწულსა თქვენსა ფ რ ი დ ო ნ ს ა , შვილთა თქვენთა რ ო ს ე ბ ს და შ ა ვ { ე } ლ ი ს , ი ა რ ა ლ ი ს , ზ ა ა ლ ს და ბ ე ყ ა ნ ს , შვილთა და შვილისშვილთა და სახლისა მამავალთა თქვენისა-

20 თა, ყოველთავე.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მან) ჩვენსა ერთგულათ სამსახურთა შინა.

არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად სხვათა მეფეთა და მეპატრონეთაგან. ვინ იცის, ამას წინანდელი ამ სიგლის მეპასუხე

25 სიგელი და წიგნი გამოჩნდეს, სიგლითა ამითი გაგვიცუდებია და მტკიცე და უცვალებელი რაოდენი ესე არის, ესე ყოველივე სამკვიდრო მამული, ნასყიდები, შემატებული და ნაწყალობევი, ყველა ყოვლის ადამიანისაგან შემოუცილებლათ მთით ბარამდისინ, უნაკლულთ თქვენთვის და თქვენთა შვილთა და ჩამომავალთათვის გვიბოძებია წყლითა, წისქვილითა, ველითა

30 და ვენახითა, სახნავითა, უხნავითა, შესავლითა და გასავლითა, ნასყიდითა და უსყიდითა, საძებრითა და უძებრითა, შენითა და ოხერითა, სანადიროთა, სათიბითა, სახმარით და უხმარითა, ყოვლითურთ სამართლიანის საქმითა და სამძვრითა. გვიბოძებია და არაოდეს არ მოგეშალოს.

ანე, გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანნო და სხ-ვანო მოსაქმენნო, ვინცა-ვინ იყვნეთ და ანუ დღეის წაღმა იქნებოდეთ, თქვენც ასრე დაუმკვიდრეთ და დაუმტკიცეთ, რარიგათაც ამ ჩვენგან ნაწყალობევსა სიგელსა შინა ეწეროს. და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შეეცილებით თვნიერ შეწევნისა და თანადგომისაგან კიდე.

დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკგ, ენკენისთვის

40 ი, ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრისა თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ ვ ე ლ ი ს ა თ ა .

ხელრთვები: როსტომ, მარიამ

დედანს ესვა ბეჭედი.

პირის მინაწერები: ასლთან თანასწორ არის ჩანერილი თა(ვადი) თ ე ი მ უ -
რა { ზ } ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი .

ასლი დოკუმენტი მივიღე კ(...)-ნი

სპარსული ტექსტი:

1635 წ. 14 სექტემბერი – 10 ოქტომბერი

حکم عالی شد آنکه بنابر حقوق خدمات و یکجہتی سعادت| نصاب محراب نویسنده قرغان اعلیٰ و برادران
او ملکی و تیولی کہ سابقاً آبا و اجداد| ما بہ پدران ایشان دادہ بودند درینوقت در تصرف ایشانست بدستور
در وجہ محراب مزکور| و برادران او مقرر نمودہ ایم و تغییر بقواعد ان نیاقتہ رعایاہ محال تیول و غیرہ
بدستور قدیم الایام| مالوجہات و حقوق دیوانی را بلا قصور واصل و عاید ایشان ساختہ چیزی موقوف
ندارند و درین باب| قدغن دانستہ از فرمودہ تخلف نور[ز]ند و چون حکم بمہر عالی رسد اعتبار نمایند
تحریرا فی شہر ربیع الثانی سنہ ۱۰۴۵

جای مهر حاکم

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზედ რომ, ბედნიერი მდივან-მწიგნო-
ბრის მე რ ა ბ ყ ო რ ღ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ა და მისი ძმების დამსახურები-
სა და ერთგულების გამო მამული და თიული, რომელიც წინათ ჩვენს მა-
მა-პაპას მათი მამებისათვის მიუციათ [და] ამჟამად მათს მფლობელობაშია
წესისამებრ, ხსენებული მე რ ა ბ ი ს ა და მისი ძმებისათვის უცვლელად 5
დაგვიმტკიცებია. თიულის ადგილების გლეხებმა და სხვებმა ძველი დროის
წესების მიხედვით (თავიანთი) მალუჯათი და სახელმწიფო გადასახადი
უკლებლად მათ უნდა გადასცენ და გადაუხადონ და არაფერი უნდა დაუკა-
ვონ. ამის შესახებ [გამოცემული] ბრძანება საჭიროდ ცნონ, მის ბრძანებას 10
წინააღმდეგობა არ გაუწიონ და როცა ბრძანება მაღალი ბეჭდით იქნება
დაბეჭდილი, დაემორჩილონ (მას).

დაინერა 1045 წლის რაბი ას-სანის (II) თვეს.

დედანს ესვა ჰაქიმის ბეჭედი

კომენტარი იხ. სეა, 1448-3265-თან.

1635. 2 დეკემბერი. წყალობის განახლების წიგნი როსტომ მეფისა ლეონ თურქისტანიშვილისადმი

პირი: სეა, 1450-50/72, გადაწერილი დედნიდან რუსული მმართველობის პირების დავთარში.

თარიღი: ქორონიკონი ტკგ (323) ქრისტეშობისთვის ბ (2), რაც უდრის 1635 წლის 2 დეკემბერს.

[ქ.] ნებითა და შეწვევითა ღ(მრ)თის(ა)თა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ, და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთა-დედოფალმან პატრონმან მარიამ, ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, თურქისტანის შვილს ლეონს და ძმათა შენთა, მომ{ა}გ{ა}ლთა სახლის{ა} თქუენის{ა}თა ყოველთავე.

შეგინყალეთ და გიბოძეთ, რაც ასანბეგს თქუენი კერძი მამული ქონდეს ახალდაბას, გორუმს და უკანგორს ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა და სამზღლურითა.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან ჩუენსა ერთგულად ს{ა}მსახურსა შიგან, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკგ, ქრ{ი}სტ{ე}შობისთვისა ბ.

ესე ასრე გაგითავდეს.

დედანს ჰქონიაროსტომ მეფის დამარიამ დედოფლის ხელრთვები.

კომენტარი:

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, 1635 წ. როსტომ მეფემ აჯანყებული არაგვის ერისთავის დათუნას მოსაკლავად გაგზავნა თურქისტანიშვილი და გაბაშვილი (ვახუშტი ბატონიშვილი 1973: 439). მათ მეფის დავალება შეასრულეს და მოკლული ერისთავის თავი მეფეს მიართვეს. ვახუშტი ბატონიშვილი მათ სახელებით არ იხსენიებს. საფიქრებელია, რომ სწორედ ლეონ თურქისტანიშვილი ყოფილიყო როსტომის ბრძანების შემსრულებელი, რადგან დათუნა ერისთავის თანადროული მოღვაწე იყო და მეფის ერთგული, რის სანაცვლოდაც ზემომოყვანილი საბუთით ჯილდოდ ყმა-მამულის წყალობა მიიღო.

**1635 წ. 2 დეკემბერი. როსტომის წყალობის
წიგნი როსტომ მეფისა შირვანის
პეგლარბეგს ფარშანასადგი**

დედანი: ხეც, Ad-624; მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 18,7X16 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთის ტექსტის მცირე ნაწილი დაზიანებულია, ცალკეული გრაფემები არ ჩანს, დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თარიღი: ქორონიკონი ტკგ (323), ქრისტეშობის ბ, რაც უდრის 1635 წლის 2 დეკემბერს.

ქ. ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფემა²ნ პატრონმან როსტომ, ესე წიგნი მოგა[რ]³თუით თქუენ, შირვანის ბეგლარ-ბე⁴გს, ბატონს ფარუხანს, ასრე რომე, ჩუენი სახ⁵ასო სოფელი კავთისჯევის ბოლოს, ხან[დ]ა⁶კი, სამართლიანის საქმითა თქუენთუის მოგუი⁷რთმევი{ა} სამკუიდროდ და საბოლოდ ყოვლის⁸კაცისაგან შემოუცილებრად.

დაინერა⁹ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკგ, ქრისტ[ე]ი¹⁰შობის თუესა ბ.

ხვეული ხელრთვა: როსტომ

გვიანდელი მინანერი: როსტომ მეფისა (ფანქრით).

კომენტარი:

როდესაც როსტომი ქართლის მეფედ დაადგინეს, ქვეყანაში სპარსელთა ჯარის თანხლებით შემოვიდა. ჯარს მეთაურობდა როსტომ სააკაძე, რომელიც შაჰის კარზე დაწინაურებული პირი იყო. ქართლის თავადებმა როსტომს მორჩილება გამოუცხადეს, თუმცა მასთან არ მივიდა ფარსადან ციციშვილი, რომელსაც ძველი შუღლი ჰქონდა როსტომ სააკაძესთან. ამ უკანასკნელმა ფარსადანი დასაჯა და საციციანო მთარბია, რის გამოც როსტომ მეფესა და როსტომ სააკაძეს შორის კონფლიქტი ჩამოვარდა. როსტომ მეფემ იწყინა და სარდალს კაცი მიუგზავნა: „თავად საქართველო აოხრებული არის, რაც დარჩომილა, იმასაც თქვენ ამიოხრებთო, მაშ მე რისილა ბატონი ვიქნებო“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 240). დაძაბულობა ირანის შაჰმა განმუხტა. მისი ბრძანებით, როსტომ სააკაძე ვანის ციხესთან საბრძოლველად გაგზავნეს, ხოლო მის ნაცვლად ქართლში გამოგზავნეს შირვანის ბეგლარბეგი, რომელსაც ყარაბაღის ლაშქრით როსტომ მეფის ქეშიკში დგომა – დაცვა ევალებოდა (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 240). აქ შირვანის ბეგლარბეგი სახელდებით არ იხსენიება, თუმცა, როდესაც საუბარია როსტომ მეფის გადაწყვეტილებაზე ლევან დადიანის დასთან

– მარიამთან ქორწინების შესახებ, ფარსადან გორგიჯანიძე აღნიშნავს, რომ „შირვანის ბეგლაბეგი ფარუხან გორს მოვიდა“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 241). საფიქრებელია, რომ სწორედ ამ დროს გაიღო როსტომმა აღნიშნული წყალობა. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც არაქართული ოლქის მმართველი მეფის სახასო მამულიდან იღებს შეწირულებას. აღნიშნული ფაქტი კარგად წარმოაჩენს, რომ როსტომი ქართლსა და შირვანს სეფიანთა ირანის ერთიანი სივრცის ორგანულ ნაწილად მოიაზრებდა.

1635 წ. წყალობის განახლების წიგნი როსტომ მეფისა ღოღმაზა ბოზიპაშვილისადმი

პ ი რ ი : ხეც, Hd-14439.

სხვა პ ი რ ი : სეა, 1450 16/53.

საბუთის თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკგ (323), რაც უდრის 1635 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი - ბირთველ თუმანიშვილი.

[ქ.] ნებითა და შენენითა ღვთისათა, ჩვენ, მეფეთ მეფემან, პატრონ-
მან როსტომ და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალმან პატრონმან
მ ა რ ი ა მ ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი წყალობისა
ნიგნი და ნიშანი შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერდგულსა და ნე-
5 სისაებრივ თავდადებით მრავალფერად ნამსახურსა ყმასა, გოგობაშ-
ვილს დოღმაზას, ძმასა შენსა, ყო რ ხ მ ა ზ ა ს , შვილთა და მომა-
ვალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და ჯ ი მ შ ე რ ი ს ა და ნასო-
ფლარის ბ ა ღ და დ ი ს ნიგნების გაჯახლებას გვიაჯენით, ჩვენცა ვის-
10 მინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგინწყალეთ და ხელახლა დაგიმტკიცეთ
და გიბოძეთ, რარიგათაც სხვის ბატონების ჟამში გქონებოდა, ჩვენცა იმ
ნესით გიბოძეთ და დაგიმკვიდრეთ ყოვლის კაცისაგან შემოუცილებლად.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერდგულად სამსახურსა
შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად სხვათა
15 მეფეთა და მეპატრონეთაგან.

ანე, გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვეკილ-ვეზირნო, მდივანნო და სხვა-
ნო მოსაქმენო, სო მ ხ ი თ ი ს ტარულანო, [ადგილი ბეჭდისა] მელიქნო,
ვინცავენ იყვნეთ და ანუ დღეის შემდგომ იქმნებოდეთ, თქვენცა ასრე
20 გაუთავეთ და ნურას შეუშლით და შექცილებით, თვინიერ შენევენისა და
თანადგომისაგან კიდე.

დაინერა ოქმი და ნიშანი ესე, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკგ, ჴელითა კარისა
ჩვენისა მდივან-მნიგნობრის - თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ ვ ე ლ ი ს ა თ ა .

დედანს ბოლოში ესვა როსტომ მეფის ბეჭედი.

1635. **წყალობის წიგნი როსტომ მეფისა პაატა
ბლუშჩიძისადმი**

დ ე დ ა ნ ი : სეა, 1448-81; მხედრული; მონაცრისფერი ქაღალდი; ზომა: 43,1X13,5 სმ.; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი; ტექსტის ხილვადობა საკმაოდ მკაფიოა; გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით; საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. სპარსული ტექსტი მოთავსებულია საბუთის ვერსო-ზე.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკგ (323), რაც უდრის 1635 წელს.

პ ი რ ი : სპზაი, 3- 15, 29 r.v;

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი - ბირთველ თუმანიშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა : Какабадзе 1967, გვ. 84-85. (ანოტაცია).

ქ. ნებითა და შეწვევითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, მე²ფეთ მეფემან, პატრონმან როსტომ, და³ თანამეცხედრემან, პატრონმან მარიამ, ესე უ⁴კუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი⁵ ნიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გი⁶ბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა და [მ]⁷რავალფერად ნამსჯა⁸ხურსა ყმასა, გლუ⁸რჯიძეს პაატა ტასა, შენსა ძმასა შიოშს და⁹თარსა.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარს¹⁰ და ბოლნისს¹¹ მამულის წყალობას გუიაჯე¹¹ნით. და ჩუენცა მოკითხული ვქენით და კურ¹²თხეულის ბატონის, ნესტან დარეჯან დედოფლ¹³ის ნიგნი გინახეთ, და ჩუენცა ნიგნითა¹⁴ ამითა შეგინყალეთ და გი¹⁵ბოძეთ ქვემო ბ¹⁵ოლნისს¹⁶ გლეხი ხესატურაშვილი ფი¹⁶რია მისის მამულითა, რისაც მქონებე¹⁷ლი იყოს. ხასიას მამული მისის ჭურ¹⁸-მარნითა, სახლ-კართა, წყლითა, ნის¹⁹ქუილითა, სახწნავითა, ვენაწითა, მითთა, ბართთა მ²⁰ისი სამართლიანის სამძღურითა.

გქონდეს²¹ და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მან) ჩუენსა ერდგულად²² სამსჯა²³ხურსა შინა და არაოდეს არ მოგე²³შალოს.

ანე, გიბ(რძანებ)თ კარისა ჩუენისა ვე²⁴ქილ-ვეზირნო, სხუანო მოსაქმენო და ქუემო ბოლნისის მოურავო, ვინაცა-ვი²⁵ იყუნეთ ანუ დღეის წაღმა იქ²⁶ნებოდეთ, თქუენცა ასრე გაუთავეთ²⁷ და ნურას მოუშლით და შე²⁸ცილებით.

დაინერა ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტ²⁸კგ, ჴელითა კარისა ჩუენისა მდივან-მ²⁹წიგნობრის - თუ მან იშვილის ბირთ³⁰უელისითა.

ამ წესითა, რომე გუთანში³¹ არ გამოუშვან და უმისოდ მოვე³²ლენი ნურასფერს ნურას აქნევინებთ რას.

ხელრთვები: როსტომ, მარიამ

უზის ოთხი ოთკუთხა და ერთი ოვალური ფორმის სპარსული სარეგისტრაციო ბეჭდები.

მინანერები:

reqtო-ზე: 1749 წ. ქ. ჩვენ, მეფეთ მეფემან და თვით ცხე²ბით ჴემნიფემ, პ{ა}ტრონმ{ა} თ ე ი მ |³უ რ ა ზ , ეს მეფე{ე}ბის წყალობის ფ{ი}რმა⁴ნი ამაჲ წესი[საებრ] გვიბოძებია [და] დ{ა}გვიმ⁵ტკიცებია. თიბათვის ლ გასულს, ქ(ორონი)კ(ონ)ს ულზ 1749 წ.

თეიმურაზ II-ის ოთხკუთხა ბეჭედი: „ქ. დავითის ტომად მკუიდრი, ტახ-ტზედ მჯდომი, ლ(მრ)თ(ისგა)ნ ცხებული, საქართველოს მეფე თეიმურაზ.

verso-ზე: ქ. ეს სიგელი ჩვენც ამრიგათ დაგვიმ²ტკიცებია, როგორაც მეფე როსტომ {ს} უბო³ძებია ამ{ა}თთვინ. და ჩუენც ამ წესით გვიბოძე-ბ⁴ია და დაგვიმტკიცებია.

ოთხკუთხა ბეჭედი: მეფე ნ ა ზ ა რ ა ლ ი ხ ა ნ .

ოთხკუთხა ბეჭედი: დედოფალი ა ნ ნ ა .

1635. შუაწილულების წიგნი როსტომ მეფისა სიონის ღმრთისმშობლის ეკლესიისადმი

პ ი რ ი : სეა, 1449-1772.

საბუთის თ ა რ ი ღ ი : ქორონიკონი ტკგ (323), რაც უდრის 1635 წელს.

გ ა მ ო ც ე მ ა : ჟორდანი, 1897: გვ. 450.

ქ. სახელითა სახიერისა, არსება-დაუსაბამოსა, მამისა და ძისა და წმი-დისა სულისა; ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯუარისათა, მეოხებითა ყოვლად უხნნელისა და უმეტესად კურთხეულისა დედოფლისა ჩუენისა ლ(მრ)თისმშობელისა, მარადის ქალწულისა მარიამისათა, და ყოვ-ელთა წმიდათა ლ(მრ)თისათა, ჴორცილეთ და უჴორცოთა.

ამათითა შეწვევითა და მეოხებითა ჩუენ, მეფემა{ნ}, პატრონმა{ნ} როსტომ, და დედოფალმა{ნ} პატრონმა{ნ} მ ა რ ი ა მ , ვიგულებთ და ვიგულისმოდგინეთ და შემოგწირეთ მცირე ესე შესანირაჲვი თქუენ, ჩუენსა სასოებასა ს ი ო ნ თ ა ლ(მრ)თისმშობელსა.

ესრე რომე, რაცა წ ი ნ ა რ ე ჳ ს თქუენისა საყდრისა ყმა იყოს, მათი საჩუენო მუშაობა – გუთნის ჴვნა და თიჲა ედვას, ამოგუიკვეთია და თქუენტვის შემოგუინირავს. ამისთვის რომე, ამასწინათაც სიგელი ქონ-დათ ძველის ჴლმნიფეთაგან, დედოფალი თქუენს საფარველს ქუეშე იდგა და ავად გაჴდა და შემოგეხუენნათ და შეწვევითა თქუენითა უკეთ შეიქნა.

ანე, შემოგწირეთ და აღგისრულებთ მცირე შემოსანირაჲვი ესე ჩუენ-და სადღეგრძელოდ და წარსამართებლად მეფობისა და დედოფლობისა ჩუენისათვის.

ანე, ვინცა და რამანცა კაცმა ჴელყოს შლად და ქცევად ამისა, რის-ხვასმცა ლ(მერ)თი და ყოველნი მისნი წმიდ{ა}ნი, ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი ლ(მერ)თ(მან) აკურთხნეს.

ანე, გიბძანებთ კ ა ვ თ ი ს ჯ ე ვ ი ს ა მოურავნო, ნაცვალნო და მამა-
სახლისო, თქუენცა ასრე გაუთავეთ ბრძანება ესე.
დაიწერა ბრ{ა}ნება ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკგ.
დედანს ჰქონია ორი ხელრთვა: რ ო ს ტ ო მ , მ ა რ ი ა მ .

კომენტარი:

მარიამ დედოფალი დიდ მზრუნველობას იჩენდა თბილისის სიონისადმი. 1634 წელს მან სამეფო და სადედოფლო გადასახადებისაგან გაათავისუფლა სათბილელი ყმები (Ad-595). ზემომოყვანილი საბუთის მიხედვითაც როსტომი და მარიამი წინარეხში მცხოვრებ სიონის ყმებს ათარხნებენ. ეს სამადლობელი აქტი იყო სამეფო ოჯახის მხრიდან, რადგან დასწეულებული მარიამი სიონის დეთისმშობლის შეწვევით გამოჯანმრთელდა.

1635 წ. მამულის ფყალობის წიგნი როსტომ მეფისა ბიორბი სააკაპისადმი

დე დ ა ნ ი : ხეც, Ad-1010; მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 29,5X17 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთის დაზიანებული კიდეები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკგ (323), რაც უდრის 1635 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : სამეფო კარის მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

ქ. ნებიტა და შეწვენითა ღმ(რ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან პატრონ-
მა როსტ |²ომ , და თანამეცხედრემან ჩუენმა, დედოფალთა-დედო-
ფალმა|³ნ პატრონმა მ ა რ ი ა მ , ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი|⁴
წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინყალებთ და გიბოძეთ თ|⁵ქუენ, ჩუენ-
თა ერდგულთა და მრავალფერად თავდადებით|⁶ ნამსახურთა ყმათა,
ს ა ა კ ა ძ ე ს გ ი ო რ გ ი ს და თქუენთა შვილთა:|⁷ ი ვ ა ნ ე ს , ზ უ -
რ ა ბ ს , პ ა ჰ უ ა ს ა და მომავალთა სახლისა თქუენ|⁸ისათა. ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კა|⁹რსა და ა ტ ე ნ ს მ ი რ ზ ი ა ს ნაქონს
მამულს გუიაჯენით, ჩუენ|¹⁰ცა მოკითხული ვქენით და ძველითგანც მეფე-
თაგან|¹¹ მ ი რ ზ ი ა ს მამული ს ი ო ნ თ ა ღმ(რ)თისმშობლისათვის შე-
წირულ|¹²ი ყოფილიყო და მისი ალაპი და კანდლის ზეთი ბეგრად ედვ|¹³ა.
ანე, შეგინყალებთ და ამა წესით გიბოძეთ, რაც|¹⁴ა მ ი რ ზ ი ა ს ს ი ო ნ თ ა
ღმ(რ)თისმშობლის ვენაჯი და საწნავ|¹⁵-სათესი ჰქონებოდეს, შესავალი და
გამოსავალი, ასრე რ|¹⁶ომე, რაც იმისი ალაპი და ზეთი იმ მამულს ედვას,

ს|¹⁷აყდარს მიაღწევდეთ. და სამამულოდ თქუენთვის და|¹⁸ თქუენტა შვილთათვის გუბოდებია, სამკუიდროთ და საბოლოვო|¹⁹დ, ასრე რომე, არა მოგეშალოს არა ჩუენგან და არცა შემდ|²⁰გომათ სხუათა მეპატრონეთაგან.

გქონდეს და გიბედნიაროს ღმ(ერ)თ(მა)ნ|²¹ ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან.

ანე, გიბ(რ)ძ(ანებ)თ კარისა|²² ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანო და სხუანო მოსაქმენო, ა ტ { ე } ნ ი ს |²³ ტარუდანო და მოწელენო, თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნუ|²⁴რას მოუშლით და შე{ე}ცილებით.

დაინერა ბძანება და ნი|²⁵შანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკგ, ჴელითა კარისა ჩუენისა მდივან-მ|²⁶წიგნობრისა თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ ვ ე ლ - ი ს ა თ ა .

|²⁷ხვეული ხელრთვა: რ ო ს ტ ო მ

გვიანდელი მინანერი verso-ზე: ა ტ ე ნ ი ს მამულის წიგნისა ა { ა } კ ა ძ ე გ ი ო რ გ ი ს ა .

კომენტარი:

გიორგი სააკაძე – ატენის მოურავი, ივანეს ძე. დიდი მოურავის განაყოფი შტოს წარმომადგენელი. მას მირზასეული ვენახი თეიმურაზ I-მა უწყალობა (იხ. დოკუმენტური წყაროები, ტ. I, გვ. 266).

52

1635 წ. ვენახის წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ნასყიდა და არუწა არუწაწვილებისაღმი

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Qd-2500; მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 25,5X15,5 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთის თავი დაზიანებულია, ზოგიერთი გრაფემა დაკარგულია, კიდეები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. საბუთი გატარებულია რუსეთის მმართველობის რეგისტრაციისაში 1898 წლის 21 მაისს.

თავში უხის რუსული სარეგისტრაციო ბეჭედი.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკგ (323), რაც უდრის 1635 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : კარის მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანი-შვილი.

ქ. ესე წყალობისა წიგნი და [ნიშანი შეგინწყალე]|²თ და გიბოდეთ ჩუენ, მეფეთ-მეფემან [პა]ტ[რონმან როს]|³ტომ, შენ, სურამელს არუწაშვილს ნასყიდასა, შენსა ძმ|⁴ასა არუწასა და შვილთა და მომავალთა სახლისა შე|⁵წისათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კა⁶რსა და ვენაჴის წყალობას გუიაჯენით. ჩუენცა ვისმინეთ⁷ აჯა და მოხსენება შენი და მოკითხული ვქენით და⁸ შენივ სამკუიდ⁹რ¹⁰ო ვენაჴი იყო და ბატონს თ ე ი მ უ რ ა ზ ს ა ბ ა ზ ა ძ ი ს ა თ უ ი ნ ⁹ მიეცა. და ახლა ჩუენ შეგინყალებთ და გიბოძეთ შენი სა¹⁰მკუიდრო ვენაჴი ა ბ ა ზ ა ძ ი ს ა და ყოვლის კაცისაგან უცი¹¹ლ-ებრად.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მ)ან.

ანე, გიბ(რძანე)ბთ¹² კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანო და სხუანო¹³ მოსაქმენო, ს უ რ ა მ { ი } ს ა ციხისთავნო, ვინცა-ვინ დღეს იყუნეთ¹⁴ და ანუ ამას უკან იქნებოდეთ, თქუენცა ასრე გაუთავეთ¹⁵ და ნურას მოუშლით.

დაინერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა¹⁶ ტკგ, ჴელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრისა თ უ მ ა ნ ი | ¹⁷შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ - თ უ ე ლ ი ს ი თ ა .

ხვეული ხელრთვა: | | ¹⁸ რ ო ს ტ ო მ

საბუთის verso-ზე დასმულია მცირე ზომის, ოვალური სპარსული ბეჭედი ლეგენდით: **يا معين الضعفا** – „ო, უძლურთა შემწევ.“

53

1635 წ. მოშარობის წყალობის წიგნი ორსტომ გეფისა დავით დავითიშვილისაღმი

პ ი რ ი : ხეც, Sd-602; მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 23X15 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთს თავი აკლია, დაზიანებული ადგილები და კიდეები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. ტექსტს ახასიათებს ა-მეტობა.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკგ (323), /1635 წელი/.

გ ა მ ო ც ე მ ა : თაყაიშვილი 1909, №191, გვ. 232-233.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : კარის მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმა-ნიშვილი.

[...] ნიშანი შეგინყალებთ და გიბოძეთ თქუენ, ჩვენსა ერდგულს{ა} და ნესისაებრ თავდადებით ნამსახურსა ყმასა, დ [ა] ვ ი თ ი შ ვ ი ლ ს დ ა - ვ ი თ ს ა და თქუენთა შვილთა, კ ო ს ტ ა ნ ტ ი ლ ე ს ა და კარისა ჩვენისა ბოქაულთუხუცეს ე ლ ი ზ ბ ა რ ს ა და შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდეგით კარსა და დ ი რ ბ ი ს ა მოურაობას გვეა-ჯენით, და ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და შეგინყალებთ და გიბოძეთ დ ი რ ბ ი ს მოურაობა, სამართლიანის საქმითა და სამძღურითა.

სამკვიდროდ და საბოლოოდ თქვენთვის და თქვენთა შვილთათვის გვიბოძებია ყოვლის კაცის უცილებლად.

{გ}ქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მან) ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არა მოგეშაქლოს.

5 დაინერა ბძანება ესე ქ(ორონი)კონს ტკვ, ჳელითა კარისა ჩვენისა მდივან-მნიგნობრის თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ ვ ე ლ ი ს ი თ ა . ||

დედანს ჰქონია როსტომ მეფის ხელრთვა და ბეჭედი.

verso-ზე: პირის გადამწერის მინაწერები:

ქ. ეს სწორე სავადაი არის. ლ(მერ)თი მომეცეს თაქვედებათ. ამ{ი}სი დედანი აქ, მე მაქს.

ოთხკუთხა ფორმის ბეჭედი: დ ა ვ ი თ

ქ. ეს სავადაი მე, ქ { ა } ი ხ ო ს რ ო ს ბ ე გ ს წამილია.

ოთხკუთხა ფორმის ბეჭედი: ქ ა ი ხ ო ს რ ო

კომენტარი იხ. ხეც, Sd-601

54

[1635] ირანის შაჰთან უზამდგომლობის წიგნი როსტომ მეფისა თეიმურაზ მეფისა და ხვაჩაშან დედოფლისაგან

დედანი: ხეც, Hd-14433, ღია ნაცრისფერი ქაღალდი, ზომა: 33,3X20,3 სმ; შავი ფერის მეღანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ დაზიანება: საბუთის ტექსტს აკლია დასაწყისი ნაწილი;

საბუთი უთარიღოა. იგი გაცემული უნდა იყოს 1634-1635 წლებში. ფარსადან გორგიჯანიძე ამ ქრონოლოგიურ შუალედში ათავსებს მასში გადმოცემულ ამბებს (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: გვ. 244).

[ქ. სახელითა არსება-დაუსაბამოსა და დაუსრულებელისა, ღმრთისა მამისა, ძისა და სულისა |² წ]მიდისათა; თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ყოვლად |³ უბინოთ მშობლისა მისისა, პატიოსნისა და ცხოვქელსმყოფელის ძე|⁴[ლ]ისა ცხორები[სა]თა, რომელსა ზედან განიპყარნა პატიოსანი და უხრწნე|⁵ლნი მკლავნი თუისნი ქ რ ი ს ტ ე მ ა ნ , ლ(მერ)თ(მან) ჩუენმან, ხსნისა ჩუენისათა; |⁶ {ა}მათი{თ} თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა წმიდისა ნი|⁷ნასწარმეტყუელისა, წინამორბედისა ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ე ლ ი ს ა ი ო ვ ა ნ ე ს ი თ ა , წ|⁸მიდისა ზეცისა ძალთა ანგელოზთა, მთავარანგელოზთა: მი ქ ი [ე] ლ და გა ბ რ ი ე |⁹ ლ ი ს ა თ ა .

ამა ყოველთა წმიდათა ლ(მრ)თისათა, ზეცისა და ქუეყანისათა,

წო¹⁰რციელთა და უწორცოთა თავდებობითა, მინდობითა და ¹¹ შუამდ-გომელობითა, ესე უთუო და უთუმცაო, ყოვლის |¹² ჩხუბისა და ილეთიდამე გამოსული ფიცი, პირი და წიგნი მოგა|¹³რთუით ჩუენ, მეფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხედრემა|¹⁴ნ ჩუენმან, დედოფალმან, პატრონმან მარია მ, თქუენ, ბატონს თეიმურა |¹⁵ზს, დედოფალს, ბატონს ხვარაშანს და შვილთა თქუენთასა.

ასრე და ¹⁶ ამა პირსა ზედან, რომე მცხეთას ჩამობძქანდით და თქუენი შვილი |¹⁷ ჩამოიყუანეთ და ჳელმწიფის ყმობასა და შერიგებას შემოგუე|¹⁸ძლიენით. ანე, თუ თქუენი შვილი ბედნიერს ყქაენს მოართოთ |¹⁹ და რევაზის ქალი გუერც აქახლოთ, ჩუენის საქმითა მოწმარებასაც |²⁰ ვეცადნეთ და არცა-რა დაგიმარცხოთ. რაც თქუენი შენაცოდარი იყოს, იმი²¹სი შუამავლობაც ვქნათ და კახეთის შოვნასაც ვეცადნეთ ჩუენის სა|²²ქმითა და ჳელმწიფესთან კიდევ მოვიჭირვოთ ეს თქუენი შუამავლობა.

თუ თქუენი შვილი აქ, ჩუენთან ჩამოგზავნქოთ და თქუენი საქმე ჩუე|²³ნს ჳელში ჩამოაგდოთ, და ან ამ ჩუენთ დარბაისელთ ქართული |²⁴ გაიგონოთ, და ან ამათის ჳელით ჩუენთან გამოისტუმროთ, ამის-ად გასა|²⁵თავებლად, თავდებად მოგვიცემია თავად ლ(მერ)თი და ყოქველნი მისნი |²⁶ წმიდანი ზეცისა და ქუეყანისანი, ჳორციელნი და უწორც|²⁷ონი. ბედნიერის ყქაენის თავის მზემან, რომე უსაცილოდ მისი გამთა|²⁸ვენი ვართ.

ხელრთვები: როსტომ, მარია მ

გვიანდელი მინანერი საბუთის verso-ზე:
საფქიცრის წიგნი მეფეთქაქ.

კომენტარი:

როსტომის ქართლში გამეფებამ უკიდურესად გაამწვავა ურთიერთობა მასა და თეიმურაზს შორის. თეიმურაზი, მართალია, ქართლის სამეფოს მმართველობას ჩამოაცილეს, მაგრამ კახეთის შენარჩუნება მაინც მოახერხა და ქართლის ტახტის დაბრუნებასაც ცდილობდა. ქართლის თავადები ორ ბანაკად გაიყვნენ. ნაწილი როსტომს უჭერდა მხარს, ნაწილი თეიმურაზს. მათ შორის დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა. არცვეის ბრძოლის შემდეგ ირანის შაჰმა სეფი I-მა როსტომს დასახმარებლად „ადრიბეჟანის“ ლაშქარი გამოუგზავნა. ყიზილბაშთა და ქართლის ჯარმა კახეთში ილაშქრა. თეიმურაზი მიხვდა, რომ წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა და მოლაპარაკება ამჯობინა. როსტომს „მოციქულები გამოუგზავნეს და ხვეწნა შემოსთვალეს და წიგნიც ასრე მოეწერა: თავად ნათესავნი ვართო და მერმე, ბატონი დედოფალი თქვენი ბიძანშვილი არისო და არც თქვენა გყავთ შვილიო და ერთის მეტი არც მე მყავსო“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 244). თეიმურაზი პირობას დებდა: „თქვენი თავადები, რომელნიც ჩემთან არიანო, ფიცით შემოგარიგებთო და ჩემს თინათინს, თქვენის ბრძანებით, შაჰსეფი ყაენს ვაახლებო და შვა შემოდითო, ჩემს აოჭრებულს სამ-

კვიდროს მამულზე დაგვაყენონო.“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 244). ამ ამონარიდიდან ცხადი ხდება, რომ თეიმურაზს თავად უთხოვია როსტომისთვის შაჰთან შუამდგომლობა, რათა მისთვის კახეთის ტახტი დაემტკიცებინა. გარანტად კი შაჰისათვის თავისი ქალიშვილი აღუთქვამს. როსტომი, ზემომოყვანილი საბუთით, ქალიშვილთან ერთად რევაზ [ხოლაყასშვილის] ქალის გაგზავნასაც ითხოვდა თეიმურაზისაგან. რევაზ ჩოლაყაშვილი თეიმურაზის აქტიური მხარდამჭერი და კახეთის სახლთუხუცესი იყო. როსტომს თეიმურაზთან შერიგების შესახებ შაჰისთვის მაშინვე მიუწერია. თინათინ ბატონიშვილი, „ერთაც თავისი ასული, საჯემწიფოს მორთულობითა და მრავლის შეკაზმულობით, თავისი ვეზირი ალა მონა თან გაატანა, და კახთაგან მდიდარნი თავადნი თან გაატანეს, და ბატონისშვილი თინათინ შაჰსეფი ყაენს მიჰგვარეს“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 244). პიეტრო ავიტაბილეს ცნობით, თეიმურაზის ასული თურმე 10 წელი ითვლებოდა შაჰის საცოლედ. რადგანაც შაჰისგან ნაკლებად მოდიოდა ცნობები, თეიმურაზმა ქალიშვილი ქართლის მეფეს მიაბარა, სადაც ყოველ წუთს ელოდნენ შაჰის მოსვლას ქალიშვილის წასაყვანად (დონ პიეტრო ავიტაბილე, 1977: 68). სპარსი ისტორიკოსის მოჰამედ მ'ასუმის ცნობით, თინათინი თავად როსტომს ჩაუყვანია ირანში (გელაშვილი ნანა, 2012: 61). შაჰს, მადლობის ნიშნად, თინათინ ბატონიშვილის ამაღლა უხვად დაუსაჩუქრებია, თეიმურაზისთვის კი უბოძებია 1000 თუმანი და 1000 თუმანის ხალათი. ასევე, სიგელი გამოუგზავნია მისთვის, რომელშიც ძველი დანაშაულის პატიებას ჰპირდებოდა და როსტომ მეფესთან შერიგებას უწონებდა. მსგავსი სიგელი როსტომისთვისაც გამოუგზავნია. ბატონიშვილი თინათინი შაჰ სეფის ცოლად შეურთავს. მოგვიანებით, სიმთვრალეში, შაჰს ბრძანება გაუცია და იგი დაუხრჩვიათ, სხვა ცნობით თავად შაჰს გამოუტრია ხანჯლით ყელი (გელაშვილი, 2008: 55; გელაშვილი, 2012: 60-61).

**1636 წ. 2 იანვარი. წყალობის განახლების წიგნი
როსტომ მეფისა ქაიხოსრო ავალიშვილისაგან**

დ ე დ ა ნ ი : სეა, 1448-82; ყავისფერი ქაღალდი; ზომა: 32,2X19,3 სმ; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი; დაზიანება: ტექსტის ხილვადობა საკმაოდ მკაფიოა, თუმცა ადგილ-ადგილ სიტყვები გაფერმკთალებულია; გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით; საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. სპარსული ტექსტი მოთავსებულია საბუთის verso-ზე, შესრულებულია შექასთეს ხელით, ხუთ სტრიქონად.

პ ი რ ი : ხეც, Hd-14438.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტკდ (324) იანვრის ბ (2), რაც უდრის 1636 წლის 2 იანვარს.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

გამოცემა: ფუთურიძე, 1955, №54, გვ. 124.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან |² პატრონმან როსტომ, და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედო-³ფალთ-დედოფალმან, პატრონმან მარიამ, ესე უკუნისამდე ჟამ⁴თა და ხანთა გასათავებელი წყალობისა წიგნი და ნიშა⁵ნი შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერ⁶დგულთა და ნამსახურთა ყმათა, ავალი-⁷შუილს ქაი⁷ხოსროს და ძმათა თქუენთა: სარუყაფლანს, ლუარსაბს, პა⁸ლასა, გიორგის და შვილთა და მომა-⁹ვალთა სახლი⁹სა თქუენისათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგუი¹⁰ვიდეგით კარსა და თქვენსავე ნაქონს ბრეთს გუიაჯენით, და¹¹ ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და შეგი-¹²წყა¹²ლეთ და გიბოძეთ სოფელი ბრეთი სამართლიანის სა¹²ქმითა და სამძღურითა, მთით ბარამდისინ, ყოვლის კაცისა¹³გან უცილებრად.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მან)¹⁴ ჩუენსა ერდგულად სამ-¹⁵სახურსა შინა და არაოდეს არ მოგ¹⁵შალოს არა ჩუენგან და არა სხუათა მეპატრონეთაგა¹⁶ნ.

ანე, გიბ(რძანე)ბთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, მდ¹⁷ივან(ს)ო და სხუანო მოსაქმენო, ვინცა-ვინ იყუნეთ და ანუ¹⁸ დღეის წალმა იქნებოდეთ, თქუენცა ასრე გაუთავეთ¹⁹ და ნურას მოუშლით და შე²⁰ცილებით თუი-²⁰ნიერ შეწევნ²⁰ისა და თანადგომისაგან კიდე.

დაიწერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე²¹ ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკდ, იანვარს ბ, ჴელითა კარისა ჩუენისა მდივან-²²მწიგნობრის, თუმანიშვილის ბირთველისთა.

ხელრთვები: როსტომ, მარიამ

გვიანდელი მინაწერი: ბრეთის წყალობის წიგნი არის.

სპარსული ტექსტი:

1636 წ. 10 იანვარი – 7 თებერვალი

هو

حکم عالی شد آنکه بنابر توجه خاطر عالی در براه رفعت پناه کیخسرو بیگ ولد آوال بدستوری که سابقا قریه برت نیول مشار الیه مقرر بود بهمان قاعده بتیول مومی الیه مقرر نمودیم رعایا قریه مزبور مشار الیه را تیولدار باستقلال خود دانسته مالوجهات و حقوق دیوانی را مخصوص او دانند و درین باب قدغن دانسته از فرموده تخلف نورزند تحریرا ۸ شهر شعبان سنه ۱۰۴۵

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია როსტომ მეფის სპარსული ბეჭედი. ქართულ ტექსტზე – სპარსული ოვალური ბეჭედი წარწერით: يا معين الضعفا – ო, უძღურთა შემწევ.

ის (ლმერთი)

- გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ სიდიადის საფარველის ქ ა -
ი ხ ო ს რ ო - ბ ე გ ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი მაღალი აზრის მეფის
კეთილგანწყობის გამო, ჩვენ ხსენებულ [ქ ა ი ხ ო ს რ ო - ბ ე გ ს] თი-
ულად დავუმტკიცეთ სოფელი ბ რ ე თ ი ი მ წესით, რა [წესითაც] ის [მას]
5 ჰქონდა დამტკიცებული. ხსენებული სოფლის გლეხებმა მოხსენიებული
[ქ ა ი ხ ო ს რ ო - ბ ე გ ი] თავიანთ სრულუფლებიან თიულდარად უნდა
ცნონ და მალუჯათი და სახელმწიფო გადასახადი მის კუთვნილებად უნდა
აღიარონ. [მათ] ამის შესახებ [გამოცემული] ბრძანება [უნდა] იცოდნენ და
ნაბრძანებს წინააღმდეგობა არ გაუწიონ.
- 10 დაინერა 1045 წლის შაბანის თვის 8 (რიცხვში).

56

1636 წ. 2 ივლისი. წყალობის წიგნი ორსტომ მეფისა საფედავლე წირეთელაშვილისადმი

პ ი რ ი : სეა, 1450-25/126, გადაწერილი დედნიდან რუსული მმართველო-
ბის პირების დავთარში.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკდ (324) მკათათვის ბ (2), რაც უდრის 1636
წლის 2 ივლისს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი მერაბ ყორღანაშვილი.

- [ქ.] ნებითა და შეწვევითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ მეფემან პა-
ტრონმან რ ო ს ტ ო მ , ესე საბოლოოთ გასათავებელი წყალობისა
წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერ{დ}გულსა
და თავდადებით ნამსახურსა ყმასა, ნ ე რ ე თ ე ლ ა ს შ ვ ი ლ ს ს ე ფ ე -
5 და ვ ლ ე ს და ძმასა შენსა პ ა პ ი ა ს ა , შვილთა თქუენთა ბ ა ი ნ დ უ რ ს
და ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს და ნ ა ს ყ ი დ ა ს ა , და ჩამ{ქ}მავალთა სახლისა
თქვენისათა, ყოველთავე.

- მას ჟამსა, ოდეს მოგვიდგეით კარსა და თ ე ძ მ ი ს პირს მ ე ფ ი ს ქ ა -
ლ ა ქ ი ს მამასახლისობას და სითარხნეს დაგვიაფენით, ჩუენცა ვისმინეთ
10 აჯა და მოხსენება თქუენი და შეგიწყალეთ და დაგიმკვიდრეთ და დაგიმტ-
კიცეთ {სა}მკვიდროთ და საბოლოო{ქ}დ მ ე ფ ი ს ქ ა ლ ა ქ ი ს მამასახ-
ლისობა და თარხნობა. ასრე რომე, არაფერისთანა საჩვენო სათხოვარი
და გამოსაღები არა გეთხოვებოდეს-რა, კარისა ჩვენისა სამსახურისაგან
მეტი. და რომელიც ამისი სახელო კაცი ამისის სიტყვის მომსმინო{ნ}ი და
15 დამჯერონი არ იქნებით, ჩვენდა შეცოდებად მოგკითხვათ, იცოდენ!

ანე, გიბძანებთ კარისა ჩუენის ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო,
დღეს ვინ გინდა-ვინ იყოთ და ანუ დღევის ნაღმა ვინ გინდა-ვინ იქნებოდეთ,
მერმე, ეს{ქ} ჩვენგან ბოძებული მამასახლისობისა და სითარხნის სიგელი
თქვენცა ასრე გაუთავეთ, რომე, რარიგადაც ამა ნაწყალობევს ფარმანში

ენეროს. და ნუოდეს ნუ მოუშლით და შექცევილებით თანადგომისა და შენ-
ევნისაგან კიდევ.

დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკდ, {მ}კათათვის ბ,
ჯელითა მდივან-მნიგნობრისა – ყო რ დ ა ნ { ა } შ უ ი { ლ ი } ს მ ე რ -
ა ბ ი ს ა თ ა .

5

დედანს ჰქონდა ხელრთვა: რ ო ს ტ ო მ

კომენტარი:

წერეთელასწვილები ქართლის აზნაურები იყვნენ. საფიქრებელია, რომ
ისინი წერეთელთა ქართლის შტოს ეკუთვნოდნენ. როსტომს სეფედავ-
ლე გაუთარხნებია და მისთვის უბოძებია ახლად აშენებული მეფის
ქალაქის მამასახლისობა.

57

**1636 წ. 3 აბვისტო. წყალობის წიგნი ოსტომ მეფისა
ღვალთეულ ხუცია ჩანთაძისა და ბიორგი თეზაძისაღმი**

დე დ ა ნ ი : სეა, 1448-1492, ყავისფერი ქაღალდი შავი ლაქებით; 1 ფრ.
ზომა: 19,5X12,8 სმ; შავი მელანი; განკვეთილობის ნიშნებად გამოყენებულია
ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; რესტავრირებულია, დაზიანებული
ადგილები შევსებულია თეთრი ქაღალდით; ტექსტის ხილვადობა მკაფიოა.
საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. სპარსული ტექსტი შექასთეს
ხელით, ხუთ სტრიქონად, მოთავსებულია საბუთის recto-ზე.

პირი: სპბი, E-240-58; 79 ან.

საბუთის თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკდ (324) მარიამობისთუეს (აგვის-
ტოს) გ (3), რაც უდრის 1636 წლის 3 აგვისტოს.

გ ა მ ო ც ე მ ა : ფუთურიძე, 1955, გვ. 125; Какабадзе, 1967, გვ. 173.

ქ. ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შექცეულა და გიბოძეთ ჩუენ,
მეფემან პარტ[ო]ნმან როსტომ, შენ, დ ვ ა ლ თ ე ლ ს ჩ ა ნ თ ა ძ -
ე ს ხ უ |³ც ი ა ს ა და თ ე გ ა ძ ე ს გ ი ო რ გ ი ს , ძმათა და შექვი|⁴ლთა
თქუენთა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ო[დექ]|⁵ს დილისათუის გაგზავნეთ და ყ ა რ ა მ ა ჰ -
მ ა დ ა |⁶შ ვ ი ლ ი და ცამეტი კარგი კაცი მოგუისხი[თ],⁷ და ჩუენცა იმის-
ად საჯილდაოდ შეგიწყალე|⁸თ და ამოგიკუეთეთ საბოლო[ო]დ კოდის
პუ|⁹რი ასრე რომე, არაოდეს არ გეთხოვე|¹⁰ბოდეს არა ჩუენგან და არა სხ-
უათა მეზატო|¹¹ნეთაგან.

ანე, გიბ(რძანებ)თ კარისა ჩუენისა წარვნელ|¹²ინო მეკოდისპურენო,
თქუენცა ასრე გაუ|¹³თავეთ და ნურას მოუშლით. ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკდ,
მარიამობისთუეს გ.

ხელრთვა: რ ო ს ტ ო მ

სპარსული ტექსტი:

هو

حكم عالی شد آنکه بنابر شفقت در براه خودسیا و گرگین براتلو| در باب ... غله کودت پوری رسد ایشان همه یکی دو کود بوده باشد از ابتدا| ششماهه سیجقان نیل ترخان و معاف نمودیم وکلای عالی بعد الیوم مشار الیهیم را با اولاد| و برادران ترخان دانسته در باب ... غله کودت پوری بدیشان مزاحمت نرسانند تحریرا فی| شهر ربیع الثانی ۱۰۴۶

ის (ღმერთი)

5 გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ ხ უ ც ი ა და გ ი ო რ გ ი ბ ა რ ა თ ლ უ ს (საბარათიანოს მცხოვრებთა?) შეწყალების გამო, ... ჩვენ ვათარხნეთ და გავათავისუფლეთ ისინი მათი ხვედრი კოდისპურის [გადასახადისაგან]. სულ ერთი-ორი კოდი პური იქნება [ის თუ მეტი]. ამიერიდან, მაღალმა ვეცილებმა ხსენებული [პირები], მათი ძმებითა და შვილებით, თარხნად უნდა ცნონ [და] ... კოდისპურის [აკრეფის] გამო არ შეაწუხოთ. დაიწერა 1046 წლის რაბი ას-სანის (II) თვეში.

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია როსტომ მეფის სპარსული ბეჭედი. ქართულ ტექსტზე – სპარსული სარეგისტრაციო ბეჭდები: 1. ოთხკუთხა, წარწერით: **خاک قدم علی منوچهر** – ალის ფეხთა მტვერი, მანუჩარი და 2. ოვალური ბეჭედი გაურკვეველი წარწერით, რომლის ქვეშ მოთავსებულია სარეგისტრაციო მინანერი: **بنظر رسید** – განხილულ იქნა.

კომენტარი:

დვალთელი ჩანთაძე და თევაძე საბარათიანოს მკვირდნი არიან. ისინი უნდა იყვნენ გოსტაშაბ ბარათაშვილის ყმები, რომელთან ერთადაც მონაწილეობდნენ სამცხეზე მოწყობილ ლაშქრობაში და ყარა მაჰმადაშვილის დატყვევებაში. გოსტაშაბი სამცხეზე ლაშქრობის დროს დაღუპულა (იხ. კომენტარი Hd-14601). ეს ლაშქრობა იყო ირან-ოსმალეთის ომის შემადგენელი ნაწილი. როსტომისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ბრძოლაში მობრუნებული წარმატება. ამისთვის შაჰისგან ჯილდოც მიიღო. ამიტომაც თავადაც აჯილდოებს ლაშქრობის მონაწილეებს და ამ შემთხვევაში, მათ ათარხნებს. 1448-1492 და Hd-14601 საბუთების მიხედვით, ლაშქრობა ივლისში ან აგვისტოს დასაწყისში უნდა მომხდარიყო.

**1636 წ. 25 აგვისტო. მამულის წყალობის წიგნი
როსტომ მეფისა პაპუნა ბოშტაშაბიშვილ-
ბარათაშვილისადმი**

დედანი: ხეც, Hd-14601, ნაცრისფერი ქაღალდი, ზომა: 36,4X18,8 სმ; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. სპარსული ტექსტი, შექასთე-ნასთალიყის ხელით შესრულებული, შვიდ სტრიქონად, მოთავსებულია საბუთის verso-ზე.

თარიღი: საბუთს უზის თარიღი ქორონიკონი ტკდ (324), მარიამობისთვის კე, რაც გვაძლევს 1636 წლის 25 აგვისტოს.

საბუთის დამწერი: სალაროს მუშრიბი ფირადი.

გამოცემა: ღუნდუა, 1984: გვ. 12-14, №4.

ქ. ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან და ჯელ¹მნიფემან, პატრონმან როსტომ, თანამეცხედრქემა² ჩუენმან, დ³ედოფალმა⁴ პატრონმან მარიამ, ესე უკუნისამდი ჟამთა და ხანთა⁴ გასათავებელი, სამკუიდრო და საბოლოვო, მტკიცე, შეუშლელი და შე⁵უცუალელებელი წიგნი გიბოძეთ თქუენ, ჩუენტა ერდგულთა და მრ⁶ავალფერად ერდგულად თავდადებით ნამსახურთა ყმათა, ბარა⁷თაშვილს - გოშტაშაბიშვილს პაპუნასა, შვილთა და შვილიშვილთა სახლ⁸ისა მამავალთა თქუენისათა.

მას ჟამსა, ოდეს მამა თქუენი სამცხე⁹ დილისათვის გავგზავნეთ, ნავიდა ყარა-მაჰმადაშვილი და ბევრი კა¹⁰ცი სხუა დაიჭირა, თუითან ჩუენის სამსახურზედ შეაკუდა. ჩუენც¹¹ შეგინყალეთ და გიბოძეთ, რისაც მამულის მქონებელი მამაშენი¹² ყოფილიყოს მთასა ანუ ბარსა, უნაკლულოდ. ყოვლის კაცისაგ¹³ან მოუდევრად და შემოუხარჩლელად თქუენტვის გუიბოძებ¹⁴ია. არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგო¹⁵მად სხუათა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

ანე, უზედაესთა¹⁶ მოგახსენებთ და უქუედაესთა გ(ი)ბ(რძანე)ბთ, კარისა ჩუენისა ვე¹⁷ქილ-ვეზირნო, მდივანნო და სხუანო მოსაქმენო, თქუე¹⁸ნცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩუენგან ნაწყალობევს სიგელშიგან ეწეროს, ნურაოდეს ნუ შეუშლით, თ¹⁹უინიერ თანადგომისა და შენევნისაგან კიდე.

დაინერა ბქ²⁰ანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკდ, მარიამობისთუესა²¹ კე, ჯელითა კარის ჩუენის სალაროს მუშრიბის ფირალი-სათა. წიგნი²² და სიგელი ესე.

ხელრთვები: როსტომ, მარიამ

სპარსული ტექსტი:

1636 წ. 12 სექტემბერი

حكم على شد انكه چون مرحوم گشتاشب ... بمرحمت ركان اشرف فرسته جماعت مذکور الحمد
الله درستی و جانفشانی بوده در راه دین و دولت ابد مودی ممکن آورده | ... جمعی کثیر اثیر و دست گیر
نموده ... گشتاشب مذکور بخیل رسید و حقوق خدمت و جانسپاری نموده ... | بمرحوم مزبور متعلق بوده
به بابونه بیگ ولد مشار الیه شفقت نموده ارزانی داشتیم که کنخودایان و زارعی و رعایای متعلقه بمرحوم
... به بابونه بیگ و | سایر اولاد مرحوم مزکور را صاحب تیول ذیل ملک ... دانسته ... | ... و در عهده
شناسند چون نشان بمهر علی رسد اعتماد | اعتبار نمایند | تحریرا فی ۱۰ شهر ربیع الثانی سنه ۱۰۶۴

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ განსვენებულმა
გოშტაშბმა ... მოწყალებისა და დიდებულების ბურჯმა, ხსენებუ-
ლი საზოგადოების წარმომადგენელმა, დიდება ალლაჰს! სამარადისო
რჯულისა და სახელმწიფოს ძლიერებისაკენ მიმავალ გზაზე ერთგულე-
5 ბა და თავგანწირვა გამოიჩინა . . . მრავალი ტყვე შეიპყრო . . . ხსენებული
გოშტაშბმა რაზმით მოვიდა და ერთგული სამსახური და თავდადე-
ბა გამოამჟღავნა. . . (ის, რაც) ხსენებული განსვენებულის კუთვნილებაში
იყო მოხსენიებულის შვილისათვის – პაჰუნა - ბეგისათვის გვიწყ-
ალობებია და დაგვიმტკიცებია. განსვენებულის მფლობელობაში მყოფ-
10 მა ქეთხოდებმა, მინათოქმედებმა და გლეხებმა პაჰუნა - ბეგი და
მოხსენებული გარდაცვლილის სხვა შვილები ქვემოთ (დასახელებული)
ადგილის თიულის მფლობელად ცნონ . . . და მოვალეობად აღიარონ (ამ
ბრძანების შესრულება), როცა ეს (ბრძანება) მაღალი ბეჭდის ნიშნით აღი-
ჭურვება, ენდონ და ერწმუნონ (მას).
15 დაინერა რაბი ალ სანის თვის 10-ში, 1046 წ.

ქართული ტექსტის შუა ნაწილში მოთავსებულია ორი სპარსული სარეგ-
ისტრაციო ბეჭედი: 1. ოვალური, წარწერით: افوض امری الی الله „ალლაჰისთვის
მიმინდვია ჩემი საქმე.“ 2. ოთხკუთხა, წარწერით: خاک قدم علی منوچهر „აღის
ფეხთა მტვერი, მანუჩარი“. ბეჭდის ქვეშ წარწერა: بنظر رسید „განხილულ იქნა.“
სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია როსტომ მეფის ოთხკუთხა ბეჭედი
სპარსული წარწერით: همت سلطان صفی شاه زمین و زمان داد بند رستم خسرو نشان –
„ქვეყნის და დროის ხელმწიფემ, დიდსულოვანმა შაჰ სეფიმ, წყალობა მოილო
და მის მონას როსტომ ხოსრო მინოდა“*

კომენტარი:

ბარათაშვილ-გოსტაშაბიშვილი პაპუნა – გოსტაშაბ ბარათაშვილის
ვაჟი, ყლიჯყორჩი. საგულისხმოა, რომ საბუთში პაპუნა ბარათაშ-
ვილთან ერთად გოსტაშაბიშვილადაც მოიხსენიება. მისი და ყოფილა
ზურაბ სააკაძის საცოლფე, თუმცა, როცა ზურაბს როსტომის წინააღმ-

*გ. ფუტურიძის და ნ. დუნდუას თარგმანები: „ქვეყნის და დროის ხელმწიფის შაჰ
სეფის დიდსულოვნებამ მომცა მეფური სახელწოდება „როსტომ“ (როსტომ)“.

დეგ შეთქმულებაში მიუღია მონაწილეობა, მეფეს მისთვის წაურთმეგია საცოლუ და თავის გაზრდილ ქუაბულ მანაბლისთვის მიუთხოვებია (Hd-14419).

პაპუნას მამა, გოსტაშაბი სამცხეში ლაშქრობის დროს გარდაიცვალა. სამცხეში ლაშქრობა როსტომის ინიციატივით მოეწყო. ეს ლაშქრობა ჩატარდა ირან-ოსმალეთის 1623 წელს დაწყებული ომისა, რომელიც პერიოდული შესვენებებით 1639 წლამდე გაგრძელდა. 1635 წელს ოსმალეთმა განაახლა საომარი მოქმედებები. ამ ბრძოლაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ერევნისა და ახალციხის საკითხს. ოსმალეთის სულთანმა მურად IV-მ აიღო ერევნის ციხე და ამის შემდეგ მისმა ჯარმა ახალციხე დაიკავა (იბრაჰიმ ფეხევი, 1964: 91-92). ცხადია, ირანი ასე მარტივად არ შეურიგდებოდა ახალციხისა და ერევნის დაკარგვას. 1636 წელს შაჰ სეფიმ ამ მიმართულებით განაახლა ბრძოლა. 1636 წლის გაზაფხულზე შაჰმა ერევანი აიღო, როსტომ-ხანმა კი ახალციხეში გაილაშქრა, თუმცა უშედეგოდ. ეს იყო ახალციხის აღების უკანასკნელი ცდა (ჩოჩიევი, 1959: 368). როსტომის ლაშქრობას სამცხეში აღწერს ფარსადან გორგიჯანიძე და ამ მოვლენებს ათარიღებს 1637 წლით: „ქს ტკე აიღო ხონთქარმან ერევანი, მივიდა თავრიზს, დაარბივა ადრებეჯანი და ქურთისტანის გზით დაბრუნდა. მერვეს თვეს შასეფი ყაენი მიუხდა და მრავლის ლაშქრითა და ბრძოლით ისრევე ერევანი აიღო. და მრავალი კაცი ამოსწყდა. და ამისთანას დროს როსტომ მეფემ საქართველოს ლაშქარი გაუძახა და სამცხე და ჯავახეთი დაარბევინა. მრავალი ნაშოარი ქნეს. ეს ყაენს იამა და ორი ათასი თუმანი და ხალათი გაუგზავნა“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 245). ცხადია, ფარსადან გორგიჯანიძეს თარიღი ერთი წლით ეშლება და მოთხრობილი ამბები 1637 წლის ნაცვლად 1636 წლით თარიღდება, რასაც მოწმობს ზემომყვანილი ქართულ-სპარსული დოკუმენტის 1636 წლით თარიღდება (ქართველიშვილი, 2020).

59

1636 წ. 4 სექტემბერი. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ბაინდურ დალალისშვილისადმი

პ ი რ ი : სეა, 1450-48/152, გადაწერილი დედნიდან რუსული მმართველობის პირების დავთარში.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკდ (324) ენკენისთვის დ (4), რაც უდრის 1636 წლის 4 სექტემბერს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი მერაბ ყორდანაშვილი.

[ქ.] ნებითა და შეწევნითა ლ(მრთ)ის(ა)თა, ჩუენ, მეფეთ მეფემან, პატრონმან როსტომ და თანამეცხდრემან ჩუენმ{ა}ნ, დედოფალთა დედოფალმ{ა}ნ, პატრონმან, მ ა რ ი ა მ ესე ამიერით უკუნის{ა}მდე ჟამთა

და ხანთა გასაქთავებელი და შეუშლელი და შეუცვცაქლებელი ნყალობისა ნიგნი და სიგელი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და თავდადებით <და> მრავალფერად ერთგულობით ნამსახურ<ა>თა ყმათა, სომხითს დალალქას შვილს ბაინდურს და ადიბეგს

5

და ქაიხოსროს და ელიზბარს, შვილთა და შვილისშვილთა სახლისა ჩამომქავქალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე. მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და თქუენის მამისა და პაპის სქამკვიდროს მამულის ნიგნის გაქახლებას დაგუიჯენით, ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და მოკითხული ვქენით და ჟამთა ვითარებისქაგქან ძველნი სიგელნი დაგკარგუოდა. ჩუენცა ნიგნითა და ამითა გაგიახლეთ და გიბოძეთ სქამქართლიანი თქუენის მამისა და პაპის სქამკვიდროს სომხითს ველთას სოფელი, გულქანას ნაოხარი ნასოფლარი, უკლებრივა მთით ბარქამდე, ნყალითა, ნისქუილითა, ველითა და ვენახითა, სქახნქავითა და უხნქავითა, შენითა და ოხქერიითა, ნასყიდითა და უსყიდითა, სქაძებრითა და უძებრითა, ყოვლის მისის სქამქართლიანის სქაქმითა და სქამძღვრითა, ვიდრე მთით ბარქამდის, არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგქან და არცა შემდგომად სხვათა მეფეთა და მეპატრონეთაგან. და ვინ იცის, ამ თქვენის მამულის ნიგნი {ქქონდეს ვისმე{ს}, ანუ ამას წინანდელი და ანუ ამას უკანით ვინმე იშოვნოს, სიგლითა ამით გაგვიცუდებია. მტკიცე და უცვცაქლებელი სამკუიდრო და საბოლოო სიგელი ესეოდენი არის.

10

15

20

ანე, მოგახსენებთ კარისა ჩუენის ვექილ-ვეზირნო, მდივანქნო და სომხითის ტარულავ, და მელიქო და სხუანო მოსქაქმენო, დღეს ვინ გინდა-ვინ იყოთ და ანუ დღევის წაღმა ვინ გინდა-ვინ იქნებოდეთ, მერმე, ეს ჩვენგან ნაბოძები სქამკუიდროს მამულის სიგელი თქუენცა ასრე დაუმკუიდრეთ. და დაუმტკიცეთ, რომე რარიგქადქაც ამა ჩუენგქან ნაბოძებს ფარმანქაში ენეროს, ნურაოდეს ნურას მოუშლით და შექეცილებით, თუქინიქერ თანადგომისა და შენვენისქაგქან კიდე.

25

დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკედ, ენკენისთვესა და, ჳელითა კარისა ჩუენისა, მდივან-მნიგნობრისა, ყორღანქა შვილის მერაბისქათა.

30

დედანს ჰქონია ორი ხელრთვა.

1636 წ. 24 სექტემბერი. თარხნობის წიგნი ორსტომ მთვისა ბორელ მებარვე ზურაბ ბიორბიშვილისაღმი

დედანი: ხეც, Hd-1558; მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 41X19,6 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; მცირედ დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. სპარსული ტექსტი, შექასთე-ნასთალიყის ხელით

შესრულებული, ცხრა სტრიქონად, მოთავსებულია საბუთის verso-ზე. გატარებულია რუსულ რეგისტრაციაში 1818 წლის 23 ოქტომბერს.

თარიღი: ქორონიკონი ტკდ (324), ენკენისთვის კდ /1636 წლის 24 სექტემბერი/.

გამოცემა: დუნდუა 1984: №5, გვ. 14-16.

საბუთის დამწერი: კარის მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმა-ნიშვილი.

ქ. ნებითა და შენეწითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან, პატრონ|მ²ან როსტომ, ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი წყალო|³ზისა წიგნი და სითარხნის ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძე|⁴თ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა ყმასა გორელს მეკარვეს, ზურაბ გიო|⁵რ გიშუილს, ფარლუზათს, შვილთა შენთა ელიზბარს, შერმაზანს,|⁶ ხოსინასა და სუმბატს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენი|⁷სათა, ყოელთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და სითა|⁸რხნის წყალობას გუიჯენით. ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენ|⁹ება თქუენი და მოკითხული ვქენით, და ძუელითგანც თარხანი ყოფი|¹⁰ლიყვენით და სიგლებიც გინახეთ. ასრე გათარხნეთ და გათავისუ|¹¹ფლეთ, რომე არაფერი საჩუენო სათხოვარი და გამოსაღები არ|¹²ა გეთხოებოდეს-რა, არა ბაშმალი, არა ტიკი და ტომარა, არა ულაყი,|¹³ არა ხარჯი, არა დამლა და ბაჟი, არა ქალქს, არა გორს, არა აღს,|¹⁴ არა სურამს, არა ახალდაბას, არა{ა}ქრცხილვანს, არაოდეს ჩ|¹⁵უენი ბაჟი და გამოსაღები არა გეთხოებოდეს-რა, არა დღეს|¹⁶ და არა საბოლოო{ო}დ, თქუენით თარხნად და ჴელშეუვალად, ვერა კა|¹⁷ცი თქუენს კარზე სათხოვრად ვერ მოდგეს ანე.

ანე, გიბ(რძანებ)თ კარისა ჩ|¹⁸უენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანო და სხუანო მოსაქმენო, გორისა მოუ|¹⁹რავნო, მამასახლისნო და სხუანო მოსაქმენო, დღეს ვინცა-ვინ იყუნეთ და ა|²⁰ნუ ამას უკან იქნებოდეთ, თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნურას|²¹ მოუშლით და შეცილებით თუინიერ შენეწისა და თანა|²²დგომისაგან კიდე.

დაიწერა ბ(რძანებ)ა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკდ, ენკენ|²³{ის} თუეს კდ, ჴელითა კარისა ჩუენისა მწიგნობრის თუ მანიშუილის ბირ|²⁴თუ ელისითა, ერთის კარზე სამსახურის მეტი არა გეთხოებ|²⁵ოდეს-რა.

ხვეული ხელრთვა: ||²⁶როსტომ

სპარსული ტექსტის თარგმანი:

გამოვიდა მაღალი ბრძანება ... ითხოვა ბრძანების (განახლება) წარმოადგინა ძველი (სიგელები), რომლითაც მისი წინაპრები ძველი დროიდან დღემდე თარხანნი იყვნენ. ამჟამად, ზემოთხსენებული მაღალი კარის სამსახურშია ... მოხსენიებული (პირი) გავათავისუფლეთ მალუჯეჴათის, ვოჯუჴათის, დამლის ბეგარის, შიგარის, თარჴის, დასთანდაზისა და სხვა (გადასახადებისაგან). დიდებულმა მუსტოუფებმა და მაღალმა ვექილებმა მოხსენიებული მეკარვე გიორგის შვილი ფარლუზათი თაობიდან თაობამდე თარხანად სცნონ. ზემოთხსენებულსა და მის შვილებს არავი-

5

თარ შემთხვევაში არ მოსთხოვონ (გადასახადი) და (ისინი) თ ბ ი ლ ი ს შ ი , გ ო რ ს ა და ს უ რ ა მ შ ი და სხვაგან, მოხსენიებული მიზეზების გამო, დამლის ამკრეფებმა არ შეანუხონ და არ მოსთხოვონ (გადასახადი). (მაგრამ) თუ აღმოჩნდა, რომ სხვა ადგილებიც თავის სახელზე ქავს გაფორმებული (მითვისებული), მაშინ ყველა ამ ადგილებიდან აკრიფონ დამლის თანხა, თუ არა და ეს დამლა მისი და მისი შვილების კუთვნილებად სცნონ. მთლიანად ზემოთხსენებულისათვის გვიბოძებია. ამის შესახებ აკრძალვა იცოდნენ და ვალდებულებად აღიარონ (ამის შესრულება). როცა (ეს) ნიშანი და ბრძანება მაღალი ბეჭდით აღიჭურვება, ენდონ და ერწმუნონ (მას) დაინერა [1046 წლის] 15 ჯომადი ალ-სანის თვეს.

ქართულ ტექსტში მოთავსებულია ორი სპარსული სარეგისტრაციო ბეჭედი. 1. ოთხკუთხი, წარწერით: **خاک قدم علی منوچهر** – „აღის ფეხთა მტვერი, მანუჩარ“. ბეჭდის ქვეშ არის სარეგისტრაციო მინანერი: **بنظر رسيد** – „განხილულ იქნა“, 2. ოვალური ფორმის ბეჭედი, ლეგენდით: **افوض امرى الى الله** – „მიმინდვია ჩემი საქმე ღვთისათვის“.

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია როსტომ მეფის სპარსული ბეჭედი წარწერით: **همت سلطان صفی شاه زمین و زمان لتف بنده را خسرو رستم نشان داد** – „ქვეყნისა და დროის ხელმწიფემ, დიდსულოვანმა შაჰ სეფიმ ნყალობა მოიღო მის მონაზე და ხოსრო როსტომი მიწოდა.“

გვიანდელი მინანერი:
... თ ა (ვადი) თ უ მ ა ნ ო ვ ი .

კომენტარი:

საბუთის ტექსტი მნიშვნელოვანია ქართლის სამეფოში საბაჟოების რაოდენობისა და ადგილმდებარეობის განსასახადერავად. საბაჟოები ყოფილა თბილისში, გორში, ალში, სურამში, ახალდაბასა და ცხინვალში. ნიშანდობლივია, რომ ქართლ-იმერეთის საზღვარზე მდებარე ახალდაბა ამ დროისთვის უკვე ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია.

61

1636 წ. 12 დეკემბერი. წყალობის ბანახლების წიგნი როსტომ მეფისა ასლამაზ იაბულაშვილისადმი

პ ი რ ი , სეა, 1450-9/123; საბუთის დედანი შეუტანიათ რუსული მმართველობის კანცელარიაში 1817 წლის 12 აპრილს, სარეგისტრაციო დავთარში გაუტარებიათ 1820 წლის 5 ივლისს, ნომრით, №122.

თ ა რ ი დ ი : ქორნიკონი ტკდ (324), ქრისტიშობის იბ, რაც გვაძლევს 1636 წლის 12 დეკემბერს. საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობართუხუცესი ავთანდილ მარტიროზისშილი.

ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, ღ(მრ)თივ-აღმართებულმან და ღ(მრ)თივ-გვირგვინოსანმა, მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ, და თანამემცხედრემა ჩუენმა დედოფალთა-დედოფალმა, პატრონმან მარია, ესე უკუნისამდის ჟამთა გასათავებელი მტკიცე და შეუცვალე-ბელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩუენსა 5 ერდგულსა და მრავალფერად ნამსახურსა ყმასა, კარისა ჩუენისა ყაფიქის, იაგულაშვილს ასლამაზს, ალიხანს და შვილს შენსა ალავერდის, და მამავალთა სახლისა შენისათა.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და თქვენის სამკუიდროს მამულისა და ნაწყალობევის მამულის სიგლისა გაქახლებასა და დამტკიცე-ბასა დაგუქეჯენით. ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და მოკითხული ვქენით და სომხით სოფელი მთაქშიგან და სალა და 10 სალარველა მისთა დღეშიგა თქუენი სამკუიდრო და სასაფლაო ყოფილიყო, და დიდის მეფის სვიმონისაგან, მეფის გიორგისაგან, მეფის ლუარსაბისაგან და მისის შვილის მეფის სვიმონისაგან სიგლებიცა გქონდა. და შენი განაყოფნი რომე გაყროდეს, ეს [ო]რი სოფელი სამკვიდრო და სალარველა წილშიგაცა შენ გრგებოდა. აგრევე, მოურავმა რომე ყარჩილახანს უღალატა და მოკლა, ჩვენი ძმისწული მეფის სვიმონ ყაენთან წასულიყო და ღარიბობის ჟამში თქვენ თან გაჰყოლოდი. და მრავალი სამსახური დაგედვა და თქვე- 20 ნის სამსახურისა და ერდგულობის სამუქფოთ და საჯილდაოთ მეფეს სვიმონს ყაენის კარში, ყაენისავე ბრძანებითა ხოხმელი, დიდი საჭუნდარი თქვენთვის ებოძებინა და ბედნიერის ყაენის ფარვანაც გქონდა.

ან, ჩვენცა შეგინყალეთ და სიგლითა ამითა გიბოძეთ და დაგიმ-კუიდრეთ სომხითს თქვენივე სამკუიდრო და სასაფლაო სოფელი, სამკვიდრო და სოფელი სალარველა, და ჯილდოდ ნაბოძები სოფე-ლი დიდი საჭუნდარი სრულობით, ყოვლის მისის მთითა, ბართა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენაწითა, ქალითა, სათიბითა, სასახლითა და ჭურ-მარნითა, ეკლესიქითა, სასაფლაოთა და ყოვლის მისის სამარ- 30 თლიანის სამძღურითა და საქმითა, რისაც სამჭმოს მქონებელი ყოფილიყუნენ, ყოვლითურ უნაკლულო. და შენ, ალიხანქასა და შენთა შვილთათვის გვიბოძებია ყოვლის ადამის მონათესავეს კაცისაგან მოუდევარ-მოუსარჩლელად.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენს ერდგულობასა და 35 ს[ამს]ახურსა შიგა.

ანვე, გ(ი)ბ(რ)ძ(ანებ)თ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანო და სხვანო მოსაქმენო, სომხითის მელიქნო და ტარულანო, ვინგინდა-ვინ იყუნეთ და ანუ იქნებოდეთ, მერმე ბ(რ)ძ(ანება) და ნიშანი ესე ჩვენი თქვენ- 40 ცა ასრე დაუმტკიცეთ, რარიგა(და)ც ამა ჩუენგან ნაწყალობევსა სიგელსა შიგან ენეროს. და ნურცა რას თქვენ შეუშლით და შექეცილებით თუინიერ თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე.

დაინერა ნიშანი და ბრძანება ესე ჩვენი ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკდ, ქრისტი-

შობის თუესა იბ, ჳელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობართა უხუცესისა მარტიროზის შვილის ავთანდილისითა .

5 აგრევე – შუა ბოლის {ს} ერთი კუამლი გლეხი ყამაზაშვილი ხეჩიკა მისის მამულითა, რისაც მქონებელი იყოს, ყოვლის მისის სამართლიანის მამულითა. კიდევ სამკუჩი დროდ და საბოლოო დ შენთვის და შენთა შვილთათვის გვიბოძებია ყოვლის კაცისაგან უცილებლად.

ხელრთვა: როსტომ, მარია მ.

მინანერი: ასლთან თანასწორ არის, სოვეტნიკი თ(ავად) დიმიტრი თარხანოვი .

გვიანდელი მინანერი: ასლი, სიგელი მივიღე, სტეფანე ავთანდილოვი .

კომენტარი:

მარტყოფის ბრძოლის (1625 წლის 25 მარტი) შემდეგ, როდესაც გიორგი სააკაძის მეთაურობით ქართველებმა სპარსეთის ჯარი თითქმის მთლიანად გაანადგურეს და მთავარსარდალი ყარჩიხა-ხანიც ბრძოლის ველზე მოკლეს, ქართლსა და კახეთში მეფედ მოიწვიეს თეიმურაზ I. სვიმონ II-ს ქვეყანაში აღარ ედგომებოდა და შაჰთან წავიდა. მას თან ხლებია იაგულაშვილი ასლამაზი. ამ ერთგულებისთვის შაჰს მასინვე დაუჯილდოვებია და სოფლები ხოხმელი და დიდი სახუნდარი უბოძებია. შაჰის წყალობა დოკუმენტურადაც ყოფილა გაფორმებული, თუმცა ამ საბუთს ჩვენდამდე არ მოუღწევია და ამ ფაქტის შესახებ მხოლოდ როსტომის წინამდებარე სიგელიდან ვიგებთ.

1636 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა მდივანებმა ყაფლან ბარათაშვილისაგან

დედანი: ხეც, Hd-14476; მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 37X21,5 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; მცირედ დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. საბუთის ტექსტი ქართულ-სპარსულია; სპარსული ტექსტი შვიდ სტრიქონად შექასთეს ხელით მოთავსებულია საბუთის verso-ზე. საბუთი სარეგისტრაციოდ შესულია რუსული მმართველობის დაწესებულებაში 1817 წლის 12 აპრილის, რეგისტრაციაში გაუტარებიათ 1820 წლის 6 მარტს ნომრით №119.

პირი: სეა; 1450-15/136.

თარიღი: ქორონიკონი ტკდ (324), /1636 წელი/.

გამოცემა: ფუთურიძე. 1955, №58, გვ. 130-132.

საბუთის დამწერი: კარის მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშილი.

ქ. ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფემან, პატრონმან როსტომ, ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა და წესიებრივ თავდადებით მრავალფერად ნამსახურსა ყმათა ბართაშვილს, კარისა ჩუენისა დივანბეგს ყაფლანს და შვილთა თქუენტა: პაპუნასა, ორბელს და ასლამაზს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და ქუემო ბოლნისს ბართას ზურის წყალობას გუიჯენით. მოკითხული ვქენით და ვითაც რომე ნასყიდობით ირჩიდით, ჩუენ¹⁰ნცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და შეგიწყალეთ და გიბოძეთ¹¹ ქუემო ბოლნისს ბართას ნაქონი ზუარი სამართლიანის საქმიდა და სამძღურითა, ყოვლის კაცისაგან უცილებრად. სამკუიდროდ და საბოლოოდ თქუენ¹³ნ-თუის და თქუენტა შვილთათვის გუიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მან)¹⁴ ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა¹⁵ ჩუენგან და არა შემდგომად სხუათა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

¹⁶ანე, გიბ(რძანებ)თ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანო და სხუანო¹⁷ მოსაქმენო, სომხითის ტარულანო და მელიქნო, ვინცა-ვინ იყუნეთ და ანუ¹⁸ დღეის ნაღმა იქნებოდეთ, თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნურას მოუ¹⁹შლით და შექცილებით, თუნიერ შენევნისა და თანადგომისაგან კიდ²⁰ე.

დაინერა ბ(რძანებ)ა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკედ, ჴელითა კარისა ჩუენ²¹ნისა მდივან-მწიგნობრის თუმანის შვილის ბირ-²²თუელისითა.

ხვეული ხელრთვა: ||²³როსტომ

ქართულ ტექსტს სტრიქონებს შორის უზის ორი სპარსული სარეგისტრაციო ბეჭედი: 1. ოთხკუთხა: خاك قدم على منوچهر – „აღის ფეხთა მტვერი მანუჩარი“; 2. ოვალური: افوض امرى الى الله – „ჩემი საქმე ღვთისათვის მიმინდვია“. ქვემოთ აქვს მინანერი: بنظر رسيد – „განხილულია“.

verso-ზე მინანერები: ქკზ, ქ. ქუემო ბოლნისის ზვრის წიგნი არის როსტომ მეფის ნაბოძები.

სოვეტნიკი(თავა)დი დიმიტრი თარხანოვი.

هو

حكم عالی شد آنکه چون یکدر باغ واقعه در قریه بولنیس سفلا از قدیم الایام بتیول مرحوم براته بیگ براتلو
 ۱ مقرر بوده و جمعی بعلت آنکه باغ مذکور را ابتیاع نموده باشد متصرف بوده اند و درینولا رفعت و معالی
 پناه نظاما قیلان بیگ دیوان بیگی و ایشیک اقای باشی استدعای آن نمود که چون باغ مذکور به با و اجداد
 ایشان متعلق بوده بدستور به مشارالیه داده شود بنابر حقیقت و حقوق قدیمی و خدمات پسندیده باغ مذکور را از
 ابتدا سیجقان نیل بر رفعت و معالی پناه مشارالیه و ولدان و اولاد او شفقت فرموده ارزانی داشتیم که بهر عنوان
 که خواهد متصرف شود کدخدایان و ریش سفیدان قریه مذکور باغ مزبور را مخصوص مشارالیهما دانسته
 ۱ دیگری را سهمیم و شریک ایشان ندانند از جوانب برینجمله روند در باب قدغن دانسته ۱ در عهده شناسند
 تحریر فی شهر ربیع الاول سنه ۱۰۴۶

ის (ღმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანებულება მასზედ, რომ, რადგან სოფელ ქ ე ე -
 მ ო ბ ო ლ ნ ი ს შ ი მდებარე ერთი ნაკვეთი ზვარი განსვენებულ ბ ა რ ა -
 თ ა - ბ ე გ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ს ჰქონდა თიულად დამტკიცებული და
 მას ეუფლებოდნენ ზოგიერთნი, რომ შეესყიდათ და ამჟამად, სიდიადი-
 5 სა და აღმატებულების თავშესაფარმა დივან-ბეგმა და ეშიკაღასიბაშმა —
 ყ ა ფ ლ ა ნ - ბ ე გ მ ა ითხოვა, რომ რადგან ხსენებული ზვარი მათ მამა-პა-
 პას ეკუთვნოდა, წესისამებრ მასვე მიეცეს. [ამიტომ ჩვენ] ჭეშმარიტებისა
 და ძველი დამსახურების და მოსაწონი სამსახურის საფუძველზე, თავვის
 10 წლის დასაწყისიდან, მოხსენიებულ სიდიადის და აღმატებულების სა-
 ფარველს [ყ ა ფ ლ ა ნ - ბ ე გ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ს] და მის შვილებს და
 შთამომავალთ ვუწყალობეთ და ვუბოძეთ [ხსენებული ზვარი], რათა, რო-
 გორც უნდათ ისე მოიხმარონ [იგი]. ხსენებული სოფლის ქეთხოდებმა და
 რიშეფიდეებმა აღნიშნული ზვარი ხსენებულის [ყ ა ფ ლ ა ნ - ბ ე გ ი ს] სა-
 კუთრებად აღიარონ და სხვა [ვინმე] მის მონაწილედ და მონილედ არ უნდა
 15 ცნონ, ამის მიხედვით უნდა მოიქცნენ, ამის შესახებ [გამოცემული] ბრძანე-
 ბა იცოდნენ და [მისი შესრულება] თავის მოვალეობად უნდა აღიარონ.
 დაინერა 1046 წლის რაბი ალ-ავალის თვეში.

სპარსული ტექსტის ბოლოს ზის როსტომ მეფის სპარსული ბეჭედი.

1636 წ. წყალობის წიგნი ოსტომ მეფისა
დონმაზა ბობიბაშვილისადმი

პ ი რ ი : სეა, 1450-8/42.

საბუთის თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკდ (324), რაც უდრის 1636 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

[ქ.] ნებითა და შენვევნითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან პატრონ-
მან რ ო ს ტ ო მ , და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალთ-დედოფალ-
მან პატრონმან მ ა რ ი ა მ , ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებე-
ლი წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა
ერდგულსა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა ყმასა, გ ო გ ი ბ - 5
ა შ ვ ი ლ ს ა ი დ ო ლ მ ი შ ს , კარისა ჩვენის ყაფიჩს დ ო ნ მ ა ზ ს და ძმა-
სა შენსა, ყ ო რ ხ მ ა ზ ს , შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა,
ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და მამულის წყალობას გვია-
ჯენით, და ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, და შეგინყალეთ და
გიბოძეთ ქ ვ ე მ ო ბ ო ლ ნ ი ს ს მ ი რ ი ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ ი რ ზ ა მისის
მამულითა, რისაც მქონებელი ყოფილიყოს. ყოვლითურთ თქვენთვის და
თქვენთა შვილთათვის გვიბოძებია სამკვიდროდ და სამამულედ. 10

გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერდგულად სამსახ-
ურსა შინა. 15

ანე, გიბძანებთ კარისა ჩუენის ვეჟილ-ვეზირნო, მდივან{ნ}ო და სხვა-
ნო მოსაქმენო, ს ო მ ხ ი თ ი ს ტარულანო, მელიქნო და ბ ო ლ ნ ი ს ი ს
მოურავნო, დღეს ვინცა-ვინ იყვნეთ და ანუ ამას წაღმა უკან იქნებოდეთ,
თქვენცა ასრე გაუთავეთ და ნურას მოუშლით და შე{ე}ცილებით.

დაინერა ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკდ, ჴელითა კარისა 20
ჩვენისა მდივან-მწიგნობრის, თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ უ ე ლ ი -
ს ა თ ა .

დედანს ესვა ბეჭედი: რ ო ს ტ ო მ

1636 წ. წყალობის წიგნი ოსტომ მეფისა
იოთამ აბილახორისადმი

პ ი რ ი : სეა, 1461-14/38.

საბუთის თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკდ (324), რაც უდრის 1636 წელს.

ქ. ნებითა და შენვევნითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფემან პატრონმან
რ ო ს ტ ო მ , ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ

თქუენ, ჩვენთა ერდგულთა და მრავალფერად ნამსახურთა ყმათა, ა მ ი -
ლ ა ხ ო რ ს ი ო თ ა მ ს და ძმათა თქუენთა, ბ ე ჟ ა ნ ს და შვილთა თქვენ-
თა, ა ნ დ უ ყ ა ფ ა რ ს .

5 ასრე და ამა პირსა ზედან, რომე მოკითხული ვქენით და, რაც
დ ა მ პ ა ლ ა თ ჩუენი სახასო მიწა არ ყოფილიყო, მის მეტი არ მოგიშა-
ლოთ. და რომელიც თქუენის სახლის ჩამომავალთა დ ა მ პ ა ლ ა თ მიწა
ჰქონებოდეს, ჩუენც ასრე გვიბოძებია ყოვლის კაცისაგან უცილებრად.

10 გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მან) ჩვენსა ერდგულად სამსახ-
ურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა სხუათა მეპა-
ტრონეთაგან.

ანე, გიბძ(ანებ)თ კარისა ჩუენის ვექილ-ვეზირნო, მდივან(ნ)ო და სხ-
უანო მოსაქმენო, თქვენცა ასრე გაუთავეთ და ნურას მოუშლით და შე(ქე)
ცილებით.

დაინერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკდ.

დედანს ესვა ხელრთვა: რ ო ს ტ ო მ

65

1636 წ. წყალობის ბანახლების წიგნი როსტომ მეფისა შარშა შარშაშვილისაგან

პ ი რ ი : სეა, 1450-51/238.

საბუთის თ ა რ ი ღ ი : ქორონიკონი ტკდ (324), რაც უდრის 1636 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივანი მერაბ ყორღანაშვილი.

ჩვენ, მეფემან პატრონმან რ ო ს ტ ო მ , ესე ამიერით უკუენისამდე ჟამ-
თა და ხანთა და სამკვიდროდ და საბოლოვოთ გასათავებელი წყალობისა
წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერდგულსა და
ნამსახურსა, ჩვენთა მამა-პაპ(ა)თ(ა) მოალაპეთა შ ა რ უ ა შ ვ ი ლ თ ა
5 შ ა რ უ ა ს ა , ბიძაშვილთა შენტა მ ე რ ა ბ ა ს ა , შვილთა თქვენთა: გ ო -
გ ი ნ ა ს ა , გ ა ს პ ა რ ა ს ა და მ ე რ ა ბ ა ს , შვილთა ს ო ლ ა ღ ა ს ა ,
და ვ ი თ ს და ფ ი რ ი ბ ე გ ს , მომ(ა)ვ(ა)ლთა სახლისა თქვენისათა.
ყოველთავე.

10 მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და თ ა ზ ი შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ
თქვენს მკვიდრსა და ნასყიდს(ა) ვენახისა და მიწების(ა) წყალობის წიგნის
გაახლებას გვიაჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, მოკ-
ითხული ვქენით და ნასყიდის მამულის შემოცილებ(ა)ს, ღ(მრ)თ(ი)ს გარ-
დაისათ, კაცი შემოცილებას არ გემართლებოდეს. მეფეთაგან მო(ცემუ)
ლი სიგელიც გქონდეს და სიგელი გინახეთ. და ჩვენც გაგიახლეთ, დაგიმ-
15 კვიდრეთ და დაგიმტკიცეთ მტკიცე სიგელი ესე. ვისაც იმ მამულის წიგნი
ჰქონდეს, და სიგლითა ამით გაგვიცუდებია, არაოდეს არ მოგეშალოს არა
ჩვენგან და არც შემდგომ(ა)დ სხვათა მეფეთა და მეპატრონეთაგან. ესე

საბოლოოვითი ასრე გაგითავდეს, გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერდ-გულ{ა}დ სამსახურსა შიგან.

მოგახსენებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, მდივან{ნო} და ერთობილნო ს ა მ ც ხ ე თ ო ნ ო , მერმე ეს{ე} ნაბოძების სიგელი თქვენცა ასრე დაუშკვიდრეთ, რარიგადაც ამა ფარმ{ანა}ში სწერია. ნურაოდეს ნუ მოუ-შლით და შე{ე}ცილებით თვინიერ თან{ა}დგომისა და შეწევნისაგ{ა}ნ.

5

დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკდ, ხელითა მდივან{ისა} ყ ო რ ღ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს მ ე რ ა ბ ი ს { ა } თ ა .

დედანს ჰქონია ხელრთვა: რ ო ს ტ ო მ

66

1636. წყალობის წიბნი როსტომ მეფისა ზურაბ ყაზარაშვილისაღმი

დე დ ა ნ ი : სეა, 1448-3273; სიძველისაგან გაყვითლებული ქაღალდი; ზომა: 36X19 სმ.; შავი ფერის მეღანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი; ტექსტის ხილვადობა საკმაოდ მკაფიოა; გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით; საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. ოთხსტრიქონიანი სპარსული ტექსტი, შექასთეს ხელით შესრულებული, მოთავსებულია საბუთის verso-ზე.

პ ი რ ე ბ ი : სეა, 1450-49/39.

საბუთის თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკდ (324), რაც უდრის 1636 წელს.

საბუთის და მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი - ბირთველ თუშანიშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა : ფუთურიძე, 1955: გვ. 128-130.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თ[ისათა], ჩ[უენ], მეფეთ-[მეფემან, პატრონ] |²მან როსტომ, და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფა |³ლმან, პატრონმან მ ა რ ი ა მ , ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გა |⁴სათავებელი წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და |⁵ გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა და მრავალფერად თავ |⁶დადებით ნამს{ა}ხურთა ყმათა ყ ა ფ ა რ ა შ ვ ი ლ ს , კარისა ჩუენისა ს ო ი - ბ ა თ |⁷ ი ა ს ა უ ლ ს ზ უ რ ა ბ ს , ძმასა შენსა დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ს , ყ ა ფ ა რ ს და შვილთა და |⁸ მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, ო |⁹დეს მოგუიდეგით კარსა და ს ო მ ხ ი თ ს ნაოწარს ნა-სოფლარს |¹⁰ გუიაჯენით, ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და მო |¹¹კითხული ვქენით და პირველადცა თქუენ გქონდა და წიგნის გა{ა}ხ |¹²ლებას გუიაჯენით. და ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი |¹³ და შეგიწყალეთ და გიბოძეთ ს ო მ ხ ი თ ს , ყ უ ზ ა ნ ა ს ნასოფლარი მარ |¹⁴თლის სამართლიანის საქმიითა და სამძღურითა, მითითა, ბარითა, |¹⁵ წყლითა, წისქულითა, ველითა, შენითა და ოჭერთა, შესავლითა და |¹⁶ გასავლითა, საძებრითა და უძებრითა, ყოვლის სამართ |¹⁷ლიანის საქმიითა

და სამძღვროთა. რისაც მქონებელი ყოფილიყოს, |¹⁸ ყოვლითურ თქუენტ-ვის და თქუენტა შვილთათვის გუიბოძებია, სამკუიდროდ |¹⁹ და საბ-ოლო{ო}დ.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მან) ჩუე |²⁰ნსა ერდგულად სამს{ა} ხურსა შინა. და არაოდეს არ მოგეშალოს |²¹ არა ჩუენგან და არა სხუათა მეპატრონეთაგან.

ანე, გიბ(რძანე)ბთ კარისა |²² ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანო და სხუანო მოსაქმენო, თქუე |²³ნცა ასრე გაუთავეთ და ნურას მოუშლით და შე{ე}ცილებით თ |²⁴უინიერ შენვენისა და თანადგომისაგან კიდე.

დაინერა |²⁵ ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკედ, ჳელ-ითა კარისა ჩუენისა |²⁶ მდივან-მნიგნობრის - თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ |²⁷ უ ე ლ ი ს ი თ ა .

ხვეული ხელრთვა: რ ო ს ტ ო მ

ქართულ ტექსტზე დასმულია სპარსული სარეგისტრაციო ბეჭდები: 1. ოვალური ბეჭედი ნარნერით: يا معين الضعفا – „ო, უძღვრთა შემნევე“, 2. ოთხ-კუთხი, ნარნერით: خاک قدم على منوچهر – „ალის ფეხთა მტვერი, მანუჩარი“.

სპარსული ტექსტი

1636 წ. 10 იანვარი – 7 თებერვალი

هو

حكم عالی شد آنکه از ابتدا سیجقان نیل قریه قوزان من اعمال ثمخت بدستوری که | سابقا
تیول رفعت پناه سهراب بیگ بیساول صحبت مقرر بود بهمانقاعده تیول مشارالیه مقرر
نمودیم | میبایاد که قریه مذکور را آبادان نموده تیول خود داند تحریرا فی | شهر شعبان سنه
۱۰۴۵

ის (ღმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ ს ო მ ხ ი თ ს დამოკიდებული სოფელი ყ უ ზ ა ნ ი რა წესითაც წინათ სიდიადის საფარველის სოჭბათია-საულის ზ უ რ ა ბ - ბ ე გ ი ს ა თ ვ ი ს იყო დამტკიცებული, იმავე წესით ხსენებული [ზ უ რ ა ბ - ბ ე გ ი ს ა თ ვ ი ს] დაგვიმტკიცებია. ააშენებს რა 5 აღნიშნულ სოფელს, (მან) საჭიროა, რომ (ის) თავის თიულად ცნოს.
დაინერა 1045 წლის შაბანის თვეს.

**1636 წ. ხოვლისა და აბანოს თარხნობის წიგნი ორსტომი
მეფისა ბოქაშულთხუცეს ორინ ჯამახიშვილისადმი**

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Hd-14652; მოყვითალო ფერის ქაღალდის გრაგნილი, ზომა: 51X20,7 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; მცირედ დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. საბუთის ტექსტი ქართულ-სპარსულია. სპარსული ტექსტი, შექასთენასთალიკის ხელით შესრულებული, ექვს სტრიქონად, მოთავსებულია საბუთის verso-ზე.

პ ი რ ი : ხეც, Qd-9637.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკდ (324), რაც გვაძლევს 1636 წელს.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი : თაყაიშვილი 1909; №24, გვ. 30-31; ფუთურიძე 1955: №56, გვ. 126-127.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : კარის მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

ქ. ნებითა და შენეწითა (მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფე² მან პატრონ-მან როსტომ, და თანამეცხედრემან ჩუენ³ მან, დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მ ა რ ი ა მ , ესე უ⁴ კუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი წყალობისა ნიგნი⁵ და ნიშანი შეგინყალებთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერ⁶ დგულთა და ნესისებრივ თავდადებით მრავალფერად⁷ ნამსჯა⁸ ხურთა ყმათა ჯ ა ვ ა ხ ი შ უ ი ლ ს , კარისა ჩუენისა ბოქა⁸ ულ-თუხუცეს როინს, [ქ]მას[ა] თქუენსა გ ი ო რ გ ი ს , შვი⁹ ლთა თქუენთა ქ ა ი ხ ო ს რ ო ს და სახლისა მომავალთა თქუე¹⁰ ნისათა ყოველთავე, მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით¹¹ კარსა და თქუენის სასჯა¹² ხლის ხ ო ვ ლ ი ს თარხნობას გუიაჯ¹² ენით.

ჩუენცა მოკითხული ვქენით და ნახევარი ხ ო ვ ლ ე და¹³ ა ბ ა ნ ო თქუენი ნასყიდი იყო, და კიდევ ჩუენგან ასრე გათარხ¹⁴ ნებული იყო, რომე ჩუენი სათხოვარი და გამოსალები ა¹⁵ ბ ა ნ ო ს ა და ნახევარს ხ ო ვ ლ ე ს არა ეთხოვებოდა-რა და, ვითაც¹⁶ რომე სასჯა¹⁶ ხლე იყო, ნახევარს ხ ო ვ - ლ ი ს თარხნობასაც გუიაჯე¹⁷ ნით. და ასრე გითარხნეთ ერთობით, ხ ო ვ - ლ ე და სოფელ¹⁸ ი ა ბ ა ნ ო , რომე არაფერისთანა საჩუენო სათხოვარი და გა¹⁹ მოსალები არა ეთხოვებოდეს რა: არა საბალახე, არა კო²⁰ დისპური, არა ნახირის, არა პირისთავი, არა საური და სხუ²¹ ა წურიმალის სათხოვარი და გამოსალები, არასფერისთანა ა²² რა ეთხოვებოდეს რა, ერთის ლაშქრობისა და ნადირობისაგ²³ ან კიდე. გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა) ნ ჩუენსა ერდგუ²⁴ ლად სამსჯა²⁴ ხურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს ა²⁵ რა ჩუენგან და არა შემდგომად სხუათა მეპატრონეთაგან.²⁶

ანე, გიბ(ძანე)ბთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანო²⁷ და სხუანო მოსაქმენო, ვინცა-ვინ იყუნეთ და ანუ დღეის წაღმა²⁸ იქნებოდეთ, თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნურას მოუ²⁹ შლით და შექე²⁹ ცილებით, თუი-ნიერ შენეწისა და თანად³⁰ გომისაგან კიდე.

დაინწერა ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა³¹ ტკდ, ჴელითა კარი-
სა ჩუენისა მდივანმწიგნობრის თ |³²უ მ ა ნ ი შ უ ი ლ ი ს ბ ი რ თ უ ე ლ -
ი ს ი თ ა .

თანადროული მინაწერი მარცხენა აშიაზე საბუთის ხელით:
...წელს გამოიღოს, მეორის წელიწადს ასე დაგვიმტკიცებია[...]

ხვეული ხელრთვები: ||³³რ ო ს ტ ო მ , მ ა რ ი ა მ

გვიანდელი მინაწერი: ქ. ხ ო ვ ლ ე ს ი ს ი თ { ა } ლ ხ ნ ე . 1636 წ.

სპარსული ტექსტი:

1635 წ. 10 იანვარი – 7 თებერვალი

هو

حكم عالی شد آنکه بنابر شفقت عالی در بارهٔ رفعت پناه عزت آساری روبین بیگ جواخ اغلی اشیک
اقاسی باشی! از ابتدا دو ماهه تنگوز نیل وجوه سبلاخی و کودیس پوری قریه ابنو و نصف قریه خولت
! که ز خرید رفعت پناه مذکور است معاف و مسلم نمودیم مقرر آنکه در سفر و شکار و بساق تقصیر
ننمایند ! تحصیلداران و ملازمان سرکار عالی بعلت وجه مذکور متعرض احوال رعایا محال مذکوره
نشده ! طمعی و توقعی ننمایند و درین باب قدغن دانسته در عهده دانند و چون بمهر عالی رسد ! اعتماد
نمایند تحریرا فی شهر شعبان المعظم سنه ۱۰۴۵

ის (ღმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანება, რომ სიდიადის თავშესაფრის და სახელო-
ვანი ეპიკალასი-ბაშის – რ ო ი ნ - ბ ე გ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ლ ი ს ა დ მ ი მაღა-
ლი წყალობის [მიპყრობის] გამო, ღორის თვის ორთვეობის დასაწყისიდან
სოფელი ა ბ ა ნ ო და სოფელ ხ ო ვ ლ ე ს ნახევარი, რომელიც ხსენებუ-
5 ლი სიდიადის თავშესაფრის [მიერ] იყო ნაყიდი, ჩვენ საბალახე და კოდის
პურის გადასახადისაგან გავათავისუფლეთ. დადგენილია, რომ ლაშქრო-
ბა-ნადირობაში და იასაყში (?) დაუდევრობას ნუ ჩაიდენენ. მაღალი კარის
თაჰსილდარები და მსახურები აღნიშნული ადგილების გლეხებს ხსენებუ-
ლი გამოსაღების [მოთხოვნით] ნუ შეაწუხებენ, [ნუ გამოიჩენენ] ანგარებას
10 და ნურაფერს მოსთხოვენ. ამის თაობაზე [გამოცემული] ბრძანება იცოდ-
ნენ და [მისი შესრულება] თავის მოვალეობად აღიარონ და როცა მაღალი
ბეჭდით აღიჭურვება, დაემორჩილონ [მას]დაინწერა 1045 წლის დიდებული
შაბანის თვეში.

სპარსული ტექსტის ბოლოს ზის როსტომის სპარსული ბეჭედი, ორი
სარეგისტრაციო სპარსული ბეჭედი ზის ქართულ ტექსტზე: 1. ოთხკუთხა,
წარწერით: خاک قدم علی منوچهر – „აღის ფეხთა მტვერი მანუჩარი“; 2. ოვალური,
წარწერით: یا معین الضعفا – „ო, უძლურთა შემწევ“.

იხ. კომენტარი ხეც, Hd-14659

1636 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა
შიომ ხმალაძისადმი

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Qd-6997; მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 42,6X17 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთი დალაქავებულია, დაზიანებული კიდეები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. ტექსტი ქართულ-სპარსულია. სპარსული ტექსტი, შესრულებული შექასთეს ხელით, მოთავსებულია საბუთის verso-ზე თვრამეტ სტრიქონად.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკდ (324), რაც უდრის 1636 წელს.

გ ა მ ო ც ე მ ა : ფუთურიძე 1955: #59, გვ. 133.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : კარის მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

ქ. ნებითა და შენევნითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან,¹² პატრონმან როსტომ [დ]ა თანამეცხედრემან ჩუენმან,¹³ დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან მარია მ, ესე უკუნისა¹⁴მდე ჟამთა გასათავებელი წყალობისა ნიგნი და ნი¹⁵შანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ე¹⁶რდგულსა და წესისებრივ მრავალფერად თავდადე¹⁷ბით ნამს¹⁸ჯახურსა { ხ } მ ა ლ { ა } ძ ე ს ა , მოლარეთუხუცეს შ ი ო შ ს ,¹⁸ შუილთა და მომავ¹⁹ჯალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე;

მა¹⁹ს ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და მამულის ნ¹⁰ყალობას გუიაჯენით, ჩუენცა ვისმინეთ აჯა დამოხსე¹¹ნება თქუენი და შეგინყალეთ და გიბოძეთ ს ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ |¹²ო შ ი ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი პ ა { ა } ტ ა მისის მამულითა, ყ ო რ ლ ა ნ ა შ ვ ი |¹³ლი ბ ა ი ნ დ უ რ ა დ ა ნ უ - რ ა ლ ა , ამოვარდნილის კერძი¹⁴ სოფელი ვ ა შ ლ ო ა ნ ი , ს ო მ ხ - ი თ ს მ ა მ ხ უ ტ ი , დ მ ა ნ ის { ს } ა |¹⁵ლი - ყ უ ლ ი ბ ე გ ი ს კერძი მამული, სოფელი კ რ წ ა ნ ი ს ი , კ ლ დ |¹⁶ე ი ს ა — მ ო დ [ი] მ ნ [ა] ხ ი ს ციხე, ორივ კ ა რ ა ქ ა ე ბ ი და სამ შ ვ ი ლ დ ი ს სას¹⁷ჯახლე. და საჯელო¹⁷დ ს ა მ შ უ ი ლ დ ე და დ ი ლ ო მ ი მართლის სამართლიანის¹⁸ საქმითა და სამძღურითა, მთითა, ბართა, წყლითა, წისქულითა, ვე¹⁹ლითა და ვენაჯითა, შენითა და ოჯერითა, შესავ²⁰ჯალთა, საჯმ²¹ჯარითა და უჯმ²²ჯარითა, საძებრითა და უძებრითა, ყოვ²¹ლითურ თქუენთუის და თქუენთა შუილთათვის გუიბოძებ²²ია.

გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულ[ა]²³დ სამს¹⁸ჯახურსა შიგან და არაოდეს არ მოგეშალოს.

|²⁴ანე, გიბძ(ანებ)თ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანო²⁵ და სხუანო მოსაქმენო, თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნუ²⁶რას მოუშლი²⁷თ და შექე²⁸ცილებით, თუინიერ შენევნისა²⁷ და თანადგომისაგან კიდე.

დაინერა ბძანება და ნიშანი ესე²⁸ ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკდ, ჳელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრის²⁹ თ უ მ ა ნ ი შ უ ი ლ ი ს ბ ი რ თ უ - ე ლ ი ს ი თ ა .

ხვეული ხელრთვები: ||³⁰როსტომ, მარია მ

გვიანდელი მინანერი: ქ. მეფის როსტომის აგან მამულების თავი
ნიგნი.

სპარსული ტექსტი:

1636 წ. 1 ოქტომბერი – 30 ნოემბერი

حكم عالی شد آنکه چون [از ابتدا تیول] و داروغگی محال مذکوره راه بموجب حکم و نشان علیحه
برفعت پناه سیاوش بیگ خزانه دار باشی شفقت نموده بودیم درینوقت مشارالیه استدعا نمود |

مواجب |

محال				باداده
				سگینه شویلی
	قریه مخوت	قریه واشلوان	بیندر	باداده مذکور با محال
		قرقانه شویلی	قریه بدسنوری از

دمانیس
عن رسد علی قلی بیگ |
قدیم الایام با او بوده قریه کرزانیس |
قریه قلدیس ... قریه کر که علیا
نور علی قریه کر که سفلا
داروغگی |
قریه شامشولده قریه دیغم |

که احکام . . . در باره رفعت پناه مشارالیه از نوران مذکور فوق و تیول محال مذکوره | و داروغه گی
. . . مزبور را بدستوری که قبل ازین مقرر نموده ایم بمومی الیه ارزانی داشتیم جماعت و رعایای مح
لمذکوره | مومی الیه را نسلا بعد نسل تیولدار و داروغه باستقلال خود دانسته دیگری را در محال متعلقه
به او شریک و نهیم ندانند | از جوانب بدینجمله رفتند و چون نشان بهمر عالی رسد اعتبار نمایند تحریر
| فی شهر جمادیالاول سنه ۱۰۴۶ []

გამოვიდა მაღალი ბრძანება, რომ რადგან ... ტარულობა ხსენებული
ადგილებისა ... ბრძანებულებისა და ნიშნის საფუძველზე სიდიდის საფა-
რველის ს ი ა ვ უ შ - ბ ე გ ხაზინადარ-ბაშისთვის გვექონდა ნაწყალობევი,
ამყამად, ხსენებულმა [ს ი ა ვ უ შ - ბ ე გ მ ა] ითხოვა სარგო ადგილები (მა-
5 ჰალე) პ ა ა ტ ა ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი და, სოფელი ვ ა შ ლ ო ვ ა ნ ი , სოფე-
ლი მ ა მ ხ უ ტ ი . ბ ა ი ნ დ უ რ ხსენებული პ ა ა ტ ა ს ოფელი დ მ ა ნ ი ს ი ,
ა ლ ი ყ უ ლ ი - ბ ე გ ი ს კერძი. ყ ო რ ღ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ადგილებით
...[რომელიც] სოფელი კ ლ დ ე ი ს ი . . . , სოფელი ზ ე მ ო კ ა რ ა ქ ა . მას
წესისამებრ ძველი სოფელი ქ ე ე მ ო კ ა რ ა ქ ა . დროიდანვე მას ჰქონდა.
10 ნ უ რ ა ლ ი ტარულობა, სოფელი დ ი ლ ო მ ი , სოფელი ს ა მ შ -
ვ ი ლ დ ე ... ხსენებული სიდიდის საფარველის შესახებ. ზემოთ სენებული
აზნაურები, აღნიშნული ადგილების თიული და ... ტარულობა იმ წესით,
რომლითაც ამას წინათ მივეცით, ხსენებულს ვუწყალობეთ. ხსენებული
ადგილების ჯამათმა და გლეხებმა აღნიშნული [პირი] თაობიდან თაობამ-

დე თავის სრულუფლებიან თიულდარად და ტარულად უნდა ცნონ. სხვა [ვინმე] მის კუთვნილ ადგილებში მონაწილედ [თანამესაკუთრედ] არ უნდა ცნონ, და აუცილებლად ამის მიხედვით უნდა მოიქცნენ და როცა [ეს] ცნონ და ნიშანი (ე.ი. ბრძანება) მაღალი ბეჭდით აღიჭურვება, დაემორჩილონ მას. დაინერა [10]46 წლის ჯგომადი ალ-ავალი თვეში.

5

სპარსული ტექსტის ბოლოს ზის როსტომის სპარსული ბეჭედი. ქართულ ტექსტზე – ორი სპარსული სარეგისტრაციო ბეჭედი: 1. ოთხკუთხა, წარწერით: „**خاک قدم علی منوچهر**“ – „აღის ფეხთა მტვერი მანუჩარ“ და 2. ოვალური, სავარაუდოდ, წარწერით: **افوض امری الی الله** – „ჩემი საქმე ღვთისათვის მიმინდვია“. მის ქვემოთ – მინანერი: **بنصر رسيد** – „განხილულია.“

69

1636 წ. ყმა-მამულის წყალობის წიგნი როსტომ მეფისა [სიაუშ] სოლაღაშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Sd-742; მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 36X19,7 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთის თავი და ტექსტის ნაწილი ძლიერ დაზიანებულია, ზოგიერთი გრაფემა დაკარგულია, დაზიანებული ადგილები და კიდევები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. ტექსტს ახასიათებს ა-მეტობა.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკდ (324), რაც გვაძლევს 1636 წელს.

გ ა მ ო ც ე მ ა : თაყაიშვილი 1909, №369, გვ. 411-412.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : კარის მდივან-მწიგნობარი პაატა ყორღა-ნაშვილი.

ქ. ნებითა და შეწვენითა ღმ(რ)თისათა, ჩ[უენ, პატრონმა როსტომ და პატ] |²რონმა მ არ ი ა მ , ესე უკუნისამდე ჟ[ამთა გასათავებელი, მტ] | -³კიცე და შეუცვალებელი და შე[უქცეველ], |⁴ [გასა]თავებელი წყალობის წიგნი [დაგინერე] |⁵ და გიბოძეთ თქუენ, ს ო ლ ა ღ ა შ ვ ი ლ { ს } [სიაუშ] ას, ბიძასვილს* [..] და შენს შვილს დ [ა] ვ ი თ ს |⁶ და ი ო რ ა მ ა ს ა და** [..] და შვილთა და მამავალთა |⁷ [სახლისა] თქუენისათა, ყოველთავე.

მას ჟამს{ა}, ოდეს [მოგუიდეგით კარსა] |⁸ და თქუენის ს{ა}მკუ{ი} დროს და ზ უ რ ა ბ ი ს ა და მამ[ულ]ის წილ[ს გუიაჯენით], |⁹ ჩუენც ვის-მინეთ აჯა და მოხსენება თქუენი დ[ა თქუენ] |¹⁰ სამკუ{ი}დრო კ უ მ ი ს [ს] [მე]ფეთაგან და დედოფლებისაგან [ნაბოძები] მოგ[ეცით]. |¹¹ წიგნებიც გქონდათ, ჩუენც სიგლითა ა[მით] |¹² გიბოძეთ, თქუენი სამკუ{ი}დრო კ უ მ ი ს ი და ზ უ [რ ა ბ] |¹³ ის წილი გიბოძეთ, ან გლეხი და ან სახასო, მა-

*სიტყვის “ბიძასვილს” შემდეგ მომდევნო სიტყვა გადაშლილია შავი მელნით.

** სიტყვების “იორამასა და” . . . მომდევნო სიტყვა გადაშლილია.

თის¹⁴ სამართლიანის სამძღურითა და საქმითა, და შენითა¹⁵ და უშენითა, ნასყიდითა და უსყიდითა, წყალითა და¹⁶ [ველითა] და ვენახითა და მთითა ვიდრე ბარამდისინ. . . [უნაკ]¹⁷ლულ{ო}ს სამძღურითა და საქმითა, ყოვლის კაცისაგან¹⁸ [მოუდ]ევარი და შემოუსარჩლებელი.

გქონდ[ეს] ¹⁹ [და გიბედნიეროს] ლმ(ერ)თ(მა)ნ ჩუენს ერდგულად სამ-სახურსა შიგან.

[ან], [უზედაესთა]²⁰ [მო]გახსენებთ და უქუედესთა გიბ(რძანე)ბთ, კარისა ჩუენის{ა} ვე[ქილ-ვეზირ]²¹ნო და სხუანო მოსაქმენო, მერმე, რარიგადაც ამ [6]²²ანყალობევს ფარვანაშიგა ენეროს, თქუენ[ცა ასრე გაუთავეთ] ²³ და ნუ მოუშლით და ნუ შე[ე]ცილებით, თა[ნად]²⁴გომისა და შენევისაგან კიდე.

დაინერა ბრძანება [და სიგელი ე]²⁵სე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკედ, ჳელი-თა კარის ჩუენის მდივან[მწიგნობრის ყო რ] ²⁶ღ ა ნ { ა } ს შ ვ ი ლ ი ს პ ა { ა } ტ ა ს ი თ ა .

ხვეული ხელრთვა: ²⁷ რ ო ს ტ ო მ

კომენტარი:

საბუთის ადრესატი უნდა იყოს სიაუშ/შიაუშ იგივე შიოშ სოლადაშვილი. მართალია, საბუთში მისი სახელი არ იკითხება, მაგრამ ტექსტიდან ირკვევა, რომ მისი შვილები არიან დავითი და იორაშა. სხვა დოკუმენტებიდან კი ცნობილია, რომ მათი მამა იყო სიაუში. (იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 2007: 187; ბოშიშვილი, 2012: დანართი 6).

70

1637 წ. 14 იანვარი. წყალობის წიგნი ოსტომ მეფისა სიაუშ სოლოლაშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Sd-743 ა; ქაღალდი; ზომა: 47,5X19,5 სმ. ხელი მხედრული; შავი ფერის მეღანი; სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: საბუთს მოხეული აქვს ზედა ნაწილი და მარჯვენა კიდე მთელ სიგრძეზე; ასევე ამოხეულია ადგილი მეხუთე და მეექვსე სტრიქონებს შორის. საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპასული. სპარსული ტექსტი მოთავსებულია საბუთის verso-ზე.

საბუთის თ ა რ ი დ ი – ქორონიკონი ტკე (325), იანვრის იდ (14), რაც უდრის 637 წლის 14 იანვარს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი მერაბ ყორდანაშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა : თაყაიშვილი, 1909, №370, გვ. 412-413.

ქ. ნებითა და შენევნითა ლ(მრ)თის(ათა), ჩუენ, მეფეთ-მეფემან პატ|რონმან რ ო ს ტ ო მ , და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფა|ლ-

თა-დედოფალმან პატრონმან მარია მ, ესე ამიერით უცქ|⁴უნისამდე ჟამთა და ხანთა სამკუიდროთ და სჯაბოლ[ოთ] |⁵ გასათავებელი, შეუ-შლელ-შეუცვალელებელი წყალო|⁶ბისა წიგნი და სიგელი შეგინყალებით და გიბოძეთ თქუენ, |⁷ ჩუენსა ერდგულსა და მრჯავაქლფერად ერდგულობით და თა|⁸ვედექბოპით ნამსახურსა ყმასა, სოლოღაშუილსსიაუშსს [...]|⁹ შუილთა თქუენთა: და ვითს, თამაზს და იორამს და|¹⁰ ჩამომავალთა სჯახლისა თქუენისჯათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ო|¹¹დეს მოგუიდეგით კარსა და ქალაქს თქუენსა მკუიდე|¹²რსა და ნასყიდს ყმებს გუიაჯენით, ჩუენცა ვისმინეთ აჯა|¹³ და მოხსენება თქუენი. მოკითხული ვქენით – მამის ჩუენ|¹⁴ისგანჯაჯა წიგნი გქონდა და ჩუენის ძმის, მეფის ბაგრატ[ის]|¹⁵განჯაჯა წიგნი გქონდა. ანე, ჩუენცა წიგნითა და ამითა გა[გი]|¹⁶ახლებთ.

და მოგიბოძეთ მტკიცე და უცვალელებელი სიგელ|¹⁷ი ოდენი ესე: ქალ-ლაქს თქუენის მამისა და პაპის ნასყიდი |¹⁸ ვართანჯაქს უილე-ბითის მამულითა, |¹⁹ – ეს სამნი კუჯამლნი კაცნი მათის მამულითა უკლებლათ.

გ|²⁰ქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თმ(ა)ნ ჩუენსა ერდგულათ |²¹ სჯამსჯახურსა, ყოვლის კაცისგჯან უცილებლათ და შემოუსჯა|²²რჩლებლათ, სამკუიდროთ და საბოლოვოთ.

ანე, მოგახსენებთ, |²³ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და მდივანჯნო |²⁴ და ქალაქის ტარულავ, მამასახლისო და მელიქო, დღეს ვინ გინდა-ვინ [იყუნე]|²⁵ და ანუ დღევის წაღმა ვინ გინდა-ვინ იქნებოდეთ, მერმ[ე], |²⁶ ეს ჩუენგან ბოძებული წიგნი და სიგელი თქუენცა ასრე დაუმკუიდრეთ და დაუმტკიცეთ, რომე, რარიგადა|²⁷ცა ამა ჩვენგჯან ბოძებულს ფარმჯანში ენეროს. და|²⁸ ნუროდეს ნუ მოუშლით და შექეცილებით. [არო]|²⁹დეს არ მოეშალოს არა ჩუენგან და არც შემ|³⁰დგომჯად სხუათა მეფეთა და მეპატრონეთაგჯან. ესე ასრე |³¹ გაგითავდეს, თუინიერ თანადგომისა და შენქეჯნისგჯან კიდ[ე]. |³²

დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკე, იან[ვა]|³³რსა იდ, ჴელითა მდივან-მნიგნობრისა ყორღანჯაქს[ვი]|³⁴ლის მერაბისჯათა.

verso-ზე ხელრთვები ხვეულად: როსტომ, მარია მ

**1637 წ. წყალობის განახლების წიგნი როსტომ მეფისა
ელიზბარ სოლოჯაშვილისადმი**

პირი: სეა, 1450-28/189, გადაწერილი დედნიდან რუსული მმართველობის დაწესებულებაში. პირზე ოთხ სტრიქონად, ნასათალიყის ხელით, მიწერილია სპარსული ტექსტი.

საბუთის თარიღი: ქორნიკონი ტკე (325), რაც უდრის 1637 წელს.
საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.
გამოცემა: ფუთურიძე, 1955, გვ. 135-136.

[ქ.] ნებითა და შეწვევითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, მეფემან პატრონმან როსტომ, ესე უკუნისამდი ჟამთა და ხანთა გასათავებელი საბოლოოდ და სამკვიდროდ გამოსაყენებელი წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერდგულთა და მრავალფერად წესის(ა) ებრივ ნამსახურთა ყმათა: სოლაღაშვილს, ჩვენს შინაყმას ოხიყორჩს, ელისბარს, შვილთა შენთა ზურაბს, ჩამომავალთა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდექით კარსა და საბარათიშვილოში თქვენს სამკვიდროს და სასაფლავს კაბერეთის მონასტერს გუიჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, მოკითხული ვქენით და ძუელიდგან თქვენი სამკვიდრო და სასაფლაო მონასტერი, ყოვლის მისის სამართლის სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა: მითითა, ბართა, წყლითა და წისქვილითა, ველითა და ვენაჭითა, სახმართა და უხმართა, შენითა და ოხერთა, შესავლითა და გასავლითა, მითით ბარამდისინ, სამკვიდროდ და საბოლოოდ გუიბოძებია. სადამდისინ გამდელი ზილიფიჯან ცოცხალ(ი) იყოს, იმას ჰქონდეს, რა ის მოკვდეს, ისე შენთუინ გვიბოძებია, რომე არა შენი და არა ბერი და არა ერი ვერ შემოგეცილოს.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმ(ა)ნ ჩვენს ერდგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად სხვათა მეპატრონეთაგან.

ანე, გიბ(ძანებ)თ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, მდივან(ნ)ო და სხუანო მოსაქმენო, ვინცა-ვინ იყუნეთ და ანუ დღეის წაღმა იქნებოდეთ, თქვენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩვენგან ნაწყალობევს ფარვან(ა)ში ეწეროს. ნურას მოუშლით და შექცეცილებით თვინიერ თანადგომისა და შეწვევისაგან კიდე.

დაინერა ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკე, ჴელითა კარისა ჩუენისა, მდივან-მწიგნობრისა, თუმანიშვილის ბირთველისითა.

დედანს ჰქონია ხელრთვა: როსტომ.

სპარსული ტექსტი:

حكم عا [لی] شد آنکه کدخدا و سایر رعایا قریه مناستری من اعتمال براتلو بدانند که تا د[ایه ز] لفیجان در حیات است قریه| مذکور تیول او مقررست و بعد از فوت او تیول رفعت پناه الزیر بیگ سولاخه شویلی و ولدان مشارالیه مقرر| نموده ایم که بعد از فوت زلفیجان مزکور مومی الیه و ولدان او را تیولدار خود دانسته و مالوجهات| و حقوق دیوانی [را] بدو و ولدان [او] واصل ساخته در عهده دانند و چون حکم بمهر عالی رسد اعتماد دانسته | تحریرا ...

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ ს ა ბ ა რ ა თ ი ა ნ ო ს სოფლის მონასტრის ქედხოდამ და სხვა გლეხებმა იცოდნენ, რომ სანამ გამდელი ზ ი ლ ფ ი ჯ ა ნ ი ცოცხალია, ხსენებული სოფელი მის თიულად არის დამტკიცებული და მისი გარდაცვალების შემდეგ სიდიადის საფარველის, ე ლ ი ზ ბ ა რ - ბ ე გ ს ო ლ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ს ა და მისი შვილების თიულად დაგვიმტკიცებია. [ამ სოფლის ქედხოდამ და გლეხებმა], ხსენებული და მალუჯათი და სახელმწიფო გადასახადი მას და მის შვილებს უნდა მისცენ და [ამ ბრძანების შესრულებაზე] პასუხისმგებლობა უნდა იკისრონ, და როცა ბრძანებაზე მაღალი ბეჭედი იქნება დასმული, დაემორჩილონ მას. დაინერა ...

5

10

ტექსტის ბოლოს არის გადამწერის მინაწერი:
این حکم اصلی رویش دیدم و رویش من ملا باباخان حاجی خداویردی زاد
დედანი ვნახე და მისი პირი გადმოვწერე მე, მოლა ბაბახან ხოდავერდი-ზადემ“

კომენტარი:

ელიზბარ სოლალაშვილი – ქართლის ერთ-ერთი გავლენიანი თავადი. სოლალაშვილები როსტომამდე პროირანული ორიენტაციის თავადები იყვნენ და სვიმონ-ხანის ერთგული მოხელეები (იხ. დოკუმენტური წყაროები, 2019: 138, 140, 141, 168, 188). ელიზბარი როსტომის მფარველობით სარგებლობდა. იგი გახდა სასოლალაშვილოს უფროსი. ფლობდა ოხიაყორჩისა და ბოქაულთუხუცესის თანამდებობებს, ბოლოს შაჰის მულარიბი და მუსაიბი გახდა (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 2007: 183). შაჰის მულარაბი (არაბ. სარდალი) და მუსაიბი/მუსაჰიბი (სპ. მეგობარი, მოყვასი) ის ტიტულები იყო, რომლებიც ენიჭებოდათ შაჰთან განსაკუთრებული სიახლოვის გამო. სამოხელეო წყობაში მუსაჰიბი არის მეფის რჩეული პიროვნება, რომელსაც ევალება სხვადასხვა საკითხში რჩევის მიცემა (სურგულაძე, 2017: 257-258).

ელიზბარის მმართველობის პერიოდში გაიზარდა სოლალაშვილთა სათავადოს მიწისმფლობელობა. იგი მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ელიზბარის დაწინაურება ვახტანგ V შაჰნავაზის მმართველობის პერიოდშიც გაგრძელდა (ბოშიშვილი, 2012: 28-31).

**1637. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა
იასე ქსნის ერისთავისაჲმ**

პ ი რ ი : სეა, 1450-24/155, გადაწერილი დედნიდან რუსული მმართველობის დაწესებულებაში.

საბუთის თ ა რ ი დ ი : ქორნიკონი ტკე (325), რაც უდრის 1637 წელს.
საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივანი ბირთველ თუმანიშვილი.

[ქ.]ნებითა და შეწვევითა ლ(მრ)თისათა, ჩვენ, მეფეთ-მეფემან, პატრონ-
მან როსტომ, და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალთ დედოფალ-
მან მარიამ, ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე
და უცვალებელი საბოლოო წიგნი და ნიშანი შევინწყალეთ და გიბოძეთ
5 თქვენ, ჩვენთა ერდგულთა და წესისქაებრ მრავალფერად ნამსახურთა
ყმათა, ქსნის ერისთავს იესეს, შვილთა თქვენთა: ლარგველ [ს]
ა, ქვქეწიფნეველსა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენი-
სათა, ყოველთავე.

10 მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და ქალაქს თქვენს ვაჭრებს
გვიაჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, მოკითხული
ვქენით და ძუელითგან თქვენი სამუიდრო ყოფილიყო. ანე, შევინწყალეთ
და გიბოძეთ ქალაქს თქვენი ვაჭარი: თანდუაშვილი პაპი-
ნა, ჩოგინა, ზურაბა და მურადა სამართლიანის საქმი-
15 თა და სამძღურითა. თქუენთუინ და თქუენთა შვილთათვის გვიბოძებია
მკუიდრად და საბოლოოქდ.

გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერდგულსა სამსახურ-
სა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად სხუა-
თა მეპატრონეთაგან.

20 ანე, გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანწხო და ქა-
ლაქის მოურავნო და მოხელენო, თქვენცა ასრე გაუთავეთ, ნურას მოუ-
შლით და შექეცილებით თუინიერ თანჯადგომისაგან კიდე.

დაინერა ბ(რძანებ)ა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკე, ხელითა კარი-
სა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის, თუ მანიშვილის ბირთუელი-
სათა.

დედანს ჰქონია როსტომ მეფის ხვეული ხელრთვა და ბეჭედი.

კომენტარი იხ. საბუთთან Hd-14660.

1637 წ. სითარხნის წყალობის წიგნი როსტომ მეფისა დიდიელ დიპანოზ ათანელისაგან

დედანი: ხეც, Hd-1053; ყავისფერი ეტრატი; ზომა: 32, IX 18,5 სმ; შავი
ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამ-
წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: ეტრატი ადგილ-ადგილ
ამოხეულია, მარჯვენა მხარე, რომელზეც სპარსული ტექსტია მოთავსუ-
ლი, ჩამოხეულია, რაც ტექსტის სრულად აღდგენას ართულებს. საბუთი
გამაგრებულია სარესტავრაციო ქადალდით; საბუთი ორენოვანია – ქარ-
თულ-სპარსული. სპარსული ტექსტი, შვიდ სტრიქონად, შექასთენ-ნასთადი-
ყის ხელით შესრულებული, მოთავსებულია საბუთის verso-ზე.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტკე (325), რაც გვაძლევს 1637 წელს.
საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი ბირთუელ თუმანიშვილი.
გამოცემა: თაყაიშვილი, 1909, გვ. 32. თ. აბაშიძე, 2017, გვ. 165-166.

ქ. ნებითა და შეწვევითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან, პატრონ²მანროსტომ დათანამეცხედრემანჩუენმან,დედოფალთ-დედოფალ³მან პატრონმან მარიამ, ეს საბოლოოდ გასათავებელი [ნიგ]ნი და სიგელი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, წმიდის გიორ⁴გის დეკანოზს ათანელსა, შვილსა შენსა და ვითს, ელიაზარს, გედევან⁵[ნს და იო]ვანეს.

ასრე და ამა პირსა ზედან, რომე [მოგუიდეგით] ⁶კარსა და სითარხნის წყალობას გუიაჯენითა. ვისმინეთ აჯა და მოახსენ{ე}⁷ბა თქუენი, მოკითხული ვქენით და ძუელ მეფეთაგან წყალო⁸ბა-სიგელიც გინახეთ და ვინც დეკანოზი ყოფილა, მუდმი⁹ად თა⁹რხანი და აზატნი ყოფილან.

ანე, ჩუენად სადღეგრძელოდ და მე¹⁰ფობისა ჩუენისა წარსამართებულად ჩუენც გათარხნეთ და გა¹¹ნთავისუფლეთ ასრე და ამა წესი[თა], რომე რარიგადაც ძუელს ¹²სიგელში თორმეტს საუფლოსა დღეს ჟამის წირვა გედ¹³ვას, ის წირვა არ მოშალოთ. და მეფეს, ბატონს გიორგი¹⁴ს მოიხსენებდეთ და ჩუენ დაგუამწყალობნებდეთ.

ასრე გათარხნეთ, ¹⁵რომე არაფერი საჩუენო სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხო¹⁶ებოდეს-რა, არა მალი, არა ღალა, არა კულუხი, არა სეფეობა, ¹⁷არა სატარულო, არა ულუფა, არა საბალახე, არა მუჯირობა, ¹⁸[ა]რა პირისთავი და სამკალი, არა სალენავი და საყუელიერო ერთის ლამ¹⁹ქრობისაგან მეტი იყუენი[თ სა]ყდრის შვილნი და დეკანოზნი.

გქონდეს ²⁰და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მან) და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და [არა] ²¹შემდგომად სხუათა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

ანე, გიბ(რ)ძანებთ კარისა [ჩ]²²უენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანო და სხუანო მოსაქმენო, დ ი ღ მ ი ს ა ²³მოურავნო და მობელენო, ვინცა-ვინ იქნებოდეთ, თქუენცა ასრე გაუთავ[ვეთ] ²⁴და ნუ რას მოუშლით და შეეც-ილებით.

დაინერა ბ(რ)ძანება და ნიშანი ²⁵ესე [ქორონიკონსა ტ]კე, ჴელითა კარისა ჩუენისა მწიგნობრის, თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ²⁶ის ბ ი რ თ უ ე ლ - ი ს ი თ ა .

ხელრთვა ხვეულად: როსტომ

უზის ორი ოვალური ბეჭედი მხედრული ლეგენდით.

მინაწერები:

recto-ზე: ქ. ხატის ყავარი. ეს თ[ა]რ[ხ]ანია. ყუელ{ა}ს გამო{უ}ვიდა¹ ამისი მონაწილეობა. არა გამოეთამე იყო. (?)

verso-ზე: ეს წიგნი სითარხნის არის.

სხვა მინაწერები დაზიანების გამო არ იკითხება.

სპარსული ტექსტი:

هو
 آنکه بنابر شفقت عالی در باره بابونه دکنوز و داود و الیاس |
 ... [ملهم ؟] دیغمی از ابتداء تاریخ ذیل ... بخط گرجی نوشته دکنوزی کلیسیا |
 ... [قریه] مذکورہ را بمومی الیہم عنایت فرمودہ ایم بالنجہ (؟) متعلق بدکنوزی |
 ... [بخط] گرجی نوشته ... وکلاء سر کار عالی حسب المسطور |
 ... [چون نشان] بمهر عالی رساد اعتماد نمایند تحریراً فی ۲۹ |
 ... [سنہ] ۱۰۵۱

ის (ღმერთი)

[გამოვიდა მაღალი ბრძანება] მასზედ, რომ პ ა პ უ ნ ა დეკანოზის, და უ დ ი ს ა და ე ლ ი ა ს ი ს ... კურთხეული (?) დ ი ღ მ ე ლ ე ბ ი ს მაღალი წყალობის საფუძველზე ქვემოთ მითითებული თარიღის დასაწყისიდან, [იმგვარად], როგორც ქართულადაა დაწერილი, აღნიშნული სოფლის ეკლესიის დეკანოზობა ხსენებულისთვის გვიბოძებია ... დეკანოზობასთან დაკავშირებული [საკითხები ?] ... ქართულად დაწერილი ... მაღალი კარის ვექილებმა დაწერილის თანახმად ... როცა მაღალი ბეჭდით შეიმკობა, ენდონ.

დაიწერა 1051 წლის 29 ...

ბეჭდები: მცირე ზომის ოთხკუთხა სპარსული ბეჭედი ლეგენდით: „خاک قدم علی منوچهر“ – „აღის ფეხთა მტვერი მანუჩარი“ დასმულია ქართული ტექსტის შუაში.

**1637 წ. 27 მარტი. წყალობის ბანახლების წიგნი
 როსტომ მეფისა ნასრ თუმანიშვილის შვილებისადმი**

დ ე დ ა ნ ი: ხეც, Ad-973 ბ; აღწერილობა იხ. 1618 წ. 30 მაისს გაცემულ საბუთთან (Ad-973 ა). მოცემული საბუთის ტექსტს უჭირავს ფურცლის verso-ს შუა ნაწილი. ხელი მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ;

საბუთის თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი ტკე (325), მარტის კზ (27), რაც უდრის 1637 წლის 27 მარტს.

ქ. ს ო მ ხ ი თ ს ნაოჯარი ნასოფლარი ხ ა ნ ძ ო რ ი ქ ი სამკუთხედოთ |² თ უ მ ა ნ ი შ უ ი ლ ი ს ნ ა ს რ ი ს ა ი ც ო და ჩუენს ძმას, მეფეს |³ ბ ა - ტონს ბ ა გ რ ა ტ ს ა ც ნიგნი ებოძა. და ძუელი სიგე |⁴ ლ ი ც უ ნახეთ და, ანე, ყოვლის კაცისგან უცვ { ა } |⁵ ლ ე ბ ლ ა თ და სამკუთხედოთ და ს { ა } ბ ო ლ ო ვ ო თ |⁶ ჩუენც ნასოფლარი ხ ა ნ ძ ო რ ი ქ ი ნ ა ს რ ი ა ს შუილის |⁷ პ ა პ ი [ა]

ს ა , მ { ა } ნ უ ჩ ა რ ი ს ა და ს ო რ ა ზ { ა } ნ ი ს ა და ბ ე ჟ ა ნ ი ს თ უ -
ი ს |⁸ გუიბოძებია.

ქონდეს და უბედნიეროს ღ(მერ)თმ(ა)ნ, ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკე,
მარტსა კზ.

verso-ზე ხელრთვა ხვეულად: რ ო ს ტ ო მ

XIX საუკუნის მინანერი:

სოვეტნიკი თ(ავადი) დ ი მ ი ტ რ ი თ ა რ ხ ნ ი ს .

კომენტარი:

ნასრ თუშანიშვილი ქართლის მეფეების: ლუარსაბ II-ის, ბაგრატ VII-
სა და სვიმონ II-ის მდივან-მწიგნობარი იყო. 1618 წელს მას და მის
შვილებს ბაგრატ მეფემ უბოძა ნაოხარი სოფ. ხანძორისი (Ad-973-ა. იხ.
დოკუმენტური წყაროები, 2019: 147-148). 1618 წლის საბუთში ადრესატის
შვილებიდან მხოლოდ ბაინდური და ყორხმაზი იხსენიებიან. საფიქრე-
ბელია, რომ ზემომოყვანილი სიგელის გაცემისას ისინი გარდაცვლ-
ილები არიან და ამიტომ ნასრის დანარჩენი შვილების ან შვილიშ-
ვილებისადმი წყალობა განახლებული.

**1637 წ. პირობის წიგნი როსტომ მეფისა
ელიზბარ დავითიშვილისადმი**

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Sd-641; ყავისფერი ქაღალდი; ზომა: 32X17 სმ.; შავი
ფერის მელანი; ხელი მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან
სამწერტილი.

საბუთს აქვს თ ა რ ი ღ ი : ქორნიკონი ტკე (325), რაც გვაძლევს 1637
წელს.

გ ა მ ო ც ე მ ა : თაყაიშვილი 1909: გვ. 193-194.

ქ. ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან
პ|²ატრონმან რ ო ს ტ ო მ , და თანამეცხედრემან ჩუენმან, |³ დედოფალთ-
დედოფალმან პატრონმან მ ა რ ი ა მ , ესე |⁴ უკუნისამდე ჟამთა და ხანთა
გასათავებელი წყალობ|⁵ისა და საიმედო წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და
|⁶ გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა და მრავალფერა|⁷დ თავდადებით
ნამსახურთა ყმათა, და ვ ი თ ი შ ვ ი ლ ს ე ლ ი |⁸ ზ ბ ა რ ს და შვილთა
და მომავალთა სახლისა თქუენ|⁹ისათა, ყოველთავე. ასრე და ამა პირსა
ზედან, რომე ვიყუნე|¹⁰ თ თქუენთუის მწყალობელნი, მოპატიენი და კარგის
მდო|¹¹მნი, უვნონი და უზიანონი. არას კაცისა და დედაკაცის პირითა ა|¹²რ
შეგიბეზლოთ და არც გაუკითხავად გაგინყრეთ.

მოკი|¹³თხული ვქენით და რაც არა დაგეშავებინოს-რა, ამის მეტი

არ¹⁴ა გარდაგაჯდევინოთ-რა. და დღეს, რისაც მამულის მქონ¹⁵ებელი და ანუ საწელოსი იყუნეთ, ამისგან არ¹⁶ დაგამცროთ და არცა-რა მოგიშალოთ. თქვენ ჩუენზედ¹⁷ არა სტყუოთ-რა.

ამისად გასათავებლად მოგუიციემია თავდება¹⁸დ თავად ღ(მერ)თი და ყოელნი მისნი წმიდანი ზეცი¹⁹სა და ქუეყანისანი, ჯორციელნი და უჯორ²⁰ცონი.

დაინერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტ²¹კე

ხელრთვები ხვეულად: რ ო ს ტ ო მ , მ ა რ ი ა მ

კომენტარი იხ. Sd-601-თან

76

1637 წ. მამულის წყალობის წიბნი ორსტომ მეფისა ელიზბარ დავითისშვილისადმი

პ ი რ ი : ხეც, Ad-1084; მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 33X19,5 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთის ტექსტის მცირე ნაწილი ალაგ-ალაგ დაზიანებულია და შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თ ა რ ი ღ ი : ქორონიკონი ტკე (323), რაც უდრის 1637 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : კარის მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმა-ნიშვილი.

ქ. ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, მეფეთ-მეფემან პატ[რონ] მან რ ო ს ტ ო მ , და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალთ-დედოფ[ა] ღმან პატრო[ნ]მან მ ა რ ი ა მ , ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი სამკვიდ[რო] და საბოლოო წიგნი და ნიშანი შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვ[ე]ნთა ერდგულთა და წესისებრივ მრ[ა]ვალფერად თავდადებით ნამსახურ[რ]თა ყმათა, დ ა ვ ი თ ი ს შ ვ ი ლ ს ბოქაულთუხუცეს ე ლ ი ზ - ბ ა რ ს , [ძმასა] თქვენსა კ ო ს ტ ა ნ ტ ი ლ ე ს , შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოელთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და მამულის წყ[ა]ლობას გვიან-ჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და მოკითხული ვქენით, ქ ი ნ ძ ა თ ი სამკვიდროდ თქუენი ყოფილიყო. მ ა რ ტ ი რ ო ზ ი შ ვ ი ლ ი ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი და შ ა ლ ვ ა შემოგეცილნეს. და მოკითხული ვქენით და ძუელითგანც თქუენი სამკვიდრო ყოფილიყო.

ანე, შეგინწყალეთ და გიბოძეთ ყოვლის კაცის უცილებრად, ასრე რომე, არას თქუე[ნ]ს ნათესავს ქ ი ნ ძ ა თ { თ } ა ნ წელი არა ჰქონდეს. ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს და შ ა ლ ვ ა ს გამოვართვით და თქუენი სამკვიდრო მამ-ული გიბოძეთ. და დაგიმკვიდ[რ]ეთ ყოვლის კაცისაგან უცილებრად, მარ-თლის სამართლიანის საქმითა და სამძლურითა, ვიდრე მთა-ბარ[ა]მდისინ.

გქონდეს და გიბედნიერ[რ] ოს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად სხუათა მეპატრონეთაგან.

ანე, გიბ(რ)ძან(ებ)თ კარისა ჩვენის ვექილ-ვეზირნო, მდივანო და სხუანო მოსაქმენო, თქუენცა ასრე გ{ა}ჟთავეთ ნურას მოუშლით შეცილებით, თუნიერ შენვენისა და თანადგომისაგან კიდე. აგრევე გაუკითხავად არა შეგბეზლოთ და, რისაც მამულისა და საჯელოს მქონებელნი იყუნეთ, არც იმისგან დაგამცროთ. და მწყალობელნი და მოპატიენი ვიყუნეთ.

დაინერა ბძა(ნება) და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკე, ჴელითა კარისა ჩვენისა მდივანმნიგნობრის თუ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ უ ე ლ ი ს ი თ ა .

დედანს ესვა ბეჭდები: ნ ე ფ ე რ ო ს ტ ო მ , დ ე დ ო ფ ა ლ ი მ ა რ ი ა მ დ ა ვ ი თ [დ ა ვ ი თ ი ს შ ვ ი ლ ი ს] გვიანდელი მინანერი:

ქ. ეს მუსავადი თვითონ მე, დ ა ვ ი თ ს , დამინერია. და ამისი დედანი აქა მე მაქს თვითონ რ ო ს ტ ო მ ნეფისგან ნაბოძები. რაც ამა ასლში, ამა მუს{ა}ვადაში სწერია, ამის ასლშიაც ასრე სწერია. თუ ან ერთი სიტყვა ტყუილ{ა}თ დამენეროს, ჯერა ვიყო ლ(ვ)თის შემცოდე. და [ეგების], მაგა ბატონმან თვისისთვის დაფიცება არა დამიჯეროს, და ამა ე რ { ა } ნ ი ს ჴელმნიფის ნასოფი ნაყაზი ვიყო, თუ ამაში ტყუილი რამე დამენეროს. და თუ იყ{ა}ბულა და დაიჯეროს, კარგი ნყალობა იქნებ{ი}ს, და თუ არა და არა იყ{ა}ბულა, კარგათ იყოს, ბატონის ნყრომას და ლ(ვ)თის ნყრომას რა გ{ა}ქენყობის.

ქართული ბეჭედი ლეგენდით: ბოქაულთუხუცესი დ ა ვ ი თ

მინანერი: . . . [მ]უსვადა არის.

კომენტარი იხ. Sd-601-თან

77

1637 წ. ყმისა და მამულის წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ზაქარია ავალიშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Hd-14483; მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 34,3X15 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანებული კიდეები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. საბუთი ქართულ-სპარსულია - შექასთეს ხელით შესრულებული რვასტრიქონიანი სპარსული ტექსტი მოთავსებულია verso-ზე. საბუთის შეტანილია რუსული მმართველობის დაწესებულე-ბაში 1817 წლის 12 აპრილის, რეგისტრირებულია 1829 წლის 1 სექტემბერს ნომრით №143.

პ ი რ ე ბ ი : სეა: 1450-47/146; 1461-3/76.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკე (324), /1637 წელი/.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : კარის მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმა-ნიშივილი.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი : თაყაიშვილი 1910, №564, გვ. 543; ფუთურიძე 1955, №63, გვ. 141-142.

ქ. ნებიტა და შენვენიტა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფე[მა]²⁶, პატრონმან როსტომ, და თანამეცხედრემან ჩუენმან,³ დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ, ესე წყა⁴ლობისა წიგნი და ნიშანი შეგინწყალეთ და გიბო⁵ძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა ყმათა, ავალ⁶ი შვილთ ზაქარიას, შვილსა თქუენთა ავალსა, და⁷ ვითს, ქაიხოსროს და ლონენასა, შვილთა და მომავა⁸ლთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე, მას ჟა⁹მსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და თქუენსავ ნაქონ¹⁰ს სამკუიდროს* სომ { ა } ნ ე თ ს გუიაჯენით.

შეგინწყალეთ და გიბოძეთ, ხი¹¹ დირბეგის მესხებს გარეთ, ორი კუამლი თქუენი მ¹²კუიდრი ყმა და ალაგი სამართლიანის სამძღურითა,¹³ რისაც მქონებელი სომანეთი ყოფილიყოს. იმ სამ¹⁴ჭმით თქუენთუის გუიბოძებია.

გქონდეს და გიბედ¹⁵ნიეროს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულად სამს{ა} ხურსა ში¹⁶ნა და არაოდეს არ მოგეშალოს.

ანე, გიბ(ძანე)ბთ კარისა¹⁷ ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხუნო მოსაქმენო, დლე¹⁸ს ვინცა-ვინ იყუნეთ და ანუ დღეის წაღმა იქნებოდეთ,¹⁹ თქუენც ასრე გაუთავეთ და ნურას მოუშლით და შე²⁰ც²⁰ილებით.

დაინერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკე, ჴე²¹ლითა კარისა ჩუენისა მდივან-მნიგნობრის თუ მან²²ი შვილის ბირთუ ელისითა.

ხვეული ხელრთვა: ||²³მ ა რ ი ა მ

უზის ნუშისებრი ფორმის, გუმბათიანი ბეჭედი ლეგენდით: ყაენის ფერხთა მტურეი, როსტომ მეფე ვამტკიცებ.

გვიანდელი მინაწერები: სოვეტნიკი თ(ავად)ი დ ი მ ი ტ რ ი თ ა რ ხ ა ნ ო ვ ი .

როსტომ მეფის მიერ ხ ი დ ი რ ბ ე გ ი ს წყალობის წიგნი.

ჩაინერა 58 კნილაში, 143 ნომ. ოქმი“.

შა[...]თისა წიგნი.

სპარსული ტექსტი:

1636 წ. 19 ოქტომბერი – 18 ნოემბერი

[هو]

حكم عالی شد آنکه چون قریه سمانت من اعمال آل و سورام از قدیم | الايام از زکریا بیگ بوده و درینوقت ولدان او اوال بیگ | و داتونه از روی صدق و یکجہتی آمده بخدمات سرکار عالی اشتغال دارند | از ابتدا | چهارماہه اود نیل بدستور در وجه ایشان مقرر نمودیم | کدخدایان و رعایا | قریه مذکور

* დედანში სიტყვა „სამკუიდროს“ ჩამატებულია.

مالوجهات و حقوق ديوانی را موافق دستور المعلی الكاۛ كارتیل بدیشان جواب گفته در عهده داندن و چون
حكم بمهر ا عالی رسد اعتماد نمایند تحریر ا فی شهر رجب المرجب [سنه] ۱۰۴۷

[ის (ღმერთი)]

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ რადგან ალსა და სურ-
ამს დამოკიდებული სოფელი სომანეთი ძველი დროიდანვე ზაქა-
რია - ბეგის იყო და ამჟამად მისი შვილები ავალ - ბეგი და და-
თუნა მოვიდნენ და გულწრფელად და ერთგულად მსახურობენ მაღალ
კარზე, [ამიტომ], ხარის წელის ოთხთვეობის დასაწყისიდან [ეს სოფელი] 5
ჩვენ მათთვის დაგვიმტკიცებია. ხსენებული სოფლის ქედხოდებმა და
გლებებმა ქართლის დასტურლამალის თანახმად, მალუჯათი და სახელმ-
ნიფო გადასახადი მათ უნდა გადაუხადონ და თავის ვალდებულებად აღი-
არონ [ამ ბრძანების შესრულება]. და როცა ბრძანება მაღალი ბეჭდით აღი-
ჭურვება — დაემორჩილონ [მას]. 10

დაინერა 1047 წლის რაჯაბ ალ-მორაჯაბის თვეს.

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია როსტომის სპარსული ბეჭედი;
სპარსული სარეგისტრაციო ბეჭედი დასმულია აგრეთვე ქართული ტექსტის
ბოლოს. წარწერით — خاك قدم على منوچهر — „აღის ფეხთა მტვერი მანუჩარი“.

კომენტარი:

ავალიშვილები მეფე თეიმურაზ I-ის ერთგულებით გამოირჩეოდნენ.
მოგვიანებით ისინი კახეთში გადადიან და იქ მკვიდრდებიან. ამ წყა-
ლობით მეფე როსტომს მათი გულის მოგება უცდია. სოფ. სომანეთი
ავალიშვილებმა რამინ ამირეჯიბის შემკვიდრეობიდან მიიღეს და იქ
საკუთარი ყმები, ხიდირბეგიდან წამოყვანილი მესხები დაასახლეს.
როსტომმა ვერ შეძლო ავალიშვილების მიმხრობა. მოგვიანებით, სოფ.
სომანეთი მან შანშეან-მარტიროზაშვილებს გადასცა (დოკუმენტური
წყაროები, 2019: 275-277, სეა 1450-1/131).

78.

1637 წ. სოფლების თარხნობის წიგნი როსტომ მეფისა ვახტანგ მუხრანის ბატონიშვილისაჟმ

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Qd-1490; მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 37,5X23 სმ.
შავი ფერის მეღანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამ-
წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; მცირედ დაზიანებული ადგილები შევსე-
ბულია სარესტავრაციო ქაღალდით. საბუთის ტექსტი ქართულ-სპარსულია.
ოთხსტრიქონიანი სპარსული ტექსტი, შესრულებული შექასთენ-ნსთალიყის
ხელით, მოთავსებულია საბუთის verso-ზე. საბუთი წარუდგენიათ რუსული

მმართველობის დაწესებულებაში 1817 წლის 1 მარტს, რეგისტრაცია გაუვლია 1827 წლის 1 მარტს ნომრით №91.

პ ი რ ი : სეა; 1450-52/137.

თ ა რ ი ლ ი : ქორონიკონი ტკე (325), რაც უდრის 1637 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : კარის მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა : ფუთურიძე 1955, №61, გვ. 136-138.

ქ. ნებიტა და შენეწენიტა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან, პატრონ-მან როსტო [მ] |² და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან მ ა |³ რ ი ა მ , ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი საბოლოო {ო} წიგნი⁴ და წყალობისა ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა და⁵ წესისებრივ მრავალფერად თავდადებით ნამს {ა} ხურთა ყმათა, ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ს ვ |⁶ ა ხ ტ ა ნ გ ს , ბ ა გ რ ა ტ ს , ა რ ჩ ი ლ ს , ა შ ო თ ა ნ ს , კ ო ს ტ ა ნ ტ ი ლ ე ს , გ ი - ო რ გ ი ს და ა |⁷ ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს , შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე.

|⁸ მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით [კა]რსა და მ ი ს ა ქ ც ი ე ლ ი ს ა და თ ე კ ე ნ ა ს |⁹ სითარხნის წყალობას გუიაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თ |¹⁰ ქუენი. მოკითხული ვქენით და დიდის ხნის ნაოჭარი ყოფილიყო |¹¹ და ასაშენებლად მოინდომეთ.

ანე, ასრე ვათარხნეთ და გითავისუფლეთ, |¹² რომე, არაფერი საჩუენო სათხოვარი და გამოსალები არა ეთხოებო |¹³ დეს-რა, არა საბალახე, არა კოდის პური, არა საური, არა ნახირის თა |¹⁴ ვი და ცხურის პირის თავი, არა ლაშქარ-ნადირობა, არა სეფეობა, ა |¹⁵ რასფერისთანა არა ეთხოებოდეს-რა.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ |¹⁶ მერთმან ჩუენსა ერდგულად სამს {ა} ხურსა შინა და არაოდეს არ |¹⁷ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა სხუათა მე-პატრონეთაგან.

ანე, გი |¹⁸ ბრძანებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანო და სხუანო მოსა |¹⁹ ქმენო, მ უ ხ რ ა ნ ი ს თასილდარნო და კარისა ჩუენითა წარვლენილნო მოწელენ |²⁰ ო, თქუენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩუენსა ნაწყალობევსა ფარ |²¹ ვანაშია ენეროს. და ნურას მოუშლით და შე {ე} ცილებით თუინიერ შე |²² წვენისა და თანადგომისაგან კიდე.

დაინწერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა |²³ ტკე, ჴელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრის თ უ მ ა ნ ი |²⁴ შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ - თ უ ე ლ ი ს ი თ ა .

ხვეული ხელრთვა: |²⁵ როსტომ

გვიანდელი მინაწერები:

ქ. რისა [ც] მომეფიც {ა} ვს ნაბოძები ... მ ი ს ა ქ ც ი ე ლ ი [და] თ ე კ ე ნ { ა } თ ს ი თ { ა } რ ხ ნ { ე } ს .

მ ი ს ა ქ ც ი ე ლ ი ს ა და თ ე კ ე ნ ა ს წიგნი სითარხნისა.

სოვეტნიკი თ(ავად)ი დ ი მ ი ტ რ ი თ ა რ ხ ა ნ ო ვ ი .

სპარსული ტექსტი:

1637 წ. 21 სექტემბერი – 20 ოქტომბერი

هو

حکم عالی شد آنکه از ابتدا چهار ماهه اود نئیل چنین مقرر شده که دو قریه خرابه که | در ضمن
بخت گرجی قلمی شده که خراب و بایر است و رعیت ندارند رفعت پناهان وقتان بیگ ... و
بیكرات و ارچیل و غ[یره] | برادران آبادان نمایند و معاف و مسلم [باشند] و بهیچوجه من
الوجه از رعایای که الحال جمعیت نمایند احدی طمعی و توقعی | ننمایند تحصیلداران حسب
المسطور مقرر دانسته طمعی و توقعی ننمایند تحریرا | فی شهر جمادی الاول سنه 1047

ის (ღმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანება, რომ ხარის წლის ოთხთვეობის დასაწყისიდან ასე იქნა დადგენილი, რომ ორი ნასოფლარი, რომელიც აქ (საბუთ-ში) ნაოხარად და დაუმუშავებელ ადგილად არის ქართულად დანერილი, სიდიადის საფარველმა ვ ა ხ ტ ა ნ გ - ბ ე გ მ ა . . . ბ ა გ რ ა ტ მ ა , ა რ - ჩ ი ლ მ ა და სხვა ძმებმა გააშენონ და გადასახადებისაგან თავისუფალი და შეუვალი იყოს. არავინ არავითარი მიზეზის გამო არაფერი მოსთხოვონ იმ გლეხებს, რომლებიც ამჟამად [იქ] მოგროვებებიან (დასახლდებიან). თანახად დანერილისა, გადასახადის ამკრეფებმა დადაგენილად ცნონ ეს და არაფერი მოსთხოვონ.

დაინერა 1047 წლის ჯომადი ალავალის თვეს.

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია როსტომის სპარსული ბეჭედი. სამი სპარსული სარეგისტრაციო ბეჭედი დასმულია ქართულ ტექსტზე: 1. ოთხკუთხა, წარწერით: خاك فام علی منوچهر – „ალის ფეხთა მტვერი მანუჩარი“, 2. ოთხკუთხა, გაურკვეველი წარწერით. მის ქვემოთ – მინაწერი: بنظر رسید – „განხილულია“ და 3. ოვალური, წარწერით: يا معين الضعفا – „ო, უძლურთა შემენევ“.

კომენტარი:

ვახტანგ მუხრანბატონი – ძე თეიმურაზ მუხრანბატონისა, რომელიც მარაბდის ბრძოლაში დაიღუპა (1625 წ.) ვახტანგს მამის გარდაცვალების შემდეგ არ მიუღია სამუხრანო. იგი თეიმურაზის ძმას – ქაიხოსროს ერგო, რომელიც გიორგი სააკაძის მეთაურობით აჯანყებულებს ქართლის გამგებლად დაუქვენებიათ. ბაზალეთის ბრძოლის შემდეგ ქაიხოსრო გიორგი სააკაძეს გაჰყვა ოსმალეთში. მეფე თეიმურაზმა სამუხრანო დაიკავა და თავის შვილს, დათუნა ბატონიშვილს გადასცა. თეიმურაზის და ქაიხოსროს ვაჟები, მათ შორის ვახტანგიც, იმერეთში გადაიხვეწნენ. მართალია, მოგვიანებით დაბრუნდნენ, მაგრამ ერთ გლეხკაცთან ცხოვრობდნენ გაჭირვებით (ბერი ევნატაშვილი, 1959: 413) თეიმურაზ მეფე „მტერობდა ძეთა და ძმისწულთა ქაიხოსროსათა და არა უტყვევებდა მუხრანს, არამედ მისცა ძესა თუსსა დათუნას“ (ვახუშტი

ბატონიშვილი, 1973: 436). დ. გვირიტიშვილი ფიქრობს, რომ სამუხრანოს დაკავების სურვილი ზურაბ არაგვის ერისთავს ჰქონდა და მეფის ამ საქციელით გაბრზაბული, თეიმურაზს დაუპირისპირდა და სეიმონ-ხანს მიემხრო (გვირიტიშვილი, 1955: 373). ფაქტია, ამ არეულობით ისარგებლეს თეიმურაზისა და ქაიხოსროს მემკვიდრეებმა და მუხრანი დაიკავეს. მუხრანის ბატონად ვახტანგი დაადგინეს, რომელიც სათავადოს განაგებდა 1628-1658 წლებში.

1633 წელს ქართლში გამეფებულ როსტომს ვახტანგი „პირველივე მიუგება“ (ბერი ეგნატაშვილი, 1959: 417). ბუნებრივია, თეიმურაზთან დაპირისპირებული მუხრანბატონი როსტომის მომხრეთა ბანაკში აღმოჩნდებოდა.

ვახტანგი (ფარსადან გორგიჯანიძე მას ბახუტას უწოდებს) გვერდით ედგა როსტომს ქართლის თავადთა მიერ მოწყობილ სხვადასხვა აჯანყებისას. სწორედ ვახტანგის დახმარებით გადარჩა გორში მყოფი როსტომი, როდესაც ქართლის თავადებმა მეფე თეიმურაზი მოიწვიეს გასამეფებლად. ვახტანგმა დაუყოვნებლივ აცნობა ეს ამბავი როსტომს, ისიც გორის ციხეში გამაგრდა, ხოლო თეიმურაზი იძულებული გახდა კახეთს წასულიყო. ვახტანგი მას დაედევნა და მის ლაშქარს დიდი ზიანი მიაყენა.

ვახტანგის დახმარებით შეძლო როსტომმა ახალგორის შეთქმულების ჩახშობაც. მან მეფეს თავისი ლაშქარი მიაშველა და შობის წირვაზე მყოფ იოთამ ამილახვარს, ქსნისა და არაგვის ერისთავებს თავს დაესხა. „იმ დღეს მუხრანის ბატონის მამაცობის ქება თქვეს“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 250).

ვახტანგი როსტომის გვერდითაა თეიმურაზ I-თან გადამწყვეტ ბრძოლაშიც. 1648 წელს, თიანეთში მყოფი თეიმურაზის წინააღმდეგ სწორედ ვახტანგი წარავლინეს. ბრძოლა უღლისთან მოხდა, სადაც თეიმურაზი დამარცხდა, ხოლო მისი ერთგული თავადი რევაზ ჩოლაყაშვილი დაიღუპა. (ვახუშტი ბატონიშვილი, 1973: 443).

უშიღღძიროდ დარჩენილმა როსტომმა თავის მემკვიდრედ სწორედ ვახტანგ მუხრანბატონი მიიჩნია. მან სპარსეთის შაჰს სთხოვა, ვახტანგი დაენიშნა ჯანიშინად. ვახტანგი ისპაჰანში ეახლა შაჰს და მისგან უხვი წყალობა მიიღო. ქართლში დაბრუნებულს როსტომმა „პატივი მოუმატა და ზოგ-ზოგი სავახტანგო (იგულისხმება XVI საუკუნის მიწურულს გარდაცვლილი ვახტანგ ბატონიშვილი თ.ქ.) სოფლებიც მისცა, ჳელმწიფის ნაბოძებს მამულის სიგელებში შეიღობით დააწერინა“ (ფარსადან გორგიჯანიძე, გვ. 266). ჩანს, ვახტანგმა ნიადაგის მომზადება დაიწყო ტახტზე ასასვლელად და მეფისგან უჩუმრად თავის მომხრეთა დასის შექმნას შეუდგა. მან დაინათესავა ქართლის გავლენიანი თავადები. ნოდარ ციციშვილის ასული თავის ვაჟზე, არჩილზე დანიშნა, ხოლო ქალიშვილი ზაალ არაგვის ერისთავის ძეს, ზურაბს მიათხოვა. ფიცის წიგნი მიიღო მარიამ დედოფლისგანაც. კარისკაცებმაც მისი ყმობა აღიარეს. როსტომმა შაჰისგან „ერთი რაყამი მუხრანის

ბატონს უბოძეთო, რომ ჩემს უკან მეფობა მისი იყოსო, რომ ჯარსა და ლაშქარს მისგან შიში აქონდესო“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 267). 1658 წელს, როსტომის გარდაცვალების შემდეგ ქართლის ტახტი მუხრანელმა ბაგრატიონმა ვახტანგმა დაიკავა, რომელმაც გამაჰმადიანების შემდეგ მიიღო შაჰნავაზის სახელი და საქართველოს ისტორიაში ვახტანგ V შაჰნავაზის სახელით შევიდა. მუხრანის სათავადოს უფროსობა თავის ძმას, კონსტანტინეს გადასცა (გვრიტიშვილი, 1955: 374-376).

1637. წყალობის ბანახლების წიგნი როსტომ მეფისა პაპუნა ბერძნიშვილისადმი

პ ი რ ი : სეა, 1450-31/68, გადაწერილი რუსული მმართველობის პირების დაეთარში.

საბუთის თ ა რ ი დ ი : ქორნიკონი ტკე (325), რაც უდრის 1637 წელს. საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი შალვა მარტიროზაშვილი.

[ქ. ნებითა და შენეენითა ღ(მრ)თისათა, ესე უკუნისამდე წიგნი და ნიშანი ჩუენ, მეფემან პატრონმან როსტომ, და] თანამეცხედრემან ჩუენ-მა, [დედოფალთა]- დედოფალ{მან} მ ა რ ი ა მ , ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერდგულთა ყმათა და კარისა ჩვენისა იასაულსა, ბ ე რ - ძ ნ ი შ ვ ი ლ ს ა პ ა პ უ ნ ა ს ა , შვილსა შენსას ე ხ ნ ი ა ს ა , თ ა მ ა ზ ა - 5 ს ა , ო თ ა რ ს ა , შვილთა და მომავალთა სახლისა სახლისა თქვენისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს სოფელი ე რ კ ნ ე თ ი თქვენი ნასყიდი ყოფილიყო და ხელმწიფეთა ალაპი გდებოდა, და ჟამთა აშლილობისაგან თქვენი ნასყიდი ე რ კ ნ ე თ ი ძალმკლავობითა და ძაბუნობითა ფ ა ლ ა ვ ა ნ დ ი შ ვ ი ლ ს 10 ნ{ა}ერთმევიანა, ვქენით მოკითხული და არა გემართლებოდეს. ან, ჩვენცა შეგინყალეთ, ისრევე გიბოძეთ მკვიდრი და ნასყიდი სოფელი მითთა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა და ყოვლისა მისისა სამართლიანის სამძღვრითა და საქმითა. სამკვიდრო{დ} და სამამულედ თქვენთ-ვინ და თქვენთა შვილთათვის გვიბოძებია ყოვლის ადამიანის მონათესავეს 15 კაცისაგან უცილებლად. ამაღ არავის მართებს შეცილება რომე, ამიერით უკუნისამდე თქვენი ნასყიდი და სამკვიდრო ყოფილა.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მან) ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შიგან. ამა მამულსა პირველადაც ალაპი ზდებოდა და აწე, ჩვენცა ალაპი დავიდევით, ასრე რომე, ჩვენად სადღეგრძელოდ და მეფობისა ჩვენისა წარ- 20 სამართებლად, ყოველსა მარიამობის თვესა ალაპს გარდაიხდიდეთ, დაკლევდით ძროხასა და ერთსა ცხვარსა, ერთსა დახარჯევდით ღვინოსა საპალნესა, ერთსა პურსა საპალნესა, ერთსა-ორსა მღვდელსა და ერთსა მთავარსა,

იქითვე ყოვლა{დ}წმიდის წინა ჟამსა აწირვინებდით ჩვენა{დ} სადღეგრძელოთ. სხვა საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოებოდეს-რა: არა კოდისპური, არა საბალეხე, არა ნახირისთავი, არა სხვა სათხოვარი და გამოსაღები, არა ეთხოებოდეს-რა ერთი სათათროს საურისაგან კიდე.

5 ვინცა და რამაც კაცმა ეს ჩვენი აღაპი მოშალოს და ან ამა მამულსა ვინმე შემოგეცილოს, თავადამც რისხავს ღ(მერ)თი და მამა, ძე და სულიწმიდა და ყოველნი წმიდანი ღვთისანი.

10 ანე, გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვეკილ-ვეზირნო და სხუანო კარისა ჩვენისა წარვენელინო მოსაქმენო, ვინგინდა-ვინ იყუნეთ და ანუ დღეის წაღმა იქნებოდეთ, მერმე, ბძანება და ნიშანი ესე ჩვენი თქვენცა ასრე გაუთავეთ და დაუმტკიცეთ, რარიგათაც ამა ჩვენგან ნაწყალობევს სიგელსა შიგან ეწეროს.

15 დაინწერა ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკე, ჴელითა კარისა ჩუენისა, მდივან-მწიგნობრისა - მ ა რ ტ ი რ ო ზ ი ს შ ვ ი ლ ი შ ა ლ ვ ა ს ი თ ა .

დედანს ჰქონია ხელრთვები: რ ო ს ტ ო მ , მ ა რ ი ა მ

კომენტარი:

საბუთის ტექსტი საინტერესოა, მაჰმადიანი როსტომის ეკლესიისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით. იგი სიცოცხლეშივე იჩენს აღაპს. ერკნეთის მამულს ხელმწიფეთა აღაპი ედო ვალდებულებად და როსტომის მხრიდანაც აღაპის გაჩენა არა იმდენად მისი რელიგიური გრძნობების გამოხატულებად უნდა ჩავთვალოთ, არამედ უფრო ფეოდალური სამსახურის ერთ-ერთ სეგმენტად უნდა მივიჩნიოთ და სამეფო პრივილეგიის ტრადიციის დაცვად.

1637 წ. მამულის წყალობის წიგნი ორსტომ მეფისა ზაქარია მაყაშვილისადმი

დედანი: ხეც, Hd-14481; მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 32,8X13,5 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანებული კიდევები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. საბუთი ქართულ-სპარსულია. სპარსული ტექსტი, შვიდ სტრიქონად, შექასთეს ხელით შესრულებული, მოთავსებულია საბუთის verso-ზე.

თარიღი: ქორონიკონი ტკე (324), /1637 წელი/.

გამოცემები: ფუთურიძე 1955, №62, გვ. 139-141.

საბუთის დამწერი: კარის მწიგნობარი მერაბ ყორღანაშვილი.

ქ. ნებითა და შენქეზნითა ლ(მრ)თის(ა)თა, ჩუენ, მეფეთ-² მეფემქან პქატრონმქან როსტომ, ესე წყალობისა ნ³იგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ⁴ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა ყმასა მ ა ყ ა შ უ ი ლ ს , ⁵ ლ უ ა რ ს ა ბ ი ს შ უ ი ლ ს ზ ა ქ ა რ ი ა ს და ძმისწულსა⁶ შენსა ლ უ - ა რ ს { ა } ბ ს , და მომავქალთა სახლისა თქუ⁷ვენისთა ყოველთავე, მას ჟამსა, ოდეს მოგუი⁸დევით კარსა და თქუენს სქამკუიდროს მამისა და⁹ პაპის მამულს გუთაჯენით.

ჩუენცა¹⁰ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და შეგი¹¹წყალეთ და გიბოძეთ სქამქართლიანი თქუენის¹² მამისა და პაპის მამული, რისქაც მქონებელი¹³ მამქათქუენი ლ უ ა რ ს { ა } ბ ყოფილიყოს ან შ ი გ - ნ ი თ ა | ¹⁴ კ ა ხ ე თ ს , ა ნ გ ა მ ო ღ მ ა კ ა ხ ე თ ს და ან პ ი რ ა ქ { ე } თ ა | ¹⁵ ს { ა } გ { ა } რ ე ჯ ო ს , უკლებლათ გუიბოძებია.

გქო¹⁶ნდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თმ(ა)ნ ჩუენსა ერ¹⁷დგულათ სქამსქახურსა შიგქან.

ანე, მოგახსე¹⁸ნებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და მ¹⁹დივანო, მერმე, ესე ჩუენგქან ნაბოძები მამუ²⁰ლის ფარვანა თქუენცა ასრე გაუთავეთ, ²¹რარიგადც ამქაში ენეროს, ნუროდეს ნუ მოუ²²შლით და შექეცილებით, თუინიერ თანა²³დგომისა და შეწვენისაგან კიდე.

დაინერა²⁴ ბრძქანება დქა ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკე, ჯელი²⁵თა მნიგნობრისა ყ ო რ ღ ა ნ { ა } შ უ ი ლ ი ს მ ე | | ²⁶რ ა ბ ი ს - თ ა .

უზის ნუშისებრი ფორმის დიდი ბეჭედი ლეგენდით: **الا** (ალლაჰ), ყაენის ფერხთა მტუერი, როსტომ მეფე, ვამტკიცებ*.

გვიანდელი მინანერი:

ქ. როსტომ მეფე

სპარსული ტექსტი:

1636 წ. 19 ოქტომბერი – 18 ნოემბერი

[هو]

حکم عالی شد آنکه بنابر یکجہتی و یکرنگی رفعت پناه زکریا بیگ ا و لورصاب بیگ برادر زاده مشارالیه آنچه در الکاء کاخت ملک و تیول مورثی ایشان است بدستور قدیم تیول مشارالیه ا و لورصاب بیگ مقرر نمودیم کدخدایان و رعایا الکاء متعلق بایشان مالوجهات و حقوق دیوانی و اصل ساختہ چیزی موقوف ندارند و چون حکم بمهر عالی رسد اعتبار نمایند تحریرا فی شهر رجب المرجب [سنه] ۱۰۴۷

ის (ღმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანება, რომ სიღიადის საფარველის — ზ ა ქ ა - რ ი ა - ბ ე გ ი ს ა და მისი ძმისწულის — ლ უ ა რ ს ა ბ - ბ ე გ ი ს ე რ თ -

* ბეჭდის ფორმულაში „ალლაჰის“ გაჩენის შესახებ იხ. ხ. ბაინდურაშვილი, 2019 გვ. 15-21.

5 გულებსა და ერთსულოვნების გამო, რაც კახეთის ოლქში მათი სამკვიდრო მამული და თიულია, ძველი წესით, სხენებულისთვისა და ლუ-
არსაბ-ბეგისათვის დაგვიმტკიცებია. მათი კუთვნილი „ოლქის“
ქეთხოდებმა და გლეხებმა [მათ] მალუჯათი და სახელმწიფო გადასახადი გა-
დასცენ, არაფერი დაუკავონ და როცა ბრძანება მაღალი ბეჭდით აღიჭურ-
ვება, დაემორჩილონ მას. დაინერა 1047 [წლის] რაჯაბ ალ-მორაჯაბის თვეში.

ქართულ ტექსტზე მოთავსებულია 1. ოთხკუთხა და 2. მრგვალი სპარსუ-
ლი სარეგისტრაციო ბეჭდები. منوچهر – „ალის ფეხთა მტვერი მანუჩარი“. 2.
ოვალური, წარწერით: يا معين الضعفا – „ო, უძლურა შემწევ!“ სპარსული ტექს-
ტის ბოლოს ზის როსტომის სპარსული ბეჭედი.

კომენტარი:

ზაქარია მაყაშვილი – 1651 წლისთვის ის ნინოწმინდელი ეპისკოპოსი იყო (შაორშაძე, 2008: 65-67). ზემომოყვანილი საბუთით ირკვევა, რომ 1637 წელს ჯერ არ ფლობს ამ სახელოს და სავარაუდოდ სასულიერო პირიც არ იყო. საგულისხმოა, რომ ტექსტში არა მისი შვილი, არამედ ძმისშვილი იხსენიება. ფაქტია, მას ოჯახი და მემკვიდრე არ ჰყავს და, სავარაუდოდ, უკვე სასულიერო ასპარეზზე მოღვაწეობისთვის ემზადება (ნაკლებად საფიქრებელია, რომ მოცემული პერიოდისთვის ბერად ყოფილიყო აღკვეცილი, ამ შემთხვევაში მას მამულებს არ დაუმტკიცებდნენ). იგი როსტომის ერთგული ყმაა და ეს მხოლოდ დიპლომატიკურ ფორმულად არ უნდა მივიჩნიოთ, რადგან 1637 წელს, როდესაც ჯერ კიდევ თეიმურაზ I არის კახეთის მეფე, ზაქარია როსტომს სთხოვს კახეთის მამულების დამტკიცებას. ცხადია, ამ ერთგულების სანაცვლოდ მიიღო მან ნინოწმინდელობა, როდესაც 1648 წელს როსტომი საბოლოოდ დაეუფლა კახეთის სამეფოს.

81

[1637 წ. ახლო]. მზარველობის პირობის წიგნი, ბოკეპუში როსტომ მეფის მიერ თამარ ბატონიშვილისა და მისი შვილის, იოთამ ამილახორისათვის

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Hd-2129, ღია ყავისფერი ლაქებიანი ქაღალდი, ზომა: 49,3X19,3 სმ; შავი ფერის მეღანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორ-
წერიტილი ან სამწერიტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთს მოხეული აქვს ზედა მარჯვენა კიდე.

პირი: სეა, 1461-14/42.

საბუთი უთარიღოა: ფარსადან გორგიჯანიძის მონათხრობის საფუძ-
ველზე დათარიღებულია 1637 წლის ახლო წლებით.

ქ. არსება-დაუსაბამოსა და დაუსრულებელისა, [ღმრთისა მამისა, ძისა] |² და სულისა წმიდისათა; თავდებობითა, მინდო[ბითა და შ]|³უამდგომლობითა, მეოხებითა უბინოდ მშო|⁴ბელისა მისისა, პატიოსნისა და ცხოველსმყოფელის ჯუ|⁵არისა ძელისა ცხოველებითა, რომელსა ზედან განიპყარნა |⁶ პატიოსანი და უხრწნელნი მკლავნი თუისნი ქ რ ი ს ტ ე მ ა ნ, |⁷ ღ(მერ)თ(მა)ნ ჩუენმან, ხსნისათუის ჩუენისა; |⁸ მისითა თავდებობითა, მი|⁹ნდობითა და შუამდგომლობითა, რანიცა დიდსა საუფლო|¹⁰სა სუინ-აქსარსა შიგან წმიდანი სწერიან და ანუ მოიხსე|¹¹ნებიან.

ამა ყოველთა წმიდათა ღ(მრ)თისათა თავდებობითა, მინდობითა და |¹² შ|უამდგომლობითა, ზეცისა ძალთა ანგელოზთა, მთავარანგელოზთა მი |¹³ ქ ა ე ლ და გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ა თ ა , ამა ყოველთა წმიდათა ღ(მრ)თისათა ზეც|¹⁴ისა და ქუეყანისათა, ჯორციელთა და უჯორცოთა.

თა|¹⁵ვდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ესე ა|¹⁶უარე-ბელი და დრო-დაუდებელი, ყოვლის ჩხუბის და ხუანჯისაგან |¹⁷ გამოკრებული ფიცი, პირი და წიგნი მოგახსენეთ და გიბო|¹⁸ძეთ ჩუენ, მეფეთ-მეფემან პატრონმან რ ო ს ტ ო მ და თანამე|¹⁹ცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან მ ა რ ი ა მ , |²⁰ თქუენ, ჩუენს დასა, ბატონიშვილს, ბატონს თ ა მ ა რ ს და შვილთა |²¹ თქუენთა — ა მ ი ლ { ა } ხ ო რ ს ი ო თ ა მ ს .

ასრე და ამა პირსა ზედან, |²² თუ თქუენ ჩუენი ერდგულნი და გაუყრელნი |²³ ყმანი იყუნეთ, დღეს და დღეის უკან ვიყუნეთ თქუენთ|²⁴უის კარგნი და უზიანო მწყალობელნი და მოპატიენი. |²⁵ და თუ ამას უკან ჩუენზედ აღარა სტყუოთ-რა, არც ბედნიერს ყ{ა}ე|²⁶ნს ვაქნევინოთ თქუენთუის ავი, და არც ჩუენ წასაჯდენლად |²⁷ და ავად მოსაპურობლად გამოგიმეტოთ. და ვინცა-ვინ თქუენ|²⁸ი თავი შემოგუაბეზლოს, გაუკითხვად არ გაგინყრე|²⁹თ და კიდევ გაგიკითხოთ. და რასაც არ გემართლებოდ|³⁰ქეთ, მის მეტად არ გაგინყრეთ და არც ცუდად შეგიბეზლო|³¹თ. და რისაც მამულისა და საჯელოს მქონებელნი იყუნეთ, |³² იმისგან არ დაგამცროთ.

ამისად გასათავებლად, თავდებ|³³ად მოგუიციემია თავად ღ(მერ)თი და ყოველნი მისნი წმიდანი ზეცისანი და ქუეყანისანი, ჯორციელნი და უჯორცონი. და ჯე|³⁴ლიცა ასრე ჩაგირთოთ, რომე ამის გათავების მეტი |³⁵ გულში არა აღვიაროთ-რა.

ხელრთვები: რ ო ს ტ ო მ , მ ა რ ი ა მ

გვიანდელი მინანერი საბუთის verso-ზე:
რ ო ს ტ ო მ მეფის მოცემული.

კომენტარი:

თამარ ბატონიშვილი – იოთამ ამილახორის დედა, ბაგრატიონი, როსტომ „მეფის, ბიძის ვახტანგის ქალი“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 245). იოთამი ქართლის თავადებთან ერთად მეფე როსტომს აუჯანყდა. მეფემ მისი და ქსნის ერისთავ იასეს ცოლ-შვილი გორის ციხეში დაატყვევა და სხვილოს ციხე დააქცია, თუმცა იოთამი და იასე ვერ

ჩაიგდო ხელში. ისინი კახეთში გადაიხვეწნენ. მოგვიანებით, დედოფალ მარიამის შუამდგომლობით, როსტომმა მათი ცოლ-შვილი გაათავისუფლა და ისინიც კახეთს გაისტუმრა. იოთამმა როსტომთან შერიგება გადაწყვიტა და საქმის მოგვარება დედამის მიანდო, რომელიც იმერეთში იყო ჩიჯავაძესთან. იგი კარგი „ფეშქაშით“ ეახლა როსტომს და შვილთან შერიგებას შეევედრა. მეფემაც „ამილახორი თავის დედას ბატონის შვილ თამარს აპატია და საამილახოროც მისცა“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 245). ამ ამბებს ფ. გორგიჯანიძე 1637 წლით ათარიღებს და საბუთიც, ამ პერიოდში გაცემულად უნდა მივიჩნიოთ.

82

1638 წ. 2 ივლისი. სახელოს წყალობის წიგნი როსტომ მეფისა მანუჩარ თუშანიშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Hd-14602; ყავისფერი ქაღალდი; ზომა: 54X23,5 სმ; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი; საბუთი გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით; საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. სპარსული ტექსტი, შექასთეს ხელით, ოცდასამ სტრიქონად, მოთავსებულია საბუთის verso-ზე.

საბუთის თ ა რ ი ღ ი : ქორნიკონი ტკვ (326) მკათათვის ბ (2), რაც გვაძლევს 1638 წლის 2 ივლისს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : სალაროს მუშრიბი ფირალი.

გ ა მ ო ც ე მ ა : თაყაიშვილი, 1910, №565; ფუთურიძე, 1955: გვ. 142-146; დოლიძე, 1965: გვ. 215-216.

ქ. ნებითა და შენვენითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, ქ ა რ თ ლ ი ს ა და კ ა ხ - ე თ ი ს ა , ორის²ავე ტახტის მპყრობელმან, მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ, ესე³უკუნისადმი ჟამთა და ხანთა გასათავებელი, ყოვლის კაცისაგან მოუსარჩ⁴ლელი და მოუდევარი წყალობისა და სარგოს წიგნი და სიგელი გიბოძეთ⁵ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა და მრავალფერად წესისაებრ თავდადებით ერ⁶დგულად გულით მისანდოსა და ხუაშიადის შემნახავს ყმასა, თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ს ჩ⁷უენის ბეჭდის შემნახავს, მურდარს პატრონს მ ა ნ უ ჩ ა რ ს , მას ჟამსა, ოდ⁸ეს მოგუიდეგით კარსა და საბეჭდავის სარგოს წყალობას დაგუიჯენით.

⁹ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, მოკითხული ვქენით და ¹⁰შეგინყალეთ და გიბოძეთ საბეჭდის სარგო. თუ სოფელს გავსცემდეთ, კუამ¹¹ლის თავს თუითოს მარჩილს აიღებდე; გლეხის სითარხნეზედ – ორი მარჩილი; სამო¹²ურაოზედ – ათს კუამლზედ სამი მარჩილი; მსახურის ჯამაგირზედ – თუმნისთავს ერთი ¹³შაური; ინამზედ – თუმნისთავს თუითო აბაზი ჰამასალზედ; თუმნისთავს – ო¹⁴რი შაური თათრის საბალახეზედ; ოცი მარჩილი – თათრის პირისთავს¹⁵ე; ათი ცხუარი –

კოდისპურის წიგნზე; კაცისთავს – თითო მარჩილი ფ უ შ |¹⁶ ტ უ ქ უ ს სამოურაოზე; ოცი მარჩილი – საბალახეზე, კიდევ თასილდარისთავს |¹⁷ -თუითო მარჩილი: ზარაბხანის წიგნზე – ოცი მარჩილი.

ვინც იჯარაღარი იყოს, |¹⁸ თუმნისთავს ერთს შაურს აიღებდე, გ ი - ლ ა ნ ი ს იასალდარიდამე – ხუთი მარ|¹⁹ჩილი. ვისაც ანგარიში გამოართვან და მუფასა დაუნერონ, თუმნისთავს – თუით|²⁰ო ფული საურის თასილდარზე; რაც მეასურეს ერგო, თუმნისთავს |²¹ – თუითო აბაზი. ეს ამგუარად გაგუიჩენია და გაგუირიგებია და წყალობად გუიბოდ|²²ებია, უნაკლულად აიღებდეთ.

უზედაესთა მოგახსენებთ და უქუედაესთა გიბ(რძანე)|²³ბთ, კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, თქუენცა ას|²⁴რე გაუთავეთ, ნურაოდეს ნუ შეუშლით და ნუ შეეცილებით თუინიერ თ|²⁵ანადგომისა და შენეენისაგან კიდე.

უზედაესთა მოგახსენებთ და უქუედაეს|²⁶თა გიბ(რძანე)ბთ, ვისაც ჩუენგან წყალობა დაგემართოს, რარიგადაც ამ ჩუენს ნაბ|²⁷ძანებში ენეროს, ნურა კაცი სარგოს ნუ დაუჭერთ და ნურც დააკლებთ.

|²⁸ დაინერა ბძანება წიგნი და სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკვ, მკათათვესა ბ, ჴელითა ჩუენის |²⁹ სალაროს მუშრიფის, გორელის ფ ი - რ ა ლ ი ს ი თ ა .

საბუთის ბოლოს როსტომ მეფის მსხლისებრი ფორმის ბეჭედი ქართული ლეგენდით: ქ. ყანის ფევა მტუერი რ ო ს ტ ო მ მეფე ვამტკიცებ.

მინანერი საბუთის verso-ზე: მეფის რ ო ს ტ ო მ ი ს ა გ ა ნ მორდლობის სიგელი გ ო რ ჯ ა ს პ ი მდივნის წიგნებისა.

სპარსული ტექსტი:

1636 წ. 14 ივლისი – 12 ივლისი

الله لا آلا هو الحى القيوم

حكم عالی شد آنکه بنا بر راستی و درستی و نمک بحلالی و نیکوخدمتی رفعت پناه اعتمادی منوچهر بیگ تومان شویلی عیسوی الاصل منصب مهرداری و دوات داری را بمشار الیه مفوض و منوط داشتیم مقرر است که و کلاه عالی جمع اسناد و شرطنامچه و عرایض و بروات و غیر هم را بمومی الیه سپارند که او بمهر و نشان عالی رساند و او را در بین منصب عالی مستقل و مستحکم دانسته احدی بهیچ وجه من الوجوه دخل در مهمات مهرداری و دوات داری ننماید و دانسته رسوم او را بتفصیل ذیل مقرر داشته ایم | حکم دیه حکم ترخانی مواجب از برات و غیره | خانه رعیت نوکر تومان | یک قروش دو مارچیل نیم مارچیل پنجاه دینار | انعام تحصیلدار وجوه چوپانگی اویماقات | تومانی دوازده هزار دینار |

دویست دینار |

تحصیلدار کوندز پوری داروغگی پشتکوه تحصیلدار سابالاخی گرجستان | هر تحصیلداری یک قروش دوازده هزار دین تحصیلداری یک قروش |

مفاصا

تومانی پنج دینار

تحصیلدار علف خوار [و] آبخور گوسفند تحصیلدار وجوه ساری گرجستان |
ده راس تحصیلداران از باج رسوم خود |

حکم داروغگی

ده خانه سه مارچیل

حکم همه ساله شرط نامچه ضرابی اجاره قپان و قصابخانه تحصیل همه ساله گیلان |
تومانی صد دینار دوازده هزار دینار [تو]مانی یک شاهی سه هزار دینار |
حسب الامر مقرر شد که از اجاره ضرابخانه هم تومانی یک شاهی بدهند کلی تحصیلداران و ارباب
موجب و انعام و غیره بطریقیکه مقرر شده رسوم | مهرداری را بمنوچهر بیگ مهردار | رسانیده تخلف
نورزند و در عهده شناسند | بتاریخ بیست و یکم شهر صفر ختم بالخیر و الظفر سنه ۱۰۴۸
هو

... | در وجه رسوم... منوچهر بیگ ... | موقوف ندارند و هر ساله حکم مجدد نطلبند

ის (ლმერთი)

არა არს ღმერთი გარდა ალაჰისა, უკვდავისა, უცვალებელისა!

- გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზედ, რომ ნამდვილი ქრისტიანის, სანდო [და] მაღალხარისხოვანი მ ა ნ უ ჩ ა რ - ბ ე გ თ უ მ ა ნ ი შ ვ ი -
- 5 ლ ი ს სიმართლის, პატიოსნების, ერთგულებისა და კეთილი სამსახურის გამო, ჩვენ ვუბოძეთ და ჩავაბარეთ აღნიშნულ [პირს] ბეჭდის შემნახავის და დავთარდარის თანამდებობა. დადგენილია, რომ მაღალი ვეჭილები გადასცემენ [მას] ყველა საბუთს, პირობის წიგნებსა და არზებს, ბარათებს და სხვას, რათა მან წარმოადგინოს ისინი მაღალი ბეჭდის და ნიშნის და-
- 10 სასამელად და, ცნობენ რა მას ამ თანამდებობაზე სრულუფლებიანად და დამტკიცებულად, არავინ ჩაერიოს ბეჭდის შემნახვისა და დავთარდარობის საქმეში. მისი სარგო ქვემოთ მოტანილი წესით დაგვიმტკიცებია: სოფლის ოქმისთვის [უნდა აიღოს] – ერთი ყურუში, სითარხნის ოქმისთვის: გლეხების – ორი მარჩილი, ნოქრების – ნახევარი მარჩილი, ბარათებით და სხვ.
- 15 [ასალები] ჯამაგირისთვის – თუმნიდან ორასი დინარი. თათრის ელის ჩობან-ბეგისაგან შემოსულ თანხებზე – თორმეტი ათასი დინარი, კოდის-პურის თაჰსილდარისგან – ერთი ყურუში თითოეულ თაჰსილდარზე, ფოშთექუჰის სატარულოზე – თორმეტი ათასი დინარი, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს საბალახოზე – ერთი ყურუში, მუფასაზე – თუმნიდან ხუთი დინარი, ცხვრის
- 20 საბალახოს და დარწყულების თაჰსილდარისაგან – ათი სული ცხვარი. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს საურის ფულის თაჰსილდარი ... თაჰსილდარები თავის სარგოს (რუსუმის) ბაჟიდან – თუმნიდან ორასი დინარი. ტარულობის ოქმი: ათ სახლზე – სამი მარჩილი. ჰამასალაზე – თუმნიდან ასი დინარი. ზარაბის პირობის წიგნზე – თორმეტი ათასი დინარი. ყაფანი და სასაკლაო
- 25 – თუმნიდან ... შაური. გ ი ლ ა ნ ი ს ჰამასალას თაჰსილდარი – სამი ათასი დინარი. ყველა გადასახადის ამკრეფნი და ბარათების მქონენი, ჯამაგირის და ინამის მიმღებნი და სხვანი დადგენილი წესით მისცენ ბეჭდის შემნახა-

ვის სარგოს მ ა ნ უ ჩ ა რ - ბ ე გ მორდარს, წინააღმდეგობას ნუ გასწევინ და თავის მოვალეობად ცნონ [ამ ბრძანების შესრულება]. [საქმის] ბედ-ნიერად და გამარჯვებით დასრულების – 1048 წლის 21 საფარის თვე.

... სარგოს შესახებ ... მანუჩარ-ბეგს... ნუ შეუჩერებენ და ყოველ წელს ახალ ბრძანებას ნუ მოითხოვენ.

ოთხი მცირე ზომის სპარსული ბეჭედი დასმულია ქართულ ტექსტზე: 1. ოთხკუთხა, წარწერით: خاك قدم على منوچهر – „აღის ფეხთა მტვერი მანუჩარი“. 2. ოვალური ბეჭედი, წარწერით „عليقولى“. ქვემოთ აქვს მინანერი: ثبت شد – დამტკიცდა, 3. ოთხკუთხა ბეჭედი: ქვემოთ სარეგისტრაციო აღნიშვნით بنظر سائر – „განხილულია“ და 4. ოვალური ბეჭედი. სპარსული ტექსტის მარჯვენა ზედა კიდეზე – როსტომის სპარსული ბეჭედი, მის ქვემოთ – სპარსული სარეგისტრაციო ბეჭედი გაურკვეველი წარწერით.

იხ. კომენტარი ხეც, Ad-972-თან

83

1638 წ. 28 აბვისტო. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ბექან საბინაშვილისადმი

პ ი რ ი : სეა, 1450-30/63, გადაწერილი დედნიდან რუსული მმართველობის დაწესებულების პირების დაგთარში. საბუთის პირზე მიწერილია ნას-თალიყის ხელით გადაწერილი სპარსული ტექსტი შვიდ სტრიქონად.

საბუთის თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტკვ (326) მარიამობისთვის კზ (27), რაც უდრის 1638 წლის 27 აგვისტოს.

საბუთის და მ წ ე რ ი : მდივანუხუცესი შადვა მარტიროზიშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა : ფუთურიძე, 1955, გვ. 146-148.

[ქ.] ნებითა და შენ[ევნითა ლ(მრ)თისათა, ჩვენ, მეფეთ]-მეფემან პატრონმან როსტომ, [და თანამეცხდრემან ჩუენმან, დედოფალთა დედოფალმან მ ა რ ი ა მ , ესე უკუნისამდის ჟამთა გასათავებელი, მტკიცე და შეუცვალებელი წყალობისა საჯილდაო წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერდგულთა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურთა ყმათა, ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ს ჩუენსა, ბ ე ჟ ა ნ ს , ძმასა თქვენსა ი ო თ ა მ ს და პ ა პ უ ნ ა ს ა , შვილთა და მომავალთა ყოველთავე სახლისა თქვენისათა.

მას ჟამსა, ოდეს ჩვენი ერთგული და ნამსახური ყმა, ა ბ ა შ ი ძ ე , კურთხეული ბატონი ლ ო ნ ე ნ ა , ლალატად მისმავე ძმამ, პ ა ა ტ ა მ მოაკულებინა, ჩვენ დიდად ვინყინეთ და ვითაკილეთ, რომე ჩვენს საბრძანებელსა და სახელმწიფოში სხვის ქვეყნიდამ ამრიგი საქმე გუკადრეს. ამ საქმეზედა ჩვენი სარდარი ზ ე მ ო ქ ა რ თ ლ ი ს ა , ა მ ი ლ ა ხ ო რ ი

პატრონი იოთამ, გაუზახეთ და თავის სასარდროს გარდაის, სხვა ჩვენი ჯარი სომხით - საბარათი შვილო საგანაც გავატანეთ პაქაქას მძულისა სახლისა კარისა და ცოლ-შვილის დასაქერლად და ასაოხრებლად.

5 მიუხდეს და დაქარბიეს და ააოხრეს პაატას მამული, იმათ შე[ე] ტყო[თ], ჩხეიძე ბანანა და აბაშიძე ბეჟან დახდომოდეს და ჩვენს ჯარს შემობმოდეს. თავად ლ(მერ)თის ბრძანებითა და მერმე ჩვენის დოვლათითა თქვენ შეყროდი და ორთავეზედა გაგმარჯუებოდა. ნაცქაქა დნი და სახელოვანი კაცნი ყოფილიყუნეს და დიდს განსაცდელშია ჩაე-
10 გდე. ბრძანებითა ლ(მრ)თისათა, ორთავე[ს] მორეოდი, ჩხეიძის ბანანასათვის თავი მოგეკუეთა და აბაშიძე ბეჟან, მხარშეკრული, მათის თავითა და ცხენითა და იარაღითა ჩუენს წინ მოიღე.

ვითაცა ამა ორთა სახელოანთა თავადთა ზედა სახელოვნად და ყოვლის კაცისაგან ნამეტნავად შეგინყალეთ, რისაც მამულისა მქონებელნი
15 თქვენ, სამნი ძმანი იყვნეთ ანუ მთასა, ანუ ბარსა, ყოველივე თქვენი ყმა და მამული გითარხნეთ. და გითავსუფლეთ არაფერი საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოვებოდეს-რა: არა საბალახე, არა კოდისპური, არა ნახირისთავი და არა პირისთავი - ყოვლის ჩვენის სათხოვარისა და გამო-
საღებისაგან თქვენი მამული გვითარხნებია და გვითავსუფლებია.

20 ანე, გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და კარითა ჩვენითა წარვლენილნო ყოელნო მოსაქმენო, ვინგინდა-ვინ იყუნეთ და ანუ დღეის ნაღმა ვინგინდა-ვინ იქნებოდეთ, მერმე ბრძანება და ნიშანი ესე ჩუენი თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ, რარიგაცა ამა ჩვენგან ნანყალობევსა სი-
25 გელსქაქა შიგან ენეროს. ნურც არას თქვენ შეუშლით, თვინიერ თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე.

დაინერა ნიშანი და ბ(ძანე)ბა ესე ჩვენი ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკვ, მარიამობის თვეს კზ, ხელითა კარისა ჩუენისა მდივანუხუცვისისა, - მარტირო-
ზიშვილის ავთანდილისითა, დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხოს და წმიდამა ლ(მრ)თისმშობელმა მარიამქმ.

დედანს ესვა როსტომ მეფის ბეჭედი.

სპარსული ტექსტი:

1638 წ. 12 აგვისტო - 9 სექტემბერი

[حكم عالی شد آنکه] بنابر تواجہ در بارہ بیجن بیگ علمدار سگنہ شولی و یوتم و بابونہ برادران او را کہ چون مرحوم قغانہ بیگ را برادرزادہ خود از باشی اچوق آمدہ بقتل رسانیدہ و اینجانب نیز رفعت پناہ یوتم بیگ امیلاخور را با جمعی پیادہ بہ باشی اچوق فرستادیم دو نفر تاواد خان باشی اچوق بہ ایشان راست آمدہ در آنجا بیجن بیگ مشارالیہ مردنگی را نمودہ یکی را بقتل رسانیدہ و یکی را گرفتہ بحضور آوردہ بنبر [این] دہات و رعایا اورا بعلت مالوجہات و نخریس طاوی و بریسطاوی و کودوسپوری سوای ایساق کش کہ ہمیشہ در یساق... در خدمت باشند ترخان [و] مرفوق القلم نمودیم ضابطان و ملکان و کدخدایان مشارالیہ را بموجب شرح فوق مستحکم دانستہ مزاحم نشوند چون نشان بمہر عالی رسد اعتماد نمایند تحریرا فی شہر ربیع الثانی سنہ ۱۰۴۸

[გამოვიდა მაღალი ბრძანება] მასზედ, რომ ალამდარ ბეჟან-ბეგს აგინაშვილის და მისი ძმების – იოთამისა და ბაბუნასადმი ყურადღების გამო, როცა განსვენებული ღონენა-ბეგის მისმა ძმისწულმა ბაში-აჩუკიდან (იმერეთი) მოსულმა მოკლა და ჩვენ, იოთამ-ბეგ ამილახვარი ქვეითი რაზმით ბაში-აჩუკში გავაგზავნეთ, [რათა] ორი თავადი (და) ბაში-აჩუკის ხანი მათ შეხვედროდათ. იქ ხსენებულ ბეჟან-ბეგს მამაცობა გამოუჩენია – ერთი მოკლა და ერთიც დაჭრა (და) ჩვენთან მოიყვანა. ამიტომ მათი (ბეჟან-ბეგისა და მისი ძმების) სოფლები და გლეხები გვითარხნებია და მალუჯათის, ჩობან-ბეგის, ნახირისათვის, პირისთავის და კოდისპური გადახდისადან გაგვითავისულებია, გარდა ლაშქრობისა (იასაყექისა), რათა ლაშქრობაში მუდამ ... მსახურობდნენ. გამგებლნი, მელიქები და ქედხოდები ზემოთხსენებული განმარტების საფუძველზე დამტკიცებულად ცნობენ რა ხსენებულ [პირებს], ნუ შეაწუხებენ [მათ]. როცა ეს ბრძანება მაღალი ბეჭდით აღიჭურვება, დაემორჩილონ (მას).

დაინწერა 1048 წლის რაბი ას-სანის (II) თვეს.

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმული ყოფილა როსტომ მეფის ოთხკუთხა ბეჭედი.

პირის გადამწერის მინანერი: من میرزا محمد اغراف ۱۴ کلاس مطبق بالا نوشتم
 მე-14 კლასის მირზა ალაღაროვმა დედნის შესატყვისად დაწერე“.

კომენტარი:

საბუთში საუბარია ნარატიული წყაროებისთვის უცნობ ბრძოლაზე. ცხადი ხდება, რომ როსტომს იმერეთის სამეფოშიც ჰყოლია მხარდამჭერები, მიუხედავად იმისა, რომ იმერეთის მეფე დაპირისპირებული იყო როსტომთან და თეიმურაზ I-თან ერთად ებრძოდა როსტომისა და დადიანის კოალიციას.

აბაშიძეები, მოცემულ მომენტში იმერეთის მეფეს უჭერდნენ მხარს ჩხეიძეებთან ერთად. ცნობილია, რომ ჩხეიძეებმა მონაწილეობაც მიიღეს როსტომის წინააღმდეგ მოწყობილ ნოდარ ციციშვილის აჯანყებაში. მათ თავინთი კანდიდატურა ჰყავდათ და ტახტზე იმერეთის მეფის ვაჟის – მამუკა ბატონიშვილის აყვანას აპირებდნენ. აბაშიძეებიდან მხოლოდ ღონენა დამდგარა როსტომის მხარეს. ღონენა ქართლში ჩანს გახიზნული, რადგან თავისი ძმა პაატა, სწორედ როსტომის საბრძანებელში იჭრება და იქ კლავს ღონენას. ამას როსტომის ლაშქრობა მოჰყვა იმერეთში, სადაც აბაშიძეებთან ერთად ჩხეიძეებიც უპირისპირდებიან როსტომის ლაშქარს (სოსელია, 1973: 41, 169).

1638 წ. 11 ოქტომბერი. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ლევან მაჩაბლისადმი

პირი: სეა, 1450-26/218, გადაწერილი დედნიდან რუსული მმართველობის დაწესებულებაში.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტკვ (326) ღვინობისთვის ია (11), რაც უდრის 1638 წლის 11 ნოემბერს.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუშანიშვილი.

[ქ.] ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა ჩვენ, მეფეთ-მეფემან პატრონ-მან როსტომ, ესე წყალობისა ნიგნი და ნიშანი შეგ[ინყალეთ] და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერდგულთა და წესისაებრივ მრავალფერად ნამსახურსა ყმასა, მაჩაბელსა ლევანს, შვილთა და მომავალთა სახლისა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდგით კარსა და სვერს პაპელიშვილის წყალობას დაგვეაჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და შეგინყალეთ და გიბოძეთ სვერელი მისის სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა. ყოვლითურ უნაკლულო თქვენთვის და თქვენთა შვილთათვის გვიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მან) ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეჭალოქსა ჩუენგან და არა სხვათა მეპატრონეთაგან.

ანე, გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, მდივან{ნ}ო და სხვანო {მოსა}ქმენო, თქვენცა ასრე გაუთავეთ და ნურაოდეს მოუშლით და შეეცვილებით თუნიერ შენევნისა და თანადგომისან კიდე.

დაინერა ბძანება და ნიშანი ესე ქ(რორონი)კ(ონ)ს ტკვ, ღვინობისთვისა ია, ხელითა კარისა ჩვენისა, მდივან-მწიგნობრისა, თუშანიშვილის ბირთველისათა.

დედანს ჰქონია ხევეული ხელრთვა: როსტომ და სამი ბეჭედი.

1639 წლის 28 აგვისტო. სვიმონ მეფის წყალობის წიგნი ძალაქის მოურავსა და მერიძივითუხუცესს, მანუჩარისადმი

პირი: სეა, 1450-53/81

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტკზ (327), მარიამობისთვისა ოცდარვასა (28), რაც უდრის 1639 წლის 28 აგვისტოს.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი - ბირთველ თუშანიშვილი.

[ქ. ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან, ჳელ-მნიფემან, პატრონმან როსტომ, და თანამეცხედრემან ჩუენმან,] პატრონმან მარიამ, ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი სამკუიდრო და საბოლოო წიგნი და სიგელი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩუენთა ერდგულთა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა, ქალაქის მოურავსა და ჩვენსა მერიქიფეთუხუცესს, მანუჩარს, და შვილთა თქუენტა: ბახუტასა, პაატას, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, როდეს მოგვიდევით კარსა და მამულის წყალობას გვიანჯენით, ჩუენცა ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგინყალეთ და გიბოძეთ ფლავს ბატონის, ბიძის ჩვენის ვახტანგის კერძი მამული, გლეხი თათარაშვილი, თავხელიძე და ზუარი მისის მეზურითა, რისაც მქონებელი მეზუარე ყოფილყოს ყოვლითურ, ესენი მართლის სამართლიანის საქმითა და სამძღურითა, მითითა, ბარითა, წყლითა და წისქვილითა, ველითა და ვენახითა, სახნავითა და უხნავითა, შენითა და ოხერითა, საძებრითა და უძებრითა, შესავლითა და გასავლითა ყოვლითურ უკლებრივ თქვენთვის და თქვენთა შვილთათვის გვიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მან) ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა სხუათა მეპატრონეთაგან.

ანე, გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანჩხო და სხუანო მოსაქმენო, დღეს ვინ გინდა-ვინ იყუნეთ, ანუ დღეის წაღმა იქნებოდეთ, თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნურას შეუშლით და შექცვილებით, თვინიერ შენევნისა და თანადგომისაგან კიდე.

დაინერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკზ, მარიამობის თუეს ოცდარვასა, ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის - თუმანიშვილის ბირთუელისათა.

დედანს ესვაროსტომ მეფის ბეჭედი.

1639. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა დეპანოზ [იასე] ზუმბულიძისადმი

პირი: სეა, 1450-31/141, გადაწერილი რუსული მმართველობის დაწესებულების პირების დავარში.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტკზ (327), რაც უდრის 1639 წელს.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

[ქ.] ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, მეფეთ მეფემან, პატრონმან როსტომ, ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი

ნიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩვენთა ერთგულთა და ნამსახურთა ყმათა: ზ უ მ ბ უ ლ ი ძ ე ს დეკანოზს და შენთა შვილთა: ხო ს ი ტ ა ს , თ ა მ ა ზ ი ს , რ ა მ ა ზ ი ს შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე.

5 მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და მამულის წყალობას გვიაჯენით, ვითაც ს ა ფ უ რ ც ლ ე ს მამულები გამოგერთო, იმისად სამუქფოდ შეგინყალეთ და გიბოძეთ ძ ე გ უ ს მ ა ი თ უ რ ა მისის მამულითა და ს ა დ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ უ კ ა . ესენი, რისაც მამულის მქონებელი ყოფილიყუნენ, ყოვლითურ მისის სამართლიანის საქმითა და სამძღური-
10 თა: მითითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, შესავალ-გასავლითა, სახლ-მარნითა, და უხმართა. სრულად და უნაკლულოდ თქუენთვის და თქუენთა შვილთათვის გვიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმ(ა)ნ ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს.

15 ანე, მოგახსენებთ ქ ა რ თ ლ ი ს ა კათალიკოზნო და კარისა ჩუენისა ვეკილ-ვეზირნო, თქვენცა ასრე გაუთავეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შექცევილებით თვინიერ შეწვენისა და თანადგომისაგან კიდე.

დაიწერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკზ, ჳელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრის, თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ ვ ე ლ ი ს ი თ ა .

დედანს ჰქონიარ ო ს ტ ო მ მეფის და კათალიკოსის ხელრთვები, აგრეთვე დასმული ჰქონდა როსტომ მეფის ბეჭედი.

1639 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა წალაგანხოსრო ბარათაშვილისაღმი

პ ი რ ი : სეა, 1450-2/139, გადაწერილი რუსული მმართველობის დაწესებულების პირების დავთარში.

საბუთის თ ა რ ი ღ ი : ქორონიკონი ტკზ (327), რაც უდრის 1639 წელს.

საბუთის და მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი მერაბ ყორდანაშვილი.

[ქ.]ნებითა და შეწვენითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, მეფეთ-მეფემან, პატრონ-
მან როსტომ, და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთა-დედოფალ-
მან, პატრონმან მ ა რ ი ა მ , ესე წყალობისა წიგნი და სიგელი შეგინყალეთ
და გიბოძეთ თქუენ, ჩვენსა ერდგულთა და მრავალფერად ერდგულობით
5 და თავ{და}დებით ნამსახურთა ყმათა: კარისა ჩვენისა ბოქაულთუხუ-
ცეს{ს}, ბ ა რ ა თ ა შ უ ი ლ ს ფ ა ლ ა ვ ა ნ ხ ო ს რ ო ს და ძმისწულთა
თქვენთა, ზ ა { ა } ლ ს და შვილთა თქვენთა: თ ა ყ ა ს ა , ზ უ რ ა ბ ა ს და
დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ს და ჩამომავალთა სახლისა თქუენისათა, ყოველთავე.

10 მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და თქვენსა მამისა და პაპის
სამკვიდროს მამულის წყალობას დაგვიაჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და

მოხსენებათქვენიდამოკითხულივექენითს ო მ ხ ი თ ი ს ვ ა ნ ქ ს , რის{ა} ც კერძის მამულის მქონებელი თქუენის სახლისკაცნი ყოფილიყუნეს, თქუენ უცხოფერ ჩუენზედ ბევრფერად ნამსახურნი და ვალდებულნი იყვენით, ჩვენც სამსახურის სამუქფოდ შეგინყალეთ და გიბოიძეთ თქვენი კერძი ვ ა ნ ქ ი გლეხი კუ{ა}მლი სამი, საკუამლო ერთი.

5

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმ(ა)ნ ჩუენსა ერდგულსა სამსახურსა შიგან, არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არც შემდგომთა სხუათა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

ანე, მოგახსენებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, მდივან{ნ}ო და სხვანო მოსაქმენო, დღეს გინგინდა-ვინ იყოთ და ანუ დღეის ნალმა გინგინდა-ვინ იქნებოდეთ, მერმე, ესე ჩვენგან ბოძებული მამულის სიგელი თქვენცა ასრე დაუმკუიდრეთ და დაუმტკიცეთ, რომე რაგვართაც ამა ჩუენგან ბოძებულს ფარვან{ა}ში ენეროს. და ნურაოდეს ნურას მოუშლით თუნიერ შეცილებით თანადგომისა და შენევისაგან კიდე.

10

დაინერა ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკზ, ხელითა მდივან-მნიგნობრი-სა, ყ ო რ ღ ა ნ ა შ უ ი ლ ი ს მ ე რ ა ბ ი ს ა თ ა .

15

დედანს ჰქონია ხვეული ხელრთვები: რ ო ს ტ ო მ , მ ა რ ი ა მ

88

**1639 წ. შუაქრულაბის წიბნი როსტომ მეფისა
იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და ქრისტეს
საფლავისაღვი**

პ ი რ ი : სეა, 1450-51/179, გადაწერილი დედნიდან რუსული მმართველობის დაწესებულების პირების დავთარში.

საბუთის თ ა რ ი ღ ი : ქორონიკონი ტკზ (327), რაც უდრის 1639 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ავთანდილ მარტიროზიშვილი.

[ქ.] მეოხებითა ყოვლად უხრწნელისა და უფროსად კურთხეულისა დედოფლისა ჩვენისა ღ(მრ)თისმშობელისა, მარადის ქალწულისა მ ა რ ი ა მ ი ს ა , ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა პატიოსნისა ჯვარი-წმიდისა, წინასწარმეტყუელისა და წინამორბედისა, ნათლისმცემლისა ი ო ვ ა ნ ე ს ი თ ა , წმინდათა თავთა მოციქულთა: პ ე ტ რ ე ს ი თ ა და პ ა ვ ლ ე ს ი თ ა , წმიდათა ათორმეტთა მოციქულთა, რომელნი სათნო ეყუნეს უფალსა ჩუენსა ი ე ს ო ქ რ ი ს ტ ე ს და კუალადცა სათნოდ-ყოფად არიან. ამათითა მეოხებითა ჩუენ, მეფეთ მეფემან, პატრონმან რ ო ს ტ ო მ , და თანამემცხედრემან ჩუენმან, დედოფალთა [დედოფალმან], პატრონმა{ნ} მ ა რ ი ა მ , ესე უკუნისამდის ჟამთა გასათავებელი შემონირულობისა ქა- 10 რტა და სიგელი მოგართვით და მოგახსენეთ თქვენ, ჩვენსა სასოებასა და სიქადულსა ქ რ ი ს ტ ე ს ა საფლავსა და მონასტერსა ჯვრისასა.

მას ჟამსა, ოდეს ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ, გკადრეთ და მოგახსენეთ და შემოგწირეთ გ ო რ ს ჩვენი ვაჭარი – დ ო ნ დ ა რ ა ს შ - ვ ი ლ ი ფ ი ბ უ ა ს შვილები: დ ო ნ დ ა რ ა და ფ ე რ ო ზ ა მათის მამუ-
ლითა, რისაც მქონებელნი დღეს იყვნენ. ყოვლითურთ სამკვიდროთ და
5 საბოლოო{ო}დ შემოგვინირავს.

ასრე და ამა პირსა ზედა, რომე საჩუენო სათხოარი და გამოსალები არ{ა} ეთხოებოდეს-რა: არა მალი, არა ბაჟი და სალამათი, არა სატარულო, არა ულაყი, არა ტიკი და ტომარა, არა ღალა, არა საბალახე, არა ერობო, არა სეფეობა, არა სამასპინძლო; აგრევე ბაჟი და სალამათი, არა ალავს ჩვენ-
10 სა საბატონოში არა ეთხოებოდეს – არა ქ ა ლ ა ქ ს ა , არა გ ო რ ს , არა კ რ ც ხ ი ლ ვ ა ნ ა ს , არა ს უ რ ა მ ს , არა ა ლ ს , არა ა ხ ა ლ დ ა ბ ა ს . ამრიგად ხელშეუალად გვითარხნებია და შემოგვინირავს.

შეინირე შენ, საშინელო და ყოვლად უძლეველო პატიოსანო ქ რ ი ს - ტ ე ს ა საფლაო და მონასტერო ჯ ვ რ ი ს ა , კნინი ესე შესანიირავი, და მეოხ-გუეყავ დღესა მას დიდსა განკითხვისასა.

ამა ვაჭართანა სხვასა ხელი არავის ჰქონდეს, ვინც მ ე ი რ უ ს ა { ლ } ი მ ე ბერი მოვიდოდეს, რაც ხელით გამოუვიდოდეს, იმას მსახურებდეს. და ფ ი ბ უ ა ს სიგელში რომ კუბოსა ლ(მრ)თისმშობელსა წინ მისატანი ორი ლიტრა სანთელი, ერთი ჩარეჟი საკმელი სწერია, ამის ნახევარს ესენი
20 გამოიღებდენ და სხვა არა ეთხოებოდეს-რა.

ანე, ვინცა და რამანცა გვარმა კაცმა: ანუ მეფემა, ანუ დედოფალმა, ანუ თავადმა, ანუ აზნაურმა, ანუ დიდმა ანუ მცირემა, რისაც ჟამთა გამოც-
ულილობისას ხელყოს შლად და ქცევად ამისად, შერისხდი შენ, საშინელო მეუფეო საფლაო ქ რ ი ს ტ ე ს ა ო , და მონასტერო ჯ ვ ა რ ი ს ა . ხოლო
25 დამამტკიცებელნი ლ(მერ)თ(მა)ნ და წმინდამა{ნ} ლ(მრ)თისმშობელმან აკ-ურთხნეს.

დაინერა მტკიცე ესე შეწირულობისა სიგელი ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკზ, ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრისა, მა რ ტ ი რ ო ზ ი ს ა შ ვ ი - ლ ი ს ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი ს ა თ ა .

დედანს ჰქონია ხვეული ხელრთვა: რ ო ს ტ ო მ

კომენტარი:

როსტომ მეფე გორელ ვაჭარ ფიბუა დონდარას შვილს მისი მემკვიდრეობითურთ სწირავს ქრისტეს საფლავსა და იერუსალიმის ჯვრის მონასტერს, სანაცვლოდ ათავისუფლებს (ათარხნებს) სამეფო გადასახადებისაგან. დონდარას შვილები XVIII საუკუნეშიც რჩებოდნენ იერუსალიმისთვის შეწირულ ყმებად, რასაც მოწმობს აღნიშნული საბუთის 1753 წლის განახლებული მტკიცებულება დედოფალ ანა-ხან-უმისა (ხუციშვილი, 2006: 43). გარდა ამ სიგელისა, როგორც ტექსტშია აღნიშნული, არსებულა საბუთის მეორე დედანი, რომელიც უშუალოდ ფიბუასათვის უბოძებია როსტომს.

1639 წ. 24 აგვისტო. წყალოვის ბანახლები წიგნი
როსტომ მეფისა იოთამ კოჩინთელისადმი

პირი, სეა, 1450-26/275, გადაწერილი XIX საუკუნეში. შეტანილია რუსული მმართველობის სარეგისტრაციო დავთარში 1821 წელს 10 თებერვალს, ნომრით №248.

საბუთს უზის თარიღი: ქორნიკონი ტკზ (327), მარიამობითვის 24, რაც გვაძლევს 1639 წლის 24 აგვისტოს.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი მერაბ ყორღანაშვილი.

შენვენითა ღ(მრ)თი[სათა, ჩუენ, მეფემა]ნ როსტომ, და თანამეცხედრემა[ნ] ჩვენმა დედოფალ[მა] [პატრონმან მარიამ, ესე ამიერ უკუნისამდე* [შეუცვალელებელი] და საბოლოოთ გასათავებელი შეუვალნი წყალობის წიგნი და სიგელი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, [ჩვენსა ერ] დგულსა და მრავალფერად ერდგულობით და თავდადებით ნამსახურსა ყმასა, კოჩინთელის მამ უკას შვილს იოთამს, რევაზს და შვილთა თქვენთა იესეს და შვილისშვილთა, ჩამომავალთა [თქვენისათა – ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და [თქვენის მამისა და პაპის სამკვიდროს მამულს გვიჯენით, და ჩვენცა [ვის]მინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და მოკითხული ვქენით: ძველითგან [ჩ]უენთა მამა-პაპათა და ჩამომავალთა ხელმწიფე[თაგან] ბიძის ჩვენის ბედნიერს მეფის სვიმონისაგან და ჩვენის ბიძაშვილის მეფის ლუარსაბისგან სიგლე[ბი] გაქონდათ. და სიგლები გინახეთ და გაგიახლეთ. და გიბოძეთ სამართლ[იან]ი თქვენის მამისა და პაპის და თქვენის ამოვარდნილის ბიძაშვილის გიორგის კერძი მამული, რაგვარადაც ძველს სიგლებში გენერა, ანუ მთასა და ანუ ბარსა; რეხას თქვენი სამკუიდრო მამული გლეხებითა და ზურითა; და მეშკურას (?) სასახლითა, ხოდაბუნებითა. აგრევე – [ირტოზას] თქვენი და თქვენის ბიძაშვილის, ამოვარდნილის გიორგის კერძი [მამული, რი]ს[ა]ცა მქონებელნი ყოფილიყოთ, გლეხითა და [ა]ზ[ნ]ა[ურით]; აგრევე – ალევს, [რი]ს[ა]ცა მქონებელნი ყოფილიყოთ; აგრევე – ჭურთის ჯევს, რისაც მამული[ს] მქონებელნი ყოფილიყვნენ. უკლებლად: წყლითა, ნისქვილითა, ვე[ლ]ითადა ვენახითა, სახნავითა და უხნავითა, შენითა და ოხრითა, ნასყიდითა და [უ]სყიდითა, ს[ა]ძებრითა და უძებრითა, მითითა და ბარითა, ტყითა და ს[ა]ნადიროთა, [ვიდ]რე მითითა ბარამდე, უნ[ა]კლულოთ, ყოვლის კაცისგან უცილებლათ, უდრო[ო]თ და საბოლოოთ.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შიგან, აროდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და [არ]ცა შემდგომად სხვათა მეფეთა და მეპატრონეთაგან. და ვინ იცის, რომე თქვენისა და

*ამ ადგილზე სიტყვების ნაწილი ამოშლილია.

თქვენის ბიძაშვილის გ ი ო რ გ ი ს მამულის წიგნი აქ[უ]ს ვისმე, ანუ ამას წინანდელი და ანუ ამას უკანდელი, სიგლითა და [ამ]ით გაგვიცუდებია. მტკიცე და უცვალებელი სიგელი ოდენ ესე [არ]ს.

5 ანე, მოგახსენებთ კარის ჩვენის ვექილ-ვეზირნო და მდივანო და სხ{ვ} ანო მოსაქმენო, დღეს ვინგინდა-ვინ იყოთ, და ანუ დღეის წაღმა ვინგინდა-ვინ} იქნებოდეთ, მერმე ესე ჩვენგან ბოძებული მამულის სიგელი თქვენ {ა}სრე დაუმკვიდრეთ და დაუმტკიცეთ, რომე, რარიგადაცა ამა ჩვენ [ბოძებულს ფარვანაში ეწეროს, ნურაოდეს ნუ მოუშლით და შეცი-

10 ლებ]ით, თვინიერ თანადგომისა და შეწვევისაგან კიდე.
დაინერა ბძანება [ჩვე]ნი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტკზ, მარიამობის თვე-სა ოცდაოთხსა, ჴელითა [მდი]ვან-მწიგნობრის ყ ო რ ღ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს მ ე რ ა ბ ი ს ა თ ა .

დედანს ჰქონია როსტომ მეფის ბეჭედი.

გვიანდელი მინაწერები:

ასლთან თანასწორ არს, სოვეტნიკი თ(ავად)ი გ ა ბ რ ი ე ლ რ ა ტ ი ე ვ ი .
ნამდვილი წერილი მივიღე, აზნაური დ ა ვ ი თ კ ო რ ი ნ თ ე ლ ი .

სოვეტნიკი თ(ავად)ი რ ა ტ ი ე ვ ი .

90

1639 წ. ქალაქის საბაჟო გადასახადის წიგნი (ქანუწლაბა) როსტომ მეფისა

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Hd-1559; ყავისფერი ეტრავტი; ზომა: 29X20 სმ; შავი ფერის მეღანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი; საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. თხუთმეტსტრიქონიანი სპარსული ტექსტი, შექასთე-ნასთალყით შესრულებული, მოთავსებულია საბუთის verso-ზე.

საბუთის თ ა რ ი ღ ი : ქორონიკონი ტკზ (327), რაც გვაძლევს 1639 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანისშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა : ფუთურიძე, 1955: გვ. 148-151, N 66; დოლიძე, 1965: გვ. 216-217, №74; ბერძენიშვილი, 1962: გვ.11, №6.

ქ. ნებითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან ჴელმწიფემან პატრონ-მან |² რ ო ს ტ ო მ , ესე ყანუწლაბა და ციხის კარის ფულის საქმე ასრე |³ გავარიგეთ და გავარჩიეთ ბედნიერის ყ{ა}ქენის რაყამის საქმითა:

ვი|⁴თაც შ ა ჰ მ ი რ მინბაშის დროს, ცუდი-მადი კაცი, ვინც მოხუდე-ბოდა, |⁵ ყაფი[ს] ფულზედ უდიერს საქმეს იქმოდეს, და ნიადაგ მოქალაქე და |⁶ უცხო მგზავრი კაცი ირჯებოდა.

ან, ამისი ჴელმწიფის ბძანებით ა|⁷სრე გავარიგეთ: უნდა აიღებოდეს

ყაფი[ს] ფულად აბრეშუმის ს⁸აპალნეზედა შაური ერთი; ფართლის საპალნეზედ – ნახევარ შ⁹აური; ბამბის საპალნეზედ – ბისტი ერთი; საყათის საპალნეზედ – ფულ¹⁰ი ორი; თუთუნის საპალნეზედ – ნახევარ შაური; მარილის საპალნეზედ – ფული ერთი; ბრინჯის საპალნეზედ – ფული ერთი; ერბოსა |¹² და თაფლის საპალნეზედ – ოროლი ფული; ნალ-ლუსმრისა და |¹³ რკინის საპალნეზედ – ორი ფული; მატყლის საპალნეზედ – ერთი ფული; |¹⁴ თევზის საპალნეზედ – ერთი ბისტი. ვინც გასასყიდლად ცხუარი გამოა |¹⁵ ტაროს, ასზედ შაური ორი, თუ დიდმა პირმა ცხუარმან გაია |¹⁶ როს საძოვარზედა, ერთი ცხუარი აიყვანონ; და თუ ცოტამ პირმან |¹⁷ გაიაროს, ერთი ბატკანი აიყვანონ; და ყუელის საპალნეზედ აიღონ ფული |¹⁸ ერთი.

5
10

ეს ასრე გარიგდა და, რაც მინბაში ან დღეს იჯდეს ციხე |¹⁹ შია და ან ამას უკან სხუა მოვიდოდეს, ამ საქმეს ნურავინ გარდა |²⁰ ვა და ნურც მოშლიან.

ქ(ორონი)კ(ონ)სა ტკზ, ჴელითა კარისა ჩუენისა მდ |²¹ ივან-მნიგნობრის – თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ ვ ე ლ ი ს ა თ ა .

ხელრთვა ხვეულად: რ ო ს ტ ო მ

მინანერები, reqto:

სამინბაშის ბაჟის აღებისა.

რ ო ს ტ ო მ მეფის ყანუნლ[მ]ა ამა ციხის მინბაში ვინცა დაჯდება.

სპარსული ტექსტი:

1639 წ.

هو

عالی

حكم عالی شد آنکه چون در زمان حکام سابق گرجستان ملازمان حکام بعلت دروازه بانی بعضی اوقات چیزی از مترددین دروازه قلعه مبارکه تفلیس | میگرفته اند و چون حسب الحکم نواب جنت مکانی کیتی ستانی کوتوالی قلعه مبار که مذکور بعهدہ مرحوم آقا سهراب شده بود مغفرت و عفران پناه جنت آرامگاه | مغفوری بکرت خان مقرر بوده است که [آنجوی] را ملازمان حکام بعلت دروازه بانی قلعه مذکورہ از مترددین میگرفته اند نومران مستحفظ قلعه که محافظت دروازه | می نموده اند باز یافت نموده صرف روشنای دروزه میکرده باشند و باینجهت وجوه مذکور تا حال استمرار تمام یافته بعضی اوقات از نوکران زیادتی بر مترددین | واقع میشد و تجار و مترددین و عابریں و رعایا^۱ قصیه تفلیس و الکاء | گرجستان التماس دستور العمل درینباب نمودند که من بعد مستحفظان دروازه قلعه مزبورہ از آنقرار عملنموده زیادتی | ننمایند بنابراین از ابتدا^۲ سنه بیلان نیل دستور العمل وجوه مذکور بموجب ذیل قرار شده موکد بعلت نامه گشت که من بعد یک دینار و یک من بار زیاده بر آن داد و ستد |

ابریشم	اقمشه	نمک	تنباکو	پشم
روی	روی	روی	روی	پنجاه دینار
بیست و پنج دینار	پنج دینار	بیست و پنج دینار	پنج دینار	
سقط	عسل و روغن	گوسفند		
روی	روی	که بجهت فروختن آورند		
ده دینار	ده دینار	... صد دینار		

	...	كله گوسفند که ...
آهن و نعل و میخ	روی	بگزررد اگر کله تمام باشد
روی	بیست دینا	از هر کله یک رأس گوسفند
ده دینار		باز یافت نمایند و اگر کله تمام
		نبوده باشد یکرأس برده
	پنبه	پنیر
ماهی	روی	روی
روی	پنج دینار	پنج دینار
بیست دینار		

حکم عالی شد آنکه بنابر شفقت عالی در باره رفعت پناه سیاوش بیگ خزانه دارباشی| بموجبی که در ذیل بخط گرجی نوشته شده در عوض قریه مامخوت من اعمال سمخوت گرجستان که بتیول او مقرر بود و تغییر داده شده دو خانه وار رعیت مذکوره ذیل را| که یکی از قریه سام شولده براه ایلی و یکی از قریه بولنیسی سفلاء سمخت است از ابتدا|¹ سنه قوی نیل بتیول مومی ایله مقرر فرموده ارزانی داشتیم دو خانه وار رعیت| مذکور اورا تیولدار باستقلال خود دانسته سال بسال مالوجهات و حقوق دیوانی خود را| در وجه او رسانیده موقوف ندارند مستوفی سر کار عالی در دفتر ثبت نموده هر ساله حکم مجددا نطلب و چون بمهر عالی رسد اعتماد نماید تهریرا فی شهر جمادی الثانی سنه ۱۰۵۳

ის (ღმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ სიდიადის საფარველის, მოლარეთუხუცესის ს ი ა ვ უ შ - ბ ე გ ი ს ა დ მ ი მაღალი წყალობის [მიპყრობის] გამო, ჩვენ, ცხვრის წლის დასაწყისიდან, საქართველოს ს ო მ ხ ი თ ი ს სოფელ მ ა მ ხ უ ტ ი ს სანაცვლოდ, მას თიულად ვუბოძეთ და დავუმტკიცეთ ქვემოთხსენებული ორი კომლი გლეხი, რომელიც მას (სიავუშ-ბეგს) ჰქონდა და ჩამოერთვა. ერთი (კომლი) სოფელ ს ა მ შ ვ ი ლ დ ე შ ი ა და

ერთიც სომხთის სოფელ ქვემო ბოლნისში. ხსენებულმა
ორმა კომლმა გლეხმა ის (სიავეშ-ბეგი) თავის სრულუფლებიან თიულლ-
დარად უნდა ცნონ. მალუჯათი და სახელმწიფო გადასახადი მას უნდა გა-
დასცენ და არ უნდა დააბრკოლონ. მაღალი კარის მუსტოუფი [ამ ბრძანე-
ბას] ჩასწერს რა დავთარში, ყოველ წელს ახალ ბრძანებას ნუ მოითხოვს
და როცა მასზე დასმული იქნება მაღალი ბეჭედი — დაემორჩილონ მას.
დაინერა 1053 წ. ჯომადი ალ-სანის (II) თვეს.

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია როსტომ მეფის სპარსული ბე-
ჭედი. საბუთის verso-ზე მოთავსებულია ოვალური და ოთხკუთხა ფორმის
სამი სპარსული სარეგისტრაციო ბეჭედი: 1. ოვალური ბეჭდის წარწერით:
يا معين الضعفا — „ო, უძლურთა შემწევ“, 2. ოთხკუთხა ბეჭდის წარწერით:
۱۰۵۲ افوض امر الى الله — „მიმინდვია ჩემი საქმე ღვთისათვის. 1052“, მის ქვემოთ
მინანერი: بنظر سيدي — „განხილულია“ (წარდგენილ იქნა). 3. ...غلام شاس — „მონა
შაჰისა...“ ქვემოთ მიაწერი: قلمي شد — „დაინერა“.

133

1643 წელი. მეფე როსტომის წყალობის წიგნი ლოლმაზ ბობიბაშვილისადმი

პირი: სეა, 1450-7/27. რუსული მმართველობის პირების დავთარი.

თარიღი: ქორონიკონი ტლა (331), რაც უდრის 1643 წელს.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

[ქ.] ნებითა და შეწვევითა ღვთისათა, ჩვენ, მეფეთ-მეფემან, ხელმწიფე-
მან პატრონმან როსტომ, ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავე-
ბელი წყალობის წიგნი და ნიშანი შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა
ერთგულსა და წესისებრივ მრავალფერად თავდებობით ნამსახურთა ყმა-
სა, გოგიბაშვილს, კარისა ჩვენისა ყაფიჩბაშს დოლმაზას,
ძმასა შენსა ყორხმაზქას, ხოსროს, ბეჟანს, შვილთა და მო-
მავალთა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს ჩვენი წყალობა სოფელი ახოთა გქონდა, მოკ-
ითხული ვქენით და ბოლნისსიონთა ღვთისმშობლის შეწირული
ყოფილიყო. და ჩვენად სადღეგრძელოთ ის შენი ნაქონი ახოტა ისრევ
შევსწირეთ და იმასად სამუქბოდ შგინწყალეთ და გიბოძეთ სოფელი ზემო
წერაქი მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, შენითა და ოხერთა,
შესავლითა და გასავლითა. ყოვლითურთ თქვენთვის და თქვენთა შვილთ-
ათვის გვიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერთგულად სამსახურში
და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად სხვათა მეპა-
ტრონეთაგან.

ანე, გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექლ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, ვინცა ვინ იყვნეთ და ანუ დღეის წალმა იქნებოდეთ, თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შეეცილებით, თვინიერ შეწევნისა და თანადგომისაგან კიდე.

დაინერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტლა ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-მნიგნობრის თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ ვ ე ლ ი ს ი თ ა .

5

დედას დასმული ჰქონია როსტომ მეფის ბეჭედი.

134

1643 წ. 22 თებერვალი. მეფე როსტომის წყალობის წიგნი შარსაღან ბარათაშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი : სეა, 1448-5597; მოყვითალო სქელი ქაღალდი; 50,5X17 სმ.; მხედრული; შავი ფერის მეღანი; განკვეთილობის ნიშანი: ორი და სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: მოხეულია საბუთის კიდეები, დაზიანებულია განაკვეც ადგილებში, დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. საბუთი ორენოვანია, ქართულ-სპარსული. ექვსსტრიქონიანი სპარსული ტექსტი, დაწერილი შექასთე-ნასთალიყის ხელით, დაწერილია საბუთის recto-ს ზედა ნაწილში. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1820 წელს.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტლა (331), თებერვლის კბ (22), რაც გვაძლევს 1643 წლის 22 თებერვალს.

პ ი რ ი : 1450-2/151

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი : თაყაიშვილი 1909: №166, გვ. 143-144; ბერძენიშვილი 1940: №36, გვ. 27-28; ფუთურიძე, №78, გვ.175-176.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ მეფეთ-მე¹ფემან, ჳელმ-ნიფემან პატრონმან როსტომ, და თანამეცხედრე³მან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრო⁴ნმან მარია მ, ესე უკუნისამდი ჟამთა და ხანთა გ⁵ასათავებელი წყალობისა ნიგნი და ნიშანი შეგი⁶წყალებთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერთგულთა |⁷და წესისებრივ მრავალფერად თავდადებით ნამსა |⁸ხურთა ყმათა, ბარათაშვილს ფარსადანს და ძმასა თქუენ⁹სა გიორგის, და მომავალთა სახლისა თქუენისა |¹⁰თა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა |¹¹და მამულის წყალობას გვიანჯენით, ჩვენცა ვისმინეთ ა |¹²ჯა და მოხსენება თქუენი, მოკითხული ვქენით და |¹³ენაგეთს ხუციშვილი და ფირუაშვილი მათის მამ¹⁴ულითა და ნასყიდითა თავად თქუენი სამკუიდრო ყმანი ყ¹⁵ოფილიყუნეს. და მერე სახლისუხუცის ჩხეიძის |¹⁶ბეჟიას შვილი ოტია ჳელთ დაგრჩომოდა და ჳელ |¹⁷შეკრული ჩუენს წინაშე მოიყუანეთ, და ამისად საჯი¹⁸ლდაოდ გიბოძეთ ენაგეთს ხუციშვილი და ფირუ | -

¹⁹ ა შ ვ ი ლ ი მათის სამართლიანის მამულითა, დღეს |²⁰ რისაც მქონებელი იყუნენ ყოვლითურ შენ |²¹ ითა და ოჯრითა, საჯმრითა და უჯმრითა, საძებრითა და |²² უძებრითა, მთით ბარამდი, ყოვლის კაცისაგან უცი |²³ ლებრად, თქუენის და თქუენთა შვილთათუის გვიბოძე |²⁴ ზია სამკვიდროდ და საბოლოოდ.

გქონდეს და გიბედნიერ |²⁵ ოს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შინა და |²⁶ არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შ |²⁷ ემდგომად სხუათა მეპატრონეთაგან. ანე, გიბ(რძანე)ბთ კარი |²⁸ სა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, ვი |²⁹ ნცა-ვინ იყუნეთ და ანუ დღეის წალმა იქნებოდეთ, |³⁰ თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლ |³¹ ით და შეეცილებით თუინიერ შენევენისა და თანადგო |³² მისაგან კიდე.

დაინერა ბ(რძანე)ზა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლა |³³ თებერვლის კბ, ხელითა კარისა ჩუენისა მდივან-მ |³⁴ წიგნობრის თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ უ ე ლ ი ს ი თ ა .

სპარსული ტექსტი:

1643 წ. 20 თებერვალი – 21 მარტი

هو

حكم عالی شد آنکه بنا بر شفقت عالی در باره عزت آثار پراسان قورچی ترکش | برآة ایلی بموجبی که در ذیل بخط گرجی نوشته شده از ابتداء سنه قوی نیل دو | خانه وار رعیت واقع در قریه دیغم من اعمال برآة ایلی را بتیول او مقرر فرموده ارزانی داشتیم مستوفی سرکار عالی در دفتر ثبت | نموده از شایبه تغییر و تبدیل مصون شناسند و چون بمهر علی رسد | اعتماد کنند تحریرا فی شهر ذی الحجه الحرم سنه ۱۰۵۲

ის (ღმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ კაპარჭოსანი ყორჩის პატივცემულ ფ ა რ ს ა და ნ ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს ა დ მ ი მაღალი წყალობის [მიპყრობის] გამო, ჩვენ მას ცხვრის წლის დასაწყისიდან, ქვემოთ ქართულად დანერილის საფუძველზე, თიულად დაეუმტკიცეთ და ვუბოძეთ ს ა ბ ა რ ა თ ი ა ნ ო ს ს ოფელ დ ი ლ ო მ შ ი * მცხოვრები ორი კომლი გლეხი. მაღალი კარის მუსტოფიმ, [ამ ბრძანებას] ჩანერს რა დავთარში ცვლილებისა და გადაკეთების მანკისგან დაცულად ცნოს იგი და როცა მასზე მაღალი ბეჭედი დაისმევა — დაემორჩილონ. დაინერა 1052 წლის ზილ-ჰიჯჯას თვეს.

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია როსტომის სპარსული ბეჭედი. საბუთის verso-ზე – სამი სპარსული სარეგისტრაციო ბეჭედი: 1. ოთხკუთხა, خاك قدم علی منوچهر – „ალის ფეხთა მტვერი, მანუჩარი“, 2. ოთხკუთხა, წარწერით: عبده علی قلی – „მონა მისი (ღვთისა) ალიყული“, ქვეშ აქვს სარეგისტრაციო მინანერი: قلمی شد – „დაინერა“ 3. ოვალური წარწერით: يا معین الضعفا – „ო, უძლურთა შემწვევ!“.

*ქართულ ტექსტში სოფლის სახელია ენაგეთი, სპარსულში მცდარად სოფელი – დილომი.

კომენტარი:

ფარსადან ბარათაშვილი როსტომისგან ჯილდოდ იღებს სოფელსა და ყმებს, რადგან მან ნოდარ ციციშვილის ამბოხების დროს მეფეს უერთგულა და დატყვევებული ოტია ბეჟანის ძე ჩხეიძე მიჰგვარა მას. ჩხეიძეები როსტომის მოწინააღმდეგე ბანაკში იყვნენ. ბეჟან ჩხეიძის ასული ცოლად ჰყავდა იმერეთის მეფის გიორგი III-ის (1604-1639) ვაჟს, მამუკა ბატონიშვილს, მამუკას ძმა ალექსანდრე III (1639-1660) კი თეიმურაზ I-ის ქალიშვილზე იყო დაქორწინებული. ისინი, ცხადია, როსტომ მეფის და დასავლეთ საქართველოში მისი მოკავშირის, ლევან დადიანის ოპოზიციაში იყვნენ. ფარსადან გორგიჯანიძე გვამცნობს, რომ ლევან დადიანს თავისი ქალიშვილის მითხოვება სურდა მამუკა ბატონიშვილისთვისო. ჩანს გეგმების ჩაშლის შემდეგ იგი დაპირისპირებია ჩხეიძეებსაც და მამუკა ბატონიშვილსაც „ჩხეიძენი და მათნი კერძნი ბატონისშვილს უდგენს მაგრამე დადიანის ძალით იმერეთით გაყრილნი იყვნენ და ბატონისშვილი მამუკა და ჩხეიძენი თავის სიძე საფარ ფაშასთან იყვნენ ახალციხეს, ჩხეიძენიცა და სხვა მრავალი თავადის შვილებიც თან ახლდნენ“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 246).

მამუკა ბატონიშვილი იშვილა როსტომმა და ქართლში ჩაიყვანა. ქართლის თავადებმა შეთქმულება მოაწყვეს, როსტომის მოკვლა და მამუკას გამეფება მოინდომეს, თუმცა როსტომი შემთხვევით გადარჩა და შეთქმულების ამბავიც შეიტყო. მამუკა ბატონიშვილი ისევ ახალციხის საფაშოში გაგზავნა, ხოლო ჩხეიძეები და სხვა წარჩინებულები ქართლში დარჩნენ. ქართლის თავადებმა: ციციშვილმა და ამილახვარმა ჩხეიძეებთან ერთად ახალი აჯანყების მოწყობა განიზრახეს და თეიმურაზ მეფეს დაუკავშირდნენ, თუმცა ნოდარ ციციშვილმა მარტომ მოინდომა როსტომთან გამკლავება მეფე თეიმურაზის, ამილახვრისა და ქსნის ერისთავის გარეშე. „ჩხეიძენი და სხვა იმერეთის საბატო კაცის შვილები მასთან იყვნენ და ყოველნი ომნაცადნი კაცნი იყვნეს“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 247). ისინი ხოვლეში ჩავიდნენ, სადაც იორამ სააკაძემ შეიტყო აჯანყების შესახებ და დაუყოვნებლივ როსტომს აცნობა. მეფემ ლაშქარი შეყარა და ჩხეიძეებს შეება, თვითონ ნოდარ ციციშვილი ბრძოლაში არ ჩართულა და ვერეს ციხეში გამაგრდა. „დიდს ხანობამდისინ ჩხეიძებმა ძალმიცემით ომი გარდიხადეს და საქმეც გაუჭირეს, ლაშქარიც დააბალითეს და კარდაგაც იყვნენ, მაგრა ნოდარ ომს არ მოსულიყო და უწინვე ვერის ციხისაკენ წასულიყო და ჩხეიძებს ზურგი არ მოაბა და კიდევ დაიჭრნეს, დაილაღნეს... ბეჟია ჩხეიძე მოვრავის შვილმან იორამ დაირჩინა და ზოგნი ბარათიანთ დაირჩინეს, ზოგნი ელიზბარ ბოქაულთუხუცის ყმებან დაირჩინეს... ჩხეიძენი დაჭრილნი და დარჩენილნი მეფეს წინ მოასხნეს მკვარწაკრულნი... მეფემ ბძანა, ჩხეიძებს მკლავნი გაუსხნეს და გორს გაგზავნეს, რომ ტანისამოსი გამოუცვალონ და ქვეშსაგები და ზედსაფენი გაუკეთონ“ (ფარსადან გორგიჯანიძე, 1925: 248). აჯანყებულებთან ანგარიშსწორების შემდეგ, როსტომმა ჩხეიძეები ბოქაულთუხუცეს ელიზბარ დავითიშვილის ხელით შაჰთან გაგზავნა.

1643 წ. 12 მარტი. წყალბრუნის ბანახლების წიგნი ოსტომ
მეფისა იოთამ ბარათაშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი : სეა, 1448-84; მოყვითალო სქელი ქაღალდი; 39X20 სმ.; მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორი და სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: მოხეულია ზედა კიდე, ამოხეული ადგილები შეესებულება სარესტავრაციო ქაღალდით. საბუთი ორენოვანია, ქართულ-სპარსული, რვასტრიქონიანი სპარსული ტექსტი, შესრულებული შექასთეს ხელით, მოთავსებულია recto-ზე, გვერდულად, ქართული ტექსტის ზემოთ შევუღლად.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტლა (331), მარტის თორმეტი, რაც უდრის 1643 წლის 12 მარტს.

პ ი რ ი : სეა, 1450-38/43.

გ ა მ ო ც ე მ ა : ფუთურიძე 1955: №79, გვ. 178-180.

ქ. ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან, ჳელ-მნ¹²იფემან პატრონმან როსტომ, და თანამეცხედრემან ჩუენმა¹³ნ, დედოფალთ-დეედოფალმან, პატრონმა მარია მ, ესე უკუნისამდ¹⁴ი ჟამათა და ხანათა გასათავებელი მტკიცე და უცვალებ¹⁵ელი ნყალობისა ნიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ ¹⁶თქუენ, ჩუენთა ერთგულთა და წესისებრივ მრავალფერად თ¹⁷ავდებობით ნამსახურსა ყმათა, ბ ა რ ა თ - ა შ ვ ი ლ ს ი ო თ ა მ ს , შვილსა თ¹⁸ქუენსა პ ა [ა] ტ ა ს ა , ბ ე ჟ ა ნ ს , გ ი ვ [ი] ს ა , ე რ ა ს ტ ი ს და მომავალთა სახლი¹⁹სა თქვენისათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და მა¹⁰მულის ნყალობას გვიანჯენით, ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება ¹¹თქუენი, მოკითხული გიყავით და ს ა ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ო შ ი სოფელი კ რ ე ფ ა ¹²თქუენი სამკუიდრო და უცილებელი იყო. შეგინყალეთ და გიბოძეთ ¹³მართლის სამართლის სამძღური, მითა, ბართა, წყლითა და წი¹⁴სქუილითა, ველითა და ვენაჯითა, შენითა და ოჯერითა, საჯმრითა და ¹⁵უჯმრითა, საძებრითა და უძებრითა, შესავლითა და გასავლითა. ყოვლი¹⁶თურ თქუენტუის და თქვენთა შვილთათვის გვიბოძებია სოფელი კ რ ე ფ ა

¹⁷გქონდეს და გიბედნიერიოს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შინ¹⁸ა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა ¹⁹შემდგომად სხუათა მეპატრონეთაგან.

ანე, გიბ(რძანებ)თ კარისა ჩუენ²⁰ისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, ვინცა- ვინ იყო²¹ნეთ და ანუ დღეის წაღმა იქნებოდეთ, თქუენცა ასრე დაუმ²²კუიდრეთ, და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შე[ე]ცილებით, ²³თუნიერ შენევნისა და თანადგომისაგან კიდე.

დაინერა ბ(რძანებ)ა და ²⁴ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლა, მარტის თორმეტსა, ჳელითა კარისა ჩუენი²⁵სა მდივან-მნიგნობრის, თ უ მ ა ნ ი შ - ვ ი ლ ს ბ ი რ თ უ ე ლ ს ი თ ა .

ხელრთვები: როსტომ, მარამ

უზის ორი ოთხკუთხა და ერთი ოვალური ფორმის ბეჭედი სპარსული ლეგენდებით.

სპარსული ტექსტი

1643 წ. 12 მარტი-26 მარტი.

هو

[حكيم عالی شد] آنکه بنابر شفقت عالی در باره شفقت عالی در باره [رفعت] پاه یوتم بیگ برات ایلی| [و] ولدن او باداده و بیجن و ایراستی از ابتداء سنه قوی| نیل قریه کراپا من اعمال برات ایلی را بموجبی که در متن بخط گرجی ...| نوشته شده تیول مشارالیه و ولدان او شفقت فرمودیم ارزانی داشتیم| کدخدایان و رعایت قریه مذکور مشارالیهما را تیولدار با استقلال خود دانسته | مالوجهات [و] حقوق دیوای خود را موافق معمول گرجستان عاید ساخته| تخلف نورزند مستقی سر کار علی در دفتر ثبت نموده بعادت و قواعد ...| چون حکم بهمهر و نشان عالی رسد اعتماد نمایند بحریر ۵ شهر محرم الحرم سنه ۱۰۵۳

ის (ღმერთი)

[გამოვიდა მაღალი ბრძანება], რომ სიდიადის საფარველის იოთამ ბარათაშვილის [და] მისი შვილების: პაატას, ბეჟანისა და ერასტისადმი მაღალი წყალობის [მიპყრობის] გამო, ჩვენ, ხსენებულ [პირსა] და მის შვილებს ცხერის წლის დასაწყისიდან, იმ საფუძველზე, რომელიც ქართულადაა დანერილი, საბარათიანოს სოფელი კრეფა 5 თიულად ვუწყალობეთ და ვუბოძეთ. ხსენებული სოფლის ქედბოდებმა და გლეხებმა, აღიარებენ რა ხსენებულ [პირებს] თავიანთ სრულუფლებიან თიულდარებად, საქართველოში მიღებული [წესის] თანახმად, [მათ] თავიანთი მალუჯათი და სახელმწიფო გადასახადი უნდა გადაუხადონ და წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიონ. მაღალი კარის მუსტოუფიმ წესისა და 10 ჩვეულების [მიხედვით ეს ბრძანება] დავთარში გაატაროს [და] როცა ბრძანება მაღალი ბეჭდითა და ნიშნით იქნება აღჭურვილი, დაემორჩილონ მას.

დაინერა 1053 წლის კურთხეული მოჰარამის თვის 5 (რიცხვში).

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია როსტომ მეფის სპარსული ბეჭედი წარწერით: همت سلطان صفی شاه زمین و زمان لئف بنده را رستم خسرو داد نشان — „ქვეყნისა და დროის ხელმწიფემ, დიდსულოვანმა შაჰ-სეფიმ წყალობა მოილო მის მონაზე და როსტომ ხოსრო მინოდა.“ საბუთის verso-ზე არის ორი სპარსული სარეგისტრაციო ბეჭედი: 1. ოთხკუთხა, წარწერით: خاک قدم علی منوچهر — „აღის ფეხთა მტვერი, მანუჩარი,“ რომელის ქვეშ არის სარეგისტრაციო მინაწერი: بنظر رسید — „განხილულ იქნა“; 2. ელიფსური, წარწერით: [عبد] علی قلی — „[მონა] მისი (ღვთისა) ალიყული“, ქვეშ მინაწერით: قلمی شد — „დაინერა“.

**1643 წ. 3 აპრილი. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა
თბილელ ელისე საბინაშვილისადმი**

პირი: სეა, 1449-1270; თეთრი ქაღალდი. გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1823 წელს.

თარიღი: ქორონიკონი ტლა (331), აპრილის ბ (3), რაც უდრის 1643 წლის 3 აპრილს.

სხვა პირი: სეა, 1450-26/91.

ქ. ნებითა და შნევენითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან, ჴელმნი-
ფემან პატრონმან როსტომ, და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედო-
ფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ, ესე უკუნისამდე ჟამთა და
5 ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი წყალობისა სამკვიდრო და
საბოლოო წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერთ-
გულსა და წესისებრივ მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა ყმათა:
ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ თ ა – თბილელ მთავარებისკოპოზს, ბატონს ე ლ ი ს ე ს
და ძმათა თქვენთა: ს ა ა მ ს , ა ნ დ ე რ მ ა ნ [ს] , ბოქაულთუხუცესსა
ზ ა [ა] ლ ს , ი ო რ ა მ ს , თ ა მ ა ზ ს , შვილთა და მომავალთა სახლისა
10 თქვენისათა, – ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და თქვენის ბიძაშვილის, ამო-
ვარდნილის რ ე ვ ა ზ ი ს საკერძოს მამულს გვეაჯენით, ჩვენცა ვიგულეთ
და ვიგულმოდგინეთ, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგინყალეთ და
გიბოძეთ ო გ უ ს , რისაც მამულის მქონებელი დ ე მ ე ტ რ ე და მისი შვი-
15 ლი რ ე ვ ა ზ ყოფილიყო; ხ ო პ ი ს { ს } , რისაც მქონე და [ი] რ და ს უ -
ბ ა ნ ს ყოფილიყვნენ, ყოვლითურთ. რარიგადაც სხვა თქვენი სამკვიდრო
მამული გქონდეს, იმავე წესითა: მითთა, ბართა, წყლითა და წისქვილითა,
ველითა და ვენახითა, შენითა და ოჯერთა, საწმრითა და უწმრითა, საძებ-
რითა და უძებრითა, შესავლითა და გასავლითა, თქვენთვის და თქვენთა
20 შვილთათვის გვიბოძებია სამკვიდრო და საბოლოოდ, ყოვლის კაცისაგან
შემოუსარჩლელად.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერთგულად სამსახ-
ურსა შ(ინ)ა და არაოდეს არ მოგეშალოს არცა ჩუენგან და არცა შემდგო-
მად სხუათა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

25 ანე, გიბ(რძანე)ბთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვექირნო და სხვანო მო-
საქმენო, ვინცა ვინ იყუნეთ, და ანე დღეის წაღმა იქნებოდეთ, თქვენც ასრე
დაუმტკიცეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით, რა რიგადაც ამა ჩვენგან ნაწყ-
ალობევსა სიგელსა შინა ეწეროს.

დაინერა ბ(რძანებ)ა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლა, აპრილის
30 გ, ჴელითა კარისა ჩვენისა მდივან-მნიგნობრის თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს
ბ ი რ თ ე ე ლ ი ს ა თ ა .

საბუთს ბოლოში დასმული ჰქონია როსტომ მეფის ბეჭედი და დედოფალ
მარიამის ხელრთვა.

კომენტარი:

ელისე საგინაშვილი – თბილისის მიტროპოლიტი. იგი დაახლოებული იყო მეფის ოჯახთან. იყო მარიამ დედოფლის სულიერი მოძღვარი. მისი მეცადინეობით მეფე-დედოფალმა სიონის ტაძარი განაახლეს. მასვე მიუშენებია სამხრეთიდან ტაძრისთვის მცირე სამლოცველო. ასევე გაუღია მრავალი შეწირულება სიონისადმი (სეა, 1449-2647). მისი თხოვნით ააშენა ქარვასლა მეფე როსტომმა, საიდანაც ყოველწლიურად 100 მარჩილი თეთრი განუჩინა სიონის ტაძარს (სეა, 1448-5006ა). 1640 წელს ელისეს მოულოცნია წმინდა ადგილები: ათონი და იერუსალიმი. ათონის ხელნაწერებს შემორჩენილი აქვს მისი მინაწერები (Ath 40, Ath. 72, Ath. 84, H 558).

1643 წ. 24 აგვისტო. მეფე როსტომის ფეალობის ბანახლების წიგნი ბერმანოზ ბატიაშვილისადმი

პირი: სეა, 1450-14/9; ცისფერი ქაღალდი; ორენოვანი: ქართულ-სპარსული, პირის გადაძვლებს გადმოუწერია ხუთსტრიქონიანი სპარსული ტექსტი, შესრულებული შექასთე-ნასთალიყის ხელით. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1820 წელს.

თარიღი: ქორონიკონი ტლა (331), მარიანობის თვესა კდ, 1643 წელი, 24 აგვისტო.

გამოცემა: დუნდუა, 1984: №8, გვ. 22-24.

[ქ.] ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან, ჴელმნიფემან პატრონმან როსტომ, და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ, ესე ამიერ უკუნისამდე ჟამთა და ხანთა სამკუიდროთ და საბოლოთ გასათავებელი მტკიცე და მოუშლელი ნყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალებ და გიბოძებთ თქუენ ჩვენსა ერთგულს და მრავალფერად წესისებრივ თავდებობით ნამსახურსა ყმასა, ბარათაშვილს გერმანოზს და შვილთა თქვენთა ოთარსა და პა[ა]ტასა, ბერსა და [ვარაზას] და ჩამომავალთა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე.

5

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და თქვენის მამის და პაპის სამკუიდროს საბარათაშვილოში სოფელს ცორვეთი დაგუეაჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და თქუენის მამისა და პაპის სამკუიდრო სოფელი ცორვეთი და გუდარეხის მონასტერი სოფლით დაგიმკვიდრეთ და გიბოძებთ ნყლითა, ნისქუილითა, ველითა და ვენაჭითა, სახნავითა და უხნავითა, და ნასყიდითა და უსყიდითა, შენითა და ოხერთა, საძებრითა და უძებრითა, მთითა და ბართა, უნაკლულთ.

10

15

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან ჩუენსა ერთგულათ სამსახ-

ურსა შიგან ყოვლის კაცისგან უცილებლათ და მოუშლელათ. არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომად სხუათა მეფეთა და მე-
პატრონეთაგან. თუ ამას წინანდელი ცოროვეთისა და სასაფლაოს
გუდარეხის მონასტრის წიგნი აქონდეს ვისმე, სიგლითა და ამით გაგ-
5 ვიცუდებია ახალი და უცვალებელი ესე არის.

ანე, მოგახსენებთ კარისა ჩუენის ვექილ-ვეზირნო და მდივანნო, დღეს
ვინ გინდა-ვინ იყოთ და ანუ დღეის წაღმა ვინ გინდა-ვინ იქნებოდეთ. მერმე
ესე ჩუენგან ბოძებული წიგნი და სიგელი თქუენცა ასრე დაუმკვიდრეთ და
დაუმტკიცეთ, რომე რარიგათაც ამა წიგნში სწერია, და ნურაოდეს ნურას
10 მოუშლით და შეეცილებით, თუნიერ თანადგომის და შეწევნისგან კიდე.

დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლა მარიამობის
თვესა კდ, ჴელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრისა ყოღანა-
შუილის მერაბისთა. ვითაც ნოდარზედ გავიმარჯვეთ და
ცოროვეთი გამოგართუით და ბატონისშვილსა გიორგის მივეციით.
15 თქუენი სამკუიდრო მასუკან ჩვენს სიკუდილსა და ღალატში გაერივა, იმას
ყაზბი ვუყავით და თქუენის მამისა დპაპისა სამკუიდროთ ცოროვეთი
ისრევე თქუენ დაგიმკვიდრეთ.

ხელრთვები: როსტომ, მარიამ

სპარსული ტექსტი:

1651 წ. 14 დეკემბერი – 1652 წ. 13 იანვარი

حكم عالی شد آنکه بنا بر شفقت عالی در باره رفعت پناه گرمانوس بیگ و باداده بیگ و اوتار و ورازه
ولدان او بموجبی که | در ذیل بخط گرجی نوشته شده قریه ساوریت من اعمال براتالی را مع گورخانه
قریه منکوره بتیول مشارالیهیم شفقت و مرحمت | فرموده ارزانی داشتیم رعایاء قریه مزبوره مومی الیهیم
را تیولدار باستقلال خود دانسته مالوجهات و جوهات و حقوق دیوانی | خود را سواى قضیه خون بایشان
رفع نمایند که موافق حق حساب پرسن نموده بفیصل رسانند مستوفی سرکار عالی حسب المسطور در
دفتر ثبت نماید | چون بمهر عالی رسد اعتماد نمایند تحریرا فی شهر محرک الحرام ۱۰۶۲
محل مهر رستم خان والی محل مهر محل محر

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ სიდიადის საფარველის გერ-
მანოზ-ბეგისა და მისი შვილების: პაატა-ბეგის, ოთარი-
სა და ვარაზას მიმართ მაღალი მონყალების გამო, ქვემოთ ქართუ-
ლად დაწერილის საფუძველზე, საბარათიანოში მდებარე სოფელი
5 ცოვრეთი ამავე სოფლის სასაფლაოთურთ ზემოთხსენებულ (გერ-
მანოზს) თიულად ვუნყალობეთ (და) ვუბოძეთ. ხსენებული სოფლის
რაიებმა მოხსენიებული (გერმანოზი და მისი შვილები) თავიანთ
სრულუფლებიან თიულდარად უნდა ცნონ. მალუჯეჰათი, ვოჯუჰათი და
ჰოყუყე დივანი (მათ მისცენ) და (სასამართლო საქმეები) სისხლის (სამარ-
10 თლის) საქმეების გარდა, მათ მიანდონ, რათა ჭეშმარიტებისა (და) გონიერ-
ების შესაბამისად გამოიძიონ და გადაწყვიტონ (ისინი). მაღალი კარის მუს-
ტოუფიმ დაწერილის თანახმად (ეს ბრძანება) აღრიცხოს დავთარში (და)

როცა (ბრძანება) მაღალი ბეჭდით აღიჭურვება, დაემორჩილონ მას. დაინ-
ერა 1062 წლის მოჰარამ ალ-ჰარამის თვეში.

დედას დასმული ჰქონდა როსტომ-ხან ვალის ბეჭედი, კიდევ სხვა
ოთხი ბეჭედი. სარეგისტრაციო მინანერები: قلمی شد -დაინერა; بنظر رسید –
განხილულ იქნა.

კომენტარი:

1642 წელს გაცემული საბუთით (1450-14/8) მეფე როსტომი გიორგი
ბატონიშვილს აძლევს გერმანოზ ბარათაშვილის კუთვნილ სოფ.
ცოვრეთს და სანაცვლოდ მას უბოძებს დიდ წერაქვს. მნიშვნელოვანია,
რომ ეს ჯილდო გიორგი ბატონიშვილს მიუღია ნოდარ ციციშვილის
აჯანყების დროს როსტომისათვის გაწეული მხარდაჭერისთვის, თუმ-
ცა მოგვიანებით, იგი მეფის დალატსა და სიკვდილის მცდელობაში
გარეულა, რის გამოც დასჯილა და სოფელი ცოვრეთი კვლავ ძველ
პატრონს – გერმანოზ ბარათაშვილს დაბრუნებია გუდარეხის მონას-
ტრის წყალობასთან ერთად.

**[1643 წ. ახლო]. ფიცის წიგნი დათუნა და ძიბოა
მთიულისშვილებისა თარხან იორამ მოურავისშვილისადმი**

დედანი: ხეც, Hd-2545; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა:
21,8X15,6 სმ.; მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშნები:
ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საბუთი უთარიღოა. ფიცის წიგნი შედგენილი უნდა იყოს როსტომ
მეფის მიერ იორამ მოურავისშვილის ქართლში დაბრუნებისა და მისთვის
თარხანობის ბოძების (1643 წ.) უახლოეს პერიოდში.

საბუთის დამწერი: იონათამ კარგარეთელი.

გამოცემა: ბერძენიშვილი, 1940: გვ. 27, №35.

ქ. ესე წიგნი, ფიცი და პირი მოგახ²სენეთ და მოგართვით ჩუენ, მთი-
ულის |³შვილთა დათუნამ და* ქიტ{ო}ამ, თქუქენ, |⁴
მოურ{ა}ვის შვილთა: თარხანს ბატონს |⁵იორამს, და
შვილთა შენთა}, გიორგის |⁶დაავთ{ა}ნდილს.

ასრე, რომე თქუქენი მემკ{უი}დრე |⁷ყმა ვიყვენით დროსტ{ო}მ
მეფემ ჩუენი |⁸თავი თქუქენ გიბოძა, და ამავე ჩუენის |⁹ნასყიდის მამულ-
იღამ აღარ აგუყარე |¹⁰და აქავ, თვ{ა}ლზე, დაგვ{ა}სახლე. და აქიდ-

„და“ კავშირის შემდეგ საბუთის დამწერის ხელით ეწერა სამი გრაფემა რსტ,
სავარაუდოდ, როსტია-ს ან როსტომი-ს პირველი გრაფემები, რომლებიც თავად
დამწერს გადაუხაზავს.

ამ |¹¹ ვიყუ}ნეთ შენი ყმ{ა}ნი. რაც ჩუენის ხელი|¹²დამ გ{ა}მოვიდეს, ყმის პირობ{ა}ზე გ{ე}მს{ა}ხუროთ |¹³ სანამდი ამ ქვეყ{ა}ნას ვიყოთ, და ვინ-
{ი}ცი||¹⁴ს, ეს ქვეყანა აიშ{ა}ლოს, უთქუ{ე}ნს კაცს |¹⁵ არ ვეყმით.

ამისდა თ{ა}ვდებ{ა}თ მოგვიც|¹⁶ემია ღმ{ე}რთი და ყოველნი მისი ნმიდანი.

არ|¹⁷ის ამისი მონამე: ს უ ლ ხ ა ნ ა ს შ ვ ი ლ ი პ ა პ უ ნ ა , |¹⁸
როს ტ ი { ა } ს - შ ვ ი ლ ი ზ უ ბ ი ტ ა , ც ა ლ ქ { ა } ლ { ა } მ { ა }
ნ ¹⁹ ი ძ ე ხ ო ს ი ტ ა .

მე, კ ა რ გ ა რ ე თ ე ლ ს ი ო ნ { ა } თ { ა } მ ს |²⁰ დამინერ{ია} და მონ{ა}მეცა ვარ.

საბუთის ბოლოს დასმულია ††

verso-ზე გვიანდელი მინაწერები:
მთიულშივილის სათავდებო (შავი ფერის მეღვინით).
ბატ-ყმ. (ლურჯი ფანქრით).
უთარილო (წითელი ფანქრით).

1644 წ. 7 ივნისი. წყალობის წიგნი მეფე როსტომისა ჩინელ და შოშიტა ჩიკაქეპისაღმი

საბუთი დაკარგულია. ტექსტი შემორჩენილია ე. თაყაიშვილის პუბლიკაციით. ე. თაყაიშვილის აღწერილობის მიხედვით, იგი დაწერილი ყოფილა ქაღალდზე მხედრულად, განკვეთილობის ნიშნებად გამოყენებული ყოფილა ორწერტილი.

გ ა მ ო ც ე მ ა : თაყაიშვილი 1909: 235, №194.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა ჩუენ, მეფეთ-მეფემან, ჴელმწიფემან პატრონმან როსტომ, ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი წყალობისა და საჯილდოო წიგნი გიბოძეთ შენ, დ ა ვ ი თ ი შ ვ ი ლ ი ს ე ლ ი ზ ბ ა რ ი ს აზნაურიშვილს რ ი კ ა ძ ე ს ჩ ი ნ ე ლ ს ა , შ ო შ ი ტ ა -
5 ს ა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს კ ა ხ ე თ ს სარბევლად გაგიძახეთ და უკან წამოგწოდნენ, მწუედ კარგად ყოფილიყავით, კაცი დაგენარჩუნათ. და იმისად საჯილდოო თქვენის ოთხმეოც კომლის კაცის კოდის პურის ამოკვეთას გ(ვ) ეაჯენით, ჩვენც ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და ასრე ამოუკვეთეთ,
10 რომე არას დროს კოდის პური არ ეთხოებოდეს თქვენს გლეხებს.

ანე გიბრძანებთ, კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, ვინცა-ვინ იყუნეთ და ანუ დღეის წაღმა იქნებოდეთ, თქვენცა ასრე გაუთავეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შე(ე)ცილებით.

დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე ქკსა ტლზ, თიბათვეს ზ.

ხელრთვა: როსტომ

1644 წ. როსტომ მეფის წყალობის განახლების
წიგნი ქუაბულ მარაბლისადმი

დედანი: სეა, 1448-86; მოყვითალო სქელი ქაღალდი; 43,6X12,9 სმ.; მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: მოხეულია საბუთის ზედა და ქვედა კიდე, დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. საბუთი ქართულ-სპარსულია, შექასტეს ხელით შესრულებული ათსტრიქონიანი სპარსული ტექსტი დაწერილია recto-ს ზედა ნაწილში, ქართულის გასწვრივ, შვეულად.

თარიღი: ქორონიკონი ტლზ (332), რაც გვაძლევს 1644 წელს.

პირი: H 3-4 ფრ 8 r.v;

გამოცემები: ფუთურიძე 1955: გვ. 186-188, №83.

ქ. ნებითა და შენვენითა ღ(მრ)თისაითა, ჩვენ, მეფეთ¹²-მეფემან, ჯელმ-ნიფემან პატრონმან როსტომ, დათან¹³ამეცხედრემან ჩუენმან, დედო-ფალთ-დედოფალმან¹⁴ პატრონმან მარიამ, ესე ამიერ უკუნისამდე ჟამ¹⁵თა და ხანთა სამკუიდროთ და საბოლოვოთ გასათავებე¹⁶ლი, მტკიცე და მოუშლელი წყალობისა ნიგნი და¹⁷ სიგელი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა¹⁸ ერთგულსა და წესისებრივ თავდადებით და ერთგუ¹⁹ლობით ნამსახურთა ყმათა, მარაბელს ქუაბულს და²⁰ ძმასა შენსა ზა[ა]ლს, და იმათის* შუილთა თქუენთა და ჩამომა²¹ვალთა სახლისა თქუენისათა, ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდე²²ს მოგუიდეგით კარსა და სამართლიანს თქუენის მამის²³ და პაპის კერძს სამკუიდროს მამულის წყალობას²⁴ დაგუ-იაჯენით, ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენ²⁵ება თქუენი. და მოკითხუ-ლი ვქენით: თქუენს ყმა²⁶წუილობასა და ობლობაშია თქუენს განაყოფს ქაიხოს²⁷როს თქუენის მამის კერძი გლეხები დაეჭირა. და ახ²⁸ლა შეგინყალეთ და გიბოძეთ, და იმათ გამოვართუით²⁹ ფუტურადე ბერუა მისის ძმითა და ძმისწულეებით, რი³⁰საც მამულის მქონებელი ყოფილიყოს. აგრევე³¹ თამარაშენს სომეხი ბადურა, აგრევე ლელს რაზმიძე³²ზაქარია, რისცა მამულის მქონებელნი ყო-ფილიყოს, მითთ ბარამდე³³უნაკლულთ.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმ(ა)ნ ჩუენსა³⁴ ერდგულათ სამ-სახურსა შიგან აროდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არცა შემდგომად სხუათა [...]

||³⁵ანე, მოგახსენებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და მდივა³⁶ნო, დღეს ვინ გინდა- ვინ იყოთ, და ანუ დღეის წაღმა ვინ გინდა-³⁷ვინ იქნებოდეთ, მერმე, ესე ჩვენგან ბოძებული მამულისა³⁸ ნიგნი და სიგე-ლი თქუენცა ასრე დაუმკუიდრეთ და³⁹ დაუმტკიცეთ, რომ რარიგადაც

* მონიშნული სიტყვა ჩაწერილია ტექსტის ზემოთ, იმავე ხელით

ამა სიგელსა შიგან |³⁰ ენეროს, და ნურაოდეს ნურას მოუშლით და შეეცე
ც|³¹ილებით თუნიერ თანადგომისა და შეწვენისგან.

დაინერა |³² ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლბ, ხელითა
კარისა ჩუენ|³³ისა მდივან-მწიგნობრისა ყ ო რ ღ ა ნ ა შ უ ი ლ ი ს მ ე რ ა -
ბ ი ს ი თ ა . |³⁴ ესე ასრე გაუთავდეს.

ხელრთვები: რო ს ტ ო მ , მ ა რ ი ა მ

სპარსული ტექსტი

1644 წ. 10 მარტი – 8 აპრილი

هو

[حكم عالی شد] آنکه بنابر شفقت عالی در باره کابل ماچهبیل و زال برادر او و فرزندان ایشان از ابتدا
سنه نیل موازی سه خانه وار رعیت بموجب ذیل که بخط گرجی نیز مفصل نوشته شده بتیول ایشان مقرر
فرموده ارزانی داشتیم |

قريه		قريه
تمار اشين باسم بادورا		ليلی باسم ذکريا
باب
باب		رزمازه
باب		باب

جماعت مذکور مشارالیه مارا تيولدار باستقلال خود دانسته موافق دستور العمل
گرجستان عمل نماند و تخلف نورزند و چون حکم بمهرو نشان عالی رسد اعتمد نماید و در عهده
دانند تحریرا فی شهر [محرم] سنه ۱۰۵۴

ის (ღმერთი)

[გამოვიდა მაღალი ბრძანება], რომ ქ ო ბ უ ლ მ ა ჩ ა ბ ლ ი ს , მისი
ძმის ზ ა ა ლ ი ს ა და მათი შვილებისადმი მაღალი წყალობის [მიპყრო-
ბის] გამო, ჩვენ მაიმუნის წლის დასაწყისიდან, დავუმტკიცეთ და ვუბოძეთ
ქვემოთ ჩამოთვლილი სამი კომლი გლეხი, რომელიც აგრეთვე ქართულად
5 დაწვრილებითაა აღნიშნული:

სოფელ თ ა მ ა რ ა შ ე ნ შ ი — ბ ა დ უ რ ა , ერთი სახლი,
სოფელ ლ ე ლ შ ი — ზ ა ქ ა რ ი ა რ ა ზ მ ა ძ ე , ერთი სახლი,
— ფ უ ტ უ რ ა ძ ე , ერთი სახლი.

10 ხსენებულმა გლეხებმა აღნიშნული [პირები] თავის სრულუფლები-
ან თიულდარად უნდა ცნონ, საქართველოს დასტურლამალის თანახმად
უნდა იმოქმედონ და წინააღმდეგობა არ გასწიონ და როცა ბრძანებაზე
მაღალი ბეჭედი და ნიშანი დაისმევა — დაემორჩილონ და ენდონ მას და
[მისი შესრულება] თავიანთ მოვალეობად აღიარონ. დაინერა 1054 წლის
კურთხეული მოჰარამის თვეს.

საბუთის verso-ზე დასმულია სარეგისტრაციო ორი სპარსული ბეჭედი: 1.
ოვალური წარწერით: يا معين الضعفا — „ო, უძლურთა შემწეე“ და 2. გაურკვევე-
ლი წარწერით, რომელსაც მიწერილი აქვს: بنظر سيد — „განხილულ იქნა“. მის
გასწვრივ თითქმის გადასული სპარსული სარეგისტრაციო წარწერა: ثبت شد —
„დამტკიცდა“.

კომენტარი:

ქუაბულ მანაბელი – როსტომ მეფის ერთგული ფეოდალი. მას თავის გაზრდილს უწოდებს როსტომი (Hd-14419). მეფემ იგი დააქორწინა პაპუნა და ქაიხოსრო ბარათაშვილების დაზე, რომელიც ადრე ზურაბ სააკაძეზე იყო დანიშნული, მაგრამ ზურაბის მიერ გამოჩენილი ორგულობის გამო (მან მეფის წინააღმდეგ აჯანყებაში მიიღო მონაწილეობა), როსტომმა იგი დასაჯა და საცოლვე წაართვა. მანაბლებსა და ქაიხოსრო მანაბელზე იხ. კომენტარი საბუთთან Qd-8924.

**1644 წ. შუაწიურების წიბნი როსტომ მეფისა
საღვთის წმიდა ბიორბის ეკლესიისადმი**

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Qd-2880; ყავისფერი ქაღალდი; ზომა: 26X15,4 სმ.; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: წერტილი ან ორწერტილი; დაზიანება: საბუთი ადგილ-ადგილ ამოხეულია და გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თ ა რ ი ღ ი : ქორონიკონი ტლბ (332), რაც გვაძლევს 1644 წელს.

ქ. ჩვენ, მეფეთ-მეფემან, ჯელმნიფემან პატრონმან როსტომ^{2მ}, ვიგულეთ და ვიგულმოდგინეთ, შევსწირეთ და მოვახსენეთ³ წმიდასა და საშინელსა, ღვანლმრავალსა, საჩინოსა მწნეთა მხედრ⁴სა, ახოვანსა, პატიოსანსა, ყოველთა მონამეთა შორის წარჩინებ⁵ულსა, რომელსა ყოველთა მონამეთა შორის უმეტესად ს⁶ამეოცდა ხუთი მეოხე⁷ბა გაქუს, თქვენ, დიდსა წმიდა გიორგისა⁷ სადგრისასა, ასრე რომე, წმიდის გიორგის წყალობა დაგმართ⁸ებოდა.

მოვახსენეთ და შემოგწირეთ ტინისჯიდს მამიჯანა, ⁹ შვილი მისი ხიზანა და სეხნია მათის მამულითა, მთითა, ბ¹⁰ართათა, მიწა-წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენაჯითა, შესავლითა და გა¹¹სავლითა, მისის ქონებითა. შეინირე, შენ, დიდო წმიდაო გიორ¹²გისადგრი-საო, მცირე და კნინი ესე შესაწირავი, და მეოხ და ¹³ {მ}ფარველ გვეყავ ორთავე შინა ცხოვრებასა; წარმართე და განაძ¹⁴ლიერე მეფობა ჩვენი. და კიდევცა ასრე გითარხნეთ, რომე არაფე¹⁵რისთანა [ჩვენი სა]თხოვარი და გამოსაღები არა ეთხოვებოდეს-რა: ¹⁶ არა კოდისპური, არა საბალახე, არა საური, არა მუშაობა, არა ¹⁷ ღალა, არა სამეჯინიბო და სხვა გამოსაღები.

ვინცა და რამანცა ადამის ¹⁸ მონათესავემან კაცმან, ანუ მეფემან, გინა დედოფალმან, ¹⁹ უფლისწულმან და გინა თავადმან, ანუ დიდმან, ანუ მცირემან, ²⁰ ან ვინცა-ვის ამას ჩვენგან შეწირულს გლეხის შლადქც²¹ევად ველ-ყოს, გამოამხოს დიდს წმიდას გიორგის, თავადაც²² რისხავს ღ(მერთ)ი და დიდი წმიდა გიორგი და ყოველნი მ²³ისნი წმი-

დანი, ზეცისა და ქვეყანისანი, ჯორციელნი და უ²⁴ჯორციონი. და ჩვენთა ცოდვათათვის იგინი განიკითხვიან მას |²⁵დღესა განიკითხვისასა. დაინერა ბ(რ)ძ(ა)ნება ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლბ.

ხელრთვა ხვეულად: რ ო ს ტ ო მ

გვიანდელი დამტკიცებები:

ქ. რარიგადაც ამ ნიგნში სწერია, ჩუენც |² ... [სა]დღეგრძელოდ და სასულიეროდ და |³ ჩუენცა ასე გაგვითავებია. ნურაოდეს ნუ |⁴ მოეშლების. ქ(ორონი)კ(ონ)ს ტნივ (1678 წ.), მაისის ზ (7)“.

2. გიორგი XI-ის ხელრთვა ხვეულად: გ ი ო რ გ ი

3. ქ. რაგვარადაც ბატონს ბიძაჩვენს ეს ნი²გნი უბოძებია, ჩვენც ამრიგადაც დაგვი³მტკიცებია. ნურას კაცს ამასთან ჴელი |⁴ ნუ გაქუთს. ქ(ორონი)კ(ონ)ს ტჟჳ (1710 წ.). ვახტანგ VI-ის ოთხკუთხა ბეჭედი ლეგენდით:

რტოდ ვარ და ვ ი თ ი ს , მგელ ლომად ვით ის, ვ ა ხ ტ ა ნ გ , ვამტკიცებ მეფის ძეობით.

კომენტარი:

სადგერის წმინდა გიორგის ეკლესია ბორჯომის ხეობაში, ისტორიულ თორში მდებარეობს. იგი სახელგანთქმული და ძლიერი სალოცავი იყო. თორი სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში შედიოდა. როსტომის პერიოდში სადგერი ახალციხის საფაშოს შემადგენლობაში უნდა გვეგულისხმა, მაგრამ დ. ბერძენიშვილის დაკვირვებით თორი 1639 წელს, სპარსეთსა და ოსმალეთს შორის დადებული ზოპაბის ზავის შედეგად გადაეცა ქართლის სამეფოს (ბერძენიშვილი, 1985: 55).

სადგერის ეკლესია აღუდგენია ვახტანგ VI-ს. მის განსაკუთრებულ მზრუნველობას სადგერის ეკლესიისადმი მოწმობს.

1644 წ. წყალობის განახლების წიგნი როსტომ მეფისა უცნობი პირისადმი

პ ი რ ი : ხეც, Hd-4158; ხელი მხედრული; ლურჯი ქაღალდი; ზომა: 34X22 სმ.; შავი ფერის მეღანი; მხედრული; დაზიანება: საბუთი თავნაკლულია, ადრესატის სახელი დაკარგულია.

თ ა რ ი ღ ი : ქორნიკონი ტლბ (332), რაც გვაძლევს 1644 წელს.

დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუშანისშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა : თაყაიშვილი, 1899: №354, გვ. 423; დოლიძე, 1972: №27, გვ. 84.

[ჩუენ, მეფემან პატრონმან რ ო ს ტ ო მ , ესე წყალობისა წიგნი დასიგელი გიბოძეთ თქუენ.....] შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, [ყოველთა]ვე. მას ჟამსა, ოდეს თ უ რ ქ ი ს ტ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს { თ უ რ -

ქისტოქსის თქვენი სამკვიდრო მამული ეულობით ეშოვნა და მის შვილთა აკურისს ორი საგლეხო მამული მინა-წყლითა, ვენახითა და ყოვლისფქერთა, ქახოსროს და მათს ძმათა ყმათათვის, ფალავანხოსროს ყმისათვის და გოსტაშახისშვილის ყმისათვის მიეყიდა.

5

და ჩვენ მისი სამართალი ვქენით და ასრე გავარიგეთ, რომე, რაც იმ თქვენის მამულების სამუფქო მამული თქვენთვის დაედვა და ხელთ გეჭირათ, ის ისრევ თურქისტანიშვილთ დავანებეთ და თქვენი მამული აკურისს ისრევ თქვენ დავანებეთ. და მონასყიდეს კაცთ თურქისტანიშვილთ პასუხი გასცენ და შეიჯერონ.

10

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მ)ან და არაოდეს არ მოგეშალოს. დაინწერა ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტლბ, ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის – თუმანისშვილის ბირთველისათა.

დედანს ჰქონია როსტომ მეფის ოთხკუთხა ბეჭედი ლეგენდით: როსტომ

143

1644 წ. თარხნობის წიგნი როსტომ მეფისა ბიორბი შამბულიძისადმი

დედანი: სეა, 1448-2317; მონაცრისფრო სქელი ქადალდი; ზომა: 33X15 სმ.; მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორი ან სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: გაცრეცილია, მოფლეთილია კიდევები, ამოხეულია რამდენიმე ადგილას. დაკრულია სარესტავრაციო ქადალდზე. საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. საბუთი; ექსტრიქონიანი სპარსული ტექსტი. შესრულებული შექასთეს ხელით, მიწერილია recto-ზე, საბუთის ქართული ტექსტის ზედა აშიაზე.

თარიღი: ქორონიკონი ტლბ (332), რაც გვაძლევს 1644 წელს.

გამოცემები: ფუთურიძე 1955: №84. გვ.189-191.

ქ. ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინყა²ლეთ და გიბოძეთ ჩვენ მეფეთ-მეფემან პ³ატრონმან როსტომ, თქვენ, ჩუენთა ერთგულთა⁴ ყმათა: შამბულიძეს გიორგის, პა[ა]ტასა, მახარეს,⁵ ფრიდონს, მამუკასა, სენიასა და ბაინდურის, შვილთა და სახლისა თქუენისათა მომავალთა, ყოველთავე.

მას⁷ ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და მამულის⁸ წყალობას გვეაჯენით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგინყალეთ და გიბოძეთ სურამსტორაძი¹⁰ს ვედრიასელი მამული სამართლიანის სამძღ¹¹ურითა; ზეით ვაცისწუერიანად, მისის მითა და ბა¹²რითა, წყლითა და წისქვილითა, საწმრითა და უწ¹³მრთა, შენითა და ოჯერითა,

ყოველითურთ, თქუე |¹⁴ნთუის გვიბოძებია, სამკუიდროდ და საბოლო[ო]დ.
|¹⁵ გკონდეს ამ წესითა, რ[ო]მე, ლაშქრობა-ნადირობის |¹⁶ მეტი არა
გეთხოვოდეს-რა.

ანე, გიბ(რძანებ)თ კარისა |¹⁷ ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მო-
საქმენო, ს უ |¹⁸[რ ა მ ი ს ა] ციხისთავნო და მოხელენო, თქუნც ასრე |¹⁹
[გაუ]თავეთ და ნურას მოუშლით და შე[ე]ცილები |²⁰თ, თუინიერ შენევისა
და თანადგომისაგან კიდე.

|²¹ [და]ინერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე ქორონიკონს ტლბ, ხელი|²²თა
კარისა ჩუენისა მდივან-მნიგნობრის, თ უ მ ა ნ ი |²³ შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ -
ე ე ლ ი ს ა თ ა .

ხელრთვები: რ ო ს ტ ო მ , ლ უ ა რ ს ა ბ

გვიანდელი დამტკიცებები:

recto-ს მარცხენა აშიაზე სამ სტრიქონად:

ქ. რაც ამა ჰოქმში ენეროს, ჩუენცა ასრე გაგვითავებია, ყოველისფერთა
და ნურა ჩუენი მოსაქმე კაცი ნურასა სთხოვთ ამ თ ო ფ ჩ ი ა შ ვ ი ლ ე ბ ს ,
არა საბალახე, არა კოდის პური, არა საური.

ხელრთვა: შ ა ჰ ნ ა ვ ა ზ .

ქართული ტექსტის ბოლოს:

ქ. ჩუენ, ბატონიშვილმა ბატონმა ი ო რ ა მ , და შვილმან ჩუენმან ა ლ ე -
ქ ს ა ნ დ რ ე მ , რარიგადაც ხელმწიფისა ნაწყალობევსა ფარვანაშიგ გენერა,
ჩუენცა იმ გუარად გაგითავეთ, რომე არაოდეს არ მოგეშალოს არცა ჩუენგან
და არცა სხუათა მეპატრონეთაგან.

ოთხკუთხა ბეჭედი: ი ო რ ა მ

სპარსული ტექსტი:

1644 წ. 30 დეკემბერი –1645 წ. 28 იანვარი

هو

حکم عالی شد آنکه بنا بر شفقت عالی در باره گرگین شاپروزه| و و اولاد و برادران بموجبی که در ذیل
بخط گرجی نوشته شده| محال زراعت و [غیر] مزبوره بخط گرجی را عن رسد ویا [د]ریه دورازه|
بتیول او مقرر فرموده ارزانی داشتیم عمال و مباشران اعمال و دیوانی الکاء| سورام رسد ویا [د]ریه را
از محال سورام در وجه مومی الیه مقرر دانند مستوفی| سر کار عالی در دفتر ثبت نموده هر سال حکم
مجدد نطلبند تحریرا فی شهر ذی قعدة سنه ۱۰۵۴

ის (ღმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ გ ი ო რ გ ი შ ა მ ბ უ ლ ი ძ ი -
ს ა და [მისი] შვილებისა და ძმებისადმი მაღალი წყალობის [მიპყრობის]
გამო, იმ საფუძველზე, რომელიც ქვემოთ ქართულადაა დაწერილი, [ჩვენ]
მას თიულად დავუმტკიცეთ და ვუნყალობეთ ვ ე დ რ ი ა თ ო რ ა ძ ი ს
5 კერძი სახნავ-სათესი მიწები [და სხვა], რაც [ქვემოთ] ქართულად არის

მოხსენიებული. დივანის, ს უ რ ა მ ი ს ოლქის ომალებმა და მობაშირებ-
მა ვ ე დ რ ი ა ს კერძი [მამული] ს უ რ ა მ ი ს ადგილებიდან ხსენებული
პირისათვის დამტკიცებულად ცნონ. მაღალი კარის მუსტოფი, ჩანერს
რა [ამ ბრძანებას] დავთარში, ყოველ წელს ახალ ბრძანებას ნუ მოითხოვს.
დაინერა 1054 წლის ზი-ყადას თვეს.

5

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია როსტომ მეფის სპარსული ბეჭედი
წარწერით: همت سلطان صفی شاه زمین و زمان داد لتف بنده را رستم خسرو نشان
– „ქვეყ-
ნისა და დროის ხელმწიფემ, დიდსულოვანმა შაჰ სეფიმ წყალობა მოიღო მის
მონაზე და როსტომ ხოსრო მინოდა.“ საბუთის verso-ზე ორი ბეჭედი: 1. ოვალ-
ური ბეჭედი გაურკვეველი წარწერით და 2. ოთხკუთხა ბეჭედი წარწერით:
خاک قدم علی منوچهر – „ალის ფეხთა მტვერი, მანუჩარი.“

144

1645 წ. 25 თებერვალი. როსტომ მეფის შეწირულების წიგნი სვეტიცხოვლისადმი

პ ი რ ი : სეა, 1449-2365; თეთრი ქაღალდი. ორენოვანი – ქართულ-სპარ-
სული. (გადაწერილია სარგის კაკაბაძის მიერ). საბუთის დედნის ს. კაკაბა-
ძისეული აღწერა: №22, ჩინებულს ეტრატზედ 228X28 1/4, ღამაზი ხელით,
თავში დახატულია წმ. სამება ფერადებით. წამალი რამდენადმე გადა-
სულია, სიგელს მიყვება არშიად ფერადი ზოლი. სურათის ზემოთ სპარსუ-
ლი წარწერაა, სურათის ქვემოთ კი მიყვება სიგელი.

თ ა რ ი დ ი : ქორთიკონი ტლზ (333), თებერვალს კმ, რაც უდრის 1645
წლის 25 თებერვალს.

პ ი რ ი : სპბაი, E 73-48, ფ. 99a-108a.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი : Brosset, Introduction, CXCV; p. Add XVI, p. 486; ქორდა-
ნია 1897: გვ. 456-457; Какабадзе, 1967: №230, с.173-174.

ქ. რომელი არს და რომლისა მიერ ძლიერებითა იქმნეს ყოველნი აღ-
ნაგნი, მყოფისა არსისა, არსთა უცვალებელისა, უხილავისა, უსაზღურო-
სა, ძალ-განუზომელისა, ხოლო მიუწდომელობით ცნობილისა; რომლითა
სახელითა გურნამს და იდიდების ერთი ღ(მერ)თი, მამა ყოვლისა მპყრო-
ბელი, დაუსაბამო, დაუტყვენელი, უშობელი, უკუდავი, უხილავი, არსი ს ა -
ბ ა ო თ საუკუნითგან უკუნისამდე, დიდებული და ქებული, თუით სრული,
სრულისა მშობელი, მამა ძისა მხოლოდ შობილისა, ყოველთა აგებულთა,
გარე-შემცველი შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოელთა და
არა-ხილულთა; ხოლო ძე ჭემმარიტი ჭემმარიტისა მამისა, უხილავი უხი-
ლავისა, უხრწნელი უხრწნელისა, უკუდავი უკუდავისა, დაუსრულებელი
დაუსრულებელისა; მზე სიმართლისა, ნათელი ჭემმარიტი, ცხოვრება და
ჭემმარიტება სუეტი ნათლისა, კლდე ცხოვრებისა დიდისა ზრახუისა, მა-

5

10

მისა ანგელოზი, მწყემსი კეთილი, მესია, ი ე ს ო ქ რ ი ს ტ ე ლ(მერ)თი, მეუფე, სიბრძნე, ძალი, ე ვ მ ა ნ ო ი ლ , მღრდელთმოდღუარი, ნათელი [...] ღრუბელი ნათლისა, სახიერი, კაცთმოყვარე და საცნაურად მიზეზი საუკუნეთა მათ კეთილთა; და სული წმიდა, რომელსა მამისაგან აქუს არსება და მამისა და ძისა თანა თაყუანისაცემული სული წმიდა, უფალი, ცხოველის-მყოფელი სრული ჭეშმარიტებისა, უბინო, უცვალებელი, უნივ- 5 თო, ნუგეშინის მცემელი, სახიერი, წრფელი, მალე დაუყენებელი, ქუელის მოქმედი, კაცთმოყვარე, შეურყეველი, ყოვლად ძლიერი, ყოველთა მხილ- ველი, საცნაური, ყოვლად წმიდა, რომელი იტყ[ო]და წინასწარმეტყუელთა მიერ თუნიერ, რომელ მამასა ეწოდების, მამა უშობელი და ძესა მამისაგან შობილი, და ასულსა წმიდასა სული წმიდა მამისაგან გამომავალი და მამი- 10 სა ძისა თანა თაყუანისაცემული. ესე არიან თუითებიანი მათნი შეურევნე- ლი გუამოვნება, სამგუამოვანი, ღ(მრ)თ(ა)ება, სამება სრული, დიდებითა და სამარადისოებითა და მეუფებითა არ[ა] განყოფილ, არცა უცხო მქნილი რამე, თუ არცაოდეს მოაკლდა ძე მამასა, არცა ძესა სული, არცა აღორ- 15 ძინდა ერთობა ორობად, არამედ უქცეველად, უცვალებელად ჰგიეს მარ- ადის ესე სამება, ერთ არსება, ერთ ღ(მრ)თაება, ერთ ძალი, ერთი მეუფე- ბა, შეურევნელი წმიდა სამება, ღ(მერ)თი ჩუენი უკუდავი, დაუსაბამო, დამბადებელი ყოველთა არსთა, რომლისა დაწყება უცნაურ არს და ჰგიეს უკუნითი უკუნისამდე, მერმეცა, ამინ.

კულად ყოვლად საგალობელისა და სავედრებელისა და უმეტესად ჟამთა [...] აღმატებულ{ი}სა, ყოვლად წმიდისა, ყოვლად კურთხეულ{ი} სა, ყოვლად ბინშეუხებელისა, ყოვლად სანატრელისა, ყოვლად ქებულისა, ყოვლად დიდებულისა, რომელი არს მაყუალი ცეცხლ-შეუხებელი, კიდობა- 25 ნი სინმიდისა, კუერთხი ა[ა]რ[ო]ნისი, ნაყოფსა მის უკუდავისა გამომღე- ბელი, კარავი ღ(მრ)თისა დამტყვნელი ადგილი, უფლისა სახლი, ღ(მრ)თისა საყდარი, ქეროვიმი, ქალწული მ ა რ ი ა მ , დედა უმამაკაცოდ მშობელი ღ(მრ)თისა ე ვ მ ა ნ ო ი ლ ი ს ი , ღ(მრ)თისა ღირსისა, ღ(მრ)თისა სძლისა, ღ(მრ)თისა მტუირთუელისა, ღ(მრ)თისა დამტყვნისა, ღ(მრ)თისა დედი- 30 სათა, რომელმან დაიტია მუცელსა დაუტყვნელი იგი ცათა და ქუეყანისა ძლიერებითა.

და შეწევნითა სამნაწილისა ჯუარისა ძელისა ცხოვრებისათა, რომელსა ზედა განკუართულ იქმნა უფალი ჩუენი ი ე ს ო ქ რ ი ს ტ ე და განიპყრნა უხრწნელნი მკლავნი თუისნი მასზედა ხსნისა და ცხოვრებისათ- 35 ვის ჩუენისა.

ძლიერნო და შემწენო ბანაკთა უსხეულოთა და უნივთოთა მწყობრთა- ნო, ცხრა არვეთა და ცხრათავე დასთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა- ნო, რომელნი მსთავრობთ ბევრის ბევრეულთა ძალთა ზედა და დიდთა მათ ერისთავთა მ ი ქ ა ი ლ და გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ა თ ა ; შეწევნითა და ძლიერ- 40 ებითა სიტყუისა ღ(მრ)თისა, მქადაგებელსა ებანსა, ჳმა შვენიერსა წინას- წარმეტყუელთა ბეჭედსა, ქადაგსა სინანულისასა, სანთელსა მზისა მის სიმართლისასა, ნაშობთა ყოველთა უზეშთ[ა]ეს[თ]ა, ახალსა ე ლ ი ა ს ა , რომელმან აღიმღერნა არა[სა]მოთ დედისათა, და გუიჩვენა [...] ტარიგი

ლ(მრ)თისა დიდისა მის ქ რ ი ს ტ ე ს ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ლ ი ს ა ი { ო ვ } ა ნ ე ს ი თ ა . კუალად ძისა ზ ე ბ ე დ ე ს ი , ქნარისა მის ლ(მრ)თივ-შემზადებულისა ძესა მას ქუხილისასა მკერდსა ზედა მიყრდნობით ლ(მრ)თისა მძრახველისა, თუით ქალწულისა და ლ(მრ)თის-მეტყუელისა და ყოველთა ქალწულთა უზეშთ[ა]ესისა ღრ(მრ)თისმშობლისა, ძედ ზედ[დ]ებულისა დიდისა ი [ო ვ] ა ნ ე ს ი თ ა .

5

თავდებობითა და შუამდგომლობითა სიღრმით სიბრძნისათა, მომნადირებელთა თხემისა ძის მის მოციქულისა პ ე ტ რ ე ს ი თ ა , რომელსა კლიტენი ერწმუნნეს სასუფეველისა [...] ცათასანი. სახსნილო ყოფა ცათა შინა და ქუეყანასა ზედა ყოველთა ცოდვილთა, და პ ა ვ ლ ე პირისა ქ რ ი ს ტ ე ს ი თ ა , რომელი აღიტაცა სამცამდე და ეწოდა კლდედ სიმტკიცისად და განჰჳინა სახარება თუისი ვიდრე კიდემდე ცისად; და სხუანი მოციქულნი, რომელნი დაშურეს და მიმოდავლეს სოფლით-სოფლად, კერპნი და[ა]მწუნეს და წარმართთა სიბრძნისმეტყუელებანი დაადუმნეს, და ყოველნივე ქადაგად მადლისად დაადგინნეს.

10

15

მინდობითა და შუამდგომლობითა დიდ[თა წმიდათა] მათ მღრდელთ-მოძღუართათა: დიდისა ბ ა ს ი ლ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი ს ა , გ რ ი გ ო ლ ი ლ (მ რ) თ ი ს მ ე ტ ყ უ ე ლ ი ს ა , ი [ო ვ ა] ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა , ა თ ა ნ ა ს ი ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ი ე ლ ი ს ა , ნ ი კ ო ლ ო ზ მ ი რ ო ნ ქ ა - ლ ა ქ ე ლ ი ს ა და საკუირველთმოქმედისა და სხუათა მათ ყოვლად პ ა - ტიოსანთა მღრდელთმოძღუართათა, რომელთა იგი უსისხლო მსხურპლი აღავლინეს ზეცად მიმართ და კადნიერად მეოხ არიან წინაშე მეუფისა, რომელნი შევრდომით მთხოველ-მვედრებელი არიან მათდა მიმართ, და კუ-ლადაც შემწეთა მწნეთა მწედართათა, დიდისა მწნისა გ ი ო რ გ ი ს ი თ ა , დიდისა დ ი მ ი ტ რ ი ს ი თ ა , დიდითა მათ თ ე ვ დ ო რ ე და თ ე ვ დ ო - რ ი ს ი თ ა , დიდისა ე ვ ს ტ ა თ ი ს ი თ ა , და სხუათა მათ ლ(მრ)თისა სათნოთა მწედართათა, რომელთამე მკუდარნი სიტყუითა აღადგინეს, გუელნი, ვეშაპნი და ღრიანკალნი შემუსრნეს, კერპნი შერისხვით დაჰკუეთნეს ბრძოლათა შინა მძლედ ბარბაროზთა გამოჩნდეს და წამებისა გკრგვინითა [...] სრულ იქმნეს; და თანაშემწედ გუაქუს უძლეველი ძალი მათი და ღირს-თა და ყოვლად სანატრელთა დედათა და ქალწულთათა: დიდისა ა ნ ა ნ ა , [...] დედის დედისა ლ(მრ)თისათა ე ლ ი ს ა ბ ე დ , რომელმან შუანაშობთა ყოველთა უზეშთ[ა]ესისა ს ა ლ ო მ ე ლ(მრ)თის ძმისა შობილისათა და თ ე კ - ლ ა , ი რ ი ნ ა , მ ა რ ი ნ ა , ბ ა რ ბ ა რ ა და ე კ ა ტ ე რ ი ნ ა ს ი თ ა ; და კრებულთა წინასწარმეტყუელთათა, წმიდათა მღრდელთმოძღუართა და მღრდელთათა, ბანაკთა მათათა და განწყობილთა წმიდათა დედათა, ყოველთა დაყუდებით მდგომარეთა, მესუეტეთა, მეუდაბნოეთა; და რ { ა } ოდენნი ს[ა]თნო ეყუნეს უფალსა ჩუენსა ი ე ს ო ქ რ ი ს ტ ე ს ა და კულა-დაცა სათნო ყოფად არიან.

20

25

30

35

ამათითა თავდებობითა, მინდობითა, შუამდგომლობითა და თანა შემწეობითა, ესე ა გ ა რ ა კ ი შეწირულობისა მტკიცე და შეუც[ვ]ალებელი [...] წიგნი და სიგელი [გ]კადრეთ და მოგახსენეთ ჩუენ, ი ე ს ე ა ნ , და ვ - თ ი ა ნ , ს ო ლ ო მ ო ნ ი ა ნ , ბ ა გ რ ა ტ ო ნ ი ა ნ მ ა ნ , ნებითა ლ(მრ)

40

თისათა, თქუენ, ძლით მპყრობელმან მეფობისა და შარ[ა]ვანდედობისამან მეფეთ-მეფემან, ჴელმნიფემან პატრონმან როსტომ, და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთა-დედოფალმან, პატრონმან მარიამ, და ძეთა ჩუენთა, პირმშომან პატრონმან ლუარსაბ, შენ, საშინელსა და ყოვლად შესაძრწუნებელსა, მცველ-მფარველსა ჩუენსა, ღ(მრ)თივ-აღმართებულსა საყდარსა სუეტსა ცხოველსა, კუართსა საუფლოსა, მროონსა ღ(მერ)თ[მ]ყოფ[ე]ლსა, რომელი ნათობ და გა[ა]ნათლებსა ნახებსა ქართველთასა, რომელი აღშენებულ იქმენ დიდისა და ჴმა-აღმატებით სახელ განთქმულისა ვახტანგ გორგასლისა მიერ, რომელმან დიდისა სურვილითა და გულსმოდგინებითა აღგაშენა, და ყოველთა საქართუელთა საყდართა, მთავარებისკოპოზთა, მიტრაპოლიტთა, ევისკოპოზთა, მეფეთა და ყოველთა ქართველთა მაკურთხეველად განგაჩინა ტახტად და სალოცველად, და სასაფლაოდ თავისად დაგიჭირა, და მის ქვემოთ ჩამომავალთა მეფეთა – ყოველთა ინებეს შემატება და შემკობა თქუენი და ყოველთა სოფლებითა და აგარაკებითა განგასრულეს. ანე, ჩუენც ვინებეთ და ვიგულისმოდგინეთ, რათამცა მცირითა რათმე გუემსახურა პატიოსნისა და ცათა მობაძავისა საყდრისა თქუენისათვის და სასაფლაოსა ჩუენისათვის.

გკადრეთ და მოგახსენეთ და შემოგწირეთ სომხითს, ტალავრის ჴევედ, სოფელი დარბაზი, ყოვლის კაცის უმკვდრო და უცილებელი, მას ჟამსა, ოდეს კურთხეული გურიელი [ს] შვ[ი]ლი ჩუენს სახლში შვილად ჩუენად იზრდებოდა და მი[ი]ცვალა. და თქუენს ტაძარს მოვასვენეთ და ჩუენს სასაფლაოში დაემარხეთ დიდის პატივითა. და სოფელიც ესე დარბაზი შემოგწირეთ მისითა სამართლიანითა, მითითა, ბართა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენაწითა, სათიბითა, ზემოთ ქარატაკამდი ქუემოთ მამხუტამდი, უნაკლულოდ და შემოუცილებრად ყოველთა ძეთა კაცთაგან. ამ საქმითა და ამ წესით შემოგვიწირავსა და მცირედი ალაპი დაგვიდებია კურთხეულის ჩუენის შვილის ოტიას სულისათვის, ასრე რომე, იანვარს ოცდახუთსა, გრიგოლ ღ(მრ)თისმეტყუელის დღესა, კათალიკოზი მისის კრებულითა ჟამსა სწირევდეს და მის კრებულთა.

და ვინცა-ვინ მაშინ მცხეთას დაესწრებოდეს ანუ მონაზონი, ანუ გლახა და ღარიბი პურსა აჭმევდეს, და დარბაზულის მალისაგან ერთსა თუმანსა შუა გაჰყოფდეს, კათალიკოზი ნახევარს თუმანსა. ვინც მისი კრებულ[ითგან] ჟამსა სწირევდეს, იმას გაუყოფდეს და ნახევარი თუმნითა სანთელი, საკმელი და ზეთი ისყიდებოდეს დეკანოზ-კანდელაკისაგან და მის საფლაოზედ დაინოდეს ყოველს წელიწადსა. და არ და[ა]კლონ და სხუა დარბაზული მალი, პური, ღუინო, საწორცე და რაცრაფერი გამოსაღები და სამსახური და ან სამუშაო იყოს, ყუელა კათალიკოზს ვითაც ენებოს, აგრე ამსახუროს თავის საყდარსა. ვინ იცის და კათალიკოზი იმ დღეს მცხეთას არ დაესწრას, მისი კრებული სწირევდეს და სხუას დღეს, როდისაც მოიცალოს მაშინ სწირევდეს და კათალიკოზი ნუ დააკლებს.

ანე, ვინცა ნახოთ სიგელი და ბძანება ესე ჩუენი შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა, დედოფალთა სახლისა ჩუენისა განმგეთა ვაზირთა, დივანთა, მნიგნობართა და ყოველთავე კარით ჩუენით წარვლენილთა მოსაქმეთა და საქმის მოქმედთა, დიდთა და მცირეთა – ერთობილთა, დაუმტკიცეთ და ნუვინ უშალავთ მტკიცედ ბრძანებულსა ამას, ჩუენსა თუინიერ სიმტკიცისა და თანადგომისაგან კიდე.

5

ანე, ვინცა და რამანცა ა და მ ი ს მონათესავემან გუარმან კაცმან, მეფემან ანუ დედოფალმან, ანუ სამლდელოთა მწყობრთაგანმან: ებისკოპოზმან, წინამძღვარმან, მღრდელმან და დიაკონმან, ანუ თუ დიდებულმან თავადმან, აზნაურმან და მსოფლიონთა კაცთაგამან, ანუ თუ დედათაგამან ვინმე: დიდმან, ანუ მცირემან, გინა თუ სჯულის გარდამავალმან სარკინოზმან, მწუალებელმან და ანუ სხუათა სჯულის მაცელობელთა, ჯურისა და ხატთა მბრძოლთა და არა თაყუანისმცემელთაგანმან ვინმე, ამა ჩუენგან მტკიცედ და შეუცვალებელად შეწირულისა ა გ ა რ ა კ ი ს ა წ[ი]გნისა და სიგლისა ამის ჳელყოს შლად, ქცევად და შეცვალებლად, შერისხდი შენ, ლ(მერ)თო დაუსაბამოვ, მამაო, ძეო და სულო წმიდაო! და შენ, უმეტესად ზემთა აღმატებულო წმიდაო ლ(მრ)თისმშობელო, მარადის ქალწულო მ ა რ ი ა მ !

10

15

და კუალადცა, რომლისა არს ქარტა და სიგელი ესე, საყდარო და ხატო ლ(მრ)თივ-აღმართებულო კუართო საუფლოვ, მირონ-ლ(მერ)თ-[მ]ყოფ[ე]ლო, იძიე შური მისგან: და აღმოფხუარი თესლითი თესლად, ძირი მისი კრულმცა არს. ბრძანებითა მით ჳმითა საუფლოთა ცათა შინა ზე, და ქუეყანასა ზედა ქუე, სული და ჳორცი მისი, მკუდარი და ცოცხალი მისი, დაჯდომა და აღდგომა მისი, სმა და ჳამა მისი, სავარძელი და ცხედარი მისი, სამარე, სუდარი, ფიცარი და მიწა მისი, ნუცამცა გამო[ი]ღებს ორნატი ვენაწი და ხილი ნაყოფსა მის კაცისათუის, არა განზარდოს ქუეყანამან და მწუანეთა ველისათ ყოველივე ხუასტაგი და ოთხფერწი მისი და ყოველიმცა გაგებული მისი მოიშლების. კრულმცა არს ოთხთა პატრიაქთა მათთა, მიტროპოლიტთა, ებისკოპოზთა და ქორებისკოპოზთა და შუიდთა მათ კრებათაგან. შე-მცა-ედების კეთრი გ ე ზ ი ს ი , შიშთუილი ი უ და ს ი , მეხისტეხა დ ი ო ს კ ო რ ე ს ი , დანთქმა ფ ა რ ა ო ს ი , და თ ა ნ და ა ბ ი რ ო ნ ი ს ი . ნურარათამცა არს ხსნა სულისა მისისა ჯოჯოხეთით, ნ ი ს ტ ო რ , ო რ ო გ ი ნ ე , ე ვ ტ უ ი ქ ი , დ ი ო ს კ ო რ ე , ტ ი მ ო - თ ე , გ ა ი ა ნ ა ს , ი ვ ლ ი ა ნ ე , ი ა კ ო ბ , პ ე ტ რ ო ზ მ კ ა ნ რ ვ ა - ლ ი და ბ ა რ ს ა ნ ო ფ ე , ათთა ამათ რქათა* მწუალებელთანამცა არს ნანილი და სამკუიდრებელი მისი; მას ზედამცა იქმნების ჳმა იგი საშინელი, სისხლი მაგისი ჩუენზედა და შვილთა ჩუენთა ზედა; ქ რ ი ს ტ ე ს ჯუარის მცემელთა განმცემელსა ი უ და ს და მარცხნით ჯუარცმულისა ავაზაკისათანამცა დამკვდრებულ არს, მატლსა მას დაუძინებელსა და ცეცხლსა დაუშრეტელსა და ასდა მერვისა ფს[ა]ლმუნისა წყევა მას ზედამცა სრულ იქმნების, და ამა ზემონერილთა წმიდათაგან შეჩუენებულმცა არს და აღმოფხურულ ნათესავითი ნათესავადმდე; და დღესა მას დიდსა განსჯისასა

25

30

35

40

* ეს სიტყვა ჩამატებულია სტრიქონს ქვევით, - ს. კაკაბაძის შენიშვნა.

მარცხენითა მათამცა მდგომარე არს და ნურათამცა სინანულითა არს
ჯსნა და განკითხუა სულისა მისისა, ხოლო რომელმან დაამტკიცოს წიგნი
და სიგელი ესე და ესე ვითა პირისა წყევისა და შეჩუენებისაგან განარინოს
სული, ძენი და ნათესავნი თუისნი. და არა შეცვალოს შენირული და წიგნი
5 ესე და და[ამტკიცოს, ლ(მერ)თ(მან) აკურთხოს და წმიდამან ლ(მრ)თისმშო-
ბელმან და ს უ ე ტ მ ა ნ ც ხ ი ე ლ მ ა ნ ლ(მრ)თივ- აღმართებულმან ამინ.

დაინერამტკიცე და ყოვლად ყოვლითურთ და ყოველთაგან შეუცვალე-
ბელი, ბრძანება, წიგნი და სიგელი შენირულობისა ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლგ,
თებერვალს კე, ჴელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრის თ უ მ ა ნ ი -
10 შ უ ი ლ ი ს ბ ი რ თ ე ე ლ ი ს ი თ ა . ყოვლადვე ან და მარადის და უკუნი-
თი უკუნისამდე, ამინ.

ესრე სახედ შემოგწირეთ, ვითა რამედ საჩუენო სათხოვარი და გა-
მოსაღები არა ეთხოებოდეს-რა ამა ჩუენგან შემოწირულსა ს ო მ ხ ი თ ს
სოფელსა და რ ბ ა ზ ს ა , არა მალი, არა ღალა, არა კულუხი, არა საბა-
15 ლახე, არა კოდისპური, არა ულაყი, არა სატარუდო, არა სამელიქო, არა სა-
ჯინაბო, არა მერემამეთეგან და ვინგიდავინ კარითა ჩუენით წ[არვლენილნი
მოსაქმენი იყუნეთ. არავისგან არა ეთხოებოდეს-რა თუინიერ ლაშქარ-ნა-
დრობისაგან და სათათროსა საურისაგან კიდე. ესე ვითარითა შემოწირ-
ულობითა წიგნითა და სიგლითა ამით გკადრეთ, მოგახსენეთ და დაგიმტ-
20 კიცეთ ყოვლის ადამიანთაგან მოუშლელად და შემოუცილებლად

ხვეულად: რ ო ს ტ ო მ , მ ა რ ი ა მ

დედანს ესვა მსხლის ფორმის ბეჭედი ლეგენდით: ქ. ყაენის ფერჯთა
მტუერი, რ ო ს ტ ო მ მეფე ვამტკიცებ.

სხვა ხელით: ესე ბძანება ასრე გათავდეს და გაგვთავებია სატარუდო
საჩუენო სათხოვარი არა გაუვიდიდეს-რა.

ბეჭედი: ყ ა ფ ლ ა ნ

სხვა ხელით: ქ. აგრევე ოცდახუთს იანვარსა, ბატონიშვილის მიცვალეების
დღესა, ბატონი კათალიკოზი და მისი კრებული რომე ჟამსა სწირვენ, სან-
ირავსა და სანთელ-საკმლისა საქმე რარიგაცა ამ სიგელში სწერია, ისრე უნდა
დაიხარჯოს. და იმას გარდაის, კრებულთა, და რაც კაცი იმ დღეს დაესწრე-
ბოდეს, იმათს სასმელსა და საქმელზედ უნდა ზემონი. კათალიკოზი და რ ბ ა -
ზ ი და ღ მ ა დახარჯევდეს ძროხას სამსა, ცხვარსა ათსა, ღვინოს საპალნეს
სამსა, პურსა საპალნეს სამსა, თევზი საუწყაო და მარილი, რაც მოუნდეს არა-
ოდეს და[აკლდეს.

ხვეულად: კ[ათალიკო]ზი ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე

ქ. ჩუენ, ქრისტეს ლ(მრ)თისა მიერ კურთხევით კურთხეულმან ქ ა რ თ -
ლ ი ს ა კათალიკოზმან პატრონმან ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე , და ყოვლითა ჩემთა
სამწყოთა ებისკოპოზთა, დაგვმტკიცებია სიგელი ესე. და ამისი მომშლელი შე-
ჩუენებულ, კრულ და წყუელ იყოს, ამინ.

ანე, ვინცა შემდგომად ჩუენსა სხვათა კათალიკოზთაგან ანუ საყ-
დრისშვლთაგან ესე წირვა და მცირე ალაპი მოშალოს და დააკლოს, შერისხ-

დი შენ, დაუსაბამო ლ(მერ)თო, მამაო, და ძეო, და სულო წმიდაო, ამინ. უკუეთუ კათალიკოზმან მოშალოს, შენ იგი მოშალე მის რჯულისა და სახისაგან. უკუეთუ [ვინმე] საყდრისშვილმან მოშალოს, ანუ დეკანოზმან, ანუ კანდელაკმან, ანუ სხვათა თორმეტ მოწილეთაგანმან ამისი დამტკიცება არა ინებოს, მათზედამცა დამტკიცდების წყევა იგი მეასდ[ა]რვე ფსალმუნისა. და ყოელიმცა მისი გაგებული მოიშლების და წყევასამცა ქუეშე არიან, ამინ. და ამისი შემწენი და დამამტკიცებელი ლ(მერ)თ(მა)ნ აკურთხენეს და წმიდამან ს ვ ე ტ მ ა ნ ც ხ ო ე ლ მ ა ნ და წმიდამან ლ(მრ)თისმშობელმან ამინ, ამინ და ამინ.

ხვეულად: კ(ათალიკო)ზი ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე

მქრქალად : ქ. ეს ბრძანება ასრე გათავდეს. და ჩვენც სამელიქო ასრე გვიტარხნებია, რომე ჩვენგან არა ეთხოვბოდეს-რა საჩვენო სათხოვარი. და რ ბ [ა ზ] ს არასფერისთანა სამელიქო სათხოვარი არ ეთხოვბოდეს.

სხვა ხელით: ქ ჩვენ, ს ო მ ხ ი თ ი ს მელიქ ა ვ თ ა ნ დ ი ლ , გავშინჯე და და რ ბ ა ზ ე ლ თ ა პაპის ჩვენის სამელიქოს სათარხნე ქო[ნ]და. ჩვენცა ქ ა რ - თ ლ ი ს კათალიკოზსა დ ი ა ს [ა] მ ი ძ ე ს პატივი დავდევით და და რ ბ ა ზ ი ჩვენის სამელიქოსაგან ასე ვითარხნეთ, რომე, საჩვენო გამოსაღები არაფერითან არა ეთხოვბედეს-რა. ქ(ორონი)კ(ონ)ს ტოზ.

დედანს ესვა ბეჭედი სპარსული წარწერით.

145

1645 წ. შეწირულების განახლების წიგნი ორბელთა მეფისა ნიტრიის მონასტრისაღმ

დე დ ა ნ ი : სეა, 1448-5008 ბ; მაღალი ხარისხის ეტრატის გრაგნილი, დახვეული სპეციალურ ჯოხზე; ოთხი, ერთმანეთზე წითელი და შავი აბრეშუმის ძაფებით გადაკერებული კეფი; საერთო ზომა: 208, IX23 სმ; მხედრული; მუქი ყავისფერი მელანი, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტლბ(333), რაც გავძლევს 1645 წელს.

გ ა მ ო ც ე მ ა : თაყაიშვილი, 1910: №156; გვ. 129-131.

დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი თუმანისშვილი ბირთველი.

ქ. სახელითა სახიერისა, არსება-დაუსაბამოსა და დაუსრულებელისა, |² {და}უსაბამოსა, უხილავისა, უსაზღვროსა.

ეჰა, შენ, ა და მ დაცემუ|³ლისა აღმართებო და ე ვ ა ს წყევისა და მწუხარებისა სიხა|⁴რულად შემცვალებლო, ტომობით ასულო ა და მ ი ს |⁵ო , დედაო ლ(მრ)თისაო, რომელი ჳსნისათვის ჩუენისა |⁶წყალობით აღიძარ!

ძლიერებითა ცხოველსმყოფელის|⁷ა პატიოსნისა ჯუარისათა, რომელსა ზედა განიპყრა უხრნნ|⁸ელნი მკლავნი თუისნი წმიდათა უწორცოთა

ზეცისა ძალთა, ანგ⁹ელოზთა, მთავარანგელოზთა მიქაელ და გაბრიელისათა, |¹⁰ წმიდისა წინასწარმეტყუელისა, წინამორბედისა და¹¹ ნათლისმცემელისა იოვანესითა და იოვანექალწუ¹²ლ-მახარებელისათა; წმიდათა მღვდელთმოდვართა, მონამეთა, |¹³ მოციქულთა და ყოველთა წმიდათა ლ(მრ)თისა.

თავსმდებობ¹⁴ითა, მინდობითა და შუამდგომელობითა, ჩუენ, ლ(მრ)თივ-გუირგუი¹⁵ნოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ, და თანა¹⁶მემცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ დედოფალმან, პატრონმან მარ¹⁷იამ, ასულმან და დიანისმან, და სასურველმან ძემან ჩუენმან, |¹⁸ პატრონმან ლოვარსაბ, ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ, გკადრ¹⁹ეთ და მოგახსენეთ შენ, საშინელსა და თვალთშეუდგამსა იტრიას²⁰სიონთა ლ(მრ)თისმშობელსა და მას შინა დამყარებულსა ხატსამ²¹იძინებისასა, მრავალწაწილსა და სასწაულთმოქმედსა და ე²²ლვა-კრთომით განბრწყინებულსა.

შემოგწირეთ მცირე და |²³ უნდო ესე შესანირავი: სურამს ზეით ჩუმათელ იძებნი, ასრე და |²⁴ ამა პირსა ზედა, რომე, ძველითგანვე მეფე გიორგისაგან ორი კუა²⁵მლი შემოწირული იყო და ახლას ჩუმათელეთი ჩუენ შემო²⁶გწირეთ სულა უკლებლად: მითთა, ბართთა, წყლითა, წისქვე²⁷ილითა, ტყითა, მინდვრითა, საძებრითა და უძებრითა, შესავლ²⁸ითა და გამოსავლითა, ბიჯნისის საკალმახემდის, ფონის სამ²⁹ძღვრამდი, ქუემ(ო) საყდრამდი; მთისა და ბარის სანადირო, ნ³⁰ყლის სანადირო. ასე რომე, რაც ამ სამძღვრებში საკალმახე |³¹ ჴევი ჩამოდის, ისიც ასერიგად შემოგვწინრავს, რომე, ვერც ჩუენმან³² მეზადურმა ინადიროს, არამთუ სხვამ კაცმან თქუენად უკითხვად ვე³³რცა-ვინ დაგიწოს.

ვინცა ამ სამძღვარში ნადირი მოკლას, მის ს³⁴აუფლოსაც თქვენ მოგართვემდენ, არც ციხისთავს და არც სხვას³⁵ კაცს ჴელი არა ჰქონდეს. და რაც ანიმერეთისაკე, მთას იქით და³⁶ მთას აქეთ საკალმახე ჴევები იყოს თქუენ სამხრით, ყუელგან თ³⁷ქუენ ინადირებდეთ, რომე ვერავინ დაგიშალოს. ესე³⁸ქეზი ყოველივე³⁸ ამ წესით გუიბოძებია და სიგლითა ამით დაგვიმტკიცებია. და შამოგვი³⁹წინრავს ყოველის კაცის უცილებლად და შემოუსარჩლელად.

და |⁴⁰ კიდევ ასრე გვითარხნებიხართ, რარიგაცა სხვა შენი ძველითგ⁴¹ან შემოწირული მამული არის, მის მეტი არც არა თქუენ გ⁴²ეთხოვებოდეს-რა დღეთა ჩუენთა წარსამართებლად და მეფობ⁴³ისა ჩუენისა დასამტკიცებელად.

ანე, ვინცა და რამანცა ადა |⁴⁴მის მონათესავემა კაცმან, დიდმან და ანუ მცირემან, მეფემა⁴⁵{ნ}, ანუ დედოფალმან, ანუ უფლისწულმან, ვეზირმან, ანუ კა⁴⁶რისკაცმან თუ კაცთაგანმან მოშალოს, იგიმცა კაცი არს, |⁴⁷ რომელმან მაცხოვარს ჯუარცმულსა გვერდს ლახვარი ჰქრ⁴⁸ა; თუ დედაკაცმან მოშალოს, იგიმცა დედაკაცი არს, რომე⁴⁹ლმანი იოვანე ნათლისმცემელს თავი მოჰკუეთა.

და კუალად⁵⁰ მასვე სიტყუასა ვინყებ, ვითარმედ, რომელმანცა რჯუ-

ლმან კაც^{|51}მან ესე ჩუენგან სასობით და სიმართლით შენირული მამუ-
 ლ^{|52}ი იტრისას სიონთა ღ(მრ)თის მშობელს გამოსწიროს
 და მოუშალოს, ^{|53} იგიმცა შეიშლების რჯულისა ქრისტიანობისაგან,
 რის^{|54}ხავსმცა დაუსრულებელი ღ(მერ)თი, მამა, ძე და სული წმიდა და^{|55}ყ-
 ოველნი წმიდანი ღ(მრ)თისანი, ზეცისა და ქვეყანისანი, ჯორც^{|56}იელნი
 და უჯორცონი და ესე ზემო წერილნი ყოველნივე. შე-^{|57}მცა-ედების კეთ-
 რი გ ე ზ ი ს ი , შიშთვილი ი უ და ს ი , მეხისტეხა^{|58} დ ი ო ს კ ო რ ე ს ი ,
 დანთქმა და თ ა ნ და ა ბ ი რ ო ნ ი ს ი . ნურარამცა ^{|59} სინანულითა ნუ
 არს ჴსნა სულისა მისისა, ნუცა ი ე რ ^{|60} უ ს ა ლ ი მ ს ნასვლითა, ნუცა
 გლახაკთ მიცემითა, ნუცა ლოცვი^{|61}თა და მარხვითა. ჩუენად ნაცვლადმცა
 იგი განიკითხვის^{|62} მას მეორ^{|62}ედ მოსვლასა{ა}. მარცხენითა მათ რჩეულ-
 თან{ა}მცა იქმნების^{|63} ნანილი და სამკუიდრებელი მისი; მას ზედამცა
 დაესრულების ნყ^{|64}ევა იგი მესადარვისა ფსალმუნისა, რომელ არს: „ღ(მერ)
 თო, ^{|65} ქებასა ჩემსა ნუ დაიდუმებ ვიდრე, რათა იჴსნას მდევართაგა^{|66}
 სული ჩემი*“. უკეთუ თ ა თ ა რ თ ა გ ა ნ მ ა ნ ვინმე მოშალოს, იგი^{|67}მცა
 შეიშლების მ ო ჰ ა მ ა დ ი ს ა და უ ს ე ი ნ ი ს რჯულისაგან; მ ა ^{|68} მ ა -
 დ ი ნ ი ს ა და მ უ ს ე ფ ი ს ა ა მ ც ა დამქცევი იქმნების. მასმცა რის^{|69}[ხა]
 ვს მ უ რ თ უ ზ ა ლ ი და ყოველნივე მათნი ფ ე ლ ა მ ბ ა რ ნ ი , ხოლო ^{|70}
 გამთავენი და დამამტკიცებელნი ამისნი ღ(მერ)თ(მან) დაიცვას ო^{|71}რსავე
 ცხორებასა შინა კიდე.

დაინერა ნიშანი და ბრძა^{|72}ნება ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლგ, ჴელითა
 კარისა ჩუენისა^{|73} მდივან-მნიგნობრისა თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ -
 ვ [ე ლ ი ს ი თ ა] .

ხელრთვები:

^{|74} რ ო ს ტ ო მ , მ ა რ ი ა მ , ლ უ ა რ ს ა ბ

კომენტარი:

დოკუმენტი ყურადღებას იქცევს ბრალთაგადამხდელიობის არასტე-
 რეოტიპული ფორმულებით. ქართული იურიდიული საბუთების წყვეის
 ფორმულებისათვის რამდენადმე უჩვეულოა მოცემულ საბუთში შეწირ-
 ულების დამრღვევი პირის გაიგივება მაცხოვრისთვის ღმერთის მკვრელ
 ადამიანთან, ხოლო დედაკაცისა – იოანე ნათლისმცემლის თავის მომ-
 კვეთთან, იგულისხმება პეროღია და მისი ასული სალომეა, რომელთა
 მოთხოვნითაც მეფე პეროღემ თავი მოჰკვეთა ნათლისმცემელს.

საბუთში ბრალი მოეთხოვება უცხო რჯულის (თათარი) დამრღვევსაც.
 ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც დოკუმენტში სასჯელი გათ-
 ვალისწინებულია მუსლიმი დამარღვევის მიმართ, რომელიც შეჩვენ-
 ებულია ისლამური საღვთისმეტყველო ფორმულებით. საბუთი ზედმი-
 წვენით ზუსტად ახასიათებს მოცემული პერიოდის ქართლის სამეფოს
 ყოფას, როდესაც რეალობად იყო ქცეული ქრისტიანული და ისლამუ-
 რი რელიგიების თანაცხოვრება.

* ფსალმ. 108: 1,31.

**1645 წ. შვიდრულების წიგნი როსტომ მეფისა
სვეტიცხოვლისადმი**

დ ე დ ა ნ ი : სეა, 1448-1035; ღია ნაცრისფერი სქელი ქაღალდი; 49,2X27,2 სმ.; მხედრული; შავი ფერის მეღანი; განკვეთილობის ნიშანი: ორი და სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: გაცრეცილია, ამოხეულია რამდენიმე ადგილას. დაკრულია სარესტავრაციო ქაღალდზე. ტექსტის ზედა აშიაზე. წითელი მეღნით მიწერილია სვეტიცხოვლის საბუთების ძველი (XVII ს-ის მეორე ნახევარში მინიჭებული) საარქივო ნომერი ობ (72). ქვემოთ მიწერილია XVIII საუკუნეში დასმული ნომერი – რკე (125).

თ ა რ ი ღ ი : ქორონიკონი ტლზ (333), რაც უდრის 1645 წელს.

პ ი რ ე ბ ი : სპბაი, H 13-6, 11 a-12 a; H-2752, 12r-13r.

გ ა მ ო ც ე მ ა : akak, 1866: 18

ქ. ნებითა და შენეენითა ღ(მრ)თისითა, ჩუენ მეფეთ-მეფემან, |²ველმნიფემან პატრონმან როსტომ, და თანამეც|³ხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან პატ|⁴რონმან მარია მ, და ძეთა ჩუენთა პატრონმან ლუარსაბ, |⁵ვიგულებთ და ვიგულსმოდგინეთ, [გ]კადრეთ და მოგახს|⁶ენეთ თქუენ, ცათა მობაძავსა, საყდარსა სუეტსა ც|⁷ხ-ოველსა, კუართსა საუფლოსა, მირონსა ღ(მერ)-მე|⁸ოფელსა. მას ჟამსა, ოდეს ჟამთა ვითარებისაგან |⁹სამცხი დამდე ანყურისა ღმრთისმშობლის საყმ|¹⁰ო აზნაურიშვილი და გლეხი ჩუენს საბატონო-¹¹ში ჩამოსულიყვნეს და ღოღეთს დაესახლებინათ, და |¹²რაც ხატი და ჯვარი ყოფილიყო თქვენს ტაძარში დაე|¹³სვენებინათ, და სამანყვერ-ლოს კაცს თქუენთუის |¹⁴ემსახურათ, და სხუას კაცს – არცამირე-ჯიბისნა|¹⁵თესავსა და არცაგრე რიგს ვისმე, ღალისმე|¹⁶ტსა საქმეზედ ღოღეთს ხელი ჰქონოდეს, და ამნესი|¹⁷თემსახუროს.

ვინ იცის, და სოფლის საქმე ასრე მო|¹⁸ხდეს, რამე სა[ა]თა-ბაგვიშვილოს ქრისტიანე მე|¹⁹პატრონე გაუჩნდეს და ანყურისა ღმრთისმშობ|²⁰ლის ჯუარი და ხატი თავის სამკვიდროზედ მისავე|²¹ნონ, და მათი ყმა ასაყრელად მოინდომონ, ვერავინ |²²დაუჭიროს. თუ არადა, სხვას კაცს ხელი არა ჰ|²³ქონდეს.

რუსიშვილი რუსი, სხუანი აზნაური|²⁴შვილნი და გლეხნი თქვენთვის სასამსახუროდ მოგვი|²⁵ხსენებია. ამას გარდაისად, რაც აგრე-რიგი საყდ|²⁶რის ყმას გარეთ ანუ აზნაურიშვილი და გლეხი |²⁷ესახლოს, ისინიც ისრევე მოუშლელად იყუნენ |²⁸და ნურცა სად დაიფანტვიან, ვითაც თქუენთვის ბეი|²⁹თალმნად დადებული იყო, და სხუას ერისკაცს არას ე|³⁰წელყო. და ისრევე თქუენ [გ]კადრეთ და მოგახსენეთ |³¹მოუშლელად.

ვინცა და რამანცა კაცმან, ანუ დიდმა |³²და ანუ მცირედმან, თუ არ ჩუენის ნებაყოფლობი|³³თა, მათსავ სამკვიდროზედ გაუშოთ, მას და გარეთ ვინ|³⁴ც ეს სიგელი მოშალოს, მასმცა რისჯავს დაუსა|³⁵ბამო ღ(მერ) თი და ყოველნი მისნი წმინდანი, ზეცისა და |³⁶ქუეყნისანი, ჯორციელნი და უჯორცონი.

და³⁷ინერა ნიშანი და ბ(რძანე)ბა ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლგ, ჴელითა
|³⁸ კარისა ჩუენისა მღივანმწიგნობრის თ უ მ ა ნ ი შ უ ი |³⁹ ლ ი ს ბ ი რ -
თ უ ე ლ ი ს ი თ ა .

ხელრთვა: რ ო ს ტ ო მ , მ ა რ ი ა მ

გვიანდელი მინაწერები:

რ ო ს ტ ო მ მეფისაგან, სიგელი ღოღეთისა.

მ ც ხ ე თ ი ს ა

147

**1645 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა
ბოქალთუხუცეს ელიზბარ დავითისშვილისადმი**

ძველი პ ი რ ი : ხეც, Sd-604; მოყვითალო ფერის ქაღალდი; თავნაკლუ-
ლი; ზომა: 28,5X16 სმ.; მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის
ნიშნები: სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; კიდევები გამაგრებუ-
ლია სარესტავრაციო ქაღალდით; საბუთის ნაკლული ტექსტი აღდგენილია
როსტომ მეფის სხვა საბუთებისა და კონტექსტის გათვალისწინებით.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტლბ (333), რაც უდრის 1645 წელს.

საბუთის დედნის და მ წ ე რ ი : სამეფო კარის მღივან-მწიგნობარი
ბირთველ თუმანიშვილი.

საბუთის გ ა დ ა მ წ ე რ ი : ბოქალთუხუცესი დავით [დავითისშვილი].

გ ა მ ო ც ე მ ა : თაყაიშვილი 1909: N 195, გვ. 236

[ქ. ნებითა და შენევნითა ღმრთისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან, ჴელმ-
ნიფემან პატრონმან რ ო ს ტ ო მ , და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედო-
ფალთ-დედოფალმან, პატრონ[მან] |² მ ა რ ი ა მ , ესე უკუნისამდი ჟამთა
და ხანთა გასათავებელი წყალობისა ნ[ი]გნი [და] |³ ნიშანი შეგინყალეთ და
გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერდგულთა, [ნესი] |⁴ სებრივ მრავალფერად თავ- 5
დადებით ნამსახურთა ყმათა: და ვ ი თ ი [ს შ ვ ი ლ ს], |⁵ ბოქალთუხუ-
ცეს ე ლ ი ზ ბ ა რ ს , შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენ[ნ] |⁶ ისათა,
ყოველთაჲვე.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და მამული[სა] |⁷ წყალობას გუეა-
ჯენით, ჩვენცა ვისმინეთ, ვიგულსმოდგინეთ [მო] |⁸ სსენება თქვენი, შეგი- 10
წყალეთ და გიბოძეთ ს ო მ ხ ი თ ს სოფელი [-]ო[---], |⁹ მისის მაზრითა,
სამართლიანის საქმითა, მთითა და ბარითა, წყ[ლითა] |¹⁰ და წისქუილითა,
ველითა და ვენაჯითა, შენითა და ოჯერითა, |¹¹ საჭმრითა და უჭმარითა, სა-
ძებრითა და უძებრითა, შესავალითა და |¹² გასავლითა, ყოვლის საქმით
და სამძღრითა. თქვენთვის და თქვენთა |¹³ შვილთათვის გუიბოძებია 15
სამკუიდროდ და საბოლოოჲდ.

გქონდეს და გიბედ[დ] |¹⁴ ნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერდგულად სამ-
სახურსა შინა და არაოდეს ა[რ] |¹⁵ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდ-
გომად სხუათა მეფეთა და |¹⁶ მეპატრონეთაგან.

ანე, გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და |¹⁷ სხუანი მო-
საქმენო, ვინცა ვინ იყუნეთ და ანუ დღეის ნაღმა იქნე[ბო] |¹⁸ დეთ, თქვენ-
ცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამ ჩვენაგან ნანყ{ა}ლობევსა |¹⁹ სიგელსა
შინა ეწეროს. და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შ|²⁰ე{ე}ცილებით, თუნიერ
შენვენისა და თანადგომისაგან კიდე.

თუ |²¹ სხუა ამისი მამულის წიგნი და ნიშანი გამოაჩნდეს, სიგლ[ი] | -
²²თა ამითა გაგუ{ი}ცუდებია და მტკიცე ესე ოდენი არის.

დაინერა ბძ|²³ანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კო(ნ)სა ტლგ (333), ჴელითა
კარისა ჩვენისა მდ|²⁴ივანმწიგნობრის თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ ვ -
ე ლ ი ს ი თ ა .

საბუთს ბოლოში მოსდევს ტექსტის ხელით დაწერილი ვრცელი მინაწერი:
ქ. ეს მუსავადა თვითონ მე, და ვ ი თ , და ვნერე და ამისი დედანი რ ო ს -
ტ ო მ ნეფისგან ნაბოძები, აქა მე მაქს. | და რაც ამა მუსავადაში სწერია, ამა
მუსავადის დედანშიც, ასლშიაც ასრე სწერია. და თუ ამა | მუსავადში ერთი სი-
ტყვა თუ ტყუილათ დამწეროს, ჯერ ვიყო ღ(მრ)თის შემცოდე. და [ე]გებ[ის]
| მაგა ბატონმან თვისის თავის ფიცი და დაფიცება არა დამიჯეროს, და ამა
ე რ ა ნ ი ს ჴელმწ[იფის] | ნასოფი ნაყაზი ვიყო, მე ამა მუსავადაში თუ მე ტყუ-
ილით რამე დამწეროს რამე. | და თუ იყ{ა}ბულებს და დაიჯერებს, კარგი წყ-
ალობა იქნებ{ი}ს. და თუ [არადა] არა იყაბ[უ]ლებს, კარგ{ა}თ იყოს, ბატონის
წყრომას და ღ(მრ)თის წყრომას რა გ{ა}ენყოფის?

ოთხკუთხა ბეჭედი ლეგენდით:

[ბოქა]უ|ლთ{უ}ხუც|ესი|[და]ვ[ი]თ .

მრგვალი ბეჭდის გრაფიკული მონახაზი ლეგენდით: ნეფე | რ ო ს ტ ო მ

მრგვალი ბეჭდის გრაფიკული მონახაზი ლეგენდით: დედ|ოფა|ლი
[მ ა რ ი ა მ] .

verso-ზე XIX საუკუნის მინაწერი:

შავი ფანქრით: როსტომ მეფის წყალობის წიგნი 1645. გადანერილია.

148

1645 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა იასონ დოლენჯიშვილისადმი

პ ი რ ი : სეა, 1450-38/44; ცისფერი ქაღალდი. გატარებულია რუსული
მმართველობის რეგისტრაციაში 1823 წელს.

თ ა რ ი ღ ი : ქორონიკონი ტლზ (333), რაც უდრის 1645 წელს.

[ქ.] ნებითა და შენვენითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, მეფეთ-მეფემან, ჴელმ-
წიფემან პატრონმან რ ო ს ტ ო მ , და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედო-
ფალთ-დედოფალმან პატრონმან მ ა რ ი ა მ , პირმშოთა და ძეთა ჩვენთა,

პატრონმა ლ უ ა რ ს ა ბ , ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი მტკიცე და უცვალებელი საკმვიდრო და საბოლოო წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და წესისებრივ მრავალფერად თავდადებით [წამსახურთა ყმათა: დ ო ლ ე ნ ჯ ი შ ვ ი ლ თ ა ი ა - ს ო ნ ს , ძმათა თქვენთა დ უ რ მ ი შ ხ ა ნ ს , ნ ი კ ო ლ ო ზ ს , შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე. 5

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და მამულის წყალობას გვეაჯენით, ჩვენცა ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ [და] ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგინყალეთ და გიბოძეთ ამოვარდნილის ბ ა რ ა თ - ა შ ვ ი ლ ი ს მ ე ლ ქ ი ს ე დ ე გ ი ს ა და ჩვენის მოღალატის რ ე ვ ა ზ ი ს კერძი ა კ ა უ რ თ ა , ყოვლის მისის სამართლიანი საქმითა: მითთა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა და ვენახითა, შენითა და ოხერიითა, საძებრითა და უძებრითა, შესავლითა და გასავლითა, საჯმრითა და უჯმრითა. ყოვლითურთ თქვენთვის და თქვენთა შვილთათვის გვიბოძებია სამკვიდროდ და საბოლოოდ. 15

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა და არაოდის არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად სხვათა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

ანე, გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, ვინცა-ვინ იყვნეთ, და ანუ დღეის წალმა იქნებოდეთ, თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შეეცილებით თვინიერ შეწევნისა და თანადგმოსაგან კიდე. 20

დაიწერა ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლგ, ჴელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის, თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ ვ ე ლ - ი ს ი თ ა . ამ წესით გვიბოძებია, რომე, სადამდინ მ ე ლ ქ ი ს ე დ ე გ ი ს ცოლყოფილი გათხოვდებოდეს, მინამდი იმ მამულით ხელი ემართებოდის. 25

დედანს ესვა ბეჭედი: რ ო ს ტ ო მ

გვიანდელი დამტკიცებები:

რარიგათაც რ ო ს ტ ო მ მეფისაგან ნაწყალობევის ა კ ა უ რ თ ი ს წყალობა [გ]ქონიათ, ი ო თ ა მ ი შ ვ ი ლ ე ბ [ი] ს კერძის გარდა, ის ჩვენც იმავე წესით გვიბოძებია. ქ(ორონი)კ(ონ)ს ტოა (1683).

დედანს ესვა [გიორგი XI-ის] ბეჭედი.

ჩვენ, ბატონიშვილმან, საქართველოს გამგებელმა, ბრძანება, რარიგათაც ხელმწიფის ბრძანება, დაგვიმტკიცებია. ქ(ორონი)კ(ონ)ს უ (1712)

დედანს ესვა [ვ ა ხ ტ ა ნ გ ბატონიშვილის] ბეჭედი.

[1645-1652 წწ.] პირობის წიგნი როსტომ მეფისა
საბრალ პაპუნა ციციშვილისადმი

დედანი: ხეც, Hd-791; ღია ნაცრისფერი ქაღალდი; ზომა: 42X19,3 სმ; შავის ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშნებად გამოყენებულია ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

საბუთი უთარიღოა. თარიღდება როსტომ მეფის შვილობილის, ლუარსაბის ბატონიშვილობის წლებით – 1645-1652.

ქ. სახელითა არსება-დაუსაბამოსა, დაუსრულებელ²ისა ლ(მრ)თისა მამისა, ძისა და სულისა წმინდისათა; თა³ვდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა ყოვლ⁴ად წმიდისა, უხრწნელისა და უმეტესად კურ⁵თხეულისა, დედოფლისა ჩუენისა ლ(მრ)თისმშობლისა |⁶ და მარადის ქალწულის მარია მისითა; ძლიერებითა ც⁷ხოველსყოფელის ჯუარისათა, რომელსა ზედან გან⁸იპყრნა პატოსანი და უხრწნელნი მკლავნი თ⁹ვისნი ქრისტე მან, ლ(მერ)თ(მან) ჩუენმან, ხსნისა ჩუენისათა; |¹⁰ამათისა თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობ¹¹ითა წმიდათა ზეცისა ძალთა ანგელოზთა და მთავ¹²არანგელოზთა: მიქაილ და გაბრიელი სითა, წმიდ¹³ისა წინასწარმეტყუელისა, წინამორბედისა, ნათლი¹⁴სმცემელისა იოვანესითა და იოვანე ქალწუ¹⁵ლ-მახარებელისათა.

ამა ყოველთა წმიდათა ლ(მრ)თისა¹⁶თა, ზეცისა და ქუეყანისათა, ჯორციელთა და |¹⁷უჯორცოთა თავდებობითა, მინდობითა და შუ¹⁸ამდგომელობითა ესე ფიცი, პირი და წიგნი გიბო¹⁹ძეთ ჩუენ, მეფეთ-მეფემან ჳელმწიფემან პატრონ²⁰მან როსტომ და სასურველმან ძემან ჩუენმან, პა²¹ტრონმან ლუარსაბ, თქუენ, ჩუენთა ერდგულთა |²² და თავდადებით ნამსახურთა ყმათა: ციციშვილ[ს], |²³სარდარს პატრონს პაპუნასა და შვილთა თქუე²⁴ნთა — ზაზასა და ზაქალს.

ასრე |²⁵ და ამა პირსა ზედან, რომე |²⁶ვინ იცის-და თქუენი ძმა ხონონათუ ამ ქუეყანას დაი²⁷ძლიოს სადმე, არას მიზეზისა და საქმისათუის არც |²⁸მამულს შემოგეცილოთ და არც ეს მოგიდ²⁹ვათ. თუ შენს სახლში მი³⁰ყუანე და ძმოზა უყ³⁰ავ, ამის გათავებისა თავდებად მოგვიცემია თავად ლ(მერ)³¹თი და ყოველნი მისნი წმიდანი, ზეცისა და ქუეყანისან³²ი.

საბუთს ბოლოში უზის როსტომ მეფისა და ლუარსაბ ბატონიშვილის ხელრთვები: როსტომ, ლუარსაბ.

გვიანდელი მინანური verso-ზე:

ხონონას უწილოდ გადგომის საფიცარი.

კომენტარი იხ. საბუთთან: 1450-51/79

**1646 წ. 10 თებერვალი. სახელოს წყალოვის წიგნი
როსტომ მეფისა სუზრან ბაინდურ ტიტულარპაშვილისადმი**

პირი: სეა, 1450-34/231; რუსული მმართველობის დაწესებულების პირების დავთარი. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1823 წელს.

თარიღი: ქორონიკონი ტლდ (334), თებერვლის ი, რაც უდრის 1646 წლის 2 თებერვალს.

[ქ.] ნებითა და შენეწენითა ღ(მერ)თისათა, ჩვენ მეფეთ-მეფემან, პატრონმან როსტომ, და ძემან ჩვენმან პატრონმან ლუარსაბ, ესე წყალობისა წიგნი გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ყმათა: ტეეტერაშვილს სუფრაქაშს ბაინდურს, ძმათა შენთა ყულიჯანას, გრიგოლასა, ვარდანას და ელისბარსა, შვილთა და სახლის მომავალთა შენისათა. 5

მას ჟამსა, ოდეს თრიალეთს ოხრის ჩვენის სახასოს ახალქალაქის აშენებას დაგუპირდით, და მისავე სამოურავოს დაგუაჯენით, ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგინყალეთ და გიბოძეთ იმისი ახალქალაქის მოუარობა ამ საქმითა, რომელი გინა სამცხით, გინა ჯავახეთით და გინდალორე დამე მოასხა, და იქაურის გლეხებით ააშენო. თუ ამგვარად ის აქაშენო, იქაური მოუარობა არა ჩვენგან და არა ჩვენთა გვართა მეპატრონეთაგან, არა შენდა, არცა შენისა სახლისკაცს არ წაგერთვას. 10

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შინა. 15

უზედაესთა მოგახსენებთ და უქუედაესთა მოგახსენებთ: გიბ(რძანე)ბთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო თავადნო, დიდნო და მცირენო, მერმე, რაც გლეხი ან სამცხით ან ჯავახეთით ან ლორე დამე მოვიდნენ, და თრიალეთს ჩვენს სახასო სოფელში ახალქალაქს დასახლდნენ, იმათთან ნურას კაცს ჯელი ნუ გაქვსთ. კიდევ მოეხმარენით დასახლებაზედ, ჯელიც გაუმართეთ. 20

დაინერა ბ(რძანე)ბა და სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტლდ, თებერვლის ი.

დედანს ჰქონია ხელრთვა: როსტომ

კომენტარი:

საბუთი ასახავს როსტომის სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკას, რაც მიზნად ისახავდა დაუსახლებელი ან ნაომარი („ოხერი“) ადგილების ხელახლა მოშენებას. ამისთვის როსტომი იყენებდა სამცხიდან, ჯავახეთიდან და ლორედან ლტოლვილი გლეხებს.

**1646 წ. 3 აპრილი. თარხნობის წიგნი როსტომ მეფისა
ყაფიჩიბაშ დონმაზა ბობიბასშვილისადმი**

პირი: სეა, 1450-6/55; რუსული მმართველობის დაწესებულების პირების დაგთარი.

თარიღი: ქორონიკონი ტლდ (334), აპრილის ბ, რაც უდრის 1646 წლის 3 აპრილს.

გამოცემები: ბერძენიშვილი 1940: №39, გვ. 30.

... ესე წყალობისა და სამის წლის სითარხნის წიგნი და ნიშანი გიბოდეთ ჩვენ, მეფეთ მეფემან, პატრონმან როსტომ შენ, ჩუენის კარის ყაფიჩიბაშს დონმაზას, ასრე და ამა პირსა ზედან, რომე, თქვენი სოფელი ზიკრუტი ერთს ავს ხაშმს ალაგს ესახლა, და იქიდამე აყრა მონდომეთ და მალალს ალაგს დასახლება. და ვითაც სახლის აშენებასა და მონყობაზედ ბევრს გაირჯებოდენ, სამს წელიწადს სითარხნეს დაგვეაჯენით.

და ამ წესით ვათარხნეთ, რომე ერთის ლაშქრობისა და სათათროს საურის მეტი არა ეთხუებოდეს რა. და ჩუენის კარის ვეკილ-ვეზირთა და მოსაქმეთ ასრე გა[ვ]ურიგეთ და ნურას აქნევინებთ.

ქ(ორონი)კ(ონ)ს ტლდ, აპრილის გ.

ესე ბძანება მეფისა ასრე უნდა რომე გათავდეს.

დედანს ჰქონია როსტომ მეფის ხელრთვა და ბეჭედი.

კომენტარი:

გოგობაშვილები იყვნენ სამცხე-საათაბაგოდან ქართლში გადმოსული ფეოდალები. სამცხეში ისინი თავადები იყვნენ და ფლობდნენ სადგერის ხეობას, სადაც ჩაუნაცვლებიან სამძივართა წარჩინებული გვარი. ქართლში გადმოსახლების შემდეგ დონმაზა და მისი ოჯახის წევრები სამეფო აზნაურები გახდნენ და ქვემო ქართლში მიიღეს მამულები (იხ. Hd-14439, 1450-8/42, 1450-7/27, 1450-5/37). დონმაზას მეფის კარზე ყაფიჩიბაშის, ანუ მეკარის თანამდებობა ეკავა, რაც მას საპოლიციო დაცვისა და სასამართლო-ადმინისტრაციულ ფუნქციებს ანიჭებდა. მას ემორჩიებოდნენ ყაფიჩები (სურგულაძე, 2017: 311). ყაფიჩის თანამდებობას ფლობდა მისი ძმა პაპია (იგივე პაპია შანშიაშვილი). იხ. 1450-5/37. გოგობაშვილების საგვარეულოს განაყოფია შანშიაშვილების გვარი.

1646 წ. 7 ივნისი. შუაღობის დღის ორსტომ
მეფისა სვეტიცხოვლისადმი

პირი: სეა, 1449-1765; თეთრი ქალაღი.

თარიღი: ქორონიკონი ტლდ (334), თიბათვესა ზ, რაც უდრის 1646 წლის 7 ივნისს.

ქ. სახელითა სახიერისა, არსება-დაუსაბამოსა და დაუსრულებელისა ღ(მერ)თისა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, ყოველთა წმიდათა ღ(მრ)თისათა, ზეცისა და ქვეყანისათა, ხორციელთა და უხორციოთა; ამაზე მონერილთა ყოველთა წმინდათა ღ(მრ)თისათა.

მინდობითა და შუამდგომარეობითა და თავსმდებობებითა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან, პატრონმნ როსტომ, და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალთა-დედოფალმან პატრონმან მარიამ, და შვილთა ჩვენთა სასურველთა, პატრონმან ლუარსაბ, ესე ამიერ უკუნისამდე ჟამთა და ხანთა სამკუიდროთ და საბოლოვოთ გასათავებელი, მტკიცე და მოუშლელი წიგნი და სიგელი გკადრეთ და მოგახსენეთ თქუენ, დიდსა და ზე-აღმატებულსა, ცათა მობაძავსა, მეორეთ იელესრემდ ნოდებულსა კათოლიკე სამოციქულო საპატრიარქოსა, და საყდარსა ცხეთას წინამძღორსა, ყოველთა ქრისტიანეთასა და ღ(მრ)თივ-აღმატებულსა სვეტსა [ცხოველსა]* ნათლისათა მზეებრ გნამფენელისა, ხელითა უხილავთავან, განგებითა ზეგარდმოთა ამღებელისა, კუართსა სამეუფოსა, და მირონსა ღმერთ-მყოფელსა, თქუენ, საქეთმპყრობელსა მათსა წმინდასა მეუფესა და მღდელთმთავართ მთავარსა, ქართლისა ქათალიკოზსა ქრისტეფორეს.

[გ]კ[ა]დრეთ და მოგახსენეთ ატენს ყუელანმინდის საყდარი, ზვარი და ზოსტანი ზვარი მისის მეზურითა. მოკითხული ვქენით, მკუიდრად და ძველითგანცა სვეტის ცხოველისა ყოფილიყო, არას კაცს ჴელი არ ჰქონდა. ახლა ჩვენცა ჩვენდა სადღეგრძელოთ და მეფობისა ჩვენისა წარსამართებლად სვეტს ცხოველს შევწირეთ და საბოლოვოთ დავუმკვიდრეთ დღესა და დღევის წაღმა – არას ჴორციელს კაცს ჴელი აღარავის ჰქონდეს არაოდეს.

არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა შემდგომათ სხვათა მეფეთა და დედოფალთავან და, ვინ იცის, ანუ ამას წინანდელი და ანუ ამას უკანდელი ამ წიგნის მეპასუხე სხვა წიგნი ჰქონდეს ვისმე და გამოაჩინოს, ანუ თავადთა და ანუ ეპისკოპოზთა, სიგლით ამით გაგუიციუდებია მტკიცე და უცვალელებელი სიგელი ოდენ ესე არის.

ანე, ვინცა და რამანც ძემან კაცისამან, ანუ მეფემან და ანუ დედოფალმან, ანუ თავადმან და ანუ ეპისკოპოზმან ამის შლათ და ქცევად** ხე-

*ამ სიტყვის შემდგომ ნუსხაში წერია გაურკვეველი ფრაზა: „ელიებს მკათამელისა და მასხივთა.“

** გცევად ნსხ.

ლყოს, რისხავსმცა ლ(მერ)თი და ყოველნი მისნი წმინდანი, ზეცისა[ნი] და ქვეყანისანი, ჯორციელნი და უჯორციონი, შე-მცა-ედების კეთრი გ ე ზ ი - ს ა , შიშთუილი ი უ და ს ი , მეხტეხილობა დ ი ო ს კ ო რ ე ს ი , ძრწოლა კ ა ე ნ ი ს ი ; მას ზედამც დაესრულების მეასდარვე ფსალმუნი, ნურათამცა

5

სინანულითამც ნუ იხსენების ხსნა სულისა მისისა, ამინ! დამამტკიცებელნი ამისი ლ(მერ)თმ(ან) აკურთხნეს და შემშლელნი ღმერთმან შესცვალოს სჯულისგან ქრისტიანობისა, ამინ! თვინიერ თანადგომისა და შეწვენისაგან კიდე. დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლდ, თიბათვესა ზ, ჯელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრისა ყ ო რ ლ ა ნ ა შ უ ი ლ ი ს მ ე რ ა ბ ი ს ი თ ა .

10

ხვეულად: რ ო ს ტ ო მ

153

1646 წ. 21 აგვისტო. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ბიზი ზემგზინიძისაღმ

დედანი: ხეც, Hd-2133; მოცრისფრო ქაღალდი; ზომა: 56X20,5 სმ; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი; საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. შვიდსტრიქონიანი, შექასთეს ხელით შესრულებული სპარსული ტექსტი მოთავსებულია საბუთის req-to-ზე, ქართული ტექსტის ზემოთ.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტლდ (334) მარიამობისთვის პა, რაც გვაძლევს 1646 წლის 21 აგვისტოს.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი მერაბ ყორღანაშვილი.

გამოცემა: ფუთურიძე, 1955: გვ. 198-200, N88.

ქ. ნებითა და შეწვენითა ღ(მრ)თის(ა)თა, ჩუენ, მეფეთ-¹მეფემან, ჯელმ-ნიფემან პატრონმან რ ო ს ტ ო მ , და თანამეცხე²დრემან ჩუენმან, დედოფალთა-დედოფალმ³ან, პატრონმან ⁴მ არ ი ა მ , და შუილთა ჩუენტა სასურველთა, პატრონმ⁵ან ⁶ს⁷ს⁸მკუიდროთ და ს⁹ს¹⁰ბოლოვოთ გასათავებელი წყალობისა ნი¹¹გნი და სიგელი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ¹²ერდგულსა და ნესისებრივა ერდგულობით და თავდა¹³დებით ნამსახურსა ყმასა, ზ ე ვ დ გ ი ნ ი ძ ე ს გ ი ვ ს ა და შუი¹⁴ლთა და ჩამომავალთა ს¹⁵ს¹⁶ნლისა თქუენის¹⁷ათა, – ყოველთავე.

მას ¹⁸ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და თქუენის ბიძაშუილ¹⁹ის თამ²⁰ს²¹ზის კერძს კარბს დაგუიაჯენით, ჩვენც ვისმინეთ ²²აჯა და მოხსენება თქუენი და შეგინყალეთ და გიბოძეთ ²³კარბს, რისაც მქონებელი თამაზ ყოფილიყოს: წყლითა, ²⁴ნისქუილითა, ველითა, ვენაჯითა, ს²⁵ს²⁶ხ²⁷ს²⁸ვითა და უხნავითა, შენითა და ²⁹ოჯრითა, ს³⁰ს³¹ძებრითა

და უძებრითა, ნასყიდითა და უ¹⁷სყიდითა, ვიდრე მთით ბარამდე უნაკლულთ.

[გ]ქონდეს |¹⁸ და გიბედნიეროს ღმ(ერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულათ სამსახურსა |¹⁹ შიგ{ა}ნ. ვისაც ამა მამულის ნიგნი აქონდეს ვისმე სიგლითა |²⁰ და ამით გაგუიციუდებია, მტკიცე ოდენი ესე არის.

ანე, მოგახსენებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და მდივან{ნ}ო! |²¹ დღეს ვინ გინდა-ვინ იყოთ და ანუ დღეის წაღმა ვინ გინა-|²²ვინ იქნებოდეთ, მერმე, ესე ჩუენგან ბოძებული მამულ²³ის ნიგნი და სიგელი თქვენცა ასრე დაუმკუიდრეთ |²⁴ და დაუმტკიცეთ, რომე, რარიგადაც ამა სიგელსა შიგ{ა}|²⁵ნ სწერია, თუინიერ თანადგომისა და შენევენისაგ{ა}ნ კიდე. |²⁶

დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლდ, მარი|²⁷ამობის თვესა კა, ჴელითა კარისა ჩუენისა მდივან-მნიგნობ|²⁸რის, ყო რ ღ ა - ნ ა შ უ ი ლ ი ს მ ე რ ა ბ ი ს ი თ ა . რ ა ც რ ო მ ე ხ ა რ ე ბ ა |²⁹შ უ ი ლ ს ა ქ უ ს , ი მ ა ს გ ა რ ე თ ა დ .

ბოლოში უზის მსხლისებრი ფორმის ბეჭედი ქართული ლეგენდით:
ქ. ყანის ფეჭთა მტუერი რ ო ს ტ ო მ მეფე ვამტკიცებ.

სპარსული ტექსტი:

1646 წ. 12 სექტემბერი – 10 ოქტომბერი

هو

حکم عالی شد آنکه بنابر شفقت عالی در باره رفعت پناه کیونه بیگ زدنگیزه بموجبی که | در ذیل بخط
گرجی نوشته شده از ابتدا ششماهه سنه ایت نیل آنچه از قریه کرب | من اعمال گرجستان کارتیل تیول
طهماسب مقرر بوده تیول گیونه بیگ مومی الیه | مقرر فرموده ارزانی داشتیم رعایا محل مزبور مومی
الیه را تیولدار باستقلال خود دانسته | سال بسال مالوجهت و حقوق دیوانی خود را از قرار دستور العمل
گرجستان کارتیل | در وجه مومی الیه رسانیده چیزی موقوف ندارند مستوفی سرکار عالی در دفتر ثبت
نموده هر ساله حکم مجدد نطلبند و در عهده دانند تحریرا فی شهر شعبان سنه ۱۰۵۲

ის (ღმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანება, რომ სიდიადის საფარველის გ ი უ - ნ ა - ბ ე გ ზ ე დ გ ი ნ ი ძ ი ს ა დ მ ი მაღალი წყალობის [მიპყრობის] გამო, იმ საფუძველზე, რომელიც ქვემოთ ქართულად არის დაწერილი, ის, რაც თ ა მ ა ზ ს ქ ა რ თ ლ ს დამოკიდებულ სოფელ კ ა რ ბ შ ი თიულად ჰქონდა გამტკიცებული, ჩვენ ხსენებულ გ ი უ ნ ა - ბ ე გ ს ცხენის წლის ექვსთვეობის დასაწყიდიდან თიულად დავუმტკიცეთ და ვუბოძეთ. აღნიშნული ადგილების გლეხებმა ხსენებული [პირი] თავის სრულუფლებიან თიულდარად უნდა ცნონ. ქ ა რ თ ლ ი ს დასტურლამალის მიხედვით, მას ყოველწლიურად მალუჯათი და სახელმწიფო გადასახადი უნდა გადასცენ და არაფერი შეუჩერონ. მაღალი კარის მუსტოუფი, [ამ ბრძანებას] ჩაწერს რა დავთარში, ყოველ წელს ახალ ბრძანებას ნუ მოითხოვს და [მისი შესრულება] თავის მოვალეობად აღიაროს.

დაინერა 1056 წ. შაბანის თვეს.

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია როსტომ მეფის სპარსული ბეჭედი. საბუთის verso-ზე მოთავსებულია ოთხი სპარსული სარეგისტრაციო ბეჭედი: 1. ოვალური, წარწერით: يا معين الضعفا – „ო, უძლურთა შემწევ“; 2. ოთხკუთხა, გაურკვეველი წარწერით, ქვემოთ მინანერით: بنظر سيد „განხილულ (წარდგენილ) იქნა; 3. ელიფსური, წარწერით: يا صاحب العصر و الزمان ١٠٥٥ – „ო, საუკუნისა და დროის მფლობელო 1055“ მის ქვემოთ მინანერი: قلمي شد – დაინერა; 4. [ا بود] بخط مسلمان حکم قلمی شد – „ბრძანება მუსლიმური დამწერლობით [დაინერა]“

გვიანდელი მინანერები, recto:

[...] თათრული წარწერით (შავი ფერის ფანქრით).

verso:

კ ა რ ბ ი ს ა (მოშავო-მოყავისფრო მელნით).

1648. არ არის გადანერილი (შავი ფერის ფანქრით).

კგ. წიგნები საერთო (მოშავო-მოყავისფრო მელნით).

რ ო ს ტ ო მ მეფისა კ ა რ ბ ზ ე დ (მოშავო-მოყავისფრო მელნით).

154

1646 წ. წყალობის ბანახლების წიგნი როსტომ მეფისა ოთამანა არეშისშვილისაჲში

პ ი რ ი : სეა, 1450-14/10; რუსული მმართველობის დაწესებულების პირების დავთარი. გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1820 წელს.
თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტლდ (334), რაც უდრის 1646 წელს.

[ქ.] ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი გიბოძეთ ჩვენ, მეფემან, ჳელმნი-ფემან პატრონმან რ ო ს ტ ო მ , თქვენ, ჩვენთა ერთგულთა ყმათა: ა რ ე - შ ი ს შ ვ ი ლ ს ა ი ო თ ა მ ა ნ ს ძმათა შ ე რ მ ა ზ ა ს , ს ა ლ უ ა ხ ა ნ ს , ნ ა რ ი მ ა ნ ს , თ ა მ ა ნ ა ს ა , მ ე რ ა ბ ა ს ა და პ ა პ ი ა ს ა და თქვენთა შვილთა.

5 ასე და პირსა ზედა – რ [ე] ვ ა ზ ა ს შ ვ ი ლ ი ს სახლი ამოვარდნილი იყო. მას აქეთ ჩუენი სახასო ყმანი და მოხელენი ყოფილიყვნენით, ჟამთა ვითარებისაგან ნ ა რ ი მ ა ნ ი ს ე უ ლ ს მამულზედ ე ლ ი ზ ბ ა რ სახლებულიყო და ბ ა რ ა თ ი ა ნ თ ცოტას ხანს ჳელი დაედვათ. მოკითხული ვქენით და თქენი მკუიდრი მამული ყოფილიყო და ისრევა თქვენ გიბოძეთ. და არას ბ ა რ ა თ ა ს ა შ ვ ი ლ ს ა ჳელი არა ჳქონდეს. ვინცა-ვინ ჩვენი ვექილ-ვეზირნი იყვნეთ, თქვენცა ასრე გაუთავეთ.

ქ(ორონი)კ(ონ)ს ტლდ.

დედანს ჳქონია ხელრთვა: რ ო ს ტ ო მ

1646 წ. ყმა-მამულის დამტკიცების წიგნი ოსტომ
მეფისა ლეონ თურქისტანიშვილისადმი

პირი: სეა, 1450-18/89; რუსული მმართველობის დაწესებულების პირების დავთარი.

თარიღი: ქორთიკონი ტლ (334), მარტის თორმეტი, რაც უდრის 1646 წლის 12 მარტს.

[ქ.] ნებითა და შენევნითა ლ(მრ)თისათა, ჩვენ, მეფეთ-მეფემან, ჯელმ-ნიფემან პატრონმან ოსტომ, და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ, ესე [სა]მკვიდროთ და საბოლოოვით გასათავებელი წყალობისა ნიგნი და სიგელი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერდგულსა და ნამსახურსა ყმასა, თურქ-ისტანის უილს ლეონს და შუილთა შენთა იესეს, და ჩამომა-ვალთა სახლისა თქუენისათა, – ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და, რაც რამე ბაგრატიის შვილებისგან ბარათით წილათ მამული გრგებოდათ, იმის ნიგნის წყალობას დაგვიაჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და მოკითხული ვქენით. სულ კურთხეულის ჩვენის ძმისწულის, მეფის სუიმონის ჟამში გაყრილი იყვნით და გაბარათებულ იყვნით. რაც რამე წილათ გრგებოდა, იმისი დავთარი და ბარათები გინახეთ, და ჩუენცა ნიგნითა და ამითა გაგიახლეთ. და გიბოძეთ სამართლიანი თქუენი კერძი მამული – ახალდაბას ზურის ნახევარი მისის საწახლითა და გზითა; გაგელაური საკომლო, რისცა მამულისა მქონებელი ყოფილიყოს; გლეხი დედაბრიშვილი ირემა მისის მამულითა, ერთი მისი განაყოფი მჭედელი ბასილა, ერთი შქოშიტა, პაპიაშვილი ყაზანა მისის მამულითა; ერთი თქუენივქე საგანაყოფო შიოშის სასახლე მისის სახასოს მინებითა; ველდიქისა და ბრანოვნის ნახევარი, ვარცლას ნახევარი, ერტისს გოზალაშვილის თევდორას მამული, რისაც მქონებელი ყოფილა; გარყლოზს ჯოეშუილი შოშიტა, იმისი განაყოფი სამუტა, ივანაშვილი გოგნიტა, რისაც მამულის მქონებელნი [ყოფილა]; ინდუაური საკუმლო სრულებითა, რისაც მქონებელი ყოფილიყოს; დმანისის ხევს, გორინჯუგს, ყაზარაშული ყაზარა, ერთი ორჯანაშუილი ყ<ა>ულქიჯანა, ერთი ფირიაშ<ა>ული [...], ერთი მირზუაშული სუხია, ერთი სალუქაშული ოჰანა, იმისი განაყოფი სუჯუმა კუმლი ორი, მამაჯანგული ბერუა, ერთი ავაქა კუმლი ერთი. – ესეები უკლებ[ად]; გორია მისის მამულითა, ერთი უკანგორას აკოფა, ერთი გორუმაშვილი მარქარა, ერთი მირზაშვილი [...], ოჯანას შიხაიდარულის ნახევარი. ესეები მათის სამართლიანის მამულითა, რისცა მქონებელნი ყოფილიყავ; გარყლოზს იმათის პაპის სასახლე მისის ჭურ-მარნითა და

კალო-საბძლითა, და გარეშემოთა და ხოდაბუნებითა, შესავლითა და გამო-სავლითა, მთით ბარამდე, უნაკლულოთ.

[გ]ქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმ(ა)ნ ჩვენსა ერდგულათ სამსახ-ურსა შიგან. ქ(ორონი)კ(ონ)ს ტლდ, მარტსა თორმეტსა.

5 დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე ხელითა კარისა ჩუენისა მდი-ვან-მნიგნობარის ყ ო რ ღ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს მ ე რ ა ბ ი ს თ ა . ესე ასრე გაუ-თავდეს.

დედანს ჰქონდა ხელრთვები: რ ო ს ტ ო მ , მ ა რ ი ა მ

156

1646 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ამიან თუხარქლისაღვი

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Qd-9734; ხელი მხედრული; მოყვითალო ფერის ქაღალ-დი; ზომა: 41,5X20,5 სმ.; შავი ფერის მეღანი; მხედრული; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი; დაზიანებულია საბუთის კიდეები – გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. საბუთი ორენოვანია – ქა-რთულ-სპარსული. რვასტრიქონიანი სპარსული ტექსტი, შესრულებული ნასთადიყის ხელით, მოთავსებულია საბუთის recto-ზე, საბუთის თავში.

საბუთის თ ა რ ი ღ ი : ქორონიკონი ტლდ (334), რაც გვაძლევს 1646 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთუელ თუმაიშივილი.

გ ა მ ო ც ე მ ა : აბაშიძე, 2017: გვ. 168-169.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღ(მრ)თისითა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან პა|²ტრონმა რ ო ს ტ ო მ , და თანამეცხდრემან ჩუენმან, დედოფალთ|³ა-დედოფალ-მა, პატრონმა მ ა რ ი ა მ , და საყუარელმა ძემან ჩუენმა|⁴ნ, პატრონმა ლ უ ა რ ს ა ბ , ეს|⁵ქე ამიერ უკუნისამდი ჟამთა და ხან|⁶თა გას|⁷თავებელი წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინწყალე|⁸თ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდ-გულთა, მრ|⁹ჯა|¹⁰ვ|¹¹ალფერ|¹²ათ თავ|¹³დადებით ნამსახურსა ყმათა, თ უ ხ - ა რ ე ლ ს ა მ ო ა ნ ს , შვილსა |¹⁴შენთა: მ ე ლ ქ ი ს ა დ ე გ ს , ნ ა მ ე ქ - ი ს , და ვ ი თ ს და მომავალთა სახლისა თქუენისათა,|¹⁵ – ყოველთავე.

მას ჟამთა, ოდეს მოგვიდეგით კარსა და მამულის ნ|¹⁶ყალობას დაგვი-აჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუ|¹⁷ენი, შეგინწყალეთ და გიბოძეთ თ ი ღ ვ ს ამოვარდნილის ნ ე რ ე თ |¹⁸ლი ს კერძი მამული აზ-ნაურიშვილისა მამასახლისისა; და ზვარს გარ|¹⁹დაისად, რაც რომ სახასოდ გუეჭირა, ყოვლითურ სამ|²⁰ჯართლი|²¹ანის საქმითა და სამძღურითა, მთით ბარამდისინ, შენითა და ო|²²წერიითა თქუენთვის და თქუენთა შვილთათვის სამკვიდროდ და საბოლოოვ|²³დ გვიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგუ|²⁴ლათ|²⁵დ სამ-სახურს შინა, აროდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგ|²⁶ან და არა შემდგომად სხვათა მეპატრონეთაგან.

ანე, გ¹⁹იბ(რძანე)ბთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, თქუენ²⁰ცა ასრე გაუთავეთ და ნუროდეს ნუ მოუშლით და შ²¹ე{ე}ცილებით თვინიერ შენეენისა და თანადგომისაგან კიდე.

და²²ინერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლდ, ჳელ-ითა კარის |²³ ჩუენისა მდივან-მწიგნობრის – თ უ მ ა ნ ი შ უ ი ლ ი ს ბ ი | ²⁴რ თ უ ე ლ ი ს ი თ ა

სპარსული ტექსტი:

1646 წ. ივლისი-აგვისტო

هو

[حكيم عالی شد] انكه بنابر وفور شفقت عالی در باره آمان گرجی |
از ابتداء ششماهه سنه ایت نیل رعایاء مذکوره ذیل را که |
بخط گرجی نوشته شده بتیول مومی الیه ولد او از قریه تیقواء |
من اعمال گرجستان کرتیل مقرر فرموده ارزانی داشتیم رعایاء |
مزبور سال بسال از قرار دستورالعمل گرجستان مالوحدات |
و حقوق دیوانی خود را در وجه تیولدار مذکور رسانیده موقوف |
ندارند مستوفی سر کار عالی در دفتر ثبت نموده هر ساله حکم کجدد نطلبند و |
در عهده داندن تهریرا فی شهر جمادی الثانی سنه ۱۰۵۶

ის (ღმერთი)

[გამოვიდა მაღალი ბრძანება] იმის შესახებ, რომ ა მ ო ვ ა ნ ქართ-ველისადმი უმაღლესი ნყალობის სიუხვის საფუძველზე, ძალის წლის ექვსთვეობის დასაწყისიდან, ქვემოთ მითითებული გლეხები, [იმგვარად,] როგორც ქართულად წერია, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ქ ა რ თ ლ ი ს ო ლქის სოფელ თ ი ღ ვ ი დ ა ნ ზემოხსენებულსა და მის შვილებს ვუწყალობეთ და ვუბოძეთ. ხსენებულმა გლეხებმა წლითი-წლამდე ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს დასტურლამალის საფუძველზე თავისი მალუჯათი და დივანის გადასახადები ხსენებულ თიულდარს ჩააბარონ [და] არ დაუგვიანონ, მაღალი კარის მუსტოუფიმ დავთარში შეიტანოს და ყოველ წელს ახალ ბრძანებას ნუ მოითხოვენ და სავალდებულოდ სცნონ. დაინერა 1056 წლის ჯგომადი ალ-სანის (II) თვეს.

5
10

სპარსული ტექსტის მარჯვენა ზედა კუთხეში არის მინანერი – هو بخط مسلمان نوشته شده – ის (ღმერთი) მუსლიმური დამწერლობით დაინერა.

კომენტარი:

თიღვას ფლობდნენ ქართლის წერეთლები/წერეთლიშვილები. იხ. კომენტარი შდ-1138-თან. 1646 წლისთვის თიღვაში აღარ ყოფილან წერეთლები და მათი მამული მიუღია სამცხე-საათაბაგოდან გადასულ მესხ ფეოდალს ამოან თუხარელს.

**1646 წ. სასამართლო განჩინება შიოშ სოლოლაშვილის
შვილ დათუნასა და მისი ბანაყოფების სამამულო დაზაზი**

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Sd-744; ღია ყავისფერი ქაღალდი; ზომა: 34X15,6 სმ.; მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთს მოხეული აქვს კიდეები ორივე მხარეს, მაგრამ ტექსტი თავიდან ბოლომდე გარკვევით იკითხება. ამჟამად გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თ ა რ ი ღ ი : ქორონიკონი ტლდ (334), რაც უდრის 1646 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მწიგნობარი შაველ ყორდანაშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა : დოლიძე, 1972: №29, გვ. 85-86.

ზე, ადიდნ[ეს] ღ(მერ)თ(მა)ნ მეფეთმეფობა პატრონის{ა} რ ო ს ტ ო |²
მ ი ს ა !

ბ(რძანე)ბითა მისითა, დავსხედით ღ(მრ)თისა შიშს ქუეშე სა³სამართ-
ლოდ ჩუენ, სახლთუხუცესი ც ი ც ი შ ვ ი ღ ი ბატონი |⁴ მ ა ნ უ ჩ ა რ ,
კიდეუ სახლთ{უ}ხუცესი ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ღ ი ბატონ⁵ნი ყ ა ფ ლ ა ნ , და
მდივანი თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ღ ი ბ ი რ თ ე |⁶ ე ღ ი ს ო ლ ა ღ ა შ ვ ი ღ ი ს
შ ი ო შ ი ს შვილის დ ა თ უ ნ ა ს ა |⁷ და თ ა მ ა ზ ა ს ა და ბ ი ძ ი ნ ა ს სა-
სამართლოთ.

სარჩელი ორ⁸თავესი გავიგონეთ და გავსინჯეთ. ამას წინათ, ბატ⁹ო-
ნის ბ ა გ რ ა ტ ი ს ჟამში, შ ი ო შ ს ბ ი ძ ი ნ ა შ ე {ე}ყარა. და შ¹⁰ორს გან-
აყოფი იყო ბ ი ძ ი ნ ა შ ი ო შ ი ს ა . რაც ბ ი ძ ი ნ ა ს |¹¹ თავისი სამკუი{დ}
რო შ ი ო შ თ ა ნ შეჰყოლოდა, ასე დავანებეთ, |¹² რომ შ ი ო შ ი ს შვილებს
იმასთან ჴელი არა ჰქო¹³ნდეს.

მასდა გარდაისად, ამოვარდნილის თავიანთ გან¹⁴აყოფის ს უ ჯ ა -
დ ი ნ ი ს წილს მამულზე სარჩლობდეს. |¹⁵ და შ ი ო შ ი ს შვილებს მეფის
ბატონის ბ ა გ რ ა ტ ი ს წიგ¹⁶ნიცა ჰქონდა. ვითაც მამულის წიგნი ჴელთა
ჰქონდა, |¹⁷ ჩუენც ფიცი დ ა ვ ი თ ს ა [და] მის ძმებს დავსდევით.

ს ა { ა } კ ა ძ |¹⁸ ე დ ა თ უ ნ ა , აღანდარი, შეავდო ბ ი ძ ი ნ ა მ
მოფიცრათ. წად¹⁹გეს სამნი ძმანი, ერთის ბ ი ძ ი ნ ა ს შეგდებულის მო-
ფიც²⁰რითა და სამის მსახურითა. გამოიფიცეს და დარჩა ტ ა |²¹ ბ ა ხ -
მ ე ღ ა ს მ ა მ ი ა კომლი ერთი, ე ჯ უ ბ ა კუამლი ერთ²²ი, ე ჰ რ უ მ ა შ -
ვ ი ღ ი ს უ ხ ი ა კუამლი ერთი, ჴ ო ვ ი ა შ ვ ი ღ ე |²³ ბ ი კუამლი ერთი,
თ უ ხ ტ უ ა და ა ნ ე ზ ა კუამლი ერთი, |²⁴ ა რ ა ქ ე ღ ა კუამლი ერთი,
ე ჰ რ უ მ ა ს გერი წ ა ტ უ რ ა კ²⁵უამლი ერთი.

ეს ასრე გაგუირიგებია და გაგუიბჭია, ამას²⁶თან ბ ი ძ ი ნ ა ს ჴელი
აღარა აქუს, ნურც არას შე{ე}ც²⁷ილება.

დაინერა ბძანება და ნიშანი ესე ქ(რონი)კ(ონ)ს ტლდ, ჴელ²⁸ითა
მწიგნობრის ყ ო რ დ ა ნ ა შ ვ ი ღ ი ს შ ა ვ ე ღ ი ს ა თ ა .

|²⁹ ეს ასე გაგუითავებია.

verso-ზე ხელრთვა ხვეულად: როსტომ

მინაწერი მარცხენა კიდეზე, საბუთის recto-verso-ზე:

|³⁰ქ. ჩვენ, მეფეთ მეფეს [პატ]რონს იე ს ე ს ეს სულბრწყინვალის მეფის
ბძანებით განაჩენი ასრე დაგვი³¹მტკიცებია, როგორც განაჩენში სწერია.
მარია მობისთვის იბ, ქ(რონი)კ(ონ)ს უგ (1715 წ. 12 აგვისტო).

უზის იე ს ე მეფის ხელრთვა:

|³²ქართლის მეფე იე ს ე

**1646 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა
მოურავ ყარჩილასადმი**

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Hd-14604; ხელი მხედრული; მოყვითალო ფერის ქაღ-
ალდი; ზომა: 46,7X16,7 სმ; შავი ფერის მელანი; მხედრული; განკვეთილობის
ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი; საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარ-
სული. შვიდსტრიქონიანი, შექასთეს ხელით შესრულებული სპარსული ტე-
ქსტი მოთავსებულია საბუთის recto-ზე, ქართული ტექსტის ზემოთ.

საბუთის თ ა რ ი ღ ი : ქორნიკონი ტლდ (334), რაც გვაძლევს 1646 წელს.
საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთუელ თუმანიშვილი.
გ ა მ ო ც ე მ ა : ფუთურიძე, 1955: გვ. 195-197, N87.

ქ. ნებითა და შეწვევითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფე²თ-მეფემან, ჯელ-
მნიფემან პატრონმან როსტომ, |³ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი
შეგ⁴ინყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩუენსა ერდ⁵გულსა და ნამსახურსა ყმასა,
ყ ა რ ჩ ი ღ ა ს ა , |⁶შვილსა შენსა: ბ ე ჟ ა ნ ს , კ ა ც ი ა ს ა , ლ უ ა რ ს -
ა ბ ს |⁷და მომავალთა სახლისა თქვენისათა, – ყოველ⁸თავე.

მას ჟამსა, ოდეს ჩუენის ნამსახურობი⁹ს გულისათუის ნ ა ჯ ი დ უ რ ი ს
მოურაობა გუებო¹⁰ძებინა, და ვითაც ვენაჯი არ იყო იმ ალაგსა, შე¹¹გი-
წყალეთ და გიბოძეთ ქ ვ ე მ ო ბ ო ლ ნ ი ს { ს } |¹²კ ე ქ უ ა შ ვ ი ლ ი ს
ნაქონი ვენაჯი სამართლიანის |¹³მისის მიწა-წყლითა, ყოველის მისის
სამძღური¹⁴თა. სამკუიდროდ და საბოლოო¹⁵დ თქუენთუის და თ¹⁵ქუენ-
თა შვილთათვის გუიბოძებია.

გქონდეს და |¹⁶გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულად სა¹⁷მ-
სახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს.

|¹⁸ანე, გიბ(ძანე)ბთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო |¹⁹და სხუანო მო-
საქმენო, ქ უ ე მ ო ბ ო ლ ნ ი ს ი ს მო²⁰ურავნო და მოჴელენო, თქვენცა
ასრე გაუ²¹თავეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შე²²ეცილებით, თუინი-
ერ შეწვევისა და თანად²³გომისაგან კიდე.

დაიწერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე |²⁴ქ(რონი)კ(ონ)სა ტლდ, ჯელი-
თა კარისა ჩუენისა მდივა²⁵ნ-მწიგნობრის, თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ -
თ უ ე |²⁶ღ ი ს ი თ ა .

ხელრთვა ხვეულად: |²⁷ რ ო ს ტ ო მ

მინანერები recto-ზე:

|²⁸ ქ. ვითაც ზედ კაცი არ სახლობს, ასრე გუ{ი}თარხნებია, რომე კოდის-პური და საჩუენო გამოსაღები, და არც სოფლის ხარჯი არ ეთხოებოდეს-რა, და ნურც მოჭელენი გა{ე}რევე{ი}თ.

ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლვ (1648 წ.), მაისსა იზ (17).

ხელრთვა ხვეულად: |³⁰ რ ო ს ტ ო მ

გვიანდელი მინანერი verso-ზე:

|³¹ ქ. რ ო ს ტ ო მ მეფისაგან ბ ო ლ ნ ი ს ს ვენახის წყალობის წიგნი უოზ (1789 წ.).

სპარსული ტექსტი

1646 წ. 17 თებერვალი – 18 მარტი

هو

حکم عالی شد آنکه بنابر شفقت عالی در باره سعادت نصاب | قرجغای آقا غلام سرکار عالی بموجبی که در ذیل بخط گرجی | نوشته شده یکدر باغ واقع در قریه بولنیس سفلا من | اعمال سمخوت از ابتدا^۱ سنه اینت نیل بتیول مومی الیه | ارزانی فرمودیم مستوفی سرکار عالی در دفتر ثبت | نموده هر ساله حکم مجدد نظریند و در عهده دانند تحریرا فی | شهر محرم سنه ۱۰۵۲

ის (ღმერთი)

5 გამოვიდა მაღალი ბრძანება, რომ მაღალი კარის ღულამის, ბედნიერი ყ ა რ ჩ ი ღ ა - ა ღ ა ს მიმართ მაღალი წყალობის მიპყრობის გამო, ჩვენ, ხსენებულს, ძაღლის წლის დასაწყისიდან, იმ საფუძველზე, რომელიც ქვე-მთ ქართულად არის დაწერილი, ს ო მ ხ ი თ ი ს დამოკიდებულ სოფელ ქ ვ ე მ ო ბ ო ლ ნ ი ს შ ი მდებარე ერთი ვენახი თიულად ვუნწყალობეთ. მაღალი კარის მუსტოუფიმ [ეს ბრძანება] ჩანეროს დავთარში, ყოველ წელს ახალ ბრძანებას ნუ მოითხოვენ და [მისი შესრულება] თავის მოვალეობად აღიარონ.

დაინერა 1052 წ. მოჰარამის თვეს.

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია როსტომ მეფის სპარსული ბეჭედი. საბუთზე დასმულია ოთხი სპარსული სარეგისტრაციო ბეჭედი: 1. ოთხკუთხა, წარწერით: **خاک قدم علی منوچهر** „აღის ფეხთა მტვერი მანუჩარ“; 2. verso-ზე: ოვალური, წარწერით: **یا معین الضعفا** – „ო, უძლურთა შემწე“; 3. ოთხკუთხა, გაურკვეველი წარწერით, მის ქვემოთ მინანერი: **بنظر رسید** – „განხილულ იქნა“; 4. ელიფსური, წარწერით: **[یا] صاحب العصر و الزمان** – „ო, საუკუნისა და დროის მფლობელო!“ მის ქვემოთ არის მინანერი: **قلمی شد** – დაინერა. მარცხენა ზედა კუთხეში მინანერი: **[بود] قلمی شده** – „ბრძანება მუსლიმური დამ-წერლობით დაინერა.“

კომენტარი:

ნახიდურის მოურავი ყარჩილა, ცნობილია, როგორც როსტომ მეფისა და სპარსეთის შაჰის ერთგული მოხელე. იგი ასევე იწოდებოდა შაჰის ღულამად.

1647 წ. 8 მაისი. თარხნობის წიგნი როსტომ მეფისა დიდმეფი პაპუნა თბილელაშვილისადმი

პირი: სეა, 1450-32/283; რუსული მმართველობის დაწესებულების პირების დავთარი. გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1821 წელს.

თარიღი: საბუთს უზის თარიღი: ტლმ (335), მაისის ზ, რაც უდრის 1647 წლის 7 მაისს.

საბუთის დამწერი: სალაროს მწიგნობარი ფირალი.

ნებითა და შეწვევითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ, და თანამეცხედრემა[ნ] ჩუენმა[ნ] დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ, ძემა და სასურველმა ჩვენმა პატრონმან ლუ-
არსაბ, ესე წყალობისა და სითარხნის წიგნი გიბოძეთ შენ, ჩვენსა ყმასა, დიდმელს თბილელაშვილს პაპუნასა, ჩვენის საღვინის მე-
ტიკისპირეს ქიტიასა, ბერიკასა და თევდორეს და დათუნასა, და შეილთა თქვენთა სახლისა მომავალთა თქვენისათა.

5

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და თქვენის სითარხნის წიგნის ბოძებას დაგვიადგენით, ჩვენ ვისმენთ აჯა და მოხსენება თქვენი, მოკითხული ვქენით და კურთხეულის ჩვენის მამა-პაპათ მელაპე ყოფილიყავი და ძუელი წიგნი დაგკარგოდა.

10

ანე, ასრე უნდა, რომე ყოველს წელიწადს გიორგობას დღეს დიდ-
ვამს წმიდის გიორგის საყდარში ჟამს აწირვინებდეთ, და რავ[დე] ნით{ა}ც ლუინო ბეგარა გედვას და რომელიც ქუევრი თქუენი საბეგრო იყოს, იმით ერთს ღვინოს ვინცა-ვინ მლოცავნი მოვიდნენ – მღრღლეები და გინა ერის კაცნი და ანუ დედაკაცნი, იმათზედ უნდა დახარჯევდეთ. და ერთი თქვენის სახლისკაცი ჩუენს კარზე უნდა იმსახურებოდეს. რამდენიც კოკა ოციანითა ბეგარა გედვას, თუ ქუევრი გატეხილიყოს, და სოფლელთ ერთობით ისულონ და ანუ წმინდის გიორგის დეკანოზმა, უკლებლივ მოიტანდეთ. თუ ვინ იცის დიდვამში ლუინის მოსავალი არ მოვიდეს, წუედურეთი დანამე უნდა იყიდოთ და ისრე ხატის ბეგარა და სამსახური გარდინადოთ.

15

20

ანე, ჩუენცა ამის სამუქფოდ ასრე გათარხნეთ და განთავისუფლეთ, რომე, არაფერის თანა სუაჩუენო სათხოვარი და გამოსადები არა გეთხოვოდეს-რა: არა კულუხი, არა ღალა, არა საბალახე და ნახირისთავი, არა კოდის პური და პირისთავი, არა მუშაობა, არა სამეფინიბო და საბაზიერო, არა ულაყი და ბეგარა, ერთის სათათროს საურისა, ჩუენის კარზედ სამსახურისა და ლაშქარ-ნადირობის მეტი.

25

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩუენს ერთგულად სამსახურ-სა შინა.

5 უზედაესთა მოგახსენებთ და უქუედაესთა გიბ(ძანე)ბთ, კარისა ჩუენი-სა ვექილ-ვეზირნო, დ ი ღ მ ი ს მოურავო და მამასახლისო, კარისა ჩუენი-დამე წარვენენილნო მოსაქმენო, მებალახენო, მემალენო და სხვანო, ვინ გინდა-ვინ იყუნეთ და ანუ ვინ გინდა- ვინ დღეს წაღმა იქნებოდეთ, ეს სხვას თარხანს არა ჰგავს და ნურც სხვას თარხანში გარევთ. თქუენცა ასრე გაუ-თავეთ და ნურას შეუშლით, თუინიერ თანადგომისა და შეწვენისგან კიდე.

10 დაინერა ესე მტკიცე და უცვალებელი წიგნი და სიგელი ქ(ორონი) კ(ონ)ს ტლე, მაისის ზ. ჴელითა კარისა ჩვენისა სალაროს [მ]წიგნობრის ფ ი რ ა ლ ი ს ი თ ა .

დ ი ღ ვ ა მ შ ი ორი რუ რომ არის, როდესაც გინდოდეს, ურიგოდ ერთს დღესა და ღამეს სადაც გინდოდეს, თუ ამას წინათ გედინოს, ახლაც იდინე.

საბუთს ჰქონდა ხელრთვა: რ ო ს ტ ო მ

კომენტარი:

ადაპის განწესება მუსლიმი როსტომისთვის სამეფო სტატუსის და ტრადიციების დაცვით იყო განპირობებული. (იხ. კომენტარი სეა 1450-31/68-თან).

როსტომი შეაღაპე ყმებს ათარხნებს და საგანგებოდ მიუთითებს, რომ სხვაგვარ თარხნობას ანიჭებს მათ. ეს განსხვავებულობა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ლაშქრობა-ნადირობისგან და სათათრო საურისგანაც უნდა გაეთავისუფლებინათ, რადგან ამის შესახებ არსებული საგანგებო ფორმულა „თვინიერ ლაშქარ-ნადირობისა და სათათრო საურისა“, რომელიც სხვა თარხნობის შემთხვევაში გამოიყენება დოკუმენტებში, მითითებული არაა. ამასთან პრივილეგიებს ანიჭებს მათ თანასოფლელებთან შედარებით მორწყვასთან დაკავშირებით და უფლებას აძლევს ურიგოდ ისარგებლოდ რუთი.

160

1647 წ. 20 ივლისი. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა სულხან ფარქუხათაშვილისადმი

პ ი რ ი : სეა, 1450-22/67; რუსული მმართველობის პირების დავთარი. ქართულ-სპარსული. სპარსული ხუთსტრიქონიანი ტექსტი გადაწერილია ნასთალიყის ხელით.

თ ა რ ი ღ ი : საბუთს უზის თარიღი ქორონიკონი ტლე (335), თიბათვის 20, რაც უდრის 1645 წლის 20 ივლისს.

გ ა მ ო ც ე მ ა : ვ. ფუთურიძე 1955: გვ. 191-192, N85.

[ქ.] ნებითა და შეწვევითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, მეფეთ-მეფემან, ჴელმწიფემან პატრონმან რ ო ს ტ ო მ , და ძეთა ჩვენთა, პატრონმა ლ უ ა რ ს ა ბ ,

ესე წყალობისა წიგნი გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერთგულთა მოქალაქეს, ი ა ვ ა ნ გ უ ლ ა ნ თ ფ ა რ ყ უ ზ ა თ ა შ ვ ი ლ ს მუშრიბს ს უ ლ ხ ა ნ ს და ძმათა თქუენთა, კარისა ჩუენისა ვექილ-ხარჯს რ ა მ ა ზ ა ს ა და შვილთა თქუენთა: ბ ა ი ნ დ უ რ ს , ზ ა { ა } ლ ს , დ ა ვ ი თ ს , ბ ა ი - ს ო ლ უ ლ ს და ზ უ რ ა ბ ს , შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა. 5

მას ჟამსა, ოდეს ბედნიერმა ყაენმა ჩუენი სამკუიდრო ქ ა რ თ ლ ი ჩუენ გუიბოძა, მოვედით ქალაქსა და სასახლის აშენებას ხელი მივჰყავით. და თქუენი ნასყიდი სახლები და ა მოგვიდედგილები ბევრი გამოგართვით. თქუენცა მისდა სამუქფოდ მოგუიდეგით კარსა და სანაცულოს მამულის წყალობას დაგუიჯენით. 10

ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგინყალეთ და გიბოძეთ აბანოებს იქით ჩუენთვის სახასოდ საიონჯეთ დაწერილი ნაიონჯარი – იქით გუერდი ძუელს გალავნამდინ, ზემოთ შარამდინ, აქათ – მოურავის, მეითარ მ ა ნ უ ჩ ა რ ი ს ა და ბ ე ჰ ბ უ დ ა ს ვენახების სამძღურამდინ, ბ უ ზ ა ნ ა უ რ ი შ ვ ი ლ ი ს ა ნ შ ე ლ ა ს ა და მ ი რ ი მ ა ნ ა ნ თ ვენახის გუერდამდინ, თქუენთვის გუიბოძებია ყოვლის კაცისაგან უცილებლად. 15

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმ(ა)ნ ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შინა, არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად სხვათა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

ანე, გიბძანებთ ქალაქის მოურავო, მელიქო და მამასახლისო, თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნურას შეუშლით. 20

დაინერა ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორინი)კ(ონ)ს ტლე, თიბათვის ოცსა, ხელითა კარისა ჩუენისა სალაროს მუშრიბის ფ ი რ ა ლ ი ს ა თ ა .

დედანს ესვა ბეჭედი: რ ო ს ტ ო მ

სპარსული ტექსტი:

1647 წ. 25 ივლისი – 22 აგვისტო

حکم عالی شد آنکه بنا بر شفقت عالی در باره سولخان مشرف تمغا و رماز ... خزانہ| و وکیل خرج ولدان فرخ زاد مسیحی تفلیسی و اولاد مومی الیہما بموجبی کہ در ذیل بخط گرجی نوشته شده از ابتدا ہشتمہ سنہ| ... قوی نیل یکقطعه باغ املس محاط علیہ را بنوعی کہ در ذیل بخط گرجی نوشته شده واقع در جانب شرقی قلعه مبارکہ تفلیس| اقطاع تملیکی بمومی الیہم عنایت فرمودہ ارزانی داشتیم مستوفی سرکار عالی حسب المسطور مقرر دانستہ در دفتر ثبت نماید و ہر سالہ| حکم مجدد نطلبند و چون بمہر عالی رسد اعتماد نمایند تحریرا [فی] شہر جمادی الاخر سنہ ۱۰۵۵

محل مہر والی محل مہر مستوفی

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ ტამლის მუშრიბის — ს უ ლ ხ ა ნ ს ა და ხაზინის ... და ვექილ-ხარჯის — რ ა მ ა ზ ა ს ა , თ ბ ი ლ ი ს ე - ლ ი ქრისტიანის — ფ ე რ ო ხ ზ ა დ ი ს შვილებისა და ხსენებულ [პირთა] შთამომავლობის მიმართ მაღალი წყალობის [მიპყრობის] გამო, ჩვენ, ქვემოთ ქართულად დაწერილის საფუძველზე, ცხვრის წლის რვათვეობის დასაწყისიდან, დასახელებულ [პირებს] ქვემოთ ქართულად აღნიშნული 5

საზღვრებითა [და] თ ბ ი ლ ი ს ი ს კურთხეული ციხის აღმოსავლეთით მდებარე საკუთარი [მინის] ნაკვეთები ვუნყალობეთ და ვუბოძეთ. მაღალი კარის მუსტოფიმ, ცნობს-რა დანერილის თანახმად, [ამას] დადგენილად, ჩანეროს დავთარში და ყოველ წელს ახალ ბრძანებას ნუ მოითხოვს. და როცა (ბრძანება) მაღალი ბეჭდით იქნება დაბეჭდილი — დაემორჩილონ.

დაინერა 1055 წლის ჯომადი აღ-ახერის (II) თვეს.

სპარსულ ტექსტს ესვა მუსტოფის და ვალის ბეჭდები.

პირს ერთვის ნოტარიალური მინანერები: 1. Татарское верно записано.

Шахназаров.

2. ეს ქართული ასლთან თანასწორ არს. თ(ავადი) დ ი მ ი ტ რ ი თ ა რ ხ - ა ნ ო ვ ი .

161

1647 წ. 5 სექტემბერი. წყალობის წიგნი ოსტომ მეფისა ლევან თურქისტანიშვილისადმი

პ ი რ ი : სეა, 1450-50/71; რუსული მმართველობის დაწესებულების პირების დავთარი. გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1825 წელს.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტლმ (335), ენკენისთვის ე, რაც უდრის 1647 წლის 5 სექტემბერს.

საბუთის და მ წ ე რ ი : სალაროს მწიგნობარი ფირალი.

[ქ.] ნებითა და შენევნითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან, პატრონმან როსტომ, და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედფოალთ-დედოფალმან პატრონმან მარია მ, პირმშომან და სასურველმა ძემა ჩუენმან, პატრონმან ლუარსაბ, ესე წყალობისა წიგნი გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერთგულსა ყმასა თურქისტანიშვილს ლევანს და შვილთა თქვენთა იესეს და შიოშს.

მას ჟამსა, ოდეს ბატონი ჩვენი და აქ ბძანდებოდა, და დედათქუნმან ბევრი მსახურა, და ბატონი ჩუენი და შუა შემოვიდა და თქვენის მამულის ბოძებას დაგუეაჯა. ჩვენცა ვისნმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, შეგინყალეთ და გიბოძეთ დედაბრიშვილი შოშიტა მისის მამულითა, და გეგელაური ვენახი მისის მინა-წყლითა. ესეები თქვენთვის და შვილთა თქვენთათვის გვიბოძებია ყოვლის კაცისაგან უცილებლად. არა-ოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად სხვათა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

გქონდეს და გობდენიეროს ლ(მერ)თ(მან) ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შინა.

უზედაესთა მოგახსენებთ, უქუედაესთა გიბ(რძანებ)თ, კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნურას შეუშლით თვინიერ თანადგომისა და შენევნისაგან კიდე.

დაინერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლე, ენკენისთვის
ე, ჴელითა კარისა ჩუენისა სალაროს მნიგნობრის ფ ი რ ა ლ ი ს ი თ ა .

დედანს ჰქონია ხელრთვები: რ ო ს ტ ო მ , მ ა რ ი ა მ

მინანერი:

ეს ბძანება ასრე უნდა გათავდეს.

სამი ბეჭედი.

**1647 წ. წყალობის წიბნი ორსტომ მეფისა მისი
დისწულის - ასანბებ [ბარათაშვილისადმი]**

პ ი რ ი : სეა, 1450-11/1; რუსული მმართველობის დაწესებულებების პირების
დავთარი. საბუთი ქართულ-სპარსულია. ოთხსტრიქონიანი სპარსული ტექსტი,
ნასთალიყის ხელით შესრულებული, ერთვის ქართულ ტექსტს. საბუთი გაუ-
ტარებიათ რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1820 წელს.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტლმ (335), მარტის 0მ (15), რაც უდრის 1647
წლის 15 მარტს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : სამეფო კარის მდივან-მწიგნობარი: მერაბ ყორ-
დანაშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა : ფუთურიძე, 1955: გვ. 200-202, №89.

[ქ.] ნებითა და შეწევნითა ლ(მრ)თისათა, ჩვენ, მეფეთ-მეფემან, ჴელ-
მნიფემან პატრონმან რ ო ს ტ ო მ , და თანამეცხედრემან ჩუენმა{ნ},
დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მ ა რ ი ა მ , ესე ამიერ უკუნისამდე
სამკვიდრო და საბოლოო წყალობისა ნიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და
გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერთგულსა და თანამკუ[ი]დრს[ა], მრავალფერად
ერთგულობით თავდადებით ნამსახურსა ჩუენსა დისწულს ა ს ა ნ ბ ე გ ს ,
და შვილთა თქუენთა თ ა ყ ა ს ა , ა ს ლ ა მ ა ზ ს ა და ჩამომავალთა სახ-
ლისა თქუენისა, – ყოველ[თა]ვე.

5

მას ჟამსა, დღეს მოგვიდევით კარსა და თქუენს კერძსა ე ნ ა გ ე თ ს
დაგუაჯენით. ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, და შეგიწყალეთ
და გიბოძეთ ე ნ ა გ ე თ ს ფ ი რ უ ა შ ვ ი ლ ი პ ა პ ი ა მისის კერძის
სამართლიანის მამულითა, ს უ რ ა მ ა შ ვ ი ლ ი დ ა თ უ ნ ა მისის კერ-
ძის სამართლიანის მამულითა, მ ქ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი ს ტ ე ფ ა ნ ა მისის
სამართლიანის მამულითა, ჯ ა ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი ე ვ ა ნ ე ზ ა მისის სამარ-
თლიანის მამულითა, ი ნ ო ქ ა მისის კერძის სამართლიანის მამულითა.
ესეგი ყოველითურ[თ] მათის სამართლიანის მამულით, მთით ბარამდე,
უნაკლულთ გქონდეს, და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩუენ ერთგულად
სამსახურსა შიგან.

10

15

ანე, მოგიხსენებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვექირნო და მდივან{ნ}ო, დღეს ვინ გინდა-ვინ იყოთ და ანუ დღეის ნაღმა ვინ გინდა-ვინ იქნებოდეთ. მერმე, ეს ჩუენგან ბოძებული მამულის წიგნი და სიგელი თქუენცა ასრე დაუმტკიცდრეთ და დაუმტკიცეთ, რომე, რარიგადაც ამა ჩუენგან ბოძებულსა სიგელსა შიგან სწერია, და ნურაოდეს ნურას მოუშლით და შე[ე]ცილებით, თვინიერ თანადგომისა და შენვნისგან კიდე.

დაინერა ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტლე, მარტსა იე, ხელითა კარისა ჩუენისასა მდივან-მწიგნობრისა, ყო რ ღ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს მ ე რ ა ბ ი ს ი თ ა .

დედანს ესვა ერთი ბეჭედი: [როსტომ]

სპარსული ტექსტი:

1647 წ. 4 ივნისი – 3 ივლისი

[حكم عالی شد آنکه] در باره رفعت پناه حسن بگ موازی پنج خانه وار رعیت از رعایای براتلی گرجستان کارتیل بموجبی| که در ذیل [بخط گرجی نوشته شده] بمشار الیه و اولاد عظام او مقرر فرموده [ارزانی داشتیم رعایا منکوره] مومی الیه و اولاد او تیولداری بالاستقلال [خود دانسته] مالوجهات| و سایر وجوهات و حقوق دیوانی تیولداری مزکور جواب گفته قضایا سانحه خود را سواى قضیه خون [بدو رف نمایند] حسب المسطور مقرر دانسته در عهده شناسند تحریرا قی شهر جمادی الاول سنه ۱۰۵۷ محل مهر رستم خان

[გამოვიდა მაღალი ბარძანება მასზე, რომ], სიდიადის საფარველის ჰა ს ა ნ - ბ ე გ ი ს გლეხები, ქ ა რ თ ლ ი ს ს ა ბ ა რ ა თ ი ა ნ ო ს გლეხებიდან რიცხვით ხუთი კომლი, ჩვენ, ხსენებულს და მის დიდებულ შვილებს იმ საფუძველზე, რომელიც ქვემოთ [ქართულად არის აღნიშნული], დაუმტკიცეთ [და ვუბოძეთ]. [ხსენებულმა გლეხებმა] აღნიშნული [პირი] და მისი შვილები [უნდა ცნონ თავიანთ] სრულუფლებიან თიულდარებად, მალუჯათი და სხვა გამოსაღები და სახელმწიფო გადასახადი ხსენებულ თიულდარს მისცენ და მათში მომხდარი [სასამართლო] საქმეები, გარდა სისხლის [სამართლის] საქმეებისა, [მათ გადასცენ გადასაწყვეტად] ... დაწერილის თანახმად, დადგენილად ცნონ [და ამის შესრულება] თავის მოვალეობად აღიარონ.

დაინერა 1057 წლის ჯომადი-ალ-ავალის თვეში.

**1647 წ. 15 ნოემბერი. წყალობის წიგნი ორბელიანების მიერ
ბოქმელ ბიოტბი ბოქმიჯანასწვილისადმი**

პ ი რ ი : სეა, 1449-1762; ორბელიანი, ქართულ-სპარსული.

თ ა რ ი დ ი : ქორთონიკონი ტლმ (335), გიორგობის იმ, რაც უდრის 1647 წლის 15 ნოემბერს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი: მერაბ ყორღანაშვილი.

ქ. ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან, ჯელნი-
ფემან პატრონმან როსტომი, და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედო-
ფალთ-დედოფალმან პატრონმან მარია მ, და შვილთა ჩვენთა სასურ-
ველთა, პატრონმა ლუარსაბ, ესე ამიერ უკუნისამდე ჟამთა და ხანთა
სამკვიდროთ და საბოლოოთ გასათავებელი მტკიცე და მოუშლელი წყა- 5
ლობისა წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერდ-
გულსა და მრავალფერათ ნამსახურსა ყმასა, გორ[ელ]ს გორგი-
ჯანასშვილს გიორგის და შვილთა თქუენთა: ფარსადანს,
ალექსის, მირიჯან[ა]ს და მელქისა დეკს, შვილიშვილთა
სახლისა ჩამომავალთა თქვენისათა, – ყოველთავე. 10

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდექით კარსა და ნისქვილის წყალობას და-
გუეაჯენით, და ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, მოკითხული
ვექენით და უცხოფერათ მრავალი ჭირნახული დაგედვათ ნისქვილ[ი]სა
რუსა და სათავეზედა. ანე, შეგინყალეთ და გიბოძეთ აბანოს პირდაპირ,
ფშანს გაღმა, სამთუალი ნისქვილი მისისა სათავითა და რუ[ი]თა; კარა- 15
ლელის ფშანის მესამედითა, რომე წყალს სამათ გაიყოფდეთ. აქეთ
ფარყუას ნისქვილის რუ რასაც შეიტანს, სადაც სათავე გაიყრებოდეს
იქიმდის; აქით ამირალას რუ რასაც ჩამოიტანს ფშანამდისიმ, იმას
აქეთ. ესეუბი უკლებათ თქუენთვის და თქუენთა შვილთათვის გვიბოძებია
ყოვლის კაცისაგან უცილებლად. 20

გქონდეს და გიბედნიაროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერთგულათ სამსა-
ხურსა შინა. არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არცა შემდგომათ
სხვათა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

ანე, ვინ იცის, ან ამას წინანდელი და ან ამას უკანდელი წიგნი ჰქონდეს
ვისმე, სიგლითა და ამით გაგვიცუდებია მტკიცე და უცვალებელი სიგელი
ოდენი ესე არის. 25

ანე, მოგახსენებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, და მდივანო, და
გორის მოურავო, და სხუანო მოხელენო, დღეს ვინ გინდა ვინ იყვნეთ, და
ანუ დღეის წაღმა ვინ გინდა ვინ იქნებოდეთ, მერმე ესე ჩუენგან მოცემუ-
ლი სიგელი თქვენცა ასრე დაუმკვიდრეთ და დაუმტკიცეთ რა რიგათაც ამა
სიგელსა შიგან სწერია. ნურაოდეს ნურას მოუშლით და ნუ შეეცლიებით
თუნიერ თანადგომისა და შენევნისაგან კიდე. 30

დაიწერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლმ გიორგობის
თვესა იმ. ჯელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის ყორღანამშვი-
ლი

ლიმერაბისითა აგრევე ნეფის წყაროდამ თქვენ რომე ღარით რუ
წამოგილიათ ისიც თქუენთვის [...] გუიბოძებია უცილებლათ ფშანი სამ-
თათვის რომ სამწილათ იქმოდეთ.

დედანას ჰქონია ხელრთვა: როსტომ

მინანერები:

გადამწერის შენშვნა: არშიები და თავი მოხაზულია ფერადად.

მეორე გვერდზე უზის ოთხი სპარსული ბეჭედი.

1745/1762.

164

1647 წ. სახელოს წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ასლამაზ ჩაჩიბაშვილისაჲში

დედანი: სეა, 1448-85; მოყვითალო სქელი ქაღალდი; ზომები: 23,8/15,4
სმ.; მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორი და სამი
წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: დალაქული. გატარებულია
რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1823 წელს.

თარიღი: ქორონიკონი ტლჷ (335), რაც უდრის 1647 წელს.

პირი: სეა, 1450-37/143.

საბუთის დამწერი: სამეფო კარის მდივან-მწიგნობარი ბირთველ
თუშანიშვილი.

ქ. ნებითა და შენვენითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მ²ეფეთ-მეფემან, ჳელმ-
ნიფემა პატრონმა რო³სტომ, ეს წყალობისა წიგნი და ნიშანი შ⁴ეგი-
წყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა |⁵ერთგულსა და მრავალფერად თა-
ვდადები⁶თ ნამსახურსა ყმათა, ჩაჩიკაშვილს ასლამაზს, |⁷
და თქუენთა შვილთა. შეგინწყალეთ და გიბ⁸ოძეთ კახეთს გავაზის
მოურაობა სამა⁹რთლიანის საქმითა ყოვლის კაცისაგან |¹⁰უცილებლად
გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)|¹¹თ(მა)ნ ჩუენს ერდგულად სამსახურსა
ში¹²ნა და არაოდეს არ მოგეშალოს.

ა¹³წე, გიბძანებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვე¹⁴ზირნო და სხვანო მო-
საქმენო, თქუენცა |¹⁵ასრე გაუთავეთ.

დაინერა ბძანება და ნიშანი |¹⁶ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლჷ, ჳელითა
კარისა ჩუენისა |¹⁷მდივან-მწიგნობრის, თუშანიშვილის ბი¹⁸რ-
თუელისითა.

ხელრთვა: როსტომ

კომენტარი:

მნიშვნელოვანია, რომ უკვე 1647 წელს (სანამ როსტომი საბოლოოდ
დაამარცხებდა თეიმურაზს), როსტომს შესაძლებლობა ჰქონია გავაზის
მოურავობა თავისთვის სასურველი პირისათვის გადაეცა.

**1647 წ. წყალობის ბანახლების წიგნი როსტომ
გეგისა იოთამიშვილებისადმი**

პ ი რ ი : სეა, 1450-38/6; რუსული მმართველობის დაწესებულების პირების დავთარი. გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1823 წელს.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტლმ (335), რაც უდრის 1647 წელს.

... უზეშთაესთა მოგახსენებთ და უქუვედაესთა გ(ი)ბ(რძანე)ბთ, ვინცა-ვინ ბრძანებისა ჩვენისა მორჩილნი იყვნეთ, მერმე, ლ ი პ ა რ ი ტ ი ს - მ ა ნ საყდარი ძველითგან ამ ი ო თ ა მ ი ს შ ვ ი ლ ე ბ ი ს ა ყოფილიყო და ძველს სიგელშიაც ამათ ეწერა. და ჩვენც ისრევე ამათთვის გვიბოძებია ყოვლის კაცის უცილებლად ძველს სიგელში რომ ეწერა, ჩვენც იმისთვის უფრო [ვ]უბოძეთ მისის მამულითა, შესავლითა და გამოსავლითა. და ნუ-რას კაცს ამასთან ხელი ნუ გაქუს ქ(ორონი)კ(ონ)ს ტლმ.

დედანს ჰქონია ხელრთვა: [რ ო ს ტ ო მ]

**1648 წ. 10 თებერვალი. წყალობის წიგნი როსტომ
გეგისა ზაალ წიქეთელისადმი**

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Sd-1138; მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 45,5X19,3 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთის დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. საბუთის ქართულ-სპარსულია. ცხრასტრიქნიანი სპარსული ტექსტი, შექასთეს ხელით შესრულებული, მოთავსებულია საბუთის recto-ზე. 1892 წელს საბუთი გაუტარებიათ რუსულ რეგისტრაციაში ნომრით: №409.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტლვ (336), თებერვლის ი (10), რაც უდრის 1648 წლის 10 თებერვალს.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი : ასათიანი 1953: გვ. 11-12; ფუთურძე 1955: №90, გვ. 202-205; ბურჯანაძე 1959: გვ. 29-30, #19.

დ ა მ წ ე რ ი : კარის მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

ქ. ნებითა და შეწვევითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან,² ჳელმნიფემან პატრონმან როსტომ, თანამეცხედრემან ჩუენმან,³ დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარია მ, პირმშომან და სა-⁴სურველმან ძემან ჩუენმან, პატრონმან ლუარსაბ, ესე სამკუი⁵დრო და საბოლოო⁶ წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და⁶ გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა

ერდგულსა და მინდობილსა ყმ|⁷ასან ერეთელს ზა[ა]ლს, შვილთა და მომავალთა სახლისა თ|⁸ქუენისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს და დიანს ბატონს ლევან⁹ს თქუენი თავი აქ, ჩუენთუის შემოებარებინა, რომე ჩუენის გ|¹⁰ულისათუის შეინახეთო და მამული უბოძეთო, მოკითხული ვქენით|¹¹ და ზემოქართლს თქუენისავ ნათესავის სამკუიდრო მამული|¹² თიღვა შეგინყალეთ და გიბოძეთ ყოვლითურ აზნაურისშ|¹³ვილებითა, ზურითა, სას{ა}ხლითა, სასაფლაოთ{ა}. ამ წესითა, რომე, რაც და|¹⁴თუნას საგოგატიშვილო მამული ჰქონდეს, ის არ მოეშალოს|¹⁵ და სხუა, რაცნ ერეთელის გიორგის საკერძო მამული|¹⁶ ჩუენგან წყალობად მიმატებოდეს, ის თქუენთუის სახასოდ გუიბო|¹⁷ძებია. სხუა აზნაურიშვილი და გლეხი ყოველივე, სურნის[ს] გარ|¹⁸დაისად, რისაც მქონებელი წ ერეთელი გიორგი ყოფილ|¹⁹იყოს, ყოვლითურ მითთ ბარამდისინ თქუენთუის გუიბოძებია.

|²⁰ გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მან) ჩუენსა ერდგულად სამს|²¹ახურსა შინა და არ მოგეშალოს ეს მამულები შინ და რა|²²ინანად გუიბოძებია.

ანე, გიბ(ძანე)ბთ, კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზ|²³ირნო და სხუანო მოსაქმენო, ვინცა-ვინ იყუნეთ და დღ|²⁴ეის წაღმა იქნებოდეთ, თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნუ|²⁵რას მოუშლით და შე{ე}ცილებით, თუინიერ შენეენი|²⁶სა და თანადგომისაგან კიდე.

დაინერა ბ(ძანე)ბა და ნიშანი|²⁷ ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლვ, თებერვალს ი, ჳელითა კარისა ჩუე|²⁸ნისა მდივან-მნიგნობრის თუ მანიშვილის ბირთუელისი|²⁹თა.

ნუშისებრი ფორმის ბეჭედი ლეგენდით:

||³⁰როსტომ მეფე, ყაენის ფერჯთა მტვერი.

გვიანდელი მინანერები:

პოლკოვნიკ-მდივანბეგი თავადი ქაიხოსრო ნერ{ე}თელი.

მდივანბეგი თავადი დავით ჩხეიძე.

როსტომ მეფისა ზ.

სპარსული ტექსტი:

1646 წ. 12 სექტემბერი – 10 ოქტომბერი

هو

حكم عالی شد آنکه بنابر شفقت عالی در باره رفعت پناه زال بیگ زرتل باشی آجوقی قریه تیغوی من اعمال گرجستان کارتیل را با توابع و لواحق سوای آنچه تیول دادی اغلی مقرر است بطریقی که در قدیم الایام تیول گوگی زرتل مقرر بوده بتیول او مقرر فرموده بنوعی که در ذیل بخط گرجی نوشته شده ارزانی داشتیم رعایا قریه مزبورہ مومی الیه را تیولدار باستقلال خود دانسته سال بسال مالوجهات و وجوهات خود را در وجه او رسانند مستوفی سر کار عالی حسب المسطور مقرر دانسته در دفتر ثبت نماید و در عهده دانندا تهریرا فی شهر صفر سنه ۱۰۵۸

ის (ღმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ ბაში-აჩუკის ზ ა ა ლ - ბ ე გ
ნ ე რ ე თ ლ ი ს მიმართ მაღალი ყურადღების გამო, ჩვენ მას იმ წესით,
რომელიც ქვემოთ ქართულად არის დანერილი, ქ ა რ თ ლ ი ს სოფელი
თ ი ღ ვ ა , ყველაფრით, იმ წესით, როგორც ძველად გ ი ო რ გ ი ნ ე რ -
ე თ ე ლ ს ჰქონდა დამტკიცებული, თიულად დავუმტკიცეთ, იმის გარდა, 5
რაც და დ ი ო ლ ლ ი ს თიულადაა დამტკიცებული. ხსენებული სოფლის
გლახებმა აღნიშნული [პირი] სრულუფლებიან თიულდარად [უნდა] ცნონ
და ყოველწლიურად თავისი მალუჯათი და გადასახადები მას გადასცენ.
მაღალი კარის მუსტოფიმ, თანახმად დანერილისა, დადგენილად ცნოს
[ეს], ჩანეროს ეს ბრძანება დავთარში და [მისი შესრულება] თავის მოვა- 10
ლეობად ცნონ. დაინერა 1058 წ. საფარის თვეს.

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია როსტომ მეფის სპარსული ბე-
ჭედი. საბუთის ვერსო-ზე მოთავსებულია სამი სპარსული სარეგისტრაციო
ბეჭედი: 1. ოვალური, წარწერით: يا معين الصفا – „ო, უძღურთა შემწვე“; 2.
ოვალური, გაურკვეველი წარწერით: قلمي شد – „დაინერა“; 3. ელიფსური,
წარწერით: يا صاحب العصر و الزمان ١٠٥٥ – „ო, საუკუნისა და დროის მფლობე-
ლო 1055“; ان المفوض امر الله „ღვთისთვის მიმინდვია ჩემი საქმე“, რომელსაც
ქვემოთ მიწერილი აქვს: بنظر سید „განხილულ იქნა.“* იკითხება ნაწილობრივ
١٠٥٣ افوض امر الى الله – „მიმინდვია ჩემი საქმე ღვთისთვის 1053“.

კომენტარი:

საბუთის ადრესატი ზაად წერეთელი დასავლეთ საქართველოს მკვიდ-
რი ჩანს, რადგან როსტომ მეფეს იგი ლევან დადიანმა მიაბარა, მაგრამ
ზაადს მისცეს მისი ნათესავის სამკვიდრო მამული თიღვაში. ამ ფაქ-
ტზე დაყრდნობით ო. სოსელია ამყარს მოსაზრებას, რომ წერეთლების
ადრინდელი სამკვიდრო ქართლი იყო, ხოლო იმერეთში მოგვიანებით
ჩასახლებულან (სოსელია, 1981: 79). ლ. ასათიანი მიიჩნევს, რომ გო-
რის სამხრეთით, თრიალეთის მთის ჩრდილოეთით, მიემართება ქედი,
რომელსაც წერეთი ჰქვია, ხოლო მდ. ტანას ხეობაში მდებარეობს
სოფლები დიდი და პატარა წერეთი, საიდანაც გვარი მომდინარეობს
(ასათიანი, 1960: 13).

გადმოცემის თანახმად, ქართლიდან იმერეთში წერეთლების გადასვლა
თემურ-ლენგის ლაშქრობებს უკავშირდება (ო. სოსელია, გვ. 81).

ლევან დადიანის ზრუნვას ზალ წერეთლისადმი ო. სოსელია ხსნის
როსტომისადმი ზაადის მომხრეობით. მისი ვარაუდით, თემურაზ I-სა
და როსტომს შორის არსებული დაპირისპირების დროს, თემურაზის
მომხრე იმერეთის მეფემ ზაად წერეთელი იმერეთიდან გააძევა, დევნი-
ლი ზაადი კი ლევან დადიანმა როსტომს მიაბარა (სოსელია, 1981: 97).

*ვ. ფუთურიძე იმავე გვერდის კუთხეში უთითებს მინაწერს: ...خط مسلمان –
„ბრძანება მუსლიმური დამწერლობით დაიწერა,“ თუმცა, დღეს ეს მინაწერი აღარ ჩანს.

თიღვა წერეთლებმა დაკარგეს ერეკლე I-ის (1688-1703) მეფობისას, რადგან მხარს უჭერდნენ ერეკლეს მოწინააღმდეგე გიორგი XI-ს, რის გამოც ნაზარალი-ხანმა მამულის ჩამორთმევით დასაჯა ისინი (ო. სოსელია, გვ. 86, სქ. 24).

**1648 წ. 12 მაისი. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა
თაყა თუშანიშვილისადმი**

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Qd-6922; ღია ყავისფერი ქაღალდი; ზომა: 45,5X25 სმ.; ხელი მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთის ტექსტი თავიდან ბოლომდე გარკვევით იკითხება; გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით; საბუთის მარჯვენა კიდე ალაგ-ალაგ მოხეულია, დაზიანებული ადგილები აღდგენილია კონტექსტისა და შემორჩენილიო გრაფემების მიხედვით; საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. შვიდსტრიქონიანი სპარსული ტექსტი, შესრულებული შექასთეს ხელით, მოთავსებულია საბუთის req-to-ზე. ტექსტი დაზიანებულია და რამდენიმე ადგილი არ იკითხება.

პ ი რ ე ბ ი : 1. ხეც, Hd-13952; 2. ხეც, Hd-4134.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : სალაროს მუშრიბი ფირალი.

საბუთის თ ა რ ი ღ ი : ქორონიკონი ტლშ (336) მაისის 0ბ, რაც გვაძლევს 1648 წლის 12 მაისს.

გ ა მ ო ც ე მ ა : ფუთურიძე, 1955: გვ. 205-208, №91.

ქ. ნებითა და შენვენითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ მეფემან პატრონმან [რ] | ²ო ს ტ ო მ , და თანამეცხედრემა ჩუენმან დედოფალთ დედოფა[ლმან] პატრონ³მან მ ა რ ი ა მ , პირმშომა და სასურველმა ძემა ჩუენმან, პატრონმან ლ უ ა | ⁴რ ს ა ბ , ესე წყალობისა წიგნი გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა ყმათა თ | ⁵უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ს თ ა ყ ა ს ა და კარისა ჩუენისა მდივანს ბ ი რ თ ვ ე ლ ს , მურდა[რსა] | ⁶მ ა ნ უ ჩ ა რ ს და ყორჩს ჯ ი მ შ ი ტ ა ს ა , შვილთა თქუენთა: ბ ა ი ნ დ უ რ ს , გ ი ო რ გ ი ს | ⁷ , ზ უ რ ა ბ ს , შვილთა და მამავალთა სახლისა თქუენისათა.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგ⁸ით კარსა და ქ ა ლ ა ქ ს თქუენს სამკუიდროს ვაჭარს დაგუეაჯენით, ჩუენ ვისმინეთ | ⁹ აჯა და მოხსენება თქუ[ქ]ენი, მოკითხული ვქენით და ძუელი სიგლებიც გუენახნ¹⁰ეს და მემკუიდრე თქუენი ყმა ყოფილიყო და კურთხეულს ჩუენს ძმისწულს ბატ¹¹ონს ს უ ი მ ო ნ ს ა ც ე ბ ო ძ ე ბ ი ნ ა . ანე, ჩუენცა თქუენის ერდგულად სამსა[ხურის] სა¹²მუქჟოდ შეგინყალეთ და გიბოძეთ ქ ა ლ ა ქ ს ა შ ა ნ მ ა შ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ხ უ დ ა დ ა , მისი ძმის¹³წული პ ა პ უ ა და ყ ა ზ ა რ ა მათის მამულითა, სახლ-კარითა, ქულბაქებითა, შესავ¹⁴ლითა და გამოსავლითა, ნასყიდითა და უსყიდითა, ყოვლის მისის სამართ¹⁵ლიან-

ის საქმითა და სამძღურითა, თქუენთვის და შვილთა თქუენთათვის გუ¹⁶-
ბოძებია ყოვლის კაცისაგან უცილებლად.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ¹⁷ ჩუენსა ერდგულად სამ-
სახურსა შინა, არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩ¹⁸უენგან და არა შემდგომად
ჩუენთა გუართა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

უ¹⁹ზედაესთა მოგახსენებთ და უქუედაესთა გიბ(რძანე)ბთ, კარისა
ჩუენისა ვექი²⁰ლ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, ქალაქის მოურაო, მელ-
იქო და²¹ მამასახლისო, თქუენცა ასრე გაუთავეთ, რარიგად ამა ჩუენგან
ნაწყალობევს²² სიგელსა შიგან სწერია, ნურაოდეს ნუ მოუშლით და შეეც-
ილებით, თ²³უინიერ თანადგომისა და შეწევნისაგან კიდე.

დაინერა ბ(ძანე)ბა და ნიშანი, სიგელ²⁴ი მტკიცე და შეუცვალებელი,
ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლვ, მათის იბ, ჳელითა კარისა²⁵ ჩუენისა სალაროს მუშ-
რიბის ფ ი რ ა ლ ი ს ი თ ა .

ხელრთვები: როსტომ, ლუარსაბ

სპარსული ტექსტი:

1646 წ. 25 აპრილი – 23 მაისი

هو

[حکم عالی شد آنکه بنابر شفقت عالی در بارهٔ رفعت پناه ببرتلی بیگ نویسنده خط گرجی تومان اعلیٰ و
ایرا] [دران او ... منوچهر بیگ دوآندار و جمشید قورچی زره ... و اولاد ایشان] [بموجبی که در ذیل
بخط گرجی] [نوشته از ابتداء تاریخ ذیل یکخانه وار رعایت ... تفلیسی بدستور ذیل بتیول ایشان] [شفقت
فرموده ارزانی] [داشتیم خداداد مزبور جماعت مسطوره را تیولداری با استقلال خود دانسته] [سال بسال
مالوجهات و حقوق دیوانی خود را وجه ایشان رسانیده موقوف ندارد] [مس] [توفی سر کار عالی] [در دف
تر ثبت نموده هر ساله ح[کم مجد] د[نطلبند و در عهده دانند تحریرا فی] [شهر ربیع الثانی] [سنه ۱۰۵۸]

ის (ღმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზედ, რომ სიდიადის საფარველის, ქა-
რთულად მწერალის ბ ი რ თ ვ ე ლ - ბ ე გ ი თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს დამისი
ძმების: მ ა ნ უ ჩ ა რ - ბ ე გ დავათდარის, ჯავშნის ყურჩის ჯ ე მ შ ი დ ი -
ს ა დ მათი შვილებისადმი მაღალი წყალობის [მიპყრობის] გამო, ქვემოთ,
ქართულად აღნიშნულის საფუძველზე, ჩვენ ვუწყალობეთ და ვუბოძეთ
მათ, ქვემოთ აღნიშნულ თარიღიდან და ქვემოთ[ვე] მოხსენიებული წე-
სის მიხედვით ერთი კომლი ყმა ... თბილისელი. მოხსენიებული ხ უ დ ა დ ა
ცნობს, რა აღნიშნულ პირებს თავის სრულუფლებიან თიულდარად, ყოველ
წელს თავისი მალუჯვათი და სახელმწიფო გადასახადი მათ უნდა გადასცეს
და არაფერი დაუკავოს. მაღალი კარის მუსტოუფი [ამ ბრძანებას] ჩაწერს
რა დავთარში, ყოველ წელს ახალ ბრძანებას ნუ მოითხოვს და [მისი] შეს-
რულება თავის მოვალეობად აღიაროს. დაინერა [10]58 წლის რაბი ალ-სან-
ის (II) თვეს.

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია როსტომის სპარსული ბეჭედი.
საბუთის verso-ზე დასმულია ორი სპარსული სარეგისტრაციო ბეჭედი: 1. ოთხ-

კუთხა, გაურკვეველი წარწერით და ქვემოთ მინაწერით: بنظر رسيد – „განხილულ იქნა“; 2. ოვალური, გაურკვეველი წარწერით – იგი დასმულია verso-ზე მინებებულ ქალაქის პატარა ფურცელზე. ქვემოთ მინაწერი: قلمی شد – „დაინერა.“ ამავე ფურცელზეა დატანილი სპარსული ტექსტის ფრაგმენტი.

კომენტარი იხ. საბუთთან ხეც, Ad-972-თან

168

1648 წ. 25 მაისი. თარხნობის წიგნი მეფე როსტომისა შუამთის ხახულის ღმრთისმშობლის ხატისადმი

დ ე დ ა ნ ი : სეა, 1448-1204; მოყვითალო სქელი ქაღალდი; 49,2X27,2 სმ.; მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორი და სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: გაცრეცილია, დაზიანებულია საბუთის კიდეები. დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტღვ (336), მაისს კვ, 1648წ. 25 მაისი.

პ ი რ ე ბ ი : E 240-82, ფ. 118 a-119 a;

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : კარის მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმან-იშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი : АКТЫ, 1874: с.771.

ქ. ნებითა და შეწევნითა ლ(მრ)თისითა, ჩუენ მეფეთ-მეფ²ემან ჳელ-მწიფემან პატრონმან როსტომ, და თანამეცხედრე³მან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარია მ, პი⁴რმომან და სასურველმან ძემან ჩუენმან პატრონმან ლუ⁵არსაბ, ვიგულეთ და ვიგულისმოდგინეთ, [კ]კადრეთ და მოგახსე⁶ნეთ თქუენ ყოვლად ძლიერსა და ყოვლად ბინ-შეუხვე⁷ლსა ჩუენსა სასოებასა და სიქადულსა, საშინელსა და პა⁸ტიოსანსა ხ ა ხ უ ლ ი ს ა ლ(მრ)თისმშობელსა შემოგწირეთ ⁹და მოგახსენეთ, რაც კაცი ამას წინათ შუამთას სახლებუ¹⁰ლა, და ან ვინცა-ვინ ამას უკან დასახლდეს, იმათი ბაჟი და დამ¹¹ლა ჩუენდა სადღეგრძელოდ და მეფობისა ჩუენისა წ¹²ასამართებლად, ამ წესითა და საქმითა, რარიგადაც ¹³უელს გუჯარში გინერიათ და ან გარიგებული ყოფილა. ¹⁴

ანე, გიბ(ძანე)ბთ კარისა ჩუენსა ვექილ-ვეზირნო და სხუა¹⁵ნო მოსაქმენო, ვინცა-ვინ იყვნეთ და ანუ დღეის წაღმა ¹⁶იქნებოდეთ, თქუენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ¹⁷ამ ჩუენგან შეწირულსა და მირთმეულს სიგელსა შ¹⁸ინა ეწეროს. და ნურავინ მოუშლით და ნურცა-რას შე[ე]ცილებ[ი]¹⁹თ. ვინცა-ვინ ან ბ ა ზ რ ი ს ხოჯა იქნებოდეთ და ან გ რ ე მ ი ს ა , ²⁰ეს ჩუენი ბ[რ]ძანება ასრე გაუთავეთ.

დაინერა ბ(რძანე)ბა და ²¹ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ო)სა ტღვ. მაის[ს] კე, ჳელითა კარისა ²²ჩუენსა მდივან-მწიგნობრის, თ უ მ ა ნ ი შ უ ი ლ ი ²³ს ბ ი რ თ უ ე ლ ი ს ი თ ა .

კომენტარი:

როსტომი, როგორც კახეთში ახლადგამეფებული მმართველი, შუამთის მონასტერს უმტკიცებს იმ პრივილეგიებს, რომელსაც მონასტერი ტრადიციულად ფლობდა. უკანასკნელად შუამთას მოსახლე ყმა-ვაჭრების ბაჟი მონასტერს 1637 წელს შესწირა მეფე თეიმურაზმა (დოკუმენტური წყაროები, 2019: 294-295).

**1648 წ. 1 დეკემბერი. თარხნოვის წიბნი როსტომ მეფისა
წილკნის საქმლისადმი**

საბუთი დაკარგულია. ტექსტი შემორჩენილია თ. ჟორდანიას პუბლიკაციით.
გ ა მ ო ც ე მ ა : ჟორდანია 1897: გვ. 474 (ინფორმაცია საბუთის შესახებ).

მეფე როსტომ-მარიამ და ძე მათი ლუარსაბ სწერენ: „შემოგწირეთ წილკნური გამოსაღები – სათათრო შაური, უნაკლულოდ... განგვარინენ მძლავრთა ამათ აგარის ნაშობთაგან, რ(ომელ)ნი გუბრძანან ჩუენ, და განაქარვე ზრახვა მათი...“

„წილკნელ მ(თავარეპის)კ(ოპო)სო რომანოზ მოგვიწყენებდეთ.“

**1648 წ. შიწირულუბის ბანახლუბის წიბნი როსტომ
მეფისა სვეტიცხოვლისადმი**

საბუთი დაკარგულია. ტექსტი შემორჩენილია თ. ჟორდანიას პუბლიკაციით.
საბუთის დამწერი: სალაროს მწიგნობარი ფირალი.
გ ა მ ო ც ე მ ა : ჟორდანია 1897: გვ. 461-464.

ქ... ჩ(უე)ნ, მეფეთ-მეფემან როსტომ... და დედოფალმან მარიამ... შეწენითა... შენითა (მცხეთის) მტერნი და წინააღმდეგომნი სამარადისოდ ლტოლვილ და უკუქცეულ არიან. და ნებითა {ა} თქუწნითა ვერვინ მკადრე არს წინააღმდეგობად ჩ(უე)ნდა...

ან დავიწყოთ ამბავისა ჩ(უე)ნისა მბობა. ოდეს სიყმანვილეთა ჟამთა ჩ(უე)ნს ბედნიერს შაჰაბასს ყაენს მახხლეს, და გამომზარდა პატივცემითა, ვითა მართებდა ჩუწნთა გუართა მეფეთა ნათესავსა. რა გავაჟკაცდით, მოვანონეთ თავი სამსახურითა, უყვარდით და უღირდით შვილურად. გვიბოძა ყულარალასობა. მაშინ იყო ყულთ ჯარი ქართუწლ[თ] შვილი, ბედნიერის ყაენისა მასახლელებლი. სადაც გუასარდრის და გაგუგზავნის, გამარჯულებულნი და პირნათელნი მოვიდით. მრავალი სახელი და გამარ-

ჯუჭბა გვინახის. ასე ენადა, რომე სამსახურსა ჩ(უე)ნისა სამუქფოდ ბევრი კარგი ექნა და უფრო სიდიდე მოემატებინა.

ამ დროსა უფროსი ჩ(უე)ნი ძმა, მეფე ბ ა გ რ ა ტ , ქ ა რ თ ლ ი თ ბ ა - ტონობდა და კახი ბატონი ამავე შ ა ჰ ა ბ ა ზ ყაენისაგან თავის საბატონო- დამე გაღარიბებულ-გაგდებულ იყო და კ ა ხ ე თ ი შიგნითი ოჯერი, და ნაპირის ალაგი შენი. და ყაენისაგან კ ა ხ ე თ ი ც ა ი ო რ ს აქათიდა ჩ ე რ - ქ ე ზ ს აქათი, ჩ(უე)ნის ძმისათვის ნაბოძები ჰქონდა. ამ საქმესა მეფობი- სა გარიგებ[ა]სა, ნადირობ[ა]სა, ლხინსა და უხუად გაცემ[ა]სა შინა იყო. იმ სიდიდისა დროსა სოფელმან მისი წესი მოინდომა და ამ სოფლით ბატონი ბ ა გ რ ა ტ მიიცუალა. შეიქნა ტირილი და გლოვა სრულიად ს ა ქ ა რ თ - ვ ე ლ ო შ ი . და შვილი მისი იყო ბატონი ს ვ ი მ ო ნ გლოვასა და მწუხარე- ბასა შინა. რაჟამს მიესმა სიკუდილი ბ ა გ რ ა ტ ი ს ი შ ა ა ბ ა ზ ს ყეენსა, და ასრე დაუმძიმდა, ვითა ძმა ყოფილიყო; მაშინვე გამოგზავნა კაცი და სამძიმრის წიგნი. შვილს იმედის მიცემა და წყალობის ქადება დაუწერა. წელიწადზედა შეინყალა ბატონი ს ვ ი მ ო ნ . ყ ა რ ჩ ი ღ ა ხ ა ნ სარდარი იყო; გამოუგზავნა თვისი ქალისშვილი ბატონს ს ვ ი მ ო ნ ს ცოლად, ესე ყ ა რ ჩ ი ღ ა ხ ა ნ და ათი-თორმეტი ხანი გამოატანა. ქალაქს მოვიდნეს, რომელსა ეწოდების ტ ფ ი ლ ი ს ი და ქორნილი უყვს. იყვის მღერა, ნადიმი და მეჯლიში, ბურთობა და ყაბასის სროლა. რა ქორნილობა გარდაიჭადეს, ბრძანება იყო ყაენისა, რომე კახი-კაცი გაენყვიდა და კ ა ხ ე თ შ ი ყიზილბა- ში დაესახლა. და კ ა ხ ე თ ს პატრონობდა ბ ა რ დ ი ს ხანი ფეიქარ ხ ა ნ .

შეიყარა კახი ლაშქარი; მივიდეს მ უ ხ რ ა ნ ს ა ღ ა ი ა ნ ი ს მინდორ- ში და ყათლამი უყუვს ლალატი: ერთობილნი კახნი დაჯოცეს. ეს იწყ- ინეს ქართუშლთა ქრისტიანთ უბრალოდ დაჯოცა; შეიყარნეს ქართუშლნი. დაესხნენ მ ა რ ტ ყ ო ფ შ ი ყიზილბაშთა თავსა. ყ ა რ ჩ ი ხ ა ნ სარდარი და უ ს უ ფ ხ ა ნ შ ი რ ვ ა ნ ი ს ხანი და სხვა ხანები და სულთნებიც მრავა- ლი დაჯოცეს. აივსნეს საშოვრითა: ოქროთა ვერცხლითა, თვალითა, მარგალიტითა. მრავალისა უცხოს ნაქსოვითა, ცხენ-აქლემითა და ჯორ- ითა. ამაზედ ჩამოიყუანეს კახი ბატონი თ ე ი მ უ რ ა ზ და გააბატონეს მ ც ხ ე თ ა ს ზედათ ქ ა რ თ ლ ს ა და კ ა ხ ე თ ს ა . ბატონი ს ვ ი მ ო ნ ტ ფ ი ლ ი ს [ს] იჯდა, ს ო მ ხ ი თ -ს ა ბ ა რ ა თ ი ა ნ ო ს პატრონობდა. ჩ(უე)ნი იმ ჟამში ბედნიერმან ყაენმან თავის ტახტის ი ს ჰ ა ა ნ ი ს მოურაო- ბა გვიბოძა, დიად, სიდიდე მოგუშმატა.

ამასობაში მოვიდა ბრძანება ლ(მრ)თისა და შ ა ჰ ა ბ ა ზ ყაენმან ტახტი დაცალა და ამ სოფლით მიიცუალა მ ა ზ ა ნ დ ა რ ი ს ქუყყანას, ა შ რ ა ფ ს რომ ყეენის სასახლე არის. და ჩ(უე)ნი [ვ]იყვენით ი ს ჰ ა ა ნ ს , ყეენის შვილები და შვილისშვილები იქ იყუნენ. მრავალჯერ ქმნილიყო წინათ ჟამ- ში ჯელმნიფეთ მიცვალებასა ზედა ერთმანერთი გაენყვიტათ და მრავა- ლი სისხლი დაღვრილიყო. ჩ(უე)ნი ძალითა და შეწევნითა ლ(მრ)თისათა, გავსინჯეთ საქმე: შვილიც იყო ყაენისა, მაგრამე თავად თვალდამწუარი იყო, სინათლესა ჰქონდა. მაგრამე უფროსი შვილიშვილი იყო, დიად კარგი, თულად და ტანად შუნიერი, ჯელმნიფობა იმას შეფერებოდა. ამოვიყვუანე და ტახტზე დავსვი. და მიულოცეთ ჯელმნიფობა შ ა ჰ ს ე ფ ი ს ყაენსა, ვაკ- ურევინეთ ქანარა და ნალარა, მივსწერეთ შორსა და ახლოსა ბრძანება, თუ:

„მოდით და თაყუანის ეცით“. მოვიდეს ყოვლის ადგილიდალმე ხანები და სულთნები, მიულოცევდით ჳლმწიფობასა. და აყრიდენ თვალ-მარგალიტ-სა წლამდისინ. და ადიდეს. და მოენონათ ყ(ოველ)თა მნახავთა, თქუეს და აქეს: „არა არისო ჳელმწიფე ქუეყანასა ზ(ედ)ა ამისი მსგავსიო“, გააკვირვა ყ(ოვე)ლი რჯული და სული ლხინითა, ნადირობითა და გაცემითა. გაისმა ქება სიკეთისა ყ(ოველ)სა ქ(უე)ყ(ა)ნასა.

ამ დროს წამოეჭიდა ჩ(უე)ნი ძმისწული ბატონი ს ვ ი მ ო ნ და კახ-ბატონს ქ ა რ თ ლ ი წაართუა და კახი ბატონი თავის ალაგს იყო. იმავე წელიწადს ამდონი ისაჯა კახმა ბატონმა თ ე ი მ უ რ ა ზ , თავისი ქალი და მისივე ყმა ჩ ა რ ქ ა ზ ი გ (ი ო რ გ) ი მოლაღატედ შეუყენა და მძინარე ბატონი ს ვ ი მ ო ნ დააკულებინა, ქ ა რ თ ლ ს გაბატონდა, ს ო მ ხ ი თ ი და ს ა - ბ ა რ ა თ ი ა ნ ო დაიჭირა. რა გაიგონა შ ა ჰ ს ე ფ ი ყაენმან, მწუჟდ იწყინა, კახ ბატონს გაუწყრა, ჩ(უე)ნი საბატონო ჩ(უე)ნ გვიბოძა. გამოგუატანა ყიზილბაშთ სარდარი, ჩ(უე)ნის ძმის, ბატონის ბ ა გ რ ა ტ ი ს სახლხუცის, ს ა ა კ ა ძ ე ბ ე ჟ ა ნ ი ს შვილი რ ო ს ტ ო მ ხ ა ნ და მრავალი ლაშქარი. მოვედით, კახთ ბატონი გავაგდეთ და ჩ(უე)ნი საბატონო დავიჭირეთ. ბატონი თ ე ი მ უ რ ა ზ ი მ ე რ ე თ ს შეიხიზნა: ქალი იყო იმისი იმერლის მეფის შვილის, ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ს ცოლი, და ჩ(უე)ნ და დ ა დ ი ა ნ ი ბატონი ლ ე ვ ა ნ დავმოყვრდით და შევირთეთ დაჲ მისი. ეს ბატონი დედოფალი {ხ}ომ ყ(ოველ)თა მნათობთა ზ(ედ)ა ქებული. მოვინადინეთ იმავე წელიწადს ქორწილის ქნა, და გზა არ დაგუანება იმერელთ მეფემან გ (ი ო რ გ) ი მ . შევიყარენით. აქათ ჩ(უე)ნ და მივედით ს ა მ ც ხ { ე } ს , ო ც ხ ე ს დავდეგით. იქით წამოვიდა დ ა დ ი ა ნ ი შეყრით და ქალი წამოიყუანა. წინ გარდაუდგა მეფე გ (ი ო რ გ) ი . შეიბნენ და გაემარჯუა დ ა დ ი ა ნ ს ა . და დარჩა ჳელთა მეფე გ (ი ო რ გ) ი . ჩ(უე)ნც ჩავედით კ ა კ ა ს ჳიდს, ი მ ე რ ე თ შ ი ა და მობრძანდა ბატონი დ ა დ ი ა ნ ი . შევიყარენით და გავიხარენით ერთმანერთის ნახვითა, ლხინითა და განსუწმენბითა. ნაბძანდა იქით დ ა დ ი ა ნ ი და წამოვედით მხიარულნი, იმერეთი ჩამოვიარეთ და მოვედით ტ ფ ი ლ ი ს ს , ქორწილი გარდავიჴადეთ და გულის ნებას ვენიენით.

იყო კახი ბატონი ი მ ე რ ე თ ს . ჩხუბისა და ავის საქმისაგან თავი არ აილო და არც დასწყნარდა: კ ა ხ ე თ შ ი ჩამოვიდა მთის გზიდან. მრავალს ადგილს ჩ(უე)ნი თავსდასხმა და ლაღატი მოინდომა, და ჩ(უე)ნ, განაღამც ბატონის სისხლსა ვსთხოვდით, და ქუწყანას [ვ]ურბევდით, და ბევრი ავი საქმე [ვ]უყავით. ბოლოს შემოვიდნენ შუა კ(ათალიკო)ზი, ბერები, ერისთუშბი და თავადები, და დანდობის საქმეს გამოგუწხუწნენ, და ორს წელიწადი ერთმანერთი დაინდევეითო, მას უკან გასამართლდითო და, რაც სამართალმა გიჩინოს, ბატონის ს ვ ი მ ო ნ ი ს სისხლი იმ გუარათ მოიკითხეთო.

დაგვიდვა კახმა ბატონმა თ ე ი მ უ რ ა ზ სანდოთ საფიცრით სოფელი გ ა ვ ა ზ ი და სოფელი კ ი ს ი ს ე ვ ი , ჩუწნის თავადისშვივლებისა და გლეხების მოცემას დაგუპირდეს. ჩუწნც, რომელიც საფიცარი მივეცით და ან პირობა დაუდევეთ, ყუელაკა გაუთავეთ. და კახმა ბატონმა რაც პირობა და ფიცი მოგუცა, არც ერთი არ გავგითავა. ამაზედან ავიშალენით. აქათ

ჩ(უე)ნ შევიყარენით და იქით კახი ბატონი. ქ ი ს ი ყ ი ს კ ე ნ თათრები [ვ] უჩინეთ. კახი ბატონი თ ი ა ნ ე თ ს მისულიყო და ჩ(უე)ნ იქით წავედით.

შემოვიარეთ ს უ ჳ ტ ო ც ხ ო ვ ე ლ ო , ღვთივ-აღმართებულო, მოვედით კარსა თქუწნსა და ღალადებით შენგან შეწვენა ვითხოეთ. ა რ ა გ ვ ი ს პირის-პირ შევიარეთ და თ ი ა ნ ე თ ს მოუწვედით. კურთხეულ ხარ ძლიერო და უძლეველო, ყოვლისა მპყრობელო ღ(მერ)თო, რომე სიდიდე და სამართალი შენი ყოველსა კაცს დაანახუჴ. შევიბენით და გავიმარჯუჴთ. დროშა, ქანარა და ნალარა გავაგდებინეთ. სახლის ხუცესი რ ე ვ ა ზ და მრავალი საბატოს კაცისშვილი სხუა, მო[ვ]უკალით და გავაქცივეთ, უკან მივყევით და გ რ ე მ ს მივედით. სრულიად კახნი ჯალაბობრივ იქიდგნენ, იქით ბატონის თ ე ი მ უ რ ა ზ ი ს შვილი და ვ ი თ და ჩ(უე)ნგან გაგზავნილი თათრები შეყრილიყუნენ. შებმულიყვნენ ქ ი ს ი ყ ი ს ბოლოსა და თათრებს გამარჯუჭბოდა და ბატონიშვილი ღ (ა ვ ი) თ მოეკლათ და მრავალი საბატოს კაცის შვილი დაეჯოცა. ჩ(უე)ნ გ რ ე მ ს ვიდექით. მექქუსეს დღეს ეს ამბავი მოგვივიდა და კახნიც მოგვივიდეს.

ბატონს თ ე ი მ უ რ ა ზ ს ბიძის ჩ(უე)ნის, მეფის ს ვ ი მ ო ნ ი ს ქალი ედგა. მოვიდა დ(ე)დ(ო)ფ(ა)ლი ხ უ რ ა შ ა ნ და მუჭლს გამოგუჴხვა, ამას გუჴხუჴნა, თუ ერთი ნუჴთი სისხლი გუაპატივე და შენს სიძეს გზა დაანებეო. რადგან ბიძის ქალი იყო, ჩ(უე)ნი აღარა გაენყობოდა-რა, გზა მივეცით და ი მ ე რ ე თ ს გავაგდეთ. კახნი და დარბაისელნი ერთგულობაზე ვიფიცეთ და კ ა ხ ე თ ი ნასისხლად დავიჭირეთ. ყაენს მახარობელი გა[ვ]უგზავნეთ და გამხიარულებულიყო, კ ა ხ ე თ ი ყაენმაც გვიბოძა.

რადგან მოვიდა ჩ(უე)ნს ზ(ედ)ა წყალობა და შეწვენა თქ(უე)ნი, ჩ(უე)ნცა... მოვაწსენეთ... (მ ც ხ ე თ ა ს) გ ა რ ე ს ჯ ა ს ორივე უდაბნო და ს(რულია)დ გ ა რ ე ს ჯ ი ს სახლი და შესავალი ყოველითურთ უნაკლულოდ... და ქ(ათალიკო)ზ ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე ს .. რარიგადაც წინად ერთობაში, ან მასუკან გაყრაშია და ან ბატონის ლ ე ო ნ ი ს ა გ ა ნ , და ანუ ა ლ ე ქ ს ა ნ რ ე ს ა გ ა ნ , ან მას უკანა ს ა გ ა რ ე ჯ ო ს სოფლები ყოფილიყო შეწირული წ ი ნ ა - ს ა გ ა რ ე ჯ ო , ამ წესითა, რომე საყაენოს საურსა ლაშქარ-ნადირობასა და გ ო მ ბ ო რ ს გარეთ სხუა ჩ(უე)ნი ჴელი არა შემოვიდოდეს. ჩუჴნი და თქუჴნი სარგო რარიგად ძუჴლს სიგელში ეწეროს... იმ გუარად შემოგვიწირავს წ ი ნ ა და უ კ ა ნ ა ს ა გ ა რ ე ჯ ო ... ორივე ს ა გ ა რ ე ჯ ო თემი და მამული. არ გაიცეს არა დიდი, არა მცირე...

კიდევ შეგუინირავს ახლად მ (ა) რ (ი ა) მ ჯ უ ა რ შ ი ზ ა ნ დ ა რ - ა შ ვ ი ლ ი შ ა ვ ე რ დ ა , მისი შVIლი გ ა რ ს ე ვ ა ნ და ო თ ა რ ი ... ესეები მათის მამულითა... ქ(ათალი)კ(ო)ზო ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე ! თუმცა დავინყებულ ვიქმნებით თქ(უე)ნ მიერ მსხუჴრპლ-შემწირველობითა, ლოცვათა და ღ(მრთი)სა მიმართ ვედრებათა შ(ინ)ა... (წყევა).

დაინერა ესე გუჯარი მეფობისა ჩ(უე)ნისა მეთექვსმეტესა... ქ(ორონი) კ(ონ)სა: ტლვ, ჴელითა კარისა ჩუჴნისა სალაროს მწიგნობრის ფ ი რ ა ლ - ი ს ი თ ა .

**1648 წ. ბრძანება ოსტომ მეფისა ბაბრიელ ელიოზისძესა
და თურმანს შორის სამამულო ღაზის შესახებ**

საბუთი დაკარგულია. თ. ჟორდანიას იგი უნახავს მცხეთის საბუთებში
ნომრით: N სმდ (1556). ტექსტი შემორჩენილია თ. ჟორდანიას პუბლიკაციით.
გ ა მ ო ც ე მ ა : ჟორდანია 1897, გვ. 464-465 (შემოკლებით).

მეფე რ ო ს ტ ო მ მ ა ნ „ესე წიგნი გიბოძეთ... თქუწნ, ე ლ ი ო ზ ი ს -
ძ ე ს ბატონს გ ა ბ რ ი ე ლ ს ... ასრე რომე, თქ(უენ) ამას წინათ ს უ ლ ხ -
ნ ი ს ცოლყოფილის ქ ე თ ე ვ ა ნ ი ს ა გ ა ნ გ რ ა კ ა ლ ს ამათი კერძი
მამული გეყიდა, და თ უ რ მ ა ნ ამაზე ისარჩლა, რომე დედაკაცს მამულის
გაყიდვა არა მართებსო და არც სამართალი არისო. მის გულისთვის თავი-
სი კერძი მამული მივეციტო და მას უკან ბატონი შ ე მ ო ქ მ ე დ ე ლ ი (ი ა -
კ ო ბ ?) შუა შემოიყუანეთ და ჩ(უენ) ამას კარგა გავსინჯავთ... და ლ(მრ)
თ(ი)ს ქვეშე შევაგდებთ, თუ სამართალმან თქ(უენ) დაგანარჩუნა, ისრევ
თქ(უენ) გიბოძებთ“... (თუ არა ფულს უკან მივაცემინებო).

მინაწერი: სმდ (1556). გ რ ა კ [ლ ი ს] რ ო ს ტ ო მ მეფისგან ესე წყა-
ლობისა.

კომენტარი:

საბუთი საინტერესოა შუა საუკუნეების საქართველოში ქალის უფლებ-
ების განსაზღვრის თვალსაზრისით. მას არ შეეძლო მამულის გაყიდ-
ვა (შდრ. ხეც, Sd-567).

**1648 წ. წყალობის წიგნი ოსტომ მეფისა ბურბენ
ბარაყანიძისადმი**

პ ი რ ი : სეა, 1450-13/233; რუსული მმართველობის დაწესებულების
პირების დავთარი. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეგის-
ტრაციაში 1820 წელს.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტლშ (336), რაც უდრის 1648 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : სამეფო კარის მდივან-მწიგნობარი ბირთველ
თუმანიშვილი.

[ქ.] ნებითა და შეწვევითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, ლ(მრ)თივ-გვირგვი-
ნოსანმა მეფეთ-მეფემან, პატრონმარ ო ს ტ ო მ , თანამეცხედრემან ჩვენ-
მან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მ ა რ ი ა მ , და ძემან ჩვენმან
ლ უ ა რ ს ა ბ , ესე ამიერით უკუნისამდის ჟამთა გასათავებელი წყალობის
წიგნი და ნიშანი გიბოძეთ თქვენ, გ ა რ ა ყ ა ნ ი ძ ე ს გ უ რ გ ე ნ ს და ძმი-

სწულსა შენსა ზ ა ვ რ ა დ ს , ასე და ამა პირსა ზედა, რომე, მოგვიდეგით კარსა და მამულის წყალობას გვეაჯენით.

დიდად ჩვენის დოვლათისა სამსახური მოიჭირვე და თავგარდადებით და მოჭირვებით გუმსახურე. ჩვენცა ვისმინეთ მოხსენება თქუენი, თქუენც
5 ჩუენის სასაფლაოს ს ვ ე ტ ი ს ც ხ ო ვ ლ ი ს ყმანი იყუენით. და მი -
წ ო ბ ლ ი ძ ი ს ნაქონი მამული ც ი ხ ე დ ი დ ი ც ა , ანე, რადგან ამგვარად
ჩვენს ერდგულობაზედ თავი გარდასდევით, ჩვენცა ამისად სამუქფოდ
შეგინყალეთ და გიბოძეთ მი წ ო ბ ლ ი ძ ი ს ნაქონი მამული ც ი ხ ე დ ი -
დ ი , მ ა რ ი ა მ ი ს მამულს გარდაის, მისით მითით, ბარითა, ველითა, ვე-
10 ნახითა, წყლითა, წისქვილითა, შესავალ-გამოსავლითა. და ყოვლის მისის
სამართლიანის საქმითა და სამზღურით თქვენთვინ და თქვენთა შვილთ-
ათვინ გვიბოძებია ყოვლის კაცის უცილებლად. არც აქა და არც სხვას კაცს
ჴელი არა ჰქონდეს.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩემს ერდგულად სამსახურშია.
15 ანე გიბძანებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო,
თქუენცა ასრე გაუთავეთ, და ნუ მოუშლით, რარიგადაცა ამა ჩვენგან ნაწყ-
ალობევსა სიგელსა შიგან სწერია.

დაინერა ბძანება და ნიშანი ესე ჩვენი ქ(ორონი)კ(ონ)ს ტღვ, ჴელითა
20 კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრისა თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ ვ -
ე ლ ი ს ი თ ა .

ხელრთვები: რ ო ს ტ ო მ , ლ უ ა რ ს ა ბ

173

1648 წ. მამულის წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ჰიაურთ მოურავ შანში ჩოლყასშვილისადგი

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Hd-14428; მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 33,5X18,8 სმ. შავი ფერის მეღანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთის შუა ადგილზე შეინიშნება დაზიანების კვალი და ამის გამო, რამდენიმე გრაფემა დაკარგულია. დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. 1817 წლის 12 აპრილს შეტანილია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში, გაუტარებიათ 1820 წლის 20 ნოემბერს ნომრით №333.

პ ი რ ი : სეა, 1450-32/310.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტღვ (336), რაც უდრის 1648 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : კარის მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

ქ. ნებიტა და შენვენითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან, ჴელმწიფემან პატრონმან რ ო ს ტ ო მ და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედო³ფალთ-დედოფალმან, პატრონმან მ ა რ ი ა მ , პირმშომან და სა-

სურვე|⁴ლმან ძემან ჩუენმან, პატრონმან ლ უ ა რ ს ა ბ , ესე უკუნისამდი ჟამ|⁵თა და ხანთა გასათავებელი წყალობისა ნიგნი და ნიშანი|⁶ შეგიწყ-
ალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენტა ერდგულთა და ნამსა|⁷ხურთა ყმათა:
ჩოლაყაშვილს, ჭიაურთ მოურავს შანშეს, |⁸შვილსა თქუენ-
თა პაპუასა, როშაქს, ანდერმანს და მომავალთა|⁹ სახლისა
თქუენისათა, – ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგ|¹⁰ით კარსა და მამულის წყალობას
გუიაჯენით, ჩუენცა ვისმინე|¹¹თ აჯა და მოხსენება თქუენი, [მო]კითხ-
ული ვქენით და ჩეკურში, |¹² რაც სახლისუხუცეს რევაზს მამული
ჰქონებოდა და თქუენი სამკუიდ|¹³რომამა-პაპათ წილად ნარგები ყოფილი-
ყო, და ნაძალადევად|¹⁴ დაეჭირა, ანე, დაგიმკუიდრეთ და გიბოძეთ ჩე-
კურში, რისაც მამუ|¹⁵ლისა და საჯელოს მქონებელი თქუენი განაყოფი
რევაზ ყოფილი|¹⁶ყოს, ყოვლითურ – მთით ბარამდისინ, ჯელშეუალად,
მართლის სამ|¹⁷ძღურითა და საქმითა. თქუენთუის და თქუენთა შვილთათ-
ვის გუიბოძე|¹⁸ზია ყოვლის კაცისაგან უცილებრად.

გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა)|¹⁹ნ ჩუენსა ერდგულად სამსახ-
ურსა შინა.

ანე, გიბძანებთ კარისა ჩუენი|²⁰სა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მო-
საქმენო, ვინცა-ვინ იყუნეთ და ანუ|²¹ დღეის წაღმა იქნებოდეთ, თქუენცა
ასრე გაუთავეთ და ნურას მო|²²უშლით და შეცილებით თუინიერ შენევენისა
და თანადგომისა|²³გან კიდე.

დაინერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლვ, ჯელითა
კარი|²⁴სა ჩუენისა მდივან-მნიგნობრის თუმანიშვილის ბირ-
თუე |²⁵ლისითა.

ხვეული ხელრთვები: ||²⁶ როსტომ, მარიამ

გვიანდელი მიწაწერები:

სოვეტნიკი თა(ვადი) გაბრიელ რატიევი.

ჩეკურის არის.

ჩაინერა ზ.

კომენტარი:

1648 წელს როსტომ მეფემ დაამარცხა თეიმურაზ I და კახეთიდან განდევნა, რის შემდეგაც კახეთი სამართავად შაჰმა როსტომს უბოძა. ამ წლიდან უკვე ხშირი ხდება როსტომ მეფის სიგელები კახეთის თავადებისადმი. კახეთის დაკავებისთანავე როსტომი შეუდგა ადგი-
ლობრივი თავადების გულის მოგებას მათთვის მამულების დამტკიცე-
ბის გზით. ასეთთა შორის იყო შანშე ჩოლოყაშვილი. ზემომოყვანილი
საბუთის მიხედვით, როსტომი შანშეს აძლევს მისივე განაყოფის – რე-
ვაზ ჩოლოყაშვილის მამულს. მართალია, საბუთის თანახმად, რევაზს
შანშეს მამული თითქოს მიტაცებული ჰქონია, მაგრამ შეუძლებელია
აქ არ დავინახოთ პოლიტიკური ვითარების კვალი და როსტომის წყ-
ალობა მხოლოდ სამართლიანობის აღდგენის მცდელობად მივიჩნიოთ.

რევაზ ჩოლოყაშვილი კახეთის სახლთუხუცესი და თეიმურაზ I-ის უერთგულესი თავადი, თეიმურაზსა და როსტომს შორის 1648 წელს თიანეთთან მომხდარ გადამწყვეტ ბრძოლაში თეიმურაზის მხარეს იბრძოდა და კიდევ დაიღუპა. როსტომი ამ ფაქტის შესახებ ხაზგასმით აღნიშნავს სვეტიცხოველისათვის ბოძებულ საბუთში: „შევიბენით და გავიმარჯუწით. დროშა, ქანარა და ნადარა გავაგდებინეთ; სახლისხუცესი რევაზ და მრავალი საბატოს კაცისშელი სხუა მო[ვ]უკალით და გავაქციეთ“ (ქორდანი, 1897: 463). ცხადია, რევაზთან შემდურებული შანშეს მხარდაჭერა როსტომისთვის მნიშვნელოვანი იყო, ისევე როგორც შანშესთვის როსტომის წყალობა.

1648 წ. ყმა-მამულის წყალობის წიგნი როსტომ მეფისა პაპუნა სულხანაშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Sd-31; მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 50X18 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთის დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. შეტანილია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1817 წლის 12 აპრილს, გატარებულია 1820 წლის 31 იანვარს ნომრით: №21.

პ ი რ ი : სეა; 1450-3/21.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტღვ (336), რაც უდრის 1648 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : კარის მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმა-ნიშვილი.

ქ. ნებითა და შეწვენითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემა²ნ, ჳელმწიფემან პატრონმან როსტომ, თანამეცხედრე³მან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან მარიამ, პი⁴რმშომან და სასურველმან ძემან ჩუენმან, პატრონ⁵მან ლუარსაბ, ესე უკუნისამდისა ჟამთა და ხანთა გასათავებე⁶ლი წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინწყალეთ და⁷ გიბოძეთ თქუენ, კარისა ჩუენისა მოსამსჯა⁸ხურეს, მკერვალ⁸ს სულხანაშვილს პაპუნასა, ძმა[თა] შენთა: სუიმონასა, და⁹ თუნასა, ყოყონასა, ზალინასა, შვილთა და მომავალთა¹⁰ სჯახლისა თქუენისათა ყოველთავე;

მას ჟამსა, ოდეს წო¹¹ დორეთი უსენბეგიშვილს ბახ-უტას ჰქონებოდა და თ¹²ქუენთუის, ბუმაბაშვილს { } ს ნაქონი, ნახევარ დღის ნ¹³ავენაწობი და ორის დღის წინ ნაფუზარი გზის პირი-¹⁴საკენ თქუენთუის მოეყიდა, და მასუკან ყორდანაშვილ¹⁵ ებს ძალი ექნა და ნაერთმევიანა, მოგუიდეგით კარსა¹⁶ და თქუენი უსამართლო საქმე გაგვასინჯვინეთ.

მოკით¹⁷ზული გიყავით, თავად ნასყიდობის წიგნი გქონდათ¹⁸ და მერმე საწნავს მიწაში ვენაჯი აგეშენებინა, ამისთვის¹⁹ ეს მამული და ნაფუზარი არ მოგემლებოდა, ჩუენცა²⁰ წყალობა გიყავით და ასრე დაგიმკუიდრეთ, რომე არა²¹ს დროსა და ჟამს, ვერამ წოდორეთის მეპატრონემ ვე²²რც დიდმა და ვერც ცოტამ ვერ მოგიშალოს.

გ²³ქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩუენს სამსჯახურსა ში²⁴ნა. ანე, გიბ(რძანე)ბთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხუ²⁵ანო მოსაქმენო, თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნურა²⁶ოდის ნუ მოუშლით და შექეცილებით თუინიერ²⁷ შენვენისა და თანადგომისგან კიდე.

დაინერა ბ(რძანე)ბა და ნ²⁸იშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლვ, ჴელთა კარისა ჩუე²⁹ნისა მდივან-მწიგნობრის თუ მან იშუილის ბი³⁰რთველისითა.

ხვეული ხელრთვები: როსტომ, მარიამ

გვიანდელი მინაწერები:

ეს მინათარს ეჭირა, მერე სალაპარაკოა.

ჩაინერა კა, 21.

მეფის როსტომისაგან სულხანჯაქვილისათვის ნაბოძები განჩინება და წყალობის წიგნია.

სოვეტნიკი თ(ავად)ი დიმიტრი თარხანოვი.

175

1648 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა სეფიშული-ბეგისადმი

დედანი დაკარგულია, გვაქვს პირი: ხეც, Qd-9037 (რე) და პირის პირი: სეა, 1450-4/177.

თარიღი: ქორონიკონი ტლვ (336), რაც უდრის 1648 წელს.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

[ქ.] ნებითა და შენვენითა ლ(მრ)თისათა, ჩვენ, მეფეთ მეფემან, ჴელმნიფემან პატრონმა როსტომ, ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენს ნამსახურსა და ერთგულსა ჯაბადარბაშს, სეფიშულიბეგს და შვილსა თქვენსა მურთეზალიბეგს და მამადყულიბეგს.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდექით კარსა და აბანოს უბანში ერთს ვენახს დაგვეაჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი. მოკითხული ვქენით და ის ალაგი პირველ ჩვენი სახასო ყოფილიყო და მოქალაქეს კაცს ცუდათ დაეჭირა.

ანე, შეგიწყალეთ და გიბოძეთ აბანოს უბანში ჩვენი სახასო მამული – ერთი თავი ჩვენის იონჯის მიდგამდინ, მარჯვენა მხარი მტ-

კ ვ რ ი ს პირამდინ, აქათი მხარი მ ტ კ ვ რ ი ს გზა რომ ჩავა, იქამდინ, და მარცხენა მხარი ა ღ ლ ა - ბ ე გ ი ს ბალის პირს რომ შარა გაივლის, იმის მიდგამდინ. ეს ამ წესითა და სამძღვრითა თქვენთვის და თქვენთა შვილთა და ჩამომავალთათვის გვიბოძებია სამკვიდროთ და საბოლოთ.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მ)ან ჩვენს ერთგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს.

ანე, გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, ქალაქის მოურაო და მოხელენო, თქვენც ასე გაუთავეთ და ნუ მოუშლით.

დაინერა ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტლვ, ჩქმწ წელს, ჴელ-ითა კარისა ჩვენისა მდივანმწიგნობრის, თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ ვ ე ლ ი ს ა თ ა .

დედანს ჰქონია რ ო ს ტ ო მ მეფის ხელრთვა.

პოპენტარი:

ჯაბადარბაში – ცენტრალური მმართველობს მოხელე, საჯაბადროს ხელმძღვანელი. მის მოხელეს ჯაბადარი ერქვა. ქართლის სამეფოში სულ ექვსი ჯაბადარი იყო. საჯაბადრო თოფის წამლის, ტყვიისა და იარაღის საწყობი იყო. ივანე სურგულაძის აზრით, საჯაბადრო უფრო საწყობი უნდა ყოფილიყო, ვიდრე იარაღის დამზადების დაწესებულება (სურგულაძე, 1952: 220).

ჯაბადარბაშები: სეფიყული-ბეგი, მისი შვილები მურთაზალი-ბეგი და მამადყული-ბეგი არაქართული წარმოშობის უნდა ყოფილიყვნენ ან გამაჰმადიანებული ქართველები, რაზეც მათი სახელები მიგვანიშნებს. თუმცა უფრო მართებულა, რომ ისინი მივიჩნიოთ სპარსელებად, რადგან მათ ქართლში სამკვიდრო მამული არ უნანთ და მეფე იძულებულია სახასო მამულიდან მისცეს წყალობა, თანაც თბილისში. ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ როსტომის სამეფო კარზე საპასუხისმგებლო თანამდებობას იკავებს გამაჰმადიანებული ქართველი ან სპარსული წარმოშობის ადამიანი.

176

1648. წ. ახლო. ბარიბების წიბნი როსტომ მეფისა და კათალიკოს-პატრიარქ ქრისტეფორესი ციციოვილებისადმი

დედანი დაკარგულია. არსებობს XIX საუკუნის პირი: სპბი, E 73-55. 134a-135a. გ ა მ ო ც ე მ ა : ჟორდანია, 1897: გვ. 464-465 (შემოკლებით).

[ქ.] სახელითა სახიერისა, არსება დაუსაბამოსა, დაუსრულებელისა ღ(მრთის)ა, მამისა, ძისა და სულისა ნ(მიდ)ისათა; თავმდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა, ყ(ოვლა)დ ნ(მიდ)ისა, უხრწნელისა და

უმეტესად კურთხეულისა დედოფლისა ჩ(უე)ნისა ლ(მრთ)ისმშობელისა და მარადის ქალწულისა მ ა რ ი ა მ ი ს ი თ ა ; ძლიერებითა ცხოველსმყოფელისა ჯუარისათა, რ(ომე)ლსა ზ(ედ)ა განიპყრნა უბრუნელნი და პატიოსანი მკლავნი თ(უი)სნი ქ (რ ი ს ტ ე მ ა) ნ , ლ(მერთმა)ნ ჩვენმან, ჳსნისა ჩ(უე)ნისათ(უი)ს.

ამათითა თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ნ(მიდა)თა ზეცისა ძალთა, ანგელოზთა|| და მთავარანგელოზთა მიქაილ და გაბრიელი ს ა თ ა , და ნ(მიდ)ისა წინასწარმეტყუწლისა, წინამორბედისა ნათლისმცემელისა იოანესითა და იოანე მახარებელი ს ა თ ა .

ამა ყოველთა ნ(მიდა)თა ლ(მრთის)ათა ზეცისა და ქ(უე)ყანისათა, ჳორციელთა და უჳორცოთა, თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომელობითა, ესე საბოლოოდ გასათავებელი ფიცი, პირი და წიგნი მოგართუთ ცამდი ამალღებულს ჳელმწიფესა, მეფეთ-მეფეს, პატრონს როსტომს და დედოფალთ-დედოფალს, ჳელმწიფეთ ასულს, პატრონს მარამს, და ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პატრიაქს კ(ათალიკო)ზს, პატრონს ქრისტეფორეს, ჩ(უე)ნ, ც ი ც ი შ ჳ ლ თ ა : ს ა ხ ლ ი ს უ ხ უ ც ე ს მ ა ნ ყ ა ი ა მ ა , ძმამა ჩ(უე)ნმა ქ ა ი ხ ო ს რ ო და რ ო ს ტ ო მ და ი ე ს ე .

ასრე და ამა პირსა ზედან, რომე ლ(მერთ)ი გაუწყრა ჩ(უე)ნს ცოდვასა და მოვსძულდით ლ(მერთს)ა და ეშმაკის საბრწითა ჩემი ძმა ზ ა ზ ა ჩემს შვილს ი ე ს ე ს შემოაკუდა. ამაზედ ჩ(უე)ნ და ჩ(უე)ნი ძმა ქ ა ი ხ ო ს რ ო || და რ ო ს ტ ო მ დავსძულდით და გაყრას ვაპირებდით. და ორნივ ჳელმწიფენი და ბატონი კ(ათალიკო)ზი შუა ჩამოგვხუწდით და ისრევ ძმობისა და გაერთების პირობაზედ შეგუარიგეთ. და ერთმანერთისათ(უი)ს საფიცარი და პირობაც მიგუაცემინეთ და ჯუარს პატიოსანზედაც ერთმანერთს ასე შევიფიცეთ: დღეს და დღეის უკან, რაც ფიცითა და პირით ერთმანერთისათ(უი)ს და წიგნით პირობა მიგუწცეს, ის გაუთაოთ, და ერთმანერთზედ უზიანონი და კარგის მდომნიც ვიყუნეთ. ვინ იცის და, თუ ფიცი რომელმამე გავტეხთ და ან ვსტყუოთ, ჳელმწიფეთ მართლა მოკითხული ქნან და რომელიც გავმტყუნდეთ, სხვარიგადაც მოგვკითხონ და ჩ(უე)ნი კერძი მამულიც წაგუართუან და სახასოდ დაიჭირონ.

[1648-1656 წწ.] პირობის წიგნი როსტომ მეფისა მერაბ [ჯორჯაპისაღმი]

დ ე დ ა ნ ი : სეა, 1448-721, მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 22,5X14 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთი თავნაკლულია, ამიტომ თავში მიკრული აქვს სარესტავრაციო ქაღალდი, რომელზედაც დატანილია აღდგენილი ორი სტრიქონი. ტექსტს შიგნით და კიდევ

ბზე აქვს სხვა დაზიანებებიც, რის შედეგადაც დაკარგულია გრაფემების გარკვეული ნაწილი. დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თ ა რ ი ლ ი : საბუთი უთარიღოა, დათარიღებულია როსტომ მეფის კახეთში მმართველობის წლებით (1648-1656).

[ქ. ნებითა და შენევნითა ღმრთისათა, მამისა, ძისა და სულისა² წმიდისათა და შუამდგომელობითა ყოვლად უხრწნელისა, მარადის³ ქალწულის მ ა რ ი ა მ ი ს ი თ ა , ძლიერებითა და ცხ[ო]ველს⁴მყოფელის ჯუარისათა, რომელსა ზედან გან⁵იპყრ[ნა პა]ტიოსანი და უხრწნელნი მკლავ⁶[ნი] თუ-ისნი ხსნი[სა] ჩუენისათა;

ამათისათავდებ[ო]⁷ბითა, მინდობითა და შუამდგომლობითა, წმიდ⁸ისა წინასწარმეტყუელისა, წინამორბე⁹დისა, ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ლ ი ს ა ი ო ვ ა ნ ე ს ი თ ა და¹⁰ი ო ვ ა ნ ე ქ ა ლ წ უ ლ - მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ი ს ი თ ა .

ამა ყო¹¹ველთა წმიდათა ღ(მრ)თისათა ზეცისა და ქუეყანი¹²სათა, ჯორციელთა და უჯორცოთა, თ[ა]¹³ვდებობითა, მინდობითა და შუამდგომელო¹⁴ბითა, ესე ფიცი, პირი და წიგნი გიბოძეთ ჩუე¹⁵, მეფეთ-მეფემან, ჯელმწიფემან, პატრონმან¹⁶ როსტომ და ძემან ჩუენმან, პატრონმან ლ¹⁷უ ა რ ს ა ბ , თქუენ, ე ნ ი ს ე ლ თ მოურავს მე რ ა ბ¹⁸ს და შენთა შვილთა, ასრე და ამა პირსა¹⁹ ზედან, რომე თუ თქუენ ჩუენთან მოხვიდეთ²⁰ და არა სტყუოთ-რა, არც სიკუდილითა, არც დატ²¹ყუებითა, არც გახეობრებითა, არც ყ ი ზ ი ლ ბ ა შ [შ]²²ი გაგზავნითა, არა გაზიანოთ-რა, და რისაც [მა]²³მულისა და საჯელოს მქონებელნი იყუნეთ, არა²⁴ მოგიშალოთ-რა და არც დაგამცროთ. თუ²⁵ ჩუენზე ერდგულობა და სამსახური გამოიჩინოთ, სხუა²⁶რიგადაც მწყალობელნი ვიყუნეთ.

ამისად გათავე²⁷ბისა, თავდებად მოგუიციემი{ა} თავად ღ(მერ)თი და ყ²⁸ოველნი მისნი წმიდანი ზეცისა და ქუეყანისანი,²⁹ ჯორციელნი და უჯორცონი.

ხელრთვა: |³⁰როსტომ

**[1648-1656 ՎՎ.] ՏՐԻՑԻՍ ՎՈՅՆԻ ՐՈՍՏՈՄ ՄԵՓԻՍԻ ԼՄԱՐՏԱԶ
ՄԱՅԱՏՅՈՒԼԻՍԻ ԱԶ ՄԻՏԻ ՔՄԻՏ ՐՈՍՆԵՅԻՏԱԳՐԻ**

დე დ ა ნ ი : ხეც, Ad-605; მოყვითალო სქელი ქაღალდი; 26,1X14,1 სმ.; მხედრული; შავი ფერის მეღანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: დაღაქული. საბუთი მოგვიანებით დაუწებებიათ სხვა ქაღალდზე (სავარაუდოდ XVIII საუკუნეში ვინაიდან verso-ზე აქვს XVIII-ის ხელით მინაწერი).

თ ა რ ი ლ ი : საბუთი უთარიღოა. გამოცემაში იგი თარიღდება კახეთში როსტომის მმართველობის წლებით (1648-1656).

ქ. სახელითა სახიერისა, არსება-დაუსაბამოსა, ლ(მრ)თი²სა — მამისა, ძისა და სულისა ნმიდისათა; ყ(ოვლა)დნმიდისა, ³ ყ(ოვლა)დ უბინოსა, ყ(ოვლა)დ ბინშეუხებელისა, დედოფლისა ჩუე⁴ნისა, ლ(მრ)თისა მშობელისა, მარადისა ქალწულის მ ა რ | ⁵ ი ა მ ი ს ა თ ა , პატიოსნისა და ცხოველმყოფელისა ჯუარი⁶სა ჭეშმარიტისათა, რომელსა ზედან განიპყრნა უხრნ⁷ნელნი მკლავნი თვისნი უფალმა ჩუენმან ი ე ს ო მ , ქ რ | ⁸ ი ს ტ ე მ ა ნ , ხსნისათვის ჩუენისა.

მათითა მინდობითა, თ⁹ავდებობითა და შუამდგომელობითა, ესე საფიცარი |¹⁰ ნიგნი გიბოძეთ თქუენ, მ ა ყ ა შ ვ ი ლ ს ლ უ ა რ ს ა ბ ს და ძმა¹¹თა თქუენტა რ ო ს ე ბ ს . თუ მოხვიდეთ ჩუენტანა და ჩუ¹²ენი ერდგული ყმა შეიქნათ, ჩუენზედ არა სტყუო¹³თ-რა, ჩუენგან პატივისა და კარგად მოპყრობის მეტი არ¹⁴ა დაგიმარცხდეს-რა: არც ჳელთ დაჭერითა, არც ყაენთ¹⁵ან გაგზავნითა და არც ტყუეობითა. დღეს რისაც მა¹⁶მულის მქონებული იყუნეთ, არც იმისგან შეგი¹⁷შალოთ.

ამის გათავების თავდებად მოგუიცემია ზეით¹⁸ი ლ(მერ)თი და ყოველნი მისნი ნმიდანი ზეცისა და ქუეყანი¹⁹სანი, ჳორციელნი და უჳორციონი.

ხელრთვა: რ { ო } ს ტ { ო } მ

გვიანდელი მინანერი:

მეფე რ ო ს ტ ო მ

კომენტარი:

კახეთის დაკავების შემდეგ როსტომი ადგილობრივ თავადებს ფიცის წიგნებს აძლევდა. მაგ. ლუარსაბ მაყაშვილს და მერაბ ჯორჯაძეს (სეა, 1448-721). ცხადია, როსტომისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა კახი დიდებულების შემომტკიცებას და ყველანაირად ეცდებოდა თავიდან აეცილებინა ქართლში შექმნილი წინააღმდეგობების მსგავსი ვითარება.

1648 წ. შიციისა ღაპირობის წიგნი როსტომ მეფისა ელიზბარ სოლაღაშვილისაღმი

დ ე დ ა ნ ი : სეა, 1448-3134; მოყვითალო სქელი ქაღალდი; ზომა: 46,8X22 სმ., მხედრული; შავი ფერის მეღანი; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: დალაქავებული, განაკვე ადგილებში გაცრეცილი. საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. ექსნსტრიქონიანი სპარსული ტექსტი, შესრულებული შექასთეს ხელით, მოთავსებულია საბუთის recto-ზე, ქართული ტექსტის ზემოთა არეზე, გვედულად.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტღვ, რაც უდრის 1648 წელს.

გ ა მ ო ც ე მ ა : ფუთურიძე, 1955: გვ. 209-210, №92.

საბუთის დამწერი: სამეფო კარის მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუშანიშვილი.

პატრონმან ლუარსაბ, ესე საბოლოოთ გასათავებელი წყალობისა
და სარგოსა და სანესოს წიგნი და ნიშანი შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქუენ,
ჩუენტა ერდგულთა და წესისებრივა მრავალფერად ერდგულობით, თავ-
დადებით ნამსახურსა ყმასა, ბაზიერთუხუცეს ბაირამ ყუ-
ლის და შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა, – ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა, ბაზიერთუხუცის სარგოსა და
სანესოს გუეაჯენით, ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და
შეგინწყალეთ და გიბოძეთ ყარაიაზისა მეყორულობა და ბელბაშობა
ლოჭინს ქვეშეთ, ყარადაჯს გარეთად, სადაც ჩუენი მამული იყოს,
საბელბაშოს თქუენ აიღებდეთ ამასლათ; კიდევ, რაც კონზედ ორაგული
დაიჭიროდ, იმისი ოცისთავი; რაც ჯამაგირიანი ბაზიერი იყოს, იმ ათის ჯა-
მაგირის ათისთავი სამს წელიწადში ერთხელ; ერთის მხრის მებალახეობა
მკუიდრად. და ძუელთაგანც მეფეთაგან ბაზიერთუხუცის სარგო და სანე-
სო ასრე გარიგებული ყოფილიყო და ახლა ჩუენც ისრევე გა[კ]ურიგეთ და
და[ვ]უმკუიდრეთ ბაზიერთუხუცეს[ს]ა.

[გ]ქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან ჩუენსა ერთგულათ სამსახ-
ურსა შიგან, აროდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არცა შემდგომად სხ-
უათა მეფეთა და მეპატრონეთაგან, თუინიერ შეწვენისა და თანადგომისა.

დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე, ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმ, მარიამობისთ-
ვისა იბ, ჴელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობარისა, ყორღანა-
შუილის მერაბისითა.

რარიგადაც ამასწინათ ბაზიერთუხუცეს შიოშს პირზედ
თუითო ცხვარი სარგოთ რგებოდეს, თქუენთუისაც იმგუარად გუიბოძებიათ.

ხელრთვები: როსტომ, ლუარსაბ

პირის გადამწერის მინანერი:

თავში სპარსული რეზოლიუცია ბეჭდით.

216

1652 წ. წყალობის წიგნი მეფე როსტომისა მკვირვალ პაპუნა სულხანაშვილისადმი

პირი: ხეც, A-1767, 9r; გადაწერილია XIX საუკუნეში.

თარიღი: ქორონიკონი ტმ (340), იანვრის თ (9), რაც გვაძლევს 1652
წლის 9 იანვარს.

საბუთის დამწერი: სამეფო კარის მდივან-მწიგნობარი ბირთველ
თუმანიშვილი.

ქ. ნებითა და შეწვენითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, ღ(მრ)თივ-გვირგვინოსან-
მან მეფეთ-მეფემან, ჴელმწიფემან პატრონმან როსტომ, და თანა-

მეცხედრებთან ჩვენთან, დედოფალთ-დედოფალთან, პატრონთან მ ა რ ი ა მ , პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენთან, პატრონმან ლ უ ა რ ს ა ბ , ესე უ{კუ}ნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი წყალობისა და სითარხ-
ნისა წიგნი და ნიშანი გიბოძეთ შენ, ჩვენს მ{კ}ერვალს, წ ო დ ო რ ე ლ ს
5 ს უ ლ ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ს პ ა პ უ ნ ა ს ა , ძმა{თა} შენთა: და თ უ ნ ა ს ა ,
ზ უ ბ ი ტ ა ს ა , ზ ა { ა } ლ ა ს ა , თ ე ვ დ ო რ ე ს , შვილთა და მომავალ-
თა სახლისა თქვენისათა, ყოველთავე.

ასრე და ამათ პირსა ზედან, რომე, თავად ჩვენთვის ასრე სახასოდ
დაგიჭირეთ, რომ არას დროს და ჟამს თქვენი სახლი არ გავცეთ და მერმე
10 ასე გვითარხნებხართ, რომე არაფ{ქ}რისთანა საჩვენო სათხოვარი და
გამოსა{ქ}ლები არა გეთხოვებოდეს-რა, არა ღალა, არა საბალახე, არა კ{ო}
დის პური, არა კულუხი, არა ნახირისა და ცხურის პირისთავი, არა სეფო-
ბა, არა საური და სხუა სასოფლო წურიმალე გამოსალები და სათხოვარი,
არასფერისთანა არა გეთხოვებოდეს-რა, ერთის კარზედ მუდმად სამ{სა}
15 ხურისაგან კ{ი}დე.

გქონდის და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენს ერთგულად სამსახურ-
სა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს.

ანე, გიბ(რძანებ)თ კარისა ჩვენისა ვ{ე}ქილ-ვეზირნო და სხუანო მო-
საქმენო, ვინცა ვინ იყვნენ და ანუ დღე{ი}ს წაღმა იქნებოდეთ, თქვენ-
20 ცა ასრე გაუთა{ვე}თ და ნურა{ო}დეს ნუ მოუშლით და შე{ე}ცილებით,
თვინიერ შეწვენისა და თანადგომისაგან კიდე.

დაინერა ბ(რძანებ)ბა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმ, იანვარს თ,
წელითა კარისა ჩვენისა მდივან-მნიგნობრის, თ უ მ ა ნ ი შ უ { ი } ლ ი ს
ბ ი რ თ უ ე ლ ი ს ა თ ა .
25

შიშლიგი და არცა პირისთავი არ ერთოხოვებოდეს და არც სამეჯინიბო.

217

1652 წ. როსტომ მეფის წყალობის წიგნი სვეტიცხოვლის სარღალ ბაბრიელ გედონისუშილისადმი

საბუთი დაკარგულია. ტექსტი შემორჩენილია თ. ჟორდანიას პუბლიკაციით.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმ (340), რაც გვაძლევს 1652 წელს.

გ ა მ ო ც ე მ ა : ჟორდანია 1897: გვ. 466 (შემოკლებით).

ეჭა, ს ვ ე ტ ო ც ხ ო ვ ე ლ ო , რომელმან საუნჯო ყავ დღესა ერთსა
ძალი შენი ძლიერი, ოდესმე მდინარესა შთაეტევა რა ძე დედისა ჴელთაგან,
ხოლო დედამან მან საწყალობელმან, ვითარცა იხილა ძე თვისი, შთაიგდო
(მ ტ კ ვ ა რ შ ი) თავი თვისი მეტყველმან სიტყუათა ამათ: „ვითარმედ
5 მოგვედინ დედაცა შენი, შვილო სასურველო, შენთანა“. ხოლო სიტყუასა
მას თანა გამოჰკრთა სვეტი იგი ნათლისა ადგილით თვისით და შთავიდა
წყალსა მას, სადა იგი შთაბნეულ იყუნეს დედა ძითურთ. ხოლო შეაერთ-

ნა იგინი და ავლინებდა წყალთა მათ ზედა, ვიდრემდი მოანევდა პირისპირ სვეტისა მის ცხოველისა და აღმოიყვანნა, და მოავლინა წინაშე ერისა. და ქადაგებდა სახელსა შენსა და აღიდებდეს ყოველნი ლ(მრ)თის მოქმედსა საკვირველებათასა...

ვითარმედ წილხდომილ ვიქმნენით ჩვენ, ქ ა რ თ ვ ე ლ ნ ი , 5
დედოფლისა მის, ლ(მრ)თისმშობლისა, ჩვენ, შენ მიერ მტერთა ზედა და წინააღმდგომთა ძლიერმან... შანშა და შარვანშა, ყოველისა აღმოსავლეთისა მპყრობელ-მქონებელმან მეფეთ-მეფემან პატრონმან რ ო ს ტ ო მ , და თანა მეცხედრემან ჩვენმან... მ ა რ ი ა მ , და პირმშომან და სასურველ-სანადელთა ძეთა ჩვენთა პატრონმან ლ უ ა რ ს ა ბ , და ძეთა ჩვენთა თანამეცხედრემან პატრონმან თ ა მ ა რ , და ძემან მათმან პატრონმან გ ი ო რ გ ი , შემოგნირეთ... სოფელი ქ ო რ დ ი თქვენ, ს ვ ე ტ ს ა ც ხ - ო ვ ე ლ ს ა ... და მას შინა საჭეთ მპყრობელსა პატრიაქსა კ(ათალიკო)ზ(ი) სა პ ა ტ რ ო ნ ს ა ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე { ს } . ასე რომე, ჩვენის ნება-დართულობითა და ბრძანებითა, დ ი ა ს ა მ ი ძ ე ს კ(ათალიკო)ზს გ ე დ ე ო ნ ი ს შ - 10
ვ ი ლ ი ს გ ა ბ რ ი ე ლ ი ს (თ ვ ი ს) . . . ებოძებინა...

ჯარის უფროსს გ ე დ ე ო ნ ი ს შ ვ ი ლ ს ბ ა ტ ო ნ ს გ ა ბ რ ი ე ლ ს გიბოძეთ სოფელი ქ ო რ დ ი ...

დაინერა... ქ(ორონი)კ(ონ)ს ტმ, ჴელითა... თ უ მ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ ვ ე ლ ი ს ი თ ა . დედანს ჰქონია ხელრთვები: რ ო ს ტ ო მ , თ ა მ - 20
ა რ , ლ უ ა რ ს ა ბ

მინანერი: სიგელი პოლკოვნიკის კ . გ ე დ ე ვ ა ნ ო ვ ი ს ა .

218

1652 წ. წყალბოსი განახლების წიგნი როსტომ მეფისა ბეჟან ნასრიასშვილისადმი

პ ი რ ი : სეა, 1450-28/4; გადაწერილი დედნიდან რუსული მმართველობის პირების დავთარში. საბუთი შეტანილია სარეგისტრაციოდ 1817 წლის 12 აპრილს, გატარებულია რეგისტრაციაში: 1821 წლის 17 თებერვალს, ნომრით: №127.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმ (340), რაც უდრის 1652 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

[ქ]. ჩვენ, ლ(მრ)თივ-გვირგვინოსანმან, ორისავე ტახტისა მპყრობელმან, მეფეთ- მეფემან, ხელმწიფემან პატრონმან რ ო ს ტ ო მ , პირმშომან და სასურველმან ძემან ჩუენმან, პატრონმან ლ უ ა რ ს ა ბ , ესე ამიერ უკუნისამდის ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და ნიშანი გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა ყმასა, ნ ა ს რ ი ა ს შ ვ ი ლ ს ბ ე ჟ ა ნ ს , ზ ა { ა } 5

ლს, ბიძათა თქუენთა: სო რზანს, პაპიას დამანურჩარს, მამავალთა სახლისა თქვენისა, – ყოველთავე.

მას ჟამს, ოდეს მოგუიდეგით კარსა და თქუენის მკუიდრის ხა [ნ] დორიკის წიგნის გაქაზლებას დაგვიაჯენით, ვითაცა კურთხეულის ჩუენის ძმის, ბატონის ბაგრატის ნაბოძები სიგელი, ესე გაგიახლეთ და დაგიმკუიდრეთ სამძღუარი კილიკის წყლქამდის, დიაკუანი რომე ასაფლავია, ასლანის [მინამდის], ძველის ლორის გზამდის, ყორჩქარი და დამპალს წყლამდის. ესები ყოვლისის მისის სამართლიანის საქმითა, მთითა, ბართა, წყლითა, წისქულითა, სახმრითა და უხმრითა, შენითა და ოხერითა, შესავლითა და გასავლითა, მისის გარეშემოთა – ყოვლითურ, უნაკლულოდ გვიბოძებია თქუენთვის და შვილთა თქუენთათვის. და არაოდის არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არაქა შემდგომად სხუათა ხელმწიფეთაგან.

ანე, გიბძანებთ, კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სომხითის ტარულანო და მელიქნო, თქუენცა ასრე გაუთავეთ, და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შექეცილებით, თვინიერ შენევისა და თანადგომისაგან კიდე.

დაინერა ბძანება და სიგელი ესე, ქ(ორონი)კ(ონ)სატმ, ხელითა კარისა ჩუენისამდივანმწიგნობრისთ უმანიშვილის ბირთველისითა.

დედანს ჰქონია ხელრთვები: როსტომ, ლუარსაბ

XIX ს-ის მინაწერები: ასლთან თანასწორ არს, სოვეტნიკი, თა(ვადი) გაბრიელ რატიევი.

სოვეტნიკი, თა(ვადი) რატიევი.

ნამდვილი წერილი მივიღე, ფარსადან არღუთოვი. რადგან ამან წერა არ იცოდა, ამის თხოვნით ხელს ვანერ, კარაპიტი მარგოვი.

კომენტარი:

დოკუმენტის ტექსტიდან ირკვევა, რომ აღნიშნული წყალობა თავდაპირველად მეფე ბაგრატმა უბოძა ნასრიაშვილ ბეჟანის წინაპარს, რომელიც, 1618 წელს გაცემული ბაგრატ-ხანის საბუთის მიხედვით, არის ნასრ თუმანიშვილი (დოკუმენტური წყაროები, 2019: 147-148). ნასრი ეკუთვნის სამეფო კარის მდივან-მწიგნობარ თუმანიშვილთა საგვარეულოს, რომელიც ამ თანამდებობას მემკვიდრეობით ფლობდა XV საუკუნის შუა ხანებიდან. ნასრი მდივან-მწიგნობრად ჩანს 1606-1624 წლებში (ბაქრაძე, 1963: 163-178). ნასრის ვაჟები უკვე ნასრიაშვილებად იწოდებიან და არა თუმანიშვილებად.

1652 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა
იორამ სააბაძისადმი

პ ი რ ი ს პ ი რ ი : ხეც, Hd-13955, თავში უზის 1821 წ. რუსული ბეჭედი.

პ ი რ ე ბ ი : 1. ხეც, Hd-13956-ა; 2. სეა, 1449-115; 1449-679.

თ ა რ ი დ ი : ქორთონიკონი ტმ (340), რაც უდრის 1652 წელს.

ს ა ბ უ თ ი ს დ ა მ წ ე რ ი : კარის მდივან-მწიგნობარი სვიმონ.

[ქ.] ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, მეფემან პატრონმან როსტომ, ესე წყალობისა წიგნი გიბოძეთ თქვენ, მოურავის შვილს საჯაქაძეს თარხანს იორამს, შვილთა და მომავალთა შენთა.

ასე რომ, ოდეს პაპაშენი გიორგი მოურავი საქართველოდამ 5
გადავარდნილიყო, მაგან რაც სამკვიდრო ან მეფეთაგან წყალობა მამული გქონებოდათ, სახასოთ დადებულყო, და რომელიმე სხვათათვის ებოძებინათ. და ჟამსა მეფობასა ჩვენისასა მოურავის შვილები 10
ბი მოგიკითხეთ და შევიტყვევი, რომ აზრუმში ჯონთქრის წყალობით სცხოვრებდით. და რადგან ჩვენ ვიცოდით თქვენი გვარი, ძველთა მეფეთ დროსაც ნამსახურნი და პატივცემულნი ყოფილიყავით, და უმეტესად 15
პაპაშენი გიორგი მოურავი ჩვენზედ და საქართველოზედაც დიდად ნამსახური იყო, ამისთვის ვიგულსმოდგინეთ და დიდის ჯეჭლმნიფის, შაბაზის დაკითხვით, თქვენსავე სამკვიდროს მამულზედ მოგიყვანეთ. და ყოველივე გიბოძეთ, შენის ძველის მთა-მამულობის 15
წერილებითა გავშინჯეთ: ნეტარად ხსენებულს მეფეს თამარს შენის გვარის, საკაძის ჯან-ზურაბისათვის რაც სოფლები ებოძებინა, თქვენს ძველს სამკვიდრებელს გარდა, და აგრეთვე, დავით მეფეს და დიდს სვიმონ მეფეს და ლუარსაბ მეფეს; კიდევ გულშარ 20
დედოფალს. და სხვათ მეფეთა რაც წყალობა ექმნათ, იმათი წერილები გვაჩვენეთ, რომელიც ძველადგანაც თქვენი ყოფილიყო, რაცა ამას ქვევით სოფლები სწერია: სოფელი ნოსტე, სოფელი ახალშენი, სოფელი 25
ნოსტას ოძისი, სოფელი გველდეს ორბეთი, სოფელი ცხირეთი, სოფელი ერთანმინდა ეკლესიით, სოფელი ფავნისი, სოფელი ახალქალაქი, ჩვენგან დასახლებულის ვაჭრებით, სოფელი 25
ეზატი, სოფელი გუდალეთი, აქავცალქალამიძები თავიეთის ყმითა და მამულითა, კავთიქსევეს თქვენი სამკვიდრო გლეხნი, რაც გყოლებოდათ, აგრეთვე ჩივაძე ყმითა და მამულითა, სოფელი 30
წინარეხი – თქვენი კერძი, გუდალეთს ზეით მარჯანანთ უბანი, სოფელი ტყემლოანა, სოფელი მზვარი, კოტმანი, სოფელი ორი ვერხვეული, სოფელი გავაზური, სოფელი სამტრედლო, სოფელი გოსტიბე, სოფელი კაბერი, სოფელი გარგარი და მერი, სოფელი ჭაფჭავისი, სოფელი კვირიკა, სოფელი გოგოთი, თქვენივე მთაქსილისი და

ელიქარი, პირაქეთი და პირიქეთი უხმარებით, მანგლისის ჯევზედ ზემო ოძისი, ტყის უგუდეთი და დიდი სანადირო ტყე და კიდევ სოფელი მინდვრის უგუდეთი, კიდევ რაზმითის მთას აქეთ თქვენი ძველი სამკვიდრო სოფელი ფ{ე]ლი და სოფელი ღვე, და მთა რაზმითისა, რაც წილი გქონებოდესთ| აქავ სოფელი ჯანდისი, სოფელი სიქალეთი, სოფელი ღვედრეთი და ციხე კიკნათბერი; და კიდევ აღის ჯეობაზედ სოფელი ნაბახტევი და კლდისწყარო, კიდევ ქალაქის პირში სოფელი ლისი და ნახშირგორი, სომხითში სოფელი ყიშლაღი და კრწანისი, კიდევ ენისელში ორმოცი კომლი მებაბრემუმე, – ესე ყოველი სამკვიდრო და წყალობა, როგორც ძველად გქონებოდათ თავეთის სამართლიანის სამძღვრით: მთით და ბარით, აზნაურით და გლეხით, ჩვენც ესრედ მტკიცედ და საბოლოოდ და საშვილიშვილოდ გვიბოძებია.

15 არა მოგეშალოს ჩვენგან და არცა სხვათა მეფეთა და მეპატრონეთაგან და თუ ვისმე ამ თქვენის მამულების წყალობის წიგნი ჰქონდეს ბოძებული ან ჩვენგან და ანუ სხვათა მეფეთაგან, ამ წყალობის წიგნითა და სიგლით გაგვიბათილებია, და თქვენთვის დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია.

20 გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენსა ერდგულობასა და სამსახურსა შინა. ანე, გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, წყალობა და სიგელი ესე თქვენცა ესრეთ დაუმტკიცეთ და ნურავინ შლად ჯელჰყოფთ, თვინიერ შეწვენისა კიდე.

დაინერა ფარმანი და სიგელი ესე კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის სვიმონისათა. ქ(ორონი)კ(ონ)ს ტმ.

ბეჭედი: ყაენის ფეხთა მტვერი როსტომ მეფე ვამტკიცებ.

XIX საუკუნის მინაწერები:

ნამდვილთან თანასწორედ არის გადმონერილი, რომლისათვიც ვამონმებ გუბერნი{ი}ს მარშალი მუხრანბატონი...

ამისი ნამდვილი ღერლდიაში არის წარდგენილი გვარის დასამტკიცებლად და ერთი პირი გორს სადაო არს წარდგენილი ახალქალაქელების საქმეზედ.

როსტომ მეფის წყალობის წიგნის პირი, ამისი ნამდვილი ღეროლდიაში არს წარდგენილი ჩვენის გვაროვნებისათვის და მეორე დამონმებული პირი – გორს უეზდნის სუდში არს ჩვენგან წარდგენილი ნაბახტევის გაყოფის საქმეზედ ჩვენსა და ბეგთა ბეგიანთ შორის რომ იყოფოდა, და აღწერილი არის.

კომენტარი:

იორამ სააკაძე – მოურავ გიორგი სააკაძის შვილი. იგი მამასთან ერთად გადაიხვეწა ოსმალეთში თეიმურაზ I-თან დამარცხების შემდეგ. 1629 წელს გიორგი სააკაძე ოსმალეთში მოკლეს. საბუთიდან ვიგებთ, რომ იორამი არზრუმში ხონთქარის მიერ ბოძებული წყალობით ცხოვრობდა.

როსტომმა გიორგი სააკაძის შვილის დაბრუნების შესახებ ნებართვა ირანის შაჰისგან აიღო, რასაც ორი მიზეზი ჰქონდა: 1. როსტომი შაჰს უთანხმებდა ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებას, 2. გიორგი სააკაძე მარტყოფის აჯანყების შემდეგ ირანის შაჰის მოღალატედ ითვლებოდა და ცხადია, მისი მემკვიდრის ქართლში დაბრუნებას ირანის მორჩილი როსტომი შაჰის ნებართვის გარეშე არ გააკეთებდა. გ. ოთხმეზურს მიანია, რომ საბუთში მოხსენიებული შაჰ აბასი გადამწერის შეცდომაა და შაჰ სეფის ნაცვლად წერია, რადგან საბუთის დაწერის დროს 1652 წელს ირანს აბას II (1642-1666) მართავდა, თუმცა იორამის ქართლში დაბრუნება გაცილებით ადრე მოხდა. იგი 1639 წლისთვის უკვე იმერეთში იყო, ხოლო ქართლში 1641 წელს გვხვდება (ოთხმეზური, 1999: 128, სქ. 1).

როსტომი დიდად იყო დავალებული გიორგი სააკაძისგან, ამიტომ გაისარჯა იორამის ქართლში დასაბრუნებლად. ბერი ეგნატაშვილის თანახმად, ყრმა როსტომი, იგივე ხოსრო-მირზა, მამამისის დაუთხანის ქართლში წამოსვლის შემდეგ დედასთან ერთად შაჰის კარზე დარჩა. „შექმნილიყვნენ ორნივე დედა-შვილნი სჯულითა მაჰმადიანნი და იყოფებოდნენ დიდად გლახაკად და უღონოდ ყოვლისავე სა მარისაგან. მაშინ მივიდა ესე ხოსრო-მირზა მოურავთანა და მცირედი რამე მოართუა მოურავსა. ხოლო მოურავმან რა იხილა ხოსრო-მირზა, წარმოუდგა ფე ზედ, დაუცალა ადგილი თვისი, მიიყვანა და დასუა იგი და პატივ-სცა დიდად, ხოლო იყო მოურავი მაშინ ყანისაგან დიდად პატივცემული, და მორჩილებდნენ სულად ყიზილბაშნი და გუერდს ახლდენ მრავალნი. იხილეს რა ყიზილბაშთა ესევითარი პატივისცემა ხოსრო-მირზასი, ჰკითხეს მოურავსა: „ვინ არს კაცი ესე, რომელსა ესე დიდად პატივ-ეციო.“ ხოლო მოურავმან აუწყა მათ, ვითარმედ „ესე არისო ძე დაუთხანისა, პატრონისა ჩემისაო.“ მაშინ სცნეს ყიზილბაშთა ესე და უპყრობდენ დიდსა პატივსა ხოსრო-მირზას. მაშინ დიდად კეთილსა უყოფდა ყანი ხოსრო-მირზას და მისცა მოურაობა ისპანისა და ჰყვანდათ ესე მეტოქად ქართლის ბატონისა“ (ბერი ეგნატაშვილი, 1959: 404). მოყვანილი ამონარიდიდან ნათლად ჩანს, რომ მეფე როსტომის კარიერული წინსვლა მთლიანად გიორგი სააკაძის დამსახურება იყო. აქედან გამომდინარე, ცხადია, როსტომი ცდილობდა მისი მემკვიდრის დაწინაურებას. გარდა იმისა, რომ იორამი სამშობლოში დააბრუნა, მას დაუბრუნა მამულები, გაათარხნა და თავადად აქცია. ეს იყო იმ იშვიათი შემთხვევათაგანი, როდესაც აზნაური თავადის წოდებას იღებდა. იორამი აღარ ფლობდა მოურავის სახელოს, თუმცა ეს სამოხელეო ტერმინი მის გვარად იქცა. სხვა სააკაძეებისგან განსხვავებით, იორამის შთამომავლები თარხნის ტიტულს ატარებდნენ და მოურავიშვილებად ან თარხნიშვილებად იწოდებოდნენ (ოთხმეზური, 1999: 129-130).

იორამმა როსტომს დაუფასა წყალობა და მთელი ცხოვრება ერთგულებდა. სწორედ მან შეატყობინა როსტომს ნოდარ ციციშვილისა აჯანყება და მის ჩახშობაშიც დაეხმარა.

1652 **წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა**
სალაროს მუშრბი ზიკალისადმი

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Qd-1972 ა; ღია ყავისფერი ქაღალდის გრაგნილი; ზომა: 92,5X24,5 სმ.; ხელი მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთის ტექსტი იკითხება გარკვევით, მაგრამ კიდევების დაზიანების გამო ზოგიერთი ალაგ-ალაგ ცუდად იკითხება. მთლიანად საბუთის ზურგი გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. დაზიანებული ადგილები აღდგენილია კონტექსტისა და შემორჩენილი გრაფემების მიხედვით; საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. სპარსული ტექსტი, შექასთენ-ნასთალიყის ხელით შესრულებული, რომელიც საკმაოდ დაზიანებულია, მოთავსებულია reqto-ს ზედა აშიაზე.

პ ი რ ი : 1450-36/122.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმ (340), რაც უდრის 1652 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთუელ თუმანიშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა : ფუთურიძე, 1955: გვ. 233, №102.

ქ. ნებითა და შენვენითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, ღ(მრ)თივ-გუირ-გუინო|¹სანმან მეფეთ-მეფემან, და ორისავე საბატონოსა, ქ ა რ თ - ღ ი ს [ა] |² და კ ა ხ ე თ ი ს ა მპყრობელმან პატრონმან როსტომ, და თანა[მე]ცხე|³დრემან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან მ ა რ ი |⁴ ა მ , პირმშომან და სასურველმან ძემან ჩუენმან, პატრონ[მან] |⁵ ლ უ ა რ ს ა ბ , ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მ|⁶ტკიცე და უცვალებელი, სამკუიდრო და საბოლოო{ო} წყალობისა |⁷ და სითარხნის ნიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გი|⁸ბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა და თავდადებით წესისებრი|⁹ ვ მრავალგუარად ნამსახურთა ყმათა, სალაროს მუშრბიზ ფ ი |¹⁰ რ ა ღ ი ს , ძმასა თქუენსა ფ ა რ ს ა დ ა ნ ს , შვილთა და მომავალთა ს[ა]|¹¹ხლისა ჩუენისათა, – ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მო[გუიდი]|¹²ეგით კარსა და ბ ა დ ა ბ ე თ ს დასახლება მოინდომეთ, გ ო |¹³ რ ა კ ა ს გარეშემოს თქუენგან გატეხილს მიწასა და ჭალას |¹⁴ დაგუიაჯენით. ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, მო|¹⁵კითხული ვქენით: პირველითგან მეფის ს უ ი მ ო ნ ი ს ნასადგომევი |¹⁶ ყოფილიყო და თქუენ ძუელითგან ირჩოდით, და კიდევ თქუენვე გ|¹⁷ეხელყოდა, თქუენ გეჭირა, ჰწნევდით და სთესევდით. ცოტას ხანს ჩუენ |¹⁸ გამოგართვით და სახასოდ დავიჭირეთ. რადგან წისქუილები, ვენაწი და|¹⁹ გარეშემო მიწები თქუენი იყო, ისიც დაგიმკუიდრეთ და გიბოძეთ გ ო - რ ა კ ა მისის მიწითა, კ უ ე რ ა ნ ა კ ი ს მწრით ფ შ ნ ა მ დ ი ს ი ნ ; კიდევ ე მ|²⁰ოხუევით ქუემოთ ფ შ ნ ა მ დ ი ს ი , ზემოთ თქუენის წისქუილების მიწის |²¹ ბოლომდისინ; პირდაპირ გატანებით თქუენის მიწებისა და ჩ ა რ - ჩ ი შ ვ ი |²² ღ ი ს ს ა ქ უ ა ს მიწის ბოლომდისინ; ღ ი ა ხ უ ი ს ჭალა, რასაც რომ გ ო |²³ რ ა კ ა ს მიწის ბოლო გაიტანს, და ამ პირამდის თავით

გატანებით პირდა²⁴პირ, ამას წინათ რომ ლ ი ა ხ უ ს უდენია, იმის პირამ-
დი, რაც დღეს |²⁵ აქნობამდის ა მ ი რ ა ლ ა ს ა გ ა ნ [მოსყიდული?]* მინა
არის, იმის გარდაისად, ქ²⁶ალა და საწნავი – ყუელა თქუენტუის გუიბოძ-
ებია. აგრევე, რაც კაცი და{ა}|²⁷სახლოთ ან თქუენგან ნასყიდი ან მოახლე
მიცემული და ანუ მოსული ყ|²⁸მა – ბოგანო.

ასრე გუითარხნებია, დღეს და ამას უკან რომ აშენდეს, მაშინ²⁹ცა,
ასრე რომე, არც აინერებოდეს ჩუენგან გაგზავნილის თემის მ[ო]³⁰ნერ-
ილისაგან და არც ეთხოებოდეს: საური, არა კოდისპური და საბალა[ხე],
|³¹ არა პირისთავი, არა ნახირისთავი, არა საჯინიბო, არა სეფეობა და ბე-
გა³²რი, არა ლაშქრობა და ნადირობა, არასფერისთანა საჩუენო ს{ა}თხ-
ოვარი და |³³ გამოსაღები არა ეთხოებოდეს-რა. და გ ო რ ი ს პირდაპირ,
კ ვ ე რ ნ ა კ ზ ე დ , თქვენ³⁴ს ყმათაგან ურწყავი მინა მოიჭუნოდეს, დღი-
ურზე კოდი ერთი ეთხოებო[დ]|³⁵ეს.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულად სამსახ-
ურ[სა] |³⁶ შინა, არაროდის არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემ[დ]|³⁷გო-
მად სხუათა მეფეთა და მეპატრონეთაგან. და ამისი ნყალობაც გუი[ქნი]|³⁸ა,
რომე, ამინით უკუნისამდე თქუენს სახლსა და თქუენს ყმას სატყუეოდ |³⁹
შვილი არ ეთხოებოდეს.

ანე, გიბ(რძანებ)თ* კარისა ჩუენისა ვ ე ქ ი ლ - ვ ე ზ ი რ ნ ო და სხ-
|⁴⁰უანო მოსაქმენო, ვინცავინ იყუნეთ და ანუ დღეის წაღმა იქნებო-
დეთ, თ|⁴¹ქუენცა ასრე გაუთავეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შე{ე}
ცილებ|⁴²ით, თუნიერ შენევისა და თანადგომისაგან კიდე.

ვინცა და რამანცა[ა კა]|⁴³ცმან ამის შლად და ქცევად ჴელყოს, მას{ა}
მცა რისხავს დაუსაბამო ღ(მერ)თ[ი და] |⁴⁴ ყოველნი მისნი წმიდანი, ზეცი-
სა და ქუეყანისანი, ჴორციელნი და უ[ვო]⁴⁵რცონი. და ნურათამცა სინან-
ულით ნუ იხსნების სული მისი ჯოჯ[ო]⁴⁶ხეთისაგან. დამამტკიცებელნი
ამისნი აკურთხენეს ღ(მერ)თ(მა)ნ.

დაინერა ბ(ძანე)ბა და [ნი]⁴⁷შანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმ, ჴელითა
კარისა ჩუენისა მდივან-მნ[იგნობ]|⁴⁸რის თ უ მ ა ნ ი შ უ ი ლ ი ს ბ ი რ -
თ უ ე ლ ი ს ი თ ა .

ხელრთვა: რ ო ს ტ ო მ

სპარსული ტექსტი:

1652 წ.

[هو]

[حكم عالی شد] آنکه چون بموجبی که در ذیل بخط گرجی نوشته شده [قر] به مشهور به کوره ... [ارا] ضی
اطراف ... رودخانه لیخورا بزیده الاشباه پیرالی مشرف خزانه [شفقت] و عنایت فرمودیم و مشار[الی] ه در
باب رعیت خود و [ترخانای] و غیره محال ... حکم عال[لی] ر[ا] ... اجابا... مق[رر] ف[رموریم] که محل
تیول ... ذیل ... و ترخانای و غیره را در باب او [مضی] و مستمر دانسته از [شایبه تغییر و تبدیل مصو]
ن و محروس شناسند مستوفی سرکار عالی در دفتر ثبت [نموده هر ساله در این باب] حکم مجدد نطلبند
و چون بمهر عالی رسد [اعتماد نمایند] و در عهده شناسند تحریرا فی شهر رمضان المبارک سنه ... ۱۰۶

* ეს სიტყვა მიწერილია ტექსტის ხელით. უფრო წერილი ასობით.

[ის (ღმერთი)]

[გამოვიდა მაღალი ბრძანება] მასზედ, რომ იმის საფუძველზე, რომელიც ქვემოთ ქართულად არის აღნიშნული, გორაკად წოდებული სოფელი ... მდინარე ლ ი ა ხ ვ ი ს მხარის სახნავი მიწები, მსგავსთა [შორის] რჩეულს, საღაროს მუშრიბს – ფ ი რ ა ლ ს ვუნყალობეთ და ვუბოძეთ ... თარხანი და სხვები მისადმი სამუდამოთ მიკუთვნებულად ცნონ [და ეს ბრძანება შეცვლისა და გადაკეთების მანკისაგან] დაცულად აღიარონ. მაღალი კარის მუსტოუფი, შეიტანს რა ამ ბრძანებას დავთარში, [ყოველ წელს ამის შესახებ] ახალ ბრძანებას ნუ მოითხოვს და, როცა (ბრძანება) მაღალი ბეჭდით აღიჭურვება, [ერწმუნონ და თავიანთ მოვალეობად აღიარონ მისი შესრულება]. დაინერა 106... წლის კურთხეულ რამაზანის თვეს.

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია როსტომ მეფის სპარსული ბეჭედი. საბუთის verso-ზე ჩანს მხოლოდ ორი სპარსული სარეგისტრაციო ბეჭედი „ო, უძღურთა შემწევე“ – *معيّن الضعفا* – ოვალური გაურკვეველი წარწერით.

221

1652 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა პაპუნა არაშიშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Sd-20, მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 39,3X22 სმ. შავი ფერის მელანი, ხელი მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: მცირედ დაზიანებულია და შევსებულია სარესტაგრაციო ქაღალდით. საბუთი ქართულ-სპარსულია, თერთმეტსტრიქონიანი სპარსული ტექსტი, შესრულებული შექასთე-ნას-თალიყის ხელით, მოთავსებულია საბუთის recto-ზე.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმ (340), რაც უდრის 1652 წელს.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი : თაყაიშვილი 1909: №419; ფუთურიძე, 1955: გვ. 231, №101.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

ქ. ნებითა და შეწვევითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, ლ(მრ)თივ-უირგუინოსან-მ|²ან, ქ ა რ თ ლ ი ს ა და კ ა ხ ე თ ი ს ა – ორისავე მპყრობელმან, მე|³ფეთ-მეფემან, ჯელმნიფემან პატრონმა როსტომ, თანამე|⁴ცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან მ ა |⁵რ ი ა მ , პირმშომან და სასურველმან ძემან ჩუენმან, პატრონმ|⁶ან ლ უ ა რ ს ა ბ , ესე ამიერ უკუნისამდის ჟამთა და ხანთა გა|⁷სათავებელი, მტკიცე და უცვალებელი, ნყალობისა წიგნი|⁸ და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგ|⁹ულსა და მრავ{ა}ლფერად ნამსახურსა ყმასა,

არეშიშვილს¹⁰ პაპუნასა, შვილთა შენთა გურგენს და როსებს, ბიძაშვილ¹¹სა შენსა ასლამაზს, შვილთა და მამავალთა სახლისა თქუენისა¹² ყოველთავე;

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და ამოვა¹³ რდნილის ბართაშვილის გერმანოზიანთ ნაქონს ნაოჭარს ვა¹⁴ ძას დაგუიჯენით, შეგიწყალეთ, ვითარცა ამოვარდნილის კერძი¹⁵ იყო, ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა: მითთა, ბართა,¹⁶ წყლითა, წისქვილითა, საჭმრითა და უჭმრითა შენითა და ოჭერი¹⁷თა. სამძღვარი ბედნის ნათლისმცემლის სწორ{ა}დ, დელე{ს} ბოლოს, დი¹⁸დიგორა ქივქივს ერთვის და ზედათ ყუინჩილის ჯევის სწორათ, რა¹⁹ც ბედენი დახედავს. – ესები ჯელმეუალად თქუენთუის და შვილთა თქუენ²⁰თათუის გუიბოძებია.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩუენს ერდგულად სამს²¹ახურსა შინა, და აროდის არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემ²²დგომად სხუათა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

ანე, გიბ(ძანე)ბთ კარისა ჩ²³უენის ვაქილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, თქუენც ასრე გაუთა²⁴ვეთ, ნუროდეს ნუ მოუშლით და შექეცილებით შეცილებიას,²⁵ თუნიერ შენვენისა და თანადგომისაგან კიდე.

დაინერა ბძანება²⁶ და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმ, ჯელითა კარისა ჩუენისა მდივ{ა}ნმნიგ²⁷ნობრის თუ მანიშვილის ბირთველისითა.

ხელრთვები: როსტომ, ლუარსაბ

სპარსული ტექსტი:

1652 წ. 4 ოქტომბერი – 2 ნოემბერი

[هو]

حکم عالی شد آنکه بنابر شفقت عالی در باره بابونه ارش اغلی¹ قریه وزه من اعمال برات ایللی را که در قدیم الایام بتیول² کرمانوس نام برات ایللی مقرر بوده و متوفی شده از و ورثه نماند بوده³ بموجبی که در ذیل بخط گرجی نوشته شده بتیول بابونه مذکور و اولاد او⁴ مقرر فرموده ارزانی داشتیم که بحلیه آبادانی در آورد رعایا⁵ قریه مزبوره مومی الیه تیولدار باستقلال خود دادسته سال بسال⁶ از قرار دستور العمل ولایت گرجستان مالوجهات و حقوق دیوانی⁷ خود را بهر اسم و رسم که بوده باشد مخصوص تیولدار مومی الیه⁸ دانسته رسانند و موقوف ندارند و قضایای سانحه خود را⁹ سواى قضیه خون بدو رفع نمایند مستوفی سر کار عالی در دفتر¹⁰ ثبت نموده هر ساله حکم مجدد نطلبند و در عهده دانند تحریرا [فی] شهر ذیقعه الحرا¹¹ سنه ۱۰۶۲

ის (ღმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ პაპუნა არეშიშვილის მიმართ მაღალი წყალობის [მიპყრობის] გამო, საბართიანოს დამოკიდებული სოფელი ვაძა, რომელიც ძველად უმემკვიდროდ გარდაცვლილი გერმანოზ ბართაშვილის თიულად იყო დამტ-

კიცებული, [ეს სოფელი] იმ საფუძველზე, რომელიც ქვემოთ ქართულადაა აღნიშნული, ხსენებულ პ ა პ უ ნ ა ს და მის შვილებს დავუმტკიცეთ და ვუბოძეთ, რათა აყვავების სამკაულით შეამკონ ის. ხსენებული სოფლის გლეხებმა აღნიშნული [პირი] თავის სრულუფლებიან თიულდარად (უნდა) 5 ცნონ, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ვილაიეთის დასტურლამალის თანახმად, ყოველწლიურად თავიანთი მალუჯათი და სხვა სახელმწიფო გადასახადი, რა სახისაც უნდა იყოს, ხსენებული თიულდარის კუთვნილებად აღიარონ და [მათ გადახდას] ნუ დააბრკოლებენ. და თავისი [სასამართლო] საქმეები, გარდა სისხლის [სამართლის] საქმეებისა, მას გადასცენ [გადასაწყვეტად]. 10 [ეს ბრძანება] მაღალი კარის მუსტოუფიმ დავთარში შეიტანოს, ყოველ წელს ახალ ბრძანებას ნუ მითხოვენ და [მისი შესრულება] თავის მოვალეობად აღიარონ. დაინერა 1062 წლის დალოცვილ ზი კადას თვეში.

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია როსტომ მეფის სპარსული ბეჭედი. საბუთის verso-ზე ჩანს ოთხკუთხა სარეგისტრაციო ბეჭედი სავარაუდო სპარსული ლეგენდით: — از امر الله حسب سجدوه — ალაჰის ბრძანებად ჩათვალეთ. ქვეშ მიწერილი აქვს: بنظر راسد — „განხილულ იქნა.“

1652 წ. როსტომ მეფის განჩინება პივი და სვიმონ ზავგბინიძეებს შორის სასისხლო დავის შესახებ

დედანი: ხეც, Hd-1805, მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 51,8X24 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთი საკმაოდ დაზიანებულია, ტექსტი ალაგ-ალაგ გაცრეცილია, დაკარგულია სიტყვების და გრაფემების გარკვეული ნაწილი. დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

პირი: სეა, ფონდი №1461, რვ. 14–132.

თარიღი: ქორონიკონი ტმ (340), რაც უდრის 1652 წელს.

გამოცემა: დოლიძე, 1972: გვ. 92-93, №35.

ქ. ზე ადიდნეს ლ(მერ)თ(მა)ნ ძლიერი და უძლეველი, ორის-ავე საბატ[ონ]²ოსა – ქართლისა და კახეთისა მპყრობელი მეფეთ-მეფ[ო]³ბა პატრონისა როსტომისა. დავსხედით ლ(მრ)თის შიშს ქუეშ⁴ე ბჭედ და მოსამართლედ ვეზირი აღამონინ, დივანბე-გი⁵ჯავახიშვილი პატრონირონინ, ამირეჯიბი გი(ორ)გი, მარტიროზიშვილი [...]⁶ივანი, ავთანდილ, თუმანიშვილი მდივანი ბირთუელი, [...]⁷ამის მწერელი ფირალი, ზევდგინიძის გივსა და სუიმონის⁸ სისხლის გარდასაწყუტლად.

სარჩელი და საჩივარი ორ⁹თავესი გავიგონეთ, ნათესაობაში ერთ-მანერთზედ მრავალი შენა¹⁰ცოდარი და საჩხუბარი საქმე ჩამოვარდნოდათ და ეშმაკის [...] ¹¹ ფრწითა, ს უ ი მ ო ნ ი ს მამას ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს , გ ი ვ ი ს პაპა ი მ ა რ ი ნ დ ო მოე[კ]¹²ლა და მას დღეს აქათ ერთმანერთზედ მოსისხარნი დარჩო¹³მილიყუნეს და მრავალი ავი საქმე მომჭდარიყო. ს უ ი მ ო ნ ამასა ჩიო¹⁴და, პირველი გ ი უ ნ ა ს სახლის კაცს ჩემი სახლის კაცი მოუკ[ლავ]¹⁵სო და ბ ე ბ ე რ ა ჩემი, პაპაშენს ძალად გაუნბილებიაო და მასუკან¹⁶ ჴელმწიფის კარზედ გასამართლებულან, სისხლი და საუპატიო გ[ა]¹⁷უჩენიათო, ის აღარ მოუცემიაო და იმათი შეწოცა და სიკუდილი¹⁸ ამაზედ მომჭდარაო.

გ ი ვ მ ა ნ ამისი ასრე უპასუხა, რასა ჰქუიანო, [...] ¹⁹ რაც ჩემის სახლისკაცს შენი სახლისკაცი მოუკლავსო და [რა]²⁰ ბებერა-შენი პაპის ჩემისაგან განბილებულაო, რაც ცუდუ[ბ]²¹რალოდ პაპაჩემი ი მ ა რ ი ნ დ ო მამაშენმან არ მოკლაო, და თუ რომელ²²იმე შენი სახლისკაცი ჩუენმა სახლის კაცმა მოკლა, სახელი გვა[ნ]²³იშნეთ, თუ რა რქმევიაო და მასუკან ამის პასუხს სამართლიანის [სა]²⁴ქმით ჩუენ გაგცემთო.

ს უ ი მ ო ნ ამისი ეს უპასუხა, ძუელი განაჩენი²⁵ წიგნი მქონდაო და დამეკარგა, თორემ აზდენ-აზდენი გლეხი და საქონე²⁶ლი გარკუევით შიგენერა, რომე პასუხი უნდოდა გაგეცათო [და] ²⁷ ამისი ფიციც შემოიღიაო, რომე ჩემი სახლისკაციც მომკუდარიყოს [თქ]²⁸უენის სახლისაგანო და ბებერა-შენიც ძალად განბილებულიყოსო, [...] ²⁹ რადგან განაჩენი წიგნი არა ჰქონდა, თვითანვე ფიცს შემოიღივ[ნა], ³⁰ ასრე შევჰფიცო, რომე სახლისკაციც მაგათის ჴელით მკუდარი გყუანდე³¹სო და სხუარიგად-აც ბებერა-ჩემი განბილებული იყოსო, და, რაც³² ამ საქმეზედ სისხლი და საუპატიო გაგუჩენოდეს, ის აღარ მოეცეს, [] ³³ ეს სიკუდილი იმაზედ მომჭდარიყოსო.

ანე, ჩუენ ამისი ასრე გაუჩინეთ:³⁴ ორი შესახელებული საბატისო კაციშუილი უმტერო, ორი სხუა, რომელი³⁵ც თუითან უნდოდეს, იმისთანა კიდევ საბატისო კაციშვილი თა მი[იყვან]³⁶ოს ს უ ი მ ო ნ და ასრე შეჰფიცოს: „ამისმა მადლმან, ამისმან გამაცხორებელ[მა]³⁷ქ რ ი ს ტ ე მ ა ნ ლ(მერ)თ(მან),” გ ი ო , ჩემო განაყოფო, ეს მამული, ამდენი საქონელი³⁸ ნასისხლად და საუპატიოდ გაგუჩენია.”

თუ შეჰფიცოს და ფიცმან ამა³⁹რთლოს, რაც გასჩენოდეს, ვითაც გ ი ვ ი ს პაპა ი მ ა რ ი ნ დ ო მკუდარია და თა... ⁴⁰ გორავს, რარიგად-აც ამას წინათ, ამათის სახლისკაცს სისხლი [გა]⁴¹სჩენოდეს, ისრე უნდა გარკუევით გარდასწყდეს; და რაც ს უ ი მ ო ნ ი ს სახლ⁴²ისკაცისათუის სისხლი და საუპატიო გაუჩენიათ, იზდე[ნი] ი მ ა რ ი ნ დ ო ს სისხ⁴³ლში გაითვალონ. და სხუაზედ ს უ ი მ ო ნ უნდა სისხლი მისცეს და გ⁴⁴არდაუწყუიტოს. და თუ ვერ შეჰფიცოს, ვითაც რომ ჩამამავლობით⁴⁵ დიდნი კაცნი არიან, ნამეტნავიც უნდოდა გასჩენოდა, მაგრამ დღეს⁴⁶ მამული მოკლედ იყო და მის მეტს ვერ შეიძლებდა, და უნდა დაუ⁴⁷დოს ნასისხლად ოცდაათი კუამლი გლეხი, თორმეტი თუმანი თ⁴⁸ეთრი, ერთი გუთანი ჴარი, ხუთი ჭაკი ცხენი, სამასი კოდი პური,⁴⁹ ასი კოკა სთუელზედ ტკბილი სამარხად.

ამისი საქმე ასრე გავა⁵⁰რიგეთ, ვითაც გათავებით სისხლის საქმეს ვერ შეიძლება,⁵¹ ზოგი ვაპატიეთ ჯუარ-ხატითა, ზოგი მეფესა და დედოფალთა, ზო⁵²გი პჭეთა და მოსამართლეთა და ექუსი კუამლი კაცი ავ-კა[რ]⁵³გად ს უ ი მ ო ნ ს დავდევით. და უნდა დაუდოს და გ ი ვ ს ა მოაბარონ.⁵⁴ ჩუენი განაჩენი ამას იქით არ არის და ამგუ{ა}რად გარდა-გუინყუე⁵⁵ტია.

ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმ.

ხელრთვა: რ ო ს ტ ო მ

გვიანდელი მინაწერი: ქ. გ ი ვ ი ს ზ ე ვ დ გ ი ნ ი ძ ი ს ა .

223

1652. წყალობის წიგნი [ტოსტომ მეფისა] [ქორღანაშვილებისადმი]

პ ი რ ი : სეა, 1450-1/5; გადაწერილი რუსული მმართველობის დაწესებულების პირების დავთარში თავნაკლული დედნიდან. საბუთი წარდგენილია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1817 წლის 12 აპრილს, გატარებულია: 1820 წლის 22 აპრილს, ნომრით: №5.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმ (340), რაც უდრის 1652 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

. . . კერძი სასახლე და ქოშტაური საკომლო თქვენგან ნასყიდი მინა-წყალი; აგრევე ახალშენს თქვენი ნასყიდი დიდის ტერტერას შვილიშვილი ოსია, მისის საგანაყოფოს მამულითა; ნაჭიდურს თქვენივ მკვიდრი მახმანი მიტიჩა მისის მთქელის საკომლოს მამული-
5 თა, საფიჩხულითა, საგოდრითა და საწყლისპიროთა. – ესები ყოვლი{თ} ურ, რისაც ქონებელი იყუნენ და ანუ იქნებოდენ, და ანუ პირველი ყოფილი-ყქუნენ, სამკვიდროთ და სამამულედ დაგიმკვიდრეთ, ამად რომე, ჩვენ-ზედ ვალდებულნი და ნამსახურნი იყუნენით და ყიზილბაშის ქვეყანას გუახლდით და ბევრიც გუქემსახურეთ. მისდა სამუქფოდ და საჯილდაოდ
10 ასრე საფიცრით დაგიმტკიცეთ, რომე არასდროსა და ჟამსა თქუენის სახლის ჩამომავალს კაცსა ეს ჩუენგან წყალობა – საფიცრით სითარხნე – არ მოეშალოს, ამინ, უკუნისამდე.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერთ)მან ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად
15 სხუათა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

ანე, გიბრძანებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, ვინცა-ვინ იყვნეთ და ანუ დლე{ი}ს ნაღმა იქნებოდეთ, თქვენცა ასრე დაუმკვიდრეთ, რარიგადაც ამა ჩუენგან ნაწყალობევსა სიგელსა და საფიცარშია ენეროს. და ნურ{ა}ოდეს ნუ მოუშლით და შექცეცილებით, თუინი-
20 ერ შენევისა და თანადგომისაგან კიდე.

და რისაც მამულისა და ალაგის მქონებელნი იყუნეთ, იმაზე, რაც არ შემოგიმატოთ, სხუარიგათ არ დაგამცროთ და არა მტრის ენით გაუკითხავათ შეგიბეზლოთ. ვინ იცის და, ამ მამულებისა სხუა ნიგნი და ნიშანი გამოჩნდეს, სიგლითა ამითა გაგიცუდებია და მტკიცე და უცვალელებელი ესე ოდენი არის. თუ ნ ა ო ხ ა რ ი მ ო ქ რ ი ს ი , მ ო ლ ა ვ ი და ხ ო რ ბ უ ვ ი , თქუენი საკერძო შენ{ი}თ, ისიც ასრე გითარხნეთ, რომე საჩუენო სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოებოდეს-რა: არა საბალახე, არა კოდის პური, არა პირისთავი და ნახირისთავი, არა სეფეობა, რისაც ფერისა იქნებოდეს, ერთის სათათროს საურისა და ლაშქარ-ნადირობისაგან კიდე.

დაინერა ბ(ძ)ა(ნე)ბა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტმ, ხელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრისა თ უ მ ა ნ ი შ უ ი ლ ი { ს } ბ ი რ თ ვ ე ლ - ი ს ი თ ა .

ამისად გათავებისა, თავდებად მოგვიცემია თავად ლ(მერ)თი და ყოველნი მისნი წმინდანი, ზეცისა და ქვეყნისანი, ხორციელნი და უხორციონი.

აგრევე, შ ო შ ი ლ ე თ ს ი ლ ა ძ ე ი ვ ა ნ ა და ნ ო დ ო რ ე თ ს მ ა ზ ი ტ ა გ უ ლ ი ა უ რ ი ს მამულითა, და დ უ რ ნ უ კ ი ს ბოლოს, ჯ ი გ რ ა შ ე ნ ს , რაც შენი კერძი იყოს სამართლიანის საქმით, ისიც დაგიმკუიდრებია სამართლიანის საქმითა.

დედანს ესვა ბეჭდები: მ ა რ ი ა მ , ლ უ რ ს ა ბ .

გვიანდელი დამტკიცება: ესე ბრძანება და სიგელი ჩვენცა ასე ვამტკიცეთ, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტმდ (1656), შ ა ჰ ნ ა ვ ა ზ

დედანს დასმული ჰქონია შაჰნავაზის და სხვა სამი პირის ბეჭდები.

პირის მინანერები:

ასლიდამ თანასწორ არს ჩანერილი, სოვეტნიკი, თა(ვადი) თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ო ვ ა ნ ი .

სოვეტნიკი, თა(ვადი) თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ო ვ ა ნ ი .

ასლი, დოკუმენტი მივიღე, ი ო ვ ა ნ ე ყ ო რ ლ ა ნ ო ვ ი .

კომენტარი: ადრესატის გვარი – ყორღანაშვილი – აღდგენილია სარეგისტრაციო მინანერის მიხედვით.

**1652 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა
თამაზ პარათაშვილისაგან**

პ ი რ ი : სეა, 1450-33/69; გადაწერილი დედნიდან რუსული მმართველობის პირების დავთარში. საბუთი შეტანილია სარეგისტრაციოდ 1817 წლის 12 აპრილს, გატარებულია 1822 წლის 15 დეკემბერს ნომრით №67.

თ ა რ ი ღ ი : ქორონიკონი ტმ (340), რაც უდრის 1652 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

[ქ]. ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა, მეფეთ-მეფემან, ჯელმნი-
ფემან პატრონმან როსტომ, და თანამეცხედრქემან ჩვენმა, დედო-
ფალთ-დედოფალმან, პატრონმან მარამ, პირმშომან და სასურველმან
5 წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ {და} გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა
ერდგულთა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურთა ყმათა: ბრათ-
აშვილსთამაზს, შვილთა შენთა შერმაზანასა, ქაიხოს-
როს, შიოშს და მომავალთა სახლისა თქვენისათა, – ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და ქვემო ბოლნისს
10 ალა-სტეფანას ვენახს დაგვეაჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხ-
სენება თქვენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ბოლნისს ალა-სტეფა-
ნას სამართლიანი კერძი ვენახი მისის მზღურითა და შესავლითა.

თქვენთვის და თქვენთა შვილთათვის გვიბოძებია ყოვლის კაცისაგან
უცილებლად. გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერდგულად
15 სამსახურსა შინა და არ{ა}ოდეს არ მოგეშალოს.

ანე, გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმე-
ნო, სომხთის მელიქნო და ბოლნისის მოურავნო, თქვენც ასრე
გაუთავეთ და ნურას მოუშლით და შეეცილებით, შენევნისა და თანადგო-
მისაგან კიდე.

დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე, ქ(ორონი)კ(ონ)სტმ, ჯელითა კარისა
20 ჩვენისა მდივანმწიგნობრის თუმანიშვილის ბირთველისითა.

თუ ამ მამულისა სხვა წიგნი გამოჩნდეს, სიგლითა ამითა გაგჯიცუ-
დებია და მტკიცე ესოდენი არის.

დედანს ჰქონია ბეჭედი: როსტომ

პირის მინაწერები:

ასლთან სწორ არს, თ(ავად)ირატიევი.

ასლი წერილი მივიღე, კნეინა დავით აბაშისა სალომემ.

225

1652 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა პაპია შანშიაშვილისადმი

პირი: სეა, 1450-6/33; გადაწერილი რუსული მმართველობის
დაწესებულების პირების დავთარში.

თარიღი: ქორონიკონი ტმ (340), რაც უდრის 1652 წელს.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშ-
ვილი.

[ქ]. ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩუენ,
მეფეთ-მეფემან, ჯელმნიფემან პატრონმან როსტომ, პირმშომან და

სასურველმან ძემან ჩუენმან, პატრონმან ლ უ ა რ ს ა ბ , თქუენ, ჩუენ-
თა ერთგულთა და წესი(ს)ებრივ ნამსახურსა შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ს ჩვენს
ყაფიჩს პ ა პ ი ა ს ა და შვილთა თქვენთა.

მას ჟამსა, ოდეს შენის საფასოს, ს ა მ ნ ე [ვ] რ [ი ს] ს , მ ი რ ზ ა შ -
ვ ი ლ ს ჰ ა ს ა ნ ა ს ა და მისის ძმის ა ი ვ ა ზ ა ს ა გ ა ნ სავენახე ალა- 5
გი გეყიდა და ნასყიდობის სიგელიც ხელთა გქონდა, და ჩუენც წიგნის წყ-
ალობას დაგეაჯენით, ამად რომე, საბოლოოდ არ მოგშლოდათ, ჩუენცა ასრე
დაგუიმკ(ვ)იდრეთ ს ა მ ნ ე ვ რ ი ს [ს] ჰ ა ს ა ნ ა ს ი და მისის ძმისაგან
მოსყიდული სავენახე, რომე არასდროს არ მოგეშალოს. თ ა მ ა ზ ა ს მი- 10
ნის გუერდით, ერთი ძუელი საწნახელი რომ დგას, იმის მიდგამდით, იმ საწ-
ნახელს აქეთ, ხევის პირამდით, ერთის მხრით მ ა ჰ მ ა დ ა ს ვენახის მიდგ-
მამდინ, რაც იმას აქეთ ფლატე არის და იმისი თავი ჩამოიტანს, საურმის
შარამდით. ის ასრე გარკუევით თქვენთვის მოუყიდა და ჩუენც ეს წყალო-
ბის წიგნი ამისად ნიშნად გვიბოძებია, რომე არაოდის არ მოგეშალოს.

ანე, გიბძანებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, ს ო მ ხ ი თ ი ს 15
ტარულანო, მელიქნო, თქუენცა ასრე გაუთავვეთ და ნურაოდეს ნუ მოუ-
შლით და შექ(ე)ცილებით.

დაინერა ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტმ, ჴელითა კარისა
ჩუენისა მდივან-მწიგნობრის თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ს ბ ი რ თ უ ე ლ ი ს ი -
თ ა . და არც კულუხი ეთხოვბოდის ამ თქვენგან ნასყიდს მამულსა. 20

დედანს ესვა ბეჭედი: რ ო ს ტ ო მ

226

1653 წ. 4 თებერვალი. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ბორჯღა ბიორბი ბორბიჯანასშვილისადმი

პ ი რ ი : სეა, 1449-1872, გადაწერილი თეთრ ქაღალდზე, თავში მიწერ-
ილია დედნის არქეოგრაფიული მონაცემები: ზომა: 30¹⁴X19 სმ. №20; შავი
ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი
სიტყვის შემდეგ.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმა (341), თებერვლის დ (4), რაც უდრის
1653 წლის 4 თებერვალს.

საბუთის და მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუშანიშვილი.

ქ. შენეენითა მლ(რთ)ისათა, ჩუენ, მლ(რ)თივ-გვირგვინოსანმან,
მეფეთ-მეფემან, ჴელმწიფემან პატრონმან რ ო ს ტ ო მ , თანამეცხედრე-
მან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მ ა რ ი ა მ , ესე ამ-
იერთ უკუნისამდინ ჟამთა და ხანთა გასათავებელი წყალობისა წიგნი და
ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ შენ, ჩუენსა ერდგულსა და წესისებრივ 5
თავდადებით ნამსახურსა ყმასა, გ ო რ ე ლ ს გ ო რ გ ი ჯ ა ნ ა ს შ ვ ი ლ ს
გ ი ო რ გ ი ს , შვილთა თქუენთა ფ ა რ ს ა დ ა ნ ს ა , ა ლ ე ქ ს ი ს ,

მ ი რ ი ჯ ა ნ ს და მ ე { ლ } ქ [ი ს ა დ ე გ ს] ა , შვილთა და მამავალთა სახლისა შენისათა, – ყოველთავე.

5 მ ა ს ჟ ა მ ს ა , ოდეს მოგვიდექით კარსა და ჩუენგან ნანყალობევი სამთვალის ნისქვილი გიბრუნევედა და ჩუენისავე ბძანებით, ოთხი სხვა მოუმატე მ ე ჯ უ დ ი ს ნ ყ ლ ი თ ა , – ესე { ე } ბითავისავე სამართლიანის სამძღვრითა თქუენტვის და შვილთა თქუენტათუის გვიბოძებია ყოვლის კაცისაგან უცილებლად.

10 გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად სხვათა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

ანე, გიბ(ძანე)ბთ კარისა ჩუენისა ვაქილ-ვაზირნო, გ ო რ ი ს მოურავნო, ნაცვალნო და მამასახლისნო, თქუენცა ასრე გაუთავედ და ნურაოდეს ნუ შეუშლით და შეცილებით, თვინიერ შეწვენისა და თანადგომისაგან კიდე.

15 ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმა, თებერვალსა დ , ჴელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობარის თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ ვ ე ლ ი ს ი თ ა .

ხელრთვა: რ ო ს ტ ო მ
დედანს ესვა სპარსული ბეჭედი.

კომენტარი:

საბუთის ადრესატი გიორგი გორგიჯანაშვილი ცნობილი ისტორიკოსისა და მოღვაწის – ფარსადან გორგიჯანიძის მამაა. ფარსადანი თავად საბუთშიც იხსენიება. თუ გავიზიარებთ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომ ფარსადანი 1626 წელს უნდა იყოს დაბადებული, საბუთის გაცემისას ის 27 წლის გამოდის. ფარსადანი როსტომმა ბავშვობიდანვე გაზარდა. მეფეს უკისრია მისი დაოჯახებაც. როსტომის რეკომენდაციით ფარსადანი გახდა ისპაჰანის ტარუდა (მოურავი) (ჯავახიშვილი, 1945: 284-286). შაჰის კარზე იყო ეშიკადასი. მან 40 წელი გაატარა ირანში. 1696 წელს გარდაიცვალა.

227

1653 წ. 10 ივლისი. სასახლვრო ღაშის ბარბეშის წიბნი ბუღარმხელთა და ღორისთაგველთა შორის

დედანი: ხეც, Hd-14671, მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 32,4X21,1 სმ. შავი ფერის მეღანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი, სამწერტილი და ოთხწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: მცირედ დაზიანებულია და შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. ტექსტს ბოლოში ახლავს როსტომ მეფის ოთხკუთხედი ფორმის

ერთი სპარსული ბეჭედი. საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში: 1823 წლის 9 სექტემბერს და 1817 წლის 12 აპრილს. №295.

პირები: ხეც, Hd-13951; სეა, ფონდი 1450, დავთ. 33–298.

თარიღი: ქორონიკონი ტმა (341), მკათათვის ათი, რაც უდრის 1653 წლის 10 ივლისს.

გამოცემები: თაყაიშვილი 1899: გვ. 383, №313; დოლიძე, 1972: გვ. 94-95, №36.

ქ. ზე ადიდნოს ღ(მერ)თმ(ა)ნ მეფეთ-მეფე, პატრონი²ნი ქართლის, კახეთისა – ორისავე [საბა]ტონოსა პატრონი³როსტომ! ჩვენ, სოლბათიასაული შანშეხ⁴შვილი პაპია, მივედით მათის ბძანებით. – გუდარეხელ⁵ნი და ღორისთველნი ბედენ-ზედ სამძღვარს შესცილე⁶ბულიყვენ.

ახლა გერმანოზისშვილს ოთარსა და პაქატ⁷ს ფიცი დაქედვა. თავეთით ყმით გუდარეხელთა ასრე შე⁸ფიცონ: “ამგზასა, რასაც ღორისთვის გზარომ შეივლისნა⁹ოთლისმცემლის ქვევით, ღორისთველს კაცს ჴელი არა ქ¹⁰[ო]ნდეს.”

ქვეშეთ დიდი შარა რომ გქაივლის ბედქენისა, იმას ქვევით¹¹ტყემლაური და გორას სათიბი არს, – ცორველთ დარჩა.¹² იმას ზედათ, რქასაც წყალი გორას სათიბისაკენ დაქიქცევს,¹³ დიდის კლდის გამოტანებით, სერ-სერი რომ შემოსდევსნათ¹⁴ლისმცემლის ძირში, აქეთ ყვირალას ნასახლებამდისინ, მინგ¹⁵ულ[ი]ს სათიბი, და შუა დიდი კლდე რასაც შეიტანს წყარომდისინ,¹⁶ იმის გასწორათ სამი გორა რომ არის, – დაბალი გორა, იმა¹⁷ს ქვეშეთ ქივჭივის წყალი რომ არის, რასაც წყალი ტყემ¹⁸ლარსავე დაგორას სათიბისაკენ დაქიქცევს, ღორისთველს კაცს¹⁹ჴელი არა აქს, გუდარქეხელთა [არის.]

რაც წყალინათლისმცემ²⁰ლქის ქვეშეთნირამთისაკენ დაქიქცევს, – ღორისთველთა [არის]. და ნირამ²¹თულა მაღალი გორაები, ისიც ნირამთულა, ნათლისმცემ²²ის გასწორათ, უკან რომ წყარო არის, ქივჭივის სათქავე, იმას²³გქა ღმით ჴელი არავქის აქს ვაძის არის.

ჩვენ ასრე გაგვირი²⁴გებია ჴელმწიფის ბრძანებითა, რომ ფიცი აღარ მოვაჭდინ²⁵ეთ, ასრე გავაშველეთ.

ბძანდებოდა ბატონი ზურაბისშვილი²⁶ შანშე, მეჯინი-ბეთუხუცესი პაპუა რატისშვილი, თულას²⁷შვილი ხუცა, ანჯიყაფასშვილი ბაგრატ, შემაზასშვილ²⁸ი გიორგი, დათუა, სულ ერთ პირობით არეშაქანი, ნქამო²⁹რადე ოქროპირი.

ვქინცა ამ პირობასა და წიგნს გარდავქიდეს,³⁰ ჴელმწიფემ თვისდა შეცოდებათ მოკითხოს. ქ(ორონი)კ(ონ)ს ტმა,³¹ მკათათვეს ათს.

უზის სპარსული ბეჭედი.

XIX საუკუნის მინაწერები:

ქ. ეს ნიგნი ღო რ ი ს თ ე თ ი , გ უ დ ე რ ე ხ ე ლ ი გლეხების არი. რ ო ს - ტ ო მ მეფის არი. 1653 წ. 313. ჩაინერა კ.

313. გ ე რ მ ა ნ ო ზ ი შ ვ ი ლ ი ს ო თ ა რ ი ს ა . 1653, მკათათვის 10.

ამისი პირი ვნახე და იმაზედ გარდავსწერე უმეტნაკლოთ, მე, ა ნ ჩ ი ს ხ ა - ტ ი ს მლუდელმა პ ე ტ რ ე ა რ და ზ ი ა ნ ო ვ მ ა .

**1653 წ. 25 ნოემბერი. წყალობის განახლების წიგნი
ტორონი მფოსა პაპია შანშიაშვილისაღმი**

პ ი რ ი : სეა, 1450-9/25; გადაწერილია დედნიდან რუსული მმართველობის პირების დაეთარში.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმა (341), გიორგობისთვის კე, რაც უდრის 1653 წლის 25 ნოემბერს.

[ქ]. ნებთა და შეწვევითა ღ(მრ)თისითა, ჩვენ, მეფეთ-მეფემან, პატრონმა რ ო ს ტ ო მ , ესე სამკვიდროთ და საბოლოდ გასათავებელი წყალობისა ნიგნი შგინწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩუენთა ერდგულთა ყმათა: შ ა ნ შ ი ა ს შ ვ ი ლ ს ყაფიჩისა პ ა პ ი ა ს ა და ძმასა შენსა დ ო ლ მ ა ზ ა - 5 ს ა და შევილსა შენსა ზ ა ლ ი ნ ა ს ა .

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდექით კარსა და თქვენის სამკვიდროს სოფლისა და ნასყიდის სოფლის მთისა და სამო[სახლო]ს წყალობ<ი>{ა}ს გვიაჯენით, ჩუენცა შეგინწყალეთ და გიბოძეთ ბ ო რ ი ს ს ო ფ ლ ი ს ა და ს ო ს ა ნ ი ს დ ა რ ბ ა ზ ი ს სამძღუარი-ძველი ციხე, ლ ე რ მ ი ს ა წ ყ - 10 ა ლ ი , შ ე გ ლ ი ღ ო ც ი (?) , ბ ა რ დ ი ს წ ყ ა ლ ი . რაც ამის შუამთამდი ღორი დადგეს და გასუქდეს, სამთო და მთა, - ასე შენთვის გვიბოძები{ა}, რომ შენ უნდა პირზედ აიღებდე, რაც წესი და სამართალი იყოს.

სხუას კაცს შენთან ჴელი არა აქუს, არც დიდსა და არც ცოტასა, და ვერცავინ შემოგეცილოს, ამ წესითა დაგვიმკვიდრებია.

დაინერ{ა} ბძანება ესე, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტმა, გიორგობისთვის კე. 15 ხელრთვა: რ ო ს ტ ო მ

იხ. კომენტარი საბუთთან: სეა 1450-6/55.

1653 წ. 6 დეკემბერი. წყალობის წიგნი როსტომ
მეფისა ალი ალასაღმი

დ ე დ ა ნ ი : სეა, 1448-1032, მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 22,2X16 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთს აქვს მცირე დაზიანებები და შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. საბუთი ქართულ-სპარსულია. სპარსული ტექსტი, შესრულებული შექასთენასთალიყის ხელით, მოთავსებულია საბუთის verso-ზე.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმა (341), ქრისტეშობის მ, რაც უდრის 1653 წლის 6 დეკემბერს.

გ ა მ ო ც ე მ ა : ფუთურიძე 1955: გვ. 237-238, N103.

ქ. ესე წყალობის წიგნი და ნიშანი შეგიწყალ²ეთ და გიბოძეთ ჩუენ, მეფეთ-მეფემან, ჴელმ³ნიფემან პატრონმან როსტომ, და მომავალთა ჩ⁴უენთა ყოველთავე, თქუენ, ალი - ალასა და შენთა შვილ⁵თა.

ასრე და ამა პირსა ზედან, რომე შაბადინის რ⁶უს დაგუაჯენით, და ამ წესით შეგიწყალეთ და გი⁷ბოძეთ, რომე აშენოთ, რაც წესი და სამართ⁸ალი იყოს, ისრე. საჩუენოდ ღალას მოსცემდეთ და⁹ არ დაგუაკლებდეთ.

დაინერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე¹⁰ ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმა, ქრისტიშობის თუის ვ.

ხელრთვა: ||¹¹ როსტომ

სპარსული ტექსტი:

1653 წ. 6 დეკემბერი – 14 დეკემბერი

[هو]

حكم عالی شد آنکه نهر شهاب الدین که از قدیم الایام از رودخانه کرجا [ر]ی بوده است| بایر و اراضی آن نامزروع و معطل است مقرر فرمودیم که عزت دستگاه عالی آقا| اروج اغلی| نهر مذکور را بطریق قدیم از رودخانه مزبور جاری نموده اراضی آنرا بحلیه زراعت و آبادانی در آورده سال| بسال بهرچه انرا موافق معمول بسرکار و اصل و عاید میگردانیده چیزی قاصر و منکسر ننماید و نوعی نماید| که آثار سعی او در آبادانی و تکثیر زراعت و عنارت نهر مذکور بمنصه مشهود و ظهور رسد| و درینباب قدغن دانسته در عهده شناسند و تخلف نورزند تحریرا ۲۳ شهر| محرم الحرام سنه ۱۰۶۴

[ის (ღმერთი)]

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ შაბადინის არხი, რომელიც ძველი დროიდანვე მდინარე მტკვრიდან მოედინებოდა, დაინგრა და მისი მიწები დაუმუშავებელი და მიტოვებულია. დავადგინეთ, რომ პატივცემული ალი - ალასა ორუჯ - ოღლი, გამოიყვანს რა ხსენებულ

არხს ძველებურად აღნიშნული მდინარიდან, დამუშავებითა და გაშენებით შეამკობს მის მიწებს. წესისამებრ, ყოველ წელს მის ბაზრას მაღალ ხაზინას მისცემს და გადაუხდის. და არაფერს დააკლებს, ისე მოიქცევა, რომ მისი მეცადინეობის შედეგები ხსენებული არხის [მიწების] გაშენებასა და გამრავლებაზე გამოჩნდება. ამის შესახებ [გამოცემული] ბრძანება იცოდნენ, [მისი შესრულება] თავიანთ მოვალეობად აღიარონ და წინააღმდეგობა არ გასწიონ.

დაინერა 1064 წლის 23 მოჰარემ-ალ-ჰარამს.

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია როსტომ მეფის სპარსული ბეჭედი წარწერით: *همت سلطان صفی شاه زمین و زمان داد لئف بنده را رستم خسرو نشان* — „ქვეყნისა და დროის ხელმწიფემ, დიდსულოვანმა შ ა ჰ ს ე ფ ი მ წყალობა მოიღო მის მონაზე და როსტომ - ხოსრო მიწოდა“. ქართული ტექსტის გვერდის ქვემო აშიაზე დასმულია ერთი სპარსული ოვალური სარეგისტრაციო ბეჭედი წარწერით: *یا معین الضعفا* — „ო, უძლურთა შემწევ“.

verso-ზე გვიანდელი მინაწერი: ქ. შ ა ბ ა დ ი ნ ი ს რუს წიგნი, მ ც ხ ე თ ი ს ა .

230

1653 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა აბელ ბარათაშვილისადმი

პ ი რ ი : სეა, 1450-15/21; გადაწერილი დედნიდან რუსული მმართველობის პირების დავთარში. საბუთი წარდგენილია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1817 წლის 12 აპრილს, გატარებულია რეგისტრაციაში 1820 წლის 27 თებერვალს, ნომრით, №20.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმა (341), რაც უდრის 1653 წელს.

საბუთის და მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

[ქ.] ჩუენ, ღ(მრ)თივ-გვირგვინოსანმან, ქ ა რ თ ლ ი ს ა და კ ა ხ ე - თ ი ს ა — ორისავე ტახტისა მპყრობელმა მეფეთ-მეფემან, ჴელმწიფემან პატრონმა როსტომე, და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან მ ა რ ი ა მ , ესე ამიერ უკუნისამდის ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი წყალობისა წიგნი და სიგელი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულსა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა ყმასა, ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ს , ჩუენის სუფრაჯის შვილს ა ბ ე ლ ს , ძმათა თქვენთა, ქ ა ი ხ ო ს რ ო ს და ი ე ს ე ს ა , შვ-ილთა და მამავალთა სახლისა თქვენისა, — ყოველთავე.

10 მას ჟამსა, ოდეს თქუენის მამულის სიგლის გახლებას დაგვიანებით, შეგინყალეთ და, რაც კურთხეულის მამის თქუენის ჟამში მამული გქონდა,

ხელშეუალად, მთით ბარამდისინ, სამკუიდროდ და საბოლოო{ო}დ, სიგლ-
ითა ამით დაგვიმტკიცებია და გვიბოძებია ყოვლის კაცისა უცილებრად.
ბედნიერის ყე{ე}ქნის თავის მზემა, რაც კაცი თქუენს მამულს გამოით-
ხომს, არას კაცს არ მივსცემთ და არც გაგალარიბებთ.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მან) ჩუენსა ერდგულად სამსახ- 5
ურსა შინა და არაოდის არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად
სხუათა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

ანე, გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვაქილ-ვაზირნო და სხუანო მოსაქმენო,
თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შე{ე}ცილებით,
თუნიერ შენვენისა და თანადგომისაგან კიდე. 10

დაინერა ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტმა, ხელითა კარისა
ჩუენისა მდივანმწიგნობრის თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ ვ ე ლ ი ს ი თ ა .

დედანს ესვა ბეჭედი: რ ო ს ტ ო მ

პირის მინაწერები: ასლიდამ თანასწორ არს ჩანერილი, სოვეტნიკი,
თა(ვად)ი თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ო ვ ა ნ ი . 15

ნანდვილი წერილი მივიღე, და ვ ი თ ა ბ ა შ ი ს კ ნ ე ი ნ ა მ ს ა ლ ო მ ე მ .

**1653 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა
რამაზ ზუმბულიძისადმი**

პ ი რ ი : სეა, 1450-31/115; გადაწერილი დედნიდან რუსული მმართვე-
ლობის პირების დავთარში. საბუთი შეტანილია სარეგისტრაციოდ 1817
წლის 12 აპრილს, გატარებულია რეგისტრაციაში: 1823 წლის 14 აპრილს,
ნომრით: №115.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმა (341), რაც უდრის 1653 წელს.

საბუთის და მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

[ქ]. ნებითა და შენვენითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, ღ(მრ)თივ-გვირგვი-
ნოსანმან მეფეთ- მეფემან, ხელმწიფემან პატრონმან რ ო ს ტ ო მ , თანა-
მემცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან მ ა რ ი -
ა მ , ესე ამიერ უკუნისამდის ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და
უცვალებელი წყალობის წიგნი და ნიშანი შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქუენ, 5
ჩუენთა ერთგულთა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა ყმასა,
ჩუენის სასაფლაოს – ს ვ ე ტ ი ს ც ხ ო ვ ლ ი ს – დეკანოზის შუილს რ ა -
მ ა ზ ა ს ა , შვილთა თქვენთა, ა რ და შ ე ლ ს და ი ე ს ე ს , შვილთა და
მამავალთა სახლისა თქუენისა ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდეგით კარსა, ც ი ხ ე დ ი დ ს მ ი ნ ო ბ ლ ი ძ ი ს 10
ცოლ-ყოფილის, მ ა რ ი ა მ ი ს ნაქონს მამულს დაგვიჯენით. [...] [შეგინწყა]
ლეთ და გიბოძეთ ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა, სასახლითა, ბაღ-

ითა, ბალჩა-ჭურითა და მარნითა; ძ ე გ უ ს მისი ვენახი, გლეხი პ ე ტ რ ი ა -
 შ უ ი ლ ი მ გ ე ლ ი ტ ა , მისი განაყოფი ბ ე რ ი კ ა , შ ა ლ ვ ი ა შ უ ი ლ ი
 ზ უ ბ ი ტ ა , ბ ე თ ლ ე მ ა შ უ ი ლ ი თ ე ვ დ ო რ ა , მისი განაყოფი
 ბ ე რ ი კ ა , კ ბ ი ლ ა შ უ ი ლ ი ნ ო ნ ი კ ა , გ ო რ ი ა შ უ ი ლ ი პ ა ტ ა ,
 5 კ ბ ი ლ ა შ უ ი ლ ი მ ა ხ ა რ ა , გ ო დ ო რ ა შ ვ ი ლ ი დ ე მ ე ტ რ ა ,
 გ უ თ ნ ი ჯ ა რ ა შ უ ი ლ ი ნ ო ნ ი კ ა მისის ბიძაშვილებით, – ესეები ყოვ-
 ლის მისის სამართლიანის საქმითა, მითა, ბართა, წყლითა, წისქული-
 თა, ველითა და ვენახითა შენითა და ოხერთა, ყოვლითურ უნაკლულოდ
 გვიბოძებია, ამ წესითა: [მა]ნამდისინ მ ა რ ი ა მ ცოცხალი იყოს, იმასვე
 10 ჰქონდეს, და მასუკან ვერამ ჩუენმა ნათესავმა კაცმან ვერ მოგიშალოს. და
 თუ სხუა, ამ მამულის წიგნი გამოაჩინოს ვინმე, ამ წიგნით გაგვიცუდებ[ია].
 გიბ(ძანე)ბთ კარის ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო,
 თქვენცა ასრე გაუთავეთ და ნუროდეს ნუ მოუშლით და შეცვილებით.
 დაინერა ბძანება და ნიშანი ესე, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტმა, ხელითა კარისა
 15 ჩუენისა მდივან-მწიგნობრის თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ ვ ე ლ ი ს ი თ ა .

დედანს ჰქონია ხელრთვა: რ ო ს ტ ო მ
 პირის მინაწერები: ასლთან სწორ არს, თა(ვადი) რ ა ტ ი ე ვ ი .
 სოვეტნიკი თა(ვადი) გ ა ბ რ ი ე ლ რ ა ტ ი ე ვ ი .
 დ ა ვ ი თ ე ლ ი ო ზ ო ვ ი .

**1653 წ. მამულის წყალობის წიგნი როსტომ
 მეფისა ყულ ქარჩილასადმი**

დ ე დ ა ნ ი : Sd-2, მოყვითალო ფერის ეტრატი, ზომა: 33,7X22,2 სმ. შავი
 ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი
 სიტყვის შემდეგ; საბუთი ალაგ-ალაგ დაზიანებულია, ზოგიერთი გრაფემა
 დაკარგულია, ამოხეული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმა (341), რაც უდრის 1653 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბ ი რ თ ვ ე ლ თ უ მ ა ნ -
 ი შ ვ ი ლ ი .

ქ. ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა, ჩ[უენ], ღ(მრ)თივ გუირ-
 გუინოს|²ანმან, მეფეთ-მეფემან, ჯელმწიფემან, პატრონმან რ ო ს ტ ო მ ,
 და|³ თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმან პატრ|⁴ონ-
 მან მ ა რ ი ა მ , ესე ამიერ უკუნისამდის ჟამთა და ხანთა|⁵ გასათავებე-
 ლი, მტკიცე და უცვალებელი წყალობისა წიგნი და|⁶ ნიშანი შეგიწყალეთ
 და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულს|⁷ა და მრავალფერად ნამსახურსა
 ყმასა, ყულს ყ ა რ ჩ ი ღ ა ს ა , შ|⁸ვილთა თქუენსა ბ ე ჟ ა ნ ს , ლ უ ა რ ს -
 ა ბ ს , კ ა ც ი ა ს ა და ზ ა { ა } ლ ს , მამავალ|⁹თა სახლისა თქუენისათა,
 – ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდექ|¹⁰ით კარსა და ნ ა ჳ ი დ უ რ ს ა მოვარდ-
გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ იმის საფუძველზე, რაც ქვემოთ ქართულადაა დანერილი, ჩვენ დავადგინეთ, რომ ცხვრის პატრონებმა და მეჯვოგეებმა, რომელთა ცხვარიც ზამთრის საძოვრებზე კახეთის ოლქში, საფლავისათვის* შენირულ მამულებში მოძოვს, თითოეულ ფარაზე იათალად გადაუხადონ ერთი სული ცხვარი ქრისტიანობის ბურჯის, კთოლიკოზის რწმუნებულთ და [მისი გადახდა] არ დააბრკოლონ. მაღალი კარის მუსტოუფიმ [ეს ბრძანება] შეიტანოს დავთარში და ყოველ წელს ახალ ბრძანებას ნუ მოითხოვენ. როცა [ეს ბრძანება] მაღლი ბეჭდითა და თულრით აღიჭურვება, დაემორჩილონ მას და [მისი შესრულება] თავის მოვალეობად აღიარონ.

დაინწერა 1066 წლის ... თვეს.

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია როსტომ მეფის სპარსული ბეჭედი. საბუთის verso-ზე მოთავსებულია ორი სპარსული სარეგისტრაციო ბეჭედი: 1. ოვალური, წარწერით: يا معين الضعفا – „ო, უძლურთა შემწევ“; 2. ელიფსური, წარწერით: يا صاحب العصر والزمان – „ო, საუკუნისა და დროის მფლობელო“. მის ქვემოთ – მინანერი: قلمی شد – „დაინწერა.“ იმავე გვერდის ზედა კუთხეში არის მინანერი: [قلمی شد] : هو بخط مسلمان حکم – ის (ღმერთი). ბრძანება მუსლიმური დამწერლობით [დაინწერა].“

გვიანდელი მინანერი: კახურის საბალახოს სიგელი არის.

*იგულისხმება სვეტიცხოველი, ქართველ მეფეთა საძვალე.

1656 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ჰიაზრთ
მოურავ შანშუსადმი

დედანი: ხეც, Hd-14672; მოყვითალო თხელი ქაღალდი; 37,7X19,5 სმ.; მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: დალაქავებული.

პირი: ხეც, Sd-2841.

დამწერი: მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

თარიღი: ქორონიკონი ტმდ (344), რაც უდრის 1656 წელს.

ქ. ნებითა და შენევნითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, ლ(მრ)თივ გუირ-
|²გუინოსანმან და ორისავე ტახტისა და საწელმნიფოს მ|³პყრობელმან,
მეფეთ-მეფემან, წელმნიფემან, პატრო|⁴ნმან როსტომ, და თანამეცხ-
ედრემან ჩუენმან, დ|⁵ედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან მარია მ,
ესე ამი|⁶ერ უკუნისამდის ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკი|⁷ცე და
უცვალელებელი წყალობისა წიგნი და ნიშანი |⁸ შეგინყალეთ და გიბოძეთ
თქუენ, ჩუენთა ერდგულთა |⁹ და ნამსახურთა ყმათა: ქ ი ა უ რ თ მოურავს
შ ა ნ შ ე ს , |¹⁰ შვილთა თქუენსა პ ა პ უ ა ს , რო შ ა ქ ს და ა ნ დ ე რ -
მ ა ნ ს .

მას |¹¹ ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და მამულის წყალობას |¹² და-
გუეაჯენით, შეგინყალეთ და გიბოძეთ: პ ა პ უ [ა] ს უ ზ ა ნ ი ს შ [ვ ი]
ლ [ი] ს * ნ |¹³ აქონი მამული – ორი კუამლი გლეხით ი ა ნ ე თ ს ; ქ ო რ დ ს
— |¹⁴ ნ ე მ ს ა შ ვ ი ლ ი , მ ა ხ { ა } უ რ ი და ჩ უ რ უ ხ უ ლ ი , ქ ო ი ლ -
ა შ ვ ი ლ ი პ ა პ |¹⁵ უ ნ ა და ს ო ზ ი კ ა . ესე { ე } ბი, მათის სამართლიანის
საქმითა: მთ |¹⁶ ითა, ბარითა, წყალითა, წისქვილითა, ველითა და ვენა |¹⁷ წი-
თა, შენითა და ოჯერთა და ყოვლის მათის სამართლ |¹⁸ იანის სამძღურითა,
თქუენთვის და შვილთა თქვენთათუი |¹⁹ ს გუიბოძებია. არაოდეს ჩუენგან
და არა სხვათა წელმნიფეთა |²⁰ გან არ მოგეშალოს.

ანე, გიბ(რძანებ)თ კარისა ჩუენისა ვექ |²¹ ილ-ვეზირნო და სხვანო მო-
საქმენო, ვინცა-ვინ იყუნეთ და ან |²² უ დღეის წაღმა იქნებოდეთ, თქუენცა
ასრე გაუთავეთ და |²³ ნუროდეს ნუ მოუშლით და შე { ე } ცილებით, თუინი-
ერ შე |²⁴ წევისა და თანადგომისაგან კიდე.

დაინერა ბძანება და ნიშ |²⁵ ანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმდ, წელითა
კარისა ჩუენისა მდი |²⁶ ვან-მწიგნობრის თ უ ი მ ა ნ ი შ ვ ი < ი > ლ ი ს
ბ ი რ თ ვ ე ლ ი ს ი თ ა .

ხელრთვა: როსტომ

გვიანდელი მინაწერები: ზ ა ა ლ ი ს შ ვ ი ლ ი ს მამულისა.
1656.

* ბოლო ორი სიტყვა დაწერილია მწიგნობრისავე ხელით, გადაშლილი სიტყვის,
„თემურყაზანის“ ნაცვლად.

**1656 წ. წყალობის წიგნი მეფე როსტომისა ზურაბ
თჳმანიშვილისადმი**

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Hd-14480; თეთრი სქელი ქაღალდი; 21,7X17,7 სმ.; მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანებულია განაკვეც ადგილებში. ამოგლეჯილი ადგილები შეესებულება სარესტავრაციო ქაღალდით. საბუთი ორენოვანია –ქართულ-სპარსული. ხუთსტრიქონიანი სპარსული ტექსტი, შექასთენასთალიყის ხელით შესრულებული, მიწერილია recto-ზე, ქართული ტექსტის თავში, გვერდულად.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმდ (344), რაც გვაძლევს 1656 წელს.

გ ა მ ო ც ე მ ა : ფუთურიძე 1955: გვ. 259, №112.

ქ. უზედ{ა}ესთა მოგახსენებთ და უქუედ{ა}ესთა გიბ(რძანე)ბთ, ვინ გინდა-ვინ |² ბ {რ} ძანებისა ჩუენისა მორჩილნი იყუნეთ, მერმე, წელს ჩუ|³ ე-ნის ე ლ ი ს პირისთავის მკრეფლობა თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი |⁴ ს ზ უ რ ა - ბ ი ს ა თ ვ ი ს გვიბოძებია.

ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმდ.

ხელრთვა: რ ო ს ტ ო მ

სპარსული ტექსტი:

1656 წ. 20 ოქტომბერი – 18 ნოემბერი

هو

حکم عالی شد آنکه بموجبی که در ذیل بخط گرجی نوشته شده در معامل تخاقوی نیل| وجوه آبخوار و
علفخوار گوسفندان اویماقات متعلقه| سر کاره عالی را بتحصیل سهراب تومان اغلی مقرر فرمودیم| که
از قرار معمول عمانموده محاسبه مقرر... دارد مستوفی سر کار عالی| در دفاتر ثبت نموده در عهده داند
تحریرا فی شهر محرم الحرام سنه ۱۰۶۷

ის (ღმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ იმის საფუძველზე, რაც ქვემოთ ქართულადაა დაწერილი, ჩვენ ქათმის წლის ოპერაციების [განმავლობაში] ზ უ რ ა ბ თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ს მაღალი ხაზინის კუთვნილი ელებიდან [საქონლის] დარწყულებისა და საბალახოს ფულის აკრეფა დავემტკიცეთ, რათა მან (ზ უ რ ა ბ თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ მ ა) იმოქმედოს და როგორც მიღებულია ... ანგარიშები აწარმოოს. მაღალი კარის მუსტოფიმ [ეს ბრძანება] დავთრებში შეიტანოს და [მისი შესრულება] თავის მოვალეობად ცნოს. დაინერა 1067 წელს, კურთხეული მოჰარამის თვეში.

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია როსტომ მეფის სპარსული ბეჭედი. საბუთის verso-ზე მოთავსებულია სამი სპარსული სარეგისტრაციო

ბეჭედი: 1. ოვალური, წარწერით: يا معين الضعفا – „ო, უძლურთა შემწევ“; 2. ოთხკუთხა, წარწერით: „بنده شاه ولايت گرگين“ – „სინმინდის ხელმწიფის მონა გიორგი“; 3. ელიფსური, წარწერით: العصر و الزمان – „ო, საუკუნისა და დროის მფლობელო!“ მის ქვემოთ მინაწერი: قلمى شد – „დაინერა.“ გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში მინაწერი: [قلمى شد] – هو بخط مسلمان حکم – „ის (ღმერთი). ბრძანება მუსლიმური დამწერლობით [დაინერა].“

266

1656 წ. ბათარხნების წიგნი მეფე ორბელიანისა ორთომანელი ბლახნისაღი

დედანი: ხეც, Hd-14432; თეთრი სქელი ქაღალდი; 41,8X16,2 სმ.; მხედრული; შავი ფერის მეღანი; განკვეთილობის ნიშანი: სამი წერტილი ან ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

დამწერი: მდივან-მწიგნობარი შალვა მარტიროზიშვილი.

თარიღი: ქორონიკონი ტმდ (344), რაც უდრის 1656 წელს.

ქ. უზედაესთა მოგახსენებთ და უქუედაესთ¹²ა გიბ(რძანე)ბთ, ვინ გინდა-ვინ კარისა ჩუენიდალმა წარ¹³ვლ}ენილნი მოსაქმენი: ან თემის მწერალნი⁴ი, ან მებალახენი, ან მეკოდისპურენი, ან მეს⁵აურენი, ან ნახირის თავის მკრეფელნი, ანუ პ⁶ირისთავის ამღები, და ანუ სამასპინძლოსა და ⁷მუშის მოსაქმე დ მ ა ნ ი ს ი ს ჯ ე ვ ს მიხუიდეთ, მე⁸რმე, ბატონსთ ა მ ა რ ს თავისის ძმის ნაყმევი გ⁹ლეხები და ჯ ა ვ ა ხ ი - მ ე ს ხ ი კაცები მოუყუა¹⁰ნიათ და დ მ ა ნ ი ს ი ს ჯ ე ვ ი ს თავში, ნაოწარს აღ¹¹აგს სათავისთაოდ ო რ ო ზ მ ა ნ ს დაუსახლებია.

¹² ჩუენ მისი წყალობა [ვ]უყავით და იქ, ო რ ო ზ მ ა | ¹³ ს ს , მსახლობელი გლეხები ასრე გუითარხნებია, ¹⁴ რომე არაფერი საჯელმწიფო და საჩუენო სა¹⁵თხოვარი არა ეთხოებოდეს-რა: არა კოდისპუ¹⁶რი, არა საბალახე, არა საური, არა ნახირის თავი, ა¹⁷რა პ{ი}რისთავი, არა მუშაობა, არა სამასპინძ¹⁸ლო და არა სხუა სათხოვარი და გამოსაღებ¹⁹ი არა ეთხოებოდეს-რა, ყოვლისფერის გამოსა²⁰ღებისაგან გაგუითარხნებია.

ანე, გიბძანებთ კა²¹რისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსა²²ქმენო, ვინ გინდა-ვინ იყოთ, და ანუ ვინ გინდა-ვინ დღეს ²³უკან იქნებოდეთ, ბ²⁴რძანე}ბა და სიგელი ესე ჩუენ²⁴ი თქუენცა ასრე გაუთავეთ და დაუმტკიც²⁵ეთ, რა²⁵რიგადაც ამა ჩუენგან ნაბოძებსა სიგელში ენ²⁶ქე}როს. ²⁶ ნურას მოუშლით და შე²⁷ქე}ცილებით, თვინიერ თ²⁷ანადგომისა და შეწვევისაგან კიდე.

ვინცა და ²⁸რამანცა²⁸ კაცმა²⁸ნ, დიდმა და ანუ მცირემა²⁹ნ, ე²⁹სე ჩუენგან ნაბოძები სითარხნე მოუშალ³⁰ოს, მასმცა რისხავს ყოვლის მპყრობელი ³¹ღმ(ერ)თი — მამა, ძე და სული წმინდა და ყოველნი წმიდა³²ნი ღმ(რ)თისანი, ზეცისა და ქუეყ³³ანისანი, ჯორციელ³³ნი და უჯორციონი.

დაინერა ბ{რ}ძანება და სიგელ³⁴ი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმდ, ჴელი-
თა კარისა ჩუენისა მდი³⁵ვან-მწიგნობრისა მ ა რ ტ ი რ ო ზ ი შ ვ ი ლ ი ს
შ ა |³⁶ლ ვ ა ს ი თ ა .

ხელრთვები: რ ო ს ტ ო მ , მ ა რ ი ა მ

გვიანდელი მინანერი: ქ. ო რ ო ზ მ ნ ი ს სითარხნის წიგნი, 1656.

კომენტარი:

საბუთი ასახავს ქართლის სამეფო კარის დამოკიდებულებას ოსმალთა მიერ მიტაცებული სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის მიმართ. როს-ტომი ხელს უწყობდა ლტოლვილი გლეხების ქართლის რეგიონში დასახლებას და კარგა ხნით ათავისუფლებდა მათ ყოველგვარი გადასახადებისგან. ცხადია, გათარხნების პირობა სამცხე-საათაბაგოს სხვა გლეხებისთვის მოტავიცია იქნებოდა ქართლში გადასახლეულად (შდრ. სეა, 1450-34/231).

1657 წ. 5 იანვარი. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ნარიმანისშვილებისადმი

დ ე დ ა ნ ი : დაცულია მატენადარანში 252, №3 II

მოყვითალო ფერის ქაღალდი, შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთი მცირედ დაზიანებულია, კიდეები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. 1817 წლის 12 აპრილს საბუთი წარუდგენიათ სარეგისტრაციოდ რუსულ მმართველობაში, გაუტარებიათ რეგისტრაციაში 1821 წლის 21 სექტემბერს.

პ ი რ ი : სეა, 1450-21/40

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმმ (345), იანვრის 5, რაც უდრის 1657 წლის 5 იანვარს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი შაველ ყორღანაშვილი.

ქ. ნებითა და შენ{ე}ვნითა ღ(მრ)თისითა, ჩუენ, მეფეთ-მეფემა, ქ ა -
რ თ ლ ი ს ა და კ ა ხ |²ე თ ი ს , – ორისავე საჯელმწიფოს მპყრო-
ბელ-მქონებელმა ჴელ|მწიფემა პატრ|³ონმა რ ო ს ტ ო მ , და თანამეცხ-
ედრემა ჩუენმა, დედოფალთ-დედოფ|⁴ალმა, პატრონმა მ ა რ ი ა მ , და
ძეთა ჩუენთა, პატრონმა ვ ა ხ ტ ა ნ გ , ეს|⁵ე ამიერ ჟამთა და ხანთა სამ-
კუიძროთ და საბოლოოთ გასათავებელი წ|⁶ყალობისა წიგნი და ნიშანი
შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუ|⁷ენთა ერდგულთა და ნამსახურთა
ყმათა ნ ა რ ი მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ს ყაფიჩს ხ ო |⁸ს ი ა ს ა , ძმასა შენსა ბ ე -
ჟ ა ნ ს , ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს და მ ი რ { ი } მ ა ნ ს და შვილთა და მო|⁹მავალ-
თა სახლისა თქუენისათა, – ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგუი|¹⁰დექით კარსა და ნ ა ხ ი დ უ რ ს თქუენს

დასახლებულს მკუიდრისა და ნასყიდის გ¹¹ლებებისა და გაღმა-გამოღმა მიწა-წყლის, რაც ნ ა ხ ი დ უ რ ს აქუს, მისის¹² მეოთხედის წიგნს გუიაჯენით, ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუე¹³ნი, და შეგინყალეთ და გიბოძეთ, ასრე რომე, უნინ ჩუენი სალარო¹⁴ს მუშრიბი ფ ი რ ა - ლ ი გამოვგზავნეთ, ნ ა ხ ი დ უ რ ი ს მიწა-წყალი ოთხათ გაეყო¹⁵ და მეოთხედი მიწა-წყალი საწყლისპირო და დ ა უ თ ა ნ თ ვენახის გუერდის მი¹⁶წა შენთვის დაენებებინა, და მისი წიგნიც, ჩუენგან ნაბოძები, ჳელთ გეჭი¹⁷რა.

მაგრამე, ნ ა ხ ი დ უ რ ს ჩუენი სახასო გლეხი და მამული ჩუენათ სად¹⁸ლეგრძელოთ ე ჩ მ ი ა ნ ი ნ ს შევსწირეთ, ასრე რომე, რაც ე ჩ მ ი - წ ი ა ნ ი ს ა თ ვ ი ს |¹⁹ შეგუინირავს, იმასთან თქუენ ჳელი ნუ გაქუთ, და რაც თქუენ გაქ²⁰უს, იმასთან იმათ ჳელი ნუ აქუს.

გქონდეს და გიბედნიაროს²¹ ლ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან და არაოდე²²ს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა სხვათა მეფეთ²³ და მეპატრონეთაგან.

დაინერა ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმე, იან²⁴ვარს ე , ჳელითა კარისა ჩუენისა მდივანმწიგნობრის ყ ო რ ლ ²⁵ა ნ ა შ უ ი ლ ი ს შ ა ვ ე ლ ი ს ა თ ა .

ხელრთვა: რ ო ს ტ ო მ

უზის სპარსული ბეჭედი.

გვიანდელი მინანერი: ქ. ნ ა ხ ი დ უ რ ი ს მიწა-წყლის მეოთხედის სიგელია რ ო ს ტ ო მ მეფისა.

რუსული სარეგისტრაციო მინანერი: სოვეტნიკი თა(ვადი) გ ა ბ რ ი ე ლ რ ა ტ ი ე ვ ი .

სომხური სარეგისტრაციო ნომერი: 1665

268

**1657 წ. 15 იანვარი. ყყალოვის წიბნი, მიცემული
აჩმიაწინისათვის**

პ ი რ ი : მატენადარანი 252, №4 I

საბუთის ტექსტი გადაწერილია ცისფერი ფურცლის ორ გვერდზე. კიდევ ორი გვერდი ცარიელია. მელანი შავი. თავში ფანქრით მიწერილია საადრიცვო ნომრები: №252. 504-I.

თ ა რ ი დ ი : ქორნიკონი ტმმ (345), იანვრის იმ, რაც უდრის 1657 წლის 15 იანვარს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : სალაროს მწიგნობარი ფირალი.

ქ. იმა წმიდა ადგილისა და ტახტისა უფალი, ბატონი [...] და მათნი კრებულნი ერთობლივ [გვეჯნეს] წმიდათ სამღთოს მონასტრის შესანიწავად. ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება მათი და შემოგწირეთ თქვენ, წმი-

დასა საპატრიარქოს კათოლიკე მონასტერსა ე მ ი ა ნ ი ნ ს , დიდის ხნის აოხრებული და ახლა ჩვენგან აშენებული სოფელი ნ ა ხ ი დ უ რ ი , ჩვენი სახასო გაღმა-გამოღმა, მ ი რ ი მ ა ნ ა ა ნ თ ხ ო ს ი ა ს და ყ ა რ ჩ ი - ღ ა ს რომ წიგნებში უწერია, იმაებს გარდაისათ. შემოგვინირავს ჩვენად სადღეგრძელოდ, მეფობისა ჩვენისა წასამართებლად და სულისა ჩვენისა მეოხად. მცველ და მფარველ ექმენ მას მეორედ მოსულასა და განკითხვასა და შეგვინდევ ცოდვანი ჩვენნი.

5

შემოგვინირავს გ ლ ა ხ ი ა მ ა მ ა ს ა ხ ლ ი ს ი კუამლი ერთი, ხ უ ც ე ს ი ტ ე რ - კ ო ს ტ ა ნ ტ ა კუამლი ერთი, ოქრომჭედელი ვ ა რ - თ ა ნ ა ნ ა კუამლი ერთი, ს ა რ უ ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი გ რ ი გ ო ლ ა კუამლი ერთი, და უ თ ა შ ვ ი ლ ი ს ა რ ქ ი ს ა კუამლი ერთი, ს ა ქ უ ა კუამლი ერთი, მ ა კ ა რ ი ხ უ ც ე ს ი კუამლი ერთი, მჭედელი ე ვ ა ნ ე ზ ა კუამლი ერთი, ლ ა ჩ ი ნ ა კუამლი ერთი, ე შ ა კ ა შ ვ ი ლ ი მ ი რ ა ნ შ ა კუამლი ერთი, ე შ ა კ ა შ ვ ი ლ ი ყ ა ზ ა რ ა კუამლი ერთი, ა მ ი რ ხ ა ნ ა კუამლი ერთი, უ ლ უ ქ ა შ ვ ი ლ ი ხ ე ჩ ი კ ა კუამლი ერთი, ხ ა ნ ვ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ს უ თ ი ა კუამლი ერთი, კ ი კ ო ს ა შ ვ ი ლ ი ვ ა რ თ ა ნ ა კუამლი ერთი, შ უ ლ ა ვ რ ე ლ ი მ ი რ ა ნ შ ა კუამლი ერთი, ყ ა რ ა ხ ა ნ ა კუამლი ერთი, ა შ ი ყ ი ყ ა რ ა გ ო ზ ა კუამლი ერთი, და ვ ი თ ა კუამლი ერთი. – ესეები მათისა მამულითა, წყლითა, წისქულითა, საწყლისპირეთა, საფიჩხულითა, ხოდაბუნებითა, ველითა, ვენახითა, რუებითა, მითითა და ბართითა, 20
ჭალითა და მისათა მზღურითა, უკლებრივ შემოგუინირავს: სარწყავითა და ურწყავითა, საწნავითა და უხნავითა, ყოველის მისის სამართლიანის საქმითა და სამძღუართითა. რაც დღეის უკან, ან გლეხი დაასახლოთ, და ან რუ გამოიღოთ, და ან წყალს მოუმატოთ, იმაებს არავინ არ შემოგაცილოთ, ისიც თქუენი იყოს, თქუენ მოიხმარეთ და საყდარს ამსახურეთ. კიდევც 25
ასრე გვითარხნებია, რომე არაფერისთანა საჩუენო სათხოვარი და გამო-სადები არა ეთხოვებოდეს-რა: არა კოდის პური, არა საბალახე, არა ნაწრის თავი და პირისთავი, არა საბაზიერო და საჯინებო, არა ულაყი და სეფეობა, ერთის სათათროს საურის მეტი.

ანე, ვინცა ნათესავმან ჩუენმან, მეფემან ანუ დედოფალმან, გინა ბერ-მა და მღურდელმან, გინა თავადმან და ანუ აზნაურიმვილმა, გინა რჯული-სა გარდამავალმან, ს ა რ კ ი ნ ო ზ თ ა გ ა ნ მ ა ნ , დიდმა და მცირემა, მო-საქმემა ჯელყოს შლად, ქცევად და გამოწირვად ამა ჩუენგან შემოწირულის სოფლისა, მისთვის, რომე, არა ჩვენის ყმისაგან არ წაგვირთმეყია, დიდის ხნის აოჯრებული ჩუენგან აშენებული შეგვინირავს.

35

ვინც მოინებოს ქცევად, თავად რისხავს ღ(მერ)თი დაუსაბამო, დაუს-რულებელი ცათა და ქვეყანისა, მისნი წმიდანი ყოველნი ზეცისა და ქვეყ-ანისანი, ხილულნი და უხილავნი, ნუმცა იხსენების სული მისი ცეცხლის-აგან გენიისა, ბნელისაგან გარესკნელისა}, მატლისა უძილისაგან და ყრეჭისაგან კბილისაგან, წამლიანისა. (?) და [ნ]ურათამცა სინანულითა 40
ნუ იქნების წსნა სულისა მისისა. ხოლო დამამტკიცებელნი ღ(მერ)თ(მა)ნ დაამტკიცნეს.

დაინერა შესანიშნავი მტკიცე შეუშლელი და შეუცვალბელი გუჯარი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტმე, იანვრის იე, მეფობისა ჩუენისა მეოცდახუთესა, ჴელითა კარისა ჩუენისა სალაროს მნიგნ{ო}ბრის ფ ი რ ა ლ ი ს ა თ ა .

მინანერები:

იაკობ (ქართულად).

სომხურენოვანი (გაურკვეველია).

269

1657 წ. 1 მარტი. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა მანუჩარ თუმანიშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Qd-8966; მოყვითალო სქელი ქაღალდი; ზომა: 44,9X20,8 სმ.; მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთის ჴედა ნაწილი გაცრეცილია და ამოხეულია რამდენიმე ადგილას. დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით, გამაგრებულია ასევე საბუთის კიდებები. საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. ათსტრიქონიანი სპარსული ტექსტი, შესრულებული შექასთე-ნასთალიყის ხელით, მიწერილია საბუთის recto-ზე, ქართული ტექსტის თავში, გვერდულად.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმმ (345), მარტის ა,რაც ნიშნავს 1687 წლის 1 მარტს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა : დუნდუა: 1980: გვ.131-132, №5; დუნდუა: 1984: გვ.27-28, №11.

ქ. ნებითა და შენეენითა ლ(მრ)თისათა. ჩუენ, ლ(მრ)თივ-გუირ-გუინოსანმან, |² მეფეთ-მეფემან და ორისავე ტახტისა და საბატონოს მპყრობე|³ლ-მქონებელმან, ჴელმწიფემან პატრონმან როსტომ, და თა|⁴ნამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმან პატრო|⁵ნმან მ ა რ ი ა მ , პირმშომან და სასურველმან ძემან ჩუენმან, პა|⁶ტრონმან ვ ა ხ ტ ა ნ გ , ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი შე|⁷გინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა და წესის|⁸ებრივ მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა ყმასა თ უ მ ა |⁹ნ ი შ უ ი ლ ს , მუჰრდარს მ ა ნ უ ჩ ა რ ს , ძმასა შენსა ჯ ი მ შ ი ტ { ა } ს , შ|¹⁰უილთა თქუენტა: ზ უ რ ა ბ ს , ს უ ლ ხ - ა ნ ს , ქ ი შ ვ ა რ ს , ყ ა ლ ა ნ დ ა რ ს და მო|¹¹მავალთა სახლისა თქუენისათა, – ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს |¹² მოგუიდექით კარსა და მამულის წყალობას გუეა-ჯენით, |¹³ ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგინყალეთ |¹⁴ და გიბოძეთ სოფელი ტ ი ნ ი ს ჴ ი დ ი , რისაც მქონებელი ჰ ა მ ზ ა ბ ე |¹⁵გ ყოფილიყოს, ყოვლითურ: მთითა, ბართა, წყლითა და წისქულ|¹⁶ითა, ველ-

ითა და ვენაჯითა, შენითა და ოჯერიითა, საძებრითა და |¹⁷ უძებრითა, საჯმ-
რითა და უჯმრითა, შესავლითა და გასავლითა, |¹⁸ ყოვლითურ თქუენთუის
და თქუენთა შუილთათუის გუიბო |¹⁹ ძებია, სამკუდროდ და საბოლოო {ო}დ.

გქონდეს და გიბედნიერო |²⁰ ს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულად სამსახ-
ურსა შინა და არაოდე |²¹ ს არ მოგეშალოს, არა ჩუენგან და არა შემდგომად
სხუა |²² თა და მეპატრონეთაგან.

ანე, გიბ(რძანე)ბთ, კარისა ჩუენისა ვექილ- |²³ ვეზირნო და სხუანო მო-
საქმენო, ვინცა-ვინ იყუნეთ და ა |²⁴ ნუ დღეის ნალმა იქნებოდეთ, თქუენცა
ასრე გაუთავეთ, |²⁵ და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შექეცვილებით, თუი-
|²⁶ ნიერ შენვენისა და თანადგომისაგან კიდე.

დაინერა ბ(რძანე)ბა და |²⁷ ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმე, მარტის
ა, ჴელითა კარისა ჩუენისა |²⁸ მდივან-მნიგნობრის თ უ მ ა ნ ი შ უ ი ლ ი ს
ბ ი რ თ უ ე ლ ი ს ი თ ა , ამინ |²⁹.

ხელრთვები: რ ო ს ტ ო მ , მ ა რ ი ა მ

უზის ვახტანგ ბატონიშვილის ოთხკუთხა ბეჭედი: ვ ა ხ ტ ა ნ გ .

სპარსული ტექსტი:

1657 წ. 17. III – 15. IV.

حكم عالی شد انكه بنابر شفقت و عنایت علی | در باره رفعت پناه منوچهر بیگ دواتدار سر کار عالی
بموجبی که در ذیل | بخط گرجی نوشته شده از ابتداء سنه تخافو نیل رعایاء رسد تیول | مرحوم حمزه
بیگ سفرچی باشی سابق را که در قریه دنیسخیت داشت | تماما بتیول مشارالیه و جمشید و سهراب
سرخان و کیشور و قلندار و برادر زاده گان او مقرر و مفوض فرمودیم رعایاء مزبور مومی الهیم را
| تیولدار باستقلال خود دانسته حقوق دیوانی را موافق معمول بایشان جواب گوینده | و قضایا سانحه را
سوی قضیه خون بایشان رفع نمایند که موافق حق و حساب پرسش نموده | بفیصل رسانند مستوفی سرکار
عالی حسب المسطور در دفتر ثبت و عملنموده هر ساله حکم مجدد نطلبند و چون | بمهر علی رسد اعتبار
عتماد نمایند تحریرا فی شهر جمادی الثانی سنه ۱۰۶۷

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ მაღალი კარის დავათდარის,
დიდებულების საფარველის, მ ა ნ უ ჩ ა რ - ბ ე გ ი ს მიმართ მაღალი მოწყ-
ალებისა და ყურადღების გამო, ქვემოთ ქართულად დანერილის საფუძ-
ველზე, ქათმის წლის დასაწყისიდან, ამის წინაზე წინანდელი სუფრაჩი-ბა-
შის, განსვენებული ჰ ა მ შ ა - ბ ე გ ი ს თიული წილი გლეხები, რომლებიც 5
სოფელ ტ ი ნ ი ს ხ ი დ შ ი ჰყავდა (მას) მთლიანად მოხსენებულის (მ ა -
ნ უ ჩ ა რ ი ს) და ჯ ე მ შ ი დ ი ს , ზ უ რ ა ბ ი ს , ს უ ლ ხ ა ნ ი ს , ქ ი შ -
ვ ა რ ი ს , ყ ა ლ ა ნ დ ა რ ი ს და მისი ძმისშვილებისათვის დაგვიდგენია
და ჩავგიბარებია. ზემოთხსენებულმა გლეხებმა მოხსენებულები თავის
სრულუფლებიან თიულდარად აღიარონ. წესის თანახმად, დივანის კანონ-
ით* გასცენ პასუხი. (სასამართლოს საქმეები) გარდა სისხლის საქმეები-
სა, მათ უნდა მიანდონ, რათა ჭეშმარიტების და გონიერების შესაბამისად

*დივანის კანონით] ჰოყუყე დივანი – ნ. დუნდუა.

გამოიძიონ და გადაწყვიტონ [ისინი]. მაღალი კარის მუსტოფიმ, თანახმად დანერილისა, [ეს ბრძანება] დავთარში აღრიცხოს და იმოქმედოს [შესაბამისად]. ყოველ წელიწადს ბრძანების განახლებას ნუ მოითხოვს და, როცა [ეს ბრძანება] მაღალი ბეჭდით აღიჭურვება, ენდონ და ერწმუნონ [მას].

5 დაინერა 1067 წ. ჯომადი აღ-სანის თვეში.

მინანერი: ქ. ტ ი ნ { ი } ს ხ ი დ ი ს ნ ყ { ა } ლობის წიგნია.

კომენტარი იხ. საბუთთან: ხეც, Ad-972-თან.

270

1657 წ. 13 მაისი. წყალბრძანების წიგნი როსტომ მეფისა ელიზბარ სოლაღაშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Hd-1350-ა; კარგად შენახული თეთრი ეტრატი, ორი კევი, ზომა: 119X26 სმ. მხედრული, მელანი – შავი. განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. საბუთი ქართულ-სპარსულია. შვიდსტრიქონიანი სპარსული ტექსტი, შესრულებული შექასთე-ნასთალიყის ხელით, მოთავსებულია recto-ზე, ქართული საბუთის თავში. სპარსული ტექსტის თავში სიტყვები: „هو المالک“, შესავალი ფორმულა და სიტყვები: حکم علی شد . სიტყვა علی ოქროს ვარაყითაა შემკული, საბუთის ოთხკუთხა თოდრაში ღურჯი მელნითაა დაწერილი სიტყვა „سلطان“, ხოლო „رستم خان“ – „როსტომ-ხანი“ ოქროსფერი მელნით. სიტყვა „میرزا“ – მირზა – თოდრაში სინგურით წერია. თოდრას ზედა მხარეს წარმოადგენს ოქროს ვარაყით გამოყვანილი თურქული სიტყვა: „سوزا“, რომლის ბოლო გრაფემა – მ (მიმ) მარცხენა მხარესაა ჩამოსული.

თ ა რ ი დ ი : საბუთს უზის თარიღი: ქორონიკონი ტმე (345), მაისის ივ (13), რაც უდრის 1657 წლის 13 მაისს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : სამეფო კარის მდივან-მწიგნობარი: ბირთველ თუმანიშვილი.

გამოცემა: ფუთურიძე, 1955: გვ. 273-275, N 118.

ქ. ნებითა და შენევნითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, ლ(მრ)თივ-აღმართებულ-მან და |² ლ(მრ)თივ-დამყარებულმან, ლ(მრ)თივ-გვირგვინოსანმან, ორის-ავე ტახტისა და საბ³ატონოს მპყრობელ-მქონებელმან მეფეთ-მეფემან, ჯელმნიფემან პატ⁴რონმან როსტომ, და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმა⁵ნ პატრონმან მარია მ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩუენმან პატრო⁶ნმან ვახტანგ, ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე⁷ და უცვალებელი წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძ⁸ეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა და წესისებრივ მრავალფერად, თავდა⁹დებით ნამსახურთა ყმათა, ჩუენ-თან აღზრდილ-შეზდილთა და ჩუენის |¹⁰ მორჭმა-გა[წ]დიდებისათუის დი-

დად მომჭირნესა და ძალის მიმცემთა სოლა¹¹ლ ა შ უ ი ლ ს ოხიაყორჩს ე ლ ი ზ ბ ა რ ს , შუილთა თქუენტა ბოქაულთუხუ¹²ცეს[ს] ზ უ რ ა ბ ს , შუილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა, – ყოველთავე.

[მას] ჟა¹³მსა, ოდეს ჩუენის ნებაამყოფლობითა და შემოკითხულობითა ბედნიერს ყე[ენ]¹⁴თან ნახუედით, და თქუენის სამკუიდროს მამულების ოქმი იმათაც ებო¹⁵ძებინათ, მოგუიდეგით კარსა და თქუენის სამკუიდროს მამულების წყალო¹⁶ბას დაგუაჯენით. ჩუენცა ვიგულეთ და ვიგულს- მოდგინეთ, ვისმინეთ აჯ¹⁷ა და მოხსენება თქუენი, შეგინყალებთ და გიბოდ- ეთ თქუენი სამკუიდრო და¹⁸ ამოვარდნილის, თქუენისავ სახლის საკერ- ძო სოფელი კ უ მ ი ს ი , რაც¹⁹ დღეს ჩუენს გამდელს არ ეჭიროს, იმას გარდაის- სულობით, ამ წესითა,²⁰ რომე თქუენს ნათესავს იქ ჳელი არა ჰქონდეს; აგრევე – სოფელი ღ უ ე თ უ ბ ა | ²¹ნ ი და ა ს უ რ ე თ ი . ესეები ყოვლითურთ უნაკლულოდ, მთითა, ბარითა, წყლითა და²²წისქუილითა, ველითა და ვენაწითა, შენითა და ოწერითა, საწმრითა და უწმრ²³ითა, ტყ- ითა და სანადიროთა, შესავლითა და გასავლითა, საძებრითა და უძებრ²⁴- ითა, ყოვლითურ[თ] თქუენთუის და თქუენტა შუილთათვის გვიბოდებია სამკუიდროდ |²⁵ და საბოლო[ო]დ, ყოვლის კაცისაგან უცილებზად.

გქონდეს და გიბედნიე²⁶როს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულად სამსახ- ურსა შინა და არაოდეს არ მოგე²⁷შალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად სხუათა მეფეთა და მეპატრონე²⁸თაგან.

ანე, გიბ(ძანე)ბთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მო- საქმ²⁹ენო, ვინცა-ვინ იყუნეთ და ანუ დღეის ნაღმა იქნებოდეთ, თქუენცა ასრე³⁰ დაუმკუიდრეთ, რარიგადაც ამა ჩუენგან ნაწყალობევსა სიგელსა შინა ენერო³¹ს, და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შე[ე]ცილებით, თუინიერ შეწევნისა და³² თანადგომისაგან კიდე.

დაინერა ბ[რ]ძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმე, მაის³³[ი]ს იგ, ჳელითა კარის ჩუენისა მდივან-მნიგნობრის თ უ მ ა ნ ი |³⁴შ უ ი ლ ი ს ბ ი რ თ უ ე ლ ი ს ი თ ა .

ხელრთვები: როსტომ , მარია მ

გუმბათიანი ბეჭედი ლეგენდით: 𐌆𐌗𐌊 (ალლაჰ) ყაენის ფეჭთა მტუერი, როსტომ მეფე ვამტკიცებ.

გვიანდელი დამტკიცება:

რვაკუთხა ბეჭედი, გარშემო და შუაში მხედრული ლეგენდით: ქ. ღ(მრ- თისა)ითა, შ ა ჰ ა ბ ა ზ ი ს ფხთა მტვერი, ძე მეფე როსტომისა , ვ ა ხ - ტ ა ნ გ , ქორონიკონს ტმე (1658).

სხვა საბუთის კუთვნილი მინაწერი:

ქ. ეს გუჯარი აპკურისა (აკურისა?), არის ძველი და ნ ი ნ და უ კ ა ნ ს ა გ ა რ ე ჯ ო ს ი .

[هو]

حكم عالی شد آنکه بنابر شفقت و عنایت عالی در باره رفقت پناه سهراب بیگ اشیک آفاسی | او را بین الاقران و الاقسال سر افراز و از اشباه و اکفاه (اکفاه) ممتاز (ممتاز) کردانیده بموجبی که در ذیل بخط گرجی نوشته شده | از ابتدا ده ماهه تحاقوی نیل قری تله مزبور را بر بموجب بتیول او مقرر و مفوض فرموده ارزانی داشتیم رعایا حقاامربوره

قریه

قریه

قریه |

قوبان

كمیس سوی رسد تیول گمدیل

أصوریٹ |

مشارالیه را تیولداری با استقلال خود دانسته مالوجهات و كل حقوق دیوانی را از قرار معمول گرجستان باو جواب گفته قضایای سانحه را | سوی قضیه خون باو رفع نمایند مستوفی سر کار عالی در دفاتر ثبت و عملنماید چون نشان بمهر عالی رسد اعتماد نمایند تحریرا فی | شهر شعبان الحرام سنه ۱۰۶۷

ის არის მფლობელი!

აბუ ალი სულტან მირზა როსტემ-ხან. ჩემი სიტყვა

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზე, რომ მაღალი წყალობისა და ყურადღებები გამო ეპიკალასი ზ უ რ ა ბ - ბ ე გ ი ს მიმართ, თანასწორთა შორის ამაღლებული და მსგავსთა შორის გამორჩეული იქნა-რა ის, ჩვენ მას, ქვემოთ ქართულად დაწერილის საფუძველზე, ქათმის წლის ათთვეობის დასაწყისიდან ვუნყალობეთ და თიულად გაფუჩინეთ სამი [ქვემოთ] მოხსენიებული სოფელი: სოფელი კ უ მ ი ს ი , გამდელის თიულის წილის გამოკლებით. სოფელი დ ო უ ბ ა ნ ი , სოფელი ა ს უ რ ე თ ი . ხსენებული ადგილების გლეხებმა აღნიშნული [პირი] თავიანთ სრულუფლების თიულდარად უნდა ცნონ, მალუჯათი და მთელი სახელმწიფო გადასახადი საქართველოში [არსებული] წესის მიხედვით მას გადასცენ და [მათ შორის] მომხდარი [სასამართლოს] საქმეები სისხლის [სამართლის] საქმეების გარდა მასვე მიანდონ. მაღალი კარის მუსტოფემ [ეს ბრძანება] თავის დავთარში ჩანეროს და [მის მიხედვით] იმოქმედოს. როცა ნიშანი მაღალი ბეჭდით დაიბეჭდება, დაემორჩილნ (მას). დაინერა 1067 წლის შაბან ალ-ჰარამის თვეს.

საბუთის verso-ს პირველ და მეორე კეფზე, ასევე, მათი გადაბმის ადგილას დასმულია ერთი და იგივე ბეჭედი წარწერით: يا صاحب العصر و الزمان – „ო, საუკუნისა და დროის მფლობელო! მათ ქვემოთ – სარეგისტრაციო მინაწერი: هو قلمی شد – „დაინერა.“

**1657. 24 ივლისი. წყალობის ბანახლების წიგნი
როსტომ მეფისა ყოფიანაშვილებისადმი**

პირი: სეა, 1450-20/44; გადაწერილი დედნიდან რუსული მმართველობის პირების დაგთარში. საბუთი შეტანილია სარეგისტრაციოდ 1817 წლის 12 აპრილს, გატარებულია რეგისტრაციაში 1819 წლის 11 დეკემბერს ნომრით: №44.

თარიღი: ქორონიკონი ტმე (345), მკათათვის კდ, რაც უდრის 1657 წლის 24 ივლისს.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

[ქ]. ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, ღ(მრ)თივ-გვირგვინოსანმან და ორისავე ტახტისა და საბატონოს მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთ-მეფემან, ჳელმნიფემან პატრონმან როსტომ, და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ, პირმშომან ძემან ჩვენმან, პატრონმან ვახტანგ, ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი წყალობის წიგნი და ნიშანი შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა და წესისაებრივ თავდადებით მრავალფერად ნამსახურთა, ერთობით ყორღანანთა და ს(რ)ულობით ენაგეთის მემკვიდრე მსახლობელთა შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, – ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და თქვენის სამკვიდროს, შიმშილათ უბნის, წყალობას დაგვეაჯენით. ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, და მოკითხული ვქენით და, რა ენაგეთი დაქარსებულიყო, შიმშილათ უბანი ენაგეთის მკვიდრი მამული და მიწა ყოფილიყო. ბართიანის ერთ ხანად მესარჩლებოდენ, უსამართლოდ წამოჭიდება მოინდომეს და მაგისი დივანი თვით ჩვენ [ვ]უყავით: ბართიანთ არასდროსა და ჟამს შიმშილათ უბანთან ჳელი არა ჰქონებოდათ, ენაგეთის მკვიდრი მიწა და მამული იყო, არას ხორციელს კაცს ხელი არა ჰქონდა და არც არავის სარჩლობა მართებდა.

ანე, ისე სიგელი დაგვიმკვიდრებია და ერთობლით ყორღანანთათვის, და ერთობით ენაგეთს მსახლობელთ მემკვიდრეთ კაცთათვის გვიბოძებია ყოვლის ადამიანთ მონათესავეს კაცისაგან უცილებლად, სამკვიდროდ და საბოლოოდ, მისის მართლის სამართლიანის საქმითა და სამძღვრითა, მითით-ბარამდინ უნაკლულოდ, წყლითა, წისქვილითა, ველითა და ვენახითა, სახნავ-სათიბითა, შენითა და ოხრითა, საძებრითა და უძებრითა, შესავლითა და გასავლითა, სახმარითა და უხმარითა, ნასყიდითა და უსყიდითა ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა და სამზღვრითა.

არის ძველიდგან ამ შიმშილათ უბნის სამზღვარი, გარჩეული და გამორკვეული ზედათ მხრისაკენ, წინ წყაროს შარა რომე მარლობის ხევს გამოაბიჯებს, იმას აქეთი, რისაც ის წინ წყაროს შარა დაიტანს, იმას ქვეშეთი; ანდრის საქალაქო შარა რომე გამოიარს და ეს

წინ წყაროს შარა რომ შექცეურების, ან დრიულს ქალაქის შარის
სწორად, ასურეთის წყლამდისინ; იმას ქვეშეთ, რაც რომე გაღმა-გა-
მოღმა, რაც სამართლიანი საზღვარი შიმშილათ უბანს ჰქონებოდეს,
უკლებლივ ალგეთს გამოღმართი ეს არის, და ამ წესით დაგვიმკვიდრე-
5 ბია, ვითაც ჩვენს მდივანს, ყორღანაშვილს მერაბს ენაგეთს
მინის მამული არა ჰქონდა, ამ შიმშილათ უბანს თორმეტის დღის საყ-
ანე მინა და თორმეტის დღისა საქერე, რაც ამას წინათ მინა ჰქონებოდეს,
იმას გარდაის, გვიბოძებია და დაგვიმკვიდრებია სამკუიდროდ და საბოლა-
ოდ, ყოვლის კაცისაგან უცილებრად.

10 გქონდეს და გიბედნიეროსთ ლ(მერ)თ(მან).

ვინ იცის, და შიმშილათ უბნის წიგნი ჰქონდეს ვისმე, სიგლითა
ამით გაგვიცუდებია და მტკიცე და უცვალებელი ესე ოდენი არის. და ეს
მამული ერთობით ყორღანთან და ენაგელთ გაიყონ, ახალ-
15 ლშენელს სომეხი შუილსა და ფეიქრის შვილსაც იქ მამ-
ული ჰქონებია, და სხვას ენაგელს გლახასავით წილი უნდა დაუდონ
სამართლიანის საქმითა და არა დაქაქონ.

ანე, გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო,
ვინცა-ვინ იყვნეთ {და ანუ} დღეის წაღმა იქნებოდეთ, თქვენცა ასე დაუმტ-
20 კიცეთ, და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შექცევილებით, თვინიერ შენევენისა
და თანადგომისაგან კიდე.

დაინერა ბძანება და ნიშანი ესე, ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმე, მკათათვის
კდ, ჴელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის თუმანის შვილის
ბირთველისითა.

დედანს ჰქონია ორი ბეჭედი.

პირის სარეგისტრაციო მინანერები:

ასლიდამ თანასწორ არს ჩანერილი, სოვეტნიკი თავადი ითემურაზ
ბაგრატიოვანი.

სოვეტნიკი, თავადი დიმიტრი თარხანოვი.

მივიღეთ ეს წერილი, აღალო ყორღანოვი, სოლომონ ყორ-
ღანოვი.

272

**1657. 12 სექტემბერი. წყალობის განახლების წიგნი
როსტომ მეფისა ბიოკბი
ბაქათაშვილ-იოთამის შვილისა ღვი**

პირი: სეა, 1450-38/38; გადაწერილი დედნიდან რუსული მმართველო-
ბის პირების დავთარში. საბუთი შეტანილია სარეგისტრაციოდ 1817 წლის
12 აპრილს, გატარებულია რეგისტრაციაში: 1823 წლის 23 ნოემბერს, ნომ-
რით: №38.

458

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმე (345), ენკენისთვის იბ, რაც უდრის 1657 წლის 12 სექტემბერს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

[ქ]. ნებითა და შეწვევითა მლთისათა, ჩვენ, მეფეთ-მეფემან, ჯელმნი-ფემან პატრონმან როსტომ, თანამეცხედრქემან ჩვენმან, დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარია, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან, პატრონმან ვახტანგ, ესე ამიერთ უკუნისამდის, ჟამთა და ხანთა საბოლოდ გასათავებელი წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერდგულთა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა ყმასა, ბარათაშვილს - იოთამისშვილებს გიორგის, ბეჟანს, გივს და ერასტის, შვილთა თქვენთა შერმადინს, შვილთა და მამავალთა სახლისა თქვენისათა, - ყოველთავე.

მას ჟამს, ოდეს მოგვქიდეგით კარსა და თქვენს მამა-პაპათ სამკვიდროს დურსუნასშვილს მირიანას დაგვეაჯენით, ჩვენცა მოკითხული ვქენით და დრო-შემოგდებით ჩაჩიკასშვილს დაეჭირა, უსამართლოთ ჰყვანდა. სამართალი ვქენით და თქვენი მამული თქვენვე გიბოძეთ შენითა და ოხერთა, ველითა და ვენახითა, წყლითა და წისქვილითა, მთითა და ბარითა, ჭალითა და ჭურ-მარნითა, შესავლითა და გასავლითა, ნასყიდითა და უსყიდითა.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერდგულად სამსახურსა შიგან და არაოდეს არ მოგეშალოს ვანთ დურსუნასშვილი მირიანა, არა ჩვენგან და არა შემდგომად სხვათა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

ანე, გიბძანებ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, თქვენცა ასე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩვენსა ნაწყალობევსა წიგნსა შიგან ეწეროს და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შეეცილებით, თვინიერ შეწვევისა და თანამდგომობისა კიდე.

ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმე, ენკენისთვის იბ, ჯელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის თუმანისშვილის ბირთველისათა. ეს ბძანება ასე უნდა გათავდეს.

დედანს ჰქონია ხელრთვები: როსტომ, მარია

დედანს ესვა ბეჭედი.

სარეგისტრაციო მინაწერები: ასლთან სწორ არს, თ(ავად)ირატიევი.

სოვეტნიკი თავადი გაბრიელ რატიევი.

მივიღე, მე, კნინი{ა}მბარ{ა}თო{ვ}ისმა მარია.

**1657 წ. პირობის წიგნი მეფე როსტომისა
როსებ მაცაზშილისადმი**

დედანი: ხეც, Ad-944; თეთრი თხელი ქაღალდი; 29,5X14,7 სმ.; მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ.

თარიღი: ქორონიკონი ტმმ (345), რაც უდრის 1657 წელს.

ქ. ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა. ჩუენ, |² ქართლისა და კახეთისა, – ორისავე მპყ³რობელმა, მეფეთ-მეფემან, პატრონმან |⁴ როსტომ, ძემან და სასურველმა ჩუენმ⁵ან, ბატონი შვილმა, პატრონმან ვახტანგ, |⁶ ესე წყალობისა საიმედოვნო წიგნი გიბოძეთ |⁷ თქუენ, მაცაშვილს როსებს.

მას ჟამსა, ოდ⁸ეს კურთხეული თქუენი ძმა ლუარსაბ |⁹ ჩუენ გავზარდეთ და დიად ჩუენი ერდგული, |¹⁰ კარგი მოსამსახურე და სამსახურის მომჭირნ¹¹ე, თავგარდადებული იყო, ის მის მეუფეს მი¹²ებარა და თქუენ თქუენის მამულის საიმედ¹³ოვნოს წიგნს დაგვეაჯენით. ჩუენ ვისმინეთ აჯ¹⁴ და მოხსენება თქუენი, ღ(მრ)თის უტყუვრის |¹⁵ მადლმან და ბედნიერის ყაენის თავის მზემან, |¹⁶ რომე რისაც მამულის მქონებელი თქუენი ძ¹⁷მა ლუარსაბ და თქუენ იყუნეთ, თუ თქუენ |¹⁸ ჩუენი ერდგული იყუნეთ, იმაზედ არ დაგამცრ¹⁹ოთ და არც წაგართვათ.

ამის გათავების თავდ²⁰ებად მოგუიციემია ღ(მერ)თი და ყოველნი მისნი წმი²¹დანი, ზეცისა და ქუეყანისანი, ჯორციელნი და უჯორ²²ცონი.

ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმე.

ხელრთვა: როსტომ

**1657 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა მაცაზს
ბარათაშვილისადმი**

პირო: სეა, 1450-15/140; გადაწერილი დედნიდან რუსული მმართველობის დაწესებულების პირების დავთარში. ქართულ-სპარსული; შესულია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1817 წლის 12 აპრილს, გატარებულია 1820 წლის 2 ოქტომბერს ნომრით: №123.

თარიღი: ქორონიკონი ტმე (345), რაც უდრის 1657 წელს.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

[ქ]. ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, ღ(მრ)თივ-აღმართებულმან და ღ(მრ)თივ-დამყარებულმან, ორისავე ტახტისა და საბატონოს

მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთ-მეფემან, ხელმწიფემან პატრონმან როსტომ, და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ, პირმშომან და ძემან ჩუენმან, პატრონმან ვახტანგ.

ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი წყალობისა ნიგნი და ნიშანი შევინყალებთ და გიბოძებთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა და წესისაებრ მრავალფერად თავდადებით ნამსახურთა, ჩუენთან აღზრდილ-შეზდილთა და ჩუენის მორჭმა-გადიდებისათუის დიდად მომჭირნესა და ძალის მიმცემთა ყმათა, ბარათასშუილს, სახლთუხუცეს პატრონს ყაფლანს, შვილთა თქუენთა: პაპუნასა, 5
ასლანს, ვახტანგს, თამაზს, გიორგის და ბიძაშუილთა 10
თქუენთა: გიორგის, ბეჟანს, გივსა, ერასტის და მომავალთა სახლისა თქუენისათა, – ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს სულკურთხეულის ბატონის, პაპის ჩვენის, მეფის ლუარსაბის ჟამში, თქუენის სახლისკაცნი, დიდი ორბელი და 15
იოთამ გაყრილი იყუნენ, და ტაშირს, რაც თქუენი მამა-პაპათ სამკუიდრო მამული ყოფილიყო, ყუელა გაგეყოთ და განაყარის ნიგნი და ხელმწიფეთ ნიშანიც ხელთ გეჭირათ. და ამას წინათ, ვინცა-ვინ ლორეს 20
მჯდომი ხანი და სულთანი ყოფილა, ვერცა-ვის ეხსენებინა და არც გაგონილიყო.

ახლახანად ბოსჩალუა ისახან სულთან წამოგედავათ, ისინიც ჩუენს კარზედ მოვიხმეთ, არაგვის ერისთავი, ქსნის 25
ერისთავი, ამილახორი, ციციშუილნი, ჯავახი-შუილი, დივანბეგი როინ და სულქართუელნი დარბაისელნი, დივანში დავახუედრეთ. თქუენი განაყარი ნიგნებიც ვავიკითხეთ და 30
ისახან სულთანს სანათი და ჰოქმი არა ჰქონდა და კიდეც გამტყუვნდა. და არც კულავ ლორი და ღმე ამ ალაგების ცილობა ქნილიყო და არც ხელი ჰქონებოდა, და თქუნს სიგელსა და განაყარს ნიგნშიაც გინერიათ, ტაშირს შირჩა, პატი, წითელი ეკლესია, 35
დეღუ, ყულღანის სოფელი, აკოფას სოფელი, ქუკის სოფელი, ყოშა, ქილისა, შიშთაფა, დიაკუნის ქვა, სომხურად მინდაქარი ჰქუიან, სოფელი ჯილღი და ჯილღის წყალი რომ ჩამოვარდება, იმას იქათი, სამართლიანის საქმითა, მთით-ბარამდისინ, ყოვლის მათის სამჭმოთა, ავდარასა და 40
ბარქდარა {ს} შუა საქარავნო დიდი შარა რომ გაიარს, მარჯუნივსა-ბარათაშუილოსაკენ საბარათიანო არის, და მარცხნივ ბარქდარა დარჩება, ის სალორო არის. ყანლუჯას გზა რომ შეიარს, იმას ზედანთისა ბარათაშვილო არის, რასაც ლელკარი გარმოხედავს და სასომხითო არის, იმას გარდაის, ლორისა არის და ნურავინ ეცილების.

რარიგადაც ამას წინათ ბედნიერს ბატონს პაპაჩუენს, მეფეს ლუარსაბს თქუენის მამულის განაყარი ნიგნი და სიგელი დაუდებია,

ჩუენცა იმავე წესითა სამკუიდროდ და საბოლოდ დავგიმკუიდრებია მთით-ბარამდისინ.

ქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულად სამსახურ-სა შიგა და არაოდის არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა სხუათა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

ანე, გიბძანებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, თქუენცა ასრე დაუმკუიდრეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შექეცილებით, თუინიერ შენევენისა და თანადგომისაგან კიდე.

დაინერა ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმე, ხელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრისა ბ ი რ თ უ ე ლ ი ს თ უ მ ა ნ ი შ უ ი ლ ი ს ი თ ა .

დედანს ესვა ბეჭდები: რ ო ს ტ ო მ , მ ა რ ი ა მ

XIX საუკუნის სარეგისტრაციო მინაწერები:

ასლიდამ თანასწორ არს ჩანერილი, სოვეტნიკი, თა(ვად)ი თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ო ვ ა ნ ი .

სოვეტნიკი, თა(ვადი) დ ი მ ი ტ რ ი თ ა რ ხ ა ნ ო ვ ი .

ნამდვილი წერილი მივიღე მე, თა(ვად)ი ზ უ რ ა ბ ო რ ბ ე ლ ი ა ნ ო ვ ი .

კომენტარი იხ. საბუთთან: ხეც, Hd-1919.

275

1657 წ. წყალობის ბანახლების წიგნი როსტომ მეფისა ბრიბოლ ჰრაბაშერაშვილისადმი

დე დ ა ნ ი : სეა, 1448-1053, მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 42,5X15 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთს აქვს მცირე დაზიანებები, რომლებიც შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. საბუთი ქართულ-სპარსულია.

თ ა რ ი ღ ი : ქორონიკონი ტმმ (345), რაც უდრის 1657 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

ქ. ნებითა და შენევენითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, ლ(მრ)თივ-¹გუირ-გუინოსანმან, მეფეთ-მეფემან, ჳელმწიფემან პა³ტრონმან რ ო ს ტ ო მ , და თანამეცხედრემან ჩუენმან,⁴ დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან მ ა რ ი ა , და ძეთა⁵ ჩუენთა, პატრონმან ვ ა ხ ტ ა ნ გ , ესე წყალობისა⁶ ნიგნი და ნიშანი შეგიწყალეთ და გიბოძე⁷თ თქუენ, მოქალაქეს ქ რ ა კ ა - ვ ე რ ა შ უ ი ლ ს , |⁸ ჩუენს მკერვალს უ მ ე კ ა შ უ ი ლ ს გ რ ი გ ო ლ ა - ს ა , |⁹ ძმასა შენსა: შ ა ვ ე ლ ი ს , ბ ე რ უ ა ს ა , შუილსა შე¹⁰ნსა უ მ ე კ ა - ს ა და მომავალთა სახლისა თქუენისათა, |¹¹ - ყოველთავე.

მას ჟამს, ოდეს თქუენი სამკუიდრო მამუ¹²ლ[ი გამოგართვი], ცოტას

ხანს საყინულედ¹³ გავაკეთეთ. და მასუკან მოკითხული ვქენით, ვითა¹⁴ ც
თქუენი სამკუიდრო იყო, ისრევ თქუენ გიბოძე¹⁵ საყინულე ბ უ რ ჯ ი ს
გარეშემოთა, შესავლითა და¹⁶ გასავლითა. ასრე რომე, არც თქუენს ნათე-
სავსა¹⁷ და არც სხუას მოქალაქესა და არც ჩუენს საბატონ¹⁸ოს კაცს ჴელი
არა ჰქონდეს.

ქონდეს და გიბედნ¹⁹იეროს ღ(მერ)თმან.

ანე, გიბ(ძანე)ბთ კარისა ჩუენისა²⁰ ვექილ-ვეზირნო და სხუანო მო-
საქმენო, ქალაქი²¹ს მოურავნო და მოჴელენო, ვინცა-ვინ იყუნეთ და²² ანუ
დღეის წალმა იქნებოდეთ, თქუენცა ასრე²³ გაუთავეთ და ნურაოდეს ნუ
მოუშლით და²⁴ შე{ე}ცილებით, თუინიერ შენევისა და თანადგო²⁵მისა-
გან კიდე.

დაინერა ბ(ძანე)ბა და ნიშანი ესე²⁶ ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმე, ჴელითა
კარისა ჩუენისა მდივან-მ²⁷ნიგნობრის თ უ მ ა ნ ი შ უ ი ლ ი ს ბ ი რ თ ვ -
ე ლ ი ს ი თ ა .

კომენტარი:

მეფის მკერავს გვარი – ჭრაკავერაშვილი მიღებული აქვს თავისი
სახელოდან. ნიშანდობლივია, რომ სხვა მსგავსი გვარის პერსონა
აღარ გვხვდება ქართულ დოკუმენტებში. როგორც ჩანს, მისმა შთამო-
მავლობამ აღარ განაგრძო იგივე სამსახური მეფის კარზე და გვარის
აღნიშნული ფორმაც დაიკარგა.

276

1657 წ. წყალობის ბანახლების წიგნი როსტომ მეფისა თავისი სასაფლავს აზნაუჭიშვილის თანია ბაბრქიელისშვილისაღმი

პ ი რ ი : სეა, 1449-25, გადაწერილია მოყვითალო ფერის სამ ფურცელ-
ზე. შავი ფერის მეღანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ერთწერტი-
ლი ყოველი სიტყვის შემდეგ; კიდევები რესტავრირებულია. საბუთი წარდ-
გენილია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში 1817 წლის 12 აპრილს,
გატარებულია – 1821 წლის 30 ივლისს.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმე (345), რაც უდრის 1657 წელს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : სამეფო კარის მწიგნობარი თუმანიშვილი
ბირთველი.

[ქ.] ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, ღ(მრ)თივ-გვირგვი-
ნოსანმან, მეფეთ-მეფემან, ჴელმნიფემან პატრონმან როსტომმან,
თანამემცხედრემან დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან მ ა რ ი ა მ,
პირმშომან ძემან ჩვენმან, პატრონმან ვ ა ხ ტ ა ნ გ .

ესე საბოლოოდ ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი ნყალობის ნიგნი და ნიშანი შეგინყალებთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენის სასაფლაოს აზნაურშვილთა, გ ა ბ რ ი ე ლ ი ს შ ვ ი ლ ს თ ა ნ ი ა ს ა , ძმა-სა შენსა ბ ე რ უ კ ა ს ა , შვილთა: ე ბ ი ტ ა ს ა , ი ე ს ე ს ა , ზ ე დ გ ი ნ ს ,
5 ი ო რ ა მ ს , დ ა ვ ი თ ს , ს ე ხ ნ ი ა ს ა და მომავალთა სახლისა თქვენი-სათა, – ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს თქვენ და თქვენი თ ე ლ ო ვ ნ ე ლ ნ ი ყმანი ცოტა საქმეზედ დამდურებულ იყავით და აქ, ა ვ ლ ა ბ ა რ ს ჩამოვიდნენ, ვითაც
10 ს ვ ე ტ ი ს ც ხ ო ვ ლ ი ს ყმანი იყვნენ, და თქვენ სამკვიდროდ მოგცემო-და. აგიყარეთ და გიბოძეთ დ ა თ უ ა ა ს ლ ა ნ ა შ ვ ი ლ ი , მ გ ე ლ ა შ -
ვ ი ლ ი გ ო გ ი ა , შ ა ქ ა რ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი კ ა და თ ე ლ ო ვ ა ნ ს მსახლობელნი გლეხნი ერთობით – მითითა, ბარიითა, ნყლითა და წისქვილ-ითა, ველითა და ვენახითა შენითა და ოხერიითა, შესავალ-გასავლითა, სახ-მარიითა და უხმარიითა, ნასყიდითა და უსყიდითა. ეგრეთვე თქვენ, რისაც
15 მამულის მქონებელნი იყვნეთ, ყოვლითურთ დაგვიმკვიდრებია თქვენთვის და თქვენთა შვილთათვის.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერთგულად სამსახ-ურსა შინა და აროდეს {ს} არ მოგეშალოს.

ანე, გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმე-
20 ნო, თქვენც ასრე გაუთავეთ და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შეეცილებით, თვინიერ შეწვენისაგან კიდე.

დაინერა ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტმე, ჴელითა კარისა ჩვენისა მდივანმნიგნობრის თ უ მ ა ნ ი ს შ ვ ი ლ ი ს ბ ი რ თ ვ ე ლ ი ს ა თ ა .

ხელრთვა: რ ო ს ტ ო მ

ბეჭედი: მ ა რ ი ა მ

პირის სარეგისტრაციო მინანრები:

ასლთან თანასწორე არის, თა(ვადი) დ ი მ ი ტ რ ი , ზ უ რ ა ბ ო რ ბ ე -
ლ ი ა ნ ო ვ ი .

ასლიდან თანასწორს გადმონერილი, თა(ვადი) ი ო ს ე ბ ს ო ლ ა ლ ო ვ ი .

ამისი ასლი მივიღევ მდივანმა მ ა ლ ა ლ ო ვ მ ა ი ო ს ე ბ .

სოვეტნიკი, თა(ვადი) ო თ ა რ კ ა რ ბ ე ლ ო ვ ი .

1657 წ. წყალობის განახლების წიგნი როსტომ მეფისა მურვან ოშაშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი : სეა, 1448-5291, მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 32X15,7 სმ., შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ან სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთის დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმმ (345), რაც უდრის 1657 წელს.
საბუთის და მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

ქ. ნებითა და შენენითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, ღ(მრ)თივ-
გური²გუინოსანმან და ორისავე საწელმნიფოს მპყრობელ-მქ[ო]³ნებელ-
მან, მეფეთ-მეფემან, პატრონმან რ ო ს ტ ო მ , და⁴ თანამეცხედრემან 5
ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმან, პა⁵ტრონმან მ ა რ ი ა მ , და ძემა
ჩუენმან, პატრონმან ვ ა ხ ტ ა ნ ⁶გ .

ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი,⁷ წყალობისა წიგნი
და ნიშანი შეგინყალეთ და⁸ გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა და თა-
ვდადებ⁹ით ნამსახურთა ყმათა: რ უ ს ა შ უ ი ლ ს მ უ რ ვ ა ნ ს , ძ¹⁰მასა
შენსაშ ა ლ ვ ა ს ა და შუილთა თქუენთა ი ე ს ე ს , თ ა მ ა | ¹¹ზ ს და სახ-
ლისა მომავალთა, – ყოველთავე.

მას ჟამსა, ო¹²დეს მოგუიდეგით კარსა და მამულის წყალობას¹³
გუიაჯენით, ჩუენცა ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენ¹⁴ი, მოკითხუ-
ლი გიყავით და ამოვარდნილის და მ ღ ა | ¹⁵ნ ა შ უ ი ლ ი ს ზ ა ქ ა რ ი ა ს
კერძი მამული, სახლ-კარი, მ¹⁶ითითა, ბართა, ველითა და ვენაჭითა,
ჭურ-მარნითა,¹⁷ შენითა და ოჯერითა, შესავლითა და გასავლითა,¹⁸ საძებ-
რითა და უძებრითა, ყოვლითურ უნაკლულო¹⁹დ თქუენთუის და თქუენთა
შუილთათუის გუიბოძებია.

[გ]ქო²⁰ნდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩუენსა ერდგულად²¹
სამსახურსა შინა, და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩ²²უენგან და არა სხუ-
ათა მეპატრონეთაგან.

ანე, გიბ(ძანე)ბთ²³ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მო-
საქ²⁴მენო, თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნურაოდეს ნ²⁵უ მოუშლით და
შე[ე]ცილებით.

დაინერა ბ(ძანე)ბა და²⁶ ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმე, ჴელითა
კარისა ჩუენისა²⁷ მდივანმწიგნობრის თ უ მ ა ნ ი შ უ ი ლ ი ს ბ ი რ -
თ უ ე | | ²⁸ლ ი ს ი თ ა .

პირველაც თქუენთუის გუებოძებინა და ახ²⁹ლაც ამ სიგლით დაგუი-
მკუიდრებია. და ღ ა რ ი ბ ა ს თავის ხოდა³⁰ბუნი ამასწინათ საჯილდაოდ
გიბოძეთ და ისიც სა³¹ბოლო{ო}დ დაგუიმკუიდრებია.

ხელრთვები: რ ო ს ტ ო მ , მ ა რ ი ა მ

ბეჭედი: |³² ვ ა ხ ტ ა ნ გ

გვიანდელი დამტკიცებები:

აშიაზე: ქ. ესე ბძანება და სიგელი ჩუენცა ასრე გავათავეთ, რარიგათაც
ამ³³ სიგელში ეწეროს, თქუენთა და თქუენთა შვილთათვის გიბოძებია ჩუენ,
|³⁴ ბატონისშვილს გ ი ო რ გ ი ს .

ბეჭედი: გ ი ო რ გ ი - მ ი რ ზ ა (გიორგი XI).

verso-ზე:

ქ. ჩვენ, ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ მ ა ნ , პატრონმა ლ ე ვ ა ნ , ბძანება³⁵ და სიგელი ჩვენცა ასრე და[ვ]უმტკიცეთ.

ხელრთვა: |³⁶ ლ ე ვ ა ნ (მუხრანბატონი).

ქ. ჩვენ, მეფეთ-მეფემან, პატრონმა ვ ა ხ ტ ა ნ გ , ეს³⁷ ბძანება ჩვენც გვიბძანებია, რარიგათაც ამა³⁸ მეფეთა წერილში სწერია, ქ(ორონი)კ(ონ)ს უთ (1721).

ხელრთვა: |³⁹ ვ ა ხ ტ ა ნ გ

ოთხკუთხა ბეჭედი ლეგენდით: „მე, ფეხთგანბანილთა მიერ ეკლესია ვა-
დიდე“. ნუსხა-ხუცურად: ე რ ე კ ლ ე (ერეკლე II).

ხელრთვა: ე რ ე კ ლ ე

გვიანდელი მინაწერი: ქ. რ ო ს ტ ო მ მეფისა.

**1658 წ. 10 იანვარი. წყალობის წიგნი ოსტომ მეფისა
ოჭიკა შალიკაშვილისადმი**

პ ი რ ი : სეა, 1450-35/129; გადაწერილი დედნიდან რუსული მმართველობის პირების დავთარში. საბუთი შეტანილია სარეგისტრაციოდ 1817 წლის 12 აპრილს, გატარებულია რეგისტრაციაში: 1823 წლის 15 ნოემბერს, ნომრით: №127.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმვ (346), იანვრის ი, რაც უდრის 1658 წლის 10 იანვარს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი გიორგი თუმანიშვილი.

[ქ]. ნებითა და შეწევნითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფეთ-მეფემან, ჯელ-
მწიფემან პატრონმან რ ო ს ტ ო მ , თანამემცხედრემან ჩვენმან, დედო-
ფალთ-დედოფალმან, პატრონმან მ ა რ ი ა მ , პირმშომან და სასურველმან
5 ძემან ჩვენმან, პატრონმან ვ ა ხ ტ ა ნ გ , ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი
შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერდგულთა და ნამსახურთა ყმა-
თა, შ ა ლ ი კ ა შ ვ ი ლ ს რ ო ქ ი კ ა ს , შვილთა თქვენთა პ ა ჯ უ ნ ა ს ა და
მამავალთა სახლისა თქვენისა, – ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და თქვენის მამულის სიმედოვნოს
წიგნის გა{ა}ხლებას დაგვიაჯენით, შეგინყალეთ და სიგლითა ამით გაგი-
10 ახლეთ, ასრე რომე, რისაც მამულის მქონებელი იყო, არაოდეს არ მოგეშა-
ლოს არა ჩვენგან და არა შემდგომად სხვათა ჯელმწიფეთაგან.

ანე, უზედაესთა მოგახსენებთ და უქვედაესთა გიბძანებთ, კარისა
ჩვენის ვეჟილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, ვინცა-ვინ იყვნეთ და ანუ
დღეის წაღმა იქნებოდეთ, თქვენცა ასრე გაუთავეთ. და ნურაოდეს ნუ მოუ-
15 შლით და შე{ე}ცილებით, თვინიერ შეწევნისა და თანადგომისაგან კიდე.

დაინერა ბძანება და ნიშანი ესე, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტმვ, იანვრის ი, ჯელ-

ითა კარის ჩვენის მდივანმწიგნობრის თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს გ ი ო რ - გ ი ს ი თ ა .

ფ ხ ვ ე ნ ი ს ს ა , ს კ რ ა ს ა და ძ ე ვ ე რ ა ს არა მოგიშლოთ-რა და არც წაგართვათ.

დედანს ესვა ბექდები: რო ს ტ ო მ , მ ა რ ი ა მ

პირის სარეგისტრაციო მინაწერები: ასლთან სწორ არს, თა(ვადი) რ ა ტ ი ე ვ ი .

სოვეტნიკი თავადი გ ა ბ რ ი ე ლ რ ა ტ ი ე ვ ი .

ასლი, წერილი მივიღე, თა(ავად)ი ი ო ს ე ბ შ ა ლ ი კ ო ვ ი .

კომენტარი:

შალიკაშვილი როჭიკა – შალიკაშვილები სამცხე-საათაბაგოს თავადები იყვნენ. სამცხის ოსმალთაგან მიტაცების შემდეგ შალიკაშვილებმა დატოვეს იქაურობა და ქართლში გადასახლდნენ. როსტომმა როჭიკას მამულები უბოძა ფხვენისში, სკრასა და ძევერაში. იგი ფლობდა ბოქაულთუხუცესის სახელოს (ოთხმეზური გ. დისერტაცია, გვ. 144-145). როჭიკამ საფუძველი დაუდო შალიკაშვილთა განშტოებას – როჭიკაშვილების საგვარეულოს. ამაზე მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილი: „როჭიკაშვილი არს შალიკაშვილი, მოვიდა სამცხიდან“ (ვახუშტი, გვ. 34). მისი შვილები შალიკაშვილებადაც იწოდებოდნენ და როჭიკაშვილებადაც.

**1658 წ. 10 აპრილი. შაჰშაჰელების ბანახლების წიგნი
როსტომ მეფისა თბილელ ელისეასადმი**

დედანი: ხეც, Ad-551; თეთრი სქელი ქაღალდი; 49,2X27,2 სმ.; მხედრული; შავი ფერის მელანი; განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: გაცრეცილია, დაზიანებულია საბუთის კიდები. საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. სპარსული ტექსტი დაწერილია საბუთის Ir-ს ზედა ნაწილში, გვერდულად, რის გამოც იკითხება ზევიდან ქვევით.

გამოცემები: ჟორდანია, 1897: გვ. 473 (შემოკლებით); ჟორდანია 1896: გვ. 211-212.

ქ. სახელითა სახიერისა, არსება დაუსაბამოსა, დაუსრულებელისა, უხილავისა, ძალ-განუზომელისა ლ(მრ)თისა, მ(ამის)ა, ძ(ის)ა |² და ს(ულის)ა ნ(მიდი)სა, მეოხებითა ყ(ოვლა)დნმინდისა, ლ(მრ)თისმშობელისა, მარადის ქალწულისა მ ა რ ი ა მ ი ს ა თ ა , წმინდათა ზეცისა ძალ|³თა, უწორცოთა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა, წმინდათა წინასწარმეტყუელთა, მო-

ციქულთა, მღვდელმობღუართა, მონ⁴ამეთა და ყოველთა წმინდათა ლ(მრ)თისათა, ზეცისა და ქუეყანისათა თ(ავდე)ბ(ობი)თა.

ჩუენ ლ(მრ)თივ-აღმართებულმან, ლ(მრ)თივ-დამ⁵ყარებულმან და ღმრთივ-გუირგუინოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ, და თანამეცხედრემან ჩემმან, დედოფ⁶ალთა-დედოფალმან პატრონმან მარიამ, პირმომან და სასურველმან ძემან ჩუენმან, პატრონმან ვახტანგ, ესე⁷ უკუნისამდი სამკუიდროთ და საბოლოოთ გასათავებელი, მტკიცე და უცუალეხელი სიგელი მოგართუით თქუენ, ქალაქს სიონთა⁸ წმინდასა ლ(მრ)თისმშობელსა და მდგომარესა წინაშე შენსა, მჯდომარესა სათბილელოსა ზედა, ეფისკოპოსს, თბილელს, პატრონს ელიეს.

ასრე და ამა პირსა ზედან, რომე იპრიანა მონყალემ⁹ან ლ(მერ)თ(მა)ნ და ბედნიერმან ყეენმან, ჩუენს სამკუიდროს¹⁰ სამეფოსა და საბატონოზედა გამოგუგზავნა. და მოვედით და ჩუენთანა აღზდილი, ჩუენი ერდგული და ნამსახუ¹¹რი ყმა, სუფრაჩი ჰამზაბეგ თან მოგუყუა და შეუტყობრად სიონთა ლ(მრ)თისმშობელის მამულში, ამავე საყდრის გ¹²ვერდით დავასახლეთ. რადგან შეიტყო, რომ საყდრის მამული არის და საბოლოოთ დ ჩემს შვილთ არას არგებსო, მის¹³სავ სიცოცხლეში, თავისის ნებამყოფლობით, სიონთა ლ(მრ)თისმშობელს უდებდა და სოფელმან არ დააცა-ლა, მის მეუფეს მიებარა.

¹⁴ან, ვითაც საყდრის შეწირული მამული იყო, თქუენ ნაშენების ფასი მოგუართუით და ჩუენ თქუენგან მორთმეული ფასი¹⁵ მის შვილს [ვ]უბოძეთ, და საყდრის ალაგი თქუენ დაგანებეთ ამ წესითა და საქმით, რომე დღეის წაღმა არას კაცს ჳელი¹⁶ არა ჰქონდეს, რადგან ძველითგან საყდრის შემონირული იყო და ძუელს გუჯარშიაც ეწერა. ჳელახლად, ჩუენად სადღეგრძელოდ¹⁷ და გასამარჯვებლად, ჩუენც შემოგუინირავს. არას კაცს ჳელი არა აქუს, არცა მეფესა და არცა დედოფალსა და არცა უფლისწულსა,¹⁸ არცა ქართველსა და არცა თათარსა.

ვინცა, რამანცა ადამის მონათესავემ კაცმან ამისად შლად ჳელყოს, მასმცა რისხავ¹⁹ს თავათ დაუსაბამო ლ(მერ)თი, მამა, ძე და სული წმინდა და ყოველნი წმინდანი ლ(მრ)თისანი, ზეცისა და ქუეყანისანი, ჳორციელნი და უჳო²⁰რცონი.

ვინ იცის, თუ ამზაბეგის²¹ან შვილი და ან ნათესავი გამოჩნდეს და ნაშენების ფასზედ სარჩლა დაიწყოს, ჩუენ გარდაგუინ²²ყუეტი და ნაშენების ფასიც ჩუენ გამოგუირთმევი, და იმას ამ ალაგთან თქუენს მეტს ჳელი არავის ჳქონდეს.

გქ²²ონდეს თბილელნო, ჩუენსა ერდგულობასა და სიონისა ლ(მრ)თისმშობელისა სამსახურსა შიგან. არაოდეს არ მოგეშალო²³ს, არა ჩუენგან და არა სხუათა მეპატრონეთა მეფეთა, დედოფალთა და უფლისწულთაგან.

ანე, გიბ(რძან)ებთ კარისა²⁴ ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმენო, ქალაქის მოვრავო, მელიქო და მამასახლისო, თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ, რა²⁵რიგადაც ამა, ჩუენგან შეწირულს სიგელში ეწეროს.

დაინწერა ბძანება და ნიშანი – პირველიდგან ს ი ო ნ თ ა ლ(მრ) თისმ²⁶შობლის მამული, კიდევ ჩუენგან გაახლებული შენირულობითა ნიგნი ესე, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტმვ აპრილის ი (10), ჴელითა კარისა |²⁷ ჩუენისა მდივან-მნიგნობრისა შ ა ნ შ ე ი ა ნ ი ს მ ა რ ტ ი რ ო ზ ი ს შ ე ი ლ ი ს ს უ ლ ხ ა ნ ი ს ა თ ა .

ხელრთვა: მ ა რ { ი } ა მ

მსხლის ფორმის ბეჭედი ლეგენდით: ყაენის ფეჳთა მტუერი, რ ო ს ტ ო მ მეფე ვამტკიცებ.

ვ ა ხ ტ ა ნ გ ბატონიშვილის რვაკუთხა ბეჭედი გარშემო და შუაში ლეგენდით: ქ. ლითა შ ა ჰ ა ბ ა ზ ი ს ფეხთა მტვერი, ძე მეფე რ ო ს ტ ო მ ი ს ა , ვ ა ხ ტ ა ნ გ , ქორონიკონს ტმვ (1658 წ.)

ორი ელიფსური ფორმის და ორი ოთხკუთხა ბეჭედი სპარსული ლეგენდით.

გვიანდელი მინანერები: ჰ ა მ ზ ა ბ ე გ ი ს სიგელი სახლებისა. ს ი ო ნ ი ს ა .

კომენტარი იხ. საბუთთან: სეა, 1449-1270.

280

1658 წ. 21 აპრილი. ბანჩინება ოსტომ მეფისა ორბამ მამაცაშვილისა და ციციშვილის დავის შესახებ

პ ი რ ი : სეა, 1449-1105, გადაწერილია მოყვითალო ფერის ქაღალდზე შავი მეღნი. გადმოღებულია დედნის განკვეთილობის ნიშანი: ერთი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმვ (346), აპრილის 21, რაც უღრის 1658 წლის 21 აპრილს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი შანშეან მარტიროზიშვილი სულხანი.

ქ. ნებით და შენევნით ლ(მრ)თისათა, [...] ჩვენ, ლ(მრ)თივ-გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან, პატრონმან რ ო ს ტ ო მ , და თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალთ-დედოფალმან, ასულმან მის სულნათლისა დ ა დ ი ა ნ ი ს მ ა ნ უ ჩ ა რ ი ს ა მ ა ნ , პატრონმან მ ა რ ი ა მ , პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან, ბატონისშვილმან პატრონმან ვ ა ხ ტ ა ნ გ .

5

ესე ამიერთ უკუნისამდე ჟამთა და ხანთა სამკვიდროთ და საბოლოოთ გასათავებელი, მტკიცე და მოუშლელი ნყალობისა ნიგნი და სიგელი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, მ ა მ ა ც ა შ ე ი ლ ს , ჩვენსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა რ ო ბ ა მ ს , შვილსა შენსა [...], შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა, – ყოველთავე.

10

მას ჟამსა, ოდეს თქვენს სამკვიდროს, რ უ ი ს { ი } ს მლთაების საყ-

დრის შეწირულს მექუდისშვილის მამულსა, და მაზედ მსახლობელსა და ვერჩხაძეს ციცისშვილი შემოგეცილა, ჩვენ მოკითხული ვქენით, თქვენ, ძველითგან ჴელმწიფეთ შეწირულობის სიგელი და სუინაქსარი მოიტანეთ [და] გავსინჯეთ, და იმას არას რჯულის კაცისაგან გამოწირვა და მოშლა არ გაეწყობოდა. ჩვენცა სიგლითა ამით თქვენათ სამკვიდროთ, მოუშლელათ ხატს მღუთეებისას შევწირეთ ჩვენად სადღეგძელოდ და სასულიეროდ.

გქონდეთ და გიბედნიეროსთ ლ(მერ)თ(მან) თქვენ და თქვენს შვილთა, და თუნასა და პაპუნასა, ჩვენსა ერთგულად სამსახურშიგა.

10 ანე, ვინცა და რამანცა ადამის მონათესავემან კაცმან: ანუ მეფემან, ანუ დედოფალმან, ანუ დიდმან და ანუ მცირემან ამისდა შლად ჴელყოს, მასამც რისხავს დაუსაბამო, დაუსრულებელი ლ(მერ)თი, ყოველნი წმიდანი მღუთისანი, ჴეცისა და ქვეყანისანი, ჴორციელნი და უჴორცონი. და თვით ხატი მღუთაების ფერისცვალებისა, ხოლო დამამტკიცებელი ამისი 15 აკურთხოს ლ(მერ)თ(მან).

დაიწერა ბრძანება და მოუშლელი ნიშანი სიგელი ესე ჩვენი, ქ(ორონი)კ(ონ)ს ტმგ, აპრილის კა, ჴელითა კარისა ჩვენისა მდივანმწიგნო|პრის შანშეანის მარტიროზისშვილის სულხანისათა.

დედანს ჴქონდა როსტომ მეფის ხელრთვა და ბეჭდები ლეგენდებით: როსტომ, მარიამ, ვახტანგ.

პირის გადაძღების მინაწერები:
ასლთან თანასწორე არს ეს წყალობის სიგლის პირი, მაგრამ ჴეით ორგან დაგდებული არს ამაში ალაგი, ეს არა ჩანდა და რაცა ჩანდა, სწორეთ გარდმოვიღევით. თავადი, ალექსანდრე მეტრეველი.

ასლთან თანასწორი არის ეს არზის პირი, რომელიც, ჴემოთ რომ არის დარჩომილი, იმას გარდა. თავადი არსენ ბეჰთოვი.

1658 წ.13 ივლისი. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა მუსტუმრე იოვანე აფხაზისაღმი

პირი: სეა, 1450-12/6; გადაწერილი დედნიდან რუსული მმართველობის პირების დავთარში. წარდგენილია რუსული მმართველობის რეგისტრაციაში: 1817 წლის 12 აპრილს, გატარებულია 1820 წლის 26 მარტს.

თარიღი: ქორონიკონი ტმგ (346), მკათათვის იგ, რაც უდრის 1658 წლის 13 ივლისს.

საბუთის დამწერი: შანშეიანთ სულხანი.

[ქ]. ნებითა და შეწვევითა ლ(მრ)თისათა, ჩუენ, ლ(მრ)თივ-აღმართებულმან, ლ(მრ)თივ-დამყარებულმან, ლ(მრ)თივ-გვირგვინოსანმა, მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ, თანამეცხედრემან ჩუენ-

მან, დედოფალთა-დედოფალმან პატრონმა მ ა რ ი ა მ , ძემან ჩუენმან, პატრონმან ვ ა ხ ტ ა ნ გ , ესე ამიერით უკუნისამდი ჟამთა და ხანთა სამ-კუიდროთ და საბოლოდ გასათავებელი ნყალობის მამულის სითარხნის წიგნი გიბოძეთ თქვენ, ა ფ ხ ა ზ ს ი ო ვ ა ნ ე ს , შვილსა შენსა ქ ა ი ხ ო ს - რო ს , გ ი ო რ გ ი ს და ჩ ე რ ქ ე ზ ს ა .

5

მას ჟამსა, ოდეს ბძანებითა ლ(მრ)თისითა, მე, ასული ზღუათა მეფისა და დ ი ა ნ ი ს ა , მოველ დედოფლად ქ ა რ თ ლ ი ს ა დ და მცირე ჩუენ-გან გაზდილი და ნათლული ზითვად თან მოგუყევ. რადგან ჩუენი ერდგუ-ლი და თავდადებით ერდგულად ნამსახური ყმა შეიქენ, ჩუენ შეგიწყალეთ და ჩუენი მესტუმრობა გიბოძეთ და მამულად საყმოდ დაგიმკუიდრეთ ამო-ვარდნილის ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს კერძი გლეხი და მამული, რისაც მქონე-ბელი ყოფილიყო და ჩუენგან ნაბოძებს სიგელში გინერია. თქვენ კიდევ, უფრო ერდგულობის მამჭირნე და მომსახურე შეიქენით, ამავე ჩუენგან ნანყალობევს მამულის სითარხნეს დაგვიაჯენით.

10

ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, გითარხნეთ და გითავისუ-ფლეთ, ასრე რომე, არასფერისთანა საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა გეთხოვოდეს-რა: არა კოდის პური, არა საბალახე, არა პირისთავი, არა ნახირის თავი, არა მუშაობა, არა ბზე, არა {ა} ქემიკი და სამეჯინიბო, არასფერისთანა არა გეთხოვოდეს-რა, ერთის ლაშქარ-ნადირობისა და საურისაგან.

15

20

გქონდეს თქვენ, თქვენთა შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე, თარხნათ, რისაც მქონებელი ჩ ხ ი კ ვ თ ა ს , ს თ ო ნ ე თ ს , მ ა ნ ე ვ ა ნ ს და ჯ რ ა მ შ ი გლეხისა და მამულის მქონებელი იყვენთ.

არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა სხუათა მეპატრონეთა-გან. ამისად გათავებისად ლ(მერ)თი და ყოველნი მისნი წმინდანი მოგვიცე-მია. თუ ვინმე შედეგად ჩუენად სხუათა მეპატრონეთა, ეს ჩუენგან ნაბოძ-ები გლეხების სითარხნის წიგნი მოგიშალოს, მასამცა რი{ს}ხავს ლ(მერ)თი და ყოველნი წმინდანი ლ(მრ)თისანი, ზეცისა და ქვეყანისანი, ჯორციელნი და უჯორცონი, ხოლო დამამტკიცებელი ამისი აკურთხოს ლ(მერ)თ(მა)ნ.

15

დაიწერა ბ(ძანე)ბა და ნიშანი ეს ჩუენი, ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმვ, მკათათ-ვის ივ.

20

{ანე,} გიბ(ძანე)ბთ კარისა ჩუენისა მოსაქმენო, ბ(ძანე)ბა ესე ჩუენი თქვენცა ასრე გაუთავეთ და ნურას მოუშლით.

დაიწერა ჴელითა შ ა ნ შ ე ი ა ნ ი ს ს უ ლ ხ ა ნ ი ს ი თ ა .

დედანს ესვა ბეჭედი:

მ ა რ ი ა მ

პირის სარეგისტრაციო მინაწერები: ასლთან სნორე არის, სოვეტნიკი, თა(ვადი) თ ა რ ხ ა ნ ო ვ ი .

ნამდვილი ესე წერილი მივიღე, დარწმუნების წერილი. შტაბს-კაპიტანი, თავ(ა)დი ა ფ ხ ა ზ ო ვ ი .

კომენტარი იხ. საბუთთან ხეც, Qd-1653.

**1658 წ. 24 აბვისტი. წყალობის ბანახლები
წიბნი როსტომ მეფისა მეფონეთუხუცეს
პიპინა სოლალაშვილისაჲმ**

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Hd-14668, მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 44,7X23,3 სმ., შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთის თავი საკმაოდ დაზიანებულია და დაკარგულია გრაფემების გარკვეული ნაწილი. დაზიანებული ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმმ (346), აგვისტოს კლ, რაც უდრის 1658 წლის 24 აგვისტოს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი შანშიან მარტიროზიშვილი შალვა.

ქ. ნებითა და შენეუნითა [ლ(მრ)თ(ისა)თა, ჩუენ, ღ(მრ)თივ გუირ-გუინოსანმა, მე]²ფეთ-მეფემა და ორისავე სამეფოსა – ქ ა რ თ ლ ი ს ა და კ ა ხ ე თ ი ს ა მქონებელ-მპყრობელმა, ჯელმნიფემან,³ პატრონმა როსტომ, და თანამეცხედრემა ჩუენმა, დედოფალთა-დედოფ⁴ალმა, ჯელმნიფის, პატრონის დ ა დ ი ა ნ ი ს ასულმა, ბატონმა მ ა რ ი ა მ , ძეთა ჩუენ⁵თა, ბატონიშვილმა პატრონმა ვ ა ხ ტ ა ნ გ , ესე ამიერთ უკუნის-ამდის ჟამთა,⁶ ხანთა გასათავებელი, მტკიცე და მოუშლელი წყალობისა ნიგნი და სიგელ⁷ი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ერდგულთა და წესისაებრ ერდგულო⁸ბით ნამსახურთა ყმათა: ს ო ლ ა ღ ა შ ვ ი ლ ს , კარისა ჩუენისა მეღვინეთუხუ⁹ცეს ბ ი ძ ი ნ ა ს ა , შვილსა თქუენსა ბ ე - ჟ ა ნ ს , გ ი ო რ გ ი ს , შვილთა და შვილიშვი¹⁰ლთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგ¹¹ით კარსა კ უ მ ი ს { ს } , თქუენსა მამა-პაპათ ნაქონს სამკუიდროს მამულის წყალ¹²ობას დაგუეაჯენით, მოკითხული ვქენით და ყოვლის კაცისაგან მოუდეგარი¹³ და უცილებელი მამული იყო, ვითაც, რომ ჩუენზედ ერდგულად და ბევრიგად¹⁴ ნამსახურნი იყუენით, შეგინყალეთ [და] გიბოძეთ თქუენის პაპის ბ ა ბ უ რ ი ს სამ¹⁵კუიდრო და ნაქონი კ უ მ ი ს { ს } , ა ს ლ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ფ ი - რ ა ღ ა , შ ა ვ ე რ დ ა შ ვ ი ლ ი ა ს ი ა , მის¹⁶ი განაყოფი ნ ა დ უ ა , ს უ ლ ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ბ ე რ ი ა , დ ა რ ი ს პ ა ნ ა შ ვ ი ლ ი პ ა პ უ ა , თ ა თ ა რ ა შ | ¹⁷ვილი ეგანა , მისი განაყოფი პ ა პ უ ნ ა . ესენი ყუელა მათ-მათის მამულითა, მთ¹⁸ითა, ბართა, წყლითა, წისქულითა, ველითა, ვენაწითა, საწნავითა და უწნავითა, ე¹⁹კლეს{ი}ათა, სასაფლაოთა, შენითა და ოჯერითა, ნასყიდითა და უსყიდითა, ყოვლის²⁰ მათის სამართლიანის სამძღურითა, შესავლითა და გამოსავლითა, თქუენის ნ²¹აზურევითა, ყოვლის კაცის უცილებლად სამკუიდროდ და საბოლო{ო}თ თქუენთ²²ვის და თქუენთა შვილთათუის გუიბოძებია.

{გ}ქონდეს და გიბედნიეროს ღმ(ერ)თ(მა)ნ²³ ჩუენსა ერდგულად სამ-

სახურსა შიგან, ესე ასრე გაგითავდეს და არაოდეს²⁴ არა მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომად სხუათა მეფეთა და²⁵ დედოფალთაგან და არცა სხუათა მეპატრონეთაგან.

ანე, გიბ(ძანე)ბთ კარი|სა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, მდივანო და სხუანო კარისა ჩუენისა მო²⁶საქმენო, ვინცა-ვინ იყოთ და ანუ დღესა იქით ვინცა ვინ იქნებოდეთ, |²⁷ ბ(ძანე)ბა და სიგელი ესე ჩუენი თქუენცა ასრე გაუთავეთ და დაუ²⁸მკუიდრეთ, რაგვართაც ამა ჩუენგან ნაბოძებასა სიგელსა შიგან ე²⁹წეროს. ნურას მოუშლით და შეეცილებით, თვინიერ თანადგ³⁰ომისა და შეწუენისაგან კიდე.

დაინერა ბ(ძანე)ბა და სიგელი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა|³¹ ტმვ, თვესა აგუისტოსა კდ, ჴელითა კარისა ჩუენისა მდივან-მ³²წიგნობრისა შ ა ნ - შ ე ი ა ნ ი ს მ ა რ ტ ი რ ო ზ ი შ ვ ი ლ ი ს შ ა ლ ვ ა ს ი თ ა .

მრგვალი ბეჭედი ლეგენდით: რ ო ს ტ ო მ

ხელრთვა: მ ა რ ი ა მ

283

1658წ. 1 სექტემბერი. წყალობის წიგნი ოსტომ მეფისა ელიზბარ და სხვა სოლდაშვილებისადმი

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Hd-1350-ბ; მოთავსებულია Hd-1350-ა-ს (აღწერილობა იხ. წინა საბუთთან) მომდევნოდ. მელანი – შავი. განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაწერილია განსხვავებული ხელით. საბუთი ქართულ-სპარსულია. ცხრასტრიქონიანი სპარსული ტექსტი, შესრულებული შექასთენ-ნასთალიყის ხელით, მოთავსებულია recto-ზე, ქართული საბუთის თავში.

თ ა რ ი დ ი : საბუთს უზის ქორონიკონი ტმვ (346), ენკენისთვის ა, რაც უდრის 1658 წლის 1 სექტემბერს.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : სამეფო კარის მდივან-მწიგნობარი შანშვიანთ სულხანი.

გამოცემა: ფუთურიძე, 1955: გვ. 274, N 118.

ქ. ნებითა {და} შეწუენითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, ღმ(რ)თივ-გუირ-გუინოსანმა, ორისავე ტახტისა და ს²აწელმნიფოს მპყრობელ-მქონე-ბელმა, მეფეთ-მეფემა, ჴელმნიფემა პატრონმა რ ო |³ს ტ ო მ , და თანამეცხედრემა ჩუენმა, დედოფალთა-დედოფალმა პატრონმა მ ა რ ი ა მ , ასულმ⁴ან ზღუათა მეფისა და დ ი ა ნ ი ს ა მ ა ნ უ ჩ ა რ ი ს ა მ ა ნ , ძემან ჩუენმან ბატონიშვილმან პატრონმან ვ ა ხ ტ ა ნ გ , |⁵ ესე ამიერით უკუნისამდი სამკვიდროთ და საბოლო{ო}დ გასათავებელი, მტკიცე და მოუშლელი წყალობისა⁶ წიგნი და სიგელი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენსა ერდგულსა და თავდადებით ერდგულად ნამსახ⁷ურსა

სოლ აღაშვილს ელიზბარს, შვილსა შენსა, ბოქაულთუხუცეს ზურაბს, შვილთა და შვილიშვილთა მამავა⁸ლთა სახლისა თქუენისათა.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და მამულისა წყალობასა დაგვიავენით, ჩუენ მოკით⁹ხული ვქენით კუმის {ს} ყაფარისა და ბაბურის ნაქონს გარდაის რომ სამკვიდრო ჰქონოდა, იმის გარეთ, კუმისი თქუენი¹⁰ სამკუიდრო ყოფილიყო. ბედნიერის ყე[ენ]ნიდამაც მოიტანე რაყამი და ბევრს გაისარჯე. ჩუენიც დიდად ერდგულად ნამსახ¹¹ური იყუენით, ბედნიერის ყე[ენ]ნის ბ(ძანე)ბაც გავათავეთ და ჩუენის ამდენის ერდგულად სამსახურის სამუქფოდ შეგი¹²წყალეთ და, ყაფარისა და ბებურის სამკუიდროს გარდაისად, სულ ერთობით კუმისი მათ-მათის მამულითა: ¹³წყლითა, წისქულითა, ველითა, ვენაწითა, საწნავითა, უხნავითა შენითა, ოჭრით, შესავალ-გამოსავლითა, მთ¹⁴ით ბარამდი, ჭალითა, სანადიროთა, მინდურითა, რისაც მქონებელი კუმისი ყოფილიყოს, ყოვლის მისის სამართ¹⁵ლიანის საქმითა და სამზღურითა. აგრევე, ვითაც ბევრს გაისარჯენით ჭირნახულობის გულისათვიან, კიდევე ყაფ¹⁶არის კერძისაგან გარსუაშვილი, აზნაურ{ი}შვილი იარაღა, მისი ყმა ბუდახაშვილი მარქარა, [ლ]ობიერაშვილი¹⁷ გოგია მათ-მათის მამულითა, რისაც მქონებელი იყუნენ, უკლებლად. და კიდევე – ბებურის კერძი ბერნუშაშვი¹⁸ლი ი[ა]განა, ისიც მისის მამულითა, რისაც მქონებელი იყოს თქუენტვის და თქუენტა შვილთა და შვილიშვილთათვის¹⁹ გვიბოძებია ყოვლის კაცისაგან უცილებლად.

გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერთ)მან ჩუენსა ერდგულობასა და სამსახუ²⁰რსა შიგან, არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შე[მ]დეგად სხუათა მეპატრონეთაგან.

ანე, მოგახსე²¹ნებთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო, გიბ(ძანე)ბთ სხუანო მოსაქმენო, ვინ გინდა-ვინ იყუნეთ და ანუ დღეის წაღმა²² იქნებოდეთ, თქუენცა ასრე გაუთავეთ, როგორაცა ამა ჩუენგან ნაწყალობევსა სიგელსა შიგა ეწეროს.

დაინერა ბ(ძანე)ბა და ნი²³შანი ესე ჩუენი ჴელითა, კარისა ჩუენისა მდივან-მნიგნობრისა შანშეიანის სულხანისითა. ქ²⁴(ორონი) კ(ონ)სა ტმვ, ენკენისთვის ა.

ხელრთვები: მარიამ, შაჰნავაზ

უზის მრგვალი ბეჭედი ლეგენდით: როსტომ

სპარსული ტექსტი:

[هو]

مقرر است که در ذیل بخط گرجی نوشته شده از ابتداء ششماهه ایت نیل رسد تیول کمبیلی را که در دفتر کمیش واقع است سوی رسد تیول بابر و قفار که بالمناصفه موازی دوازده خانه رعایت است بتیول رفعت پناه سهراب بیگ ایشک آقاسی ومقرر و مفوض فرموده ارزانی داشتیم رعایا محل رسد تیول کمبیلی مزبورہ سوی آنچه از آنجمله وضع شده مشارالیه را تیولدارا باستقلال خود دانسته مالوجہات

و كل حقوق ديوانی از قرار معمول گرجستان باو جواب گویند | و قضایا سانحه را سوی قضیه خون باو رفع نمایند که موافق حق و حساب پرسش نموده فیصل دهد | مستوفی سرکار عالی در دفتر ثبت و علمنموده هر ساله حکم مجدد نطلبند چون نشان | بمهر عالی توشیح یابد اعتماد نمتید تحریرا فی شهر ذی قعدة الحرام سنه ۱۰۶۸

დადგენილია, რომ ქვემოთ ქართულად დანერჩილის საფუძველზე, ძალის წლის ექვსთვეობის დასაწყისიდან, გამდელის თიულის წილი, რომელიც სოფელ კ უ მ ი ს შ ი მდებარეობს, ბ ე ბ უ რ ი ს ა და ყ ა ფ ა რ ი ს თიულის წილის გარდა, რომელიც სანახევროდ თორმეტ კომლ გლეხს შეადგენს, სიდიადის საფარველის ეშიკადასი ზ უ რ ა ბ - ბ ე გ ი ს ა თ ვ ი ს 5 გაგვიჩენია და ჩაგვიბარებია. ხსენებული გამდელის თიულის წილის გლეხებმა, იმათ გარდა, რომელნიც მათი რიცხვიდან გამოკლებულნი არიან, აღნიშნული [ზ უ რ ა ბ - ბ ე გ ი] თავიანთ სრულუფლებიან თიულდარად უნდა ცნონ. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი [არსებული] წესის მიხედვით, მალუჯათი და მთელი სახელმწიფო გადასახადი მას გადასცენ და [სასამართლოს] 10 საქმეები, გარდა სისხლის სამართლის საქმეებისა, მას მიანდონ, რათა სამართლიანობისა და გონიერების შესაფერისად გამოიძიონ და გადაწყვიტონ [ისინი]. მაღალი კარის მუსტოუფიმ [ეს ბრძანება] ჩანეროს დავთარში და მის მიხედვით იმოქმედოს, ყოველ წელს ახალ ბრძანებას ნუ მოითხოვს და როცა [ეს] ნიშანი მაღალი ბეჭდით შეიმკობა, დაემორჩილონ. 15 დაინერა 1068 წლის ზულ-ყადას თვეში.

კომენტარი იხ. საბუთთან: 1450-28/189.

284

1658 წ. 12 სექტემბერი. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა თაყა თუმანიშვილისადმი

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Sd-532; თეთრი სქელი ქაღალდი; ზომა: 50,8X23,2 სმ.; მხედრული; შავი ფერის მეღანი; განკვეთილობის ნიშანი: სამი წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. დაზიანება: აღენიშნება მცირე ლაქები. კიდევები გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. საბუთი ორენოვანია – ქართულ-სპარსული. რვასტრიქონიანი სპარსული ტექსტი, ნასთალიკის ხელით შესრულებული, მიწერილია recto-ზე, ქართული ტექსტის თავში, გვერდულად.

პ ი რ ე ბ ი : ხეც, Sd-36, სეა, 1449-1705.

საბუთის დ ა მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი შაველ ყორღანაშვილი.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმმ (346) ენკენისთვის იბ, რაც უდრის 1658 წლის 12 სექტემბერს.

გ ა მ ო ც ე მ ა : თაყაიშვილი 1909: გვ. 130-131; ფუთურიძე, გვ. 281-284, №121.

ქ. ნებითა და შეწვენითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, ღ(მრ)თივ-გუირგუინოსან-მა{ნ}, ორისავე |²ტახტისა და სახელმწიფოს მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთ-მეფემან, |³ ჳელმწიფემან პატრონმა{ნ} როსტომ, თანამეცხედრემან ჩვენმა{ნ}, დედოფალ|⁴თ-დედოფალმან, პატრონმა{ნ} მარიამ, პირმშომან და სასურვე|⁵ლმა{ნ} ძემა{ნ} ჩვენმა{ნ}, პატრონმა{ნ} ვახტანგ, ესე ამიერ ჟამთა და ხ|⁶ანთა სამკუიდროთ და საბოლოო|⁷თ გასათავებელი, მტკიცე და უცვალე|⁸ბელი წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩ|⁹ვენთა ერდგულთა და წესისაებრ მრავალფერად თავდადებით ნამსახურ|⁹თა, და ჩვენის მორჭმა-გა{ნ} დიდებისათვის დიდათ მომჭირნეთა და ძალის მ|¹⁰იმცემთა, ჩვენის ხვაშიადის შემნახავთა ყმათა: თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ თ ა : თ ა ყ ა ს , კ ა |¹¹რისა ჩვენის მდივან-მწიგნობარს ბ ი რ თ ე ე ლ ს , მოჰრდარს მ ა ნ უ ჩ ა რ ს და |¹²ჯ { ი } მ შ ი ტ { ა } ს , ბ ა ი ნ დ უ რ ს , გ ი ო რ გ ი ს , ზ უ რ ა ბ ს , ნ ა ს ყ - ი დ ა ს , პ ა პ ა ს , ბ ე ჟ ა ნ ს , ს უ ლ ხ ა |¹³ნ ს , ზ ა ქ ა რ ი ა ს , ქ ი შ - ვ ა რ ს , გ ო რ ჯ ა ს პ ი ს , ყ ა ლ ა ნ დ ა რ ს და ზ ა { ა } ლ ს , შვილთა და მ|¹⁴ომავალთა სახლისა თქუენისათა, – ყოველთავე.

მას ჟამთა, ოდეს მოგუიდექით |¹⁵ კარსა და მამულის წყალობას და-გუეაჯენით, ჩვენცა ვისმინეთ აჯა და მო|¹⁶ხსენება თქუენი და თქუენის ნამსახურობისა და ერდგულობის სამუქფოდ |¹⁷ შეგინყალეთ, დაგიმკუიდრეთ და გიბოძეთ ბ ო ლ ნ ი ს ი ს ჳ ე ე ს ს ო ფ ე ლ ი ბ |¹⁸ერ დ ი კ ი , ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა და სამძღურითა: წყლითა, წი|¹⁹სქუილითა, ველითა, ვენახითა, შენითა და ოწრითა, ვიდრე მითთ ბარამდ|²⁰ის. უნაკლულთ გქონდეს და გიბედნიაროს ღ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერდგუ|²¹ლად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს, არა ჩვენგა|²²ნ და არა შემდგომად ჩვენდა სხვათა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

ა|²³წე, გიბ(რძანებ)თ, კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, ვინცა-ვი|²⁴ იყუნეთ და ან დღეის წაღმა ვინცა-ვინ იქნებოდეთ, თქუენცა ასრე გაუ|²⁵თავეთ, რარიგათაც ამა ჩვენგან ნაწყალობევს ფარვანაში სწერი. და |²⁶ნურაოდეს ნუ მოუშლით და შე{ე}ცილებით, თვინიერ თანადგომისა და |²⁷ შეწვენისაგან კიდე.

დაინერა ბ(რძანებ)ა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმვ, ენკენისთუ-ის |²⁸ იბ, ჳელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის ყ ო რ ლ ა ნ ა შ - ვ ი ლ ი |²⁹ს შ ა ვ ე ლ ი ს ა თ ა .

ხელრთვა: მ ა რ ი ა მ

როსტომ მეფის მრგვალი ბეჭედი ლეგენდით: რ ო ს ტ ო მ

ვახტანგ ბატონიშვილის რვაკუთხა ბეჭედი ლეგენდით: ქ. ღ(მრთისა)ითა შაჰაბაზის ფეხთა მტვერი, ძე მეფე რ ო ს ტ ო მ ი ს ა ვ ა ხ ტ ა ნ გ , ქ ო რ ო ნ - ი კ ო ნ ს ტ მ ვ .

გვიანდელი მინანერი: ქ. ბ ე რ დ ი კ ი ს წყალობის წიგნია.

სპარსული ტექსტი:

1658 წ. 30 აგვისტო – 28 სექტემბერი

هو

حكم عالی شد آنکه بنا بره شفقت عالی در باره رفعت پناهان برتیل بیگ و منوچهر بیگ| تومان اغلیها بموجبی که در ذیل بخط گرجی نوشته شده از ابتداء ششماهه ایت نیل قریه بردیک| من اعمال سمخوت را بتیول مشارالیه و تقا و جمشید و بایندر و گیورگی و سهراب| اولاد و برادران ایشان مقرر و مفوض فرموده ارزانی داشتیم رعایا قریه مزبوره مومی الیهم را تیولدار باستقلال خود دانسته مالوجهات و حقوق دیوانی را | موافق معمول گرجستان بایشان جواب گویند و قضایا سانحه را سوی قضیه خون بایشان رفع نمایند تا موافق حق و حساب پرسش نموده فیصل دهند مستوفی سرکار عالی حسب المسطور در دفتر ثبت و عملنماید چون نشان بمهر عالی رسد اعتماد نمایند تحریرا فی شهر ذی حجه الحرام سنه ۱۰۶۸

ის (ლმერთი)

გამოვიდა მარალი ბრძანება მასზე, რომ სიდიადის საფარველთა ბ ი რ თ ვ ე ლ - ბ ე გ და მ ა ნ უ ჩ ა რ - ბ ე გ თ უ მ ა ნ ი შ ვ ი ლ ე ბ ი ს მიმართ მაღალი წყალობის [მიპყრობის] გამო, იმის საფუძველზე, რომელიც ქვემოთ ქართულად წერია, ძალის წლის ექვსთვეობის დასაწყისიდან, ჩვენ, მოხსენიებულთ და მათ შვილებს და ძმებს: თ ა ყ ა ს , ჯ ე მ შ ი დ ს , 5 ბ ა ი ნ დ უ რ ს , გ ი ო რ გ ი ს ა და ზ უ რ ა ბ ს , თიულად გავუჩინეთ, ჩავაბარეთ და ვუნყალობეთ ს ო მ ხ ი თ ს დამოკიდებული სოფელი ბ ე რ - დ ი კ ი . ხსენებული სოფლის გლეხებმა მოხსენიებული [პირები] თავის სრულუფლებიან თიულდარებად უნდა ცნონ, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი [არ-სებული] წეს-ჩვეულების შესაბამისად, მალუჯათი და სახელმწიფო გა- 10 დასახადი მათ გადასცენ და [სასამართლოს] საქმეები, გარდა სისხლის [სამართლის] საქმეებისა, მათ გადასცენ, რათა სამართლიანობისა და ჭეშმარიტების თანახმად გამოიკითხონ და გადაწყვიტონ ისინი. მაღალი კარის მუსტოუფიმ, დანერილის თანახმად, [ეს ბრძანება] დავთარში შეიტანოს და [მის მიხედვით] იმოქმედოს. როცა ეს ნიშანი მაღალი ბეჭდით იქნება დაბე- 15 ქდილი, დაემორჩილონ მას. დაინერა 1068 წლის ზულ-ჰიჯჯას თვეს.

სპარსული ტექსტის ბოლოს დასმულია როსტომ მეფის სპარსული ბეჭედი. საბუთის verso-ზე მოთავსებულია ორი სპარსული სარეგისტრაციო ბეჭედი: 1. ელიფსური ბეჭედი წარწერით: ۱۰۵۷ با صاحب العصر و الزمان – „ო, საუკუნისა და დროის მფლობელო! 1057* (//1647) ქვეშ სარეგისტრაციო მინაწერი „قلمی شد“ – „დაინერა“; 2. ელიფსური რთული წარწერით, რომელშიც იკითხება სახელი: „گگین“ – გიორგი.

კომენტარი იხ. ხეც, Ad-972-თან.

* ვ. ფუთურძის შენიშვნა: ბეჭდის თარიღი 1056 უდრის 1646-1647 წ. ჩვენი წელთაღრიცხვით.

**16[5]8 წ. 1 ოქტომბერი. ბარიზმის წიგნი როსტომ
მეფისა პაპუნა და ქაიხოსრო ბარათაშვილებისადმი**

დ ე დ ა ნ ი : ხეც, Hd-14419; მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 33,5X20 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთის დაზიანებულნი ადგილები შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით.

პ ი რ ი : ხეც, Hd-7587-6

თ ა რ ი დ ი : საბუთს უზის მცდარი თარიღი: ქორონიკონი ტლვ (336), ღუინობისთვის ა, რაც გვაძლევს 1648 წლის 1 ოქტომბერს. მაგრამ საბუთში როსტომის შვილად ვახტანგის მოხსენიება მიანიშნებს, რომ ქორონიკონში შეცდომაა დაშვებული ერთ ათეულში – ლ-ასის (30) ნაცვლად უნდა ვივარაუდოთ მ-ანი (40), რაც მოგვცემს 1658 წელს.

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი : თაყაიშვილი 1899: გვ. 64-65, №38, დოლიძე 1972: გვ. 88-98, №31.

ქ. ნებიტა და შენეგნითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, ღ(მრ)თივ-გუირ-გუინოსანმა²⁶, მეფეთ-მეფემან, ჳელმნიფემან პატრონმან როსტომ, და თან³ამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმან, პატრონ-მა⁴მ არ ი ა მ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩუენმან, პატრო⁵ნმან ვ ა ხ ტ ა ნ გ, ესე გარდანყვეტილობისა და წყალობისა ნი⁶გნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ე⁷რდგულთა და წესისებრივ მრავალგუარად თავდადებით ნამსახ⁸ურსა ყმასა ბ ა რ ა თ ა შ უ ი ლ ს, ყლიჯყორჩს პ ა პ უ ნ ა ს ა, ქ ა ი ხ ო ს რ ო ს⁹ და თქუენთა შუილთა.

მას ჟამსა, ოდეს თქუენი და ს ა { ა } კ ა ძ ი ს ზ¹⁰უ რ ა ბ ი ს ა თ უ ი ს ნახსენები იყო და საყე¹¹ქნოდ ჩამოვიყუანეთ, ამისთუის, |¹¹რომე ჩუენზედ მრავალი ავი საქმე მოინდომეს და ლალატშ¹²ი გაერივნეს, საყე¹²ქნოდ სხუა ძმა გამოვართუით და, ვითაც ჩუენის¹³ ორგულისა და ლალატში გარეულის ს ა { ა } კ ა ძ ი ს ნახსენები ი¹⁴ყო, იმას წავართუით და ჩუენგან გაზდილს მ ა ჩ ა ბ ე ლ ს ქ უ ა |¹⁵უ ლ ს შევრთევით. ამ საქმითა, რომე, დღეს და დღეის უკან¹⁶ ს ა { ა } კ ა ძ ი ს ნათესავთა და სახლისკაცთა ჳელი აღარა ჰქონდეს¹⁷ და ვერცავინ უსაყუედუროს ეს ჩუენგან გარიგე-ბული¹⁸ და გარდანყუეტილი საქმე.

ანე, გიბ(ძანე)ბთ კარისა ჩუენისა ვექ¹⁹ილ-ვეზირნო და სხუანო მო-საქმენო და წინამდევნო, თქუენ²⁰ცა ასრე გაუთავეთ და ნურა ჳორცმესხ-მული კა²¹ცი ამის საქმეში ნუ გაერევით, რომე ჩუენგან გარიგებ²²ული საქმე არის.

ვინცა და რამანცა კაცმან ამის საქმეში გარე²³ვა მოინ{დ}ომოს, თავ-ადამც რისხავს დაუსაბამო ღ(მერ)თი და ყოე²⁴ლნი მისნი წმიდანი ზეცისა და ქუეყანისანი, ჳორციელნი²⁵ და უჳორცონი.

დაინერა ბძანება და ნიშანი ქ(ორონი)კ(ონ)სა ტლვ, ღ²⁶უინობის-თუის ა.

ხვეული ხელრთვა: |²⁷როსტომ

გვიანდელი მინანურები:

შავი მელნით: ქ. როსტომ მეფის წიგნია ქალის თაობაზე მიცემული.

ყავისფერი მელნით: სა{ა}კაძისა|²⁸თვის გაუშუებინებიათ და
მარბლისათვის მიუცია როსტომ მეფეს.

სა{ა}კაძისა და თქვენში გადანყვეტილობის წიგნი.

კომენტარი იხ. საბუთთან სეა, 1448-80-თან და ხეც, Hd-14601-თან.

286

**1658 წ. წყალობის განახლების წიგნი როსტომ მეფისა
თამაზ წოვანყაფვილისადმი**

დედანი: სეა, 1448-2319, მოყვითალო ფერის ქაღალდი, ზომა: 25X18 სმ., შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი და სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; საბუთს კიდევები აქვს დაზიანებული, მარჯვენა კიდეზე ალაგ-ალაგ დაკარგულია გრაფემების ნაწილი. შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. საბუთი ქართულ-სპარსულია.

თარიღი: ქორონიკონი ტმმ (346), რაც უდრის 1658 წელს.

საბუთის დამწერი: მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

გამოცემა: ფუთურიძე, 1955: გვ.278-281, N120.

ქ. ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, ღ(მრ)თივ გუირ-გუინოსანმან, მეფეთ-მე²ფემან, ჴელმწიფემან პატრონმან როსტომ, და თანამეცხედრემან ჩუენმან, დე³ლოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარია მ, პირმშომან და სასურველმან ძემა⁴ნ ჩუენმან, პატრონმან ვახტანგ, ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელ⁵ნი წყალობისა წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ, ჩუენთა ე⁶რდგულთა ყმასა, ნოვანშაშვილს მამასახლის თამაზასა, ძმასა შენს⁷ას ღამაზასა, ბაირამსა, შვილთა: რევაზასა, ნოვანშასა და მამავალთა სახლისა თქუე⁸ნისათა ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგუიდეგით კარსა და ჩუენთ მამა-პაპათაგან⁹ ბოძებულის გლეხების წიგნის გა{ა}ხლებას დაგუიაჯენით, ჩუენცა ვის-მინეთ აჯა და მოხსენ¹⁰ება თქუენი და დაგიმკუიდრეთ და გიბოძეთ შუ-ღავერს ყულია ტერუნაშვილი, ყარახა¹¹ნა, მანგია აიგუნაშუილე ბი დაბაღდადაშვილები, უჴანაშუილი გულაზიზა, ¹²ყოჩია და ვათია, მურადაშუილი ვართანა, ჴაცთუხაშვილები, აფრიამაშ¹³უილები,

[ი]ს ი ვ კ ა კ ო ზ ა შ უ ი ლ ე ბ ი , შ ა დ ი კ ა ს ო ფ ე ლ შ ი მ ი ტ ი რ ა -
შ უ ი ლ ე ბ ი , ა მ ი რ ა შ |¹⁴ უ ი ლ ე ბ ი , უ ჰ ა ნ ა შ უ ი ლ ე ბ ი , თ ქ ვ ე -
ნი ვ ე ნ ა ჯ ე ბ ი , მ ი ნ ა - წყ ა ლ ი , ვ ე ნ ა ჯ ე ბ ს ზ ე და თ ა ხ ა ლ |¹⁵ შ ე ნ ი , დ ლ ე ს რ ის ა ც
მ ა მ უ ლ ის მ ქ ო ნ ე ბ ე ლ ი ი ყ უ ნ ე თ მ თ ი თ - ბ ა რ ა მ დ ი , - ყ ო ვ ლ ის მ ის ის [ს] |¹⁶ ა მ ა რ -
თ ლ ი ა ნ ის სა ქ მ ი თ ა და სამ ძ ლ უ რ ი თ ა , თ ქ უ ე ნ თ უ ის და თ ქ უ ე ნ თ ა შ უ ი ლ თ ა თ უ -
ის გ უ ი ბ ო |¹⁷ ძ ე ბ ი ა , სა მ კ უ ი დ რ ო დ და სა ბ ო ლ ო {ო} დ , და ა რ ა ო დ ე ს ა რ მ ო გ ე შ ა -
ლ ო ს ა რ ა რ უ ე ნ გ ა |¹⁸ ნ და ა რ ა ს ხ უ ა თ ა მ ე ჰ ა ტ რ ო ნ ე თ ა გ ა ნ .

ანე, გიბ(ძანე)ბთ კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირ|¹⁹ო და სხუანო მო-
საქმენო, თქუენცა ასრე გაუთავეთ და ნურაოდეს ნუ [მოუ]|²⁰შლით და
შე[ე]ცილებით, თუინიერ შენევენისა და თანადგომისაგან კიდე.

და|²¹ინერა ბ(ძანე)ბა ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტმვ, ჴელითა კარისა ჩუენი-
სა მდივანმნიგნ|²²ობრის თუ მ ა ნ ი შ უ ი ლ ის ბ ი რ თ უ ე ლ ის ი თ ა .

ორი მრგვალი ბეჭედი ლეგენდებით: ||²³ რ ო ს ტ ო მ , ვ ა ხ ტ ა ნ გ .

verso-ზე მინანერება: |²⁵ ქ . ის ჴელმნი{ფი}ს ბძანება ჩუენ, მელიქს ყ ო რ -
ბ მ ა ზ ე გ ს |²⁴ და ჩუენს შვილთა, ასე დაგუიმტკიცებია.

ქ. ყმის წიგნი არის.

ოთხკუთხა და ოვალური სპარსული ბეჭდები.

სპარსული ტექსტი:

هو

حکم عالی شد آنکه بمجبی که در ذیل بخط گرجی نوشته شده از ابتداء | نهماهه ایت نیل ر عایا و باغات و
محل زراعت معلومه واقعه در قری شوله ویر | و شادی کندی بر موجبی که در تصرف طماز کدخداء
شولهوری |
قریه شوله ویر

قریه شادی کندی

رسد ... بال

قلیه دیراونه شولی قراخان
منکی ولد هایکون بغدادشولی
اوهانه شولی گولاسوز قوچیه
واطیه و رطانه هاسعده شولی

اپرامه شولی سیاو کاکوزه شولی ... میدیچه [شولی] امیره شولی اوهانه شولی
و اخوان او نیز بمومی الیه و اسلمس و بیرام برادران و ریواس و زوقانشاء اولاد |
او شفقت و مرحمت فرمود ارزانی داشتیم موسیقی سر کار عالی حسب المسطور |
مقرر دانسته در دفتر ثبت و عملنماید و چون نشان بهر عالی رسد اعتماد و |
اعتبار نمایند تحریرا فی شهر رمضان المبارک سنه ۱۰۶۸ [۱۰]

ის (ღმერთი)

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზედ, რომ ქვემოთ, ქართულად დან-
ერილის საფუძველზე, ძალის წლის ცხრათვეობის დასაწყისიდან ჩვენ
ვუნყალობეთ და ვუბოძეთ სოფლებს შ უ ლ ა ვ ე რ ს ა და შ ა დ ი ქ ე ნ დ -
შ ი მ დ ე ბ ა რ ე ვ ე ნ ა ხ ე ბ ი , სა ხ ნ ა ვ -ს ა თ ე ს ი მ ი ნ ე ბ ი და გ ლ ე ხ ე ბ ი ი მ სა ფ უ ძ ვ ე ლ -
ზე, როგორადაც ისინი წინათ შ ა უ ლ ა ვ ე რ ის ქ ე თ ხ უ და ს თ ა მ ა ზ ი -

სა და მისი ძმების მფლობელობაში იყვნენ. ხსენებულ [თ ა მ ა ზ ს] და
ა ს ლ ა მ ა ზ ს და ბ ა ი რ ა მ ს , მის ძმებს და შვილებს რ ე ვ ა ზ ს და ნ ო -
ვ ა ნ შ ა ს : სოფელ შ უ ლ ა ვ ე რ შ ი – ყ უ ლ ი ა ტ ე რ უ ნ ა შ ვ ი ლ ი ყ ა -
რ ა ხ ა ნ ა , მ ე ნ გ ი ა ა ი გ უ ნ ა ს - შ ვ ი ლ ი , ბ ა ლ და და შ ვ ი ლ ი , 5
უ ჰ ა ნ ა შ ვ ი ლ ი გ უ ლ ა ს უ ზ ა , ყ ო რ ი ა , ვ ა თ ი ა , ვ ა რ თ ა ნ ა
ჰ ა ს ა და შ ვ ი ლ ი , ა ფ რ ი მ ა შ ვ ი ლ ი ს ი ა ვ , ქ ა კ უ ზ ა შ ვ ი ლ ი .
სოფელ შ ა დ ი ქ ე ნ დ შ ი – მ ი ტ ი რ ა [შ ვ ი ლ ი] , ა მ ი რ ა შ ვ ი ლ ი ,
უ ჰ ა ნ ა შ ვ ი ლ ი . მაღალი კარის მუსტოფი დანერილის თანახმად დად-
გენილად ცნობს რა [ამას], დავთარში შეიტანს და [ამის მიხედვით] იმოქ- 10
მედებს. და როცა ეს საბუთი დაბეჭდილი იქნება მაღალი ბეჭდით, ენდნონ
და დაემორჩილონ მას. დაინერა კუთხეული რამაზანის თვეს, [10]68 წ.

საბუთის დაზიანების გამო არ ჩანს როსტომ მეფის ბეჭედი. საბუთის ver-
so-ზე დასმულია ოვალური ფორმის სპარსული სარეგისტრაციო ბეჭედი, ლეგ-
ენდით *الزمان والعصر* : – „ო, საუკუნისა და დროის მფლობელო!“ მის
ქვემოთ არის მინანერი: *قلمی شد* – დაინერა.

287

1658 წ. წყალბოს ბანახლების წიგნი როსტომ მეფისა ყაფლან ბარათაშვილისადმი

პ ი რ ი : სეა, 1450-15/100; გადაწერილი დედნიდან რუსული მმართველო-
ბის პირების დავთარში. საბუთი წარდგენილია რუსული მმართველობის
რეგისტრაციაში 1817 წლის 12 აპრილს, გატარებულია რეგისტრაციაში 1820
წლის 6 მარტს, ნომრით: №83. საბუთი ორენოვანია, ქართულ-სპარსული.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმვ (346), რაც უდრის 1658 წელს.

საბუთის და მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთველ თუმანიშვილი.

გ ა მ ო ც ე მ ა : ფუთურიძე, 1955: გვ.276-277, № 119.

[ქ.] ნებითა და შეწვევითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, ღ(მრ)თივ-გვირგვი-
ნოსანმან, ორისავე ტახტისა და საბატონოს მპყრობელ-მქონებელმა,
მეფეთ-მეფემან, ხელმწიფემან პატრონმან როსტომ, და თანამეცხ-
ედრემან ჩუენმან, დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მ ა რ ი ა მ ,
პირმშომან და ძემან ჩუენმან, პატრონმან ვ ა ხ ტ ა ნ გ , ესე უკუნისამდე 5
ჟამთა და ხანთა გასათავებელი, მტკიცე და უცვალებელი სამკუიდრო და
საბოლოდ მოუშლელი წიგნი და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქუენ,
ჩუენთა ერდგულთა და ნესისაებრ თავდადებით ნამსახურთა, ჩუენის მორ-
ჭმა-გადიდებისათვის დიდათ მომჭირნეთა და ძალის მიმცემთა ყმათა: სახ- 10
ლისუხუცეს პატრონს ბ ა რ ა თ ა შ უ ი ლ თ ა ყ ა ფ ლ ა ნ ს , შუილთა
თქუენთა: – პ ა პ უ ნ ა ს ა , ა ს ლ ა ნ ს , ვ ა ხ ტ ა ნ გ ს , თ ა მ ა { ზ }
ს , გ ი ო რ გ ი ს და თქუენს ბიძაშუილთა: გ ი ო რ გ ი ს , ბ ე ჟ ა ნ ს ,

ერასტის, გივსა და მომავალთა სახლისა თქუენისა, – ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და ჩუენთ მამა-პაპათაგან
გარიგებულისა და ნაბოძარის სიგლის გაქახლებას დაგვიაჯენით, ჩვენცა
5 მოკითხული ვქენით და, რომელიც ტაშირის სოფლები საბარათა-
შუილო ყოფილა და თქუენი სამკუიდრო და ჩუენით ჩამომავალთაგან
სიგელში სახელდობით გინერიათ, – ყოვლითურ უკლებრივ თქუენთუის და
თქუენთა შუილთათუის გვიბოძებია სამკუიდროდ და საბოლოოდ, ამ ნესი-
10 თა, რომე არა კაცი არ შემოგაცილოთ და არც ვის დავანებოთ უთქუენოს კაც-
სა. ყოვლის სამართლიანის საქმითა და საზღურით ასე დაგვიმკუიდრებია.

{გ}ქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თ(მან) ჩვენსა ერდგულად სამსახ-
ურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად სხ-
უათა მეფეთა და მეპატრონეთაგან.

ანე, გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და სხუანო მოსაქმე-
15 ნო, ვინცა-ვინ იყუნეთ და ანუ დღეის წაღმა იქნებოდეთ, თქუენცა ასრე
გაუთავეთ, და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შექცილებით, თუნიერ შენ-
ვენისა და თანადგომისაგან კიდე.

დაინერა ბძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სტმვ, ხელითა კარისა ჩუენი-
სა მდივან-მწიგნობრის თუ მანიშვილის ბირთუელი სითა .

20 დედანს ესვა ორი ბეჭედი.

პირის სარეგისტრაციო მინაწერები:

ასლიდამ თანასწორ არს ჩაწერილი, სოვეტნიკი, თა(ვადი) თეიმურაზ
ბაგრატიოვანი .

სოვეტნიკი, თა(ვადი) დიმიტრი თარხანოვი .

ასლიწერილი მივიღე, თა(ვადი) ზურაბ ორბელიანოვი .

თა(ვადი) ასლან ორბელიანოვი .

თა(ვადი) ილუარსაზ ორბელიანი .

თა(ვადი) კოსტანტილე ორბელიანოვი .

თა(ვადი) იაკობ ორბელიანი .

თა(ვადი) ისამარაღდან ორბელიანოვი .

სპარსული ტექსტი:

حکم عالی شد آنکه بمجیبی که در ذیل بخط گرجی نوشته شده بر نهج |
حکم عالی که قبل از این موقوف کشته قری محدوده طاشر نام محلی من

براته ایلی را که حسب الارقام و الاحکام ابا و اجداد نواب عالی تیول ابا و اجداد |
رفعت پناه قپلان بیگ و یوتم بیگ مفوظ بوده بدستور برفعت پناه مشارالیه و |
اصلان بیگ و بابونه بیگ و غیر اولاد او و بیجن بیگ و گيو بیگ و غیره |
اولاد یوتم بیگ شفقت و مرحمت فرموده ارزانی داشتیم مستوفی سرکار عالی حسب |
المسطور در دفتر ثبت و عمل نماید چون نشان بمهر عالی رسد اعتماد نماید |
تحریرا فی شهر رمضان المبارک سنه ۱۰۹۸

محل مهر رستم خان قلمی شد رمان گرگین

გამოვიდა მაღალი ბრძანება მასზედ, რომ ქვემოთ ქართულად დანერ-
ილის საფუძველზე, ამას წინათ დანერილი მაღალი ბრძანების მიხედვით
ს ა ბ ა რ ა თ ი ა ნ ო ს ა დ მ ი დამოკიდებულ და ტ ა შ ი რ ა დ ნოდებულ
ადგილზე მდებარე სოფლები, რომლებიც მისი უმაღლესობის წინაპარ- 5
თა რაყამებისა და ბრძანებულებათა თანახმად, სიდიადის თავშესაფარის
ყ ა ფ ლ ა ნ ბეგისა და ი ო თ ა მ ბეგის მამა-პაპათათვის იყო თიულად ბო-
ძებული, ჩვენ წესისამებრ, ხსენებული სიდიადის საფარველს [ყ ა ფ ლ ა ნ
ბეგსა] და ა ს ლ ა ნ ბეგს, პ ა პ უ ნ ა ბეგსა და მის სხვა შვილებს, ბ ე ყ ა ნ
ბეგს, გ ი ვ ი ბეგსა და ი ო თ ა მ ბეგის სხვა შვილებს ვუნყალობეთ და
ვუბოძეთ. მაღალი კარის მუსტოუფიმ დანერილის თანახმად დავთარში 10
ჩანეროს ეს და [ამის მიხედვით] იმოქმედოს. როცა [ეს] ნიშანი მაღალი ბე-
ჭდით აღიჭურვება, დაემორჩილონ მას. დაინერა 1098 წლის კურთხეული
რამაზანის თვეში.*

კომენტარი იხ. საბუთთან; ხეც, Hd-1919.

288

1658 წ. წყალობის წიგნი როსტომ მეფისა ყილიჯიორს პაპუნა პარათაშვილისადმი

პ ი რ ი: ხეც, Hd-4153; გადაწერილია XIX საუკუნეში 1 ფრ. დასაწყისში
გადამწერის ხელით ფანქრით მიწერილია: „წყალობის წიგნი როსტომ მე-
ფისა მიცემული პაპუნა ორბელიანისადმი. ამ წიგნისა პირი გვაქვს ხელში
ლურჯ ქაღალდზე დაწერილი, ნიშნებად იხმარება ორ-ორი წერტილი“.

თ ა რ ი დ ი: ქორონიკონი ტმპ (346), რაც უდრის 1658 წელს.

გ ა მ ო ც ე მ ა: თაყაიშვილი 1899: გვ. 424-425, №355.

ქ. ნებითა და შენევნითა ღ(მრ)თისათა, ჩვენ, ღ(მრ)თივ-გვირგვი-
ნოსანმან და ორისავ ტახტისა და საბატონოს მპყრობელ-მქონებელმან,
მეფეთ-მეფემან, ჴელმწიფემან პატრონმან როსტომ, და თანამეცხ- 5
ედრემან ჩვენმან, დედოფალთ-დედოფალმან, პატრონმან მ ა რ ი ა მ,
პირმშომან და სასურველმან ძემან ჩვენმან, პატრონმან ვ ა ხ ტ ა ნ გ,
ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი, სამკვიდრო და საბოლო-
ვო, მტკიცე და უცვალებელი წყალობისა და სითარხნისა წიგნი და ნიშანი
შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენთა ერდგულთა და წესისაებრ, თა-
ვდადებით მრავალფერად ნამსახურსა ყმათა ბ ა რ ა თ ა შ უ ლ ს, ჩვენს 10
ყ(ი)ლიჯყორჩსა პ ა პ უ ნ ა ს ა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენ-
სათა, – ყოველთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და თქუენის ნამსახურობის სამუქ-
ფოდ, ე ნ ა გ ე თ ს თქვენს მკვიდრსა მამულს დაგუეაჯენით და თქვენის

* ვ. ფუთურძის შენიშვნა: გადამწერს 1098 არასწორად აქვს ამოკითხული. პიჯრის
1098 წელი ემთხვევა ქრისტიანული წელთაღრიცხვის 1687 წელს

სასახლის ა მ ლ ი ვ ი ს გათარხნებასა. ჩვენცა ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ, ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გიბოძეთ ე ნ ა გ ე თ ს ფ ე რ ი ა შ ვ ი ლ ი ს ა და მ ი რ ა ქ ა ს მამული, ზედ მსახლობელის და ვ რ ე შ ა თ ი და მისის დისწულის თ ა მ ა ზ ა თ ი , დღეს რისაც მქონებელნი იყვნენ, მითთ ბარამდისინ. ესენი დაგიმკვიდრეთ და თქუენი სასახლე ა მ ლ ი ვ ი ც ა სრე გითარხნეთ, რომ არაფრისთანა საჩვენო სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოებოდეს-რა: არა კოდის პური, არა საბალახე, არა პირის თავი, არა ნახირის თავი, არა სეფობა, არა ქეშიკი, არაფრისთანა არა ეთხოებოდეს-რა, ერთის სათათროს საურისა და ლაშქარ-ნადირობისაგან კიდე, ამ წესით, რომე ბაზიერს დაეჭიროს ქორისთვის, ერთი ქათამიც ვერ აიყუანოს.

{გ}ქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა)ნ ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა და არაოდეს არ მოგეშალოს, არა ჩვენგან და არა სხვათა შემდგომად მეფეთა და მეპატრონეთაგან.

ანე, გიბ(რძანე)ბთ, კარისა ჩუენისა ვექილ-ვეზირნო და სხვუანო მოსაქმენო, ვინცა-ვინ იყუნეთ და ანუ დღეის წალმა იქნებოდეთ, თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ, რარიგადაც ამა ჩუენგან ნაწყალობევსა ფარვანში ეწეროს და ნურაოდეს ნუ მოუშლით და შეეცილებით, თვინიერ შეწევნისა და თანადგომისაგან კიდე.

დაინერა ბ(რძანე)ბა და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)ს ტმვ, ჴელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრის თ უ მ ა ნ ი შ უ ი ლ ი ს ბ ი რ თ უ ე ლ ი ს ა თ ა .

ხელრთვები: რო ს ტ ო მ , ვ ა ხ ტ ა ნ გ .

კომენტარი იხ. საბუთთან: ხეც, Hd-14601.

289

1658 წ. შიჭირულუბის წიგნი როსტომ მეფისა სვეტიცხოვლისადმი

პ ი რ ი : ხეც, Sd-2975; გადაწერილი დიმიტრი ბაქრაძის მიერ, ქართულ-სპარსული. დასაწყისში მიწერილია საბუთისავე ხელით: „თავზე თათრული აწერია და ბეჭდებიც უსხედს სპარსული“.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონი ტმვ (346), რაც უდრის 1658 წელს.

პ ი რ ი : E73-39, 76b-80a; 1449-1798

გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი : Акты, IV, ч. II, стр.772; ქორდანია 1897: გვ. 472-473 (შემოკლებით); с. какабадзе, ГДИНА, 1967, #63, с.174 (აღწერილობა).

ქ. პირველიდგან მყოფო ღმერთო და მარადის თანაარსო და არსებით ძეო და სიტყვაო, მამისა უწინარესო ჟამთაო, ღმერთო მამაო, ღმერთო ძეო და ღმერთო სულო წმინდაო; არა სამნო ღმერთნო, არამედ პირებით განყ-

ოფილო და ბუნებით შეყოფილო და ღმრთაებრ განუყოფელო ერთო ღმერთო, რომელი აღსასრულსა ჟამთასა მოხვედ შემოსად თბისა ადამიანისა, განჰკაცენ და იშეე ღვთაებაუქცეველად ორითა ბუნებითა, და ივნე უვნებელმან ხსნისათვის ნათესავისა კაცთასა; და აღადგინე პირველდაცემული მამა ჩვენი და თანააღადგინე ბუნება ჩვენი მოკვდავი, რათამცა ურჩინცა 5 სამკვიდრებელ შენდა ვიყვნეთ და ურწმუნონი მორწმუნე გუყვენ; ეჰა, სახიერებასა შენსა, რომელმან უმჯობესი წინასწარ განიგულე ჩვენთვის და მოგვეც ჯვარი შენი უძლეველი საძლეველი და ყოვლად ძლიერი საყდარი დიდებისა შენისა;

ეჰა, საყდარო კათოლიკე ეკკლესიო, უდიდებულესო და უაღმატებულესო ა დ ა მ ი ს ი თ გ ა ნ , ვიდრე მოაქამომდე ყოველთა და ვიდრე აღსასრულადმდე ყოფილთა და ყოფადთა საყდართა და ეკკლესიათაო, დიდებო სიმტკიცეო, სიქადულო სოფლისაო და გვირგვინო მორწმუნეთაო, რომელი იდიდები ანგელოზთაგან, შეიმკვები მოციქულთაგან, იკურთხევი მღვდელთ-მოდღვართაგან და თაყვანისიციემები მონამეთაგან; 10 და საშუალ გიპყრიეს და გარე შეგიცავს სასო და მარადის მადიდებელი ცხოვრებისა!

ეჰა, სვეტო ღვთივდიდებულო და ღვთივბრწყინვალეო, სიმტკიცეო და სიქადულო ქართველთა ნათესავისაო და ძლიერებო მეფეთაო, რომელი აღყვანებულ იქმენ ზეცად ანგელოზთა მიერ და კვალად გამოგვიჩნდი მსხდომარეთა ბნელსა და დაემყარე შორის ცასა და ქვეყანასა, და იწყევ დენად მირონსა ამას ღმერთ-ყოფელსა, რომლისა მიერ განქარდეს და დაეცნეს და შეიმუსრნეს და განიბნივნეს ყოველნი საძაგელნი და ბილნი კერპნი არმა-ზადენისნი, და მოოხრდა ყოველი შენებულება მათი, დაიქცეს და იავარ-იქმენს ყოველნი ბომონნი, საზორველნი და სამსახურებელნი მათნი 20 და აღეშენენ მათ ნილ სახლნი ღვთისანი, ტაძარი დიდებისა და საყდარნი სამეფონი, რომელსა შინა მკვიდრ არს კვართი საუფლო, ზეგარდამო ქსოვილი, შედებული სისხლითა მით საუფლოთა, რომლისა მიერ განამტკიცნა სჯული, და განათლდეს ყოველი ადამიანი და მხიარულ არს ყოველი სოფელი და განთავისუფლდეს ტყვენი და განისხნეს კრულნი და ვინმე 30 მიუთხრას და ანუ სასმენელ ჰყვენეს ქებულებანი შენნი!

მე, მინდობილმან და მოქენემან შენვენათა და ცვა-ფარვათა თქვენთამან, თქვენ ძლით მპყრობელმან მეფობისამან, ი ე ს ე - დ ა ვ ი თ - ს ო ლ - ო მ ა ნ - ბ ა გ რ ა ტ ო ნ ი ა ნ მ ა ნ , ნებითა ღვთისათა, ა ფ ხ ა ზ თ ა , ქ ა - რ თ ვ ე ლ თ ა , რ ა ნ თ ა , კ ა ხ თ ა და ს ო მ ე ხ თ ა , შ ა რ ვ ა ნ შ ე 35 და შ ა [ჰ ა] ნ შ ე და ყოვლისა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისა სამანთა კედართა თვითფლობით ჴელმწიფედ მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთ-მეფემან პატრონმან რ ო ს ტ ო მ , თანამეცხედრემან ჩვენმან, დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მ ა რ ი ა მ , და ძეთა ჩვენთა, პ ა - ტ რ ო ნ მ ა ნ ვ ა ხ ტ ა ნ გ , და სახლისა ჩვენისა მომავალთა, – ყოველთავე. 40

ჴელგყავ და გულსმოდგინედ ვინყევ ძიებად, რათამცა მცირედითა რათამე და უნივთოთა ნაღვანითა მემსახურა ჩვენისა განმადლიერებელისა და მცველ-მფარველისა, დიდისა და ცათა

მოზაძავისა, მეორედ იერუსალიმისა, დედაქალაქისა მცხეთისა წმინდისა, სამოციქულოსა საპატრიარქოსა ეკკლესიისა და მას შინა ღვთივ-აღმართებულისა სვეტისა ცხოველისა, კვართისა სამეუფოსა და მირონისა ღმერთ-მყოფელისათვის. პირველიდგან ჩვენს ჩამომავალ-
5 თა ჴელმწიფეთაგან მეტეხთა ღვთისმშობელი ძველთაგან მეტოქად და მისი შეწირული სოფელი კრწანისის სვეტის ცხოველს შემოსწიროდა და ცოტას ხანს ჟამთა ვითარებისაგან მოშლოდა. ახლა მოგვიდევით კარსა თქვენ, საქართველოს პატრიარქი-კათალიკოზი, პატრონი ქრისტეფორე და გვეაჯენით.

10 ჩვენცა ხელახლად, ჩვენ სადღეგრძელოდ და მეფობისა ჩვენისა წარსამართებლად ვკადრეთ და შემოვწირეთ მეტეხთა ღვთისმშობლის საყდარი და მისი შეწირული სოფელი კრწანისი, მისის სამართლიანის საქმითა: მითთა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა და ვენახითა შენითა და ოხერთა, საძებრითა და უძებრითა, ყოვლითურთ უნაკლულოდ.
15 კიდევცა ამ წესით გვითარხნებია, რომე არაფერი საჩვენოს სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოვბოდეს-რა და არა საციხო, თვინიერ სათათროს საურისა და ლაშქრობა-ნადირობისაგან კიდე, არა ჟამისა გამოცვლილობისათვის არა შეიცვალოს არა ჩვენგან და არა შემდგომად ჩვენსა მომავალთა მეფეთა და დედოფალთაგან, და არას ნათესავი კაცისა და დედაკაცისაგან.

20 ვინც და რამანცა კაცმან, ანუ მძლავრმან მძლავრებით, ანუ [უ]ქ[უ]ედ[ა] ესმან რჩომისათვის შეცვალოს და ჴელჴყოს ამისად შლად, ქცევად და გამოხვებად, ანუ ვინ იურვოს, ანუ მოციქულად შექნას, ანუ რასაცა მიზეზისა შემოღებითა გამოსწიროს და გამოახოს ცათა მოზაძავსა კათოლიკეთ ეკკლესიათა მცხეთისა საყდარსა ესე ჩვენგან შეწირული მამული, ვინცა გამოსწიროს და მოუშალოს, რისხავსმცა დაუსაბამო ღმერთი, მამა, ძე და სული წმინდა, შე-მცა-იცვლების რჯულისაგან ქრისტეანეთასა. უკეთუ მეფემან შესცვალოს, მეუფეო მეფეთაო, შენ, იგი შესცვალე დიდებისაგან შენისა; უკეთუ დედოფალმან შესცვალოს, დედოფალო დაბადებულთა, შენ
30 იგი შესცვალე დიდებისაგან შენისა; ვინცა და რამანცა კაცმან მოიგონოს, ანუ თუ საქმით ისაქმოს, ანუ თუ თვით თავისათვის, ანუ სხვათათვის, აღიხოცენ და მოისპენ ქვეყნით სახსენებელი მათი. კრულმცა არის ცათა შინა და ქვეყანასა ზედა, შე-მცა-ედების კეთრი გეზისა, ძრწოლა კაენისა, შიშთვილი იუდასი, მეხდატეხილობა დიოსკოროესი, დანთქმა
35 და თან [და] აბირონისი, [ნ] ისტორს და ორიგენისთანამც არის სამკვიდრებელი მისი; მას ზედამცა დაესრულების ხმა იგი ჴვარის მცემელთა, რომელთა თქვეს, ვითარმედ: “სისხლი მაგისი ჩვენ ზედა და შვილთა ჩვენთა ზედა.”* და ვინცა დაამტკიცოს, ღმერთმან ყოველივე მისი გაგებული მტკიცე ჴყოს.

40 დაინერა ბძანება და ნიშანი ესე ქორონიკონსა ტმვ, ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის თუმანიშვილის გიორგისათა.

ქ. ამის მოურაობა და შინდის {ს} ჴანყელაშვილი თავის

* მათე, 27:25

მამულით, რისაც დღეს მქონებელია სა[ხ]ლთხუცის მ ა ლ ა დ ი ს სა[ხ]ლთხუცეს პ ა პ უ ა ს ა თ ვ ი ს გვიბოძებია სამკვიდროდ და საბოლოოდ არას კაცს ამასთან ხელი არა აქვს.

დედანზე დასმული იყო ორი ბეჭედი ლეგენდით: რ ო ს ტ ო მ

290

[1658 წ.] შაჰიზულუბის წიგნი მთავარპისკოპოს ნიკოლოზ ჩხეიძისა ნიტრიის ღმრთისმშობლისაჟმ

პ ი რ ი: სეა, 1449-1935, გადაწერილია თეთრი ფერის, ერთმანეთზე გადაბმულ ოთხ ქადაღდის ფურცელზე. თავში მიწერილია დედნის ზომა 49,5X25,5 სმ. და საადრიცხვო ნომერი: №2. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ;

თ ა რ ი დ ი: საბუთი უთარილოა. გამოცემაში იგი დათარიღებულია 1658 წლით, დასაბუთებისათვის იხ. კომენტარი N2.

ქ. სახელითა სახიერისა, არსება-დაუსაბამოსა, დაუსრულებელისა, ძალ-განუზომელისა, ძლიერება-მოუწყენებელისა, უნივთოსა, უ{ს}რულოსა, ურაბამოსა, ყოველთა არსისა და თუით არავისგან [თ]ანაარსისა ღ(მრ)თისა, მამისა, ძისა და სულის წმიდისათა.

თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ყოვლად წმიდისა, ყოვლად უბინოსა და ბინ-შეუხებელისა დედოფლისა ჩუენისა, ღ(მრ)თისმ-შობელისა, უხნნელისა და უმეტესად კურთხეულისა მ ა რ ი ა მ ი ს ა თ ; ძალითა და ძლიერებითა, და მინდობითა პატიოსნისა და ცხოველმყოფელის ჯუარისათა, რომელსა ზედან განიპყრნა უხნნელნი მკლავნი თუისნი ქ რ ი ს ტ ე მ ა ნ , მეუფემან ღ(მერ)თმან ჩუენმან, ხსნისა ჩუენისისა.

ამისითა თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა ზეცისა ძალითა, და ქუეყანისა ანგელოზთა და მთავარანგელოზთა მ ი ქ ა ე ლ და გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ა თ ა ; ოთხთა თავთა მახარებელთა: მ ა თ ე , მ ა რ - კ ო ზ , ლ უ კ ა და ი ო ვ ა ნ ე ს ი თ ა , ათორთა მოციქულთა, მონამეთა და მონამეთა მთავართა: ს ტ ე ფ ა ნ ე , გ ი ო რ გ ი , დ ი მ ი ტ რ ი , პ რ ო კ ო პ ი , და სხუათა მონამეთა, მათ უბინოთა ქალწულთა: ი რ ი ნ ა , მ ა რ ი ნ ა , თ ე კ ლ ა და ე კ ა ტ ი რ ი ნ ა და სხუათა ქალწულთა, რომელნი თავი თუისი განირეს გზათა სამეუფოთა, მესუეტეთა, მეუდაბნოეთა, შიშუელ-მართალთა, განდგომილთა და, რანიცა წმიდანი დიდსა საუფლოსა სუინაქსარშიგან სწერიან, და ანუ მოიხსენებიან.

ამა ყოველთა წმიდათა ღ(მრ)თისათა თავდებობითა, მინდობითა და შუამდგომლობითა, ჩუენ, ღ(მრ)თის მიერ მინდობილმან, სასწაულითა მისითა კურთხევით კურთხეულმან, ქ ა რ თ ლ ი ს ა და დედაქალაქისა მთავარებისკოპოზმან, ჩ ხ ე ი ძ ე მ ა ნ , პატრონმან ნ ი კ ო ლ ო ზ , ესე

უკუნისამდის ჟამთა და ხანთა გასათავებელი წიგნი და გუჯარი გკადრეთ და მოგახსენეთ თქუენ, საშინელო და ყოველთა ქრისტიანეთა შესავედრებელო და მხსნელად მათად გამოჩენილო, ყოვლად უბინოვო დედაო ღ(მრ)თისაო, იტრიისა სიონთა ღ(მრ)თის მშობელო, თუით-მინ-
5 დობილმან შენმან მთავარებისკოპოზმან ჩხეიძემან, პატრონმან ნიკოლოზ, ძმამან ჩემქმან პატრონმა ბეჟან, და ძმისწულმა ჩემმან ქაიხოსროვ, და მომავალთა სახლისა ჩუენისამან.

ასრე და ამა პირსა ზედან, რომე, ვითა{რ}ცა დიდთა მეფეთა ტაძარი, წმიდა ესე თქუენი და შესავალი თქუენი ალაგები მოგუცეს და მოგუი-
10 ბოძეს, ჟამთა ვითარებისაგან და მ[დ]ევარის კაცისაგან საბძანისი ალაგი თქუენი დიად, დანგრეულ-დაქცეულიყო, შეწევნითა ღ(მრ)თისა{ა}ითა და ძლიერებითა შენითა, რაცა ოდენ ძალ-გუედვა, აღვაშენეთ ს[ან]დო და მონარღუევი თქუენი სამრეკლო სენაკები და გალავანი და სხუა, რომელიცა აკლდა, ავაშენეთ და შევამკევით [ბრ]წყინვა[ლ]ესა სახელსა შენ-
15 სა ზედან, და ამათგან, ესოდენ ჭირნი ვნახეთ. ესეცა მოვინდომეთ, რომე ჩუენგან გლეხიცა შემატებ{ოდა} და შესწირვოდა. ამისთუის, ჩუენის დიდის ქრთამითა, მირთმევითა და შეხუენნითა, მეფესა როსტომს ხუთი კომლი ჩუმათელი ძე შემოვანირვინეთ და მტკიცე და შეუცილებელი ძეგლი და სიგელიცა დავადებინეთ.

აგრევე, ვითაცა ტაძარსა პატიოსანსა თქუენსა ესე შეწირული გლეხ-
20 ები ახლო {ე}ყო და სამსახურს ვერ მოშორდებოდენ, ამისთუის ამათგან დასადები აღარა დავადევით- რა თავ-თავის ბეგრის მეტი, და ნიფას ერთი გლეხი – მამულზე მცირედ იყუნენ – ლომსაძენი, პატა-
25 შუილები თევდორა და ლონია და მათი შუილი ზეროაი და პაატა. და ტაძარსა თქუენსა წინა სანთელი მცირედ იყო, ამისთუის ჩუენად სადღეგძელოდ სულისა ჩუენისა სახსრადა, საოხად და ცოდვისა ჩუენისა გასაქარვებლად, ამა ლომსაძესა დავადევით თქუენს წინ მო-
30 სადებლად წელიწადში სამი ჩარექი სანთელი, და ორს შაურს დეკანოზს ჟამს აწირვინებდეს და იმისთუის მისცემდეს.

ანე, ვინცა და რამანც კაცმან, ანუ მეფემან და დედოფალმან, ანუ კ(ათალიკო)ზმან და ეფისკაპოზმან, ანუ წინამძღუარმან, ანუ დიდმან და ანუ მცირემან, ესე ჩუენგან შეწირული სამი ჩარექი სანთელი, თორმე-
35 ტი პური და ნახევარი კოკა ლუინო, მისართმელად და მისატანად შეშა-
ლოს, მასმცა ედების შიშთუილი იუდასი, ძრწოლა კაენისა, [დანთქმა] და თან და აბირონისა, და მასმცა მეორედ მოსულას ჩუენისამც ცოდვით განი|კითხ[ოს...]რიგებს, თევდოროზას დღეს მიიტანდეს.
დაინერა წიგნი ესე [ქორონიკონსა... თუესა... ჴელითა...]

ხელრთვა ხვეულად: ნიკოლოზ ჩხეიძე.

კომენტარები:

1. ბეჟან ჩხეიძე – კომენტარი იხ. საბუთთან: სვა, 1450-35/92
2. ნიკოლოზ ჩხეიძე – მეფე როსტომის მამიდაშვილი და სამეფო

კართან დაახლოებული პირი, იყო ქართლის მთავარეპისკოპოსი 1661-1671 წწ. (ჯანდიერი, 1971: 333). მ. შაორშაძის დაკვირვებით, მისი მთავარეპისკოპოსობა, სავარაუდოდ, 1688 წლამდე უნდა გაგრძელებულიყო. ვინაიდან, საბუთში ნიკოლოზი მთავარეპისკოპოსად იხსენიება, ამიტომ ავტორი მიიჩნევს, რომ საბუთი 1658 წლის შემდეგ არის გაცემული და საუბარია როსტომის მმართველობისას მომხდარ მოვლენებზე (შაორშაძე, 2017: 227-238). გარკვეულ ხანს იგი თბილელი ეპისკოპოსიც უნდა ყოფილიყო, მღვდელმთავრად გახდომამდე – ნიტრიის მონასტრის წინამძღვარი. მის ძმას ბეჟან ჩხეიძეს და თავად ნიკოლოზს 1656 წელს აუგიათ მონასტრის გალავანი, სამრეკლო და სენაკები.

291

**1633-1658 წწ. მეფე როსტომის ბრძანება მოხელეებისადმი
ოსეთიდან აჭრილი და ჯავის ზემოთ დასახლებულ
ოსებისათვის ხელშეწყობის შესახებ**

დ ე დ ა ნ ი : სეა, 1448-10326; მოყვითალო ფერის ქაღალდი; ზომა: 26X17 სმ. შავი ფერის მელანი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ; დაზიანება: საბუთს კიდებზე აქვს მცირე დაზიანებები და შევსებულია სარესტავრაციო ქაღალდით. ბოლოში ახლავს რუსული მინაწერი.

ქ. უზედაესთა მოგახსენებთ და უქუედ²აესთა გიბ(რძანე)ბთ, ჩუენს საბატონოში ვინგ³ინდავინ ბ(რძანე)ბისა ჩუენისა მორჩილნი ი⁴ყუნეთ, მერმე ეს ო ს ი ხ ო ნ თ ქ ა რ ა და⁵ ამისი შვილი ხ ა ჩ ი ო ს ე თ ი თ აიყარნეს,⁶ მოვიდეს, ჩუენ მოგუენდუნეს, გუეყმენ⁷ და ჯ ა ვ ა ს ზემოთ, რ ო კ ა ს დავასახლეთ.

ანე, ჩუენს⁸ საბატონოში, სადაც წავიდნენ და მოვიდნენ, კა⁹რგად დახდომისა და პატივის მეტს ნურას¹⁰ შესცოდებთ, ვინცავინ ო ს ე თ ი დ ა - მ ე ო ს ი ¹¹ კაცი გარდმოვიდეს და ამასთან დასახლდეს,¹² ნურცავინ რას იმათ შესცოდებთ, თუ¹³ არადა მნუედ გუენყინების, იცო¹⁴დით.

ხვეული ხელრთვა: რ ო ს ტ ო მ | |¹⁵

ბოლოში ერთვის რუსული მინაწერი.

1627 წ. 4 თებერვალი. წყალობის წიგნი სვიმონ მეფისა ყაფლან ბარათაშვილისადმი

პირი: სეა, 1450-15/132; საბუთი გატარებულია რუსული მმართველობის სარეგისტრაციო დავთარში.

საბუთის თარიღი: ქორონიკონი ტიე (315), თებერვლის დ (4), რაც უდრის 1627 წლის 4 თებერვალს.

საბუთის დამწერი: მდივანმწიგნობარი შერმაზან ოქრუასშვილი.

გამოცემა: ფუთურიძე, 1955: №25, გვ. 62-63.

[ქ.] ნებითა ღ(მრ)თისათა, ჩუენ, მეფემან პატრონმან სუიმონ, ესე წყალობისა წიგნი და ნიშანი გიბოძეთ თქუენ, ჩუენს ერდგულსა და მრავალფერად თავდადებით ნამსახურსა, ბარათაშვილს ყაფლანბეგს, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა.

5 მას ჟამსა, ოდეს მოგვიდევით კარსა და თქუენისავ ბიძაშვილის, ბარათას ნაქონს მამულის წყალობასა და გუეაჯენით, ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ბარათას ნაქონი სოფელი ქუაბეჯანი, სოფელი თეკნარი, სოფელი ძველი დმანისი და სოფელი ფოცხუერიანი. ესე{ე}ბი მითთა, ბართთა, 10 წელითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, ტყითა და სანადიროთა, ჭალითა და სათიბითა, სახნავითა და უხნავითა, შენითა და ოხ{ე}რითა, სამძებრითა და უძებრითა, და ყოვლის მისის სამართლიანის საქმითა და სამძღურითა, თქუენტვის სამკუიდროდ და სამამულედ გვიბოძებია.

15 გქონდეს და გიბედნიეროს ღ(მერ)თმან ჩუენსა ერდგულად სამსახურსა შიგან.

ანე, უზეშთესთა მოგახსენებთ და უქუედესთა გიბძანებთ, კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, და სხუანო მოსაქმენო, თქუენცა ასრე გაუთავეთ, რარიგადაც ამა ჩუენგან ნაწყალობევს ფარვანაშია ეწეროს. და ნურაოდეს ნუ შეუშლით და შეეცილებით თანადგომისა და შეწვენისაგან კიდე.

20 დაინერა ბრძანება და ნიშანი ესე ქ(ორონი)კ(ონ)სა ტიე, თებერვალს დ, ჳელითა კარისა ჩუენისა მდივან-მწიგნობრის, ოქრუასშვილის შერმაზანისათა.

გადმოხატული ხელრთვა: სვიმონ

დედანს ჰქონია დასმული ორი ოთხკუთხა ფორმის სპარსული ბეჭედი.

1648 წ. 10 თებერვალი. წყალობის წიგნი ოსტომ მეფისა
ამონ თხზარელისადმი

დ ე დ ა ნ ი : დაცულია მერი და ნინო თუხარელების საოჯახო კოლექციაში, გაყვითლებული ქაღალდი, ალაგ-ალაგ დალაქული, მელანი ყავისფერი, მხედრული, განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი, ორწერტილი და წერტილი. დაზიანება: გამაგრებულია სარესტავრაციო ქაღალდით. ბოლოდან მესამე სტრიქონზე ტექსტი დაზიანებულია, რადგან გადაწებებულია ბოლო ორი სტრიქონის ნაწილი. verso-ზე დაზიანებულია ბოლო სტრიქონის ტექსტი. საბუთს ახასიათებს ა-მეტობა.

თ ა რ ი დ ი : ქორონიკონსა ტლვ (336), თებერვლის ი (10), რაც გვაძლევს 1648 წლის 10 თებერვალს.

ს ა ბ უ თ ი ს და მ წ ე რ ი : მდივან-მწიგნობარი ბირთველი.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, ჩვენ მეფეთ-მეფემან ჳელ²მნიფემა პატრონმა როსტომ და თანამეცხედრემა ჩვენმა [დედ]³ოფალთ-დედოფალმა პატრონმა მარია მ, პ[ირ]მშობან და ს[ა]სურვე⁴ლმა ჩვენმა ძემან პატრონმა ლუარსაბ, ესე წყალობისა წიგნი⁵ და ნიშანი შეგინყალეთ და გიბოძეთ თქვენ, ჩვენსა ერდგულად⁶ და ნესისებრივ თავდადებით მრავალფერად თავდადე[ბი]თ] ნამ⁷სახურთა ყმასა ჩვენსა თუხარელსა ამონს და შვილთა თქვენთა⁸ მეღ < ი > ქისა - დეგს და ნამე ქის და მომავალთ სახლისა თქვენისასა ყ<ა>[ოვე]⁹ლთავე.

მას ჟამსა, ოდეს მოგვ<ა>[ი]დ[ე]გით დარბაზ<ი>ს ჩვენისასა და¹⁰ მამულის წყალობას დაგვეაჯენით, შეგინყალეთ გიბოძეთ¹¹ ჩვენი სახასო მამული პირაქათი, რასაც პირაქათ წყალ¹² გარდმოვა ჩრდილოეთისაკენ წყალი დ[ა]იქცევს, იქით გარ¹³ღლის წვერი რომ ჩამოვა, ჳმელი ივევი რომ ჩამოვა იმას ა¹⁴ქეთ ქვენად რულს ახოებადმი, იმას იქითისა ჯავახიანო არ¹⁵ის, აქეთ სამეზის კლდედინ, იქით ნათლისმცემლის ჳ[ე]¹⁶ვის აქეთი, იმას იქით ბატონის სახასო მამული, გაღმა გვე¹⁷ლდე და დარჩა, რაც პირიქი დარჩა მოურავს იორამს. ამა¹⁸ზე მოურავი შვილი და ჯავახი დივანბეგი და გამოღმა ჯა¹⁹ახიშვილი ქახოს რომ ილ[ა]პ[ა]რაკეს, ჩვენ მოკითხული ვჰქენით²⁰ და არც მოურავი შვილს ჰქონდა ჳელი და არც ჯავახიშვილ²¹ებსა. ჩვენი სახასო მამული ყოფილიყო. არას კაცს ჳელი არა²² ჰქონდა და ძველთაგანც ჳელმნიფეთაგან თქვენ მოგცემოდა. ახლა²³ ჩვენც თქვენთვის გვიბოძებია წყალობა.

გქონდეს და გიბედნიეროს ლ(მერ)თ(მა)ნ. ესე სამკვიდ²⁴როთ და საბოლ[ო]ოთ არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არა სხვათა მეპატრონე²⁵თაგან მეფეთაგან.

ანე, გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვეზირ-ვექილნო²⁶ თქვენაც ასე გ[ა]უთავეთ. ბძანება და ნიშანი ჩვენი თქენცა ასე²⁷ გ[ა]უთავეთ და ნუროდეს ნუ შეიცვლებით თვინიერ შეწევნის თანამ²⁸<მ>დგ[ო]მ[ი]საგან ვიდრე.

დ[ა]ინერა ბძანება და ნიშანი <ნიშანი> ესე ქ(ორონი)კო(ნ)სა ტლვ,²⁹ თებერვლის ი, ჳ[ელითა] კარის ჩვენის მდივნის ბირთველისათა.

verso-ზე არის ხუთი ბეჭედი სპარსული ლეგენდით.

**XVII საუკუნის I ნახევრის ქართლისა და კახეთის მიწების
შესახებ არსებული ეპიგრაფიკული მასალა**

1. სიონის ეკლესია (მარნეულის მუნიციპალიტეტი)

[1640-იანი წლების შემდგომი პერიოდი]


სააღმშენებლო წარწერა წინამძღვარ, სერაპიონ ჩიჯავაძისა

წარწერა ამოკვეთილია ეკლესიის სამხრეთი შესასვლელის თავზე ჩადგმულ ოთხკუთხა ფორმის ყავისფერ ქვაზე, მიწის დონიდან 196 სმ-ის სიმაღლეზე; წარწერიანი ქვის ზომები: 205 X 45 სმ.; წარწერის ფართობი: 190 X 38 სმ.; 4 სტრიქონი; მხედრული; ყველაზე დიდი გრაფემის ზომა: ქ (I სტრიქონის I გრაფემა) – 12 X 2,5 სმ.; ყველაზე პატარა გრაფემის ზომა: ა (I სტრიქონის IX გრაფემა) – 1,5 X 0,5 სმ.; ქარაგმის ნიშნები: მოკლე კლაკნილი ან სწორი ხაზი; განკვეთილობის ნიშნები: ორწერტილი ან სამწერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ. პალეოგრაფიული ასლი გადმოღებულია დევი ბერძენიშვილის სამეცნიერო პუბლიკაციიდან. წარწერის ტექსტის გამართვა და პუნქტუაცია ჩვენია (თ. გ.).


დაზიანება: წარწერის ქვა გამოფიტულია კლიმატური პირობების ზეგავლენით. გარდა ამისა, მთელ სიგრძეზე, ორ ადგილას გაბზარულია. ამის გამო გრაფემათა ნაწილი ან საერთოდ დაკარგულია ან ფრაგმენტულად განირჩევა.

დათარიღება: 1634-1658 წლებით ათარიღებს დ. ბერძენიშვილი თავის ადრინდელ 1970 და 1981 წწ-ის გამოცემებში. უფრო გვიან შესრულებულ პუბლიკაციებში (დ. ბერძენიშვილი: 2003, 2005, 2014) იგი უთითებს 1640-იანი წლების შემდგომ პერიოდს. იგივე დათარიღებაა გაზიარებული წინამდებარე გამოცემაში.

ამოცემები: 1. ბერძენიშვილი, 1970: გვ. 5; 2. ბერძენიშვილი, 1981: გვ. 134; 3. ბერძენიშვილი, 2003: გვ. 269-270; 4. ბერძენიშვილი, 2005: გვ. 36-38; 5. ბერძენიშვილი, 2014: გვ. 320-321.



გ ა მ ო ც ე მ ე ბ ი : M. Brosset 1854: p.335; ლ. მუსხელიშვილი 1938: გვ. 318; ე. თაყაიშვილი, 1991: გვ. 98; ვ. ბერიძე, 1994: გვ.42; დ. ბერძენიშვილი, 2003: გვ. 240-241. დ. ბერძენიშვილი, 2014: გვ. 289; დ. ბერძენიშვილის პუბლიკაციებში მითითებულია წარწერის ადგილმდებარეობა; წარწერის წაკითხვა; წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი. გ. ოთხმეზური, 2014: გვ. 222. ავტორი წარწერის შინაარსს და წაკითხვას და თარიღს გადმოსცემს ე. თაყაიშვილის პუბლიკაციაზე დაყრდნობით; თ. გოგოლაძე, 2019: გვ. 152-154. პუბლიკაცია ემყარება წარწერის პალეოგრაფიული პირს; რომელშიც ზუსტადაა დაცული დედნის მოხაზულობა; მოცემულია: წარწერის წაკითხვა და თარიღია, წარწერის ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ანალიზი წარწერის ფერადი ფოტო.



წ ა რ წ ე რ ი ს ტ ე ქ ს ტ ი

1. ზა: ადიდოს: ლთხ: მეფეთ მეფე: პატრონი: შაჰ
 2. ვაზ: და დედოფალთ: დედოფალი: პატრონი: მარიამ: ჩხ
 3. ენ: თურმენიძე: თურმან: და მეცხეაღრა: ჩხნი: ქეთაზან: ყიზი
 4. ლაპი: ვიყვიენით: და როდისაც: გადნიერან: ყანმნ: წყლოვა:
 5. უყო: და მეფე: როსტომ: ქრთლს: სმეფოდ გომგზვან: ჩხენ
